

სამეცნიერო შრომების კრებული

ქართულური ენათმეცნიერება

VI-VII

COLLECTED SCIENTIFIC WORKS

KARTVELIAN LINGUISTICS

ეძღვნება აკადემიკოს აკაკი შანიძეს

Dedicated to Academician Akaki Shanidze





Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities  
ქართული ენის ინსტიტუტი  
Institute of the Georgian Language

სამეცნიერო შრომების კრებული

ქართულური ენათმეცნიერება

VI-VII

COLLECTED SCIENTIFIC WORKS

KARTVELIAN LINGUISTICS

ექლვნება აკადემიკოს აკაკი შანიძეს  
Dedicated to Academician Akaki Shanidze

2019-2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ მომზადებული შრომების კრებული – „ქართველური ენათმეცნიერება“ – ორ ტომს აერთიანებს: VI-VII-ს. კრებული საიუბილეოა. იგი მომზადდა 2019-2020 წლებში და ეძღვნება თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელსა და პირველი პროფესორის ნევრს, ივანე ჯავახიშვილის მონაწილესა და თანამოაზრეს, ფართო პროფილის ქართველოლოგს, უმაღლესი სკოლის ღვანლმოსილ მეცნიერსა და პედაგოგს, თაობების მასწავლებელს, აკადემიკოს **აკაკი შანიძეს** დაბადებიდან **130 წლის** აღსანიშნავად.

საიუბილეო კრებულში ქართველი და უცხოელი კოლეგების მიერ შეფასებულია აკაკი შანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა, ნაჩვენებია მისი სამეცნიერო მუშაობის სტილი, მრავალმხრივ და მრავალფეროვან ნაშრომებში მოცემული თეორიული ნააზრევისა თუ პრაქტიკული საქმიანობის მნიშვნელობა არა მხოლოდ ქართული გრამატიკული აზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების თვალსაზრისით, არამედ სამომავლო პერსპექტივების გასააზრებლადაც, მათ შორის საქართველოში ციფრული ჰუმანიტარიის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

კრებულში შესულია სპეციალურად მიძღვნილ საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, რომლებიც მოიცავენ ქართველურ ენათა განვითარების დინამიკას, მორფოსინტაქსის, სემანტიკა-პრაგმატიკის, ლექსიკის საკითხებს, წარმოაჩენენ თანამედროვე ტექნოლოგიური სტანდარტებით ქართველური ენების მონაცემთა ბაზების შექმნის საჭიროებას, ამგვარი მეთოდოლოგიებით ემპირიული მასალის დამუშავების უპირატესობასა და მიღებული დასკვნების სანდოობის ხარისხს.

აკადემიკოს აკაკი შანიძის საიუბილეო კრებული მნიშვნელოვანი შენაძენია ჰუმანიტარული და მომიჯნავე დარგების მკვლევარებისთვის, სტუდენტებისთვის, ყველა დაინტერესებული მკითხველისთვის.

რედაქტორები:

პროფესორი **დარეჯან თვალთვაძე**, პროფესორი **რამაზ ქურდაძე**

პასუხისმგებელი მდივანი – ასოცირებული პროფესორი **რუსუდან ზექალაშვილი**

კრებული შეადგინა და შენიშვნები დაურთო

ასოცირებულმა პროფესორმა **მაია ლომიამ**

კონსულტანტი – აკადემიკოსი **მზექალა შანიძე**

მასალების დამუშავებაში მონაწილეობდნენ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის „ქართველური ენათმეცნიერების“ ქვედარგის დოქტორანტები.



C. Hardy



# შინაარსი

აკაკი შანიძის მიმართვა ახალგაზრდებს .....	9
აკაკი შანიძის მიმართვა ჟურნალის, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, რედაქციას .....	11

## მისალმებები საიუბილეო სხდომაზე

გიორგი შარვაშიძე, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ დიდი წინაპრები.....	15
ნანა გაფრინდაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი .....	16
ვინფრიდ ბოედერი, აკაკი შანიძის კვალი სამუდამოდ დამკვიდრდება .....	17
იოსტ გიპერტი, მანანა თანდაშვილი საიმედო მეგზური და სანდო მასწავლებელი .....	18
რეუვენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი), აკაკი შანიძე – როგორც მახსოვს .....	19
მზექალა შანიძე, ლელა შანიძე, შვილები მამის შესახებ.....	21

## აკაკი შანიძის სამეცნიერო ნააზრევის შეფასება საუკუნის გადასახედიდან

დარეჯან თვალთვაძე, „განანათლა და შეამკო ნათესავი და ენაჲ ჩუენი“ (მნიშვნელობა აკაკი შანიძის დიდი ნაღვანისა).....	25
ავთანდილ არაბული, კომპოზიციის შინაარსისათვის ძველ ქართულში და აკაკი შანიძის ნესები რთულ სიტყვათა დაწერილობისათვის .....	38
თამაზ გამყრელიძე, აკაკი შანიძე – ახალი ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელი.....	51
მანანა თანდაშვილი, აკაკი შანიძის კვლევითი კონცეპტიდან დიგიტალურ ქართველოლოგიამდე.....	53
დარეჯან თვალთვაძე, აკაკი შანიძე ციფრულ ეპოქაში (პროექტი „აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკა და ტექსტკორპუსი“ ) .....	75
მარინე ივანიშვილი, ქართულ ენათმეცნიერებაში სტრუქტურალიზმის განვითარების სათავეებთან: აკაკი შანიძე .....	84
დამანა მელიქიშვილი, ქართული ზმნის მორფოსინტაქსური კლასიფიკაცია: ქართული ზმნის დიათეზებისა და სერიების ერთიანი გრამატიკული სისტემა.....	94
სალომე ოშიაძე, ტექსტის ორდონიანი სტრატეგიკაციისათვის აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ .....	131

## აკაკი შანიძის ნაკვალევზე

<b>მზექალა შანიძე, მამარჩემი – აკაკი შანიძე</b> .....	121
აკაკი შანიძის გამოსათხოვარი სიტყვა ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვაზე .....	130
<b>ზურაბ ჭუმბურიძე, დიდი ადამიანის გადანყვეტილება</b> .....	131
<b>თედო უთურგაიძე, 1930 წლიდან მას საქართველოს მასწავლებელს უწოდებდნენ</b> .....	133
აკაკი შანიძის შესახებ: <b>ინტერვიუ რამაზ ქურდაძესთან</b> .....	135
<b>შოთა პაპავა, აკაკი შანიძე – 130. „კეთილად განმგებელი მოლუანც“</b> .....	143
მზექალა შანიძე ექსპედიციის მნიშვნელობაზე .....	149
სტუდენტთა ლინგვისტური ექსპედიცია - 2018: <b>ინტერვიუ მაია ლომიასთან</b> .....	150
<b>ბარბარე მერაბიშვილი, „სვანეთი და სამეგრელო - 2018“ – სტუდენტური ექსპედიციის ანგარიში (კვლევითი მოტივაცია, რომელსაც უნივერსიტეტი დაარსების დღიდან იძლევა)</b> .....	155
<b>ნოდარ კაკაბაძე, ჩქიმი დიდი უჩიტელეფე (ლაზური ტექსტი)</b> .....	158
<b>ნატო ახალაია, ჩემი დიდი მასწავლებლები (ლაზური ტექსტის ქართული ვერსია)</b> .....	159

## სამეცნიერო სტატიები

<b>გიორგი გოგოლაშვილი, თამარ ლომთაძე, ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ერთი თავისებურება და მასთან დაკავშირებული საკითხები</b> .....	165
<b>რუსუდან ზექალაშვილი, კოლოკაციათა სახეები და ფუნქციები ქართულ-გერმანულ ლექსიკონში</b> .....	170
<b>დარეჯან თვალთვაძე, ოპიზის ოთხთავის ტექსტისათვის (გაცხოველებული, კორექტირებული და რედაქტირებული ადგილები ოპიზის ნუსხაში)</b> .....	181
<b>ნანა ლოლაძე, არსებობა-მქონებლობის ზმნათა „შენაცვლება“ ტიპოლოგიურ კონტექსტში</b> .....	211
<b>მაია ლომია, მეგრული გაშაირების ტექსტის ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლები</b> .....	215
<b>ქეთევან მარგიანი, ეპისტემიკური მოდალობის ნაწილაკთა დისტრიბუცია სვანური ზმნის უღლების პარადიგმაში</b> .....	223



<b>მერი ნიკოლაიშვილი, ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი, ბრუნვის გამომხატველი რეპრეზენტაციები ქართულ ზმნაში</b> .....	227
<b>ინგა სანიკიძე, ლა- პრეფიქსის ისტორიული ფუნქციისათვის ქართულში</b> .....	231
<b>სოფიო სარჯველაძე, სინის ლექციონარში დაცული სახარების ერთი საკითხავისათვის</b> .....	240
<b>რამაზ ჟურდაძე, მანანა ჩიტიშვილის პოეზიის ლექსიკური თავისებურებანი</b> .....	249
<b>რამაზ ჟურდაძე, სხვათა სიტყვის (-მეთქი, -თქო, ო) ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი ევიდენციალობის თვალსაზრისით</b> .....	260
<b>ნინო შარაშენიძე, მოდალობის კატეგორია და ქართული ლექსიკოგრაფია</b> .....	266
<b>ნინო ჭუმბურიძე, მარიამ კიკონიშვილი, დიმიტრიური ფორმები ლიტერატურაში (ერთი მხატვრული თარგმანის მიხედვით)</b> .....	276
<b>ანა ხარანაული, თარგმანის ტექნიკის ხერხები – ტრანსკრიბცია, ტრანსლაცია, იმიტაცია, სიმულაცია, ემულაცია, ინტერპრეტაცია – და ენის განვითარების საშუალებები ძველი აღთქმის უძველესი თარგმანების მაგალითზე</b> .....	281
<b>მარიკა ჯიქია, ქართველებმა თებერვლის 26-ს ვამჯობინეთ 26 თებერვალი</b> .....	292
<b>გიორგი ჯღარკავა, ანდაზების ტრანსფორმაცია და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური საკითხები</b> .....	301

## **საარქივო დოკუმენტები აკაკი შანიძეზე**

<b>მუხრან მაჭავარიანი აკაკი შანიძის შესახებ, სამ ხმად გადახდილი მაღლობა</b> .....	311
<b>თინათინ ბოლქვაძე, აკაკი შანიძის საკითხი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების 1949 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე</b> .....	312
<b>ABSTRACTS</b> .....	323
<b>შენიშვნები</b> .....	344
<b>ავტორთა შესახებ</b> .....	346



## ახალგაზრდებო, ვაჟებო და ქალებო,

ცხოვრება ისეთია, რომ ცოდნის გარეშე ვერას გახდები, განსაკუთრებით, ჩვენს ურთულეს დროში. საჭიროა მუდმივი, შეუწელებელი და შეუწყვეტელი მუშაობა. თქვენ უნდა გახსოვდეთ, ახალგაზრდებო, რომ ძველი თაობის წარმომადგენლები „დღეს არა, ხვალე მოგვკვდებით, სოფელი ასრე მქმნელია“. ჩვენ თქვენზე ვამყარებთ ჩვენს იმედებს ჩვენი ქვეყნის მომავლისა, შენახვისა და შემდგომი წინსვლისათვის. მხოლოდ ღირსეულს შეუძლია ქვეყანას წარუძღვეს სწორი გზით და შეუნარჩუნოს ჩვენს ერს თავისი ადგილი მსოფლიოში.

ტ. ყანიძე

თბილისი.1986 წ.





„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“  
ჟურნალის რედაქციას

ქართული ენის წერილობითი ძეგლები მეხუთე საუკუნიდან მოგვეპოვება, რაც დიდი ბედნიერებაა. ლევრ კულტურულ ერს არ შეუძლია ამ მხრივ ჩვენ შემოგვედაროს. ძველმა ქართულმა საუკუნეთა განმავლობაში შემოგვინახა უამრავი სიტყვა, რომელთაგანაც მრავალი დღესაც იხმარება (მაგ., მამა, დედა, და, ძმა, ბიძა, ცოლი, სიძე, თავი, გული, შუბლი, ყური, კბილი, თმა, თვალი, ხელი, ფეხი, ხე, ქვა, წყალი, ცა, ქვეყანა, ტყე, ველი და სხვა, და სხვა), ზოგმა სიტყვამ მნიშვნელობა იცვალა, ან სულ გაქრა ხმარებიდან. შმავე ძველმა ქართულმა შემოგვინახა გრამატიკული ფორმები, სხვათა შორის, ხოლმეობითები, თანაც სამი სახისა (მაგ., აღიღებ, აღიღებდის, აღიღოს), რომელთაგანაც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში, სამწუხაროდ, აღარც ერთი არ იხმარება.

შმასთანავე ჩვენ დიდად მოგვწონს თავი, რომ ქართველმა ერმა წარმოშვა უდიდესი პოეტი ჟოთა ჯუსთველი, რომლის უკვდავი „ზეფხის ტყაოსანი“ მშესავით ბრწყინავს მსოფლიოს ერთა ლიტერატურის საგანძურში.

შმედი მაქვს, რომ სკოლა და მასწავლებლობა დიდად შეუნყოფს ხელს ქართული სალიტერატურო ენის სინძიდის დაცვის საშვილიშვილო საქმეს.


ტ. ყანიძე

ტბილისი. 20. VII. 1982 წ.



აკაკი შანიძე - 130

მისაღმებები საიუბილეო სხდომაზე





## **ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ დიდი წინაპრები**

დღეს განსაკუთრებული დღეა, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პატივს მივაგებთ აკაკი შანიძის ხსოვნას. ეს არის ადამიანი, რომელმაც შექმნა ის საძირკველი, რომელზეც დგას დღეს ქართული ენათმეცნიერება, ქართული უნივერსიტეტი. აკაკი შანიძე ის მეცნიერია, რომლის ღვაწლის დაფასებაც ქართული სამეცნიერო საზოგადოების მიერ ყოველწლიურად, ყოველდღე უნდა ხდებოდეს. ჩვენ აღვნიშნავთ აკაკი შანიძის დაბადებიდან 130 წლის იუბილეს: გაიხსნა ძალიან საინტერესო კონფერენცია, მოეწყო გამოფენა. მისი ნაღვანის წარმოსაჩენად ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ვინაიდან თავად აკაკი შანიძის პერსონა გაცილებით დიდია, ამ ადამიანზე ჯერ კიდევ ბევრია სათქმელი.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ დიდი წინაპრები და კარგად უნდა გვახსოვდეს ჩვენი ისტორია, რადგან სხვაგვარად მომავალს ვერ ავაშენებთ!

**გიორგი შარვაშიძე**

*რ ე ქ თ ო რ ი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი

130 წლის წინ გურიის ერთ პატარა სოფელში დაიბადა ყმანვილი, რომელსაც წილად ხვდა, გადატრიალება მოეხდინა ქართულ მეცნიერებაში, გადაეშალა ახალი ფურცელი. ეს ყმანვილი იყო აკაკი შანიძე, რომელიც გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. ის ითვლება ქართული მეცნიერების პატრიარქად, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებაში. აკაკი შანიძე იყო დიდი ენათმეცნიერი, წარმატებით მუშაობდა რუსთველოლოგიაში, დიალექტოლოგიაში და კიდევ მრავალ სხვა დარგში, სადაც შექმნა ფუნდამენტური ნაშრომები. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი აკაკი შანიძის იუბილეს ქართული ენის სწავლების გაღრმავებული პროგრამით ხვდება. ჩვენ სტუდენტებს დღეს ვთავაზობთ 130-მდე საგანს. ამგვარი ფართო არჩევანი საშუალებას იძლევა საფუძვლიანად შევასწავლოთ ქართული სალიტერატურო ენა, სხვა ქართველური ენები. ამ საგნების შესწავლა შეუძლიათ არა მარტო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს, არამედ ეს საგნები შეუძლიათ აირჩიონ სტუდენტებმა ყველა ფაკულტეტიდან.

### ნანა გაფრინდაშვილი

*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## აკაკი შანიძის კვალი სამუდამოდ დამკვიდრდება

ბატონმა რამაზ ქურდაძემ აკაკი შანიძის იუბილე რომ გამახსენა, გამაოცა არა მხოლოდ ქართველების ერთგულებამ მათი დიდი აკადემიური წინაპრების მიმართ, არამედ დამაფიქრა იმაზეც, რომ ახალი თაობების პირობებში პირადი მეხსიერების კულტურულ მეხსიერებად გარდაქმნა მოსალოდნელი, რომელშიც ღირსი ტრადიცია კიდევ და კიდევ მეორდება და მტკიცდება. დღევანდელი იუბილარი ცოცხლობს იმ პიროვნებათა მეხსიერებაში, ვინც აკაკი შანიძეს პირადად იცნობდა და ამდენად შეუძლიათ მოგვითხრონ მისი განვლილი გზის, ისტორიული კონტექსტის, მისი ეგზომ ხანგრძლივი და ნაყოფიერი ცხოვრების შესახებ. მეც მათ შორის ვარ და ვამაყობ, რომ მრავალი წლის მანძილზე ვხვდებოდი მას თბილისში, მის სამუშაო კაბინეტში, აგრეთვე წყნეთში. განსაკუთრებით მახარებს სახსოვრად გამოგზავნილი მისი წიგნები. დღეს კი, ზემოთ აღნიშნული გარდაქმნის მიხედვით დიდი იმედი და სურვილი მაქვს, რომ აკაკი შანიძის კვალი ყველა ქართველი და უცხოელი ქართველოლოგის კულტურულ მეხსიერებაში სამუდამოდ დამკვიდრდება, რაც იმ მეცნიერული ტრადიციის შინაარსსა და ღირებულებებზე კრიტიკული ჩაფიქრებისა და დაფიქრების საფუძველი გახდება, რომლებიც ასე ღირსეულად იყრიდა თავს ამ დიდი მეცნიერის პიროვნებაში.

პირადად მე მიმაჩნია, რომ აკაკი შანიძის შრომები, რომლებიც ჭკვიანურ ინტუიციასა და სტრუქტურულ, ფუნქციონალურ და ისტორიულ ანალიზს საოცრად აერთებს, გრამატიკული კვლევისთვის კვლავაც საუკეთესო ამოსავალი ნერტილი იქნება, ისევე როგორც მისი ძველი ქართული და ხევსურული ტექსტების კლასიკური გამოცემები უამრავ სხვა ნაშრომთან ერთად ქართველოლოგიის სამაგალითო ნიმუშები არის და დარჩება. თუმცა დღეს ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია აკაკი შანიძის ყოველმხრივი ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიის კონცეფცია, რომელიც აკადემიურ პრაქტიკაში გადაცემის ტრადიციის გაგრძელებასა და დღევანდელის მსგავსს იუბილეებზე კულტურულ ვალდებულებად ქცევასა და განმტკიცებას იმსახურებს. სახელდობრ, კონცეფცია, რომელიც მზარდი სპეციალიზაციის მიუხედავად, ქართველოლოგიის ყველა ასპექტს ერთმანეთთან კავშირში განიხილავს, ნათელს ჰფენს და ერთ მთლიანობას ქმნის.

ჩემი აზრით, აკაკი შანიძე მიეკუთვნება იმ „გიგანტებს“, რომლის „მხრებზედაც ვუჯებად ვსხედვართ და ამ გზით შეგვიძლია უფრო მეტისა და უფრო შორს დანახვა“, შუა საუკუნის ფილოსოფოსის მეტაფორა რომ გამოვიყენო. ამ თვალსაზრისით, აკაკი შანიძის იუბილე კარგი შესაძლებლობაა დაფიქრდეთ, როგორ მოხდეს ქართველოლოგიის შინაარსის მისი მემკვიდრეობის თანახმად განსაზღვრა, დაცვა და გადაცემა, მოდის ტენდენციებისა თუ პოსტფაქტურ პოზიციათაგან დამოუკიდებლად და, გიორგი მცირის სიტყვებით რომ ვთქვა, „შემდგომთა ნათესავთა საწურთელად და გულისწყმის-საყოფელად“.

**ვინფრიდ ბოედერი**

*ოლდენბურგის უნივერსიტეტი, გერმანია  
26 თებერვალი, 2017 წელი*

## საიმედო მეგზური და სანდო მასწავლებელი

საყოველთაოდ ცნობილი დიალექტიკური კანონზომიერებაა, რომ პიროვნებები ქმნიან ისტორიას – საფუძველს უყრიან კონკრეტულ ეპოქას ან წარმართავენ ისტორიულ პროცესებს. ბატონი აკაკი შანიძე სწორედ ამგვარ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება, რის გამოც მადლიერმა თანამედროვეობამ მას დამსახურებულად უწოდა „ქართველოლოგიის პატრიარქი“. ის ფაქტი, რომ მისი მეცნიერული მუშაობის დასაწყისი იმთავითვე ინტერდისციპლინური გახლდათ, მისთვის უდიდესი გამოწვევა იყო, ქართველოლოგთა შემდგომი თაობისთვის კი, ვინც მის კვალს უნდა შესდგომოდა, დიდი გამართლება, რადგან აკაკი შანიძემ, მისი მრავალფეროვანი მოღვაწეობის ყველა სფეროში, მათ საეტაპო მნიშვნელობის მემკვიდრეობა დაუტოვა ინტერდისციპლინური კვლევის პოტენციალით, უზარმაზარი ემპირიული რესურსით, სწორი მეთოდოლოგიური მიდგომებითა და კვლევის შორსმიმავალი პერსპექტივებით. მისმა ღვაწლმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქართული ენათმეცნიერების განვითარება. დღეს წარმოუდგენელია კვლევა მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორებიცაა: ენათმეცნიერება, ტექსტის ფილოლოგია, ლექსიკოლოგია, დიალექტოლოგია, რუსთველოლოგია, ეპიგრაფიკა, არმენოლოგია, ალბანოლოგია და სხვა, აკაკი შანიძის ფუნდამენტური ნაკვლევების გათვალისწინების გარეშე და, რაც მთავარია, სწორედ მას უმაღლის ქართველოლოგია ქართული ენის განვითარების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ელემენტების – ხანმეტი და ჰაემეტი პრეფიქსების აღმოჩენას და სისტემატიზაციას, რაც არსებითად საფუძველად დაედო ქართული ენის პერიოდიზაციას. სწორედ ეს ფენომენი გახდა უძველესი ხელნაწერების დათარიღების უტყუარი ინდიცი. აკაკი შანიძის მიერ მოპოვებული და გამოცემული უძველესი ხელნაწერები, როგორცაა გრაცის ლექციონარი ან სინური მრავალთავი, საფუძველად დაედო ქართველოლოგიის ინტერდისციპლინურ განვითარებას, რომელიც, ქართველური ენების კვლევის გარდა, მოიცავდა ქართულ ლიტერატურას, ფოლკლორს და ქართველი ერის ისტორიის საკვანძო საკითხებს. სწორედ აკაკი შანიძის ინტერდისციპლინურმა ნაშრომებმა შეუწყო ხელი ქართველოლოგიის ინტერნაციონალიზაციას და მის ჩართვას საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში.

დღეს, 21-ე საუკუნის გადასახედიდან, კარგად ჩანს, თუ რაოდენ საიმედო მეგზური და სანდო მასწავლებელია აკაკი შანიძის მეცნიერული ნააზრვეი თანამედროვე სტანდარტების „ლაბირინთებში“ გზის გასაკვალად და შედეგის მისაღწევად. დღეს 21-ე საუკუნის ქართველოლოგები საოცარი მადლიერებით ვართ აღსავსე და ვაფასებთ აკაკი შანიძის სამეცნიერო მოღვაწეობას, ვინაიდან კარგად გვესმის, რომ აკაკი შანიძე იყო ის მეცნიერი, რომელიც წინ უსწრებდა დროის მოთხოვნებს და რომელმაც, არსებითად, საფუძველი მოუმზადა დიგიტალური ქართველოლოგიის განვითარებას.

აკაკი შანიძე დღესაც ჩვენი მეგზური და მასწავლებელია. დიდი მადლობა მას საიმედო მეგზურობისა და მეცნიერების ხვალისდელი დღის შექმნისთვის.

**იოსტ გიპერტი**  
**მანანა თანდაშვილი**

*მაინის ფრანკფურტი, გერმანია*  
*26 თებერვალი, 2017 წელი*



## აკაკი შანიძე – როგორც მახსოვს

აღბათ, დღეს ბევრი ითქმება აკაკი შანიძის განუზომელი მეცნიერული და ორგანიზატორული ღვაწლის შესახებ და მე არ მინდა მისი მეცნიერული პროდუქციისა და პიროვნული მოღვაწეობის ჩემეული შეფასებით დაგვალლოთ; აღფრთოვანებით-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ მყისვე მივხვდი, ეს სიტყვაც არასათანადოდ ტევადია აკაკი შანიძესთან მიმართებაში. ამიტომ გადავწყვიტე აკაკი შანიძის გვერდით ჩემი მუშაობის შთაბეჭდილებანი გაგიზიაროთ, უფრო სწორად, სწავლით დავინყებ.

მეხუთე კურსზე ბატონი აკაკი სპეცსემინარს გვიკითხავდა ქართული დამწერლობის შესახებ. რამდენიმე ლექციის შემდეგ მიხმო და მიბრძანა: პროფესორ ივანე იმნაიშვილისგან ბევრი კარგი სიტყვა მსმენია თქვენზე და დავრწმუნდი, რომ ტყუილად არ გაქებდათ. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ თქვენ ჩვენს კათედრაზე ასპირანტურაში უნდა გააგრძელოთ სწავლა. სიხარულისა და სიამაყისგან ხმა ვერ ამოვიღე – აკაკი შანიძე მიბრძანებდა ასეთ რამეს. და აქ მან ჩამიტარა მეცნიერული მუშაობისთვის მზადების გაკვეთილი, რომელიც თან გამომყვა მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე. მაშინ ჩვენს უნივერსიტეტში არსებობდა ე. წ. ხელოვნების ფაკულტეტი – მეორადი სპეციალობისა და მეც ვსწავლობდი იქ ტელე-კინო სასცენარო განყოფილებაზე, სადიპლომო ნაშრომებიც ფაქტობრივად მზად მქონდა. თურმე ბატონ აკაკის დეკანატში გამოუკითხავს ჩემ შესახებ და გაუგია ეს ფაქტი. და ახლა პირდაპირ მითხრა, ერთი პირობა არსებობს თქვენი ასპირანტურისთვის: მეცნიერებას კაცი მთლიანად სჭირდება და უმეტეს წილად ესეც არ არის საკმარისი, ამიტომ თქვენ არჩევანი უნდა გააკეთოთ, თუ შეთავსებით სცენარებზე მუშაობას აპირებთ, მაშინ მეცნიერებაში არაფერი გამოგივათ და არც ასპირანტურაზე უნდა იფიქროთო. შემდეგ ლექციაზე მოვისმენ თქვენს გადანყვეტილებასო. ბატონი აკაკი შეუძლოდ გახდა და შემდეგი ლექცია კარგა ხნით გადაიდო, მაგრამ ჩვენი საუბარი არ დაჰვინწყებია და ბატონი ივანესთვის უკითხავს, ხომ არ იცით, რუბენმა რა გადანყვიტაო. ბატონმა ივანემ არაფერი იცოდა ჩვენი საუბრის შესახებ, ამიტომ სასწრაფოდ მომძებნა და მეც ვუთხარი, რა თქმა უნდა, მეცნიერებას ვირჩევ-მეთქი. ამის შემდეგ ბატონ აკაკის არაფერი უკითხავს, მხოლოდ ბოლო ლექციის დასასრულს მითხრა, მე შევითანე წარდგინება, რათა ჩვენმა კათედრამ ასპირანტის ადგილი მიიღოს და მჯერა, იმედს არ გამიცრუებთო.

ასპირანტურაში ჩემი ხელმძღვანელი ბატონი ივანე იყო, მაგრამ აკაკი შანიძემ შემირჩია მუშაობის ფართო პროგრამა, რომელიც, სპეციალობასთან ერთად, მოიცავდა ზოგად ენათმეცნიერებასა და ძველ ბერძნულ ენას, მაგრამ სიტყვით კი მიბრძანა, მე მაინც იმედი მაქვს, რომ თქვენ შეძლებთ ებრაულის შესწავლას, რადგანაც ქართულ-ებრაული მნიგნობრული ურთიერთობანი უეჭველად მოსაგლელიაო. ცხოვრება ისე დატრიალდა, რომ მხოლოდ მეოთხედი საუკუნის შემდეგ შევძელი დიდი მასწავლებლის თხოვნის შესრულება.

მოგეხსენებათ, დისერტაციის საჯარო დაცვას წინ უძლოდა შინადაცვა კათედრაზე. ბატონმა აკაკიმ ინება, რომ თვითონ ყოფილიყო რეცენზენტი. კარგა ხანს ვინახავდი მისეულ შენიშვნებიან ცალს დისერტაციისას. თითქმის ყველა გვერდზე იყო მონონებისა თუ უკმაყოფილო შენიშვნები (სამწუხაროდ, ისრაელში ამოსვლისას, ბევრ სხვა მნიშვნელოვან მასალასთან ერთად, ეს ცალი დაიკარგა,

სადაც გაქრა მომცრო ყუთი, სადაც ეს მასალები ელაგა). ბოლოს კი აკაკი შანიძემ სულ ერთი წინადადება დაწერა რეცენზიად: „წარმოდგენილი დისერტაციის ავტორი უყოყმანოდ იმსახურებს კანდიდატის ხარისხს და, ალბათ, უფრო მეტსაც“. ეს ჩემთვის საამაყო დასკვნა ბატონმა აკაკიმ დაცვის დროსაც გაიმეორა. სხვათა შორის, დაცვის შემდეგ სწორედ ეს მომილოცა პროფესორმა ივანე იმნაიშვილმა, მთავარია, რაც ბატონმა აკაკიმ ბრძანაო. შედეგების გამოქვეყნებისას აღმოჩნდა, რომ სამი ხმა „შავი“ იყო, წინააღმდეგი (ე. წ. „შავი“). დერეფანში მეგობრებთან ერთად გამოვედი, წინ მიდიოდნენ ბატონი აკაკი, ბატონი ივანე და ჩემი ოპონენტი, უძვირფასესი ზურაბ სარჯველაძე. ერთმა ჩემმა მეგობარმა ხმამალლა წამოიძახა, როგორ მოუბრუნდათ ხელი ასეთი დისერტაციისთვის შავის ჩასაგდებადო. ბატონი აკაკი მობრუნდა, მიხმო და დაბალ ხმაზე მითხრა, არ ინერვიულოთ, ბატონო რუბენ, ის შავი თქვენ კი არა, მე ჩამიგდესო. ეს თანადგომა ჭეშმარიტად მალამოსავით იყო იმ წუთებში.

გარეგნულად ბატონი აკაკი არ ტოვებდა თბილი ადამიანის შთაბეჭდილებას, მაგრამ მე მინდა კოლეგებისა და თანამშრომლებისადმი მისი პატივისცემისა და გულისხმიერების მაგალითად ერთი შემთხვევა გავიხსენო. როგორც კათედრის მდივანს, შემდეგ კი გამგის მოადგილესაც, ხშირად მიხდებოდა სხვადასხვა დოკუმენტზე ბატონ აკაკისთან ერთად მუშაობა. ბევრს კარგად ახსოვს ალბათ, რომ ერთ ხანს მოდაში იყო კათედრის სამეცნიერო მუშაობის წლიური თუ ხუთწლიანი გეგმების შედგენა. ბატონმა აკაკიმ ერთხელ იხუმრა კიდევ, ახლა რაღაც ახალი ხელნაწერი რომ აღმოვაჩინო, ხუთ წელიწადს უნდა ველოდო გეგმაში შეტანასო? ერთხელ სწორედ ასეთი გეგმა უნდა გავგემზადებინა და მე შევთავაზე, მოდით, ბატონი ივანეს დაწეული საქმე გავაგრძელოთ და ოთხთავის გარდა (მისი სიმფონია სწორედ ივანე იმნაიშვილმა შეადგინა) ახალი ალტემის სხვა წიგნების სიმფონია-ლექსიკონი შევადგინოთ-მეთქი. კი, კარგი საქმეა, მაგრამ ბატონი ივანეს დაუკითხავად ვერ ჩავწერთ გეგმაშიო. ბატონ ივანეს რა უნდა ჰქონდეს საწინააღმდეგო-მეთქი. ჰო, მაგრამ ეს მისი სფეროა და მის გარეშე ვერ გადავწყვეტოთ. თქვენ ახლა წაბრძანდით, რამდენიმე საათში დაბრუნდით, მანამდე კი ბატონ ივანეს მოვეთათბირებო. სიმფონია-ლექსიკონის შედგენა გადაწყდა, მაგრამ რიგი მოვლენების გამო, რაც ისტორიულ პროცესებსაც მოიცავდა, წიგნს, რომლის წერა 1990 წელს დამთავრდა, როცა უკვე ორივე მისი სულისჩამდგმელი აღარ იყო ამქვეყნად, მძიმე ბედი დაჰყვა და მხოლოდ 20 წლის შემდეგ პატრიარქის შემწეობით იხილა დღის სინათლე.

მოსაგონარი სხვაც ბევრია, მაგრამ ამით დავკმაყოფილდები და მარადიულ მოგონებას ვუსურვებ ქართული ენათმეცნიერების ჭეშმარიტ მამამთავარს ბატონ აკაკის.

## **რეუვენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი)**

*არიელის (ისრაელის) უნივერსიტეტი  
26 თებერვალი, 2017 წელი*

## შვილები მამის შესახებ

აკაკი შანიძე 130 წლის შემდეგაც ეკუთვნის იმ მოღვაწეთა პლეადას, რომელმაც უდიდესი საქმე გააკეთა. ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით დაწყებული საქმიანობა, მოგეხსენებათ, უნივერსიტეტის გახსნით დაგვირგვინდა. ეს არ იყო ერთ-ერთი რიგითი დაწესებულების გახსნა. ეს ბრძოლა ძნელი იყო. შემიძლია ვთქვა, რომ ის, ვინც ამ საქმის ერთგული დარჩა ბოლომდე, აკაკი შანიძეც გახლდათ. დღეს არ ვისაუბრებ აკაკი შანიძის მეცნიერულ მოღვაწეობაზე. ქართველოლოგიის არც ერთი დარგი არ დარჩენილა, აკაკი შანიძეს დიდი და ფუნდამენტური ნაშრომები რომ არ მიეძღვნა. მისი ბიბლიოგრაფია 700-მდე ნაშრომს მოიცავს. ხანდახან მიკვირს, არა როგორც შვილს, არამედ როგორც ადამიანს, როგორ შეძლო ამდენი. ასეთი ადამიანების საქმიანობა უნდა დარჩეს საზოგადოებისთვის მაგალითად. ამიტომ ძალიან დასაფასებლად მიმაჩნია, რომ 130 წლის თავზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კვლავ გაიხსენა აკაკი შანიძე. ჩვენ ერთხელ კიდევ ვიხსენებთ იმ ადამიანს, რომელმაც ჩათვალა, რომ მისი სიცოცხლე და მისი საქმიანობა უნდა მიეძღვნას ერთ დიდ საქმეს – არა მარტო ქართულ ენას, არამედ ქართულ ენას, როგორც ქართველი ერის დედაენას!

### აკადემიკოსი მზექალა შანიძე

დღეს მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ აკაკი შანიძე არა მარტო თავის ოჯახს, არამედ ქართველ ერს ეკუთვნის. მაღლობელი ვარ უნივერსიტეტის, ყველასი, ვინც გაითავისა ეს საქმე და პატივი მიაგო აკაკი შანიძის ხსოვნას!

### ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ლელა შანიძე

*26 თებერვალი, 2017 წელი*





აკაკი შანიძის  
სამეცნიერო ნააზრევის შეფასება  
საუკუნის გადასახედიდან



## **„განანათლა და შეამკო ნათესავი და ენა ჩუენი“ (მნიშვნელობა აკაკი შანიძის დიდი ნაღვანისა)<sup>1</sup>**

აკაკი შანიძეზე საუბარი XI საუკუნის ქართველი მნიგნობრის გიორგი მცირის მიერ თავისი მოძღვრისა და მასწავლებლის, დიდი ქართველი მთარგმნელის, გიორგი მთაწმინდელის შესახებ ნათქვამი სიტყვებით მინდა დავინყო: „განგებამან გამოაჩინა დიდი ესე მუშაკი საღმრთოესა მადლისაჲ, რომლისათჳს არს სიტყუაჲ ჩუენი და წინამდებარე არს აღწერად და მითხრობად შემდგომთა ნათესავთა საწურთელად და გულისწმისსაყოფელად.“ აკაკი შანიძე ჭეშმარიტად იყო დიდი მუშაკი იმ საღმრთო მადლისა, რომელსაც ქართული ენა ჰქვია და მისი ნამუშაკევის აღწერა და „შემდგომთა ნათესავთათჳს“ მოთხრობა მათდა საწვრთნელად და გულისხმისსაყოფელად ნამდვილად ხამს.

აკაკი შანიძე იყო ის მოღვაწე, რომლის შესახებაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან თავისი საქმიანობით „განანათლა და შეამკო ნათესავი და ენა ჩუენი“. მისი როლი და დამსახურება ქართული მეცნიერების წინაშე, რაც დრო გავა, მით უფრო თვალსაჩინო გახდება. მისი ნაშრომები იმდენად მნიშვნელოვანი და იმდენად ფართო სპექტრის მომცველია, რომ მათ გვერდს ვერ აუვლის ვერცერთი მკვლევარი, ვინც მიეახლება ქართული ენის სტრუქტურისა თუ ისტორიის საკითხებთან დაკავშირებულ ნებისმიერ თემას. შუა საუკუნეების ერთი ძველი ქართველი მნიგნობრის მეტაფორა რომ გარდავთქვათ, აკაკი შანიძე არის მოძღვარი და მასწავლებელი ყოველთა შემდგომთა ენათმეცნიერთა, რადგან მან ქართული ენის უსიერ ტყეში ყველაზე დიდი ხეების მოჭრით გზის გაკაფვა და იმ მთავარი მაგისტრალის გაყვანა შეძლო, რომელსაც დღემდე მიჰყვებიან თაობები. მან შექმნა ქართული ენათმეცნიერების სკოლა, რომლის წარმომადგენლები, დიდი მასწავლებლის „მონაფეები და მონაფეთა მონაფეები“, დღესაც „მისივე დატევებულითა კეტებითა და უროებითა მის მიერ ახოდ გაკაფულ და ლოდოვანებისაგან ყანობირ ქმნილ ტყეში აგრძელებენ ადგილ-ადგილ სიმაშურალითა დაშთომილი ხეების ამოძირკვას“, რომ „მონაფეობაჲ მისი სრულყონ.“

თავად აკაკი შანიძე კი ნიკო მარს და ივანე ჯავახიშვილს მიიჩნევდა თავის მასწავლებლებად და „ხიდად წიაღმყვანებლად“, რომელთა მრავალმხრივი სამეცნიერო საქმიანობით შთაგონებული დიდი ინტერესით მუშაობდა ფილოლოგიის და მისი მომიჯნავე დარგების მრავალი მიმართულებით, მაგრამ აკაკი შანიძის კვლევის უმთავრესი საგანი მაინც ქართული ენა იყო. სწორედ ქართული ენის საკითხებს ეძღვნება მისი კაპიტალური ნაშრომები, რომელთა შორის უმთავრესია „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, ფუნდამენტური მონოგრაფია,

<sup>1</sup> პუბლიცისტური ნარკვევი პირველად დაიბეჭდა აკაკი შანიძის საიუბილეოდ გამოცემულ წიგნში „ქართული საქმის კაცი“ სათაურით „ქართული ენის უძველესი ძეგლების მაძიებელი, ამომხსნელი და გამომცემელი“. კრებულის შემდგენელი და რედაქტორი ნინო კაკულია, თსუ-ს გამომცემლობა, 2017 წ. გვ. 121-142.

რომელიც ათეული წლების განმავლობაში სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა ბევრ საუნივერსიტეტო პროგრამაში, ხოლო მისი „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ დღესაც ითვლება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომად, რომლითაც ძველი ქართული ენა ისწავლება ჩვენში და უცხოეთშიც. აღსანიშნავია, რომ ასევე ათეული წლების განმავლობაში აკაკი შანიძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებით ხდებოდა ქართული ენის გრამატიკის მოკლე, მაგრამ ძალიან სერიოზულად წარმოდგენილი კურსის სწავლება ჩვენს სკოლებში.

ქართული ენის, როგორც ლინგვისტური ფენომენის, მისი ისტორიის, მორფოლოგიის, ლექსიკის და მისი კულტურულ-ისტორიული მიმართებების კვლევით-სათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წერილობით ფიქსირებული ენობრივი მასალის ხელმისაწვდომობას, მათ შესწავლასა და მეცნიერულ პუბლიკაციას. ქართული ენის უპირველეს დოკუმენტურ საფუძველს ძველ ქართულ ხელნაწერებში შემორჩენილი ტექსტები წარმოადგენენ, ამიტომაც მათ გამოცემასა და კვლევას აკაკი შანიძე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ისევე როგორც ეპიგრაფიკული მასალის შესწავლასა და გამოქვეყნებას, რადგან ნებისმიერი ლინგვისტური კვლევის სიზუსტე, რომელიც წერილობითი ტექსტების მონაცემებს ეფუძნება, დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, ამ წერილობითი ტექსტების სწორ წაკითხვასა და ტექსტოლოგიური კვლევის მართებულ მეთოდოლოგიაზე. ტექსტოლოგია ფილოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი დარგია, რომელიც სწავლობს ტექსტს, როგორც პირველწყაროს. ტექსტის ნებისმიერი სხვა სახის შესწავლა (ლიტერატურული, ისტორიული და ა.შ.) იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელთ გვაქვს კრიტიკულად დადგენილი და ტექსტის კრიტიკის პრინციპების დაცვით გამოქვეყნებული ტექსტი. მხოლოდ ასეთი ტექსტი შეიძლება გამოდგეს სხვადასხვა თეორიისა თუ მოსაზრების (მათ შორის ლინგვისტურის) დასასაბუთებლად ან უარსაყოფად. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ეს დიდი მეცნიერი დიდ დროს უთმობდა ძველი ქართული ენის ძეგლების გამოსაცემად მომზადებას და კვლევას. სწორედ ძველი ქართული ხელნაწერების შეწავლისა და გამოქვეყნების საჭიროებამ უკარნახა აკაკი შანიძეს დაეარსებინა გამოცემათა სერიები „ძველი ქართული ენის ძეგლები“ (1944 წ.) და „თსუ-ს ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“ (1955 წ.), რომლებშიც ათეულობით მანამდე უცნობი ძველი ქართული ტექსტი დაიბეჭდა შესაბამისი სამეცნიერო აპარატითა და გამოკვლევითურთ, ხოლო გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე, 1982 წელს, უკვე მსცოვანმა მეცნიერმა საჭიროდ მიიჩნია საგანგებოდ ძველი ქართული ხელნაწერების შესასწავლად უნივერსიტეტის იმ კათედრასთან, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა (ძველი ქართული ენის კათედრა), ახალი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული – ლაბორატორია „ორიონი“ გაეხსნა, რომლის მიზანი ათონის ივერთა მონასტრის წიგნთსაცავის ქართული ხელნაწერებისა და ძველი ქართული ენის სხვა ძეგლების შესწავლა და გამოცემა იყო. დიდ მეცნიერს თავად არაერთი ძველი – მტვერწყაროლი თუ გადაცრეცილი ხელნაწერი გამოუმზეურებია. მის მიერ და მისი ხელმძღვანელობით გამოიცა ძველი ქართული მწერლობის არაერთი უმნიშვნელოვანესი თხზულება: პალიმფსესტების სახით შემორჩენილი უძველესი ტექსტები – ბიბლიური წიგნების (იერემიას წინასწარმეტყველების, იაკობის პირ-

ველსახარების) ხანმეტი ფრაგმენტები, ხანმეტი ლექციონარი, ჰაემეტი ლექციონარი, ხანმეტი მრავალთავი, სინური მრავალთავი, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია შატბერდული ხელნაწერების მიხედვით, ჭილ-ეტრატის იადგარი, ძველი ალექსის წიგნები ოშკის/ათონის ბიბლიის ხელნაწერის მიხედვით, პეტრინონის მონასტრის ტიპიკონი, ძველი ქართული ასტროლოგიური ტრაქტატი, „ვეფხისტყაოსანი“, სულხან-საბას ლექსიკონი და სხვ. როგორც მისი მოწაფე ვახტანგ იმნაიშვილი ამბობდა: „უნდა გენახათ, როგორი სიყვარულით ეალერსებოდა ბატონი აკაკი ფერგადასულ ასოებს, როგორ ჩაჰკირკიტებდა ლუბით ხელში ძნელად გასარჩევ ასომთავრულსა და ნუსხურს. ეს დიდი სიყვარული მან თავის მრავალ მოწაფეს გადასდო, რომლებიც მოძღვრის დანყებულ საქმეს მისივე შემუშავებული მეთოდებით და მისებური სიყვარულით აგრძელებენ“.

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ, რა მნიშვნელობისა იყო მეცნიერის თითქმის საუკუნოვანი ნაღვანი ქართველი ერის, მისი ენის, დამწერლობისა და კულტურის ისტორიის შესასწავლად, მოკლედ მოგახსენებთ რამდენიმე მეცნიერულ მიგნებასა და უმნიშვნელოვანეს ნაშრომებზე, რომელიც ამ დიდი მეცნიერის სახელს უკავშირდება.

### **ძველ დროში ქართველები ძველქართულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ როგორი იყო ის ძველი ქართული?**

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ ძველი ქართველების მიერ შექმნილ წერილობით ძეგლებს – ეკლესია-მონასტრების შენობებზე შემორჩენილ წარწერებს, ძველი დროიდან ჩვენამდე მოღწეულ მრავალჭირგამოვლილ ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნებსა და ისტორიულ საბუთებს შეუძლიათ, რადგან სწორედ მათ შემოგვიანახეს ის ენა, რომელსაც ჩვენი წინაპრები სამწერლობო ენად იყენებდნენ. გაცილებით მწირად, მაგრამ მაინც სწორედ ამ ტექსტებშია დაცული ძალიან საინტერესო მასალა, როგორი უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ ეპოქის ქართველთა სასაუბრო ენაც, რომელსაც ძველი მნიგნობრები სალიტერატურო, „წიგნური“ ქართულის საპირისპიროდ, „სოფლურ“ ან „ლიტონ“ ენას უწოდებდნენ.

ყველაზე ძველი წერილობითი ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, ძველი ქართული წარწერები და პალიმფსესტების სახით შემონახული ხელნაწერებია, რომლებიც V-VI საუკუნეებით თარიღდება. ძველ საქართველოში სანერ მასალად, ძირითადად, ეტრატს (პერგამენტს/ტყავს) და იშვიათად ჭილს (პაპირუსს) იყენებდნენ. ამ მიზნით ქალაქის გამოყენება ჩვენში შედარებით გვიან (XI საუკუნიდან) დაიწყო. ამიტომ უძველესი ქართული ხელნაწერები ტყავისგან დამზადებულ ფურცლებზე დანერილი ტექსტებია. მათი ერთი ნაწილი პალიმფსესტებად იწოდება, პალიმფსესტი ეტრატის ისეთი ფურცელია, რომელიც გადაფხეკის ან გადარეცხვის შემდეგ ხელახლა გამოიყენებოდა სანერ მასალად. მიუხედავად იმისა, რომ ნაშლილ ტექსტზე ზემოდან გადანერილი ახალი ტექსტი პალიმფსესტების ამოკითხვას ართულებს, სპეციალისტები მაინც ახერხებენ ეტრატზე თავდაპირველად დანერილი ტექსტის, პალიმფსესტის ე. წ. ქვედა ფენის წაკითხვას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძველი ქართული ენის ადრეული პერიო-



დის ენობრივ თავისებურებათა შესასწავლად. ქართული პალიმფსესტები, რომელთა რაოდენობა მცირე არ არის, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ სამეცნიერო თუ სამონასტრო ცენტრების ნიგნთსაცავებშია დაცული. უნდა ითქვას, რომ ამ მასალის კვლევისთვის გამოყენება, მხოლოდ მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან გახდა შესაძლებელი. იმ პალიმფსესტების აღმოჩენა, რომლებიც საქართველოში არსებულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციებში აღმოჩნდა შენახული, ივანე ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება (ხანმეტი პალიმფსესტები). ისინი შეიცავენ ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას ჩვენი ენისა და მწერლობის ისტორიის დასადგენად, რადგან ამით დოკუმენტურად დასტურდება V-VII საუკუნეებში ქართულ ენაზე მწერლობის არსებობა და შესაძლებელი ხდება იმდროინდელი ქართული ენის თავისებურებების განსაზღვრა.

აკაკი შანიძემ ჯერ კიდევ 1920 წელს ივარაუდა მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნად ქართული ენის რომელიღაც დიალექტში **ხ**-პრეფიქსის არსებობა და ეს ვარაუდი სულ მალე დადასტურდა კიდევ. 1923 წელს „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ II ტომში დაიბეჭდა მისი გამოკვლევა „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში.“ მკვლევარმა ყურადღება მიაქცია ძველ ქართულ წარწერებში დადასტურებულ ზმნურ ფორმებს: *შეხენიე, შეხუაბთ, ხეყავ* და ასევე ტოპონიმს *ხერთვისი*. მეცნიერმა აღნიშნული ტოპონიმი დაუკავშირა *ერთვის* ზმნას, რასაც მიაწინებს ის ფაქტიც, რომ ძველ ქართულში *ხერთვისი* აღნიშნავდა ორი მდინარის ან მდინარის ზღვასთან შეერთებით წარმოქმნილ ნახევარკუნძულს. გეოგრაფიული სახელი *ხერთვისი* ნაზმნარი სახელია. იგი უნდა მომდინარეობდეს *ხერთვის* ზმნური ფორმისგან, სადაც **ხ** არის მესამე ობიექტური პირის ნიშანი. ბოლნისისა და მცხეთის წარწერებში დადასტურებული ფორმების (*ხეყავ, შეხენიე* და *შეხუაბთ*) ანალიზის შედეგად აკაკი შანიძემ დაასკვნა, რომ ამ ზმნებს ხერთვის ზმნასთან ერთად შემოუნახავთ ნაშთები მესამე ობიექტური პირის პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ და ისინი არს ზმნის მე-2 პირის ფორმაში (**ხ-არ**) სუბიექტური პირის გამომხატველი პრეფიქსის ანალოგიურია. ეს ორი პრეფიქსი სუბიექტური მეორე პირისა და ობიექტური მესამე პირისა, მართალია, სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდა მორფოლოგიურად, მაგრამ თანაბარ ფონეტიკურ პირობებში ერთის ხმარება რომელიმე სახით მეორის იმავე სახით ხმარებასაც გულისხმობდა. სწორედ ამიტომ, თუ გვაქვს სუბიექტური მე-2 პირის გამომხატველი **ხ** პრეფიქსი **ხ-არ** ზმნაში, მოსალოდნელი იყო, რომ აღმოჩნდებოდა ანალოგიური ფორმები, სადაც იგივე პრეფიქსი მესამე ობიექტური პირის ნიშნად გვექნებოდა. აკაკი შანიძე წერდა, რომ „ხარ, ხერთვის, ხეყავ, შეხენიე და შეხუაბთ ფორმები ერთი მეორეს მხარს უჭერენ და ამჟღავნებენ, რომ ერთსა და იმავე დიალექტურ წრეს ანუ კილოს ეკუთვნიანო“. მეცნიერის ეს სიტყვები შესანიშნავი მოწმობაა მისი საოცარი ანალიტიკური ნიჭისა და უნარისა. ხუთიოდე ზმნური ფორმის განხილვის შედეგად მან ივარაუდა ქართული ზმნის უღლების არქაული სახის არსებობა, რაც მალევე დადასტურდა სათანადო წერილობითი ძეგლებით.

ამ წერილობითი ძეგლების აღმოჩენის პატივი კი მეორე დიდ ქართველ მეცნიერს – ივანე ჯავახიშვილს ხვდა წილად. 1922-23 წლებში ივანე ჯავახიშვილმა

აღმოჩინა და ამოიკითხა ქართული კულტურისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ტექსტები, რომლებსაც შემდეგ ხანმეტი პალიმფსესტები ეწოდა. ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მეცნიერებისათვის. VI–VII საუკუნეებით დათარიღებული ეს ძველი ქართული ხელნაწერები ქართული დამწერლობათმცოდნეობის, ენათმეცნიერების, მწერლობისა და კულტურის ისტორიისთვის პირველხარისხოვანი სადავო საკითხების გადაჭრის საშუალებას აძლევდა ქართველოლოგებს. მათი სწორედ ეს მნიშვნელობა იყო ხაზგასმული ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაშიც – „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის.“

ივ. ჯავახიშვილის აღმოჩენამ შეაძლებინა აკაკი შანიძეს სწორად აეხსნა იქამდე სადავოდ ქცეული ტერმინის – *ხანმეტის* მნიშვნელობა. ეს ტერმინი დასტურდება გიორგი მთაწმიდელის ნარედაქციევი ოთხთავის ანდერძში, სადაც დიდი მთარგმნელი საუბრობს სახარების ქართული თარგმანის ორ რედაქციაზე – ხანმეტურ და საბანმიდურ სახარებებზე. მკვლევართათვის დიდხანს გაუგებარი იყო, რას ნიშნავდა ამ ანდერძში გიორგი მთაწმიდელის მიერ დასახელებული „ხანმეტური სახარება“, ამიტომაც ამასთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება გამოითქვა. ამ ტერმინის მნიშვნელობა საბოლოოდ გაარკვია ა. შანიძემ, რომელმაც სწორედ მის მიერ წინასწარ გამოთქმული ვარაუდისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილი პალიმფსესტური ხელნაწერების გამოვლენის შემდეგ ნათელყო, რომ გიორგი მთაწმიდელი „ხანმეტ სახარებას“ უწოდებდა ოთხთავის ისეთ ტექსტს, რომელშიც მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ნიშნებად **ხ**-პრეფიქსი იხმარებოდა და რომელიც გიორგის დროს, XI საუკუნეში (ალბათ უფრო ადრეც), ზედმეტად აღიქმებოდა (ანუ ხანმეტ სახარებაში ასო *ხანი* იყო ზედმეტი). ასე დამკვიდრდა ტერმინი „ხანმეტი“ ისეთი ტექსტების აღსანიშნავად, რომლებშიც *ხანის* ზედმეტობა აშკარად ვლინდებოდა. საზოგადოდ, „ხანმეტ ტექსტს“ უწოდებენ ისეთ ტექსტს, რომელშიც სისტემურად არის გატარებული სუბიექტური მე-2 და ობიექტური მე-3 პირის ნიშნებად (ასევე ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმებში) **ხ**-პრეფიქსის გამოყენება. ტერმინ „ხანმეტის“ მნიშვნელობის გარკვევის შემდეგ აშკარა გახდა, რომ ივ. ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილ უძველეს პალიმფსესტურ ხელნაწერებსაც ეს ენობრივი თავისებურება ახასითებდათ, ამიტომაც მათ ხანმეტი პალიმფსესტების სახელით მოიხსენიებენ მეცნიერებაში. ამ ტერმინის მიხედვით შეიქმნა თვითონ ამ ენობრივი მოვლენის აღმნიშვნელი ტერმინი – *ხანმეტობაც*.

1923 წელს აკაკი შანიძემ აღმოაჩინა პალიმფსესტი, რომელიც მე-8 საუკუნით თარიღდება და შეიცავს ძველი რედაქციის ლექციონარის ტექსტს. ამ ძეგლის ენა იმით იყო საყურადღებო, რომ მასში მეორეს სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების გამოსახატად იხმარება არა ხანი, არამედ ჰაე, რომელიც ხშირად ხმოვნების წინაც კი იყო შენარჩუნებული (ჰიცოდე, მიჰუგო, ჰუბრძანა, დაჰუტევა და სხვ.), ანუ ამჯერად ჰაე აღმოჩნდა ზედმეტი. სწორედ ამიტომაც ამ ძეგლის ენისთვის დამახასიათებელ ენობრივ თავისებურებას აკაკი შანიძემ ხანმეტობის ანალოგიით ჰაემეტობა უწოდა, თვითონ ტექსტს კი – ჰაემეტი ლექციონარი. მსგავსი

ჰაემეტი ფორმები მეცნიერმა 897 წელს გადაწერილ ადიშის ოთხთავშიც გამოავლინა, მოგვიანებით კი ერთი ჰაემეტი ფორმა (ალჰუმართე) დადასტურდა სოფელ წყისეში აღმოჩენილ 616-619 წლებით დათარიღებულ წარწერაშიც. საზოგადოდ, ხანმეტი ტექსტები უფრო მეტია შემორჩენილი, ვიდრე ჰაემეტი ტექსტები, თუმცა მათი მნიშვნელობა ძალიან დიდია ქართული ენის ისტორიის მკვლევართათვის, რადგან კარგად წარმოგვიდგენენ სალიტერატურო ქართული ენის განვითარების გზას. ჰაემეტი ლექციონარი აკაკი შანიძემ გამოაქვეყნა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის III ტომში“ (1923 წ.) და ამით ძველი ქართული ენის ეს უნიკალური ძეგლი ხელმისაწვდომი გახდა მეცნიერთა ფართო წრისათვის.

სამი წლის შემდეგ, 1926 წელს, იმავე ჟურნალის VII ნომერში დაიბეჭდა კიდევ ერთი ხანმეტური ტექსტი, VIII საუკუნის მანუსკრიპტი, რომელიც „ხანმეტი მრავალთავის“ სახელით არის ცნობილი. ეს პალიმფსესტური ხელნაწერი აკაკი შანიძემ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის ფონდში აღმოაჩინა (ამჟამად ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში - S 3902) და მერვე საუკუნის პირველი ნახევრით დაათარიღა. ტექსტის გამოცემას უძღვის გამომცემლის საყურადღებო წინასიტყვაობა, სადაც აკაკი შანიძე მიუთითებს ძველი ქართული წერილობითი ძეგლების გამოსაცემად მომზადებასა და მათს პუბლიკაციასთან დაკავშირებულ სიდნელებზე და ფაქტობრივად აყალიბებს ამგვარი ტექსტების გამოცემის წესს. მის მიერ გამოცემულ ტექსტს ერთვის ძეგლის ენის შესახებ გამოკვლევა, ხელნაწერის რამდენიმე გვერდის ფოტოასლი და შესადარებელი მასალა სხვა, მერმინდელი მრავალთავებიდან. მიუხედავად იმისა, რომ „ხანმეტი მრავალთავში“ სრული სახით არ შენახულა არცერთი ჰომილეტიკური თხზულება (ანუ ეკლესიის მამათა მიერ წარმოთქმული ქადაგებები), აკაკი შანიძემ შეძლო დაედგინა, რომ კრებული შეიცავს იოანე ოქროპირის, ივლიანე ეპისკოპოსის, ევსუქი ხუცესის თხზულებათა ფრაგმენტებს, ასევე, ოთხი თხზულების ნაწყვეტს, რომელთა ავტორები სევერიანე გაბალონელი და ანთიპატროს ბოსტროელი არიან. თავისთავად „ხანმეტი მრავალთავის“ აღმოჩენა უდიდესი მოვლენა იყო, რადგან ამ ძეგლმა არსებითად შეცვალა ჩვენი მეცნიერების წარმოდგენა უძველეს პერიოდში ქართული ლიტერატურის შინაარსისა და მოცულობის შესახებ. „ხანმეტი მრავალთავი“ არის თვალსაჩინო მოწმობა ძველი ქართული მწერლობის მრავალფეროვნებისა. იგი ადასტურებს მერვე საუკუნის შუა წლებისათვის ქართულ ენაზე მრავალი ჰომილეტიკური და აგიოგრაფიული თხზულების არსებობას და მისი განვითარების საკმაოდ მაღალ დონესაც.

აკაკი შანიძის სახელს უკავშირდება ძველი ქართული წერილობითი ძეგლების უთვალსაჩინოესი ნიმუშის „ხანმეტი ლექციონარის“ მეცნიერული შესწავლა და გამოცემა. ეს ხელნაწერი დღეს, რამდენიმე სხვა ქართულ მანუსკრიპტთან ერთად, ავსტრიაში, გრაციის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ინახება, თავის დროზე კი, სავარაუდოდ, სინის მთიდან წამოღებული ულამაზესი მრგლოვანი (ასომთავრული) ანბანით შესრულებული ეს უძველესი ხელნაწერი წიგნი გრაციის უნივერსიტეტის პროფესორთან, ცნობილ ქართველოლოგ ჰუგო შუხართთან მოხვედრილა, რომელმაც ამ ხელნაწერის შესახებ დაწერილი თავისი გამოკვლევა 1927 წელს აკაკი შანიძეს გამოუგზავნა თბილისში (დაიბეჭდა ტუმ-ის VIII ნომერ-

ში). ჰ. შუხართის ნაშრომის გაცნობამ აკაკი შანიძე დაარწმუნა, რომ ავსტრიელ მეცნიერს ხელთ ჰქონდა აქამდე უცნობი ხანმეტი ხელნაწერი, რომელიც ლექციონარის ტექსტს შეიცავდა. მალე მან გრაცის უნივერსიტეტიდან ხელნაწერის ფოტოასლებიც მიიღო და მის შესწავლას შეუდგა. ხელნაწერი მეშვიდე საუკუნეში პალესტინაში უნდა იყოს შექმნილი და მოგვიანებით გადატანილი სინის მთაზე, წმინდა ეკატერინეს მონასტერში, საიდანაც ის როგორღაც სიძველეებზე მონა-რიდე საქმოსნების ხელში აღმოჩენილა, რომლებიც იმხანად საკმაოდ სარფიანად ჰყიდიდნენ ძველ ფოლიანტებს. ასე მოხვდა ავსტრიაში რამდენიმე ქართული მანუსკრიპტიც, მათ შორის „ხანმეტი ლექციონარი“, რომელიც ჩვენამდე მოღწეული ხანმეტი ტექსტებიდან ყველაზე ძველი არაპალიმფსესტური ხელნაწერია. მართალია, მხოლოდ მისი მცირე ნაწილი, სულ 29 ფურცელი შემოგვრჩა (მათგან 27 დაცულია გრაცში, 1 პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, 1 ფურცელი კი დიდ ბრიტანეთში, ბირმინგემში), მაგრამ ეს წიგნი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართული ენისა და ქართული კულტურის ისტორიაში. ალბათ სწორედ ამიტომ ამ ძეგლის პუბლიკაციით ჩაეყარა საფუძველი აკაკი შანიძის მიერ დაარსებულ სერიას „ძველი ქართული ენის ძეგლები“, რომლის პირველ ტომად 1944 წელს დაიბეჭდა „ხანმეტი ლექციონარის“ ფოტოტიპური გამოცემა აკაკი შანიძის წინასიტყვაობით, გამოკვლევითა და სიმფონია-ლექსიკონითურთ.

აკაკი შანიძემ გამოსცა და შესაბამისი სამეცნიერო აპარატი დაურთო კიდევ ერთ ხანმეტ ტექსტს, რომლის ფოტოები მან კემბრიჯის უნივერსიტეტიდან მიიღო, სადაც ეს მანუსკრიპტი დღემდე ინახება. ესაა ორი პალიმფსესტური ფურცელი, სადაც მეცნიერმა ამოიკითხა იერემიას წინასწარმეტყველების უძველესი ქართული თარგმანის ტექსტის ფრაგმენტები. აკაკი შანიძის გამოკლევა ტექსტი-თურთ 1937 წელს დაიბეჭდა „ენიკის მოამბის“ II ნომერში სათაურით „ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები“. ეს ხელნაწერი ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ხანმეტი იერემიას ოქსფორდულ ფრაგმენტებთან ერთად მოწმობს ბიბლიის ძველი აღთქმის წიგნების ქართულად არსებობას უკვე V-VI საუკუნეებში. ის, რასაც აკაკი შანიძე ამ ხელნაწერი შესახებ წერს, ფრიად ნიშანდობლივი და ბევრი სხვა ქართული ხელნაწერის თავგადასავლის მსგავსი ისტორიაა: „პირდაპირ საკვირველია მისი ბედი: ქართული წიგნი, დანერილი დაახლოებით მეექვსე საუკუნეში ალბათ იერუსალიმში, მეთერთმეტე საუკუნეში დაუხვეიათ და სანერ მასალად გამოუყენებიათ ებრაელებს თალმუდისთვის. მისი მერმინდელი ისტორიიდან ისლა ვიცით, რომ მე-19 საუკუნის მიწურულში იგი აღმოუჩენიათ კაიროს სინაგოგის გენიზაში. ერთ ფურცელს იერუსალიმზე გამოვლით, ოქსფორდამდე მიუღწევია, ხოლო ორი ფურცელი კემბრიჯის უნივერსიტეტისათვის შეუძენიათ“.

### **უძველესი თარიღიანი ქართული ხელნაწერი**

უძველესი ქართული ხელნაწერი წიგნი, რომელის გადაწერის თარიღად 864 წელია მითითებული, „სინური მრავალთავის“ სახელით ცნობილი ხელნაწერია. მრავალთავი საუფლო და მთელი წლის დღესასწაულებთან დაკავშირებული წმინდა მამათა ქადაგებების, ანუ ჰომილიების, აგიოგრაფიული, აპოკრიფული და, რიგ შემთხვევებში, ეგზეგეტიკური თხზულებების კრებულია. კრებულის სახელწოდება „მრავალთავი“, რომელიც პირველად სწორედ სინურ მრავალთავზე დართულ



ანდერძში დასტურდება, „ოთხთავის“ ანალოგიით უნდა იყოს შექმნილი. ამ ჰომილეტიკურ-აგიოგრაფიულ კრებულში სხვადასხვა დასახელების მრავალი თავი, ანუ თხზულებაა შეტანილი. „სინური მრავალთავი“, რომელშიც 18 ავტორის 50 ნაწარმოებია შეტანილი, იერუსალიმში, საბანშიდის ლავრაში გადაწერეს და მაშინვე შესწირეს სინის მთას, სადაც ის დღემდე ინახება წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში (სწორედ ამიტომაც ეწოდება მას „სინური მრავალთავი“). ამ მანუსკრიპტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული დამწერლობის და ჩვენი კულტურის ისტორიაში – ის არის ყველაზე ძველი ხელნაწერი, რომელშიც ნუსხური ანბანის გამოყენება დასტურდება. მოგეხსენებათ, IX საუკუნემდე მხოლოდ ასომთავრული ანბანით შესრულებული ძეგლები გვაქვს. „სინური მრავალთავის“ მთელი ტექსტიც (274 ფურცელი) ასომთავრული ანბანითაა დაწერილი, მაგრამ მასზე დართული გადამწერის ანდერძი დაწერილია ნუსხურით, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ანბანის ამ სახეობის გამოყენების პირველი შემთხვევაა ხელნაწერებში. გარდა ამისა, როგორც თარიღიანი წერილობითი წყარო, „სინური მრავალთავი“ საყრდენია ორთოგრაფიისა და ენის, განსაკუთრებით ლექსიკისა და გრამატიკის საკითხების ისტორიულ ასპექტში კვლევისას. იგი საყრდენია, ქართული პალეოგრაფიისა და ქართული წიგნის მორთულობის საკითხების შესწავლისთვისაც.

„სინურ მრავალთავს“ ჰყავს რამდენიმე გადამწერი (3 ან 5), მათ შორის ამონა, ვახთანგ მოძარღულის ძე, მაკარი ლეთეთელი და პიმენ კახი. ახლავს ვრცელი ანდერძი, საიდანაც ირკვევა, რომ ხელნაწერის შექმნის ინიციატორი მაკარი ლეთეთელია (სავარაუდოდ, გრიგოლ ხანძთელის მოწაფე). 981 წელს წიგნი მესამედ შეუმოსავს (ყდაში ჩაუსვამს) იოანე ზოსიმეს, რომელიც წიგნის სახელსაც გვაუწყებს („შეიმოსა წმიდაჲ ესე წიგნი მრავალთავი ტყავითა ზროხისაჲთა კელითა იოანე ფრიად ცოდვილისა ზოსიმესითა დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებულობისა ჩემისათა“, მასვე ხელნაწერის ბოლო გვერდზე ჩაუწერია „ქებაჲ და დიდებაჲ ქართული-სა ენისა“).

1959 წელს „ძველი ქართული ენის კათედრის შრომების“ მე-5 ტომად ამ ძეგლის მეცნიერულ პუბლიკაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, არამედ საერთოდ ჩვენი კულტურის ისტორიის კვლევისთვის.

### **ბიბლიური წიგნების ძველი ქართული თარგმანები**

ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული მწერლობის ჩასახვა, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიური წიგნების თარგმნასთანაა დაკავშირებული. ძველი და ახალი აღთქმის წიგნების უძველესმა თარგმანებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართული სამწერლობო ენის ჩამოყალიბებისა და დახვეწის საქმეში. სწორედ ბიბლიის თარგმანის ენა მიაჩნიათ ეტალონად შემდგომი ეპოქების ქართველ მწერლებსა თუ მთარგმნელებს, ამიტომ ქართული ენის ისტორიის კვლევა შეუძლებელია ბიბლიის პირველი ქართული თარგმანების, მათი ენის, წარმომავლობის საფუძვლიანი და კონკრეტული კვლევისა და ამ კვლევის შედეგად მოპოვებული ობიექტური მასალის გარეშე.

ბიბლიურ წიგნთა ქართული ვერსიები მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას ადრიდანვე იქცევდა, ოღონდ ამ კვლევას დიდად აფერხებდა ის გარემოება, რომ არ არსებობდა ამ წიგნების მეცნიერული გამოცემები. სანდოდ დადგენილი ტექსტის გარეშე კი შეუძლებელია გადანყდეს ისეთი კარდინალური საკითხები, როგორცაა ბიბლიის ქართული თარგმანების უცხოენოვან წყაროებთან დამოკიდებულება და ქართული თარგმანების სხვადასხვა რედაქციების ურთიერთმიმართება, მათი თარგმნის დრო და სხვ. აკაკი შანიძემ მტკიცე ბალავარი დაუდო ამ უდიდეს საქმეს. მან დაიწყო ახალი აღთქმის უპირველესი წიგნის – ოთხთავის ქართული რედაქციების მეცნიერული პუბლიკაცია. 1945 წელს თავის მოწაფეებთან, ილია აბულაძესა და ივანე იმნაიშვილთან თანამშრომლობით გამოსაცემად მოამზადა ოთხთავის სამი უაღრესად საინტერესო თარიღიანი ხელნაწერი – ადიშის (897 წ.), ჯრუჭის (936 წ.) და პარხლის (973 წ.) ოთხთავები და დაბეჭდა მის მიერ დაარსებულ სერიაში „ძველი ქართული ენის ძეგლები“ ასეთი სათაურით: „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით.“ შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სახარების ქართული თარგმანის საეტაპო და სანიმუშო გამოცემა. მიუხედავად იმისა, რომ სამივე ნუსხა შატბერდშია გადანერგილი და არც მათი გადანერის დროა დიდად დაშორებული ერთმანეთისგან, აღმოჩნდა, რომ ისინი ტექსტობრივად დიდ განსხვავებას გვიჩვენებენ. არსებითად კი საქმე გვაქვს ორ რედაქციასთან – ერთი წარმოდგენილია ადიშის ხელნაწერში, მეორე კი – ჯრუჭისა და პარხლის ნუსხებში. სწორედ ამიტომ აკაკი შანიძემ ამ ორი რედაქციის შემცველი ტექსტი გამოცემაში ცალ-ცალკე სვეტებად წარმოადგინა, ხოლო მათი ვარიანტები და მცდარი ნაკითხვები სქოლიოში მოათავსა, რამაც საქმის ვითარება უფრო ნათელი გახადა და გამოცემის მნიშვნელობა საგრძნობლად გაზარდა. გაირკვა, რომ ჯრუჭ-პარხლის რედაქცია დასდებია საფუძვლად ოთხთავის ათონურ რედაქციას (ვულგატას), ამიტომ ა. შანიძემ ჯრუჭ-პარხლის რედაქციას პროტოვულგატა უწოდა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ზოგჯერ თვით ჯრუჭ-პარხლის ხელნაწერთა შორისაც შეინიშნება არსებითი ხასიათის განსხვავებები. ამ გარემოებამ მისცა საფუძველი აკაკი შანიძეს, ევარაუდა, რომ ერთ-ერთი პუნქტთაგანი, სადაც ოთხთავის ქართული ტექსტი სწორდებოდა, შატბერდი იყო.

გამოცემის წინასიტყვაობაში ა. შანიძემ მოკლედ, მაგრამ ფრიად საინტერსოდ მიმოიხილა თითოეული ხელნაწერი, მათი ისტორია და მათთვის დამახასიათებელი ზოგი მნიშვნელოვანი ენობრივი თავისებურება. მკვლევართა დიდი ნაწილის მოსაზრებით, სახარებაა სწორედ ის წიგნი, რომელიც ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა. ამ მოსაზრებას მხარს უმაგრებს V–VII საუკუნეებით დათარიღებულ პალიმფსესტებში აღმოჩენილი სახარების ხანმეტური ფრაგმენტები. აკაკი შანიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახარება-ოთხთავების ტექსტების პუბლიკაციას, რომელთაც ის, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის ისტორიის წყაროებად მიიჩნევს, ამიტომაც ცდილობს ხელნაწერთა ჩვენების ზუსტად წარმოდგენას. როგორც აკაკი შანიძე წერს, „ამ გამოცემით გარკვეულწილად ამოივსო ის ნაკლი, რომელიც იგრძნობოდა სალიტერატურო ქართულის სათავეების შესწავ-



ლის დარგში“. აკაკი შანიძის დაწყებული საქმე გააგრძელეს მისმა მოწაფეებმა და დღეს უკვე გვაქვს ახალი ალთქმის ყველა წიგნის მეცნიერული გამოცემები.

აკაკი შანიძის სახელს უკავშირდება უძველესი თარიღიანი ხელნაწერი ბიბლიის – ათონის, იგივე ოშკის ბიბლიის, გამოცემის დაწყებაც. ეს უნიკალური ხელნაწერი – ძველი ალთქმის წიგნების უძველესი სრული კრებული – შეიცავს ეტრატის 954 ფურცელს, განერილია ნუსხური ანბანით ოშკში იოანე თორნიკ-ყოფილის დაკვეთით ათონის მთაზე ახალდაარსებული ქართული მონასტრისათვის და დღემდე ინახება მის წიგნთსაცავში.

ათონის (ოშკის) ბიბლია სპეციალისტთა ყურადღებას იმთავითვე იქცევდა, მათ შორის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისას. 1913 წელს ამ ხელნაწერის მიხედვით დაბადების (შესაქმეს) წიგნის გამოსაცემად მომზადება დაევალა ივანე ჯავახიშვილს, გამოსვლათა წიგნისა – აკაკი შანიძეს და ლევიტელთა – იოსებ ყიფშიძეს. გადაწყდა, რომ ეს წიგნები ცალ-ცალკე დაბეჭდილიყო. ა. შანიძემ მალევე მოამზადა გამოსაცემად გამოსვლათა წიგნის ტექსტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ დაიწყო კიდევაც წიგნის აწყობა, მაგრამ, მსოფლიო ომმა და მისმა შემდგომმა ამბებმა ხელი შეუშალეს ამ საქმის ბოლომდე მიყვანას. მოგვიანებით აკაკი შანიძე მიუბრუნდა ბიბლიის ტექსტის პუბლიკაციას და 1947 წელს „ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიის მე-4 ნომერში ორ ნაკვეთად დაბეჭდა „წიგნის ძეგლის ალთქუმისანი“ (დაბადებისა და გამოსვლათა წიგნები), ხოლო 1948 წელს წელს გამოქვეყნდა ლევიტელთა, მსაჯულთა, რუთის, იობის და ესაიას წიგნები. სამწუხაროდ, ათონის ბიბლიის აკაკი შანიძისეული გამოცემა ამით შეწყდა, თუმცა ტექსტი მთლიანად იყო გადმონერილი და გამოსაცემად მომზადებული. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი შანიძის ამ გამოცემამ დიდი იმპულსი მისცა ძველი ალთქმის წიგნთა ქართული ვერსიების პუბლიკაციას, როგორც ცალკეული წიგნების, ისე მთლიანი ბიბლიის ხელნაწერების სახით.

### **პეტრინონის მონასტრის ტიპიკონი**

1083 წელს ბიზანტიის დიდმა დომესტიკოსმა გრიგოლ ბაკურიანისძემ, ბულგარეთში დააარსა მონასტერი ქართველებისათვის, რომელიც პეტრინონის მონასტრის სახელი არის ცნობილი (დღევანდელი ბაჩკოვო). გრიგოლმა თავის დაფუძნებულ მონასტერს შეუდგინა წესდება (ტიპიკონი), რომელიც იმთავითვე დაინერა ორ ენაზე – ქართულად და ბერძნულად. ტიპიკონის ვერცერთ ენაზე დაწერილმა დედანმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, მისი გვიანდელი ნუსხები კი საკმაოდ მნიშვნელოვან სხვაობებს გვიჩვენებენ. წესდების ორი ტექსტიდან მეცნიერთათვის პირველად ხელმისაწვდომი გახდა ბერძნული, მაგრამ არა პირვანდელი ტექსტი, არამედ მისი XVIII საუკუნეში ახალ ბერძნულ ენაზე შესრულებული თარგმანი. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ამ ძეგლის ძველი ხელნაწერი, ტიპიკონის ქართულ ტექსტთან ერთად, დაცული იყო კუნძულ ხიოსზე, კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში.

1949 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია ბულგარეთში, რომლის შემადგენლობაში სხვა ქართველ მეცნიერებთან

ერთად შედიოდა აკადემიკოსი აკაკი შანიძეც. აღმოჩნდა, რომ ხიოსზე დაცული ხელნაწერი მე-13 საუკუნისა იყო და წარმოადგენდა გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ შედგენილი ტიპიკონის დედნიდან გადანუსხულ პირს, რომელიც დიდად განსხვავდებოდა ტიპიკონის აქამდე ცნობილი ბერძნული ტექსტისგან. გაირკვა, რომ მონასტერი გრიგოლ ბაკურიანისძეს მხოლოდ ქართველთათვის დაუარსებია და ბერძნებს იქ დამკვიდრება აკრძალული ჰქონდათ, გარდა ერთი მწერლისა, რომელსაც მიმოწერა უნდა ეწარმოებინა მონასტერსა და ადგილობრივ საერო ხელისუფლებას შორის. მონასტრის დამაარსებლის აზრით, ასეთი აკრძალვა უნდა ყოფილიყო ბერძენთა შევიწროებისაგან თავდაცვის ერთგვარი საშუალება. გრიგოლის შიში საფუძვლიანი გამოდგა, პეტრინონის მონასტერში ბერძნები თანდათან მომრავლდნენ და მალე ხელშიც ჩაიგდეს ქართველთათვის აშენებული სავანე. XIX საუკუნეში, როდესაც ბულგარეთი გათავისუფლდა თურქთა ბატონობისგან, დაისვა საკითხი, ვის ხელში უნდა გადასულიყო პეტრინონის მონასტერი, რომელსაც, ქართველების ნაცვლად, წინააღმდეგ მისი დამაარსებლის სურვილისა, ბოლო ხნის მანძილზე ბერძნები მართავდნენ. სადავო საკითხის გადაწყვეტა, ცხადია, შეეძლო ტიპიკონს, მაგრამ მონასტრის დაკარგვით შეშინებულმა ბერძნებმა აქამდე პეტრინონში შენახული ეს დოკუმენტი არ გამოაჩინეს, გადამალეს, როგორც ჩანს, გადასცეს კარაისის სახელობის ბიბლიოთეკას კუნძულ ხიოსზე. სწორედ ეს ხელნაწერი, რომელშიც წესდების ბერძნული და ძველი ქართული ტექსტები ერთად აკინძული აღმოჩნდა, შეისწავლეს ქართველმა მეცნიერებმა. ტიპიკონის ძველი ბერძნული ტექსტი შეისწავლა, ქართულად თარგმნა და გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა, ქართული ტექსტის შესწავლას კი აკაკი შანიძე შეუდგა. ხელნაწერის დეტალური შესწავლის შემდეგ 1971 წელს აკაკი შანიძემ „ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიის XIII ტომად გამოსცა აღნიშნული ტიპიკონის ქართული ტექსტი ვრცელი გამოკვლევითა და ლექსიკონითურთ, რომელსაც დაურთო რუსული თარგმანიც, რათა ის მოსაზრებები და არასწორი მონაცემები, რომლებიც ბერძნული რედაქციის ნაკითხვის შემდეგ გაუჩნდებოდა მკითხველს, გაბათილებულიყო და დედნიდან გადანერილი ტექსტი ხელმისაწვდომი გაეხადა ყველა დაინტერესებული მხარისთვის. აღნიშნულ გამოცემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პეტრინონის მონასტრის ისტორიისათვის, რადგან იგი უცილობლელი საბუთია მთელი რიგი გაურკვეველი საკითხების გადასაწყვეტად. მას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოს, არამედ ბულგარეთისა და ბიზანტიის ისტორიისათვისაც. ცხადია, ტიპიკონის ქართული ტექსტი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია ქართული სალიტერატურო ენის შესასწავლად. იგი შედგენილია მეთერთმეტე საუკუნეში და, ძირითადად, ძველი ქართული ენის ნორმების დაცვით არის დაწერილი. ტექსტის შესახებ დაწერილ გამოკვლევაში აკაკი შანიძემ მიმოიხილა ძეგლისთვის დამახასიათებელი ორთოგრაფიულ-გრამატიკული თავისებურებანი და მდიდარი ლექსიკური მასალა. აკაკი შანიძეს ნაშრომისთვის „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“ 1972 წელს მიანიჭეს ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო პრემია.

## რუსთველოლოგიური შრომები

შოთა რუსთაველის პოემის რედაქციების, ტექსტის, ლექსიკისა და ენის საკითხებზე აკაკი შანიძეს ექვს ათეულამდე ნაშრომი აქვს დანერგილი. ძნელია მეორე რუსთველოლოგის დასახელება, რომელსაც იმდენი გაუკეთებია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და განმარტების საქმეში, რამდენიც აკაკი შანიძეს. განსაკუთრებით კი უნდა გამოვყოთ მის მიერ განეული მუშაობა პოემის ტექსტის მეცნიერული დადგენისა და გამოცემის თვალსაზრისით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ აკაკი შანიძემ უზარმაზარი შრომა გასწია 1712 წელს ვახტანგ მეექვსის მიერ დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის აღდგენისათვის, რომელიც 1937 წელს რუსთაველის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოიცა აკაკი შანიძის ვრცელი გამოკვლევითურთ. აკაკი შანიძე იყო 1937 წლის რუსთაველის იუბილესთვის გამოსაცემი ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი. პოემის ამ საიუბილეო გამოცემას დიდი მნიშვნელობა ჰქონა შემდგომი რუსთველოლოგიური კვლევების განვითარებისთვის. ძირითადად საიუბილეო გამოცემაზე იყო დაფუძნებული აკაკი შანიძის, კორნელი კეკელიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქტორობით 1951 და 1957 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გამოცემა, მაგრამ მათში საკმაოდ მნიშვნელოვანი შესწორებებიც შევიდა.

აკაკი შანიძემ, ალექსანდრე ბარამიძესთან ერთად, უზარმაზარი შრომა გასწია, რომ 1966 წელს გამოსულიყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აკადემიური გამოცემა, ტექსტის ყველა ხელნაწერის ძირითადი შინაარსობრივი ვარიანტებისა და გამოცემათა იკითხვისების თანხლებით, რომელსაც უძღვის აკაკი შანიძის წერილი. მასში ნათქვამია, რომ აღნიშნული გამოცემა შეიცავს პოემის კრიტიკულად დადგენილ ტექსტს, რომელიც დადგენილია ყველა მოღწეული მნიშვნელოვანი ხელნაწერის გათვალისწინებით და გამართულია პოემის დაწერისდროინდელი სალიტერატურო ენის მიხედვით. „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული გამოცემა დღემდე ითვლება პოემის ტექსტის საუკეთესო მეცნიერულ გამოცემად და ყველაზე ხშირად სწორედ მას ეყრდნობიან თავიანთი კვლევებისთვის რუსთველოლოგები.

რუსთაველის პოემის ტექსტისა და ენის საკითხების შესწავლას დიდად შეუწყო ხელი აკაკი შანიძის მიერ 1956 წელს გამოცემულმა „ვეფხისტყაოსნის სიმფონიამ“. აკაკი შანიძეს ათობით სპეციალური წერილი აქვს დაბეჭდილი პოემის ენის საკითხებზე და კონკრეტული ადგილის ნაკითხვასთან დაკავშირებით.

თვალსაჩინოა აკაკი შანიძის ღვაწლი ქართული ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკოლოგიის განვითარებაში. მან დიდი შრომა გასწია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის გამოსაცემად, რომლის დასაბეჭდად მომზადება იოსებ ყიფშიძემ დაიწყო, მაგრამ ვერ დაასრულა. 1928 წლის გამოცემას უძღვის აკაკი შანიძის ვრცელი წინასიტყვაობა, სადაც წარმოჩენილია საბას ლექსიკონის მნიშვნელობა ქართული ენისთვის.

აკაკი შანიძეს დაბეჭდილი აქვს საყურადღებო დიალექტური მასალა (ხევსურული პოეზია, ქართული კილოები მთაში) და ლექსიკონები, მათგან დავასახელებთ რამდენიმეს: მთის კილოთა ლექსიკონი, ვაჟა-ფშაველას ოთხტომეულისათვის შედგენილი ლექსიკონი, ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოსაცემად მომზადებულ „იოანე და ექვთიმე ათონელების ცხოვრების“ ტექსტზე დართული ლექსიკონი, „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემისთვის შედგენილი ლექსიკონი და სხვ. მეცნიერს გამოქვეყნებული აქვს ათობით შრომა ქართული დიალექტოლოგიის, ასევე, ქართული ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკოლოგიის საკითხებზე.

აკაკი შანიძის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთ სფერო ეპიგრაფიკაა. მეცნიერმა არაერთი ძველი ქართული წარწერა ამოიკითხა, გამოიკვლია, დაათარღლა და გამოსცა (ბოლნისის, მცხეთის, მანგლისის, არადეთის, საჰაკდუხტის, ხუნამისის, ბარანის ციხის ქართული წარწერები, სამენოვანი წარწერა გრემში და სხვ.). უნდა ითქვას, რომ იგი იკვლევდა უძველეს და რაიმე თვალსაზრისით მნიშვნელოვან ძეგლებს. ხშირად წარწერის პუბლიკაციას ახლავს ვრცელი ფილოლოგიურ-ისტორიული ხასითის კომენტარები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან როგორც ეპიგრაფიკული ძეგლის ენაზე, ისე ქვეყნის ისტორიისთვის წარწერის მონაცემთა მნიშვნელობის შესახებ.

აკაკი შანიძე არა მარტო გამომცემელი იყო ქართული ენის ძეგლებისა, არამედ მათი უდიდესი მოამაგეც. მას არაერთი უძვირფასესი ძველი ქართული ხელნაწერი თუ ისტორიული საბუთი უხსნია დალუპვისგან. მაგალითად მხოლოდ ერთის, IX საუკუნის ხელნაწერის „უდაბნოს მრავალთავის“ დასახელებაც საკმარისია, რომელიც მეცნიერმა 1920 წელს გურიაში, სოფელ უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის მონასტერში, იპოვა და თბილისში ჩამოიტანა (ამჟამად ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში). ვისაც ქართულ ხელნაწერთა აღწერილობანი გადაუკითხვას, ხშირად წააწყდებოდა ასეთ მინაწერს: „იპოვა აკაკი შანიძემ“, „აღმოაჩინა აკაკი შანიძემ“, „შემოწირულია აკაკი შანიძის მიერ“.

დიდ ქართველ მეცნიერზე საუბარი მინდა გიორგი მთაწმიდელის მიერ ექვთიმე ათონელის შესახებ ნათქვამი სიტყვებით დავასრულო, რადგან თავისი მოღვაწეობით, ამ მოღვაწეობის მრავალმხრივობით, მასშტაბითა და მნიშვნელობით აკაკი შანიძის შედარება სწორედ ძველ ქართველ მწიგნობართა, უპირველეს ყოვლისა, კი ექვთიმე და გიორგი ათონელების ღვანლთან არის შესაძლებელი: „გამოჩნდა იგი სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და განანათლა და შეამკო ნათესავი და ენაჲ ჩუენი“.

## კომპოზიციის შინაარსისათვის ძველ ქართულში და აკაკი შანიძის წესები რთულ სიტყვათა დაწერილობისათვის

ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, აგრეთვე ქართული ენის კილოური ქვესისტემების მონაცემები ხელშესახებად წარმოაჩენს კომპოზიტთა წარმოქმნის ორგანულ მექანიზმებსა და ლექსიკალიზაციის, ფორმალურ-შინაარსობრივი დადგინების ხანგრძლივ დინამიკას, პროცესს, რომელიც ჯერაც არ არის დასრულებული და კვლავაც ნაყოფიერად ავლენს საკუთარ სიტყვათწარმოქმნელ პოტენციას.

ქართულ კომპოზიტთა ბუნების სისტემური გააზრების არსებითად პირველი მეცნიერული ცდა ეკუთვნის აკად. აკაკი შანიძეს და ის წარმოდგენილი იყო ქართული ენის პირველ მეცნიერულ გრამატიკაში: „ქართული გრამატიკა. 1. მორფოლოგია. ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. ტფილისს - 1930“. ა. შანიძე „ორ- და მეტ ფუძიანი კომპოზიტების“ ორ ძირითად შემთხვევას გამოყოფს:

ა) როცა კომპოზიტის „ნაწილებს“ რაიმე აკავშირებს ერთმანეთთან. „შემაკავშირებელი საშუალებაა: 1. და ნაწილაკი: *სხვადასხვა, ოცდახუთი...* 2. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი; მაგ. ა) *ქინძისთავი, ცისფერი, ალვისხე...* ბ) *სულთამხუთავი, გულთმისანი...* -ის დაბოლოებიდან ასეთ შემთხვევაში შეიძლება მარტოოდენ -ი დაგვრჩეს: *წუთისოფელი...* 3. სახელობითში შეთანხმებით: *პირი-სახე... დედა-მინა... ბადე-ქონი...*

ბ) ნაწილები დაუკავშირებელია: 1. იმიტომ, რომ ბრუნვის ნიშანი დაკარგულა დროთა განმავლობაში; მაგ. *ფურ-კამეჩი (ფური კამეჩი), ორ-სული, ვაჟ-კაცი... პირ-ჯვარი (პირს ჯვარი)... ცხვირ-სახოცი (ცხვირის სახოცი)... წყალ-ქვეშა (წყალს ქვეშა), თავ-ზარდაცემული (თავს ზარ-დაცემული)...* 2. პირველი ნაწილი (ან წინა ნაწილები) წმინდა ფუძეს გვიჩვენებს. აქ ორგვარი შემთხვევაა შესაძლებელი: ა) შემადგენელი ნაწილები ისეთია, რომ მნიშვნელობა არ შეიცვლება, რომ ისინი ერთმანეთისაგან გავყოთ და „და“ კავშირის ჩართვით ცალკ-ცალკე სახელებად ვიხმაროთ: *ცივ-გომბორი (ე. ი. ცივი და გომბორი), ბედილბალი... ავ-კარგი...* ბ) შემადგენელი ნაწილები ისეთია, რომ ქონებას გულისხმობს; ამ შემთხვევაში მეორე ნაწილად წარმოდგენილია ხოლმე მიმღებობანი და თვისებათა სახელები... მაგალითად, *ენა-ჩავარდნილი, სახელ-გატეხილი... გულ-უხვი... ლოყა-წითელი, გულ-წითელი... კბილებ-ჩაცვივებული...*

**შენიშვნა 1:** თუ ერთი განმარტება ორს ან სამ საგანს თანაბრად განეკუთვნება, იგი ერთხელ დაისმის; მაგ. *ხელ- და ფეხ-მოტეხილი... ვერცხლ-, ტყვია- და სპილენძ-ნარევი (მადანი) და მისთ.*“ (შანიძე 1930: 68-70).

როგორც ვხედავთ, ამ პარაგრაფში უკვე ჩანს გარკვეული ორთოგრაფიული პოზიცია კომპოზიტებთან დაკავშირებით, თუმცა ეს პოზიცია ბოლომდე გამოკვეთილი არ არის (არც თეორიულად და არც მასალობრივ).

მცირე კუბიურებით მოხმობილი პარაგრაფიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ავტორი ერთ კატეგორიაში აქცევს (ა) ტოლადშერწყმულსა (დვანდვა)



და (ბ) მსაზღვრელიან, პოსესიურ (ბაჰუფრიჰი) კომპოზიტებს, რაც თავისთავად უკვე გულისხმობს ორთოგრაფიულ პოზიციას.

აკაკი შანიძის ნორმატიული ხედვა ამ საკითხზე ცალკე პროექტის სახით იქნა ჩამოყალიბებული და ის, როგორც ჩანს, ძირითად ალტერნატივას წარმოადგენდა იმ ხედვისას, რომელიც სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამის უბანს ამ სახის პირველსავე კრებულში დაედო საფუძვლად. ამგვარად, ა. შანიძეს შეუდგენია „წესები კომპოზიტების დანერისათვის“ (პროექტი), რომელშიც მოკლედ არის განსაზღვრული კომპოზიციის არსი:

„კომპოზიტი ჰქვია ორი ან მეტი ფუძისაგან წარმომდგარ სიტყვას, რომლის ნაწილები გრამატიკულად ერთ ერთეულს წარმოადგენენ და ლექსიკურადაც ერთ რამეზე მიუთითებენ...“

„რთული სიტყვა შეიძლება იყოს კომპოზიტი ვინრო მნიშვნელობით (საკუთრივ კომპოზიტი) და კომპოზიტი ფართო მნიშვნელობით. თუ ორი ან მეტი სიტყვა გაერთიანებულია მხოლოდ გრამატიკულად (მორფოლოგიურად, სინტაქსურად), ხოლო ლექსიკურად ორ ან მეტ სიტყვას შეიცავენ, ასეთი რთული სიტყვა კომპოზიტად შეიძლება ჩაითვალოს პირობითად. ნამდვილი კომპოზიტია ის რთული სიტყვა, რომელიც ლექსიკურად ერთ სიტყვას წარმოადგენს, ერთი ერთეულია და ლექსიკონში თავისი ადგილი უჭირავს შემადგენელი ნაწილების ანბანის რიგზე.“

საკუთრივ კომპოზიტების მაგალითებია: *ცისარტყელა, ცისკარი, თხუთმეტი, ცხენისწყალი (მდინარე), მამასახლისი, ხელეჩო, ქალბატონი, თავმჯდომარე, სამშაბათი, კმაყოფილი* და მისთ.

*შერწყმული სახელები* და ზმნები წარმოადგენენ კომპოზიტებს ფართო მნიშვნელობით: *ხელ-ფეხი, მშვილდ-ისარი, ცივ-გომბორი, ქართლ-კახეთ-იმერეთი, ოხერ-ტიალი* და მისთ.; *ტან-წვრილი, ფეხ-თეთრი, შუბლ-მაგარი, გულ-გატეხილი, უღვაშ-აშლილი, ხავს-მოკიდებული, წყალ-ნაღებული, თავ-მომწონე* და მისთ.; *გარბი-გამორბის, გასუქ-გალაღეთ* და მისთ.“ (შანიძე 1979 [სალიტერატურო ქართულის საჭირობოროტო საკითხები, „განათლება“]: 111-112).

ამას მოსდევს კომპოზიტთა დანერილობის წესები:

„I. ერთად ინერება:

1. საკუთრივ კომპოზიტის ნაწილები: *რკინისგზა... ხუთშაბათი... პირისახე...*
2. ფუძის გაორკეცებით ხმოვან-უცვლელად ნაწარმოები კომპოზიტები, რომელთა შემადგენელ ნაწილებს, ცალკე აღებული, მნიშვნელობა არა აქვთ: *ხარხარი... ფუსფუსი...*
3. სიტყვა „სხვადასხვა“ და **და**-თი შეერთებული ზმნიზედები: *თანდათან, წინ-დანინ... დროდადრო...*

II. დეფისით ინერება:

1. უკავშიროდ შეერთებული სახელები (შერწყმული სახელები): *ცოლ-შვილი... შენიშვნა 2: დეფისი რჩება ასეთი კომპოზიტებისაგან ნაწარმოებ სახელებშიც: უდედ-მამო... ცოლ-შვილიანი...*



2. ფუძის გაორკეცებით ნაწარმოები სიტყვები: ერთი ფუძის გაორკეცებით ნაწარმოები, თანაც მეორე ნაწილში ხმოვან-შენაცვლებული კომპოზიტები: გორ-გური... ნაყარ-ნუყარი... ხევ-ხუვი... ლაპა-ლუპით... კანტი-კუნტად...

3. მსაზღვრელიანი კომპოზიტები...:

ა) ფეხ-თეთრი... ფეხ-მარდი... შავ-თვალა... დიდ-თავა... ბოლო-შავი...

ბ) ცალ-თვალა, ხუთ-წვერა, ცხრა-კარა...

გ) ფეხ-მოტეხილი (რომელსაც ფეხი მოტეხილი აქვს)... დრო-მოჭმული... სულ-განაბული...

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3:** გამონაკლისს შეადგენს ის კომპოზიტები, რომლებიც ერთ სიტყვად ქცეულან: *ფეხმძიმე (დედაკაცი), ორგული (ადამიანი)*...

(მაგრამ დეფისით: *ორ-გული თხილი*...).

4. თუ ზედსართავი ან მიმღობა უკავშირო კომპოზიტს ერთვის, პირველი დეფისი თავის ადგილას რჩება: *წვერ-ულვაშ-აშლილი... ხელ-ფეხ-მონყვეტილი*...

5. თუ მსაზღვრელ-საზღვრულისაგან ნაწარმოებია ახალი სახელი, ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის იწერება დეფისი: *ვეფხის ტყავი: ვეფხის-ტყაოსანი... ჩიტის რძე: უჩიტის-რძეოდ*...

6. თუ ზედსართავი ან მიმღობა **და**-თი შეერთებულ ორ ან მეტ არსებითს მიემართება, წინა სახელის (ან სახელების) შემდეგ დეფისი იწერება, მაგრამ **და**-ს არ უერთდება: *ცხვირ- და ყურ-მოჭრილი*...

7. საწყისიანი გამოთქმები: *დღე-გამოშვებით*...

8. გაორკეცებული ზედსართავები და რიცხვითი სახელები: *ახალ-ახალი... ას-ასი*...

9. შერწყმული ზმნები: ა) *აცრემლ-ატიროს*... ბ) *გარბი-გამორბიან*...

10. ფუძის გაორკეცებით წარმომდგარი გარემოებითი სიტყვები: *ტყე-ტყე*...

### III. ცალკ-ცალკე დაინეროს:

**და**-თი შეერთებული რიცხვითი სახელები: *ოცდა ერთი*...“ (შანიძე 1979:112-114).

როგორც ვხედავთ, ა. შანიძეს კომპოზიტთა შედგენილობა-დანერვილობის შესახებ ჩამოყალიბებული ჰქონია თავისი ხედვა, რომელიც ხშირად არ ემთხვევა შემდგომ სალიტერატურო ენის ნორმად დამკვიდრებულ პოზიციას. ამავე დროს, ავტორს საჭიროდ მიუჩნევია დამატებითი კომენტარი მოენოდებინა კომპოზიტთა იმ ნაწილის შესახებ, რომლებიც ჩვენ ამჟერად თემასთან მიმართებით უფრო მეტად გვინტერესებს:

**„გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა:** ზემორე წარმოდგენილი მსაზღვრელიანი კომპოზიტების დეფისით დაწერა იმით არის ნაკარნახევი, რომ:

ა) რთული სიტყვის ნაწილებს თავ-თავისი მნიშვნელობა შერჩენილი აქვთ. ძველად ეს ნაწილები ცალკ-ცალკე იწერებოდა: *ფარ შიმშერისა (ვეფხ-ტყაოსანი, ვახტანგის გამოცემა 3, 1), ლაგამ აბჯარ უნავირსა (იქვე, 85, 4)*...

ბ) ასეთ კომპოზიციებში შემავალ სახელს შეიძლება მოეპოვებოდეს თავისი მსაზღვრელი; მაგ., შეიძლება ითქვას: *ცხენი ფეხებ-წაბჯენილი*, მაგრამ აგრეთვე: *ცხენი წინა ფეხებ-წაბჯენილი...*

მსგავსი მაგალითებია:

ა) და-თი შეერთებულ სახელებთან: *ცერ- და ნეკ-გაშლილი (ხელი)...*

ბ) კომპოზიციში შემავალ არსებითს რომ განსაზღვრება ახლდეს:

*ორ თით-გაშლილი...*

გ) მიმღეობას რომ ახლდეს გარემოების აღმნიშვნელი სიტყვა:

*რქა-დაღმა-დადრეკილი...*

დ) განსაზღვრება რომ კომპოზიციის ორსავე ნაწილს ახლდეს:

*ცხელ წყალ-თავს-გადასხმული...*“ (შანიძე 1979: 115-116).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმების იმ ტრადიციას, რომელმაც საბოლოოდ მოაწესრიგა კომპოზიციების დაწერილობა ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს სკოლაში, პრესაში, ოფიციალურ-საქმიან სფეროებში, საზოგადოება იცნობს 1936 წლიდან, როდესაც გამოვიდა ნორმათა პროექტების პირველი ნიგნი „სალიტერატურო ქართულის ნორმები. 1“ და რომელშიც კომპოზიციითა დაწერილობის წესები, როგორც კომისიის ნება, წარმოდგენილია ს. იორდანიშვილის მოხსენების მიხედვით. ამ სტატიის დასაწყისში აღნიშნულია, რომ „ევროპულ ენებში კომპოზიციების **ერთად, დეფიზით და დაშორებით** წერის საკითხი მოწესრიგებულია. ქართულში კი კომპოზიციები გვხვდება სამგვარადვე დაწერილი, ხშირად ეს სიჭრელე რომელიმე ნიგნის ერთსა და იმავე გვერდზედაც არის“ (გვ. 65). შემდგომ ჩამოყალიბებულია იმ ორი ჯგუფის დაწერილობის ნორმა, რომელთაგან პირველი თანაბარმნიშვნელობიან სიტყვათა შეერთებით მიღებული, ანუ დეფიზიანი კომპოზიციების ჯგუფს ქმნის; ხოლო მეორე ჯგუფი ამგვარი ზოგადი ნიშნით არის დახასიათებული: „სინტაქსურად შეკავშირებული კომპოზიციების მეორე სახეობაში (composite determinative) ჩვეულებრივ ხდება ორი სიტყვის შეერთება. ერთი მათგანი, სახელდობრ უკანასკნელი, გვევლინება ძირითადად, მთავარი მნიშვნელობის მქონედ, წინამდგომი კი (არსებითი სახელი, ზედსართავი, ზმნისართი) მსაზღვრელად; პირველი წევრი (ზმნისართის გარდა) ჩვეულებრივ რომელიმე ბრუნვაშია დასმული...“ (გვ. 69). ამ რიგის კომპოზიციების ორთოგრაფიის ნორმა მათს შერწყმულ, უდეფიზო დაწერილობას წარმოგვიდგენს. აქ შემოდის „ნათესაობითბრუნვიანი მსაზღვრელის სახეობის“ კომპოზიციები (გვარიშვილობა, დედინაცვალი, პირისახე, კაციჭამია... გულისყური, ქინძისთავი... გულთმისანი...), მიმღეობის შემცველი რთული სიტყვები (ტვინდაბნეული, ტანსაცმელი...) და სხვ. თანამედროვე ქართულის კომპოზიციითა დაწერილობის წესებმა საბოლოო სახე მიიღო „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ პირველ კრებულში (1970), რომელშიც შესაბამისი სტატია წარმოდგენილია ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის მიერ შემუშავებული პროექტის საფუძველზე. ამ ნორმატიულ კრებულებში ჩამოყალიბებული წესები კი მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემოწარმოდგენილი აკაკი შანიძისეული მიდგომისაგან, მათ შორის, განსაკუთრებით – მსაზღვრელიანი კომპოზიციების მართლწერაში.

ქართული გრამატიკული ტრადიცია კომპოზიტთა მართლწერას ამგვარად აფუძნებს ახალწარმოქმნილ ერთეულთა „ცნებიანობის“ ცნებაზე:

- ერთცნებიანი კომპოზიტები შერწყმულად იწერება;
- ორცნებიანი კომპოზიტები - დეფისით.

ამავე დროს, სრულიად ნათელია, რომ თვალსაზრისების განსხვავება თავს იჩენს „ორცნებიანობის“ გაგების საფუძველზე. აკაკი შანიძის კონცეფციის მიხედვით, ორცნებიანია არა მხოლოდ „ტოლად-შერწყმული“, არამედ ის „არ-ტოლად შერწყმული“ კომპოზიტებიც, რომელთა კომპონენტების დამოუკიდებელი მნიშვნელობაც შენარჩუნებულია; მაგალითად, კომპოზიტი **ხელ-მოკლე** ორცნებიანი იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც ის „მოკლე ხელის მქონეს“ აღნიშნავს, მაგრამ ერთცნებიანი იქნება (და შერწყმულად დაიწერება) „ღარიბის“ შინაარსით.

ა. შანიძისეული კომპოზიციის (ფართო გაგებით) კონცეფცია მეტად მოსახერხებელი აღმოჩნდა ძველი ქართულის სხვადასხვა ტიპის შერწყმული ფუძეებისა თუ რთული ზმნების მართლწერისათვის, რომელთა ანალიტიკურობა ძველი ქართულის დონეზე ამგვარ ერთეულთა გენეზისის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. უთუოდ საგულისხმოა, რომ საკითხის დასმისას ა. შანიძე ძველი ქართულის მონაცემებს პრინციპულად არ მიჯნავს იმ ამოცანებისაგან, რაც ახალი ქართულის მართლწერის მონესრიგებას უკავშირდება.

„ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ მხოლოდ იმ მცირე ჯგუფთან მიუთითებს ავტორი შერწყმულად დაწერილობას, რომლებშიც ზედსართავი სახელი რთული სიტყვის პირველ ნაწილად გვევლინება: *დიდროა, დიდძალი, დიდფასი...* და იქვე საგულისხმო შენიშვნაა: „ასეთივეა აგრეთვე **შუვაღამე**-ე. დავწერთ მის შემადგენელ ნაწილებს ცალ-ცალკე თუ ერთად, მაინც ერთი სიტყვაა: *მწუხრი ანუ შუვაღამეს ანუ ქათმის ჯმასა ანუ განთიად* (მრ. 13,35) (შანიძე 1976:57).

როგორც მონაცემები ადასტურებს, კომპოზიტთა დაწერილობის მონესრიგება წინ უსწრებდა საკითხის თეორიულ გააზრებასა და ჩამოყალიბებას, რამდენადაც წიგნის ბეჭდვის ხელოვნებამ იმთავითვე მოითხოვა რთული სიტყვების დაწერილობის მონესრიგება. ამიტომაც არის, რომ ვახტანგ მე-6-ისეულ პირველ გამოცემებშივე ჩანს რთულ სიტყვათა დაწერილობის პრობლემა, რაც ერთი ტიპის კომპოზიტთა განსხვავებულ გადმოცემაში გამოიხატება. მაგალითად, 1710 წლის „კონდაკი“:

*უო ნუ გლის წყრომითა შ-ნითა მამხილებ ჩვენ...  
მიმიძელუ ჩვენ ნავთს-ყუდეღსა ნებისა შ-ნისასა...  
მეოხებითა წ-ისა ღ-ისმშ-ბლისათა... // მ-ხბითა წ-ისა ღ-ის მშობელისათა...  
ღ-ბე, პ-ტივი და თ-ყნისცემა მამისა და...  
ყ-დ წ-ით, ს-ხრით და ცხოველს მყოფელით სულითურთ...  
და მკვდრ ხ-რ წ-თლსა შ-ა და თ-ლთ შეუდგამსა...  
და ღირსმყოფნ ჩვენ ც-დღნი...  
რ- ს-ხრი და კ-ცთ მ-ყრე ღ-ი ხ-რ...*

1712 წლის „ვეფხისტყაოსანი“:

*... ტარიელს და ნესტანდარეჯანს ვეფხის ტყაოსნობით უწმობენ...  
(თვით სათაური პოემისა, ცხადია, ორ სიტყვად არის დაწერილი).*

არ შეამოკლოს ქართული: არა ქნას **სიტყვა მცირობა...**

იგია საქმე საზეო: მომცემი **აღმა ფრენათა...**

ვით მარგალიტი ობოლი: **ჯელისჯელ** საგოგმანები...

რა მოშორდის ვერ მჭვრეტელმან: ვარდი შექმნის **ფერ ნაკლულად...**

ჩემმან **ჯელმქმნელმან** დამმართოს: ლაღმან და ლამაზ მანები...

შესხმა ნარბთა და ნამნამთა: **ღანვ ბალახშ თმა გიშერისა...**

მისნი სპანი **გულმოკლულნი**: ცრემლსა ცხელსა გარდმოყრიდეს...

სრულიად აშკარაა კომპოზიტა (თანამედროვე გაგებით) დანერილობის არაერთგვაროვნება: ერთ შემთხვევაში – შერწყმულად, მეორე შემთხვევაში – ცალ-ცალკე. ამავე დროს, ამ გამოცემათა გაცნობისას უმაღლვე შეამჩნევთ, რომ ამდროინდელი პუნქტუაცია მხოლოდ წერტილსა და ორწერტილს (ტაეპის მუხლთა საზღვრის აღსანიშნავად) იყენებს, დეფისის ნიშანს კი საერთოდ არ იცნობს.

დეფისის ფუნქციური ნიშანი პირველად ანტონ კათალიკოსმა დაამკვიდრა; ეს ნიშანი ბერძნულ ომეგას ჰგავდა და ასე განიმარტებოდა: „იპოდიასტოლი“, რომელა ესე (**ა**), შემკრულ არს ჰრთულისა და ზედჰრთულისა...“ (196v-197r). ე. ბაბუნაშვილი აღნიშნავს, რომ, სხვა სასვენ ნიშნებთან ერთად, ანტონმა შემოიღო „იპოდიასტოლი“ ან „გარემორთხმული“ (**ა**), რომელიც რთული სიტყვების შემაერთებელია“ (ბაბუნაშვილი 1970:70). პუნქტუაციის წესების გაჩენამ ნიგნის ბეჭდვის ახალ კულტურას დაუდო სათავე. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „ანტონის მიერ შემოღებული პუნქტუაციური სისტემა საყოველთაოდ მიღებული იყო მე-18 საუკ. მეორე ნახევარში“ (ჯავახიშვილი, პალეოგრაფია... 146). კვლავ „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ტრადიციას რომ გავადევნოთ თვალი, კომპოზიტა მართლწერის მონესრიგების თვალსაზრისით აშკარად წინგადადგმულ ნაბიჯად გამოიყურება ის კულტურა, რაც ტექსტის ე.წ. ქართველიშვილისეულ (1888 წლის) გამოცემაში არის წარმოდგენილი:

ვის ჰშვენის ლომსა ხმარება, შუბისა, **ფარ-შიმშერისა...**

მეფისა, მზის თამარისა, **ღანვ-ბადახშ, თმა-გიშერისა...**

თამარს ვაქებდეთ, მეფესა, სისხლისა **ცრემ-დათხეული...**

დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის **გულ-ლახვარ-სობილი...**

არ შეამოკლოს ქართული, არა ჰქმნას **სიტყვა-მცირობა...**

არ **ძალ-უძს სრულ-ქმნა** სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა...

მაღალი, უხვი, მდაბალი, **ლაშქარ-მრავალი**, ყმიანი...

სრულიად აშკარაა, რომ ამ გამოცემაში დამკვიდრებულია კომპოზიტა გადმოცემის ის წესი, რასაც ჩვენ შემდეგი პერიოდის არაერთი გამოცემიდან ვიცნობთ. მაგრამ ეს, ცხადია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს საკითხი საბოლოოდ არის გააზრებული და მონესრიგებული. ადვილი შესამჩნევია როგორც არაერთგვაროვნება ცალკეულ ფორმათა დანერილობაში, ისე სხვადასხვა გამოცემათა დიდი განსხვავება ამ თვალსაზრისით. მაგალითად, თუ დ. კარიჭაშვილი (1903) ერთგული ჩანს ქართველიშვილისეული გამოცემის ტრადიციისა, კ. ჭიჭინაძე (1926) ვახტანგისეული დანერილობის შენარჩუნებას ამჯობინებს და მისთ. და ეს არაერთგვაროვნება შეეხება არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“, არამედ სხვა

ხელნაწერების ბეჭდურ გამოცემასაც. და ამ სფეროში ნორმათა მოუნესრიგებლობა 30-იან წლებამდე ფაქტია თვით სამეცნიერო ხასიათის გამოცემებშიც კი. სანიმუშო მასალას მოვიხმოთ რამდენიმე ადრეული გამოცემიდან:

ნ. მარი, იოანე პეტრინი, ქართველი ნეოპლატონიკოსი... 1909:

**თანა გუაც** გუარსა ბრძენთა სიტყვასა დაჭურეტად (28, 10);  
ხოლო გამოსცდის **მრავალკეცთა პირთა-ზედა** და ვითარ ყოვლით-ურთ ამხილოს. მერმე დაკაზმულთა აღმოსაჩენთა-მიერ მასვე პირველსა სიტყუასა **თანგანვლის** სახედ დამტკიცებს (28, 15-18);  
და ვითარცა აღმოაჩინოს იძულებითმან კანონმან **თანშესიტყვამან** და **უკუნ იქცეს წინაგანმწყო** უკუნ რღუჭვით (29, 3-6);  
და არამცა იპყრობდა თვსთა უქუჭნაესთა ძალთა და **სრულ ჰყოფდა მათ** (30, 21);  
არამედ ბიჯთა-მიერ გზავნითი გზავნად **სრულ ჰყოფს** თვსთა ნავალსა (25, 4);  
თუ ვითარ **ჯერ არს** ამათ სასწავლოესა წიგნთა კითხვა (22, 14)...

ნ. მარი, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, 1911:

ან სულელნი **სიბრძნის-მეტყუელებენ**...  
ვერ **ძალმიც** მოუკლებელად ლოცვაჲ...  
წიგნთაგან წმიდათა **გულისხმა ყოს**...  
დუმილი ვერ **ძალ ედვას**...  
რამეთუ წმიდასა ეკლესიასა **სახელსდევ** გუამად შენად...  
**ჯერ არს** ჯელმნიფეთა მორჩილება...  
ვერვის **ჯელენიფების** მონებაჲ ორთა უფალთაჲ...  
აღზრდილ იყო ჯელითა **კეთილად-მსახურისა** დედოფლისა ნერსცს ცოლისაჲთა,  
რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა **ძმისწული** მისი...

კ. კეკელიძე, კიმენი, I, 1918:<sup>1</sup>

რ~ლთაჲ **ჯერ-არს** სიტყუთა მათთა შეწყნარებაჲ (1, 14);  
ნუ **უდებ-ჰყოფ** ლოცვასა ჩ~ნსა (2, 23);  
არღარაჲ დაშთომილ არს ჩ~ნდა **ნუგეშინის-ცემაჲ** (2, 26);  
შეინყნარა... წიგნი ესე და **გულის-ხმა ყო** (2, 29);  
რ~ნ **ექსორია ყო** მელენტი **მართლადმსარებელი** ქ~სი (3, 2);  
გნებავს მისლვაჲ ჩემი და **თაყუანის-ცემაჲ** ადგილთა ნ~თა (3, 20);  
და **თაყუანი სცეს** და მოილოცნეს ნ~ნი ადგილნი (4, 9);  
არა **ღირს ხარ** შენ შესლვად სახლსა ლ~თისასა (6, 1);  
და ამას ჩ~ნცა არა **უარვჰყოფთ** (7, 20);  
არა **თავყუანის ვსცემთ** (7, 15);  
აღივსო იგი **გულის-წყრომითა**: და განძნდა ვ~ა მჯეცი **სისხლისამჭამელი** (6, 6-7);

<sup>1</sup> კ.კეკელიძე შესავალში აღნიშნავს: „დასასრულ, უგულითადეს მადლობას ვსწირავთ ყველა იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთაც რაიმე დახმარება აღმოგვიჩინეს ჩვენს შრომაში, განსაკუთრებით კი ღრმად პატივცემულ აკად. ნ. მ ა რ ს, ამ გამოცემის ინიციატორს და სულის ჩამდგმელს“.



რ~ ესრე **ჯერ-არს** და ღირს და **თანაც** და შეგეტყუების ღ~თისამიერითა ბრძანებითა (6, 35);

და ჩუენ ვერ **გულისჯმაყავთ**, რამე არს ჩუენებაჲ ესე (76, 4);

და აქამომდე **კმა იყავნ** ჩუენდა სიტყუაჲ ესე (105, 20);

ესრჳთ **ჯერიჩინეს** გონებასა მათსა (106, 19);

და მუნქუესვე დაინუა ეშმაკი და **ჯმა ყო** ქალისა მიერ (313, 18);

რ~ **ჯმა-ყო** ანგელოზმან (182, 3);

**კმაგეყავნ** იოსებ და შეიკრიბენ **გულის-ზრახვანი** შენნი (183, 26)...

ეს მონაცემები, ცხადია, ასევე აისახება ივ. ჯავახიშვილის „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“ (1920), სხვადასხვა ხელნაწერ თუ გამოცემულ წყაროთა უხვად ციტირების დროს:

რამეთუ დღისი ვერ იკადრებდა **ნათლის ცემასა** მათსა („კოლაელ.“);

და უფალმანცა ჩუენმან იესუ ქრისტემან ღამჳ **ნათელ ილო** (იქვე);

არა განემორებთან **მხოლოდშობილსა** ძესა ღმრთისასა („აბო“);

არამედ ყოველთაჲ **ჯერ არს** თქუენდა დაკურვებად ჩემთანა („აბო“);

თავით თჳსით **შჯულისდებისაჲთა** განდგომილთა ქრისტჳსაგან („აბო“);

და უწინარესლა **შჯულ-ყოფილ** წმიდითა მადლითა **ნათლისდებისაჲთა** („აბო“);

და ვმონებდით **გულისთქუმასა** გულთა ჩუენტასა („აბო“)...

არაერთგვაროვანი ორთოგრაფიის ეს ტრადიცია ძველი ქართული ლიტერატურული ტექსტების გამოცემას გვიანობამდე მოსდევდა. მაგალითისათვის ავიღოთ ს. ყუბანეიშვილის მიერ 1946, 1949 წლებში გამოცემული „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის ორტომეული“, რომლის წინასიტყვაობაში შემდგენელი შემდეგს უსვამს ხაზს: „კრიტიკულად დადგენილი და გამოცემული ტექსტები (ნ. მარის, კორნ. კეკელიძის, ივ. ჯავახიშვილის, პ. ინგოროყვას და ილ. აბულაძის მიერ) უშუალოდ გამოცემებიდან გვაქვს გადმობეჭდილი, ზოგიერთ შემთხვევაში უმნიშვნელო ორთოგრაფიული ცვლილებებით“ (ყუბანეიშვილი 1946: XII). ორთოგრაფიული სიჭრელის წყარო, ცხადია, ესეც არის:

ესე-ლა ესმა ადამს, **ღალად ყო** ჳმითა მადლითა და თქუა (5, 16ქვ.);

შედრწუნდა და **ჯმა ყო** ჳმითა მადლითა (5, 3ქვ.);

**თაყუანის ეცით** მსგავსსა და ხატსა ღმრთეებისასა (5, 23);

უკუეთუ **ჯერ გიჩნს**, მომაკუდინე მე (3, 13);

**შეურაცხ ჳყავთ** ბრძანებაჲ ჩემი, და მე **შურაცხგყვენე** თქუენ (7, 1ქვ.);

და **ინაწ-იდგმიდენ** წიაღთა აბრაჳამისთა (60, 13);

საყუარელნო და **ქრისტჳს-მოყუარენო** და **სწავლის-მოღუანენო** (60, 2);

სარწმუნოებაჲ **უარ უყოფიეს** მას (75, 16);

რამეთუ **მრავალ-გზის** იერუსალემიცა მისცის უფალმან ჳელთა **უცხოთესლთასა** (76, 16ქვ.);

**სამ-გზის რჩულ-დებულ** არს ჩუენდა ურწმუნოთა მხილებაჲ (77, 11ქვ.)...



ძველი ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის სამეცნიერო გამოცემათა საუნივერსიტეტო ფილოლოგიური სკოლა, რომლის შექმნაში უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის ა. შანიძეს, მისი შეხედულებების საფუძველზე აყალიბებს ამ ტექსტების ორთოგრაფიას. ძველი ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის უადრესი შანიძისეული პუბლიკაციებია: ა) „ძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო“ (1923), რომელიც მაქსიმალურ სიახლოვეს იცავს ხელნაწერ ტექსტთან იმით, რომ შენარჩუნებულია სტრიქონების შემადგენლობა და სასვენ ნიშნებზეც უარია ნათქვამი; აქ გამომცემელს მხოლოდ სიტყვებს შორის (მათ შორის – ნაწილაკებისა) დაშორება შემოაქვს, რასაც კომპოზიტიური ერთეულებიც ექვემდებარება; მაგ.:

*თაყუანის ჰსცეს მას (ლუკა 24, 52);  
და ნუგეშინის ჰსცემდეს მას (იოანე 11, 31);  
და არა თავ ჰყუოს მამასა თჳსსა (მათე 15, 6)...*

ბ) ასევე „ხანმეტი მრავალთავი“ (ტუმ, 7, 1927):

*მოიწსენეთ ღა მოციქუ  
ლისაჲ ვჳრ იგი ხიტყჳს ვჳდ  
გან ღა იცადენ კაცმან  
თავი თჳსი და ესრეთ  
პურისა (მის)განი ჭამენ  
მომატყუებელისა სუ  
რვილისაჲ ჯერ არს  
და გაწსოსმცა რჳლსა  
ნიჭსა ღირს გყო  
შენ მონ ... ყალემან  
შესლვაჲ არავე  
შეურაცხ ყო და...*

უნდა ითქვას, რომ თვით ა. შანიძის 30-იანი წლების ქრესტომათიულ პუბლიკაციებში ჯერ კიდევ არა ჩანს ბოლომდე ჩამოყალიბებული ძველი ქართული კომპოზიტიების დაწერილობის შემდგომ მწყობრად დამკვიდრებული წესები, მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიტთა შედგენილობისა და ორთოგრაფიის თეორია მეცნიერს ამ დროისათვის უკვე შემუშავებული აქვს. ამის მაგალითად გამოდგება „ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის ქრესტომათიის“ ერთ-ერთი ადრეული (1934 წ.) გამოცემა ა. შანიძის რედაქციით:<sup>1</sup>

*ანუ არა ესრჳთ ჯერ ხიყო ვნებად ქრისტჳსა (5, 18);  
ხოლო თავადმან მიზეზ ყო ხუშორესადრე წარსლვად (5, 21);  
ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თავყანის მცემელნი შეინყალენ (2, 4);  
ქართლად შემოსლვაჲ და ნათლისღებაჲ წმიდისა ჰაბოხსი (19, 10);*

<sup>1</sup> ქრესტომათიის რედაქტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „ორთოგრაფია გამარტივებულია და ისეთი სახე აქვს მიცემული, როგორც დღევანდელ სალიტერატურო ენაშია მიღებული“ (გვ. VI).

და **ინაჟ-იდგმიდენ** წიაღთა აბრაჰამისთა (19, 5);  
 რაჲსა **ჴელ-ინიფა** ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევეთარისა საქმედ (12, 12);  
 ხოლო შენ ღმერთი ჭემმარიტი **უვარ ჴყავ** და ცეცხლსა **თაყუანის-ეც** (12, 22);  
 რამეთუ ფარულად იღუნიდეს და **ნუგეშინის-სცემდეს** (13, 3<sup>ჴგ</sup>);  
 არამედ კეთილთა მათ საუკუნეთა **გულის-ჴმა ჴყოფენ** (43, 18);  
 და აუნყა ყოველი პირველ ყოფილი **ღმრთის-მსახურსა** კურაპალატსა  
 (43, 4<sup>ჴგ</sup>);  
 ...**თავყანის ვსცემ** ღმერთსა ჩემსა, სამებით ცნობილსა და **ერთარსებით** დი-  
 დებულსა (62, 15<sup>ჴგ</sup>);  
 მაშინ, რომელთა სლვაჲ **ძალ-ედვა**, ერთობით მიინინეს ყოველნი შატბერდს  
 (48, 4<sup>ჴგ</sup>)...

ჯერ კიდევ უნივერსიტეტის დაფუძნებამდე შეუდგა ა. შანიძე ქართული ბიბ-  
 ლიური წიგნების უძველესი თარგმანების მეცნიერული გამოცემისათვის მზადე-  
 ბას, მაგრამ უნივერსიტეტის მესვეურთა მრავალმხრივმა მოღვაწეობამ ეს საშუ-  
 რი საქმე კარგა ხნით გადასწია და მხოლოდ 40-იან წლებში გახდა შესაძლებელი  
 ოთხთავის რედაქციებისა და სხვა უმნიშვნელოვანესი ტექსტების პუბლიკაცია.  
 1944 წელს გადაეცა დასაბეჭდად და 1945 წელს გამოიცა ა. შანიძის რედაქციით  
 „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მი-  
 ხედვით“. ამ გამოცემის შესავალში რედაქტორი მიუთითებს დაწერილობის იმ  
 წესებს, რომლებსაც ამ ტექსტების ორთოგრაფია თანმიმდევრულად ეფუძნება:  
 „განკვეთილობის ნიშნები დღევანდელი ნორმების მიხედვით არის გატარებული“  
 (გვ. 50) – წერს იგი და, კერძოდ, ეხება დეფისის გამოყენების შემთხვევებს: ნა-  
 წილაკებად გამოყენებულ ნაწევრებთან (-ესე...), ტმესის შემთხვევაში (გან-რაჲ-  
 აგებდეს...); შემდეგ კი აღნიშნავს: „დეფისითვე წარმოვადგინეთ კომპოზიტი  
 სახელები: ტურთ-მძიმე (მ. 11, 28), გულ-ძურ (მ. 5, 23) და მისთ. და ზმნები: გუ-  
 ლისჴმა-ყო, თავ-უყავ (მ. 19, 19), შეურაცხ-ყო, ნამს-უყოფდეს, ჯუარს-აცუეს, ნათე-  
 ლ-სცა, ნათელ-იღო, ინაჟ-იდგა, თანა-მაც, ჴელ-მენიფების, ძალ-მიც, ჯერ-არს და  
 მისთ. ეს წესი გატარებულია სახელზმნებშიც: ნათლის-ცემა, ნათლის-მცემელი,  
 თანა-მდები, თანა-ნადები, ჯუარს-ცუმა და მისთ.“ (შანიძე 1945: 51). ეს წესები თა-  
 ნმიმდევრულად არის გატარებული შემდეგი დროის გამოცემებში; მაგ. „იოვანესა  
 და ექვთიმეს ცხოვრებაში“ (1946)<sup>1</sup>:

დავვარდი წინაშე წმიდისა **ღმრთის-მშობელისა...** (28, 15);  
 ესე ყოველნი და ამათსა ფრიად უმრავლესნი წიგნნი თარგმანნა **ღმერთ-  
 შემოსილმან** მამამან ჩუენმან (30, 50);  
 წიგნნი **ღმრთის-მეტყუელისა** გრიგოლისი (30, 49);  
 ბასილის თქუმული კაენის შკდთა **შურის-გებათათვს** (30, 49);  
 და თანადგომითა მამათა ჩუენთაჲთა **სრულ-ყო** ყოველივე საქმე შენებისაჲ  
 (31, 51, 5);  
 და **ლოცვა-ყვიან** და დასხდიან (31, 52,2);  
 ხოლო მათ ყოველთა **ნუგეშინის-ეცა...** (33, 56,4)...

<sup>1</sup> შესავალში აღნიშნულია, ეს ტექსტი ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა მოამზადა, „შეამონმა და გამართა ტექსტი ძველი ორთოგრაფიის მიხედვით“ (გვ. 11). თუმცა აშკარაა, რომ კომპოზიტების დაწერილობა ა. შანიძის წესებს ექვემდებარება.

ამავე წესებს იცავს ბიბლიური წიგნების 1-ლი მეცნიერული გამოცემა „წიგნ-ნი ძუელისა აღთქუმისანი“, რომლის 1-ლი ტომის 1-ლი ნაკვეთი 1947 წელს დაიბეჭდა.<sup>1</sup> შეიძლება ითქვას, რომ ეს გამოცემაც გვიჩვენებს საბოლოოდ ჩამოყალიბებულ პრინციპებს, სხვა სტანდარტებთან ერთად, ძველი ქართული კომპოზიტური წარმონაქმნების დაწერილობის შესახებ; მაგ.:

აღდგა შემთხუვად მათა და **თაყუანის-სცა** ქუეყანასა ზედა (დაბად. 19, 1);  
გამოიყვანენ იგინი ჩუენდა, რაითა **თანა-ვეყვნეთ** მათ (დაბად. 19, 5);  
იწმიენით იგინი, ვითარცა **სათნო-გიჩს** თქუენ (19, 8);  
და **ბასრობა-უჩნდა** მათ ესე წინაშე მათსა (19, 14);  
მე ვერ **ძალ-მიც** განრინებად მთად კერძო (19, 19);  
აჰა ეგერა **თუალ-გახუენ** სიტყუასა მაგას (19, 21);  
ვერ **ველ-მენიფების** ყოფად საქმისა მის (19, 22);  
**ლაღად-ყო** ყრმამან მან და ტიროდა (21, 16);  
უფალმან ჩემმან, რომელსა **სათნო-ვეყავ** მე წინაშე მისსა, მან წარავლინოს ანგელოზი მისი (24, 40);  
და **ნუგეშინის-იცა** ისაკ სარრახსთვს (24, 67);  
ყოველი... სიკუდილისა **თანა-მდებ** იყოს (26, 11);  
და ვიქმნე წინაშე მისსა ვითარცა **შეურაცხის-ყოფელი** (27, 12)...

ამგვარად, წარმოდგენილი ისტორიული სურათის საფუძველზე შესაძლებლობა გვეძლევა მივიღოთ გარკვეული დასკვნები:

კომპოზიტურ სიტყვათა დაწერილობის ის წესები, რომლებიც აკაკი შანიძემ შეიმუშავა, უფრო მეტად ამსახველი აღმოჩნდა ძველი ქართულის შესაბამის ენობრივ მონაცემთა ბუნებისა. შესაძლებელია, ძველი ქართულის ფაქტორი განაპირობებდა კიდევ მეცნიერის შეხედულებათა ჩამოყალიბებას ამ სფეროში, რამდენადაც მის გრამატიკულ კონცეფციას, საზოგადოდ, გამსჭვალავს ენობრივ მოვლენათა ისტორიული გააზრება, მონაცემების სისტემატიზაციის დიაქრონიული პრინციპი. ამავ დროს, აკაკი შანიძის კომპოზიციის წესების შესაბამისობა, ადეკვატურობა ძველი ქართულის ჰიპოთეტური რთულფუძიანი წარმონაქმნების ბუნებასთან სავარაუდებელია აგრეთვე შემდეგი დამატებითი ფაქტორებით:

1. ჩვენ ზუსტად არ ვიცით (შეუძლებელია ვიცოდეთ), როგორ წარმოთქვამდა კონკრეტულ შემთხვევაში ძველი ქართველი რთულფუძიანი სიტყვებს, რამდენად

<sup>1</sup> ა. შანიძე შესავალში აღნიშნავს ამ გარემოებებს: „ამ ნაკვეთის გამოშვებით განახლებულია ოცდაათი წლის წინათ შეწყვეტილი მუშაობა ოშკური ხელნაწერის კრიტიკული გამოცემისათვის. რაგინდ სასიხარულოც უნდა იყოს ეს ამბავი, არ შემიძლია მაინც დიდი გულის ტკივილით არ აღვნიშნო: ვაი რომ სამუდამოდ შესვენებულია ამ საქმის წამომწყები დიდი ნიკო (+1934 წ.) და ორი მისი თანამშრომელი: დიდი ივანე (+1940) და ნიჭიერი იოსებო, რომელიც ადრე გამოეთხოვა წუთისოფელს (1919). ამ სტრიქონების დამწერს ვალად აძევს, განაგრძოს და ბოლომდე მიიყვანოს მათი სანუკვარი საქმე“ (შანიძე 1947: IX). ამ კომენტარის სქოლიოში ა. შანიძე ამასაც აღნიშნავს: „ამ ნაკვეთის კორექტურების კითხვაში მშველოდნენ პროფ. ილია აბულაძე და დოც. ი. იმანიშვილი“).

ინარჩუნებდა ასეთი თხზული ერთეულები ანალიტიკურობას. ამგვარ „შესიტყვე-  
ბათა“ შინაარსობრივი მთლიანობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მათი კომპო-  
ზიცია დასრულებულია.

2. ძველი ხელნაწერი მემკვიდრეობა არ იძლევა რაიმე მინიშნებას ამგვარ  
ერთეულთა დაწერილობისათვის, ვინაიდან სიტყვებიც მიჯრით იწერებოდა  
და არც რაიმე განკვეთილობის ნიშნები ასახავდა ამგვარ ვითარებას. მხოლოდ  
რამდენიმე დაქარაგმებაზე თუ შეიძლება მინიშნება ამ თვალსაზრისით.

3. ცალკეულ რთულფუძიან სიტყვათა ისტორია აშკარად ადასტურებს, რომ  
ძველი ქართული სალიტერატურო ენის მთელ სივრცეზე მიმდინარეობს კომპო-  
ზიტთა შემადგენელი კომპონენტების სინთეზის პროცესი. თავის მხრივ, ამისი  
თვალსაჩინო მაგალითია გარდაუვალ ზმნათა მე-3 სერიის ანალიზურ ფორმათა  
დადგინების სურათი, რომლის თანახმადაც „შესიტყვება“ მიმღეობა + კოპულა  
ძველი ქართული ენის დონეზე დამოუკიდებელ სიტყვათა სტატუსს ინარჩუნებს  
(გამოჩინებულ ვარ), ხოლო შემდგომ ხდება მისი სრული სინთეტიზაცია: *გამოჩე-  
ნილ-ვარ > გამო-ვჩენილ-ვარ, გამოჩენილ-ვიყავ > გამო-ვჩენილიყავ...*

უნდა ვივარაუდოთ, რომ სინთეტიზაციის ანალოგიური გზა უკვე გაუვლია  
ძველი ქართული რთული ფუძეების ერთ ნაწილს, ხოლო დანარჩენი ცოცხალი  
კომპოზიციის პროცესი თითქოს ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს. ასეთ ჯგუფებს,  
აკაკი შანიძის თეორიის მიხედვით, წარმოგვიდგენენ:

- ა) ე. წ. რთული ზმნები (*ჯერ-არს, ნათელ-სცა, შებმა-უყო...*);
- ბ) მიმღეობიანი კონსტრუქციები (*კეთილის-მოქმედი, გულ-წყებული,  
პურის-მტე, ხელ-ქმნილი...*);
- გ) ატრიბუტულმსაზღვრელიანი კომპოზიტები (*ტვრთ-მძიმე, გულ-ძვრი...*)<sup>1</sup>;
- დ) სუბსტანტიურ მსაზღვრელიანი კომპოზიტები (*უფლის-წული,  
დედის-ძმა...*);
- ე) მნიგნობრული წინდებულებიანი კონსტრუქციები (*თანა-ნადები,  
წინა-აღმდგომი, შინა-არსი...*) და სხვ.

ეს წესები, ფაქტობრივ, უკვე წარმოადგენს სამნიგნობრო ტრადიციას, ანუ  
ნორმას, ძველი ქართული ენობრივი წყაროების აკადემიური პუბლიკაციისათვის.  
ერთადერთი, შესაძლებელია მსჯელობა ცალკეულ შემთხვევათა სტრუქტურულ-  
სინტაგმატური ბუნების, იგივე მათი უფრო ადეკვატური დაწერილობისათვის.

---

<sup>1</sup> ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ ჩვენების მიხედვით, ე. წ. რთული  
ზმნებისა და ატრიბუტულმსაზღვრელიანი (მათ შორის - მიმღეობიანი) კომპოზიტების  
დაწერილობა გაირჩევა: *გულის-წყრომა, გულის-თქუმა*, მაგრამ *გულისხმა, გულდადე-  
ბული...* *თუალ-ღება, თუალ-ყოფა*, მაგრამ *თუალბოროტი, თუალძვრი, თუალდანუხვი-  
ლი* და სხვ.

## ლიტერატურა

- ე. ბაბუნაშვილი**, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბილისი, 1970.
- ვეფხისტყაოსანი**, ან ახალი დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა ჟამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა ვახტანგისათა, შრომითა და წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა... ქალაქსა ტფილისსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და თორმეტსა (1712).
- ვეფხისტყაოსანი** შოთა რუსთაველისა, გამოცემული **გ. დ. ქართველიშვილის** მიერ, ტფილისი, 1888.
- თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები**, პირველი კრებული, თბილისი, 1970.
- კ. კეკელიძე**, კიმენი, 1, ტფილისი, 1918.
- კონდაკი**, ან ახალი დაბეჭდული ქართულსა ენასა ზედა... შრომითა და წარსაგებელითა საფასეთათა განმგებელისა მისისა ბატონის შვილის უფლისა **ვახტანგისსა**, ქალაქსა ტფილისისასა, 1710.
- Март Н.** Георгий Мерчуле, Житие Григория Хандзтийского. - ТР, VII, С-Пб., 1911.
- Март Н.** Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI-XII века, С-Пб., 1909.
- სალიტერატურო ქართულის ნორმები**. 1. თბილისი, 1936.
- ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია**, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, 1, თბილისი, 1946; 2, თბილისი, 1949.
- ა. შანიძე**, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო. ტუმ, ტ. 3, ტფილისი, 1923.
- ა. შანიძე**, ხანმეტი მრავალთავი, ტუმ, 7, 1927.
- ა. შანიძე**, ქართული გრამატიკა. 1. მორფოლოგია. ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. ტფილისს - 1930.
- ქართული ოთხთავის** ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, ა. შანიძის რედაქციით, თბ. 1945.
- წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი**, ტ. 1, ნაკვ. 1, 978 წლის ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1947.
- ა. შანიძე**, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976.
- ა. შანიძე**, წესები კომპოზიციების დანერისათვის (პროექტი). - სალიტერატურო ქართულის საჭირბოროტო საკითხები, „განათლება“, გვ. 111-112.
- ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის ქრესტომათია, **ა. შანიძის** რედაქციით, თბილისი, 1934.
- ივ. ჯავახიშვილი**, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, წიგნი 1, ტფილისი, 1920.



## აკაკი შანიძე – ახალი ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელი

ქართული მეცნიერების ისტორიაში აკაკი შანიძე განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მას პეტერბურგის უნივერსიტეტში კლასიკური თეორიულ-ლინგვისტური მომზადება არ გაუვლია (იგი უფრო როგორც ფართო პროფილის ფილოლოგოსი გადიოდა მომზადებას, ვიდრე საკუთრივ ლინგვისტი-თეორეტიკოსი), აკაკი შანიძე, მის მიერ შექმნილი ქართული გრამატიკული სისტემის წყალობით, ენათმეცნიერებაში ფაქტობრივად იმ თეორიულ-ლინგვისტური მიმდინარეობის წინამორბედი აღმოჩნდა, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც სტრუქტურულ-ფუნქციური; მიუხედავად იმისა, რომ აკაკი შანიძეს არ მოუცია თავისი ლინგვისტური კონცეფციისა და მეთოდოლოგიის მთლიანი ფორმულირება, ენისადმი (ამ შემთხვევაში ქართული ენისადმი) მთელი თავისი მეცნიერული მიდგომითა და ენობრივი ანალიზის გამოყენებული ხერხებისა და მეთოდების მიხედვით, აკაკი შანიძის ლინგვისტური თეორია უნდა განვიხილოთ, როგორც სტრუქტურულ-ფუნქციური და მეცნიერების ისტორიაში იგი იმ მიმდინარეობებს შევადაროთ, რომლებიც შემდგომ ფერდინანდ დე სოსიურის სინქრონიული თეორიისა და პრადის საენათმეცნიერო სკოლის სტრუქტურალიზმის სახით ჩამოყალიბდნენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკმარისია დავასახელოთ ენობრივ ელემენტთა დაპირისპირების, „ოპოზიციის“, ცნება, რომელსაც, როგორც ენობრივი ანალიზის საფუძველს, ასე ფართოდ იყენებს აკაკი შანიძე; სწორედ ლინგვისტური ოპოზიციის პრინციპზე აიგება არსებითად სტრუქტურულ-ფუნქციურ მიმართულებათა ძირითადი კონცეფციები თანამედროვე ენათმეცნიერებაში.

აკაკი შანიძის მიერ შექმნილ გრამატიკულ სისტემაში წინადადების ცენტრს, მის სტრუქტურულ ლერძს წარმოადგენს ზმნა, რომლის გარშემოც თავს იყრის წინადადების ყველა დანარჩენი წევრი და მას გარკვეული შინაგანი კავშირით ერწყმის; ზმნა განსაზღვრავს წინადადების შინაგან სტრუქტურას, არსებითად, ენის მთელ გრამატიკულ წყობას. ამგვარი გაგება წინადადებისა ყალიბდება აკაკი შანიძესთან საკმაოდ ადრე, ქართული ზმნის ანალიზის პირველი ცდებისთანავე, რაც ბუნებრივად ნაკარნახევი იყო თვით ქართული ზმნის სტრუქტურული ხასიათით, მისი მრავალპირიანობით, რითაც იგი განსხვავდება სხვა ცნობილ ენათა ზმნური სტრუქტურებისაგან.

ეს კონცეფცია მარტივი წინადადების სტრუქტურაში ზმნის ცენტრალური ადგილის შესახებ ევროპულ მეცნიერებაში ფორმდება გაცილებით უფრო გვიან, XX ს-ის 30-იან წლებში, ფრანგი მეცნიერის, ტენიერის, „სტრუქტურული სინტაქსის“ თეორიის სახით.

ქართულ ენათმეცნიერებაში ეს პრინციპები მწყობრ კონცეფციად საკმაოდ ადრე ჩამოყალიბდა, რაც დღეს ამერიკისა და ევროპის ენათმეცნიერების ასეთ



დიდ ინტერესს იწვევს ქართული ენისა და ქართული ენათმეცნიერების მიმართ და რაც აკაკი შანიძის ნამოღვაწარს ამ ინტერესის ცენტრში აყენებს. ქართველმა მეცნიერმა ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის თანმიმდევრული ანალიზისა და შესწავლის პროცესში ემპირიული გზით ფაქტობრივად ჩამოაყალიბა იმ მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები, რომლებიც უფრო გვიან თეორიულ საფუძველს უქმნის ზემოდასახელებულ მიმდინარეობებს ენათმეცნიერებაში. ამდენად, აკაკი შანიძემ ქართული ენის მწყობრი გრამატიკული სისტემის ჩამოყალიბებით ისეთი ენათმეცნიერული ღირებულებანი შექმნა, რომლებიც მნიშვნელოვანია არა მარტო ქართულ-ქართველური ენების შესწავლის თვალსაზრისით, არამედ თეორიულ-ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც საზოგადოდ და ლინგვისტურ თეორიათა და ენათმეცნიერების ისტორიის თვალსაზრისით – განსაკუთრებით.

XX საუკუნის დასაწყისში, უფრო ზუსტად – ოციან წლებში, ენათმეცნიერებაში, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებში, იწყება ფენომენოლოგიური ანალიზის პერიოდი, როდესაც საგანთა და მოვლენათა ისტორიულ შესწავლას ცვლის მათი სისტემური ანალიზი, საგანთა და მოვლენათა გააზრება შინაგან სტრუქტურულ მიმართებათა გამოვლენისა და შესწავლის გზით. მეოცე საუკუნის მეცნიერებისათვის დამახასიათებელია ისტორიზმის, ევოლუციონისტური თვალსაზრისის ერთგვარი შესუსტება და მთელი ყურადღების გადატანა მოვლენათა და მიმართებათა შინაგან სინქრონიულ ანალიზზე.

სწორედ ეს პრინციპებია დამახასიათებელი ამ საუკუნის პირველი ნახევრის თეორიული ენათმეცნიერებისათვის; იგივე პრინციპები დაედო საფუძვლად, ძირითადად, ქართული ენის აკაკი შანიძისეულ ანალიზს.

აქ ეძლევა დასაბამი სწორედ ახალ ქართულ ენათმეცნიერებას. „ახალ ქართულ ენათმეცნიერებაში“ და „ახალ ქართულ მეცნიერებაში“ საზოგადოდ მეგულისხმოვ ქართულ სამეცნიერო დარგებს, რომლებიც ჩამოყალიბდა ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ და რომლებსაც წინა პერიოდში ნიადაგი მოუმზადა ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთა, პირველ რიგში ივანე ჯავახიშვილის, სამეცნიერო შრომებმა. სწორედ ამ შრომებმა ჩაუყარა საფუძველი ახალ ქართულ მეცნიერებას საზოგადოდ, რომელშიც საპატიო ადგილი აკაკი შანიძის საენათმეცნიერო მემკვიდრეობას უკავია.

ამ პერიოდამდე ქართული ენა, ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურა არ იყო საკმაოდ შესწავლილი და შეიცავდა მრავალ ბუნდოვან და გაურკვეველ პრობლემას. ქართული ენის შესწავლა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სხვა ცივილიზებული ერების ენათა შესწავლას. ამ ჩამორჩენის ლიკვიდაცია და ქართული ენის გრამატიკისა და ქართული ენის, როგორც ქართველი ხალხის ეროვნული ენის, შესწავლის მეცნიერულ ნიადაგზე დამყარება აკაკი შანიძის დიდი და უცილობელი დამსახურებაა. იქ, სადაც სტრუქტურული ქაოსი და გაურკვეველობა სუფევდა, აკაკი შანიძემ არაჩვეულებრივი სიცხადე შეიტანა და სტრუქტურული წესრიგი დაამყარა. ამით მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ახალი ქართული ენათმეცნიერების ფართო ასპარეზზე გამოსვლას და აკაკი შანიძე საერთაშორისო წრეებში ერთხმად აღიარეს კავკასიური ენათმეცნიერების პატრიარქად.

დღეს ქართველი ხალხის წარმოჩინება, საზოგადოდ, და საერთაშორისო ასპარეზზე – განსაკუთრებით, სწორედ ქართული მეცნიერების, ქართული კულტურის მეშვეობით უნდა ხდებოდეს, ამ ცნებათა ფართო გაგებით. ეს ერთგვარი ეროვნული თვითმყოფადობის განმტკიცება უნდა იყოს ქართველი ხალხისა მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში.

ამა თუ იმ ხალხის საყოველთაო აღიარების საფუძველს მხოლოდ მის მიერ შექმნილი ობიექტური, ნამდვილი და გაუზვიადებელი მეცნიერული თუ კულტურული ღირებულებები ქმნის, რომლებიც საბოლოო ანგარიშით ამ ხალხის მუდმივ ღირებულებებად იქცევა და რომელთა მიხედვითაც ფასდება მისი წვლილი და ადგილი საკაცობრიო ცივილიზაციაში. სწორედ ამგვარი ჭეშმარიტი მეცნიერული და კულტურული ღირებულებანი უნდა გახდეს ჩვენი ხალხის თვითდამკვიდრების უპირატესი საფუძველი.

ამგვარ გარდაუვალ ღირებულებად იქცა სწორედ ჩვენი კულტურისათვის აკაკი შანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა; სწორედ ამგვარ მუდმივ ფასეულობას წარმოადგენს ჩვენი ერისათვის აკაკი შანიძე.

ეს ჩვენი დიდი მამულიშვილი უნდა იქცეს ქართული მეცნიერების, მთელი ქართული კულტურის მარადიულ სიმბოლოდ.

**მანანა თანდაშვილი**

## **აკაკი შანიძის კვლევითი კონცეპტიდან დიგიტალურ ქართველოლოგიამდე**

ქართული სამეცნიერო აზროვნების განვითარებისა და ქართველოლოგიის სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების ისტორიას თუ გადავხედავთ, სამართლიანად აღმოვაჩინებთ, რომ ქართული საენათმეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ღვანლმოსილი ქართველი მეცნიერი, ბატონი აკაკი შანიძე გახლავთ. ძნელია ერთ სტატიაში ჩამოთვალო მისი მოღვაწეობის ყველა სფერო, უსაზღვროა მისი ინტერესების ფართო ჰორიზონტი: ბატონი აკაკის ბიბლიოგრაფია 700-მდე ნაშრომს ითვლის<sup>1</sup> და თვალსაჩინოდ წარმოაჩენს მის მრავალმხრივ ინტერესს ფილოლოგიის დარგში. იგი ფართო პროფილის ფილოლოგი გახლდათ: იყო ძველი და ახალი ქართული ენის პირველი მეცნიერული გრამატიკის ავტორი, დიალექტოლოგი, ლექსიკოლოგი, რუსთველოლოგი, ფოლკლორისტი, არმენოლოგი, ალბანოლოგი, მუშაობდა ტექსტოლოგიისა და ეპიგრაფიკის საკვანძო საკითხებზე. უზომოდ დიდია აკაკი შანიძის წვლილი საქართველოში სამეცნიერო-აკადემიური ლანდშაფტის შექმნაში – იგი აქტიურად მონაწილეობდა პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში და გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური

<sup>1</sup> <http://akakishanidze.tsu.ge/Home/Bibliography>, ბიბლიოგრაფია შეიქმნა სტუდენტური სამეცნიერო პროექტის „აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკა და ტექსტკორპუსი“ ფარგლებში პროფ. დარეჯან თვალთვაძის ხელმძღვანელობით.

მოღვაწეობისა, არაერთი მნიშვნელოვანი წამოწყებისა და სიახლის ინიციატორი და ხელშემწყობი იყო: უნივერსიტეტში საფუძველი ჩაუყარა საგამომცემლო საქმეს, ხელმძღვანელობდა საგამომცემლო კომისიას და დაარსებიდან 1930 წლამდე სათავეში ედგა უნივერსიტეტის ბეჭდურ ორგანოს „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, თანამოაზრეებთან ერთად შექმნა უნივერსიტეტისათვის სასიცოხლოდ მნიშვნელოვანი რგოლი – სამეცნიერო ბიბლიოთეკა და წლების განმავლობაში იღვწოდა მის გასაფართოვებლად, იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანადამფუძნებელი და ერთ-ერთი პირველი წევრ-აკადემიკოსი (1941).

აკაკი შანიძის ინტერესების პალიტრა ჯერ კიდევ მისი სანკტ-პეტერბურგში სწავლის პერიოდში შეიკრა, როდესაც ნიკო მარის რჩევით ფშავსა და ხევსურეთს ეწვია დიალექტოლოგიური მასალების შესაგროვებლად (1911 წ.), ხოლო მოგვიანებით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით თუშეთის, მთიულეთის, ფშავის, ხევისა და ხევსურეთის სოფლები მოიარა მთის დიალექტების უკეთ შესასწავლად. სანკტ-პეტერბურგში ყოფნის პერიოდშივე დაინტერესდა ახალგაზრდა მეცნიერი ქართული ხელნაწერებით და სანკტ-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერების შესწავლა დაიწყო. 1916 წელს კი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დავალებით მოიარა სამეგრელო და რაჭა დიალექტოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების შესაკრებად.<sup>1</sup>

სამეცნიერო მოღვაწეობის ადრეულ ასაკში ინტერესთა ამგვარმა მრავალფეროვნებამ განაპირობა მისი, როგორც მეცნიერის ფორმირება და, რაც მთავარია, მისი სამეცნიერო კონცეპტის ჩამოყალიბება. თავისთავად იმ გარემოებამ, რომ აკაკი შანიძეს უშუალო შეხება ჰქონდა ქართული ენის ორივე – როგორც წერილობით, ისე ზეპირმეტყველების ფორმასთან, განაპირობა მისი მოღვაწეობის სპეციფიკა: საფუძვლიანი და ღრმა თეორიული კომპეტენციის გარდა აკაკი შანიძე ფლობდა უზარმაზარ ემპირიულ მასალას, რაც საშუალებას აძლევდა ეკვლია ქართული ენა როგორც დიაქრონული, ისე სინქრონული თვალსაზრისით, ერთი მხრივ, და ღრმად ჩაეხედა ქართულის როგორც სალიტერატურო ენის, ისე ზეპირმეტყველების სტრუქტურაში. მეცნიერის მიერ შეგროვებული ზეპირმეტყველების უზარმაზარი ტექსტური რესურსები ერთ-ერთ პირველ ინტერდისციპლინურ რესურსს წარმოადგენდა, რომელიც არა მხოლოდ ლინგვისტიკის, არამედ ეთნოგრაფიის, სოციოლინგვისტიკის, ისტორიისა და სხვა ჰუმანიტარული დარგებისათვის მნიშვნელოვან კვლევით პოტენციალს შეიცავდა. მეცნიერის ხელთ არსებული უზარმაზარი ემპირიული რესურსების მეცნიერული დამუშავება სწორ მეთოდურ მიდგომას მოითხოვდა და აქაც აკ. შანიძე უაღრესი თანმიმდევრულობით გამოიჩინა. კომპარატივისტიკის მეთოდის პარალელურად კვლევის პროცესში იგი ეფექტურად იყენებდა მონაცემთა დამუშავების სტატისტიკურ მეთოდს, რომელიც იმ პერიოდისათვის სამწუხაროდ მანუალურად ხორციელდებოდა, თუმცა სწორედ ეს მეთოდი განაპირობებდა აკაკი შანიძის კვლევის ეფიციენტურობას. სტატისტიკის ფორმატი საშუალებას არ გვაძლევს უფრო დანვრილებით ვისაუბროთ აკაკი შანიძის სამეცნიერო შემოქმედების ცალკეულ სფეროებზე,

<sup>1</sup> აკაკი შანიძის ბიბლიოგრაფია, შ. ძიძიგური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, იხ. <http://akakishanidze.tsu.ge/Home/Bibliography>

რათა უკეთ გამოიკვეთოს მისი სამეცნიერო კონცეპტი, მაგრამ თავს უფლებას მივცემთ, მოკლედ შევაჯამოთ და ასე შევაფასოთ იგი: **ემპირიზმი, ინტერდისციპლინურობა, სისტემური მეთოდურობა**. სწორედ ეს სამი კომპონენტი ქმნის აკაკი შანიძის სამეცნიერო მოღვაწეობის ქვაკუთხედს, სწორედ ის, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქართველოლოგიის 21-ე საუკუნეში ღირსეულად შებიჯება, კერძოდ **დიგიტალური ქართველოლოგიის** დაბადება.

**დიგიტალური ქართველოლოგია** 21-ე საუკუნის მეცნიერების პირმშოა. მისი წარმოშობა, ისევე როგორც ზოგადად, **დიგიტალური ჰუმანიტარიის** წარმოშობა, ადამიანის ცნობიერებისა და ყოფიერების სფეროში მიმდინარე ევოლუციით არის განპირობებული. ტექნიკურმა რევოლუციამ და მისმა თანმდევმა საყოველთაო გლობალიზაციამ შეუქცევადი გახადა სამყაროს „გაციფრების“ პროცესი - დღეს წარმოუდგენელია ადამიანის კულტურულ-მენტალური და ინტელექტუალური რეალიზაცია ციფრული რესურსების გარეშე.

**დიგიტალური ჰუმანიტარიის** წარმოშობის აუცილებლობა, ზოგადად, თავად ჰუმანიტარული მეცნიერების შიგნით მიმდინარე კვლევითი პროცესების ტექნოლოგიზებით იყო განპირობებული, რამაც კვლევის **კვანტიტატიური** და **კვალიტატიური ასპექტები** ერთ სიბრტყეში მოაქცია. დიდი მოცულობის ემპირიული რესურსების - **დიდი მონაცემების (big data)** სწრაფი დამუშავების აუცილებლობამ, ერთი მხრივ, და მონაცემთა სისტემური დამუშავების - **კლასტერული ანალიზის ავტომატიზების** შესაძლებლობამ, მეორე მხრივ, სრულიად ახალი პერსპექტივები გაუხსნა ჰუმანიტარული მეცნიერების ისეთ დარგებს, როგორცაა ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ფილოსოფია, ისტორიოგრაფია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, მუსიკათმცოდნეობა, კულტუროლოგია და ა.შ.

ემპირიული რესურსების რაოდენობრივი და თვისობრივი დამუშავების სინქრონიზაცია აუცილებლობით გულისხმობს **ინდუქციური** და **დედუქციური** კვლევის ერთ სიბრტყეში მოთავსებას. რესურსების სტატისტიკური მეთოდებით დამუშავების შედეგად მიღებული შედეგების **კლასტერული ანალიზი** (ანუ **ერთგვაროვან** და განსხვავებულ ობიექტთა დაჯგუფება აგრომელაციური და იერარქიული სტრუქტურების გენერირების მიზნით) კიდევ უფრო მყარს ხდის **თეორიულ პოსტულატებს**, შესაბამისად, იქმნება სამეცნიერო კვლევის თვისებრივად ახალი პროცესი, რომელიც თავის თავში ერთდროულად მოიცავს ორ კვლევით კომპონენტს: **რაოდენობრივი სიგნიფიკანტურობის დადგენას** და **სამეცნიერო პოსტულატების ავტომატურ გენერირებას**. პირველი კომპონენტი - **რაოდენობრივი სიგნიფიკანტურობა** - ემპირიული რესურსების სისტემურ დამუშავებას გულისხმობს და ორი პარამეტრით განისაზღვრება:

1. **რესურსების მოცულობა** - აღნიშნული პარამეტრი სტატისტიკურად გაზომვადია და დამოკიდებულია მონაცემთა მოპოვების, შენახვისა და დამუშავების ტექნოლოგიური საშუალებების განვითარებაზე;

2. **რესურსების დამუშავების სისწრაფე** - აღნიშნული პარამეტრი იზომება **ეფიციენტობის ხარისხით** და დამოკიდებულია მონაცემთა დამუშავების ტექნოლოგიურ პროგრესზე.



თანამედროვე კვლევებისათვის აუცილებელი ეს ორი პარამეტრი ლოგიკურ ურთიერთმიმართებაში იმყოფება: რაც უფრო მაღალია რესურსების მოცულობა (რაც თავისთავად გულისხმობს მონაცემთა მოპოვების, შენახვისა და დამუშავების ტექნოლოგიური საშუალებების მაღალ ხარისხს), მით უფრო ზუსტია ავტომატურად გენერირებადი სამეცნიერო პოსტულატები, რაც, შესაბამისად, რესურსების აღწერის ადეკვატურობის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს.

კვლევითი პროცესის მეორე კომპონენტი – **სამეცნიერო პოსტულატების ავტომატური გენერირება** – პირველი კომპონენტის წარმატებით განხორციელებაზე არის დამოკიდებული, თუმცა დამატებით მოითხოვს **მიღებული შედეგების ვერიფიცირებას**. მართალია, **კლასტერიზაცია** მონაცემთა ქაოტური სიმრავლიდან ერთგვაროვან და განსხვავებულ ობიექტთა დაჯგუფებას ითვალისწინებს, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება აგრომელაციური და იერარქიული სტრუქტურების გენერირება, მაგრამ ეს პროცესი აუცილებლობით არ გულისხმობს მონაცემთა ავტომატურ სისტემატიზაციას, ანუ **ქაოტური სიმრავლიდან სტრუქტურირებული სიმრავლის შექმნას**. შესაბამისად, კვლევის დიგიტალური მეთოდი გულისხმობს კვანტიტატიური და კვალიტატიური მეთოდების სიმბიოზს – **ფენომენების აღწერას (Description)** და **ფენომენების სამეცნიერო ახსნას (Explanation)**, რაც განაპირობებს სტატისტიკურად გამყარებულ დებულებათა გენერირებას და სისტემურად განპირობებულ ახალ თეორიებს წარმოშობს. ამ გზით მიღებული თეორიები, რომლებიც დიდ ემპირიულ მონაცემთა დამუშავების შედეგად იქმნება, ემპირიულად დადასტურებული თეორიებია და ემპირიული ადეკვატურობის მაღალი ხარისხით ხასიათდება.

რესურსების მოპოვებისა და შენახვის ახალი ტექნოლოგიების შექმნამ, ერთი მხრივ, და რესურსების ავტომატური დამუშავების ტექნოლოგიების განვითარებამ, მეორე მხრივ, სრულიად ახალი პერსპექტივა შეუქმნა ჰუმანიტარული დარგის მკვლევრებს: **მონაცემთა დიდი ბაზების** (ე.წ. „დიდი მონაცემები“ *Big Data*) არსებობამ და **რესურსების დიგიტალური მეთოდებით დამუშავებამ** დააჩქარა და დახვეწა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კვლევის პროცესი, რამაც, თავის მხრივ, ახალი სამეცნიერო დისციპლინის – **დიგიტალური ჰუმანიტარიის (Digital Humanities)**<sup>1</sup>, ჩვენ შემთხვევაში კი **დიგიტალური ქართველოლოგიის** განვითარება გამოიწვია.

ვიდრე **დიგიტალური ქართველოლოგიის** შესახებ ვისაუბრებთ, აუცილებლად უნდა განვსაზღვროთ ცნებისა და ტერმინის ურთიერთმიმართების საკითხი „ქართველოლოგიასთან“ მიმართებაში.

სამეცნიერო ტერმინოლოგიური და ენციკლოპედიური ლექსიკონების მიხედვით **ცნება** არის აზროვნების ერთ-ერთი ლოგიკური ფორმა, განზოგადების უმაღლესი დონე და განისაზღვრება, როგორც **ლოგიკურად გაფორმებული ზოგადი აზრი საგანზე**. მისი მეშვეობით ხდება რაიმე საგნის, მოვლენის, ობიექტური სინამდვილის და ა.შ. შემეცნება. შესაბამისად, ცნება შეიძლება განვიხილოთ, როგორც **შემეცნების ოპერატორი**. ცნების შემუშავება ხორციელდება **განსაზღვრების საშუალებით**, რომლის სინონიმადაც ქართულენოვან ლიტერატურაში

<sup>1</sup> მ. თანდაშვილი, მ. ყამარაული, შესავალი დიგიტალურ ქართველოლოგიაში, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი, 2021 წ., გვ. 7-9.



გამოიყენება ლათინური ტერმინი *დეფინიცი* (ლათ. *definitio*) ცნების მოკლე, ზუსტი და ლოგიკური განსაზღვრება მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით. დეფინიციის მეშვეობით ჩვენ გამოვთქვამთ ჩვენს აზრს ან დამოკიდებულებას აღსანიშნი ობიექტის შესახებ ორი არსებითი ნიშნის მიხედვით: ეს არის **ცნების მოცულობა და შინაარსი**. ცნების მახასიათებლების ერთობლიობა ქმნის ცნების შინაარსს, ხოლო შინაარსით განსაზღვრული საგნების რაოდენობა – ცნების მოცულობას. არსებობს კანონზომიერი ურთიერთდამოკიდებულება ამ ორ მახასიათებელს შორის: რაც უფრო ფართოა ცნება მოცულობით, მით უფრო ღარიბია ის შინაარსით და, პირიქით, შინაარსით მდიდარი ცნება უფრო მეტად ისწრაფვის კონკრეტულობისაკენ და, მაშასადამე, ნაკლებია მისი მოცულობაც.<sup>1</sup>

**ტერმინი** (ლათ. *terminus*) კი არის სიტყვა ან სიტყვათა შეთანხმება, რომელსაც იყენებენ მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ხელოვნებაში, ტექნიკაში, წარმოებაში და სხვ.<sup>2</sup> ეს არის ცნების ვერბალური განსხეულება, რომელიც ზუსტად გადმოსცემს მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან რომელიმე სხვა დარგის გარკვეული ცნების შინაარსსა და მოცულობას.

თუ ცნების განსაზღვრებისას მოგვეთხოვება ვიყოთ თანმიმდევრულები, ტერმინის შერჩევის დროს მეტი თავისუფლება გვაქვს მოცემული ტერმინის შემუშავება კონვენციის (შეთანხმების) შედეგად ხორციელდება. ტერმინი შეიძლება შევარჩიოთ ენაში უკვე არსებული ლექსიკიდან, ან ვისესხოთ სხვა ენიდან. მთავარია, ცნების განსაზღვრებისა და კონვენციურად მიღებული მისი აღმნიშვნელი ტერმინის დადგენის შემდეგ აღარ შევცვალოთ ცნების ოპერატორი და მიღებული ტერმინი მსჯელობის (ან უბრალოდ, კომუნიკაციის) პროცესში მუდმივად ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოვიყენოთ.

რაც შეეხება ტერმინს „**ქართველოლოგია**“, იგი ორი მნიშვნელობით გამოიყენება და ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც ცნების მოცულობის, ისე შინაარსის მიხედვით: ფართო გაგებით იგი მიემართება „ქართველთმცოდნეობას“ და მოიცავს „ქართველებისა და საქართველოს შემსწავლელ ყველა ჰუმანიტარულ დარგს: ენათმეცნიერებას, ლიტერატურათმცოდნეობას, ხელოვნებას, არქეოლოგიას, ფოლკლორისტიკას, ეთნოგრაფიას, ნუმიზმატიკას, სფრაგისტიკას, ისტორიას, ეკონომიკას, სამართალმცოდნეობას, ეპიგრაფიკას, პალეოგრაფიას, ნყაროთმცოდნეობას და ა.შ.“<sup>3</sup> ასეთ შემთხვევაში ტერმინი „ქართველოლოგია“ უნდა განვიხილოთ, როგორც **ტრანსდისციპლინური ტერმინი**<sup>4</sup>. საგულისხმოა, რომ, ქართული სამეცნიერო ლანდშაფტის განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებით კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბების შემდგომ, სწრაფად იწყო განვითარება ქართველოლოგიაში შემავალმა დარგებმა, რამაც ცნების „ქართველოლოგია“

<sup>1</sup> იხ. Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10224>), უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=214972>)

<sup>2</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (<http://ena.ge/explanatory-online>)

<sup>3</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, გვ. 464, თბ. 1986 წელი.

<sup>4</sup> ინგლისური ტერმინოლოგიურად განასხვავებს „ქართველოლოგიის“ ფართო და ვიწრო გაგებას: Kartvelian study vs. Kartvelology.

დავინროვება გამოიწვია და პრაქტიკულად **ქართველური ენების კვლევის სფეროდ** „გაფორმდა“, რის შედეგადაც, შესაბამისად, ტრანსდისციპლინური ტერმინიდან **ლინგვისტურ ტერმინამდე** ჩამოქვეითდა.

დიგიტალური ქართველოლოგიის განვითარება, დიგიტალური რესურსების ინტერდისციპლინურობიდან გამომდინარე, ამ პროცესის შებრუნებული მიმართულებით განვითარების ტენდენციებს გვიჩვენებს, რამდენადაც 21-ე საუკუნეში მეცნიერების განვითარება სინერგეტიკულობით ხასიათდება, რაც თავისთავად იწვევს ჰუმანიტარული კვლევების თვისებრივად ახალი ფორმატის ჩამოყალიბებას – ინტერდისციპლინური კვლევებიდან მეცნიერება ტრანსდისციპლინურ კვლევებზე გადადის.<sup>1</sup>

თუ აკაკი შანიძის შემოქმედებას გადავხედავთ და კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს მის სამეცნიერო მემკვიდრეობას, დავრწმუნდებით, რომ უმნიშვნელოვანესი ნიშანი, რომლითადაც მისი კვლევები ხასიათდება, გახლავთ **კვლევის სიღრმე და კომპლექსურობა**. იგი არ თავსდება ერთი რომელიმე დარგის ვიწრო ინტერესებში, მისი ნაშრომები, როგორც წესი, ფართო სპექტრს მოიცავს და ინტერდისციპლინური კვლევის საუკეთესო მაგალითად გვევლინება. სწორედ ამიტომაც, რომ აკაკი შანიძე დღემდე რჩება ქართველოლოგიის ფუძემდებლად, მეცნიერად, რომლის ნაშრომებსაც გვერდს ვერ ავუვლით ქართველოლოგიის საკვანძო საკითხებზე მსჯელობისას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აკ. შანიძის მეცნიერული მემკვიდრეობა მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო დიგიტალური ქართველოლოგიის განვითარების გზაზე.

**დიგიტალური ქართველოლოგიის**, როგორც ქართველოლოგიის თვისებრივად ახალი ფორმის განვითარება რამდენიმე, როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური ისე რესურსებრივი, კომპონენტის არსებობას მოითხოვს:

➤ ტრადიციული ქართველოლოგიის თეორიულ განვითარებას (the oretical update);

➤ ქართული ენის გაციფრების ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას – ქართული ანბანის საერთაშორისო სტანდარტიზაციას და ნორმალიზაციას (UNICODE based standards);

➤ დიგიტალური კვლევების განხორციელებისათვის აუცილებელი ინტერდისციპლინური დიგიტალური რესურსების ანუ „დიდი მონაცემთა ბაზების“ შექმნას (big data);

➤ მეტაენის „გაქართულებას“;

➤ ქართველოლოგთა ახალი, „დიგიტალური თაობის“ შექმნას.

მიუხედავად იმისა, რომ აკ. შანიძის „ქართული გრამატიკა I, მორფოლოგია“ 1930 წელს გამოიცა, იგი ათწლეულების განმავლობაში წარმოადგენდა ქართული თეორიული აზროვნების განვითარების არსებით საფუძველს. ქართველ მეცნიერთა შემდგომი თაობის მთელი პლეადა (ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, მზ. შანიძე, თ. გამყრელიძე, ზ. სარჯველაძე, თ. უთურგაიძე, ბ. ჯორბენაძე, დ. მელიქიშ-

<sup>1</sup> 1st World Congress of Trandisciplinarity, Preamble. Convento da Arrábida, Portugal, 1994, November 2-6.

ვილი, გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული და სხვ.) სწორედ აკ. შანიძის მეცნიერული თეორიის განვითარებისა და გაღრმავების გზით ავითარებს ქართულ სამეცნიერო აზროვნებას. დღეს ვერ დაასახელებთ ვერც ერთ თანამედროვე ლინგვისტურ პრობლემას, რომელიც არ იყოს მოხსენიებული და აღწერილი აკ. შანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში, შეიძლება არა იმ ტერმინოლოგიით, როგორსაც დღეს ვიყენებთ თანამედროვე ენათმეცნიერებაში ბოლო ათწლეულებში (მაგ.: ვალენტობა, აქტანტიანობა, მოდალობა, ევიდენციალობა, რეფერენციულობა და ა.შ.), მაგრამ ეს ფენომენები შემჩნეული და პირველად აღწერილი აქვს მეცნიერს თავის ნაშრომებში. სწორედ ამიტომაც, რომ თანამედროვე ლინგვისტური (და არა მარტო ლინგვისტური) ნაშრომები, როგორც წესი, აკ. შანიძის დებულებების მოხსენიებითა და განხილვით იწყება.

დიגיტალური ქართველოლოგიის განვითარების მეორე აუცილებელ წინაპირობას - ქართული ენის გაციფრების ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას - ქართული ანბანის საერთაშორისო სტანდარტიზაციის და ნორმალიზაციის საკითხი წარმოადგენს, რომელზე მუშაობაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში წამოიწიეს ქართველმა და გერმანელმა მეცნიერებმა. დღეისათვის ქართული ანბანის სამივე სახე არის უნიკოდში ასახული: ასომთავრული (U+10A0 – U+10C5)<sup>1</sup>, ნუსხა-ხუცური (U+2D00 – U+2D25)<sup>2</sup> და მხედრული (U+10D0 – U+10F5).<sup>3</sup> ქართველური ენების მონაცემთა გათვალისწინებით, უნიკოდში უკვე განთავსებული ნუსხა-ხუცური მოგვიანებით გერმანელი ქართველოლოგის იოსტ გიპერტის ინიციატივით განივრცო რამდენიმე გრაფემით და დიაკრიტიკული ნიშნებით



<sup>1</sup> <http://www.unicode.org/charts/PDF/U10A0.pdf>

<sup>2</sup> <http://www.unicode.org/charts/PDF/U2D00.pdf>

<sup>3</sup> ზოგადი ინფორმაცია UNICOD-ის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: <http://www.unicode.org>, ხოლო UNICOD7-ის ფარგლებში შემუშავებული კოდები <http://www.unicode.org/charts/>.

(10F1-10F9, 10FA, 10FB, 10FC, 10FD, 10FE, 10FF), რამაც შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ ქართულის, არამედ ქართველური ენების (და საქართველოში გავრცელებული ნოვა-თუშურის) ნორმალიზაცია უნიკოდში.<sup>1</sup>

**Georgian**


	10A	10B	10C	10D	10E	10F
0	Ⴀ	Ⴁ	Ⴂ	Ⴃ	Ⴄ	Ⴅ
1	Ⴆ	Ⴇ	Ⴈ	Ⴉ	Ⴊ	Ⴋ
2	Ⴌ	Ⴍ	Ⴎ	Ⴏ	Ⴐ	Ⴑ
3	Ⴒ	Ⴓ	Ⴔ	Ⴕ	Ⴖ	Ⴗ
4	Ⴘ	Ⴙ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ
5	Ⴞ	Ⴟ	Ⴀ	Ⴁ	Ⴂ	Ⴃ
6	Ⴄ	Ⴅ		Ⴇ	Ⴈ	Ⴉ
7	Ⴊ	Ⴋ	Ⴌ	Ⴍ	Ⴎ	Ⴏ
8	Ⴑ	Ⴒ		Ⴔ	Ⴕ	Ⴖ
9	Ⴗ	Ⴘ		Ⴚ	Ⴛ	Ⴜ
A	Ⴝ	Ⴞ		Ⴟ	Ⴀ	Ⴁ
B	Ⴃ	Ⴄ		Ⴅ	Ⴆ	Ⴇ
C	Ⴉ	Ⴊ		Ⴋ	Ⴌ	Ⴍ
D	Ⴏ	Ⴐ	Ⴑ	Ⴒ	Ⴓ	Ⴔ
E	Ⴖ	Ⴗ		Ⴘ	Ⴙ	Ⴚ
F	Ⴜ	Ⴝ		Ⴞ	Ⴟ	Ⴀ

	2D0	2D1	2D2
0	Ⴅ	Ⴆ	Ⴇ
1	Ⴈ	Ⴉ	Ⴊ
2	Ⴍ	Ⴎ	Ⴏ
3	Ⴒ	Ⴓ	Ⴔ
4	Ⴗ	Ⴘ	Ⴙ
5	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ
6	Ⴄ	Ⴅ	
7	Ⴊ	Ⴋ	Ⴌ
8	Ⴑ	Ⴒ	
9	Ⴗ	Ⴘ	
A	Ⴝ	Ⴞ	
B	Ⴃ	Ⴄ	
C	Ⴉ	Ⴊ	
D	Ⴏ	Ⴐ	Ⴑ
E	Ⴖ	Ⴗ	
F	Ⴜ	Ⴝ	

საგულისხმოა, რომ უნიკოდში ნუსხა-ხუცურის ჩამატება იოსტ გიპერტის სახელთან არის დაკავშირებული. ქართული ენის კიდევ ერთი გრაფიკული ვერსიის სტანდარტიზაცია/ნორმალიზაციის აუცილებლობა ი. გიპერტის მიერ იმ გარემოებით იქნა დასაბუთებული, რომ ზოგიერთი ქართული ხელნაწერის დიგიტალიზაცია, როგორცაა, მაგალითად, ერთ-ერთი ხელნაწერი სინას კოლექციიდან (Sin.georg.30, სადაც ასომთავრული და ნუსხური ანბანით შესრულებული ტექსტის გვერდით მხედრული ანბანით მიწერილი კოლოფონი დასტურდება) გარდაუვლად მოითხოვდა სამივე შრიფტის უნიფიცირებას.

<sup>1</sup> აღნიშნული გრაფემების დამატება განხორციელდა საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის „ARMAZI“ ერთ-ერთი ქვეპროექტის „Ausarbeitung von Codierungs standards für die autochthonen Sprachen des Kaukasus“ ფარგლებში.





Sin. georg. 30, fol. 75r

ქართველოლოგიისათვის დიდი მონაცემთა ბაზის შექმნა ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა. ქართული ხელნაწერების გაციფრება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო იოსტ გიპერტიმ, როდესაც გრაციის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერების (მათ შორის სინას ლექციონარის) დიგიტალური ვერსია შექმნა. მოგვიანებით მან წარმატებით გააგრძელა ქართული ხელნაწერების დიგიტალიზაცია ქართველ კოლეგებთან ერთად საერთაშორისო პროექტების ფარგლებში:

1. 1999-2002: საერთაშორისო პროექტი „არმაზი: კავკასიური ენები და კულტურები – ელექტრონული დოკუმენტაცია“ (ფოლკსვაგენის ფონდის დაფინანსებით, ხელმ.: ი. გიპერტი, მ. თანდაშვილი)
2. 2004-2006: კავკასიური წარმოშობის პალიმფსესტები (ფოლკსვაგენის ფონდის დაფინანსებით, ხელმ.: ი. გიპერტი, ვ. შულცე, ზ. ალექსიძე, ჟ.-პ. მაე)
3. 2006-2009: მათეს და მარკოზის სახარების რედაქციების კრიტიკული გამოცემა (INTAS-ის დაფინანსებით, ხელმ.: ი. გიპერტი, დ. თვალთვაძე, ბ. უტიე)
4. 2009-2019: ქართული პალიმფსესტური ხელნაწერები (ფოლკსვაგენის ფონდის დაფინანსებით, ხელმ.: ი. გიპერტი, დ. თვალთვაძე, ბ. უტიე)<sup>1</sup>

<sup>1</sup> პროექტი, რომელიც რამდენიმე ეტაპად ხორციელდებოდა, გასულ წელს დასრულდა, რითაც შეიქმნა ათონის ქართულ ხელნაწერთა სრული დიგიტალური კორპუსი, ათონის ქართული ხელნაწერების კატალოგი კი ქართულ, ინგლისურ და ბერძნულ ენებზე ახლახან გამოიცა.



5. 2011-2014: ოთხთავის ქართული თარგმანების პარალელური კორპუსი (ფრანკფურტის უნივერსიტეტის დიგიტალური ჰუმანიტარიის ცენტრის LOEWE-ს პროექტი, ჰესენის მიწის მეცნიერებისა და ხელოვნების სამინისტროს დაფინანსებით, ხელმ.: ი. გიპერტი)

6. 2012-2015: ქართული ენის ეროვნული კორპუსი – ტექნოლოგიური ჩარჩო (ფოლკსვაგენის ფონდის დაფინანსებით, ხელმ.: ი. გიპერტი, მ. თანდაშვილი)

7. 2015-2019: ქართული ენის ეროვნული კორპუსი – თემატური კორპუსები: პოლიტიკური ზეპირმეტყველების კორპუსი, იურიდიულ დოკუმენტთა კორპუსი (ფოლკსვაგენის ფონდის დაფინანსებით, ხელმ.: ი. გიპერტი, მ. თანდაშვილი)

აღნიშნული საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა **ქართული ენის ეროვნული კორპუსი**, რომელშიც გაერთიანდა ქართული ენისათვის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილი დიგიტალური რესურსები: TITUS-ის, ARMAZI-ის (ფრანკფურტის უნივერსიტეტი, გერმანია), GEKKO-ს (პაულ მოირერის ქართული ენის კორპუსი, ნორვეგია) და ქართული დიალექტური კორპუსის რესურსები (არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველო).

The screenshot shows the GNC website interface. The main heading is 'ქართული ენის ეროვნული კორპუსი' (The Georgian National Corpus). Below it, there is a table listing various corpora. The table has columns for 'კორპუსი' (Corpus), 'ენა/ენები' (Language/Languages), 'მოცულობა (სიტყვები & უწყებები)' (Volume (Words & Documents)), 'აქტუალიზებულია' (Updated), and 'აღწერა' (Description).

კორპუსი	ენა/ენები	მოცულობა (სიტყვები & უწყებები)	აქტუალიზებულია	აღწერა
GNC ძველი ქართული	Old Georgian (oge)	6 062 122	2019-06-25	ქართული ენის უროვნული კორპუსი, ძველი ქართული
GNC საშუალო ქართული	Georgian (ket)	1 432 262	2019-06-25	ქართული ენის უროვნული კორპუსი, საშუალო ქართული
GNC ახალი ქართული	Georgian (ket)	2 108 370	2019-06-25	ქართული ენის ეროვნული კორპუსი, ახალი ქართული
GRC	Georgian (ket)	202 728 329	2016-12-05	ქართული ენის რეფერენციალური კორპუსი
GDC	Georgian (ket)	1 694 362	2015-09-14	ქართული დიალექტური კორპუსი
SSGG	Georgian (ket)	152 708	2015-09-14	სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში
GNC პოლიტიკური ტექსტები	Georgian (ket)	1 436 075	2019-08-06	ქართული ენის უროვნული კორპუსი, პოლიტიკური ტექსტები
GNC იურიდიული ტექსტები	Georgian (ket)	1 495 985	2019-04-15	ქართული ენის უროვნული კორპუსი, საშუალო ქართული, იურიდიული ტექსტები
GNC მეგრული	Mingrelian (xmf)	89 404	2015-09-14	ქართული ენის უროვნული კორპუსი, მეგრული
GNC სვანური	Svan (sva)	473 180	2015-09-14	ქართული ენის უროვნული კორპუსი, სვანური

ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ასევე გაერთიანდა ენის ელექტრონული დოკუმენტაციის თანამედროვე მეთოდებით (დოკუმენტაციის პრინციპების გათვალისწინებით) მოპოვებული რესურსები, რომლებიც საერთაშორისო კოოპერაციული პროექტების ფარგლებში შეიქმნა:

1. 2002-2005: საფრთხეში მყოფი კავკასიური ენები საქართველოში (ფოლკსვაგენის ფონდის დაფინანსებით, ხელმ.: ი. გიპერტი, მ. თანდაშვილი)

2. 2006-2009: სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში (ფოლკსვაგენის ფონდის დაფინანსებით, ხელმ.: ი. გიპერტი, მ. თანდაშვილი)


3. 2016-2020: ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი (საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, ხელმ.: მ. თანდაშვილი, რ. ხალვაში)

კვლავ ბატონი აკაკის დამსახურებას რომ დავუბრუნდეთ და თვალი გადავავლოთ აქ წარმოდგენილი დიგიტალური რესურსების მოცულობასა და თემატურ მრავალფეროვნებას, ცხადად წარმოჩნდება ტრადიციული ქართველოლოგიის განვითარების გზა დიგიტალურ ქართველოლოგიამდე, კერძოდ:

**1. ტექსტების მანუალური დამუშავებიდან დიგიტალურ კორპუსებამდე:**

ქართული ენის სისტემური გრამატიკის შექმნა, ისევე როგორც მრავალრიცხოვანი ნაშრომები, რომლებიც ლინგვისტურ (ზოგადად ფილოლოგიურ) საკითხებს ეძღვნებოდა, მხოლოდ მრავალრიცხოვანი ტექსტების დამუშავების შედეგად იყო შესაძლებელი. დღეისათვის ყველა ეს ტექსტი ქართული ენის ეროვნულ კორპუსშია განთავსებული და დიგიტალური კვლევის საშუალებას იძლევა. ქართული ენის ეროვნული კორპუსის მოცულობა (დღევანდელი მონაცემებით 202 728 329 ტოკენი) საშუალებას იძლევა ქართული ენა ვიკვლიოთ როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული თვალსაზრისით. ქართული წერილობითი ძეგლების, განსაკუთრებით კი პალიმფსესტების დიგიტალიზაციამ სრულიად ახალი ბიძგი მისცა ქართველოლოგიის განვითარებას. როგორც ცნობილია, ზმნის ხანმეტი და ჰაემეტი ფორმები პირველად აკ. შანიძემ აღწერა და ემყარებოდა ივ. ჯავახიშვილისა და აკ. შანიძის მიერ გამოცემულ ფრაგმენტებს თბილისური პალიმფსესტური ხელნაწერებიდან (A-737, A-89, A-844, H-999, H-1329 და S-3902), ასევე იაკობის პირველსახარების ვენურ პალიმფსესტს Codex Vind. georg. 2, ოქსფორდულკემბრიჯული იერემიას ფრაგმენტს, გრაცის სინას ლექციონარს და რამდენიმე წარწერას. ძველი ქართული ენის ძეგლების დიგიტალიზაციამ, რომელიც ზ. სარჯველასის ინიციატივით და იოსტ გიპერტან თანამშრომლობით განხორციელდა (1997) ფრანკფურტის უნივერსიტეტში, მნიშვნელოვნად გაამდიდრა კვლევის საბაზისო მასალა – ხანმეტური ძეგლების ნუსხა, რამაც ხანმეტი ფორმების სია მნიშვნელოვნად განავრცო.<sup>1</sup> აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ პალიმფსესტების დიგიტალიზაციის პროცესში ი. გიპერტის მიერ გამოყენებული ტექნოლოგიური სიახლე, კერძოდ, მულტისპექტრული აპარატის MUSIS-ის გამოყენება ქართული პალიმფსესტების გასაშიფრად, რამაც პრაქტიკულად 95 პროცენტამდე გაზარდა ტექსტის წაკითხვადობა. შდრ.:

*ფოტოგამოსახულება მულტისპექტრული ანალიზის შედეგი*



<sup>1</sup> ახლად აღმოჩენილი ხანმეტი ფორმების შესახებ იხ. ი. გიპერტი, სიახლენი ხანმეტობიდან, ენათმეცნიერების საკითხები I-II, 2009, გვ. 164-184.

აკაკი შანიძე თავის ნაშრომებში დიდ ადგილს უთმობდა ქართველური ენების შესწავლას. ცნობილია მისი დამსახურება სვანური ენის მასალების შეგროვების, დამუშავებისა და გამოცემის საქმეში. მის კალამს ეკუთვნის ფუძემდებლური ნაშრომი „უმლაუტი სვანურში“ (1925), რომელსაც დღესაც, თითქმის ერთი საუკუნის გასვლის შემდეგაც, არ დაუკარგავს სამეცნიერო მნიშვნელობა და აქტუალობა. აკ. შანიძის ღვაწლი იმთავითვე აისახა დიგიტალური ქართველოლოგიის განვითარების პირველსავე ეტაპზე: სამეცნიერო პროექტის ARMAZI-ის ბაზაზე განხორციელდა აკ. შანიძის, ვ. თოფურიას და მ. გუჯეჯიანის მიერ გამოცემული სვანურის მასალების დიგიტალიზაცია<sup>1</sup>, ხოლო მოგვიანებით, სამეცნიერო პროექტის Endangered Caucasian Languages in Georgia (ECLING), ფარგლებში მოპოვებულ იქნა სვანური დიალექტების ახალი მასალები, მათ შორის, პირველად იქნა დოკუმენტირებული კოდორის ხეობის სვანური მეტყველება<sup>2</sup>.

**2. ოთხთავის აკადემიური გამოცემიდან ოთხთავის პარალელურ კორპუსამდე:** აკაკი შანიძეს უაღრესად დიდი წვლილი მიუძღვის არა მარტო ქართული ხელნაწერების შესწავლაში, არამედ ქართული ბიბლიის ტექსტის მეცნიერულ შესწავლასა და მისი აკადემიური გამოცემის საქმეში. აკ. შანიძის მიერ 1945 წელს გამოცემული ოთხთავის აკადემიური რედაქცია, რომელიც IX-X საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით არის დამუშავებული, უდიდესი მოვლენა იყო ქართული ფილოლოგიის ისტორიაში. ერთმანეთის გვერდით, პარალელურად წარმოდგენილი სახარების ორი რედაქცია (სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით) არსებითად პირველ პროტოტიპულ ვერსიას წარმოადგენს თანამედროვე დიგიტალური პარალელური კორპუსებისა. ივ. იმნაიშვილის ავტორობითა და აკ. შანიძის რედაქტორობით გამოცემული, ქართული ფილოლოგიის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი – ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი<sup>3</sup> კი, რომელზედაც წლების განმავლობაში მუშაობდნენ ქართველი მეცნიერები, ტექსტის დიგიტალურად დამუშავების შედეგად გენერირებული ინდექსის მანუალურად შესრულებული უზადო ვერსიას. დიგიტალური ქართველოლოგია დღეს აქტიურად იყენებს ტექსტების დიგიტალური მეთოდებით დამუშავების ტექნოლოგიებს, მათ შორის ტექსტების დაპარალელების და ინდექსაციის პროგრამულ რესურსებს. სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეიქმნა ფრანკფურტის უნივერსიტეტში ოთხთავის ქართული თარგმანების პარა-


<sup>1</sup> ARMAZI-ის პროექტის ქვეპროექტი Svanica-Megrelica შეიცავს აკ. შანიძის, ვ. თოფურიასა და მ. გუჯეჯიანის მიერ გამოცემულ სვანური პოეზიის ტექსტებს, აკ. შანიძის და ვ. თოფურიას მიერ გამოცემულ სვანურ პროზაულ ტექსტებს და სხვა უკვე გამოქვეყნებულ მასალებს; ასევე მეგრულ ტექსტებს კრებულიდან Сборник материалов, ი. ყიფშიძის, მ. ხუბუას და დანელია-ცანავას მიერ გამოცემულ ტექსტებს. იხ. <http://armazi.uni-frankfurt.de/framed.htm>

<sup>2</sup> სვანური მასალები დიგიტალიზებულია დოკუმენტირების თანამედროვე მეთოდებით და განთავსებულია TITUS-ის ბაზებში, იხ. <http://titus.fkdig1.uni-frankfurt.de/ecling/ecling02.htm#dProjekt>, ასევე ქართული ენის ეროვნულ კორპუსში და ნეიმეხენის მაქს პლანკის ინსტიტუტის ენათა არქივში.

<sup>3</sup> ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, რედ. აკ. შანიძე, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1948-1949.



**ლელური კორპუსი Tetraevangelium (synopsis completa)**<sup>1</sup> საძიებო სისტემითა და სტრუქტურული ელემენტების (თაგების, მუხლების) დაპარალელების შესაძლებლობით<sup>2</sup>. კორპუსში შესულია როგორც ხანმეტი პალიმფსესტური ხელნაწერები (A-89/A-844), ისე ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერები (ადიშის (897), ჯრუჭის (H-1660), პარხლის (A-1453), ქსნის (A-509), სინური (Sin-15 და Sin-30), ანბანდიდი (Sak.ark.N-107), ოპიზის (913 წ.), ბერთას (X ს.), ტვიბერის (Xს.), ურბნისის (XIს.), პალესტინის (1048 წ.), ქურაშის (Xს.), ვანის (1335 წ.), ეჩმაიძინის (XII-XIIIს.), გელათის (Q-908), Cod. Vind.georg.1 (XIIIს.)) და ქართული ხელნაწერების დღეისათვის არსებულ ერთ-ერთ რეპრეზენტატიულ დიგიტალურ ბაზად არის მიჩნეული.




კორპუსში ოთხთავის ქართული თარგმანები (როგორც გამოცემული და გამოუცემელი) დიგიტალიზებული და დაპარალელებულია არა მარტო ცალკეული ქართული ხელნაწერების მიხედვით, არამედ შეიცავს ბერძნულ და სომხურ დაპარალელებულ ვერსიებსაც, რაც საშუალებას აძლევს მკვლევარს მსოფლიოს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში გაბნეული ხელნაწერები სწრაფად და ეფექტურად დაამუშაოს „ვირტუალურ სივრცეში“. დღევანდელი გადასახედიდან ადვილი წარმოსადგენია, რამდენად შეუმსუბუქებდა შრომას ბატონ აკაკისა და მისი თაობის მკვლევრებს მანუალურად დამუშავების მეთოდის ნაცვლად დიგიტალური მეთოდის გამოყენება და რამდენად უადვილებს იგი კვლევას თანამედროვე მეცნიერებს.

<sup>1</sup> LOEWE Text collection: NT Novum Testamentum georgice, ob. <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/ntkpl/ntkpl.htm>

<sup>2</sup> პროექტი შესრულებულია ლ. სამუშიას და ნ. დუნდუას მიერ ფრანკფურტის უნივერსიტეტის დიგიტალური ჰუმანიტარიის ცენტრში, ჰესენის მიწის მეცნიერებისა და ხელოვნების სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

### 3. წარწერების გაშიფვრიდან დიგიტალურ ეპიგრაფიკულ კორპუსებამდე:

ქართული ხელნაწერების დიგიტალიზაციის პარალელურად საგანგებო პროექტების ფარგლებში განხორციელდა ქართული წარწერების დიგიტალიზაცია. დღეისათვის ორი ეპიგრაფიკული კორპუსი არის შექმნილი: ილიას უნივერსიტეტში „საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსი“<sup>1</sup>, რომელიც აერთიანებს საქართველოში აღმოჩენილ ან დაცულ უმდიდრეს ეპიგრაფიკულ მემკვიდრეობას (რესურსები დოკუმენტირებულია ლაიდენის კონვენციის ციფრული მემკვიდრის - EpiDoc-ის მიხედვით) და ფრანკფურტის უნივერსიტეტში შექმნილი „ქართული წარწერების კორპუსი“<sup>2</sup>, რომელიც აერთიანებს ქართულ წარწერებს უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე. ქართული წარწერების კორპუსი განთავსებულია TITUS-ის ბაზებში, ასევე ინტეგრირებულია ქართული ენის ეროვნულ კორპუსში.



ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების დიგიტალიზაციამ და ელექტრონული ბაზების შექმნამ ადვილად წვდომადი გახადა სხვადასხვა მასალაზე შესრულებული და გეოგრაფიულად საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ გაფანტული ქართული წარწერები და გააადვილა მათი კვლევა.

**ქართული წარწერების კორპუსის მეტაინფორმაციის სტრუქტურა.** ელექტრონული ბაზები მოიცავს არა მხოლოდ ლინგვისტურ მასალას (ტექსტურ რესურსებს), არამედ მეტამონაცემებსაც: ეპიგრაფიკული ძეგლის ფიზიკურ მახასიათებლებს, აღმოჩენის დროს, ადგილს, ლოკაციას, სამუზეუმო ექსპონატების


<sup>1</sup> <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/institutebi-451/lingvistur-kvlevata-centri-467/saqartvelos-epigrafikuli-korpusi>

<sup>2</sup> <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etcg/cauc/ageo/inscr/carcera/carce.htm>






4. „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია-ლექსიკონიდან „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების პარალელურ კორპუსამდე: ცნობილია, თუ რამხელა ღვაწლი მიუძღვის აკაკი შანიძეს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრებთან ერთად პოემის აკადემიური ტექსტის დადგენასა და გამოცემაში. გარდა ცნობილი აკადემიური გამოცემებისა<sup>1</sup>, მან ცალკე გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია-ლექსიკონი<sup>2</sup>, რაც თავისი დროისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე გახლდათ რუსთველოლოგიისათვის. ბუნებრივია, რომ ქართული და მსოფლიო დამწერლობის ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი დიგიტალური ქართველოლოგიის განვითარების ერთ-ერთ წინაპირობად იქცა. პოემის დიგიტალური ვერსია ჯერ კიდევ 90-იან წლებში მოამზადა იოსტ გიპერტმა ვახტანგ იმნაიშვილთან ერთად და ხელმისაწვდომი გახადა პოემა დიგიტალური კვლევის თვალსაზრისით. უკანასკნელ წლებში ილიას უნივერსიტეტში „ქართული ენის კორპუსის“ ფარგლებში განხორციელდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების მასშტაბური დიგიტალიზაცია (პროექტის ხელმ. ნ. დობორჯგინიძე), რომელიც შოთა რუსთაველის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა.<sup>3</sup> „ვეფხისტყაოსნის“ კორპუსში შევიდა პოემის გამოცემული (ძირითადი გამოცემები) და ხელნაწერი ნუსხების გაციფრებული ვერსიები. კორპუსი მოიცავს პოემის როგორც სრულ, ისე ფრაგმენტულ ვერსიებს და წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ყველაზე სრულ ციფრულ არქივს.



2018 წელს ფრანკფურტის უნივერსიტეტში დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების სრულმასშტაბიანი დიგიტალიზაცია (ხელმ. მ. თანდაშვილი). პროექტის მიზანია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების (55 ენაზე) პარალელური კორპუსის შექმნა, რაც საშუალებას მოგვცემს კორპუსში არა მარტო თავი მოვუყაროთ თარ-

<sup>1</sup> იხ. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, რედ.: აკ. შანიძე, 1975 წ.; შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, რედ.: ალ. ბარამიძე კ. კეკელიძე, აკ. შანიძე, 1957 წ.  
<sup>2</sup> ვეფხისტყაოსნის სიმფონია. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1956  
<sup>3</sup> <http://corpora.iliauni.edu.ge/?q=ka/node/11>


გმანების დიგიტალურ ვერსიებს, არამედ განვახორციელოთ ორიგინალისა და თარგმანების შედარებითი ანალიზის ავტომატიზება თარგმანის სტრატეგიების კვლევისა და სხვადასხვა ენაზე პოემის თარგმანების შედარების მიზნით. პროექტი ასევე მიზნად ისახავს თარგმანმცოდნეობის, როგორც თარგმანის პროცესის



კვლევის, დიგიტალიზაციას და გულისხმობს თარგმანის სტრატეგიების კვლევის ტექნოლოგიზაციას. დღეისათვის შექმნილია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების პარალელური კორპუსის პროტოტიპული ვერსია, რომელიც პოემის თარგმანებს შეიცავს 13 ენაზე. ორივე ზემოთ დასახელებული კორპუსი („ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების პარალელური კორპუსი და „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების პარალელური კორპუსი) წარმოადგენს აკ. შანიძის მიერ დაწყებული უდიდესი ღვაწლის კანონზომიერ და ლოგიკურ გაგრძელებას, რაც უდავოდ გახდება **დიგიტალური რუსთველოლოგიის** განვითარების საფუძველი.

**5. დიალექტური მასალების მოპოვებიდან დოკუმენტაციამდე:** აკ. შანიძემ ქართული ენის სტრუქტურის სისტემური შესწავლა ქართული დიალექტების შესწავლით (ტექსტების ჩანერით და მათი სისტემური ანალიზით) დაიწყო. ახალგაზრდა მეცნიერის მოღვაწეობა ამ მიმართულებით გზის გამკვლევი აღმოჩნდა დიალექტოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბებისათვის. სწორედ ამიტომ, სამართლიანად მიიჩნევა აკ. შანიძე დიალექტოლოგიის ფუძემდებლად. აღსანიშნავია, რომ მის მიერ გასული საუკუნის დასაწყისში დაწყებული სამუშაო – დიალექტოლოგიური მასალების მოპოვება – ძალიან ახლოსაა იმ მეთოდებთან, რომელსაც დღეს იყენებს მეცნიერება და რომელმაც ენათა (და კულტურათა) დოკუმენტირების თანამედროვე მიმართულებას – დოკუმენტაციას ჩაუყარა საფუძველი. აკ. შანიძე ინტუიტიურად გრძნობდა მასალის ბუნებრივ გარემოში ჩანერის მნიშვნელობას და რესპოდენტთა შესახებ დამატებითი მონაცემების შეკრების აუცილებლობას, რაც მის ჩანაწერებში ნათლად არის ასა-

ხული.<sup>1</sup> იგი ხშირად წუხდა მთქმელების შესახებ ნაკლები ინფორმაციების გამო: „არა მაქვს აღნიშნული, ვინ ჩამინერა“ (ხევს. №6), „ძალზე მოხუცი დედაკაცი, უკანაფშავი. 1911“ (თუშ. №1). დღეს თანამედროვე დიგიტალური დიალექტოლოგიური ბაზები აღჭურვილია არა მარტო მეტაინფორმაციებით (ინფორმაცია მთქმელის შესახებ), არამედ ჩანერილი მასალების ინტერდისციპლინური ხასიათის მეტამონაცემებითაც, რაც საშუალებას გვაძლევს საძიებო სისტემის გამოყენებით მოვიპოვოთ ჰომოგენური რესურსები გარკვეული ნიშნის მიხედვით (მაგ.: ლინგვისტური vs. არალინგვისტური მასალა, მონოლოგი vs. დიალოგი, ელიციტაციის მეთოდით ჩანერილი მასალა, თემატური მასალები: სამეურნეო – ყურძნის კრეფა/დანურვა, პურის გამოცხობა, ყველის ამოყვანა, ეთნოგრაფიული – თონეს მშენებლობა, ეთნოლოგიური - ტრადიციული რიტუალები და სხვ.). 21-ე საუკუნის დასაწყისში დიალექტური მასალების დიგიტალიზაცია მასშტაბურად განხორციელდა არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში, რომელშიც შევიდა როგორც უკვე არსებული დიალექტური რესურსები, ისე ახლად მოპოვებული მასალები (ხელმ. მ. ბერიძე).<sup>2</sup>



დიალექტური მასალების მოპოვების, დიგიტალიზაციის, არქივირებისა და შენახვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით შეიქმნა მეორე „დიდ მონაცემთა ბაზა“ – „ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი“ (ხელმ.: მ. თანდაშვილი, რ. ხალვაში, პროექტი შესრულდა ბათუმის უნივერსიტეტში და აფინანსებდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი)<sup>3</sup>, რომელიც აჭარის რეგიონ-


<sup>1</sup> „...ძირითადი მოთხოვნილება დიალექტური მასალების შეკრებისა ისაა, რომ ჩანერილი იქნეს ყველაფერი ისე, როგორც არის ნამდვილად და იმდენად შესაკრები მასალის რაოდენობას კი არ გამოვეყიდოთ, რამდენადაც ხარისხს. სჯობს შეგროვდეს ცოტა, მაგრამ სანდო და ზუსტი, ვიდრე ბევრი და ცუდი“.

<sup>2</sup> <http://www.corpora.co>


<sup>3</sup> <http://digiarchive.bsu.edu.ge>



ში მოპოვებულ, ინტერდისციპლინური კვლევებისათვის განკუთვნილ ვრცელ მასალას (100 საათი) მოიცავს:




არქივის მასალები უახლესი ტექნოლოგიური პროგრამების ფორმატში არის არქივირებული და შეესაბამება ნეიმეხენის მაქს პლანკ ინსტიტუტის ენათა არქივის მიერ შემუშავებულ დოკუმენტირების საერთაშორისო სტანდარტებს: ვიდეო-, აუდიო- და ტექსტური მონაცემები ერთ მულტიმედიალურ ფორმატში - **ELAN Annotation Format** – (<http://www.file-extension.org/de/extensions/eaf>) არის გაერთიანებული, ლინგვისტური ანალიზისათვის კი გამოყენებულია ტექსტის გლოსირებისა და ანოტირების ინსტრუმენტი **Fieldworks Language Explorer (FLEX)**:





**6. ზმნის მორფოლოგიური პარადიგმიდან ფუნქციურ-სემანტიკურ პარადიგმამდე:** აკ. შანიძის მიერ სისტემატიზებული ზმნის უღვლილების პარადიგმა იმ ძირითად საყრდენს წარმოადგენს, რომელზედაც აიგო შემდგომ ზმნის ახალი თეორიული თუ ფორმალური მოდელები. ეს ეხება როგორც ფორმოზრივ, ისე სისტემურ მხარეს: უღვლილების პარადიგმას, მწკრივთა რაოდენობას, მწკრივში ზმნურ ფორმათა რაოდენობას, ზმნის კომპლექსურ-ფუნქციურ-სემანტიკურ პარადიგმას. ყველა მომდევნო ნაშრომებში, რომელიც ქართული ზმნის ფორმალ-ზაციას ეძღვნებოდა (ივ. და ვ. იმნაიშვილების, თ. გამყრელიძის, ზ. სარჯველაძის, თ. უთურგაიძის, გ. გოგოლაშვილის, ა. არაბულის, დ. მელიქიშვილის, რ. ასათიანის, მ. თანდაშვილის და სხვ.), აკ. შანიძის გრამატიკის საფუძვლები საყრდენ და ამოსავალ წერტილად რჩებოდა. ქართული ენის დიგიტალიზაციამ თავისთავად მოითხოვა ქართული ენის გრამატიკის დიგიტალურ წესებად გადაწერის აუცილებლობაც, ე.წ. **მორფოსინტაქსური წესების დიგიტალური კორპუსის შექმნა**. ქართული ენის ეროვნული კორპუსის სინტაქსური ანალიზატორი, რომელიც ნორვეგიელი მეცნიერის პაულ მოირერის მიერ არის შექმნილი, ერთ-ერთ ასეთ „დიგიტალური გრამატიკის“ რეპრეზენტაციას წარმოადგენს:



**7. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნიდან დიგიტალური ჰუმანიტარიის მეტაენის გაქართულებამდე:** როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, აკაკი შანიძის გრამატიკა ქართული ენისათვის შექმნილი პირველი სისტემური გრამატიკაა, რომელმაც საფუძველი დაუდო სისტემურ გრამატიკულ აზროვნებას და დღემდე რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად არსებულ ყველა გრამატიკებს შორის. გრამატიკულ ცნებათა ის სისტემა, რომელიც დღემდე გამოიყენება ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად აკაკი შანიძის შექმნილია და საყოველთაოდ გამოყენებული ქართულ ენათმეცნიერებაში: ყველა ავტორი, რომელიც ლინგვისტური პრობლემატიკის შესახებ მსჯელობს, აკაკი შანიძის მიერ დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას ხმარობს. ცნობილია, თუ

რა რუდუნებით ეკიდებოდა აკ. შანიძე თავის თანამოაზრეებთან ერთად ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის საკითხს, ვინაიდან კარგად ესმოდა მეტაენის გაქართულების მნიშვნელობა ეროვნული მეცნიერების განვითარების საქმეში. სამწუხაროდ, ქართული ენის დიგიტალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ მოიკოჭლებს ამ თვალსაზრისით: დიგიტალიზაციას საოცარი სისწრაფით შემოაქვს ახალი ცნებები და მათი აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, უცხოენოვანი სიტყვების ქართულ (და ხშირად არამართებულ) ტრანსკრიფციას წარმოადგენს. სულ რამდენიმე ნაშრომი შეიძლება დავასახელოთ ამ მიმართულებით, მათ შორის, ბექდური რესურსი „კორპუსლინგვისტიკის ცნებების გლოსარიუმი“ (თანდაშვილი, ფურცხვანიძე 2014), რომელიც დიგიტალური ჰუმანიტარიის საზაფხულო სკოლის მონაწილეებისთვის შეიქმნა და რომელშიც თავმოყრილია კორპუსლინგვისტიკის ძირითადი ცნებები და შესაბამისი ტერმინების ქართული ეკვივალენტები განმარტებებითურთ და დიგიტალური რესურსი **ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსი**<sup>1</sup>. ამ მიმართულებით სამუშაო კიდევ ბევრია და ამას გვავალებს ბატონი აკაკისა და ჩვენი უფროსი თაობის თავდადებული შრომა, რომელიც გასწიეს მათ ქართული სამეცნიერო ენის შესაქმნელად და მისი ეკოლოგიის შესანარჩუნებლად.

დაბოლოს, საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ ბატონი აკაკის პედაგოგიური მოღვაწეობა და მისი განსაკუთრებული ღვაწლი ახალი თაობის აღზრდის საქმეში. დიგიტალური ქართველოლოგიის განვითარება არ ნიშნავს მხოლოდ დიდ მონაცემთა ბაზების შექმნასა და კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას. დარგის განვითარება სრულიად წარმოუდგენელია ადამიანური რესურსების გარეშე, კერძოდ, ახალი თაობის აღზრდისა და სამეცნიერო სივრცეში მათი ინტეგრაციის გარეშე. სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა დიგიტალური ჰუმანიტარიის, როგორც ახალი დისციპლინის შეტანა საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამაში. მხოლოდ ილიას უნივერსიტეტმა (სადოქტორო პროგრამა დიგიტალურ ჰუმანიტარიაში 2017 წლიდან) და ბათუმის უნივერსიტეტმა გაულოკარი დიგიტალურ ჰუმანიტარიას (მაინორი პროგრამა დიგიტალურ ჰუმანიტარიაში 2015 წლიდან), სადაც 2017 წლიდან ფუნქციონირებს **დიგიტალური ჰუმანიტარიის ცენტრი**. დღემდე დიგიტალურ ქართველოლოგიაში ახალგაზრდა თაობის მომზადება საქართველოში ძირითადად ჩვენ მიერ ინიცირებული სეზონური სკოლების ბაზაზე ხორციელდება: ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. რამაზ ხალვაშთან ერთად და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. დ. თვალთვაძესთან ერთად. დღემდე ჩატარებული 12 სეზონური სკოლა მიეძღვნა დიგიტალური ჰუმანიტარიის სხვადასხვა საკითხებს: დიგიტალური ჰუმანიტარია და ქართველოლოგიის სპეციალური პრობლემები, კორპუსლინგვისტიკა და ქართველოლოგიის სპეციალური პრობლემები, ქართველოლოგია და 21-ე საუკუნის გამოწვევები, თემატური კორპუსების აგების ძირითადი პრინციპები და მეთოდები, ენის ელექტრონული დოკუმენტირება, ენისა და კულტურის დოკუმენტირების ძირითადი პრინციპები და მეთოდები, დიგიტალური ქართველოლოგია, დიგიტალური კავკასიოლოგია.

<sup>1</sup> <http://sml.corpora.co/>

წინამდებარე სტატიაში შევეცადეთ წარმოგვედგინა ის უწყვეტი ხაზი, რომელიც აკაკი შანიძის სამეცნიერო მოღვაწეობით იწყება და ჩვენ თვალწინ ყალიბდება დიגיტალურ ქართველოლოგიად. **დიგიტალური ქართველოლოგიის განვითარება კი დიგიტალური ჰუმანიტარიის ერთ-ერთი თანამედროვე, ეროვნული მიმართულების განვითარებას ნიშნავს, სწორედ იმას, რასაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა ჩვენმა სასიქადულო წინაპარმა, ბატონმა აკაკი შანიძემ. მადლობა მას!**

### გამოყენებული რესურსები:

- აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკა: <http://akakishanidze.tsu.ge/Home/Bibliography>
- აკაკი შანიძის ბიბლიოგრაფია, შ. ძიგური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, იხ. <http://akakishanidze.tsu.ge/Home/Bibliography>
- ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია: სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკ. შანიძემ, ძვ. ქართული ენის ძეგლები, 2, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1945.
- ქართული ენის ეროვნული კორპუსი: <http://gnc.gov.ge/gnc/page>
- ი. გიპერტი, სიახლენი ხანმეტობიდან, ენათმეცნიერების საკითხები I-II, 2009, გვ. 164-184.
- ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონის-ლექსიკონი, რედ. აკ. შანიძე, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1948-1949.
- შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, რედ.: აკ. შანიძე, 1975.
- შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, რედ.: ალ. ბარამიძე კ. კეკელიძე, აკ. შანიძე, 1957.
- ვეფხისტყაოსნის სიმფონია. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1956.
- საფრთხეში მყოფი კავკასიური ენები საქართველოში <http://titus.fkildg1.uni-frankfurt.de/ecling/ecling02.htm#dProjekt>
- სახარების ქართული თარგმანების პარალელური კორპუსი NT Novum Testamentum georgice, იხ. <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/ntkpl/ntkpl.htm>
- საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსი: <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/institutebi-451/lingvistur-kvlevata-centri-467/saqartvelos-epigrafikuli-korpusi>
- ქართული წარწერების კორპუსი: <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etcg/cauc/ageo/inscr/carcera/carce.htm>
- „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა პარალელური კორპუსი: <http://corpora.iliauni.edu.ge/?q=ka/node/11>
- „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების პარალელური კორპუსი: <http://titus.uni-frankfurt.de/texte/caucasica/rustveli/rgd.html>
- დიდი ქართული დიალექტოლოგიური ბაზა და ქართული დიალექტების ელექტრონული კორპუსი: <http://www.corpora.co>
- ბათუმის ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი: <http://digiarchive.bsu.edu.ge>
- ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსი: <http://sml.corpora.co/>
- Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10224>)

უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=214972>)

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (<http://ena.ge/explanatory-online>)

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბილისი, 1986.

1st World Congress of Transdisciplinarity, Preamble. Convento da Arrábida, Portugal, 1994, November 2-6.

უნიკოდის მასალები: <http://www.unicode.org/charts/PDF/U10A0.pdf>,

<http://www.unicode.org/charts/PDF/U2D00.pdf>

## დარეჯან თვალთვაძე

### აკაკი შანიძე ციფრულ ეპოქაში

#### (პროექტი „აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკა და ტექსტკორპუსი“)

აკაკი შანიძე იმ მეცნიერთა რიგს განეკუთვნება, რომლებიც თავიანთი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ეპოქას ქმნიან, ვინც როგორც „მუშაკნი საღმრთოესა მაღლისაჲ“ გამოარჩია განგებამ და რომელთა ნაღვანის „აღწერა და მითხრობა“ ხამს „შემდგომთა ნათესავთა საწურთელად და გულისჯმის-საყოფელად“ (გიორგი მცირე).

XXI საუკუნეში, როცა კაცობრიობა განვითარების ახალ, „ელექტრონულ“ ეტაპზე გადავიდა, რამაც მეცნიერების ყველა დარგის „გაციფრულება“ გამოიწვია, ამ მრავალი ღვაწლის აღმსრულებელი მოღვაწის სახელი და მემკვიდრეობა სათანდოდ უნდა იყოს წარმოდგენილი საქართველოს „ციფრულ რუკაზეც“. ამის გაკეთება კი, უპირველეს ყოვლისა, ევალება და ხელენიფება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომლის დაარსებასა და განვითარებაში აკაკი შანიძის როლი და წვლილი განსაკუთრებულია. სწორედ ამიტომ აკაკი შანიძის საიუბილეო წელს უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორთა და სტუდენტთა ერთობლივ პროექტზე – „აკაკი შანიძე ციფრულ ეპოქაში“, რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს დიდი მეცნიერის სამეცნიერო მემკვიდრეობის ციფრულ ფორმატში გადაყვანა, რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს თანამედროვე ციფრულ ეპოქაში აკაკი შანიძის შრომების ხელმისაწვდომობას და, მეორე მხრივ, აკაკი შანიძის სამეცნიერო შრომების ტექსტურ მონაცემთა ბაზის შექმნით ხელს შეუწყობს ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსლინგვისტური კვლევების განვითარებას.

2017 წლის 26 თებერვალს აკაკი შანიძის საიუბილეო ღონისძიებებზე წარდგენილი იქნა პროექტის კონცეფცია (დარეჯან თვალთვაძე, „აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკა და ტექსტკორპუსი“ – პროექტის კონცეფცია და განხორციელების გზები) და მალევე დაიწყო მუშაობა მის განსახორციელებლად. პროექტის შემსრულებლებად და მხარდამჭერებად მოიაზრებოდნენ თსუ-ს ჰუმანი-

ტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის პროფესორა და სტუდენტები, თსუ-ს სხვადასხვა სტრუქტურ ერთეულთან თანამშრომლობით, როგორებიცაა: ბიბლიოთეკა, მუზეუმი, გამომცემლობა, კინო-ტელე სტუდია „მემატიანე“ და სხვ.

შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ სტუდენტები. პირველ ეტაპზე, უკვე შემუშავებული კონცეფციის საფუძველზე, დაინერა სტუდენტური პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა აკაკი შანიძის უმნიშვნელოვანესი ნაშრომების გაციფრულებას (ტექსტების მომზადებას როგორც ციფრული ბიბლიოთეკისთვის, ისე ტექსტკორპუსისთვის), ვებგვერდისა და კორპუსის მენეჯერის შექმნას.

საპროექტო განაცხადის მიხედვით, პროექტის საბოლოო პროდუქტი უნდა ყოფილიყო **აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკა**, რომელშიც განთავსდებოდა აკაკი შანიძის ძირითადი სამეცნიერო შრომები და **აკაკი შანიძის ტექსტკორპუსი**, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ტექსტურ მონაცემთა ბაზის არა მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისთვის (ავტორების მოძიება, ტექსტების წაკითხვა და სხვ.), არამედ კონკრეტული ენობრივი ფაქტების კვლევისთვის გამოყენებასაც.



კორპუსლინგვისტიკაში, რომელიც ლინგვისტიკის ახალი დარგია, ტერმინი *კორპუსი* (ტექსტკორპუსი ან *ტექსტური კორპუსი*) გამოიყენება რომელიმე ენის წერილობითი ძეგლების ან წერილობით დოკუმენტირებული ზეპირმეტყველების ნაკრების აღსანიშნავად, რომელიც, როგორც წესი, აკმაყოფილებს სამ პირობას: 1. გაციფრებულია, ანუ გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე და არსებობს ელექტრონულად დამუშავებადი ფორმით (ტექსტები სტრუქტურირებულია საგანგებო ნიშნულებით); 2. გარდა საკუთრივ პირველადი, ანუ ენობრივი მონაცემებისა, შეიცავს მეორად ინფორმაციას – მეტამონაცემებს და ლინგვისტურ ანოტაციას და 3. აღჭურვილია კორპუსის მართვის სპეციალური სისტემით – კორპუსის მენეჯერით. ენის კორპუსი მიჩნეულია ენის დოკუმენტირების, შენახვისა და კვლევის ყველაზე ეფექტურ საშუალებად, რაც დღემდე კაცობრიობას შეუქმნია. კორპუსების შექმნა მრავალწლიან მუშაობას მოითხოვს და, როგორც წესი, ის ლინგვისტთა და პროგრამისტთა მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში იქმნება, რამაც განაპირობა პროექტის ფარგლებში თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასისტ. პროფესორ ლიანა ლორთქიფანაძესთან და მის სტუდენტებთან თანამშრომლობა.

2017 წლის ივლისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შიდასაუნივერსიტეტო სტუდენტური ღონისძიებების ფარგლებში დააფინანსა წარდგენილი სამეცნიერო პროექტი „აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკა და ტექსტკორპუსი“, რომლის განხორციელებაში მონაწილეობდნენ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები: ელენე ლურსმანაშვილი, გიორგი ჯღარკავა, მარიამ აბესაძე, სალომე გეგეჭკორი, შოთა პაპავა და კომპიუტერულ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი მანველ კლოიანი; პროექტის მეცნიერ-კონსულტანტები პროფ. დარეჯან თვალთვაძე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტიტუტი) და ლიანა ლორთქიფანაძე (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის




კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი), პროექტს კოორდინირებას უწევდა - თინათინ ჯიქურაშვილი.

იმის გათვალისწინებით, რომ აკაკი შანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა მეტად მრავალმხრივია (700-ზე მეტი ნაშრომის ავტორია) და, გარდა წმინდა ლინგვისტური შრომებისა, მოიცავს მეცნიერის გამოცემულ ძველ ქართულ ტექსტებს და დიალექტურ მასალას, ლექსიკონებს, სამეცნიერო რეცენზიებს და გამოხმაურებებს, მისი რედაქტორობით გამოცემული წიგნების//ლექსიკონების წინასიტყვაობებს, პუბლიცისტურ-პოპულარული შინაარსის პუბლიკაციებს (ეპისტოლუ-




რი მემკვიდრეობა, მოგონებები, გამოსვლები, საგაზეთო წერილები და სხვ.), ამ ტექსტების გაციფრულება და ტექსტკორპუსისთვის რელევანტურ ფორმატში გადაყვანა საკმაოდ შრომატევადი საქმეა და, ცხადია, ერთი სტუდენტური პროექტის ფარგლებში, რომელიც სულ 6 თვეს გრძელდებოდა, ბოლომდე ვერ განხორციელდებოდა. ამიტომ სტუდენტური პროექტის ფარგლებში დასამუშავებლად შეირჩა აკაკი შანიძის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო შრომები, რომლებსაც უნდა მოეცვათ ენათმეცნიერების ყველა ის მიმართულება, რომელშიც მეცნიერს უმუშავია და უკვლევია: ძველი და ახალი ქართული ენა, დიალექტოლოგია, ქართული სამწერლობო ენის ისტორია, უდამწერლობო ქართველური ენები, ეპიგრაფიკა, ლექსიკოლოგია, რუსთველოლოგია და ა.შ. ამ კრიტერიუმის დაცვა მნიშვნელოვანი იყო კორპუსის ბალანსირების თვალსაზრისითაც. ამიტომ პირველ რიგში ციფრულ ფორმატში გადაყვანილ იქნა მეცნიერის შრომების I, II, III, IV, V და IX ტომებში წარმოდგენილი სამეცნიერო სტატიები; აკაკი შანიძის გამოცემული რამდენიმე ძველი ქართული ტექსტი („ხანმეტი ლექციონარი“, „ხანმეტი მრავალთავი“, „პეტრინონის მონასტრის ტიპიკონი“), მისი რედაქტორიზით გამოცემული ნიგნებისთვის დანერილი წინასიტყვაობები.



გარდა ამისა, დამუშავდა და ციფრულ ბიბლიოთეკაში განთავსდა მეცნიერის ბიოგრაფია, ბიბლიოგრაფია, ანოტირებული ფოტომატიანე, ასევე ნიგნები და სტატიები აკაკი შანიძის შესახებ.

პროექტის ფარგლებში 2017 წლის აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა ელენე ლურსმანაშვილმა, გიორგი ჯღარკავამ, მარიამ აბესაძემ, სალომე გეგეჭკორმა, შოთა პაპავამ ელექტრონულ ტექსტურ ფორმატში დაამუშავეს და მეტაინფორმაციით აღჭურვეს აკაკი შანიძის ძირითადი სამეცნიერო შრომები. კერძოდ, მათ შეასრულეს შემდეგი სახის სამუშაოები:


ა. ტექსტების ელექტრონული ვერსიის შექმნა კოდირების საერთაშორისო სტანდარტის (UNICODE) შესაბამისად (ტექსტის ციფრულ ფორმატში გადაყვანა).



ბ. ტექსტის შიდასტრუქტურული დამუშავება რეფერენციის თვალსაზრისით (ელექტრონული ვერსია ზუსტად უნდა ასახავდეს დედნის სტრუქტურას).

გ. ტექსტის დამუშავება მეტამონაცემების თვალსაზრისით (ტექსტის საგანგებო ბაზაში შეტანა, რათა მომხმარებელს კორპუსის მასალების რელევანტური ნიშნების მიხედვით მოძებნა გაუადვილდეს).


ამგვარად დამუშავებული ტექსტების საფუძველზე ციფრული ბიბლიოთეკისა და ტექსტკორპუსის შექმნაზე იმუშავა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა სპეციალობის სტუდენტმა მანველ კლოიანმა, რომელმაც შექმნა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა (კორპუსის მენეჯერი), რომელიც უზრუნველყოფს აკაკი შანიძის შრომებში სხვადასხვა ტიპის ძიებას. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტ მანველ კლოიანს კონ-




სულტაციას უწევდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი ლიანა ლორთქიფანიძე, რომელსაც ეკუთვნის კორპუსში გამოყენებული მორფოლოგიური ანოტირების პროგრამა.

კორპუსში თოთოეული ნაშრომის ახლავს დეტალური ინფორმაცია, სადაც წარმოდგენილია მეტამონაცემები ტექსტის შესახებ, კერძოდ: მონაცემები ავტორის შესახებ (ავტორი/თანაავტორი/რედაქტორი/გამომცემელი, შემდგენელი...), ინფორმაცია პუბლიკაციის ტიპის შესახებ (სამეცნიერო სტატია/მონოგრაფია/სახელმძღვანელო/რეცენზია/გამოცემის წინასიტყვაობა/ტექსტის გამოცემაზე დართული გამოკვლევა/ლექსიკონი/საგაზეთო სტატია/პოპულარული ნაშრომი და ა.შ. ; მონაცემი თარიღების შესახებ (შექმნის თარიღი/პირველი პუბლიკაციის /ბოლო პუბლიკაციის თარიღი და სხვა დამატებითი მონაცემი.

კორპუსში განთავსებული ტექსტის ნახვა შეიძლება როგორც წიგნის ციფრული ფორმატის სახით, ისე ელექტრონული ტექსტის სახით (pdf). ნაშრომის შესახებ მოკლე ინფორმაცია ახლავს მათ ჩამონათვალსაც:





კორპუსში ნაშრომების ძიება მარტივია. შესაძლებელია მათი გადმოწერაც.






კორპუსში სასურველი სიტყვა-ფორმის ძიება შესაძლებელია ოთხი მახასიათებლის მიხედვით (სიტყვა იწყება, სიტყვა მთავრდება, სიტყვა შეიცავს, ზუსტი სიტყვა). თითოეული მათგანის არჩევის შემთხვევაში ეკრანზე გამოჩნდება სტატიები, სადაც საძიებო სიტყვა/ სიტყვის ფორმა მოიძებნა, რაოდენობის მითითებით.







მარტივად არის შესაძლებელი ცალკეულ სტატიებზე გადასვლა და ვრცელი კონტექსტების ნახვა.



შესაძლებელია მონიშნული სიტყვის გრამატიკული მახასიათებლების (სიტყვის ნორმირებული ფორმა და მორფოსინტაქსური ნიშნები) ნახვაც.



პროექტის ფარგლებში შექმნილ ვებგვერდზე განთავსებულია როგორც აკაკი შანიძის ძირითადი სამეცნიერო შრომების ციფრული ვერსიები, ისე სხვა მასალაც აკაკი შანიძის შესახებ. <http://akakishanidze.tsu.ge/>



აქამდე ამგვარი ერთიანი ელექტრონული ბაზის არარსებობა მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდა ქართული ფილოლოგიისა და მომიჯნავე სპეციალობის მკვლევართათვის, სტუდენტებისთვის, რომლებსაც კვლევისა და სწავლის ყველა ეტაპზე სჭირდებათ აკაკი შანიძის, როგორც ენათმეცნიერების კლასიკოსის, ნაშრომები. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში შექმნილი კორპუსის მეშვეობით შესაბამისი დარგის მკვლევარებს ან განსხვავებული ინტერესების მქონე რიგით მომხმარებლებს შეეძლებათ მოიძიონ და ისარგებლონ აკაკი შანიძის სამეცნიერო ნაშრომების გაციფრებული ვარიანტებით, მრავალმხრივი ძიების პროგრამა კი საშუალებას იძლევა დაისახოს კვლევის ახალი პერსპექტივები, რაც უზრუნველყოფს როგორც კორპუსზე დამყარებული, ისე კორპუსით განპირობებული თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომების შექმნას. აკაკი შანიძის ტექსტკორპუსი შეიძლება მოვიაზროთ, როგორც ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსის ქვეკორპუსი, რომელიც ახალი რესურსებით შეავსებს დარგობრივი სამეცნიერო მეტაენის უკვე არსებულ მონაცემთა ბაზას (<http://sml.corpora.co/#/>) და ხელს შეუწყობს სამეცნიერო მეტაენის მეტი სისრულით წარმოჩენას, ცნებითი და ტერმინოლოგიური სისტემის, საენათმეცნიერო აზრის განვითარებისა და ჩამოყალიბების სურათის ჩვენებას.

პროექტის ფარგლებში შექმნილი საბოლოო პროდუქტი ამჟამად განთავსებულია თსუ-ს სერვერზე (ბმული: <http://akakishanidze.tsu.ge/>; <http://textcorpora.tsu>).

ge/Corpus/Search). სიმბოლური იყო ის ფაქტიც, რომ პროექტის შედეგების პრეზენტაცია, ვებგვერდის, ციფრული ბიბლიოთეკისა და ტექსტკორპუსის ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა მოხდა 2018 წლის 26 თებერვალს (აკაკი შანიძის დაბადების დღეს). აღნიშნულ პროექტზე მუშაობამ სტუდენტებს შესძინა დიდ პროფესიული გამოცდილება, გარდა ამისა, მათ საკმაოდ განუვითარდათ პროფესორ-მასწავლებლებთან საქმიანი ურთიერთობისა და ჯგუფური მუშაობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევებიც. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში შექმნილ ციფრულ ბიბლიოთეკასა და ტექსტკორპუსში ახალი მასალების დამატება (ტექსტები, აუდიო/ვიდეო და ფოტომასალა) უწყვეტ რეჟიმში იქნება შესაძლებელი, რაშიც სხვებთან ერთად პროექტში მონაწილე სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას.

უნივერსიტეტის დაარსებიდან ერთი საუკუნის შემდეგ ამ პროექტით აკაკი შანიძის მონაწილეობა მონაწილეობა და სტუდენტები XXI საუკუნის უნივერსიტეტელების სახელით კიდევ ერთხელ მიაგებენ პატივს პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი დიდი მეცნიერის ხსოვნას.

„დიდი საქმე, ზოგადად, მცირით დანეებულა“ (აკაკი შანიძე). ეს პროექტიც უფრო დიდი პროექტების საწინადაარი გახდება, რომლებმაც აკაკი შანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობის სრულად გაციფრულება და სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის მისი ფართოდ გამოყენება უნდა უზრუნველყონ.

## მარინე ივანიშვილი

### ქართულ ენათმეცნიერებაში სტრუქტურალიზმის განვითარების სათავეებთან: აკაკი შანიძე

ამ საკითხისადმი ჩემი ინტერესი და, შესაბამისად, მოხსენების სათაური განაპირობა:

1. გივი მაჭავარიანის ცნობილმა სტატიამ აკაკი შანიძის ენის კვლევის სტრუქტურალისტური მიდგომების შესახებ (გ. მაჭავარიანი, აკაკი შანიძის გრამატიკული კონცეფციის ზოგიერთი საკითხი სტრუქტურული ლინგვისტიკის თვალსაზრისით, „ორიონი“ აკაკი შანიძეს, საიუბილეო კრებული მიძღვნილი აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თსუ, თბილისი 1967: 50-65).

2. პატრიკ სერიოს სულ ახლახან გამოქვეყნებულმა უაღრესად საინტერესო მონოგრაფიამ (პ. სერიო, სტრუქტურა და მთლიანობა, სტრუქტურალიზმის ინტელექტუალური საფუძვლები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში: 1920-30-იანი წლები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2015, თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო თინათინ ბოლქვაძემ).

ყოველი მეცნიერული თეორია არის განსახილველი ობიექტის ამა თუ იმ თვალსაზრისით შესწავლის შედეგად მიღებულ დებულებათა მწყობრი სისტემა. დროთა განმავლობაში იცვლება ხედვა საკვლევ ობიექტზე, იქმნება ახალი თეორიები, ახალი პარადიგმა ცვლის ძველს და პარადიგმათა ამგვარი მონაცვლეობა განაპირობებს მეცნიერების განვითარებას, მის ახალ საფეხურზე ასვლას. მეცნიერების ისტორია განისაზღვრება იმ იდეების საფუძველზე, რომლებიც მკვიდრდება. ახალ თეორიას ძველი თაობა, როგორც წესი, ძნელად იღებს, მაგრამ ესეც ბუნებრივია. საზოგადოდ, ასეა მეცნიერების ყველა დარგში, ასეა - ენათმეცნიერებაშიც.

ენათმეცნიერების განვითარების გზაზე იცვლებოდა მიდგომები ენის შესწავლისადმი, შესაბამისად, ენობრივი ანალიზიც სხვადასხვა თვალსაზრისით წარმოებდა, სხვადასხვა დონეზე და განსხვავებული რაკურსით. თამაზ გამყრელიძე თეორიული ენათმეცნიერების ისტორიას განიხილავს როგორც „მეცნიერულ პარადიგმათა“ ერთგვარ მონაცვლეობას დროსა და სივრცეში და წარმოდგენილი შვიდი პარადიგმიდან IV პარადიგმის ფარგლებში ასახელებს ფერდინანდ დე სოსიურის „სინქრონიულ ლინგვისტიკას“:

- ა) სტრუქტურული ლინგვისტიკა (ნ. ტრუბეცკოი, რ. იაკობსონი);
- ბ) დესკრიფციული ლინგვისტიკა (ლ. ბლუმფილდი და ამერიკელი სტრუქტურალისტები...);
- გ) ენობრივი ტიპოლოგია და ლინგვისტური უნივერსალები (ჯ. გრინბერგი, გ. კლიმოვი...) (გამყრელიძე 2008).

პ. სერიოს ზემოთ დასახელებული წიგნიდან მოვიყვან იაკობსონის ტექსტს, რომელიც შეიძლება ჩავთვალოთ სტრუქტურალიზმის ერთ-ერთ მანიფესტად (სერიო 2015:302): „თუ ჩვენ მოვიხდომეთ მოკლედ ჩამოვაცალიბოთ თანამედროვე მეცნიერების მთავარი აზრი მის მრავალფეროვან გამოვლინებაში, უფრო ზუსტ სიტყვას, ვიდრე *სტრუქტურალიზმია*, ვერ ვიპოვით. მოვლენათა ყოველი ერთობლიობა, რომელსაც თანამედროვე მეცნიერება შეისწავლის, განიხილება არა როგორც ნაწილთა მექანიკური ჯამი, არამედ როგორც სტრუქტურული მთლიანობა, როგორც სისტემა და უმთავრესი მიზანია, რომ აიხსნას მისი შინაგანი კანონები სტატიკასა და დინამიკაში. თანამედროვე სამეცნიერო ინტერესთა სფეროში გარეგანი იმპულსი კი არ არის, არამედ ევოლუციის შინაგანი პირობები, არა გარეგანი მექანიკური ფორმების გენეზისი, არამედ მისი ფუნქცია“ (იაკობსონი 1929).

მთლიანობა შეიძლება გადმოიცეს ორგვარად:

1. ან მიმართებები გვაძლევს საშუალებას გამოვავლინოთ არსი, რომელიც „არსებობს“, როგორც სამეცნიერო და როგორც ემპირიული ობიექტი;

2. ან მთლიანობის ელემენტები ურთიერთგანპირობებულია ერთიანი ორგანიზმის ნაწილების მსგავსად და „არსებობენ“ ფიზიკურად, მაგრამ მათი გაგება შეიძლება მხოლოდ ორგანიზმის ცოცხალი ფუნქციონირებისას მათი როლის მიხედვით.

პირველი არის *სოსიურის* პოზიცია: სისტემა კონსტრუქციაა, რომელიც იგება გარკვეულ თვალსაზრისზე, მეორე კი – *პრადის ლინგვისტური წრის* : იაკობსონისთვისა და ტრუბეცკოისთვის სისტემურია სამყარო, რეალობა, ამიტომ მა-



თი სამეცნიერო პრაქტიკა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც *ონტოლოგიური სტრუქტურალიზმი* (რა თქმა უნდა, არა ფიზიკური შინაარსით). ენა *სოსიურთან* არის აბსტრაქტული, პოტენციური, ვირტუალური ობიექტი, რომელიც იგება დაპირისპირებებზე, *ტრუბეცკოისთან* და *იაკობსონთან*, პირიქით, მოვლენები არსებობენ იქამდე, სანამ მათ შეისწავლიან“ (სერიო 2015: 304).

პარადიგმების თეორია ძნელად გამოსაყენებელია ლინგვისტურ იდეათა ისტორიისთვის, როგორც ჩანს, ერთი მხრივ, დიდი ხნის მანძილზე სრულიად განსხვავებული პარადიგმები თანაარსებობენ ისე, რომ ერთმანეთს არ ენაცვლებიან. ისეც ხდება, რომ პარადიგმები კი არ უარყოფენ, არამედ ვერ ამჩნევენ ერთმანეთს. ამას გარდა, სკოლების, მოძრაობების, ტენდენციების ზოგიერთ პარადიგმაში შეიძლება შედიოდეს სხვა პარადიგმის ცალკეული ნაწილები, რომლებსაც გადაიზრებენ და სრულიად ახლებურად იყენებენ. ამიტომ, როგორც პ. სერიო აღნიშნავს, აუცილებელია მეცნიერთა *ტექსტების დაკვირვებით კითხვა*, ეს აგვაცილებს აპრიორულ წარმოდგენებს სკოლებზე, მიმართულებებსა და პარადიგმებზე და მოგვცემს საშუალებას, გამოვავლინოთ ენობრივი სისტემის სირთულე და მრავალფეროვნება. დაწერილი ტექსტის მიმართ სერიოზული დამოკიდებულება ვერ გუობს ვერც წინასწარ შთაბეჭდილებებს და ვერც მკვლევრის მეცნიერული თუ პირადი ფანტაზიით კონცეფციების დაყოფას (სერიო 2015:12). მაგალითად, 1932 წელს იაკობსონისთვის მიწერილ წერილში ტრუბეცკოი აღნიშნავს, რომ სოსიურის „კურსის“ კითხვისას მხოლოდ „ძველ ნაგავს“ ხედავს (სერიო 2015: 21-22), რაც წარმოაჩენს პრალელების დამოკიდებულებას სხვა ენათმეცნიერული წრეების მიმართ. თუმცა „ფონოლოგიის საფუძვლების“ ავტორი ფონოლოგიისა და ფონეტიკის გამიჯვნისას აშკარად ეყრდნობა *ენისა და მეტყველების* სოსიურისეულ ოპოზიციას, ოღონდ სოსიური ამ წიგნში მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები და ეს არის ერთადერთი შემთხვევა ტრუბეცკოის მთელ შემოქმედებაში, როცა მან სოსიური დადებითად მოიხსენია (სერიო 2015: 21). მოგვიანებით (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ) სოსიურის შემდეგდროინდელი სტრუქტურალიზმის უნიფიცირებული სახე ყველამ აღიარა.

ამ პასაჟის კითხვისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თავად ავტორები იღებენ ტრაგიკულად მათგან განსხვავებულ ხედვებს, თორემ მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით ასეთი განსხვავებული ხედვები სწორედაც რომ მისასაღმებელია. ამიტომ მე აქ ვერ ვხედავ ტრაგედიას, ალბათ, ავტორები უნდა გათავისუფლდნენ ამბიციებისგან და ისტორია თავად დაალაგებს ყველაფერს. თუმცა ისტორია, მოგეხსენებათ, არ არის მარტივი მდინარეა დროისა, მისი თანმხლები კატაკლიზმები ყოველთვის აისახება ხალხის არა მარტო ეკონომიკურ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მის სულიერ ყოფაზე. მაგალითად, საბჭოეთის დროის იდეოლოგიური წნეხის გამო ენათმეცნიერები დაგვიანებით ან საერთოდ ვერ ეცნობოდნენ თავიანთი თანამედროვე უცხოელი კოლეგების ნაშრომებს (მით უმეტეს, ემიგრანტებისას), რაც განაპირობებდა საბჭოთა ენათმეცნიერების ჩაკეტილობას, ხელს უშლიდა ლინგვისტური იდეებისა და თეორიული სიახლეების ურთიერთგაზიარებას. როგორც ჩანს, მაგალითად, გიორგი ახვლედიანი მხოლოდ მას შემდეგ გასცნობია ნიკოლოზ ტრუბეცკოის ნაშრომს „ფონოლოგიის საფუძვლებს“,



როდესაც იგი ითარგმნა გერმანულიდან რუსულად და გამოიცა საბჭოთა კავშირში. მანამდე გიორგი ახვლედიანი დამოუკიდებლად ავითარებდა თავის მოსაზრებებს ქართული ენის თანხმოვანთა სამეულთა სისტემაზე, მის მიერ გამოთქმული შეხედულებები ჩამოყალიბებულია 1922-26 წლებში გამოქვეყნებულ სტატიებში. გ. ახვლედიანის მსჯელობა ქართული ენის სამეულთა სისტემაზე ამჟღავნებს საოცარ მსგავსებას ნ. ტრუბეცკოის „ფონოლოგიის საფუძვლებში“ განხილული კორელაციისა და ფონემათა კორელაციური კონების მაგალითებთან. ასევე, რომან იაკობსონი ახვლედიანის ნაშრომს ქართული და კავკასიური აბრუპტივების შესახებ მხოლოდ 1951 წელს გაეცნო ლ. შჩერბასადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულიდან. მოგვიანებით მან დაწერა სპეციალური ნაშრომი აბრუპტივების შესახებ, რომელიც დაიბეჭდა 1968 წელს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში. აქ იგი მაღალ შეფასებას აძლევს გ. ახვლედიანის წვლილს ქართული და კავკასიური აბრუპტივების კვლევის საქმეში (ბოლქვაძე 2015: XVI).

სტრუქტურული ლინგვისტიკის დიფერენციალური ნიშან-თვისებები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ოთხი პრინციპის მიხედვით:

1. *დისკრეტულობის პრინციპი*: ენა შედგება სასრული რაოდენობის დისკრეტული ელემენტებისგან;

2. *სტრუქტურულობის პრინციპი*: ენა წარმოადგენს დისკრეტული ელემენტების არა რაღაც მოუნესრიგებელ სიმრავლეს, გროვას, არამედ გარკვეული წესით ორგანიზებულ სისტემათა ერთობლიობას, ანუ სტრუქტურას, სადაც თითოეული ერთეულის ფუნქცია განისაზღვრება არა იზოლირებულად, არამედ სხვა ერთეულებთან მიმართებაში;

3. *ფუნქციონალური ეკვივალენტობის პრინციპი*: ენის თვალსაზრისით იდენტურია ის, რაც ფუნქციურად ეკვივალენტურია. ფორმალური იგივეობა (ე.ი. იგივეობა გამოხატულებისა) არ არის საკმარისი და აუცილებელი პირობა ენობრივი ერთეულის იდენტიფიკაციისთვის;

4. *სინქრონიულობის პრინციპი*: ენობრივ ერთეულთა გამოყოფა, მათი გაერთიანება სტრუქტურულ კლასებში და მათ შორის ფუნქციონალურ დამოკიდებულებათა დადგენა შესაძლებელია მხოლოდ სინქრონიული ანალიზის საფუძველზე. დიაქრონია განიხილება როგორც ცალკეულ სინქრონიულ ქრილთა თანმიმდევრობა დროში, ანუ, უფრო ზუსტად, როგორც პროცესი გადასვლისა ერთი სინქრონიული მდგომარეობიდან მეორეში.

ზემოხსენებულ ოთხ პრინციპს ემყარება ენის სტრუქტურული ანალიზის მთელი პროცედურა, რომლის საშუალებითაც მკვლევარი ცდილობს გამოყოს ენობრივი ერთეულები და კატეგორიები და აღმოაჩინოს მათ შორის არსებული ფუნქციონალური დამოკიდებულებანი.

რამდენადაც აკაკი შანიძის მოძღვრებაში მთავარი ადგილი მორფოლოგიას უკავია, შემოვიფარგლებით მხოლოდ მორფოლოგიური ანალიზის პროცედურათა განხილვით. სტრუქტურული ლინგვისტიკის თვალსაზრისით მორფოლოგიური ანალიზის მიზანს შეადგენს მორფოლოგიის ძირითადი ერთეულების მორფების/მორფემების გამოყოფა (იხ. მორფების მორფემებად გაერთიანების VI პრინციპი), მორფემათა პარადიგმატული და სინტაგმატური კლასებისა და მათ შორის არსე-

ბულ მიმართებათა დადგენა და, ბოლოს, გრამატიკულ მნიშვნელობათა, უფრო ზოგადად, გრამატიკულ კატეგორიათა სისტემის აგება, რაც ა. შანიძის მორფოლოგიური კვლევა-ძიების მთავარ მიზანს წარმოადგენს.

მორფოლოგიური ანალიზის პროცედურა, რომელსაც იყენებს ა. შანიძე, ზოგ მომენტში განსხვავდება ზემოთ სქემატურად აღწერილი პროცედურისგან. გ. მაჭავარიანი აღნიშნავს ამ განსხვავებებს:

1. მორფოლოგიური ანალიზი არ ემყარება წინასწარ ჩატარებულ ფონოლოგიურ ანალიზს. ეს გარემოება ზოგჯერ ჩქმალავს სხვაობას მორფემათა ვარიანტებს (ალომორფებს) შორის და არ გვაძლევს ე.წ. მორფო-ფონემატურ მონაცვლეობათა ამომწურავი აღწერილობის შესაძლებლობას. მეორე მხრივ, როგორც ცნობილია, გრაფემულად ჩანერილი ქართული ტექსტი საკმაოდ უახლოვდება, ზოგჯერ კი თითქმის ემთხვევა ფონემურად ჩანერილ ტექსტს, რაც რამდენადმე ამცირებს მითითებული განსხვავების მნიშვნელობას. რუსულისა ან ინგლისურისთვის ამ განსხვავებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა (მაჭავარიანი 1967: 54-55). ვფიქრობ, რომ შეფასება ცოტა მკაცრია, რადგან ა. შანიძის „გრამატიკის საფუძვლებში“ მორფოლოგიურ კატეგორიაზე მსჯელობისას თითქმის ყოველთვის მითითებულია დიალექტური თუ ზეპირი მეტყველების მაგალითები, რაც ავსებს სურათს ალოფონების თვალსაზრისით (შდრ. S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> პირის ნიშნების ანალიზი) (შანიძე 1973: 173-180).

2. მორფების გამოყოფის პროცედურა არ არის წარმოდგენილი როგორც მორფოლოგიური ანალიზის პირველი ეტაპი. იგულისხმება, რომ სეგმენტაცია უკვე ჩატარებულია და მნიშვნელობით აღჭურვილი უმცირესი მონაკვეთების (მორფების) გამოცალკევება არ მოითხოვს სპეციალურ დასაბუთებას. ტერმინი „მორფემა“, რომელსაც არაიშვიათად ვადასტურებთ ა. შანიძესთან, იხმარება როგორც ფორმანტის, აფიქსის სინონიმი (შანიძე 1953: 33, 333 და სხვ.). შეიძლება ვიფიქროთ, რომ არსებითი მნიშვნელობა ამ განსხვავებასაც არა აქვს, მაგრამ, თუ შევეცდებით სეგმენტაციის პროცედურის თანმიმდევრულ რეალიზაციას წმინდა სინქრონიულ საფუძველზე, ჩვენ წინაშე წამოიჭრება ზოგი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია ადეკვატური და, შეძლებისდაგვარად, ამომწურავი მორფოლოგიური მოდელის აგებისათვის.

3. ა. შანიძის გრამატიკული მოძღვრება არ იცნობს მორფემის (ინვარიანტის) და, მაშასადამე, აგრეთვე ალომორფის (ვარიანტის) ცნებას. მაგალითად, არს. სახ. მხ. რ. ნათ. ბრ.-ის მორფემა თანამედროვე მეტაენით ჩაინერება შემდეგნაირად:

{-ის}-{-ის/-ის(ა)} ~ -ს(ი) ∞ -ი/ღ}.

ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ა. შანიძე ვერ ხედავდეს ერთი და იმავე გრამატიკული მნიშვნელობის გამომხატველ, მაგრამ ფორმალურად განსხვავებულ ელემენტთა ფუნქციონალურ იგივეობას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მორფემა, როგორც ენის მინიმალური ინვარიანტული ერთეული, რომელიც აღჭურვილია ნიშნის ფუნქციით, ვერ პოვებს ადგილს მის კონცეფციაში. მეორე მხრივ, ა. შანიძის გრამატიკული მოძღვრება ხასიათდება მთელი რიგი არსებითი ნიშნებით, რომლებიც ამჟღავნებენ ორგანულ ნათესაობას სტრუქტურული ლინგვისტიკის სახელმძღვანელო პრინციპებთან და მეთოდებთან.

რა მეთოდებით ხელმძღვანელობს ა. შანიძე მორფოლოგიურ კატეგორიათა

დადგენის პროცესში? ზემოთ ნათქვამი იყო, რომ ტექსტის პირველადი სემანტიკა-ციისა და მორფების გამოყოფის პროცედურას ა. შანიძე დამოუკიდებელ ღირებულებას არ ანიჭებს. ივარაუდება, რომ მორფები უკვე გამოყოფილია და მთელი ყურადღება გადატანილია გრამატიკული სემანტიკის ანალიზზე. ანალიზის პროცედურა შემდეგნაირად არის აგებული: მკვლევარი ცდილობს შეარჩიოს ისეთი ფორმები (resp. სიტყვები, ან როგორც ზოგჯერ უწოდებენ, „გრამატიკული სიტყვები“), რომლებიც ერთმანეთისაგან მინიმალურად განსხვავდებიან როგორც გამოსატყულებით, ისე მნიშვნელობით. მინიმალური განსხვავება გულისხმობს, რომ შესაძარებელი ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან მხოლოდ ერთი რომელიმე თვალსაზრისით, ერთი ფორმალურ-სემანტიკური ნიშან-თვისებით, მაშინ, როდესაც ყველა სხვა თვალსაზრისით ისინი იდენტურნი არიან. ამგვარ მინიმალურ ფორმალურ-სემანტიკურ განსხვავებათა არსებობა არის გრამატიკულ მნიშვნელობათა (resp. კატეგორიათა) გამოყოფის საფუძველი. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ პროცედურაში ფორმა, გამოსატყულება უფრო ზუსტად, გამოსატყულების პლანის უმცირესი მონაკვეთი, რომელსაც ჰიპოთეტურად რაღაც მნიშვნელობა მიენერება, ე.ი. მორფი, მიღებულია როგორც დამოუკიდებელი ცვლადი, ხოლო მნიშვნელობა (სემანტიკა) დამოკიდებული ცვლადის როლში გამოდის. თუ ფორმის მინიმალურ შეცვლას თან სდევს შესაბამისი ცვლილება მნიშვნელობის პლანში, მაშინ მკვლევრის წინასწარი ვარაუდი, რომ მოცემული სემანტი (ე.ი. ფონემათა ან გრაფემათა მოცემული რიგი) მორფია და, მაშასადამე, მას გარკვეული მნიშვნელობა (გრამატიკული მნიშვნელობა) მიენერება. დადასტურებულია და ამით მოპოვებულია საფუძველი მორფოლოგიური კატეგორიის გამოყოფისთვის. ფორმათა შენაცვლების ამგვარ ხერხს (მინიმალურ ფორმალურ-ფუნქციონალურ სხვაობათა გამოვლენის მიზნით) თანამედროვე ენათმეცნიერებაში ჩვეულებრივ სუბსტიტუციას უწოდებენ, რასაც ა. შანიძე იყენებს მორფოლოგიურ კატეგორიათა დადგენის პროცესში.

ენახოთ, რა მიმართებაშია ა. შანიძის კვლევის პრინციპები ზემოთ ჩამოთვლილ სტრუქტურული მიდგომის 4 პრინციპთან:

1. სრულიად აშკარაა, რომ ა. შანიძის პროცედურა გულისხმობს დისკრეტულობის პრინციპის აღიარებას: აფიქსები (ფორმანტები) და მათი შესაბამისი გრამატიკული მნიშვნელობანი დისკრეტულ ერთეულებს წარმოადგენენ.

2. სტრუქტურულობის პრინციპი აგრეთვე წარმოადგენს ა. შანიძის კონცეფციის ერთ-ერთ ქვაკუთხედს: ენა, კერძოდ, ენის მორფოლოგიური აგებულება განიხილება როგორც პარადიგმატულ ოპოზიციათა სისტემა, სადაც თითოეული ელემენტის ფუნქცია განისაზღვრება სხვა ელემენტებთან მიმართებაში: *დავწერე* სრული ასპექტია იმიტომ, რომ მას უპირისპირდება *ვწერე*, რომელიც უსრულ ასპექტს გამოხატავს. *იწერს* სასუბიექტო ქცევაა იმიტომ, რომ მას უპირისპირდება *წერს* (ნეიტრალური ქცევა) და *უწერს* (საობიექტო ქცევა) და ა.შ. იქ, სადაც ოპოზიცია არა გვაქვს, არც გრამატიკული კატეგორია გამოიყოფა.

3. ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ იმაში, რომ ა. შანიძე ხელმძღვანელობს ფუნქციონალური ეკვივალენტობის პრინციპითაც, რომელიც, თავის მხრივ, მჭიდროდ უკავშირდება სტრუქტურულობის პრინციპს. იგი შედარებით იშვიათად მიმართავს დისტრიბუციულ კრიტერიუმს და არ იყენებს მას, როგორც ლინ-

გვისტური ანალიზის აშკარად ფორმულირებულ მეთოდს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მორფოლოგიური კომბინატორიკა, საკითხი მორფემათა განლაგებისა, რიგისა სიტყვის ფარგლებში (ე.წ. მორფოტაქტიკა) და სხვა ანალოგიური პრობლემები ა. შანიძეს სპეციალური კვლევის საგნად არ გაუხდია.

4. სინქრონიულობის პრინციპი ავტომატურად გამომდინარეობს სტრუქტურულობის პრინციპიდან. ა. შანიძე მორფოლოგიურ კატეგორიათა გამოყოფისას, ხელმძღვანელობს ფორმათა შეპირისპირების, მინიმალურ ფორმალურ-ფუნქციონალურ ოპოზიციითა დადგენის მეთოდით, რომელიც სინქრონიულია, და სხვაგვარი არც შეიძლება იყოს.

გ. მაჭავარიანი სვამს კითხვას: რასთან გვაქვს საქმე – შეგნებულ, აშკარად გამოსატულ სტრუქტურულ მიდგომასთან, თუ, ასე ვთქვათ, „სტიქიურ სტრუქტურალიზმთან“, რომელიც მეტი ან ნაკლები დოზით ყოველი ნიჭიერი ლინგვისტის შრომებში შეიძლება აღმოვაჩინოთ? და თავადვე პასუხობს:

ა. შანიძეს არ შეუქმნია ენის ზოგადი თეორია და არ ჩამოუყალიბებია ამოსავალი პოსტულატები, რომლებიც საფუძვლად უძევს კვლევის მეთოდებს. მას რომ ასეთი თეორია შეექმნა, ეჭვი არ არის, ამ თეორიას აშკარად გამოხატული სტრუქტურალისტური ხასიათი ექნებოდა. არსაიდან არ ჩანს, აგრეთვე, რომ „გრამატიკის საფუძვლების“ ავტორი ხელმძღვანელობდა რომელიმე ცნობილი ზოგადლინგვისტური კონცეფციით. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, ის ევრისტიკული ხერხები, რომლებსაც ასე ეფექტურად იყენებს ა. შანიძე, მორფოლოგიური ანალიზის პროცესში, თავდაპირველად, ინტუიციურად იყო მიგნებული მის მიერ და არ იყო დედუცირებული ამა თუ იმ ზოგადი თეორიიდან, მაგრამ ერთხელ მიგნებული ხერხები კვლევა-ძიებისა ა. შანიძემ შეგნებული რეფლექსიის საგნად აქცია და თანდათანობით გამოიმუშავა მორფოლოგიური ანალიზის ექსპლიციტურად ჩამოყალიბებული პროცედურა. მორფოლოგიური ანალიზის აპარატის ამგვარი ექსპლიციტურობა უფლებას გვაძლევს დავახასიათოთ ა. შანიძის თვალსაზრისი, როგორც შეგნებულად „სტრუქტურალისტური“ (მაჭავარიანი 1967:61). მართლაც, „გრამატიკის საფუძვლების“ ავტორი არა მარტო გადმოგვცემს თავისი კვლევა-ძიების შედეგებს, არამედ გვიჩვენებს იმასაც, თუ რა გზით, რა მეთოდების გამოყენებით მიიღო მან ეს შედეგები. მოვუსმინოთ თვით ა. შანიძეს: ახალი კატეგორიის დადგენა შედეგია იმისა, რომ გრამატიკული ფაქტების კვალიფიკაციის დროს (მკვლევარს) კრიტერიუმად მომარჯვებული უნდა ჰქონდეს ფორმათა შეფარდების ხერხი, დაყრდნობილი სხვების მიმართ ერთგვარ, მაგრამ ურთიერთმორის განსხვავებულ ფორმათა პირისპირ არსებობის საფუძველზე. ეს პრინციპი თავიდან ბოლომდე *სისტემებზე* უნდა იყოს გატარებული და ყოველმხრივ დაზუსტებული. ეს არის წინაპირობა ზოგიერთი გადაუდებელი *სტრუქტურული* საკითხის გადასაწყვეტად სხვა ენათათვისაც (შანიძე 1973: 010-011).

*ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის* საკითხი გრამატიკაში, რაც ეგრე მწვავედ დგას ენის *სტრუქტურული საკითხების* შესწავლის დარგში, „საფუძვლებში“ მრავლად კონკრეტულ მაგალითზეა დადასტურებული როგორც სახელებში (§154), ისე ზმნებში (§234, 240,272, 285, 296, 340 და სხვ.) (შანიძე 1973: 012). ეს მსჯელობა მკვლევრის მიერ ენის *სტრუქტურული კვლევის* ნიმუშია (შდრ.



ტერმინები: *სინქრონიულობა და დიაქრონიულობა, ანტერიორული და პოსტერიორული, ფორმა და ფუნქცია*).

ა. შანიძეს აინტერესებს არა მარტო „როგორ“, არამედ აგრეთვე „რატომ“, ე.ი. არა მარტო მოვლენის აღწერითი მხარე, არამედ ამ მოვლენის ისტორიული თუ სხვა საფუძველი. ისტორიული თვალსაზრისი მოშველიებულია მრავალგან: ახალი ბრუნვების წარმოშობის საკითხი (§93,95), ძველი კონსტრუქციის ნაშთების დროს მსაზღვრელ-საზღვრულთან (§134), ხანმეტობის ნაშთების ახსნისას (§216), ობ. პირის მრავლობითად გამოხატვის საკითხში (§226), სუბ.-ობ. ნიშნების რიგის შემთხვევაში (§229), ასპექტის მოვლენათა ახსნაში, კერძოდ, დროის გადაწვევის ასახსნელად (§339) და სხვაგანაც. მაგრამ ყველგან ზომიერებაა დაცული, ავტორი არ ცდილა ისტორია მოეცა, მისი მიზანი იყო *აეხსნა დღევანდელ ენაში შემონახული ნაშთები, რომლებიც გაუგებარნი გამხდარან დღევანდელი ნორმების თვალსაზრისით, რათა გასაგები გაეხდა ისინი მკითხველისთვის ფორმათა ისტორიული განვითარების საფუძველზე* (შანიძე 1973: 013). ეს მსჯელობაც ენის სტრუქტურული კვლევის ნიმუშია, კერძოდ, პრადის სკოლის მიდგომებისა.

საყურადღებოა აკაკი შანიძის შემდეგი მითითებაც: „ზოგიერთ გრამატიკულ ფაქტორს იმდენი თავისებურება ახლავს, რომ ძნელია ყველა მათგანის ერთბაშად გათვალისწინება, მაგრამ *ენათმეცნიერი მოვალეა ყველა მათგანს გაუწიოს სათანადო ანგარიში და მოვლენას უყოს კვალიფიკაცია*“.

აკაკი შანიძე საკითხის გაშუქების დროს მოიხმობს ხოლმე ძველი ქართულის მასალების ან კილოების მიერ მოწოდებულ ფაქტებს. განსაკუთრებით საინტერესოა მკვლევრის დამოკიდებულება ენათა ტიპოლოგიურ და არეალურ მასალასთან. ენათა ტიპოლოგიური და არეალური კვლევა სრულიად ახალი მიმართულებაა თანამედროვე ლინგვისტიკაში. აკაკი შანიძე ამ შემთხვევაშიც წინ უსწრებს დროს, იგი წერს: ზოგიერთი მოვლენის ნათელსაყოფად საჭირო გახდა ქართულის შედარება სხვა ენებთან, მაგალითად, „თანა“-ს საკითხი სომხურთან და სპარსულთან (§159), ასონანსის საკითხები სპარსულთან და თურქულთან (§184, შნშ.2), გეზისა და ორიენტაციის საკითხები არაბულთან და რუსულთან (§318), ასპექტის საკითხები ბერძნულთან და სლავურთან (§334), კონტაქტის ფორმებზე მსჯელობისას და სხვა, მაგრამ ყველაგან ზომიერებაა დაცული, რომ წიგნი ზედმეტი დეტალებით არ დატვირთულიყო და პირდაპირ მიზანს ასცდენოდა.

იგივე ითქმის შედარებული მასალის შესახებაც ქართველური ენებიდან, ასევე სხვა ენის ქართულზე გავლენის საკითხის სუბსტრატის პრობლემის ზოგიერთი საკითხის კვლევის დროს (§171) და სხვ.

აკაკი შანიძე *ფორმისა და ფუნქციის* სადავო საკითხების გადანყვეტისას უპირატესობას *ფუნქციას* ანიჭებს: „იქ, სადაც ფუნქციას აღარ შეეფერება ის გრამატიკული სამოსი, რომელსაც ის ატარებს, გამოსავალია ფუნქცია და სიტყვის გრამატიკული კვალიფიკაცია ახალი შინაარსის მიხედვით უნდა მოხდეს“ (§144, შანიძე 1973: 186).

საზოგადოდ, საკითხი იმის შესახებ, თუ რა ქმნის გრამატიკულ ფორმას და რა კატეგორიასთან გვაქვს საქმე, ან როგორია ეს კატეგორია, ნამდვილი თუ მოწვევებითი, წყდება არა აბსტრაქტულად, სხვა ფორმებისგან მოწყვეტით, არამედ ამა თუ იმ კონკრეტული ვითარების მიხედვით, რა რას უპირისპირდება და რა ნიშ-



ნის მიხედვით უპირისპირდება. „საფუძვლების“ ავტორი სტრუქტურული საკითხების კვლევა-ძიების დროს შორს არის ფორმალისტური მეთოდისგან... ფუნქციის წამოწევა და მისთვის სათანადო ადგილის მიჩენა, აი, რა არის დამახასიათებელი და ნითელი ზოლივით გატარებული მთელ წიგნში.

ფორმისა და ფუნქციის საკითხების კვლევა-ძიებამ ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა უღლების დარგში: დადგენილ იქნა მწკრივი და მისი შემადგენელი ელემენტები, მწკრივის კატეგორია გაემიჯნა დროსა და კილოს და მტკიცე ზღვარი დაიდო მათ შორის.

„ქართული ზმნის უღლებადი ფორმების სერიებად და მწკრივებად დაყოფის აკაკი შანიძისეული პრინციპი იდეალური მაგალითია იმისა, როდესაც დაცულია იმანენტური კვლევის პრინციპები: ზმნური ფორმები კლასიფიცირებულია გრამატიკული მორფოსინტაქსური კრიტერიუმით, რამაც გამოავლინა ქართული ენის ზმნური შესიტყვების სპეციფიკა სხვა ტიპის ენებთან მიმართებით“ (მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი, „ლოგოსი“, თბილისი 2014).

აკაკი შანიძე *მწკრივის* რაობაზე მსჯელობისას, როდესაც სვამს კითხვას: არის თუ არა მწკრივი გრამატიკული კატეგორია? წერს: „რომ სწორი პასუხი გაცეთ ამ კითხვას, უნდა მოვიგონოთ, რომ ყოველგვარი გრამატიკული კატეგორია ყალიბდება საპირიპირო ფორმათა არსებობის ნიადაგზე (§40), თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ მწკრივებს, დავრწმუნდებით, რომ ერთი რომელიმე ჯგუფი, რომელსაც მწკრივი ეწოდება, ისეთ მიმართებაშია დანარჩენებთან, როგორც სხვა რომელიმე – ყველა დანარჩენთან. ისინი ერთგვარ მოვლენას ასახავენ ენაში, ერთმანეთს თანაბრად შეეზომებიან, თითქმის ყველას ერთი და იგივე რაოდენობა აქვთ ფორმებისა, თითოეულ მათგანთან გარკვეული ცნებაა დაკავშირებული და ყველა ერთად წარმოდგენას გვაძლევს, რომ ისინი შეადგენენ საპირიპირო სახეებს ზოგადი კატეგორიისას (შანიძე 1973: 216). მწკრივი კატეგორიაა, ოღონდ სხვა კატეგორიები მარტივია, დაუშლელია, მწკრივი კი რთულია და შეიცავს რამდენიმე კატეგორიას, ელემენტებად წოდებულს, ქართულში უმთავრესად დროსა და კილოს. ძალიან საინტერესოა მწკრივის სახელდებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური მსჯელობაც. მთავარია მოვლენის არსებითი მხარე არ დაიჩრდილოს და დავარქვათ მწკრივებს თუნდაც ხეების სახელებიო (შანიძე 1973: 217).

დავუბრუნდეთ გივი მაჭავარიანის შეფასებას: ა. შანიძის გრამატიკული მოძღვრება ძირითად მომენტებში შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ერთ-ერთი ადრინდელი ნაირსახეობა სტრუქტურალიზმისა მორფოლოგიის სფეროში. მის მიერ შემუშავებული პროცედურა მორფოლოგიური ანალიზისა ნათლად გამოხატულ „სტრუქტურალისტურ“ ხასიათს ატარებს. სტრუქტურალიზმის მიმდინარეობათაგან ა. შანიძის გრამატიკული შეხედულებანი ყველაზე მეტ საერთოს პრალის სკოლის (ე.წ. „ფუნქციონალური ლინგვისტიკის“) იდეებთან და მეთოდებთან ამჟღავნებენ: „ფუნქციის წამოწევა და მისთვის სათანადო ადგილის მიჩენა“, პარადიგმატული ასპექტის უპირატესობა სინტაგმატურთან შედარებით, ერთგვარი მიდრეკილება ბინარიზმისკენ ის ნიშან-თვისებებია, რომლებიც გვაძლევენ უფლებას ა. შანიძის გრამატიკული მოძღვრება პირველ რიგში სწორედ

„ფუნქციონალური ლინგვისტიკის“ თავისებურ ვარიანტად მივიჩნით (მაჭავარიანი 1967:63-64).

მართლაც, პრალის სკოლის მიდგომა განიხილება როგორც სტრუქტურალიზმისა (კონტექსტის უმთავრესი მნიშვნელობის აღიარება) და ფუნქციონალიზმის (ყოველი ენობრივი ერთეული ან კომპონენტი – ფონემა, მორფემა, სიტყვა, წინადადება, – არსებობს იმიტომ, რომ მას გარკვეული ფუნქცია აკისრია) ნაზავი; ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ არა მხოლოდ ენის, არამედ მისი თითოეული ელემენტის ფუნქციაზე სისტემაში, ხოლო ენის ანალიზისას სინქრონიულ და დიაქრონიულ მიდგომას ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში გაიაზრებდნენ, მათთვის ენა სისტემათა ანუ სუბსისტემათა სისტემაა. ისინი სოსიურისაგან განსხვავებით მკვეთრად არ მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან სინქრონიასა და დიაქრონიას.

აკაკი შანიძის კვლევის მთავარი ამოცანაც პრალელების მსგავსად იყო სისტემის შინაგანი კანონზომიერებების გამოვლენა „სტრუქტურულ მთლიანობაზე“ ყურადღების გამახვილებით. მან შექმნა მოძღვრება, ფუნდამენტური საფუძველი ქართული ენის შემდგომი სინქრონიული კვლევისა, ამის დასტურია ის მშვენიერი გამოკვლევები, რომლებიც იწერებოდა, იწერება დღეს და აუცილებად დაინერება მომავალში.

## ლიტერატურა

**ახვლედიანი 1999** – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თსუ, თბილისი, 1999.

**გამყრელიძე 2008** – თ. გამყრელიძე, ლინგვისტურ პარადიგმათა ცვალებადობა დროსა და სივრცეში, კრებულში: „ენა და ენობრივი ნიშანი“, საქ. მეცნ. ეროვნ. აკადემია, თბილისი, 2008.

**მაჭავარიანი 1967** – გ. მაჭავარიანი, ა. შანიძის გრამატიკული კონცეფციის ზოგიერთი საკითხი სტრუქტურული ლინგვისტიკის თვალსაზრისით, „ორიონი“, საიუბილეო კრებული მიძღვნილი აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თსუ, თბილისი, 1967.

**მელიქიშვილი 2014** – დ. ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი, „ლოგოსი“, თბილისი, 2014.

**სერიო 2015** – პ. სერიო, სტრუქტურა და მთლიანობა, სტრუქტურალიზმის ინტელექტუალური საფუძვლები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში: 1920-30-იანი წლები, თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო თინათინ ბოლქვაძემ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015.

**შანიძე 1973** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თსუ, თბილისი, 1973.

**Соссюр 1977** – Соссюр Ф. де., Труды по Языкознанию (Перевод с французского), «Прогресс», Москва, 1977.

**Соссюр 1990** – Соссюр Ф. де., Заметки по общей лингвистике (Перевод с французского), «Прогресс», Москва, 1990.

**Трубецкой 1960** – Трубецкой Н. С., Основы фонологии (Перевод с немецкого), «Изд. иностр. лит.», Москва, 1960.

**Якобсон 1985** – Якобсон Р. О., Избранные Работы, «Прогресс», Москва, 1985.

**ქართული ზმნის მორფოსინტაქსური კლასიფიკაცია:  
ქართული ზმნის დიათეზებისა და სერიების ერთიანი  
გრამატიკული სისტემა**

ენათმეცნიერება არის მეცნიერება ენის შესახებ.

1. ენას ორი მხარე აქვს: შინაარსი და ფორმა. ენა ნიშანთა ისეთი სისტემაა, რომელიც ამ ორ სფეროს შორის ურთიერთობას აწესრიგებს. სემანტიკურ და ფორმალურ სისტემებს შორის გარკვეული (მონესრიგებული) ურთიერთმიმართება და ურთიერთშესაბამისობა თანდათანობით ყალიბდება თითოეული ენის განვითარების პროცესში (დიაქრონიაში). ცნების შინაარსი უნივერსალური კატეგორიაა, რომელიც გადმოიცემა გარკვეული, ამა თუ იმ ენისათვის დამახასიათებელი, ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმალური სტრუქტურებით (მორფოლოგიით) და ფორმათა ურთიერთობით (სინტაქსით), რაც ენებში ისტორიულად ჩამოყალიბებულ გრამატიკულ (მორფოსინტაქსურ) სისტემებს განასხვავებს ერთმანეთისაგან.

2. გრამატიკა ენათმეცნიერების ის ერთადერთი დარგია, რომელიც შეისწავლის (= უნდა შეისწავლიდეს) ამა თუ იმ კონკრეტული ენის სიტყვა-ფორმებს და მათი ურთიერთმიმართების მექანიზმს ამ ენაში. აქედან გამომდინარე, როდესაც ვლაპარაკობთ გრამატიკულ კატეგორიებზე, მხედველობაში გვაქვს (= უნდა გვქონდეს) ფორმა და არა შინაარსი. ამ უკანასკნლს ენათმეცნიერების სხვა, ბევრი დარგი სწავლობს: სემიოტიკა-სემასიოლოგია, ლექსიკოლოგია, ეტიმოლოგია, სტილისტიკა, პრაგმატიკა, კოგნიტური ენათმეცნიერება ...

ამგვარად, გრამატიკის დარგებია მორფოლოგია და სინტაქსი.

1. მორფოლოგიის მიზანია სიტყვის ფორმის ანუ სტრუქტურის აღწერა-შესწავლა; 2. სინტაქსის საგანს წარმოადგენს ფორმათა ურთიერთობის, შესიტყვების, სინტაგმის წევრების ურთიერთმიმართების მექანიზმის აღწერა-შესწავლა (არნ. ჩიქობავა).

თუ ეს ასეა, მაშინ ქართული მრავალპირიანი ზმნის ულღებადი ფორმების აღწერა პირველ რიგში უნდა დავიწყოთ ფორმიდან: ამ ფორმათა საკლასიფიკაციო პრინციპად, კრიტერიუმად უნდა ავიღოთ ამ ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა და სინტაქსური კონსტრუქცია. შევისწავლოთ ქართული მრავალპირიანი ზმნის გრამატიკული, მორფოსინტაქსური სისტემა, ანუ ქართული ზმნური შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმი, რაც საშუალებას მოგვცემს, სწორად აღვწეროთ ამ ფორმალური სისტემის თითოეული რგოლის სემანტიკური მიმართებები ზმნურ შესიტყვებაში და დავინახოთ ის, რაც მას განასხვავებს ვროპული მონოპერსონალური ზმნის შესიტყვებისაგან.

## სერიები და მწკრივები

### ქართული მრავალპირიანი ზმნის ფორმების აღწერის გრამატიკული (მორფოსინტაქსური პრინციპი)

ქართული ზმნის უღლებადი ფორმების სერიებად დაყოფის (კლასიფიკაციის) მორფო-სინტაქსური პრინციპი, რომელიც **აკად. აკაკი შანიძემ** დაამკვიდრა, საგნის შინაგანი ბუნების შესაბამისი, **იმანენტური მეთოდით** კვლევის იდეალური მაგალითია, რომელმაც გამოავლინა ქართული ზმნური შესიტყვების სპეციფიკა-თავისებურებანი სხვა ტიპის ენებთან მიმართებით.

აკაკი შანიძემ გადაუხვია იმ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ევროპული ენების გრამატიკებში ზმნის დრო-კილოთა ფორმების საკლასიფიკაციო ნიშნად, ანუ გვარეობით ცნებად კილოს სემანტიკური კატეგორიაა მიღებული, დროის ფორმები კი თითოეული კილოს შიგნით სახეობით ქვეჯგუფებადაა წარმოდგენილი. უფრო ადრე **ნიკო მარმა** ძველი ქართული ენის გრამატიკისათვის გაკეთებულ „ძირითად ტაბულებში“ ზმნები ამავე - დრო-კილოთა გაერთიანებული ფორმების პრინციპით დაალაგა, რადგანაც ძველ ქართულში თხრობითი კილოს მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ფორმები ომონიმური იყო და გვარეობით ჯგუფად კილოს კატეგორიის მიღების შემთხვევაში ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა ჯგუფში მოხვდებოდა. აკაკი შანიძემ დახვეწა საუღლებელ ფორმათა კლასიფიკაციის პრინციპი და ამ კლასიფიკაციას მორფოლოგიურთან ერთად სინტაქსური კრიტერიუმიც დაუდო საფუძვლად: მან ეს ჯგუფები (**გარდამავალი**) ზმნის ფუძის (**თემის**) მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის მიხედვით გააერთიანა და სამ სერიად დაყო: ქართული ზმნის დრო-კილოთა სისტემატიზაციისას **საკლასიფიკაციო ნიშნად (კრიტერიუმად) მან ზმნის ფუძის სტრუქტურა მიიღო, რასაც სინტაქსური კონსტრუქციაც უჭერს მხარს: I** სერიაში ძირითადად ერთიანდება თემისნიშნისანი და ფუძედრეკადი ზმნები **ე** გახმოვანებით, **ნომინატიური კონსტრუქციით**, რომლებიც უპირისპირდებიან ამავე ზმნების **II** სერიაში გაერთიანებულ მარტივთემიან და ფუძედრეკადთა ზმნურ ფორმებს **ი** გახმოვანებით და **ერგატიული კონსტრუქციით** (**აკეთებს-დრეკს ის მას; გააკეთა-მოდრიკა მან ის**). **III** სერია აერთიანებს ამავე სტრუქტურის გარდამავალი ზმნების **დატიური („ინვერსიული“)** კონსტრუქციის ფორმებს (**გაუკეთებია/დაუხატავს/; მოუდრეკია მას ის**). სამი სერიის გამოყოფა ისტორიული თვალსაზრისითაც გამართლებულია: ასეთი კლასიფიკაცია ქართული ზმნის დრო-კილოთა ფორმირების დიაქრონიული განვითარების სურათს ემთხვევა და ადეკვატურად წარმოაჩენს მას.

**სერიებისა და მწკრივების სქემა**

**ა) თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში**

<b>I სერია</b> <b>სტრუქტურა: R-[th.suf.]-Ø; კონსტრუქცია ნომინატიური</b>	
<b>ანმცოს წრე</b> ანმცო ვ-/აშენებ/-ს მე მას /ის მას უწყვეტელი ვ-/აშენებდ/-ი/-ა ანმცოს კავშირებითი ვ-/აშენებდე/-ს	<b>მყოფადის წრე</b> მყოფადი ა-/ვ-/აშენებ/-ს პირობ.-ხოლმეობ. ა-/აშენებდ/-ი/-ა მყოფ. კავშირ. ა-/ვ-/აშენებდ/-ე/-ს
<b>II სერია</b> <b>სტრუქტურა ძირეული: R-Ø; კონსტრუქცია ერგატიული</b>	
<b>წყვეტილი</b> ა-ვ-/აშენე-ა მე ის / მან ის	<b>II კავშირებითი</b> ა-ვ-/აშენ-ო/-ს მე ის/ მან ის
<b>III სერია</b> <b>სტრუქტურა ნარევი, კონსტრუქცია დატიური</b>	
<b>I რეზულტატივი</b> ამიშენებია მე ის -ავუშენები-ვარ მას მე / აუშენებია მას ის ამშენებია ის მე /ავშენებივარ მე მას / აშენებია ის მას //მას/ ის ა/ვ-შენებულ-ვარ / აშენებულ-ა	<b>II რეზულტატივი</b> ამეშენებინა მე ის -ავეშენებინე მას მე / აეშენებინა მას ის//ის მას ამშენებოდა ის მე - ავშენებოდი მე მას აშენებოდა ის მას //ავშენებულ-(ვ)იყავი /აშენებულ-იყო <b>III კავშირებითი</b> ამეშენებინოს მე ის-ავეშენებინოს/მას ის ა/მ/შენებოდეს ის მე / აშენებოდეს ის მას ავშენებულ(ვ)-იყო მე /აშენებულიყოს ის

**ბ) ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში**

<b>I სერია</b> <b>სტრუქტურა: R-th.suf.-Ø, R[ე]-Ø; კონსტრუქცია ნომინატიური</b>	
<b>ანმცოს წრე</b> <b>1. ანმცო // მყოფადი</b> (ბ)-ი-მოთხევ/-ს, (ბ)-ი-ტყვ/-ს, ი-სწავებ/-ს, ა-ვ-/აშენებ/-ს, და-/ვ-/იმალვი/-ს <b>2. (ანმცო//მყოფადის) უწყვეტელი</b> (ბ)-ი-მოთხ-ევ-დ-ი/-ა, (ბ)-ი-ტყ-ოდ-ი/-ა, ი-სიძ-ვ-იდ-ა, ა-ვ-/აშენებ-დ-ი/-ა. <b>3. ანმცოს ხოლმეობითი</b> სუამნ/სუმედ, წერ-ნ/ წერ-ედ <b>4. უწყვეტლის ხოლმეობითი</b> ა-//აშენებ-დ-ის, (ბ)-ი-მოთხ-ვ-იდ-ის, (ბ)-ი-ტყ-ოდ-ის, ი-სიძ-ვ-იდ-ის. <b>5. I (ანმცო/ მყოფადის) კავშირებითი</b> (ბ)-ი-მოთხ-ევ-დ-ე-ს, (ბ)-ი-ტყ-ოდ-ე-ს, და- /ვ-/წერ-დ-ე-ს, ა-ვ-/აშენებ-დ-ე-ს. <b>6. I ბრძანებითი</b> წერ-დ-ი / თ, წერდ-ი-ნ / წერ-დ-ედ	<b>XI საუკუნიდან</b> <b>7. მყოფადი</b> ა-/ვ-/ა-შენ-ებ/-ს, ა-შენ-დ-ებ-ის, გან-/ვ-/ატფობ/-ს, გან-/ვ/ ტფებ-ი/-ს, გან-/ვ-/აბნევ/-ს , გან-/იბნევი/-ს, აღ-უთქუამ/-ს, შე-ენევი/-ს.



II სერია სტრუქტურა მარტივი, კონსტრუქცია ერგატიული		
1. წყვეტილი: ისწავე ააშენე დაიმალო	2. II მყოფადი: ისწავო ააშენო დაიმალო	3. II კავშირებითი რახათა ისწავო რახათა ააშენო რახათა დაიმალო

III სერია სტრუქტურა ნარევი, კონსტრუქცია დატიური	
<b>1. I რეზულტატივი</b> გან-მ-ი-ზრდ/-ი-ე/-ს მე /იგი გა-უ-ზრდ/-ი-ე მას მე გა-მ-ზრდ/-ი-ე/-ს მე იგი გა-ვ-ზრდ/-ი-ე მას მე გა-ზრდ/-ილ ვარ /-ხარ/ -არს მე/ შენ/ იგი <b>2. III ხოლმეობითი</b> გან-მ-ე-ბნი/-ი/-ს, და-მ-ე-თეს/-ი/-ს მ-ე-ბრძან/-ი/-ს	<b>2. II რეზულტატივი</b> გან-მ-ე-ზარდ/-ა მე იგი გან-ვ-ე-ზარდ/ე მას მე გან-მ-ზრდ/-ოდ/-ა მე იგი გან-ვ-ზრდ/-ოდ/-ი მას მე განზრდილ ვიყავ /-იყავ -იყო მე/ შენ/ იგი <b>3. III კავშირებითი</b> გან-მ-ე-ზარდ/-ო-ს მე იგი გან-ვ-ე-ზარდ/ო მას მე გან-მ-ზრდ/-ოდ/ე/-ს მე იგი გან-ვ-ზრდ/-ოდ/ე მას მე განზრდილ ვიყო /-იყო -იყო-ს მე/ შენ/ იგი

წარმოდგენილი სქემებიდან ნათლად ჩანს ქართული ზმნის უღლებადი ფორმების მორფო-სინტაქსური სისტემის ისტორიული განვითარების რთული, მაგრამ ლოგიკურად უაღრესად მოწესრიგებული გზა.

ქართული ზმნის ფორმების სერიებად დაჯგუფების აკაკი შანიძისეული მორფო-სინტაქსური კრიტერიუმი თავიდან გაუგებარი და რთული მისაღები აღმოჩნდა ევროპული მონოპერსონალური ზმნის მკვლევრებისათვის: როგორც ერთი, ჩვენში ნაკლებად ცნობილი ამერიკელი ენათმეცნიერი, დენიელ ჰამფრისი აღნიშნავს, „თავის დროზე რევოლუციური გარდატეხა“ გახლდათ არა მხოლოდ ქართულ, არამედ, საერთოდ, გრამატიკულ აზროვნებაში“ (იხ. დენიელ ჰამფრისი: „დამანა მელიქიშვილი, „ქართული ზმნის უღლების სისტემა“, თბილისი, „ლოგოს პრესი“, 2001, გვ. 132), მაგრამ გავიდა დრო და ქართული ზმნის ეს კლასიფიკაცია მიღებულ იქნა და დამკვიდრდა როგორც ქართულ, ისე უცხოურ გრამატიკულ ლიტერატურაში.

აკაკი შანიძემ ევროპულ გრამატიკულ ლიტერატურაში არსებული ქართულში გადმოღებული კილოს კატეგორიის მიხედვით კლასიფიკაციის პრინციპი უარყო და ქართული ზმნის სპეციფიკიდან ამოსვლით, ზმნის დრო-კილოთა ფორმები სამ ჯგუფად, **სამ სერიად**, დაყო ერგატიული („გარდამავალი“) კონსტრუქციის ზმნების სტრუქტურისა და კონსტრუქციის ოპოზიციის მიხედვით. ანუ კლასიფიკაციის საფუძვლად აიღო გრამატიკული, **მორფო-სინტაქსური პრინციპი**, რადგანაც არც ძველ და არც ახალ ქართულში ზმნის ფორმებში დროისა და კილოს გრამატიკული ოპოზიცია გამოკვეთილი არ არის. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომაც, რომ **დრო-კილოთა მიხედვით გაერთიანებულ** თითოეულ სერია-

ში შემავალ „მწკრივებს“, როგორც ვნახეთ, სხვადასხვა შინაარსის მიხედვით დაერქვა სახელები: დროის, კილოს, ასპექტის თუ წყვეტილობა-უწყვეტელობის, მრავალგზისობისა თუ „ხოლმეობითობისა“ და „უნახაობის“ მიხედვით, რაც ხშირად დეზინფორმაციას იწვევს და განსჯის საგანია.

ამგვარად, კლასიფიკაციის საფუძვლად, პრინციპად აღებულია **ზმნის თემა და კონსტრუქცია, სერიებად კლასიფიკაციის პრინციპი მორფო-სინტაქსურია**: ზმნის სტრუქტურა და სინტაქსური კონსტრუქციაა და არა დროისა და კილოს სემანტიკური კატეგორია, როგორც ეს ევროპული ენების ტრადიციულ გრამატიკებში.


როგორც ვხედავთ, სამ სერიად დალაგების კლასიფიკაციის ამოსავლად გარდამავალი ზმნის ანმეოს რთული თემა აღებული და გარდაუვალი სტაბილური ნომინატიური კონსტრუქციის ზმნებიც ამ სქემაში მექანიკურად ნაწილდებიან. ძირითად გვარეობით ჯგუფებში სერიებისა, რომლებიც მორფო-სინტაქსური პრინციპითაა გამოყოფილი და „მწკრივების“ შიგნით სემანტიკური ნიშნითაა დაჯგუფებული.

მაგრამ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ამ მორფო-სინტაქსური პრინციპით შესრულებულ კლასიფიკაციაში ბოლომდე არ არის დაცული შერჩეული საკლასიფიკაციო - მორფო-სინტაქსური კრიტერიუმი. კერძოდ: ეს პრინციპი დარღვეულია **R-ი** სტრუქტურის სტატიკური - „**ჰიეს**“ ტიპის ((ა)გდია, (ა)ყრია, (ა)ფენია, (ა)წერია, (ა)ხატია, სცხია, არტყია, აბია, ანთია, აფარია...) ზმნების მიმართ: ეს სტატიკური ზმნები ფუძის **სტრუქტურის მიხედვით II** სერიის მარტივ თემას მიეკუთვნებიან, მაგრამ სერიების სისტემაში I სერიის ანმეოს წრეში აქვთ მიჩენილი ადგილი ანმეოს დინამიკური ზმნების გვერდით: მათი თემის **-ი** სუფიქსი ისტორიულად **დიურატივის** (განგრძობითი) ასპექტის ნიშანია, ხოლო **-ე** სუფიქსი კი **წყვეტილი** ასპექტისა. ეს მრჩობლი **-ი-ე** სუფიქსი კარგად გამოხატავს ერთდროულად **წყვეტილ შედეგსა და მუდმივ მდგომარეობას**, სტატიკას, რაც შინაარსის მიხედვით **ანმეო დროის** გაგებას შეესაბამება. ამგვარად, ამ ფორმების II სერიაში გაერთიანება არღვევს **მორფოლოგიურ პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს სერიებად დაყოფას: სერიებად დაყოფის საფუძველი არ არის დროის კატეგორია**. დროის თვალსაზრისით სერიების ფარგლებში შეზღუდვა არ არის: I სერია შეიცავს როგორც ახლანდელი (ანმეო) დროის, ასევე მომავალი და წარსული დროის მწკრივებს, II სერიის მარტივი ფუძე (თემა) გამოხატავს როგორც წარსულ („წყვეტილის“ მწკრივი), ისე მომავალ („II კავშირებითის“ მწკრივი) დროს; III სერიის „I თურმეობითის“ (რეზულტატივის) მწკრივი გამოხატავს წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს ანმეოში; II „თურმეობითის მწკრივი - წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს წარსულში (= „ნამეონინარენარსული - პლუსკვამპერფექტი“), ხოლო „III კავშირებითის“ მწკრივის დრო კი მომავალია.

როგორც დავინახეთ, საუკუნეების განმავლობაში ქართული ზმნის დრო-კილოთა სისტემა თანდათან დაიხვეწა, ჭარბი სინონიმური ფორმები (**გრამატიკული დუბლეტები**, არქაული, დიურატივიდან მომდინარე II ხოლმეობითის ფორმები, ანმეოს ხოლმეობითი, უწყვეტლის ხოლმეობითი, III ხოლმეობითი, შერეული კავშირებითი, I ბრძანებითი) გადაშენდა, სამაგიეროდ, თანდათან ჩამოყალიბდა დრო-კილოთა სრულიად ახალი, III სერიის დატიური კონსტრუქციის მქონე **ინაქტიური სუბიექტის ჯგუფი** (ე.წ. „თურმეობითების“ ჯგუფი), რომელიც პერფექ-

ტულ-რეზულტატიურობითა და სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსებით (უნახავი აქტი // უნებლიობა, მრავალგზისობა...) ხასიათდება. როგორც დავინახავთ, ეს ჯგუფი მიღებულია ორპირიანი სტატიკური ზმნების მ-ს რიგით მარკირებული მიცემითში დასმული „მფლობელი“ პირის გააქტიურებისა და სუბიექტად გაგების შედეგად (მ-ი-კეთიეს → გამიკეთიეს → გამიკეთებთიეს → გამიკეთებთა მე ის). III სერიის ფორმებმა, რომელთა სუბიექტი მ-ს რიგის მარკერითაა აღნიშნული, გააგრძელეს I სერიის პარადიგმა, რომელშიც დინამიკური ზმნის სუბიექტი ვინის რიგის მარკერითაა წარმოდგენილი, ამიტომ მიიჩნევეს ა.შანიძე მათ I სერიის „ინვერსიულ“ ფორმებად.

### სერიების ისტორიული ურთიერთმიმართების სქემა



### ქართული ზმნური ფორმების დიათეზებად კლასიფიკაციის მორფოსინტაქსური პრინციპი

### უღლების ტიპები დიათეზის გრამატიკული კატეგორიის მიხედვით ქართული ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია

საკლასიფიკაციო პრინციპად აღებულია მორფოლოგიური და სინტაქსური კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც გამოიყოფა დიათეზის გრამატიკული კატეგორია.

**დიათეზა** არის ქართული ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორია, რომელიც ხასიათდება მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობით.

წარმოდგენილი გრამატიკული ანალიზი და სქემა ნათლად აჩვენებს, რომ ქართული ზმნის კლასიფიკაცია ძირითადი მორფოლოგიური სტრუქტურებისა და სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით სამ დიათეზად პირდაპირ შესაბამისობაშია ქართული ზმნის სამ სერიად კლასიფიკაციასთან, ქართული ზმნის როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური ქვეჯგუფების სისტემური შესწავლის შესაძლებლობას იძლევა როგორც დიაქრონიამში, ასევე სინქრონიამში.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მთელი ზმნური ბაზის, 15.000 ზმნის (9.000-ზე მეტი ზმნური ფუძის) მორფო-სინტაქსური ანალიზის შედეგად ქართული ზმნების უღლებადი ფორმები განანილდა **მორფო-სინტაქსური თვალსაზრისით განსხვავებული დიათეზის სამ ძირითად ჯგუფში.**

**ქართულ ზმნას აწმყოში ორი ძირითადი მორფოლოგიური სტრუქტურა აქვს:**

1. **R - Ø** (წერ-Ø, აკეთ-ებ-Ø, ხატ-ავ დრეკ-Ø)

2. **R-ი** (ი-მალ-ებ-ი, თბ-ებ-ი, სახლ-დ-ებ-ი)

**და სამი ძირითადი სინტაქსური კონსტრუქცია:**

1. **ნომინატიური** (მღერის ის)

2. **ერგატიული** (იმღერა მან)

3. **დატიური** (უმღერია მას) სამი დიათეზისა და სამი სერიის მიხედვით.

**თითოეული ძირითადი სტრუქტურა სხვადასხვა დიათეზაში რამდენიმე ვარიანტით რეალიზდება:**

1. I დიათეზაში - სამი ვარიანტი: **R - Ø** (წერ-Ø, ძგერ-Ø...); **R -[ th.suf.] - Ø** (კანკალ-ებ-Ø, გორ -ავ-Ø, კერ-ავ - Ø, აგორ-ებ-Ø, ათბ-ობ-Ø...); **R-[ე/ი]-Ø**;

2. II დიათეზაში - ორი ვარიანტი: **R-ი** (წერ-ი-ხარ...); **R -[ th.suf.] -ი** (ი/ენერებ-ი, ი/ელ-ევ-ი, ეც-ემ-ი, ელაპარაკ-ებ-ი, იყურ-ებ-ი, იმუდარ-ებ-ი, იგმ-ობ-ი...).

3. III დიათეზაში - **ნარევი სტრუქტურაა: 1) R - Ø** (მ-ი-ყვარ -/ს, მ-წყინ-/ს); **2) R -[ th.suf.] -Ø**: (მ-ა-ყრყოლ-ებ-ს, მ-ა-მთქნარ-ებ-ს მე) და **3) R -ი/-ა, -[ th.suf.] -ი** (მ-ვ-ე-ნატრ-ებ-ი, მ-ვ-ე-ცოდ-ებ-ი, მ-ვ-ე-წყალ-ვ-ი, მ-ე-მთქნარ-ებ-ა)...

სამი შესაძლებელი სინტაქსური კონსტრუქცია: **ერგატიული, ნომინატიური და დატიური, რომლებიც სამი დიათეზისა და სამი სერიის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:**

1. I დიათეზაში: ცვალებადი კონსტრუქციაა:

**R /L - S - I** სერიაში: **ნომინატიური, II სერიაში: ერგატიული, III სერიაში:**

**დატიური**

(გორავს ის, იგორა მან, უგორია მას; აგორებს ის მას, გაავგორა მან ის, გაუგორებია მას ის)

2. II დიათეზაში:

**R /L - S** სამივე სერიაში **ნომინატიური, სტაბილური უცვლელი, კონსტრუქციაა** (ი-ე-მალება ის/ის მას, და-ი-ე-მალა ის/ ის მას, დამალულა ის, დამალვია ის მას).


### 3. III დიათეზაში:

**R/L -S** სამივე სერიაში დატიური უცვლელი, სტაბილური კონსტრუქციაა (უყვარს მას ის, ჰყვარებია მას ის, სწაღს მას ის - ეწადა მას ის).

თითოეული დიათეზის მორფოლოგიურ სტრუქტურას თავისი საკუთარი სინტაქსური კონსტრუქცია შეესაბამება.

## I დიათეზა

I დიათეზაში ვაერთიანებთ ანმყოს **R-Ø** სტრუქტურის (მოდელის) (**R/LS** - რეალურ-ლოგიკური სუბიექტის **ნომინატიურ-ერგატიულ-დატიური**) კონსტრუქციის ზმნებს, რომელთაც ორ ქვეჯგუფად ვყოფთ: ე.წ. „პირდაპირი“ - ბრუნვაცვალებადი (**dat. - nom.**) ობიექტის ქონება-უქონლობის განმასხვავებელი ნიშნის მიხედვით: შესაბამისად, გამოვყოფთ არასრული, ნაკლული კონსტრუქციისა (*ტირის ის - იტირა მან, მეფობს ის - იმეფა მან*) და სრული კონსტრუქციის ქვეჯგუფებს - **ავტოაქტივებსა და აქტივებს**, რომელთა R/L-S ბრუნვაცვალებადია სერიების მიხედვით: *იციინის ის, იცინა მან, უციინია მას*. I არასრული კონსტრუქციის დიათეზის - **ავტოაქტივის** (რეფლექსივის) სტრუქტურაცა და კონსტრუქციაც ამოსავალია I სრული კონსტრუქციის მქონე ქვეჯგუფის აქტიურსუბიექტიანი ზმნის თემატურსუფიქსიანი ფორმებისათვის (*კანკალებს ის → ა-კანკალებს ის მას, გორავს ის → აგორებს ის მას, ტირის ის → ატირებს ის მას...*) და ისტორიულად წინ უნდა უსწრებდეს მათ.



I. პირველი დიათეზის სტრუქტურის ზმნებს, როგორც წესი, შეესაბამება ცვალებადი კონსტრუქცია (ბრუნვაცვალებადი სუბიექტი: სახელობითი - მოთხრობითი – მიცემითი) და ამ ნიშნით ისინი ერთ დიათეზაში ერთიანდებიან, რომელიც ორ ქვეჯგუფად იყოფა. ამ ქვეჯგუფების განმასხვავებელი ნიშანი ბრუნვაცვალებადი პარტიციპანტის („პირდაპირი ობიექტის“) ქონა-არქონაა.

I დიათეზის პირველი ქვეჯგუფის ზმნების სუბიექტი მოქმედია, მაგრამ მას არა აქვს სამოქმედო ბრუნვაცვალებადი (ე.წ. პირდაპირი) ობიექტი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ისინი ამ „პირდაპირ“ ობიექტს თავის თავში, შინაგანად შეიცავენ, მათი სუბიექტი **თვითმოქმედია - ავტოაქტიურია**. აკაკი შანიძე მათ „სამშაული გვარის მედიაოქტივთა ქვეჯგუფში“ ათავსებს. მაგრამ, როგორც ვნახეთ, სამშაული გვარის გამოყოფის საფუძველი არ არსებობს. არნ. ჩიქობავა მათ უგვარო სტატიკურ ზმნებად მიიჩნევს. რაც შეეხება სტატიკურობას, ამ თვალსაზრისით მათ გარდამავალი საფეხური უჭირავთ აბსოლუტური სტატიკიდან, უძრობის მდგო-



მარეობიდან, მოქმედების პროცესამდე: ისინი ფიზიკური ან სულიერი მოქმედების მდგომარეობას გამოხატავენ (*კანკალებს, კივის, ტირის, წუხს..*). მოქმედება იწყება იმ წერტილიდან, რომელშიც სრულდება; ამ ზმნათა მოქმედებაც იწყება და სრულდება ერთსა და იმავე წერტილში, ანუ **უბრუნდება თვითმოქმედ პირს** (სუბიექტს). მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ზმნებს **რეფლექსიკური, უკუქცევითი** შინაარსი აქვთ, მათი მოქმედების ობიექტი იგივე სუბიექტია, ორპირიანი ზმნის დეკაუზაციის (კონვერსიის) შედეგად მიღებულია ერთპირიანი რეფლექსივი, რომელშიც სუბიექტის მოქმედება უკუქცევითია: სუბიექტის მოქმედება შიგნით, თავისი თავისკენაა მიმართული, ცენტრისკენულია, სუბიექტში „მდგომობს“. შესაბამისად, მათ სათანადო მარკერიც, **ი-** პრეფიქსი დაერთვის, რომელიც ერთპირიან კონსტრუქციაში რეფლექსივის ნიშანია, სუბიექტისკენ მიმართული მოქმედების გამოხატველი: ათამაშებს ის მას → ითამაშებს ის. **ი** რეფლექსივის ნიშანია და არა „ნასესხები“ აქტივის „სათავისო“ ქცევის, რის გამოც „მედიოაქტივი“ ეწოდა. ამ ფუნქციას ფრანგულ ენაში უკუქცევითი ნაცვალსახელები (**me, te, se**) ასრულებენ, რუსულში - უკუქცევითი ნაცვალსახელის „გაცვეთის“ გზით მიღებული სუფიქსი (**себя → ся**). იგივე **ი-** პრეფიქსი სასუბიექტო ორიენტაციის (ვერსიის) გამომხატველია პირდაპირობიექტიან (ორპირიან) კონსტრუქციაში. ავტოაქტივები ერთპირიანი ზმნებია, მათ პირდაპირი ობიექტი არა აქვთ, მაგრამ, თუ ზმნის სემანტიკა ამის საშუალებას იძლევა, შეიძლება გაუჩნდეს იგი: „სწავლობს გიგლა ტიტინა..“ - მაგრამ: „გიგლა სწავლობს ვაკვეთილს“; *ბავშვი ეზოში თამაშობს*, მაგრამ: *ბავშვი ფეხბურთს თამაშობს*. ასეთი ზმნები ლაბილური (ცვალებადი, არამდგრადი) კონსტრუქციით ხასიათდებიან. აღსანიშნავია, რომ ასეთი, ლაბილური კონსტრუქციის მქონე ზმნათაგან **-ობ** თემისნიშნის ზმნები მყოფად-წყვეტილში ავტოაქტივების მსგავსად **ი-** პრეფიქსიან ფორმებს ინარჩუნებენ: *თამაშობს ის - ითამაშებს / ითამაშა მან ბურთი; სწავლობს ის მას - ისწავლის / ისწავლა მან ის*. ძველ ქართულში **ი-** პრეფიქსიანი ფორმები აწმყოს მწკრივის კუთვნილებაა: *ინანის, იბრდღუენს, ილოცავს, იტყვს...* ამ ტიპის ზმნების პარადიგმა ახლანდელი დროის მნიშვნელობით დღესაცაა შემორჩენილი: *იბანაკებს, იძინებს, იღვიძებს* (იხ. დ. მელიქიშვილი, 2001, ინდექსი, პარადიგმა №10, გვ. 276); **ი-** პრეფიქსიანი რეფლექსივები მეგრულ-ლაზურსა და სვანურში აწმყოში დღესაც ჩვეულებრივია; *იბირს-მღერის, ინჩვირს, იმზირ...*) ქართულში **ი-** პრეფიქსიანმა ფორმებმა მომავლის გამოსატყვევ იკისრა ისევე, როგორც ზმნისნიშნისა ფორმებმა (*წერს- დაწერს; ტირის-იტირებს, ნანობს-ინანებს*).

2) მეორე ქვეჯგუფის ზმნების სუბიექტიც აქტიურია, მოქმედია, ბრუნვაცვალებადია (**nom. - erg.- dat.**), მაგრამ, განსხვავებით პირველი ქვეჯგუფისაგან, ისინი მოქმედების პროცესს გამოხატავენ, მათი მოქმედება გამოდის სუბიექტის სფეროდან და მიემართება ე.წ. „პირდაპირი“, ბრუნვაცვალებადი (**dat.-nom.**) ობიექტისაკენ; მათ შეიძლება მეორე, ბრუნვაუცვლელი (**dat.- dat.**), ე.წ. „ირიბი“ ობიექტიც შეეწყოს. კონსტრუქცია ამათაც ცვალებადი აქვთ. სუბიექტის ბრუნვებია: სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი, პირდაპირი ობიექტისა - მიცემითი და სახელობითი, ირიბისა - მიცემითი: *აშენებს ის მას - ააშენა მან ის - აუშენებია მას ის; უშენებს ის მას მას - აუშენა მან მას ის - აუშენებია მას ის მისთვის*.

ამგვარად, **I ჯგუფი**, რომელსაც თემა და კონსტრუქცია აერთიანებს, **I დიათეზას** ქმნის, რომელიც შეიცავს არასრული და სრული კონსტრუქციის ქვეჯგუფებს,

რომელთაგან პირველი მოქმედების მდგომარეობას გამოხატავს და, ამდენად, აბსოლუტურ სტატიკასთან მიმართებით **ნაწილობრივი სტატიკურობის** შინაარსს შეიცავს, II კი მოქმედების პროცესს გამოხატავს და, ამდენად, დინამიკური შინაარსისაა; I ქვეჯგუფი ძირეულია, ამოსავალია II ქვეჯგუფისათვის როგორც სტრუქტურის, ასევე კონსტრუქციის თვალსაზრისით (კანკალებს ის → ა-კანკალებს ის მას, ცხოვრობს ის → ა-ცხოვრებს ის მას).

**I დიათეზის I ქვეჯგუფის** ერთპირიანი (ერთვალენტიანი) ზმნები „გვარის“ სემანტიკური თვალსაზრისით რეფლექსივებია, მათ არ შეეწყობა ბრუნვაცვალებადი (ე.წ. „პირდაპირი“) ობიექტი, ისინი „გარდაუვლებია“, ავტოაქტივებია (კანკალებს ის, წუხს ის, იძინებს ის, იძახის ის). ორპირიანები კი ირიბგარდამავლებია (შეხედა მან მას).

**II ქვეჯგუფის** ზმნები სემანტიკით, შინაარსით აქტივებია: აძინებს, ასწავლის, აკეთებს / უკეთებს, ხატავს / უხატავს ... გარდამავლობის მიხედვით ესენი პირდაპირი - ბრუნვაცვალებადი ობიექტის შემცველი, ანუ პირდაპირგარდამავალი ზმნებია.

**I დიათეზის ჯგუფს** შეიძლება ერგატიული კონსტრუქციის დიათეზა ენოდოს II სერიაში ბრუნვაცვალებადი სუბიექტის სპეციფიკური, „მოთხრობითი“ ბრუნვის მიხედვით.

## II დიათეზა

**სტრუქტურა:** თემა + ი (R+ი, R-th.suf.+ი): ხატ+ი-(ხარ) (← ხატ-ი-ე) - ხატ-ი-ა (←ხატ-ი-ე-ს), იხატებ+ი, თბებ+ი, თეთრ-დ-ებ+ი). კონსტრუქცია - ნომინატიური.

**II დიათეზაში** გაერთიანებულია ორი ქვეჯგუფი:

**1) [R+ი] სტრუქტურის აბსოლუტურ-სტატიკური ნომინატიური კონსტრუქციის ზმნები:**

ანმყო - ანთია ცეცხლი; მყოფადი - ენთება ცეცხლი; წყვეტილი - ენთო ცეცხლი; რეზულტატივი - ნთებულა ცეცხლი; მინთია მე ის - გინთია შენ ის - უნთია მას ის; მენთება მე ის, გენთება შენ ის, ენთება მას ის; მნთებია მე ის, გნთებია შენ ის, ჰნთებია მას ის.

**2) [R-th.suf.+ი] სტრუქტურის დინამიკური ნომინატიური კონსტრუქციის ზმნები:** იმალება ის - დამალა ის - დამალულა ის; ემალება ის მას - დაემალა ის მას- დამალვია ის მას.

**1) არასრული კონსტრუქციის** არქაული უგვარო სტატიკური ზმნები (რომელთაც ა. შანიძე „სტატიკურ ვნებითებს“ უწოდებს), რომელთა ანმყოფს თემა ასევე -ი სუფიქსიანია, ოღონდ მარტივი, მადინამიკურებელი თემატური სუფიქსის გარეშე: ვწერ-ი-ვარ, წერ-ი-ხარ, წერ-ი-ა. ფორმით ესენი წარმოშობით ორპირიანებია, მაგრამ დღეს კონსტრუქცია არასრული აქვთ: ზმნის ფორმაში ორი პირია აღნიშნული (ზოგჯერ პირთა მიმართების კორელაციური ხმოვანპრეფიქსით): ს-წერი-ა - ე-წერ-ა ის (მას → მას-ზე); ა-ფენია - ე-ფინა.

**2) სრული კონსტრუქციის მქონე ერთპირიანი (აბსოლუტურგარდაუვალი) და ორპირიანი, რელატიური (ირიბგარდამავალი) დინამიკური ზმნები,**

რომელთა  $S_{nom.}$  და  $S_{ind.dat.}$  ბრუნვაუცვლელია სერიების მიხედვით. მათი ანმეოს სტრუქტურაა **Ø-R-ებ-ი, Ø-/ი/ე-R-ებ-ი.**

ამათგან ერთი ჯგუფის სტრუქტურა ძირეულია („თბება“ ტიპის ზმნები) და მისგან კაუზატიური წარმოების გზით მიღებულია აქტივის, პირდაპირგარდამავალი ზმნების ფორმები (თბ-ებ-ა - ა-თბ-ობ-ს, ხმ-ებ-ა - ა-ხმ-ობ-ს); მეორე ჯგუფის ზმნები მაინტენსივებელი (მადინამიკურებელი) დერივაციული -დ სუფიქსის დართვითაა ნაწარმოები სახელის ფუძიდან ან მასდარიდან: მეფე - მეფ-დ-ება, თეთრი - თეთრ-დ-ება, მშვიდ-ი - მშვიდ-დ-ება; მესამე ჯგუფი კი წარმოქმნილია აქტივის ფორმათა კონვერსიის გზით, მაგრამ, როგორც ვნახეთ, **კონვერსია ყოველთვის ვერ იძლევა**, და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე იშვიათად იძლევა პასივის გაგებას: მხოლოდ მაშინ, როდესაც სუბიექტი უსულო საგანია და ასეთ შემთხვევებშიც ხშირად ქართულისათვის არაბუნებრივი შესიტყვება მიიღება (მაგ. ჩანთა იმალება / დაიმალა ბავშვის მიერ ან: ჩანთა ემალება/ დაემალა ბავშვს ამხანაგის მიერ). ასეთ შემთხვევებში აქტიური ზმნის შემცველი კონსტრუქციის ჩანაცვლება სჯობს (ამიტომაც აღნიშნავს ა. შანიძე თავის სპეციალურ ნაშრომში კონვერსიის შესახებ, რომ „ქართული ძირითადად აქტიური კონსტრუქციების ენაა“ (ა. შანიძე, 1943). სამპირიანი ზმნის კონვერსია, თუ მისი პირდაპირი ობიექტი პერსონალური პირია, იძლევა ირიბგარდამავალი ზმნის აქტიურსუბიექტიან ფორმას (აჩხუბებს ის მას მას - ერხუბება ის მას, უმაღავს ის მას ბავშვს – ბავშვი ემალება მას (დ. მელიქიშვილი, 2001, ინდექსი, პარადიგმა №11)); ასევე, ორპირიანი პირდაპირგარდამავალი ზმნის კონვერსიული ფორმაც, შესაბამისად - აქტიურსუბიექტიანია, კერძოდ, ავტოაქტიურია (დედა მაღავს ბავშვს - ბავშვი იმალება თვითონ)

ამგვარად, **Ø-R-ებ-ი, Ø-/ი/ე-R-ებ-ი** სტრუქტურის ზმნები სუბიექტის აქტივობა-პასივობის თვალსაზრისით ავტოაქტიური და აქტიური შინაარსისაა, პასიური შინაარსი მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ, როდესაც კონტექსტში იგულისხმება, ან წარმოდგენილია **მიერ და -გან** თანდებული: ე.ი **R-ებ-ი სტრუქტურა („ყალიბი“)** არ არის პასივის მახასიათებელი: საკუთრივ პასივისთვის თანდათან ჩამოყალიბდა აღწერითი წარმოება (ისევე, როგორც ბერძნულში და სხვა ევროპულ ენებში), რადგანაც აქტივის კონვერსიით მიღებული ფორმები ომონიმური იყო აქტივისა: აქტივის ფორმებს ემთხვეოდა ნეკტილში: მაგ. ფრიად ვცოდე და **შევიგინე (=შეგინებულ ვიქმენ მე); რაათა არა განგდებულ ვიქმნეთ (ჩუენ)** უდებებითა, არამედ, რაათა მღჳძარედ ვიპოვნეთ (=პოვნილ ვიქმნეთ ჩუენ), აღდგომილნი საქმითა კეთილითა; ჳორცნი შეიმოსენ (შენ იგინი), და ჳუარს-ეცჳ და დაიკალ (= დაკლულ იქმენ შენ), ჩუენ, უმაღლოთა და ძჳრისმოქმედთათჳს; შეინირე (=შენირულ იქმენ შენ), ვითარცა ცხოვარი; მოიკალ (შენ) ჩუენტჳს; საღმრთოჲ პური ცხორებისა საშოსა შენსა, ღმრთისა დედაო, ჳემმარიტად შეიცხო (=შემცხვარ იქმნა იგი) და დაიცვა (=დაცვულ იქმნა იგი) უვნებელად დავივიწყე (=დავინყებულ ვიქენი მე), ვითარცა მკუდარი; მოივლინა (იგი) უფლის მიერ. მსგავსი აღწერითი, მიმღეობიანი კონსტრუქციები ძველსავე ქართულში გაჩნდა როგორც ბერძნული ენიდან თარგმანებში, ასევე ორიგინალურ ტექსტებში, სწორედ იმის გამო, რომ კონვერსიულმა ფორმებმა, რამდენადაც ისინი აქტივის სა-

სუბიექტო ვერსიის ფორმებს ემთხვეოდნენ, ომონიმიის, პოლისემიურობის გამო ვერ შეძლეს პასიური შინაარსის გამოხატვა.

ამგვარად, **II დიათეზა** შეიცავს არასრული და სრული კონსტრუქციის ქვეჯგუფებს, რომელთაგან I ქვეჯგუფი სტატიკურია (*წერია, აფენია*) და II კი დინამიკური *ენერებ-ი/ა, ეფინებ-ი/ა*; I ქვეჯგუფი აქაც II-ის საფუძველია როგორც სტრუქტურულად, ასევე კონსტრუქციულად (*ფენია ის - აფენია ის მას, წერია ის - აწერია ის მას*) ამ სტრუქტურის ზმნების კონსტრუქცია სტაბილურია: **R/L-S** (სუბიექტი) სამსავე სერიაში სახელობითშია, **R/L-OO** (ობიექტი) მიცემით ბრუნვაში. ზმნების ეს ჯგუფი ნომინატიური კონსტრუქციის დიათეზას ქმნის.

გვარის თვალსაზრისით ამ დიათეზის I ქვეჯგუფის ზმნები ნეიტრალურია, უგვაროა. II ქვეჯგუფის ზმნები კი სუბიექტის აქტიურობა-პასიურობის მიხედვით შეიძლება ავტოაქტივებიც იყვნენ და ირიბგარდამავალი აქტივებიც, რადგანაც, თუ ამოვალთ ვნებითი გვარის უნივერსალური სემანტიკური განსაზღვრებიდან, რომლის მიხედვითაც ვნებითი გვარისაა ზმნა, რომლის სუბიექტიც თვითონ კი არ მოქმედებს, არამედ განიცდის მოქმედებას, **R-ი, R-ებ-ი** სტრუქტურა არ არის აუცილებლობით დაკავშირებული ვნებით გვართან: 1) როგორც ადრევე ვაჩვენეთ, 300-ზე მეტი ე- და ა- პრეფიქსიანი ზმნა (*ელაპარაკება, ერხუბება, ეჯიბრება, აცხრება, ახტება.*) აქტიურსუბიექტიანია. ამასთანავე, შემთხვევითი არ არის, რომ ამ ჯგუფის ორპირიანი ე- პრეფიქსიანი ფორმებს ამავე დიათეზის (**R-ებ-ი** სტრუქტურის) მოსალოდნელი ი- პრეფიქსიანი ერთპირიანი ფორმების ნაცვლად შეესაბამებათ I დიათეზის (**R-[th.suf.] - Ø** სტრუქტურის) ავტოაქტივები: *ერხუბება-ჩხუბობს, ელაპარაკება - ლაპარაკობს...*; 2) 100-ზე მეტი ი- პრეფიქსიანი ე.წ. „დეპონენსური ვნებითი“ - ავტოაქტივია (**რეფლექსივია**); 3) ასევეა ათასობით ი- /ე- პრეფიქსიანი კონვერსიული ავტოაქტიური და აქტიურსუბიექტიანი პერსონალური აქტანტის შემცველი ზმნები (*იმალება ბავშვი, ემალება ბავშვი დედას*); 4) „თბება“ ტიპისა და **-დ** სუფიქსიანი ნასახელარი დინამიკური ზმნები შინაარსით ავტოაქტივებია (იხ. დ. მელიქიშვილი, 2001, გვ.61-70; პარადიგმები: №№ 10 (44), 11(45), 12(46), 14(48), 15(49), 16(50)).

**R-ებ-ი** სტრუქტურა საერთოა სამივე გვარისთვის: აქტივის, ავტოაქტივისა და პასივისათვის. აქტივ-პასივის ფორმალური, მორფოლოგიური ოპოზიცია უფრო გვიან ჩამოყალიბდა, მას მერე, რაც ბერძნულიდან პასიური კონსტრუქციების თარგმნისას აქტივის კონვერსიულმა ომონიმურმა ფორმამ აორისტში ბუნდოვანი გახადა კონტექსტის გაგება და ენამ გამოსავალი აღწერით წარმოებაში იპოვა: „რომლითა ბოროტითა არა შევიპყარ! (=შეპყრობილ ვიქმენ); ფრიად ვცოდე და შევიგინე (=შეგინებულ ვიქმენ); შეინირე (=შენირულ იქმენ), ვითარცა ცხოვარი, ცოდვათათვის კაცთათა; დაიკალ (=დაკლულ იქმენ) ჩუენ, უმადლოთა დაძკრის-მოქმედთათვს; საღმრთოჲ პური ცხორებისა საშოსა შენსა, ღმრთისა დედაო, ჭემ-მარიტად შეიცხო (=შეცხობილ იქმენა) და დაიცვა (=დაცულ იქნა) უვნებელად, უბინოო; ... რაჲთა არა განგდებულ-ვიქმნეთ, უდებებითა, არამედ, რაჲთა მღვძარე ვიპოვნეთ, აღდგომილნი საქმითა კეთილითა...“

რაც შეეხება პასიურ შინაარსს, ეს სემანტიკა შეიძლება **R-ებ-ი** სტრუქტურის უსულო სუბიექტის შემცველმა ზმნებმა გამოხატონ, ისიც - არა ყოველთვის: ამგვარი ზმნების უსულო სუბიექტიც ხშირად აქტიურ აქტანტად წარმოგვიდგეს:



„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზენარი გადაეფარა“ (ილია) „გადა-  
ეფინა ტყეებს ფოთლის შრიალი ნაზად...“; ან: „როცა ძილი შენს წამნამებს მიეპა-  
რება...“, „დედამინა შეიმოსა თეთრი სამოსელით“... „ღამე შიშისგან გაინურება“...  
(მირზა გელოვანი).

**II დიათეზის ჯგუფში სუბიექტი ბრუნვაუცვლელია, ყოველთვის სახე-  
ლობით ბრუნვაშია წარმოდგენილი, რის გამოც ამ ჯგუფს შეიძლება „ნო-  
მინატიური“ კონსტრუქციის დიათეზა ეწოდოს (RL-S) ბრუნვაუცვლელი სუ-  
ბიექტის სახელობითი ბრუნვის მიხედვით.**

### III დიათეზა

III დიათეზაში ვაერთიანებთ დატიური კონსტრუქციის ძირეული, ი/უ-R-Ø  
სტრუქტურის („მიყვარს“ ტიპის) ზმნებს და მეორეული, I დიათეზის ა-R-ებ (აკა-  
ნკალებს) სტრუქტურისა და II დიათეზის -ე-R-ებ-ი სტრუქტურის ზმნების კონვე-  
რსიის(დეკაუზაციის) ინვერსიის გზით მიღებულ „ინვერსიულ“ ზმნებს.

III დიათეზაშიც ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

**I ქვეჯგუფში** ერთიანდება არქაული, უძველესი ფორმაციისა და კონსტრუქ-  
ციის აფექტური, არამატერიალური, სულიერი მდგომარეობა = მოქმედების გამო-  
მხატველი ე.წ. „აფექტური“ ზმნები (*მიყვარს, მომწონს, მძულს, მსურს*), რომელთა  
სუბიექტი იმთავითვე მანის რიგითაა მარკირებული. ასევე, რამდენიმე ფიზიო-  
ლოგიური მდგომარეობის, სურვილის გამომხატველი (*მშობის → მშობა, მწყურის  
→ მწყურია*) არააქტიური, „ადინამიური“ შინაარსის ზმნები, რომელთა სუბიექტი  
ასევე, განმცდელი, სუსტი, „ინაქტიური“ სუბიექტია.

I ქვეჯგუფის ზმნების მნიშვნელოვანი ნაწილი უძველესი სტრუქტურისა და  
კონსტრუქციის, უძველესი ფორმაციის მქონე ძირეული სტატიკური ზმნებია,  
რომლებიც ვერ აწარმოებენ ყველა დრო-კილოს და, ამ თვალსაზრისით, სხვადას-  
ხვა ქვეტიპს ქმნიან. მათი რაოდენობა დაახლოებით ოთხი ათეულით განისაზღ-  
ვრება (იხ. მელიქიშვილი, III დიათეზა, ინდექსი, პარადიგმები: №3,4,5,6).

შინაარსით ისინი არამატერიალური, სულიერი მდგომარეობის გამომხატვე-  
ლი სტატიკური ზმნებია, რომელთა სუბიექტი სულიერი მდგომარეობის განმცდე-  
ლი, ანუ სუსტი ნებელობის მქონე, ინაქტიური პირია: *მიყვარს - უყვარს მას ის,  
მომწონს - მოსწონს მას ის, მიჭირს, უჭირს მას /ის/, მში-ი-ს → მშ-ი-ა, მწყურ-ი-ს →  
მწყურ-ი-ა, მეში-ი-ს → მეშინ-ი-ა...*) ამ ტიპის „აფექტური“ ზმნების სახელით ცნო-  
ბილი ზმნები სხვა ენებშიც ორდინალური უღლების მქონე ფიზიკური მოქმედების  
გამომხატველი ზმნებისაგან განსხვავებული, თავისებური წყობით ხასიათდები-  
ან, მათაც ინაქტიური რეალური სუბიექტი აქვთ, მაგრამ ეს სუბიექტი, განსხვავე-  
ბით ქართულისაგან, არ მონაწილეობს ზმნის მორფო-სინტაქსურ სტრუქტურაში,  
არ გააჩნია თავისი მარკერი.

**II ქვეჯგუფში** ვაერთიანებულა ზმნის ფორმები, რომლებიც I დიათეზის  
ზმნათაგან კონვერსიის გზითაა მიღებული და ხშირად პირის დაკარგვის შედე-  
გად ჩამოყალიბებული. ამდენად, მათი კონსტრუქცია მეორეულია, წარმოქმნი-  
ლია: *მაცახცახებს ის მე → მა-ცახცახებს მე, აცახცახებს მას; მაჟრჟოლებს ის მე*



→ მაჟრჟოლებს მე, აჟრჟოლებს მას; გამაგებინა მან მე ის – ნეტავი გამაგებინა, შესაბამისად, პარადიგმაც დეფექტურია.

ამათვე რიგშია II დიათეზის ე-R-ები სტრუქტურის მქონე ინვერსიული კონსტრუქციის ზმნები (მეზარება, მეჯავრება, მეცინება, მაგვიანდება...), რომელნიც შესაბამისად, II დიათეზის პარადიგმას მიჰყვებიან და სემანტიკურად სხვადასხვა ნიუანსს ქმნიან.

ამ ქვეჯგუფის ზმნები ირეგულარულია: ისინი II და III სერიის დრო-კილოთა ფორმებს ძნელად, ან ვერ აწარმოებენ.

**III დიათეზის** ზმნათა სწორედ ეს უძველესი, მანის რიგის ნიშნით მარკირებული დატიური კონსტრუქცია უნდა ყოფილიყო ამოსავალი ნიშნით ქართული ენის პოლიპერსონალურ ზმნაში არსებული პოტენციის (შესაძლებლობის) განხორციელებისათვის: კერძოდ, დინამიკური ზმნების - როგორც I დიათეზის კაუზატიური სტრუქტურის ზმნათა, ასევე II დიათეზის სტრუქტურის ზმნათა პირის კლების შედეგად დეკაუზაციისა (კონვერსიის) და კაუზატიური წარმოების ზმნის მიცემითი დასმული ეკზეკუტორის ფუნქციის მქონე პირის სუბიექტად გადააზრინების ანუ „ინვერსიის“ შედეგად მიღებულ იქნა არამატერიალური, სულიერი მოქმედების განმცდელი სუსტი ნებელობის, **ინაქტიური** სუბიექტის მქონე ზმნების ახალი ქვეჯგუფი, რომელიც მიცემითი დასმული პირი დღეს (**RL-S**) სუბიექტადაა გააზრებული: *აკანკალებს შიში, სიცივე მას, მაგრამ: ა-კანკალებს მას /შიში-საგან, სიცივისაგან/; ა-მცხიკვებს ის (მას), მაგრამ ა-მცხიკვებს მას; ა-ცემ-ინ-ებ-ს ის მას. მაგრამ: ეცემინებ-ა მას; ანატრებს ის მას მას - ენატრება მას ის..)\** ამ ტიპის ზმნებში მიცემით ბრუნვას მანის რიგის მარკერი შეესაბამება (იხ. დ. მელიქიშვილი, 2001, III დიათეზა, გვ. 225-255; ინდექსი, პარადიგმები: №№1 (53) -14(65)).

III დიათეზის *მენატრება, მეჩვენება, მეძინება, მემძიმება, მეხალისება* და მისთ. ტიპის ზმნები, რომელთა ინაქტიური სუბიექტი მანის რიგის მარკერითაა აღნიშნული, მიღებული ჩანს I დიათეზის *მანატრებს ის მე მას, მაჩვენებს ის მე მას, მაძინებს ის მე, მემძიმებს, მეხალისებს ის მე* კაუზატიური ფორმების დეკაუზაციის, კონვერსიის გზით: კონვერსიისას იკარგება მაკაუზირებელი პირი - აგენსი (სუბიექტი), ხოლო პირდაპირი ობიექტი, რომელიც მისი გავლენით მოქმედებდა ან რომელიც განიცდიდა ამ მოქმედებას, გადააზრებულია სუბიექტად, რომელიც მიცემით ბრუნვაში დგას და ზმნაში მანის რიგის ფორმანტითაა აღნიშნული. სემანტიკურად იგი განმცდელი, სუსტი, ინაქტიური სუბიექტია, რომელიც სტაბილურად მიცემით ბრუნვაშია: *ანატრებს ის მას მას - მოანატრა მან მას ის → ენატრება მას ის - მოენატრა მას ის; აჩვენებს ის მას მას → ეჩვენება მას ის - მოეჩვენა მას ის; აზიზღებს ის მას მას → ეზიზღება მას ის - შეეზიზღა მას ის; აჯავრებს ის მას მას → ეჯავრება მას ის - შეეჯავრა მას ის; აწონებს ის მას მას - მოაწონა მან მას ის → მოსწონს /მოეწონება მას ის - მოეწონა მას ის; აძინებს ის მას - დააძინა მან ის → ეძინება მას - დაეძინა მას...*

ვფიქრობ, ახსნა არ სჭირდება იმას, თუ როგორ ჩაიძირა ცნობიერებაში კაუზატიური ფორმის „მაიძულებელი“ პირი, ანუ „ინიციატორი“ და როგორ ამოტივტივდა და სუბიექტად გაცნობიერდა „ეკზეკუტორი“, პირი, რომელიც რეალურად

მოქმედებდა, „მოსდიოდა“ კანკალი, ანუ რეალურად კანკალებდა არა თავისი ნე-  
ბით, არამედ სხვისი ზემოქმედებით.

როგორც ცნობილია, იმის გამო, რომ გრამატიკაში (ქართული ზმნური შე-  
სიტყვების აღწერისას) ლოგიკური ცნება-ტერმინების, სუბიექტ-ობიექტის შემო-  
ტანამ ბევრი შეუსაბამობა და გაუგებრობა გამოიწვია (რის გამოც იძულებულნი  
არიან ტერმინებს „სუბიექტი და ობიექტი“ ლოგიკური და გრამატიკული ფუნქცი-  
ების ერთმანეთისგან გასარჩევად დაამატონ ატრიბუტები „ლოგიკური სუბიექტი  
/ გრამატიკული სუბიექტი“), არნ. ჩიქობავამ შემოიტანა სინტაქსური ცნება-ტერ-  
მინები: „კოორდინაცია“ და „კოორდინატები“, რაც საშუალებას იძლევა ზუსტად  
აღწეროს ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმი.

სწორედ სუბიექტის აქტიური (ფიზიკური) და პასიური (სულიერი) ნებელო-  
ბის მიხედვით უპირისპირდება ერთმანეთს იდენტური სტრუქტურის, მაგრამ  
სხვადასხვა კონსტრუქციის ფორმები: *ამცხიკვებს ის (მას) → ამცხიკვებს მას,  
აცემინებს ის (მას) → აცემინებს მას, ახველებს ის (მას) → ახველებს მას...* და აქე-  
დან შემდეგ, I დიათეზის ზმნათა ანალოგიით ვრცელდება II დიათეზის სტრუქტურის  
ზმნებშიც: *მამთქნარებს მე - მემთქნარება მე - ამთქნარებს მას - ემთქნარება  
მას; ეცემინება მას, ემცხიკვება მას, ეხველება მას* და ა.შ. და ასე, იქმნება მთელი  
სისტემა, რომელიც გენერაციის დიდი უნარით ხასიათდება (იხ. დ. მელიქიშვილი,  
2001, III დიათეზა, პარადიგმები №7 (59) - №14 [66]). ყველა ამ შემთხვევაში და-  
კარგული („ჩაძირული“) III პირის აგენსის მარკერი ზმნის ფორმაში უფუნქციო,  
რუდიმენტის სახითაა შემორჩენილი.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ I დიათეზის ზმნათა III სერიის ფორმების ინვერ-  
სიის თაობაზე, რამაც უნებლიობისა და უნახაობის სემანტიკა შესძინა ამ ფორ-  
მებს სწორედ იმის გამო, რომ *მინერია/მიგდია* ტიპის სტატიკურ ზმნათა გადი-  
ნამიკურების (→*დამინერია/დამიგდია*) შედეგად ამ ფორმებში სუბიექტის გაგება  
შეიძინა მიცემითში დასმულმა პირმა და შესაბამისად, სუბიექტის მარკერის ფუნ-  
ქცია დაეკისრა მ-ს რიგის პრეფიქსს, რომელიც ისტორიულად უძველესი ფორმა-  
ციის „აფექტურ“, მიყვარს ტიპის ზმნებში იმთავითვე სულიერი მოქმედების გა-  
ნმცდელი სუსტი ნებელობის მქონე ინაქტიური სუბიექტის მარკერი იყო.

ამგვარად, უნებლიობის სემანტიკის გამოხატვა III სერიაშიც და, საზოგადოდ,  
ქართული ზმნის უღლების სისტემაში დაკავშირებულია მ-ს რიგის პრეფიქსთან,  
ანუ მიცემითში დასმული პირის (რომელიც ლოგიკურად - ფუნქციით სუბიექტია,  
სუსტი ნებელობის, ინაქტიური სუბიექტია) მარკერთან (*ვ-ი-ხსენ-ებ - მ-ა-ხსენდ-  
ებ-ა, ვ-ი-გვიან-ებ - მ-აგვიანდება, ვ-იცინი - მ-ეცინება, ვ-ი-ლიმ-ებ-ი - მ-ე-ლიმ-  
ებ-ა, ვ-იღვიძ-ებ - მ-ე-ღვიძ-ებ-ა, ვ-ტირი - მ-ეტირება, ვ-ინდომებ - მ-ინდებ-ა /  
მ-ენდომ-ებ-ა, ვ-ნანობ - მ-ენან-ებ-ა, ვ-ნატრობ - მ-ენატრება, ვ-იფხან - მ-ეფხა-  
ნება, ვ-ი-ქავ-ებ - მ-ექავ-ებ-ა...*).

აქტივის ფორმათა კონვერსიის (დეკაუზაციის) შედეგად ჩამოყალიბდა ე.წ.  
აფექტური ზმნების, არამატერიალური სულიერი მდგომარეობის // მოქმედების  
(*მიყვარს, მომწონს, მძულს*) ზმნათა ტიპის დატიურ სუბიექტიანი *მაკანკალებს,  
მაცხიკვებს, მაცემინებს, მეცემინება, მამცხიკვებს, მემცხიკვება, მანატრებს* →

მენატრება ტიპის განმცდელი, სუსტი ინაქტიური სუბიექტის მქონე დატიური კონსტრუქციის ზმნების ინტენსიურად მზარდი, III დიათეზის ჯგუფი, რომელშიც ნათლად გამოიკვეთა დრო-კილოთა ფორმების სემანტიკა.

III დიათეზას შეიძლება დატიური კონსტრუქციის დიათეზა ვუნოდოთ, რადგანაც მასში შემავალი ზმნების სუბიექტი სტაბილურად მიცემით ბრუნვაში დგას.

### დიათეზების სქემა

I დიათეზა (ერგატიული)	
<p>სტატიკური, (ნაწილობრივი სტატიკა)  გვარი: ავტოაქტივი/(რეფლექსივი)  სტრუქტურა: R-Ø; ი-უ-R[ე/ი]-Ø;  prev.-R- ა-ი-უ-R-th.- Ø  კონსტრუქცია არასრული:  [ის – მან;  ის მას – მან მას]</p>	<p>დინამიკური  გვარი: აქტივი  სტრუქტურა: ა-ი-უ-R-Ø; ა-ი-უ-R [ე/ი]-Ø;  ა-ი-უ-R-th.suf.-Ø  კონსტრუქცია სრული:  [ის მას – მან ის;  ის მას მას – მან მას ის]</p>
II დიათეზა (ნომინატიური)	
<p>სტატიკური (აბსოლუტური სტატიკა)  სტრუქტურა: Ø-ი-უ-R-ი  კონსტრუქცია არასრული: [ის – ის]  გვარი: უგვარო (ნეიტრალური)</p>	<p>დინამიკური  სტრუქტურა: Ø-უ-R-ებ-ი; Ø-უ-R-დ-ებ-ი;  ა-R-ებ-ი; ე-R-ებ-ი; ი-ე-R-ებ-ი  კონსტრუქცია სრული: [ის – ის; ის მას – ის მას]  გვარი: ავტოაქტივი, აქტივი, პასივი (+მიერ, -გან)</p>
III დიათეზა (დატიური)	
<p>სტატიკური განმცდელი, ინაქტიური სუბიექტი)  სტრუქტურა ძირეული: ი-უ-R-Ø;  ი-უ-R-ი  კონსტრუქცია:  [მას – მას; მას ის – მას ის]</p>	<p>სტატიკური, დინამიკური. (განმცდელი, ინაქტიური სუბიექტი)  სტრუქტურა წარმოქმნილი: ა-R-ებ-Ø;  ე-R-ებ-ი  კონსტრუქცია:  [მას – მას; მას ის – მას ის]</p>

სქემიდან ჩანს, რომ:

I.1. ნაწილობრივი სტატიკის, შეფარდებით (მიმართებით)-სტატიკური ავტოაქტივები და დინამიკური აქტივები პირველი დიათეზის ორი განშტოებაა, უსრული და სრული კონსტრუქციით. აქვე შედის ლაბილური კონსტრუქციის ავტოაქტივთა ფორმები, რომელთა შინაგანი პირდაპირი ობიექტი ხან ამოტივტივდება, ხან იკარგება (თამაშობს ის – თამაშობს ის მას, ლაპარაკობს ის – ლაპარაკობს ის მას, სწავლობს ის – სწავლობს ის მას, უჩხიკინებს ის მას – უჩხიკინებს ის მას მას და სხვ.).

I. 2. R-ი სტრუქტურის უგვარო სტატიკური და R-ებ-ი სტრუქტურის დინამიკური ზმნები, შესაბამისად უსრული და სრული ნომინატიური კონსტრუქციით, მეორე დიათეზის **ორი განშტოებაა** ანმყოს -ი სუფიქსური საერთო მახასიათებლით.

I. 3. მესამე დიათეზაშიც **ორი ქვეჯგუფია**: I ქვეჯგუფი *მიყვარ-ს, მძულ-ს* და *მში-ი-ს, მწყურ-ი-ს* (→ *მში-ი-ა, მწყურ-ი-ა*) ტიპის R-Ø და R-ი სტრუქტურის ძირეული დატიური კონსტრუქციის არქაული ზმნებისა და II ქვეჯგუფი: ნარევი, ა-R-ებ-Ø და R-ებ-ი სტრუქტურის ინვერსიული დატიური კონსტრუქციის მქონე ზმნებს შეადგენს.

II. სქემაში წარმოდგენილია **მორფო-სინტაქსურ დონესა და სემანტიკურ დონეს შორის ურთიერთშესაბამისობის სურათი**: გვარი დიათეზასთან მიმართებით სემანტიკური კატეგორიაა, იგი დიათეზის ქვესახეა, რომელსაც სემანტიკური დატირთვა აქვს და გრამატიკულად არ არის მარკირებული: ავტოაქტივსა და აქტივს ახასიათებს როგორც R-Ø, ისე R-ი სტრუქტურა და როგორც ერგატიული, ისე ნომინატიური კონსტრუქცია: პასივისათვის აქედან **საზიაროა R-ი** სტრუქტურა, ხოლო სპეციფიკურია **ნომინატიური** კონსტრუქცია. ამგვარად, როგორც ჩატარებული ანალიზიდან გამოჩნდა, **ავტოაქტიური და აქტიური სემანტიკის** სუბიექტი შეიძლება ჰქონდეს ერთი და იმავე მორფოლოგიური სტრუქტურის, მაგრამ განსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციის მქონე I და II დიათეზის ზმნებს, ხოლო **პასიური / სუსტი, განმცდელი „ინაქტიური“ შინაარსის** სუბიექტი კი – II და III დიათეზის განსხვავებული სტრუქტურისა და კონსტრუქციის ზმნებს. მაშასადამე, I დიათეზაში საერთო მორფოლოგიური სტრუქტურისა და ერგატიული სინტაქსური კონსტრუქციის მხოლოდ **აქტიურსუბიექტიანი** (მათ შორის ავტოაქტიური, რეფლექსიური) ზმნები თავსდება, II დიათეზაში - საერთო მორფოლოგიური სტრუქტურისა და ნომინატიური სინტაქსური კონსტრუქციის როგორც აქტიურსუბიექტიანი (მათ შორის ავტოაქტიური, რეფლექსიური) ისევე **პასიურსუბიექტიანი** ზმნები, ხოლო III დიათეზაში კი **ნარევი მორფოლოგიური სტრუქტურისა და დატიური სინტაქსური კონსტრუქციის განმცდელი, „ინაქტიური“ სუბიექტის** შემცველი ზმნები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქართული ზმნისათვის **დიათეზა გრამატიკული კატეგორიაა**, ხოლო მის ფარგლებში **გვარი სემანტიკური კატეგორიაა**. აქტივ-პასივს შორის მორფოლოგიური (**გრამატიკული**) ოპოზიცია დიათეზების ფარგლებში არ არის, მაგრამ ეს ოპოზიცია, როგორც ვნახეთ, მოგვიანებით, ბერძნულიდან თარგმნის პროცესში ჩამოყალიბდა სულ სხვა სისტემით: პერიფრასტული, აღწერითი საშუალებით (**„ყოფნა“ და „ქმნა“** მეშველი ზმნების დახმარებით), ისევე, როგორც ბერძნულში და სხვა ევროპულ ენებში.

**ქართული ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორიების - დიათეზებისა და სერიების ურთიერთმიმართების ცხრილი\***

I დიათეზა კონსტრუქცია ცვალებადი: ნომ./ერგ./დატ.		II დიათეზა კონსტრუქცია სტაბილური: ნომინატიური		III დიათეზა კონსტრუქცია სტაბილური: დატიური	
I ქვეჯგუფი	II ქვეჯგუფი	I ქვეჯგუფი	II ქვეჯგუფი	I ქვეჯგუფი	II ქვეჯგუფი
<b>I სერია</b> ნომინატიური ტრიალებს ხტის ცეკვავს ის	<b>I სერია</b> ნომინატიური ატრიალებს ახტუნებს აცეკვებს ის მას	<b>I სერია</b> ნომინატიური წერია გდია აცვია, ჰხურავს ის მას	<b>I სერია</b> ნომინატიური ტრიალ-დ-ება თბება ის ი-ე-მალება	<b>I სერია</b> დატიური მ-ი/უ- /ყვარს მ-ს-/ძულს მე/მას ის	<b>I სერია</b> დატიური 1./მ/აკანკალებს /მ/აჭურთოლებს /მე/მას 2. /მ/ენატრება მე ის/მას ის
<b>II სერია</b> ერგატიული იტრიალა იცეკვა იხტუნა მან	<b>II სერია</b> ერგატიული ატრიალა მან ის	<b>II სერია</b> ნომინატიური ენწერა, ეგდო ის ეცვა, ეხურა ის მას	<b>II სერია</b> ნომინატიური მოტრიალ-და- გათბა და-ი/ე-მალა ის მას	<b>II სერია</b> დატიური შემეყვარა// შე-მ/ი/ უ-ყვარდა შე-მ/ს- ძულდა	<b>II სერია</b> დატიური 1. ა/მ/აკანკალა გა/მ/აჭურთალა /მე 2. მო/მ-ენატრა /მე /მას ის
<b>III სერია</b> დატიური უტრიალია მას უცეკვია მას	<b>III სერია</b> დატიური დაუტრიალებია უცეკვებია მას ის	<b>III სერია</b> დატიური წერებულა გდებულა სცვია ჰხურებია	<b>III სერია</b> ნომინატიური მოტრიალებულა დამალულა გამთბარა	<b>III სერია</b> მყვარებია მე ის ჰყვარებია მას ის	<b>III სერია</b> 1. - არა აქვს 2. მო/მ/ნატრებია /მე/მას ის

**დიათეზების მიხედვით თანამდროვე ქართული მრავალპირიანი ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირების მორფოლოგიური მარკერების განაწილების ცხრილი**

პირის ნიშნები	I დიათეზა (S-nom.-erg.) I-II სერიაში II დიათეზა (S-nom.-nom.) I, II, III სერიები		I დიათეზა (S-dat.) III სერიაში III დიათეზა (S-dat.) I, II, III სერიებში	
	მხოლობითი	მრავლობითი	მხოლობითი	მრავლობითი
სუბიექტი	1. ვ-	-თ	მ-	გვ-
	2. 0-, ხ-	-თ	ჴ-	-თ
	3. -ს, -ა, -ო	-ენ, -ან, -ნენ, -ნ. -ეს	0-, ჴ-, ს-	-თ
ობიექტი	1. მ-	ჴვ-	ვ-	-თ
	2. ჴ-	(-ჴ)	0-	-თ
	3. ირიბი ობიექტი ∅- ჴ-, ს-, ∅-	∅-, თ	-ს, -ა	-0

\* დიათეზების ცხრილში სერიებისა და მწკრივების ჯგუფები ჩასვა მაგისტრანტმა მარიამ ტურძილაძემ.



საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ:

1.1. ქართული პოლიპერსონალური ზმნის მორფო-სინტაქსური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ დიათეზა არის ქართული ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორია, რომელიც ხასიათდება მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობით. გვარი კი მისი ქვესახეა, რომელსაც სემანტიკური დატვირთვა აქვს და დიათეზების ფარგლებში გრამატიკულად არ არის მარკირებული.

1.2. არისტოტელეს „დიათეზისა“ და „ჰექსისის“ ზოგადი კონცეფციიდან გამომდინარე, დიათეზის გრამატიკული კატეგორია არის ზმნური შესიტყვევის სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის ორგანიზაციისა და ზმნური აქტანტების სინტაქსური რელაციის მორფოლოგიური გამოხატვის წესების ერთობლიობის სისტემა, რომელიც განსხვავებულია სხვადასხვა ენაში, მათ შორის, ქართულსა და ევროპულ ენებში: კერძოდ, ქართული ენის პოლიპერსონალური ზმნური შესიტყვევის სისტემა ევროპულის მონოპერსონალური ზმნისაგან განსხვავებით, რთულია, მაგრამ მკაცრად ორგანიზებული და ლოგიკურად გამართულია აქტანტთა სუბორდინაცია-კოორდინაციის საფუძველზე.

1.3. თითოეული დიათეზა და სერია წარმოადგენს მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის მყარ ერთიანობას, ხოლო სამი დიათეზისა და სამი სერიის ერთიანმა სქემამ წარმოადგინა ქართული მრავალპირიანი ზმნის ურთიერთდამოკიდებული გრამატიკული კატეგორიების მყარი სისტემა, რომელიც ქართული ზმნური შესიტყვევის და, მაშასადამე, ქართული ენის მდგრადობის საფუძველია.

1.4. ეს სისტემა საერთოა ქართველური ზმნური შესიტყვევისათვის, რომელმაც მეგრულსა და ლაზურში გარკვეული ცვლილება განიცადა, რაც მეტყველების ეკონომიურობის ტენდენციითა და ენობრივი მოვლენებისათვის დამახასიათებელი სისტემური ანალოგიის პროცესებით აიხსნება, რაც ერთგვაროვანია ქართველურ ენა-კილოებში.

## ტექსტის ორდონიანი სტრატეგიკაციისათვის აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“

აკაკი შანიძის დაბადების 130 წლისთავთან დაკავშირებით მეცნიერის ღვაწლის აღნიშვნა, ჩვენი აზრით, არა მხოლოდ მემორიალური აქტი უნდა იყოს, არამედ მარადიული მასწავლებლისაგან კიდევ ერთი გაკვეთილის მიღების შესაძლებლობა.

საუნივერსიტეტო სივრცეში ისევ აქტუალურ პრობლემად რჩება სახელმძღვანელოთა არასათანადო ხარისხი. ვფიქრობთ, პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია უკვე გამოცდილი და, რაც მთავარია, ეფექტური დარგობრივ-დიდაქტიკური ტექსტების ლინგვოპრაგმატიკული ანალიზი, რის ერთ-ერთ ცდასაც წარმოვადგენთ.

სახელმძღვანელო სასწავლო-დიდაქტიკურ დისკურსს განეკუთვნება და მას სავესებით ნათელი ამოცანა აქვს – დარგობრივი ცოდნის სისტემატიზაცია და ამგვარი ცოდნის სტრუქტურირებულად მიტანა ადრესატამდე. სახელმძღვანელო საგანმანათლებლო ქმედების ინსტრუმენტად რომ იქცეს, იგი ორ ძირითად პირობას უნდა აკმაყოფილებდეს – უნდა შეიცავდეს მეცნიერულად დასაბუთებულ ინფორმაციას და სტუდენტს არ უნდა უჭირდეს ამ ინფორმაციის დეკოდირება.

ამჯერად ჩვენი დაკვირვების საგანია ის ხერხები, რომელთა საშუალებითაც აკაკი შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ მოქცეულ ცოდნას სტუდენტებისთვის ადვილად მისაწვდომს ხდის.

აკ. შანიძის ნაშრომის ძირითადი დისკურსული ნიშანი მონოლოგურობაა, რომლის სამივე სახე – აღწერა, თხრობა და მსჯელობა – ზედმინენითი გასაგებობით ხასიათდება. გვხვდება კრიტიკულ-პოლემიკური ტიპის ტექსტებიც, რომლებიც განსხვავებულ თვალსაზრისთა შეფასებისა და ავტორისეული კონცეფციის დაცვისათვის გამოიყენება, რისი მაგალითიცაა მსჯელობა ნოდებითი ფორმის კვალიფიკაციისა და ადგილის შესახებ გრამატიკაში; დროისა და თანამდევრობის საკითხის განხილვა თუ სხვ.

დასტურდება ფიქციური დიალოგის ელემენტებიც, როდესაც სამეცნიერო ტექსტში კონკრეტული საკითხისათვის ადრესატის ყურადღების მისაპყრობად ავტორი კითხვებს სვამს, რომლებსაც იქვე უპასუხებს. აღნიშნული ხერხით იგი პრობლემის არსს გამოკვეთს; დავიმონმებთ მაგალითს 269-ე პარაგრაფიდან: „არის თუ არა მწკრივი გრამატიკული კატეგორია? რომ სწორი პასუხი გავსცეთ ამ კითხვას, უნდა მოვიგონოთ, რომ ყოველგვარი გრამატიკული კატეგორია ყალიბდება საპირისპირო ფორმათა არსებობის ნიადაგზე (§ 40). თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ მწკრივებს, დავრწმუნდებით, რომ ერთი რომელიმე ჯგუფი, რომელსაც საერთოდ მწკრივი ეწოდა, ისეთ მიმართებაშია დანარჩენებთან, როგორც სხვა რომელიმე – ყველა დანარჩენთან“ (შანიძე 1973: 216).

შესასწავლი მასალის გაგებისა და ათვისების გაადვილების მიზნით, ზოგჯერ ტექსტში სამეცნიერო სტილისათვის არანორმატიული ხატოვანი და ექსპრესიული საშუალებებიც არის გამოყენებული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით შთამბეჭდავია შემდეგი მსჯელობა, რომელიც მკითხველისაგან სხვა, არაენობრივ ცოდნასაც მოითხოვს: „ურთიერთობა მწკრივსა, დროსა და კილოს შორის მიახლოებით და მეტად ტლანქად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იმ ურთიერთობით, რომელიც არსებობს ჭურჭელსა და შიგ ჩასხმულ სხვადასხვა ფერისა და სიმძიმის სითხეებს შორის, რომლებიც არ ირევიან ერთმანეთში. ვთქვათ ჭურჭელია გამჭვირვალე ბოთლი, რომელშიც ასხია წყალი და ზეთი. მწკრივი – ეს არის ჭურჭელი, ხოლო დრო და კილო – წყალი და ზეთი შესაბამისად. როგორც არ შეიძლება ბოთლის გათანაბრება წყალთან ან ზეთთან, მიუხედავად იმისა, დავუძახებთ მას საწყლეს თუ საზეთეს, ისე არ შეიძლება გაიგივება მწკრივისა და დროისა ან მწკრივისა და კილოსი. იგივე შეიძლება ითქვას მწკრივის სხვა ელემენტების შესახებაც“ (შანიძე 1973: 012).

აკაკი შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ (მორფოლოგია), გარდა ძირითადი რუბრიკაციისა, რაც თავების, ქვეთავებისა და პარაგრაფების გამოყოფას გულისხმობს, ტექსტის ორდონიან სტრატეგიკაციას მიმართავს და აქტიურად იყენებს **შენიშვნებს**, რომლებიც მთავარი სათქმელის გასაგებობას ემსახურება.

მართალია, ნიგნის სრული ტექსტი, ლინგვოსემიოტიკური თვალსაზრისით, თვითონ არის ნიშანი, მაგრამ ამ საერთო ტექსტში გარკვეული მცირე ტექსტების გამოყოფა და მათი შენიშვნებად სახელდება აღნიშნულ ერთეულებს განსაკუთრებულ ნიშნებად წარმოგვიდგენს, რომლებიც ავტორის პრაგმატიკულ ინტენციას გამოკვეთენ. ამდენად, მათაც შეგვიძლია ვუწოდოთ ერთგვარი მეტატექსტები, რადგან ისინიც, როგორც მეტატექსტურ ელემენტებად წოდებული სიტყვები თუ გამოთქმები, ერთგვარ ინსტრუქციათა როლს ასრულებენ, ადრესატთა ყურადღების მართვას უზრუნველყოფენ, რათა ძირითადი ტექსტით მიწოდებული ინფორმაცია მკითხველთა მიერ ოპტიმალურად იქნეს აღქმულ-ათვისებული.

ჩვენ მიერ განსახილველი ნაშრომის ძირითადი ტექსტი ახალი ქართული ენის მორფოლოგიურ სტრუქტურას აღწერს, საინტერესოა, რა ხასიათის ცნობებს შეიცავს ის მეორე რიგის ტექსტური ელემენტები, რომლებიც ძირითადი ტექსტით გადმოცემული ინფორმაციის აქტივაციას ახდენენ.

შენიშვნებში მოქცეული ზოგადლინგვისტური ინფორმაციის დიდი ნაწილი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებს ეხება. ამასთან დაკავშირებით დავიმონუმებთ ამონარიდს აკაკი შანიძის წინასიტყვაობიდან: „ავტორს აინტერესებს არა მარტო „როგორ“, არამედ აგრეთვე „რატომ“, ე. ი. არა მარტო მოვლენის აღწერითი მხარე, არამედ ამ მოვლენის ისტორიული თუ სხვა საფუძველი“ (შანიძე 1973: 013). ძირითადად სწორედ შენიშვნებშია განხილული ძველისა და საშუალო ქართულის მასალა, მონათესავე ენებისა თუ ცოცხალი კილოების მონაცემები, რომლებსაც ავტორი კონკრეტული მორფოლოგიური საკითხის გასაშუქებლად იშველიებს.

მოვიყვანთ თითო-თითო მაგალითს და აქვე ვიტყვით, რომ შენიშვნის ტექსტი ზოგჯერ ერთ წინადადებას არ აღემატება, ზოგჯერ კი პარაგრაფის ტექსტს უტოლდება და აჭარბებს კიდევ.

პირნაკლ ზმნებზე მსჯელობისას შენიშვნაში მოხმობილია **ძველი ქართულის** მონაცემები:

„შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზმნები: ბნელა, ცივა, თბილა, გრილა, ცხელა, ვარგა და კმარა წარმოშობით არის სახელი და ზმნა (შედგენილი შემასმენელი): ბნელ-ა(რს), ცივ-ა(რს), ცხელ-ა(რს) და შემდგომი. მაშასადამე აქ ა წარმოშობით არის „არს“ ზმნის ნაშთი. მიუხედავად ამისა, ის პირის ნიშნის ფუნქციით არის აღჭურვილი – მხოლოდ მისი ნყალობით არის, რომ „ცივა“, „ცხელა“ და სხვა ზმნად გვესმის. რომ ესენი ზმნებია, იქედან ჩანს, რომ ამ ფორმების საპირისპიროდ მათ სხვა მწკრივის ფორმებიც განივითარეს: ცივა, ცი(ვ)ოდა, ცი(ვ)ოდეს; ცხელა, ცხელოდა, ცხელოდეს და მისთ. შდრ.: „უნდა ბანაჲ სამოთხესა მას შინა ქმრისა თუსისასა, რამეთუ ცხელ იყო (დანიელ 13,15 ათონის ხელნ.; ცხელ იყო = ცხელოდა). თუ ამ ფორმას აწმყოში გადმოვიყვანთ, ამას მივიღებთ: ცხელ არს, რამაც ახ. ქართულის „ცხელა“ მოგვცა. კმა არის→კმარის→კმარა“ (შანიძე 1973: 190).

ვნებითსა და საშუალ ზმნებში თემის გავრცობაზე საუბრისას ძველ ქართულთან ერთად სვანურის მაგალითებიცაა დამონშებული:

„შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სავრცობი **ოღ** წარმომდგარია **ოღღ**-ისაგან, როგორც **იღ იღღ**-ისაგან ზოგიერთი **იღ**-ზე გათავებული სახელის ვითარებით ბრუნვაში: სიკუღღ-იღღ > სიკუდიღ, ყივიღღ > ყივიღ და მისთ. ეს **ოღღ** კი ასე დაიშლება: **ოღღ**, სადაც სავრცობი მარტო **ღ** არის, **ოღ** კი ძველისძველი სავრცობია ვნებითსა, რომელსაც ანალოგიურად მოქმედ. ზმნებიდან გადასული **ღ** დაჰრთვია შემდეგ (შდრ. სვანური ოღ: ხვიდგარი „ვკვდები“, ხვიდგაროღ „ვკვდებოდი“; ძველისძველი ქართულით: ვკუდებ-ოღ-ე: აქედან შემდეგ: \*ვ-კუდებ-ოღღ-ე→ვკუდებოღღ-ე→(=„ვკვდებოდი“)“ (შანიძე 1973: 417).

კონკრეტული დებულების **მეგრულის** მაგალითებით გამყარებაც იშვიათი არ არის შენიშვნათა ტექსტებში:

„შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზოგ შემთხვევაში ევ სუფიქსს არ-ი დართვია და ხმოვნის ამოღების გზით (ე)ვ-არ-ი გაკეთებულა: \*ნა-ციხ-ევ-ი (შდრ. მეგრ. ნო-ჯიხ-ევ-ი, რომელიც სოფლის სახელია): ნა-ციხ-ვ-არ-ი (\*ნა-ციხ-ევ-არ-ი), \*ნა-დიკ-ევ-ი (დიკა პურია ერთგვარი): ნა-დიკ-ვ-არ-ი („ნადიკვარი“ ადგილია თელავში); \*ნა-სიძ-ევ-ი: ნა-სიძ-ვ-არ-ი“ (შანიძე 1973: 134).

შენიშვნებში ხშირად დასტურდება **დიალექტური მონაცემები**, დავიმონშებთ გეოგრაფიულ სახელთა სტრუქტურაში შემავალ მრავლობითის ფორმებზე მსჯელობას:

„შ ე ნ ი შ ვ ნ ა. კ რ კ ო, ძველი გაგებით, უნდა ჰქმნეოდა ხესაც და მის ნაყოფსაც (როგორც, ვთქვათ, ვაშლი, მსხალი, ატამი, ნაბლი და სხვ.). ამჟამად რ კ ო (ფშაურად კ უ რ კ ო) მარტო ნაყოფს ჰქვია, ხეს კი მუხას ვეძახით. მაშასადამე, (კ) რკონი – მუხები (იმერხეულსა და აჭარულში კო დღესაც მუხას ჰქვია)“ (შანიძე 1973: 136).

ზოგიერთ შენიშვნაში **სხვა ენათა გავლენები** განიხილება. მაგალითად, ნაცვალსახელებზე მსჯელობისას ვკითხულობთ: „კუთვნილებითი შ ე ნ ი და

თქვენი ნოდებით ვერ აწარმოებენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხელოვნურს, რუსული ენის ზეგავლენით გაკეთებულს „თქვენო აღმატებულება“ და მისთანა ფორმებს: „თქვენო მაღალკეთილშობილება“ (ყაზ., 272, 22)“ (შანიძე 1973: 101).

სშირად შენიშვნებში გატანილია განსახილველ მორფოლოგიურ საკითხთან დაკავშირებული **სინტაქსური ცნობები**. მაგალითად, 77-ე პარაგრაფში, რომელშიც ა-ფუძიან სახელთა ბრუნების საილუსტრაციოდ ერთ-ერთი სანყისის ბრუნებაც არის დამონმებული, შენიშვნა გვამცნობს: „როცა სანყისი ფრაზაში გამოყენებულია მიზნის გარემოებად, ის დაისმის ნათ. ბრუნვაში და დაერთვის თანდებული „თვის“ (ან სიტყვა „მიზნით“): ამბის კითხვისთვის, საქმის გაკეთებისთვის, სახლის აშენებისთვის და მისთ., მაგრამ ასეთ შემთხვევაში სანყისის ნაცვლად ჩვეულებრივ იხმარება სათანადო ზმნის მომავლის მიმღეობა (ვნ. გვარისა), რომელიც ვით-ში დაისმის: ამბის საკითხავად, საქმის გასაკეთებლად, სახლის ასაშენებლად და მისთ. მიზეზის გარემოების შემთხვევაში სანყისი რჩება; შდრ. „ამბის კითხვისათვის არ გაგიჯავრდებიან“ მაგრამ: „ამბის საკითხავად ნუ ნახვალ“ (შანიძე 1973: 63).

არაერთი შენიშვნა **ეტიმოლოგიურ ცნობებს** შეიცავს, მათ შორის სშირია ტოპონიმთა წარმომავლობასთან დაკავშირებული მასალა. მაგალითად მოვიყვანთ შემდეგს:

„შ ე ნ ი შ ვ ნ ა. არის სოფელი ატენი (ტანისის ხეობაში, გორიდან 8-ოდე კილომეტრზე) და იქვე მახლობლად სოფ. გარდატენი, რაც ასე დაიშლება: გარდა-ატენი (ე. ი. გადაღმა ატენი). მაშასადამე, აქ „გარდა“ სახელთანაც არის ნახმარი წინ. ოლონდ აქ ასეთი ვითარებაა: ზმნიზედა „გარდა“ გამოყენებული ყოფილა ზედსართავად და ეს ზედსართავი შეჭრდია სოფლის სახელს, როგორც ეს გვაქვს ახალ-ქალაქ-სა, ახალ-ციხე-სა და სხვებში (§ 187,2). ამგვარივე წარმოშობისაა გარდაბანი-ც (გარდა-უბანი)“ (შანიძე 1973: 261).

ზოგიერთი შენიშვნა მნიშვნელოვანი **ისტორიული** თუ **ლინგვოკულტურული ინფორმაციის** წყაროა. დავიმონმებთ ერთ-ერთ მათგანს:

„შ ე ნ ი შ ვ ნ ა. დღევანდელ ქართულში აქა-იქ შემორჩენილია მორიდებული საუბარი მნათობთა შესახებ, რადგანაც ისინი ჩვენს ძველებს ღმერთებად მიაჩნდათ და თაყვანსა სცემდნენ:

ცაზე იარე, მთვარეო, მზეო, აბძანდი – დაბძანდი! (ვაჟა, I, 178).

მრავალან ჩ ა ბ ძ ა ნ ე ბ უ ლ ა ნ, მთანი ივარცხნენ თავებსა (ვაჟა, III, 34, 8).

გზა-კვალი არ ამერევა, ყოველ მხრივ ვიცი სავალი,

დღესავ მოგივათ მინდია, მანამ დ ა ბ ძ ა ნ დ ე ს მრავალი (ვაჟა, IV, 76, 24).

მოყვანილ მაგალითებში „მზეო, აბძანდი – დაბძანდი“ ამას ნიშნავს: მზეო, ამოდი ხოლმე და ჩადი; „მრავალან ჩაბძანებულან“ – კი ამას: ხომლი ჩასულა; ხოლო „მანამ დაბძანდეს მრავალი“ – ამას: ვიდრე ჩავიდოდეს ხომლი“ (შანიძე 1973: 518).

სასწავლო-სამეცნიერო ტექსტებში კოდირება-დეკოდირების მთავარი საგანი სამეცნიერო ტერმინთა ენაა. დავიმონმებთ აკაკი შანიძის მიერ 1942 წელს ტერმინებთან დაკავშირებით ნათქვამს: „კვლევა-ძიების პროცესში ავტორი სში-



რად იძულებული იყო ტერმინოლოგიური საკითხების მოგვარებისათვის გაენია სათანადო ანგარიში. არ კმარა რომელიმე გრამატიკული მოვლენის სისწორით გაშუქება ან ახალი კატეგორიის დადგენა, საჭიროა მონახვა სათანადო ტერმინისა, რომელიც მოხდენილი უნდა იყოს, მოვლენას შეეფერებოდეს და მის არსებით მხარეს ნათლად ასახავდეს. ეს ადვილი საქმე როდია. ამ სტრიქონების დამწერს ამა თუ იმ ტერმინის შესახებ ზოგჯერ დიდხანს უფიქრია და ზოგჯერ არც მოპირდებია, რომ ერთხელ ნახმარი ტერმინი, ხანდახან ტრადიციულად განმტკიცებულიც, უკუეგდო და მის ნაცვლად ახალი შემოეღო. მაგ., „მწკრივი“, როგორც კატეგორია, კაი ხანია დადგენილია, მაგრამ სათანადო ტერმინის მონახვა გაჭირდა (§ 267, შნშ. 1). ახალი ტერმინების შემოღების დროს საზოგადოდ სასურველია და საჭიროც, ისეთი იქნეს შერჩეული, რომ იგი ადვილად ითარგმნებოდეს სხვა ენებზედაც, ან პირდაპირ აღებულ იქნეს ისეთი, რომელსაც შეუძლია უთარგმნელად შევიდეს სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა ენაზე“ (შანიძე 1973: 014).

სწორედ ტერმინებს უკავშირდება ყველაზე მეტი შენიშვნა, რომელთაგან ზოგიერთი კრიტიკული ხასიათისაა, ზოგი ავტორის მიერ შემოთავაზებული ტერმინის განმარტებას ემსახურება, ზოგში კი კონკრეტულ ტერმინთა უცხოენოვანი შესატყვისებია განხილული.

რა თქმა უნდა, ჩვენი სტატია სისრულით ვერ ასახავს შენიშვნებში ჩატეხულ სხვადასხვა ხასიათის ენათმეცნიერულ ინფორმაციას, თუმცა განხილული მონაცემებიც ცხადყოფს, რომ აკაკი შანიძის შენიშვნები დიდად სხვაობს სხვა სამეცნიერო ტექსტებში ჩართული შენიშვნებისაგან, რომლებიც მართლაც მეორე რიგის ტექსტური ნიშნებია, რადგან დამატებით ცნობებს შეიცავს მანამდე თქმულთან დაკავშირებით. „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების“ შენიშვნები კი მხოლოდ ვიზუალური, პოლიგრაფიული სტრატიფიკაციით თუ შეიძლება მივაკუთვნოთ მეორე დონის ტექსტებს, რადგან უმეტეს შემთხვევაში მათ ე. წ. ძირითადი ტექსტის ტოლფარდი ღირებულება აქვთ და მის სრულფასოვან ნაწილს წარმოადგენენ, რისი გათვალისწინებაც მართებთ როგორც სტუდენტებს, ასევე იმ ავტორ-შემდგენლებს, რომლებიც აკაკი შანიძის სამეცნიერო-დიდაქტიკური ტექსტების კომპრესიის გზით ქმნიან ახალ სახელმძღვანელოებს.

### **ლიტერატურა:**

**შანიძე 1973** – აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1973.



აკაკი შანიძის

ნაკვალევზე



## მამაჩემი – აკაკი შანიძე

მამაჩემი, აკაკი შანიძე, ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელი იყო იმ თაობისა, რომლის მთელი საქმიანობა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებასა და სამეცნიერო მუშაობის გაშლას უკავშირდება. რა თქმა უნდა, XIX საუკუნეში გვყავდნენ დიდი ქართველი მეცნიერები (მათ რიცხვში პირველად შეიძლება ნიკო მარი დავასახელოთ, დიმიტრი ბაქრაძე, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები), მაგრამ საქართველოში ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული მეცნიერული საზოგადოება, ის ერთობა მეცნიერთა, რომელიც ყოველ ქვეყანაში აუცილებელია იმისათვის, რომ მეცნიერება განვითარდეს და საზოგადოებრივი წინსვლა მოხდეს. ამ საქმეს სათავე დაუდო ივანე ჯავახიშვილმა, რომელსაც ძალიან კარგად ესმოდა, რომ უნივერსიტეტი საქართველოში არ შეიძლებოდა ყოფილიყო რიგითი სასწავლებელი, ეს უნდა ყოფილიყო საფუძველი მეცნიერების და ქვეყნის განვითარებისა და, როგორც მოგახსენეთ, საზოგადოებრივი წინსვლისა. აი, ამ თვალსაზრისით ივანე ჯავახიშვილის მუშაობა მე ილია ჭავჭავაძის ხაზის გაგრძელებად მიჩვენება და არა მარტო მე, ეს საზოგადოდ არის აღიარებული. როდესაც ახალგაზრდა აკაკი შანიძე პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, ის ივანე ჯავახიშვილის წრეში მოხვდა და, ამან, რა თქმა უნდა, დიდი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში.

აკაკი ღარიბი გლეხის შვილი იყო, ნამდვილად ღარიბი. მოგეხსენებათ, საბჭოთა დროში ყველა უსათუოდ ღარიბი გლეხის შვილი უნდა ყოფილიყო; ხშირი იყო შემთხვევები, როცა ადამიანები მალავდნენ თავიანთ თავადურ წარმოშობას ან სიმდიდრეს, რადგან ეს იმ დროს არა მარტო უხერხული, ზოგჯერ სახიფათოც კი იყო. გაბრიელ შანიძის ოჯახი კი მართლაც ხელმოკლედ ცხოვრობდა. გაბრიელმა, რომელიც მღვდლის შვილიშვილი იყო, წერა-კითხვა კარგად იცოდა. იგი სოფლის ეკლესიაში მედავითნედ მსახურობდა და ძალიან უნდოდა შვილებისთვის განათლება მიეცა. როგორც ჩანს, მამას სურდა მისი შვილები სასულიერო პირები გამოსულიყვნენ, რაც მათ შემოსავლით უზრუნველყოფას ნიშნავდა. გაბრიელს ოთხი ვაჟი ჰყავდა, მამაჩემი მეოთხე იყო და, როგორც ამბობენ, ეწყინა მისი დაბადება, იმიტომ რომ ქალის საქმე მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ასე იყო: გაათხოვებდნენ, როგორც იტყოდნენ, პატრონს ჩააბარებდნენ, ხოლო ვაჟს გზაზე დაყენება სჭირდებოდა, რაც გარკვეულ ხარჯთან იყო დაკავშირებული. აკაკი და მისი უფროსი ძმა, მოსე, სოფლის სკოლაში დადიოდნენ. მამაჩემს უთქვამს, რომ ხანდახან ზამთარში მე და მოსე რიგრიგობით დავდიოდით სკოლაში, იმიტომ რომ ერთი ფეხსაცმელი გვქონდაო. მერე აკაკი გადაიყვანეს ქუთაისში, სასულიერო სასწავლებელში, სადაც გაბრიელი ხშირად აკითხავდა ხოლმე შვილს, უზიდავდა საქმელს: ლობიოს და სიმინდის ფქვილს. ქუთაისის სასწავლებელში აკაკიმ უკვე გამოამჟღავნა მუყაითობა და სწავლისადმი ის ინტერესი, რომელიც მას სიცოცხლის ბოლომდე შერჩა. როგორც ჩანს, ამის შესახებ გაბრიელსაც უთხრეს და ურჩიეს, უკეთესი სწავლა-განათლების მისაღებად აკაკი ქუთაისის კლასიკურ



გიმნაზიაში გადაეყვანა, რომელიც თავისი განწყობებით და საზოგადო მიმართულებით კარგად ცნობილი სასწავლებელი იყო. ქუთაისის გიმნაზიაში იმ დროს ბევრი ახალგაზრდა სწავლობდა, რომელიც მერე ცნობილი მოღვაწე გახდა, სწორედ იქ დაუახლოვდა აკაკი დავით კაკაბაძეს, შემდგომში ცნობილ მხატვარს.

აკაკის ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდიდან ხშირად იხსენებენ ერთ ეპიზოდს, რომელიც 1908 წელს ქუთაისში გამართულ აკაკი წერეთლის იუბილეს უკავშირდება: მამაჩემი მაშინ გიმნაზიას ამთავრებდა და პეტერბურგში სწავლის გაგრძელებაზე ფიქრობდა, მაგრამ აკაკის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვის გამო ისეთი ამბავი შეიქნა, რომ გიმნაზიიდან მის გარიცხვასაც კი ელოდნენ. მაშინ აკაკი სასწავლებელმა გადაარჩინა. მასწავლებლებმა თავიანთ თავზე აიღეს პასუხისმგებლობა – ჩვენი ბრალია, ახალგაზრდაა, ვერ მივადევინეთ თვალყური, გამოუცდელივით მოუვიდაო. ერთი სიტყვით, გადარჩა, თორემ ყველაფერში უმაღლესი ნიშნის მქონე აკაკის ყოფაქცევამ „სამის“ დაწერას უპირებდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას ე.წ. „მგლის ბილეთი“ ექნებოდა, ამ ბილეთის მფლობელს კი რუსეთის არც ერთი უნივერსიტეტი არ მიიღებდა და აკაკის სწავლის გასაგრძელებლად უცხოეთში წასვლა მოუხდებოდა, რისი საშუალება მას არ ჰქონდა. ოჯახს ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის საფასურის გახდაც კი უჭირდა; არსებობს საარქივო საბუთები, სადაც გაბრიელი ითხოვს, რომ მისი შვილი გადაიყვანონ „на казённый счёт“, როგორც დღეს ვიტყვით, უფასო სწავლებაზე.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ აკაკი პეტერბურგში წავიდა; ჩაირიცხა, როგორც მოგახსენეთ, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე და მაშინვე მოხვდა ივანე ჯავახიშვილის წრეში, როგორც გადატანილი მნიშვნელობით, ისე რეალურად, იმიტომ რომ პეტერბურგში არსებობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრე, სადაც უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი ამზადებდა ხალხს მომავალში მუშაობისთვის; ლექციებს თვითონ ქართულად კითხულობდა და სტუდენტებსაც მოხსენებებს თუ რეფერატებს ქართულად აკითხებდა. როდესაც თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საკითხი წამოიჭრა და ნ. მარმა, რომელსაც ძალიან არ უნდოდა თავისი უშუალო მოწაფეების ჯგუფის პეტერბურგიდან გაშვება, ერთ-ერთ საბუთად წამოაყენა, რომ ქართველებს ჯერ სამეცნიერო ტერმინოლოგია არა აქვთ და უნივერსიტეტს როგორ გახსნიანო, ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი არგუმენტი სწორედ პეტერბურგის სამეცნიერო წრეში მიმდინარე საქმიანობა იყო. ფაქტია, რომ ეს წრე ძალიან აქტიურად მუშაობდა; ერთი პირობა ბიბლიოგრაფიაც დაბეჭდეს იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში (ახლა როგორც ვიტყვით, ქართველოლოგიური ნაწარების სია შეადგინეს). სწორედ იქ დაიწყო აკაკიმაც სამეცნიერო საქმიანობა. რაში მდგომარეობდა ეს?

1911 წელს აკაკი ფაკულტეტის დადგენილებით გამოაგზავნეს საქართველოში მთის კილოების შესასწავლად (პირველად 1911 წელს იყო და მეორედ 1913-ში, როცა უნივერსიტეტი უკვე დამთავრებული ჰქონდა). მან ფეხით მოიარა ფშავ-ხევსურეთი, როგორც პირაქეთა, ისე პირიქითაც. ძალიან ბევრი მასალა ჩაიწერა, რაც დაედო საფუძვლად იმ დიდ ტომს ხალხური პოეზიისა, რომელიც პირველად 1931 წელს გამოქვეყნდა და რომლის მეორე გამოცემაც ახლა ჩვენ მეორედ განვახორციელეთ. ამავე წლებში ივანე ჯავახიშვილთან და იოსებ ყიფშიძესთან ერთად აკაკის დაწყებული ჰქონდა მუშაობა ბიბლიის გამოცემაზე. ბიბლიას ყოველთვის

დიდი პატივისცემით ეკიდებოდა აკაკი, როგორც უდიდესი მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიულ ძეგლს და როგორც ქართული ენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს, იმიტომ რომ ბიბლია თავისი შინაარსითა და მოცულობით მრავალმხრივია და ბიბლიური ლექსიკა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი სამწერლობო ენის განვითარებისთვის. მაშინ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას მიღებული ჰქონდა ათონის მთიდან ათონის ანუ ოშკის ბიბლიის ფოტოკოპირები და ამ სამმა მეცნიერმა დაიწყო მათზე მუშაობა. პირველად უნდა დაებეჭდათ ძველი აღთქმის პირველი სამი წიგნი. ივანე ჯავახიშვილმა, იოსებ ყიფშიძემ და აკაკი შანიძემ სამუშაო გაინაწილეს, აკაკის „გამოსვლათა“ წიგნი უნდა გაეკეთებინა. ერთი ნაწილი ტექსტისა სტამბაში ანუ ანტილიტერატურულ კი იყო, მაგრამ 1914 წელს დაიწყო I მსოფლიო ომი და გამოცემის საქმე შეწყდა. აკაკის ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნდა, საზოგადოდ, უძველესი ქართული ძეგლების გამოცემის საქმე და ათონის ბიბლიის გამოცემაზე ხელახლა დაიწყო მუშაობა ისევე ომის წლებში, ოღონდ უკვე II მსოფლიო ომის, ე.წ. სამამულო ომის დროს. მან ჩამოიტანა პეტერბურგიდან ათონის ბიბლიის პირები (რომლებიც ამჟამად მე მაქვს შინ) და კიდევ გამოაქვეყნა ორი ნაკვეთი. პირვანდელი განზრახვა იყო, რომ დაკლებული ადგილები სხვა ხელნაწერებიდან შეეცნოთ, მაგრამ შემდგომმა შესწავლამ აკაკი დაარწმუნა, რომ სწორი იქნებოდა ათონის ხელნაწერის ისე დაბეჭდვა, როგორც ის ამ ნუსხაში არის წარმოდგენილი, მთელი თავისი ნაკლები ადგილებით და ასეც არის რეალურად ის დაბეჭდილი.

ერთი სიტყვით, სამეცნიერო მუშაობა აკაკი შანიძემ ადრე დაიწყო, ძალიან ადრე. უკვე გიმნაზიის წლებში გაუჩნდა მას ინტერესი სამეცნიერო მუშაობისა, შემდეგ პეტერბურგში და გაგრძელდა თბილისში, როდესაც აქ უნივერსიტეტი დაარსდა. ერთი პირობა, როგორც თვითონ ამბობდა, ვითომ რაღაც პოლიტიკაში ვიღებდით მონაწილეობას, იყო სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წევრი. 1917 წელსაა დაწერილი ის ლექსი: „აბა, ფხიზლად, ქართველებო, მივყვეთ მამა-პაპის კვალსა“ (რომელიც საბჭოთა დროში არსად ოფიციალურად ხსენებული არ იყო), მაგრამ მერე დაანება თავი, არა მარტო რეპრესიების შიშით, რომელიც მოელოდა პარტიული მუშაობისთვის, არამედ იმიტომ, რომ მისი ინტერესი მაინც სამეცნიერო მუშაობისკენ იყო მიმართული. თვითონ ამბობდა: რომ შევატყვე ჩემს თავს, რომ პოლიტიკა ჩემი საქმე არ იყო, დავანებე თავიო.

აი, ეს ბინა, სადაც ჩვენ ახლა ვართ, ბარნოვის ქუჩაზე, იყო მისი პირველი ბინა, სადაც ის დასახლდა პეტერბურგიდან ჩამოსვლის შემდეგ. აქ მოხვდა შემთხვევით. სახლის პატრონი, რომელიც სპეციალობით ლათინისტი ყოფილა, გარდაიცვალა და მის ქვრივს დარჩა ლათინური და ბერძნული წიგნები, რომელთა შეძენაც უნივერსიტეტს სურდა. უნდა ითქვას, რომ, როდესაც უნივერსიტეტი დააარსეს, მისი ბიბლიოთეკა ძალიან ღარიბი იყო; წიგნების შეძენა ჭირდა, მაგრამ მაინც ცდილობდნენ, ხშირად კარდაკარ დადიოდნენ. თუ სადმე გაიგებდნენ, წიგნებს ყიდნანო, ყიდულობდნენ. აკაკიც ასე მოხვდა აქ. გაიგო, რომ ქვრივი ამ წიგნებს ყიდდა და გახარებია, როდესაც გაუგია, რომ ქვრივი ბინასაც აქირავებდა, რადგან ბინა ახლოს იყო უნივერსიტეტთან და ბევრ დროს აღარ დავკარგავ უნივერსიტეტში მისასვლელად. მაშინ ეს დასახლება, ეს მაღალი სახლები არც ერთი არ იყო; პირდაპირ ჩანდა აქედან უნივერსიტეტი, ვარაზისხევი ჯერ არ იყო

ამოვსებელი, ხიდიც იყო გადებული. ეს ყველაფერი მეც მახსოვს. მეც ბევრჯერ ჩავსულვარ უნივერსიტეტში იმ გზით.

მამაჩემის შემდგომი საქმიანობა უნივერსიტეტში და, საზოგადოდ, ქართულ მეცნიერებაში კარგად არის ცნობილი. მე შემიძლია მხოლოდ ჩემი ბავშვური შთაბეჭდილებები გადმოგცეთ. ეს ოთახი სულ წიგნებით იყო სავსე. ამან ალბათ ჩემზეც იქონია გარკვეული გავლენა. ძალიან ბევრი წიგნი თვალთ მახსოვს. აი, მაგალითად, კარგად მახსოვს მარი ბროსეს „საქართველოს ისტორია“, დიდი წიგნები ქართული და ფრანგული სათაურებით. ბავშვობაში გადმოვიღებდი ხოლმე და ვათვალთვლებდი. რა თქმა უნდა, არაფერი არ მესმოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც აქვს მნიშვნელობა, როდესაც წიგნების გარემოში იზრდება ადამიანი. მერე და მერე, ძალიან კარგად მახსოვს 1937 წლის რუსთაველის იუბილესათვის სამზადისი: აკაკის მიერ წამოწყებული მუშაობა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის ხელახლა აღდგენისა. დღეს ძნელი წარმოსადგენია ისეთი მუშაობა, როგორც მაშინ იყო, დღეს ყველაფერი კომპიუტერის საშუალებით ხდება: შრიფტების გამეორება, დაკვირვება ხელნაწერებზე, მათი გადაღება, მაგრამ მაშინ ეს ყველაფერი ხელით უნდა გაკეთებულიყო. ვახტანგისეული 1712 წლის გამოცემა, როგორც მოგეხსენებათ, საგანგებო შრიფტით არის დაბეჭდილი. ეს ის შრიფტია, რომელიც ვახტანგ VI-მ დაუკვეთა, მაგრამ იმდროინდელი ტექნიკა და დღევანდელი ტექნიკა ხომ ერთი და იგივე არ არის? თუნდაც 1937 წლისა. როდესაც გადაიღეს ვახტანგისეული გამოცემის ცალკეული ადგილების ფოტოები, ფოტოები ცალ-ცალკე ასოებისა, გაირკვა, რომ ხის ყალიბზე გაკეთებული ასოები ტიპოგრაფიულად მთლად სრულყოფილი არ არის: ზოგი მეტად სქელია, ზოგი მეტად თხელი, ამიტომ საჭირო გახდა ძალიან ბევრი მასალის გადაღება (ეს მასალა დღეს არქივში ინახება), მათი დაკვირვებით შესწავლა, შერჩევა საუკეთესო ნიმუშებისა და ამის მიხედვით უკვე მეტალის, ლითონის ასოების ჩამოსხმა. მე მახსოვს ამ ოთახში დაყრილი დაჭრილი ფოტოები და მათი გადარჩევის პროცესი. რა თქმა უნდა, ისევ ვიმეორებ, მე ვიყავი მაშინ შვიდი თუ რვა წლისა; ბევრი არაფერი მესმოდა, მივდიოდი, ვუყურებდი და ვათვალთვლებდი ამ ასოებს. აი, აქ, ზუსტად ამ ოთახში, ბევრი ადამიანი მიხანავს, ვინც შემდგომში და მაშინაც დიდი საქმის გამკეთებელი და დიდი მოღვაწე იყო, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილი, ვარლამ თოფურია, ილია აბულაძე, გიორგი წერეთელი და სხვები. ივანე ჯავახიშვილი ისე ხშირად არა, რა თქმა უნდა, როგორც მამაჩემის უშუალო მოწაფეები: ვარლამ თოფურია, ილია აბულაძე და გიორგი წერეთელი, რომლებიც აქ მეცადინეობდნენ, მაგრამ ბატონი ივანე ძველებური ყაიდის კაცი იყო და, როდესაც მას ეწვეოდნენ, ვიზიტი აუცილებლად (თუნდაც მოკლე ხნით) უნდა დაებრუნებინა.

მახსოვს, როგორი მოწინებით, როგორი კრძალვით ეპყრობოდნენ მამას და მეც მისი მოწაფეები. მამაჩემის მოწაფეებისაგან ნაფერები და, ცოტა არ იყოს, გათამამებული, იმათთან უფრო თავისუფლად ვიქცეოდი. გიორგი ახვლედიანთან სურათი მაქვს, სამი თუ ოთხი წლისა იმის მუხლებზე ვდგავარ. ჩვენთან რომ მოვიდოდა, სულ ჯიბეში ვუყურებდი, ჩემთვის კანფეტი ჰქონდა თუ არა. ბატონ ივანესთან ასეთ რამეს ვერ გავბედავდი. საზოგადოდ, მამაჩემი ყოველთვის, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, უკიდურესი კრძალვითა და მორიდებით ეპყრობოდა ივანე ჯავახიშვილს. წერილებში ასე მიმართავდა: „ჩემო მოძღვარო“, „ბატონო

ივანე“, მაგრამ ეს სრულებით არ უშლიდა ხელს იმას, რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლა და თუნდაც უთანხმოება მეცნიერულ საკითხებში ყოფილიყო. საზოგადოდ, მათი ერთმანეთთან მიწერილი წერილები ბევრი არ არის, იმიტომ რომ სულ ერთად იყვნენ. თუ სადმე წავიდოდა დროებით მამაჩემი, მაშინათვე წერილს მოსწერდა ხოლმე ივანე ჯავახიშვილს. აი, ერთ-ერთ წერილში, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივშია დაცული და ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია, მამაჩემი სწერს ივანე ჯავახიშვილს, წავიკითხე თქვენი „ქართული პალეოგრაფია“. მოგეხსენებათ, ბატონი ივანეს აზრით, ქართული ანბანისთვის არსებობდა აღმოსავლური მოდელი. ამ წერილში მამაჩემი სწერს ივანეს, ამაში ვერ დაგეთანხმებით, მაგრამ ამის შესახებ შემდგომ ვისაუბროთო. როდესაც მამაჩემი სვანეთში წავიდა პირველად ექსპედიციაში (1920 წელია ეს, თუ არ ვცდები), ამის შესახებაც დაწვრილებით სწერს ივანე ჯავახიშვილს. აკაკი ჯერ სამეგრელოში იყო, მერე სვანეთში და ივანეს სწერს, რომ მეგრული არ გამჭირვებია, სვანურს კი ასე ადვილად ვერ მოვერიეო. ზუსტად ამ სიტყვებით არ არის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში აღნიშნავს, რომ სვანურის შესწავლა არ იყო ისე ადვილი, როგორც მეგრულისა. ივანე ჯავახიშვილისადმი თავისი დამოკიდებულება აკაკი შანიძემ გამოამჟღავნა მისი გარდაცვალების დროს. ის ივანეს იმ ბოლო მოხსენებასაც ესწრებოდა, მეც ვიყავი იქ, მაგრამ ამაზე აღარ ვილაპარაკებ, იმიტომ რომ ეს ხშირად მაქვს ნათქვამი, ბევრჯერ უკითხავთ ჩემთვის. 14 წლისა ვიყავი მაშინ, ვინ რას მკითხავდა, მაგრამ აი, ესეც საინტერესოა: აკაკის მიაჩნდა, რომ ამ ასაკში ადამიანს უკვე უნდა ჰქონდეს რაღაც გარკვეული მიმართულება, რაღაც უნდა იცოდეს, რა უნდა და რა – არა. ამიტომ იყო, რომ ამ ასაკში ბერძნული სახარება დამიდო და მითხრა, ქართულს შეუდარე და ბერძნული ისწავლეო. ერთი სიტყვით, მეც წავედი ივანე ჯავახიშვილის ლექციაზე და, სამწუხაროდ, შევესწარი იმ საშინელ სცენას – ივანეს გარდაცვალებას ყველას თვალწინ. მისი დაკრძალვისას წარმოთქმული სიტყვით აკაკიმ მთელი თავისი დამოკიდებულება გამოხატა ივანეს მიმართ.

ისიც უნდა გითხრათ, რომ 30-იან წლებში, როდესაც დაიწყო უნივერსიტეტის რექტორების გაუთავებელი ცვლა, პარტიული რექტორების დინება უნივერსიტეტში, მამაჩემს ერთი ნუთითაც არ დაუხვევია უკან და ყოველთვის მხარში ედგა ივანე ჯავახიშვილს. ნათქვამი ჰქონდა, მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ვისაც ივანე ჯავახიშვილის ლანძღვით თავისი კარიერის გაკეთება უნდაო, რისთვისაც, რა თქმა უნდა, თვითონაც ბევრი უსიამოვნება შეხვდა. ერთი სიტყვით, ეს დამოკიდებულება ივანე ჯავახიშვილთან შეიძლება ჩავთვალოთ სამაგალითოდ, ისეთ დამოკიდებულებად, როგორიც შეჭვერის ორ მეცნიერს. ეს ხელს არ უშლიდა მათ მეცნიერულ პაექრობას, პირიქით, ძალიან თავისუფლად და თამამად გრძნობდნენ თავს, იმიტომ რომ ეს ურთიერთობა და ეს მსჯელობა ყოველთვის იყო დამყარებული ურთიერთპატივისცემაზე, მოკამათის აზრის გათვალისწინებაზე და ამ მხრივ არ ჰგავდა ბევრ ისეთ მსჯელობას, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, გვესმის და რომელსაც ძალიან ხშირად მსჯელობა არც-კი შეიძლება დაერქვას.

აკაკი შანიძის მეცნიერულ მემკვიდრეობაში გამოიყოფა სხვადასხვა მიმართულებები და სხვადასხვა დარგები, რომლებიც ზოგჯერ თავისთავად ერთგვარ დამოუკიდებელ დისციპლინებს წარმოადგენენ. აი, ასეთია, ვთქვათ, ქართული და სხვა ქართველური ენების გრამატიკის მორფოლოგიური წყობისა და სტრუქტურა.



ტურის საკითხები, ენის ისტორიის საკითხები, ტექსტების პუბლიკაცია, დიალექტოლოგიური მუშაობა. ეს ყველაფერი ერთდროულად იყო დაწყებული, ერთდროულად კეთდებოდა კიდევ, ამავე დროს, რალაცა დროს რალაც საკითხზე აკაკი მუშაობდა საგანგებოდ და ჩაღრმავებულად, მაგრამ საინტერესოა, რომ მის მუშაობაში ყველა ეს მომენტი ერთმანეთთან არის შერწყმული. ვთქვათ, გრამატიკული საკითხების კვლევის დროს, როდესაც ახალი ქართულის გრამატიკის კონკრეტულ ფორმაზე მსჯელობს, იქვე მოხმობილია მასალები ძველი ქართულიდან, დიალექტებიდან, დამონმებულია რომელიმე წყარო ძველი ქართული წერილობითი ძეგლიდან ან რომელიმე დიალექტოლოგიური ჩანაწერი; ასე რომ, ეს მრავალმხრივი მუშაობა გაფანტულობას კი არ გულისხმობს, ეს გულისხმობს პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭირო მასალის ერთიანად და მრავალმხრივ მოზიდვას. ეს ჩანს აკაკი შანიძის ყველაზე ადრეულ შრომებშიც კი. აკაკის ძალიან გამოადგა სასულიერო სასწავლებელში მიღებული ცოდნა საეკლესიო მწერლობისა, ბერძნული და ლათინური ენებისა. მის ადრეულ ნამუშევრებში, ვთქვათ, 20-იან წლებში ხანმეტი ტექსტების შესახებ დაწერილ ნაშრომებში, ბიზანტიელი მწერლების და ბერძნულის ცოდნა გამოყენებულია ტექსტების იდენტიფიკაციისთვის. ეს არც თუ ისე ადვილი საქმეა, რადგან, მოგეხსენებათ, ხანმეტი ტექსტები ფრაგმენტულია, ზოგჯერ ერთი გვერდიც არ არის და იმის დაბეჭდვით თქმა, რომ იოანე ოქროპირის თუ მელენტი ანტიოქიელის, თუ რომელიმე სხვა ავტორის თხზულებასთან გვაქვს საქმე, მხოლოდ მას შეუძლია, რომელმაც ბიზანტიური სასულიერო მწერლობა კარგად იცის, ან, თუ არ იცის, იცის ძალიან მნიშვნელოვანი რამ, თუ სად და როგორ უნდა იპოვოს ის. ამას, მახსოვს, ხშირად გვიმეორებდა ჩემი მასწავლებელი კრაჩკოვსკი: «В науке важно не только то, что вы знаете, а важно знать, как найти то, что вы не знаете». აკაკი შანიძის ეს მრავალმხრივობა თავიდანვე ეტყობა მის ნაშრომებს.

ძალიან დიდი მოვლენა იყო ივანე ჯავახიშვილის მიერ ხანმეტი ტექსტების პოვნა და ამოკითხვა. როგორც ამბობენ, ბატონი ივანე სიხარულისგან ფიზიკურად ცუდად გამხდარა. ამ ხანმეტი ტექსტების ამოკითხვაზე აკაკიც ძალიან ბევრს მუშაობდა. მაშინ, მოგეხსენებათ, ტექსტების ამოკითხვის არავითარი სხვა საშუალება არ არსებობდა, გარდა თვალისა. ერთი კი სცადეს, რომ ხელნაწერი ქიმიურად გაეცხოველებინათ, მაგრამ, საბედნიეროდ, მალე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არ შეიძლება 15 საუკუნის ხელნაწერი ქიმიურად დაამუშავო, იმიტომ რომ არ იცი, რა შეიძლება მას მოუვიდეს. დღეს, მოგეხსენებათ, პალიმფსესტებს სულ სხვანაირად კითხულობენ, კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით, მაგრამ მაშინ ერთადერთი საშუალება თვალი იყო და მე ხანდახან მიკვირს, მართლა მიკვირს, როგორ ახერხებდა აკაკი ამის ამოკითხვას. მეც მინახავს იგივე პალიმფსესტური ხანმეტი ხელნაწერები და მიკვირს, არ ჩანს არაფერი, მაგრამ ამოკითხულია. ასევე, თვალთ კითხულობდა ამ ხელნაწერებს ჩემი ყოფილი მოწაფე და შემდეგ თანამშრომელი ლამარა ქაჯაიაც, რომელმაც დიდი შრომა დაახარჯა პალიმფსესტების ამოკითხვას. ერთი სიტყვით, ამ ხანმეტი ტექსტების გამოქვეყნება ძალიან დიდი საქმე იყო და მამაჩემი თვალთახედვის არიდან არ უშვებდა ამ ტექსტებს. მეოცე საუკუნის 20-იან წლებში დაწყებული მუშაობა აკაკიმ 1944 წელს კვლავ განაგრძო, როდესაც ხანმეტი ლექციონარი ფოტოტიპურად გამოსცა. როგორც



უკვე გითხარით, ის ამ ძველი ტექსტების გამოცემას ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა. რომელი ერთი დავასახელო. მაგალითად, როგორც კი მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ სინაზე მუშაობს ჟერარ გარიტი (ეს 1950 წელს ხდება), რომელმაც გადაიღო სინური ხელნაწერების მთელი ფონდი და გადააგზავნა ამერიკაში, ვაშინგტონის ბიბლიოთეკაში, მაშინვე აკაკის ინიციატივით ვაშინგტონიდან (სინას მაშინ, იმ ეპოქაში, ვერავინ მისწვდებოდა), კონგრესის ბიბლიოთეკიდან, ჩამოვიდა მათი ფოტოასლები; ეს იყო 1957 თუ 1958 წელი და მერე, როგორც იტყვიან, აკაკიმ ცეცხლი შეგვინთო ყველას, ვისაც დაურიგა ეს ხელნაწერები შესასწავლად და 1959 წელს უკვე სინური მრავალთავი გამოაქვეყნა. არ ვიცი, რამდენი ტექსტი დავასახელო: ბიბლიური ტექსტები უკვე ვახსენე; ძალიან მნიშვნელოვანი იყო პეტრინონის ტიპიკონის ხელნაწერების მოპოვება, რომლის ერთ-ერთი ხელნაწერი, შედარებით ადრინდელი, ყოველ შემთხვევაში, იმაზე უფრო ადრინდელი, რომლითაც მას იქამდე იცნობდნენ, კუნძულ ხიოსზე აღმოაჩინა და დაბეჭდა. ერთხელ კიდევ ვიმეორებ: ერთდროულად სიღრმე და მრავალმხრივობა არის დამახასიათებელი აკაკი შანიძის მუშაობისთვის. „ვეფხისტყაოსანზე“ უკვე ვილაპარაკე. ამასთან ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შრიფტის დამზადების შემდეგაც აკაკის არ დაუკარგავს ინტერესი ქართული შრიფტების მიმართ, სულ მუშაობდა ამაზე და ამის შესახებ ბევრს წერდა.

ძალიან ბევრი ნაშრომი, წერილი ეძღვნება ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენის საკითხს, შემდეგ ეს წერილები ცალკე კრებულად გამოიცა. ბევრს მუშაობდა აკაკი შანიძე სახელმძღვანელოებზე. პირველი, 1930 წლის გრამატიკაც, რომლის გადამუშავებულ და საბოლოო ვარიანტს წარმოადგენს „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების“ 1973 წლის გამოცემა, დაწერილი იყო, როგორც გამოკვლევა და, ამავე დროს, წარმოადგენდა სახელმძღვანელოს სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, აკაკის დაწერილი აქვს სასკოლო სახელმძღვანელოებიც. მისმა „სასკოლო გრამატიკამ“ ჩაანაცვალა სკოლებში ილია სიხარულიძის „სასკოლო გრამატიკა“. აკაკიმ ამ სახელმძღვანელოშიც ასახა ქართული ენის სტრუქტურის შესახებ მის მრავალ ნაშრომში წარმოდგენილი სამეცნიერო სიახლეები. აკაკის სახელმძღვანელოთი დიდი ხნის განმავლობაში ასწავლიდნენ ქართულ გრამატიკას სკოლაში და, რამდენადაც ვიცი, დღესაც მასწავლებლები ხშირად, მიუხედავად იმისა, რომ ის ოფიციალურ სახელმძღვანელოს აღარ წარმოადგენს, იყენებენ მას, იმიტომ რომ ის არის სისტემური კურსი ქართული ენისა. აკაკიმ მონაწილეობა მიიღო ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის მომზადებაშიც ილია აბულაძესთან, ალექსანდრე ბარამიძესთან და გრიგოლ ჯაკობიასთან ერთად. აკაკი მონაწილეობდა, როგორც თვითონ იმ ტექსტების შერჩევასა და არანაწილებად, შემოკლებაში (რომელზედაც ახლა ამდენი ლაპარაკია, შევამოკლოთ თუ არ შევამოკლოთ), ისე მისთვის ძველი ქართულის მოკლე გრამატიკის დართვაში, რომელიც იმდროინდელ ცოდნას გამოსხატავდა. მისი „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ გამოქვეყნდა 1976 წელს, როდესაც აკაკი უკვე ძალიან ხნიერი იყო. მახსოვს, რამდენჯერმე ხუმრობით უსაყვედურა კათედრის წევრებს (მათ შორის მეც, რადგან, გარდა ხელნაწერთა ინსტიტუტისა, კათედრაზეც ვმუშაობდი), რომ ახალგაზრდები ხართ, რატომ არ წერთ ძველი ქართული ენის გრამატიკასო. აკაკის ვერავინ უთხრა, თქვენ თუ არ წერთ, ჩვენ როგორ გავბე-

დავით. და ერთხელაც აკაკიმ თქვა: თქვენ თუ არ დანერო, მე დავნერო და მართლაც უკვე 80-ს გადაცილებულმა დანერა „ძველი ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც დღესაც სტუდენტების სახელმძღვანელოდ ითვლება. ეს სახელმძღვანელო, სხვათა შორის, თარგმნილი არის სომხურ ენაზე. აკაკის მოწაფემ, ჰაინც ფენრიხმა, გერმანულ ენაზეც თარგმნა და დაბეჭდილი არის გერმანულადაც. ასე რომ, ევროპაში ძველი ქართული ენის შესწავლა შეიძლება. ქართველოლოგი არ იყო ინგლისელი ბარეტი, მაგრამ ქართული იცოდა, „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე მუშაობდა. მან დაიწყო ოქსფორდში ინგლისურად თარგმნა ამ გრამატიკისა, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, არ დაუმთავრებია.

რაც შეეხება მოწაფეებთან მუშაობას, მე თვითონ ვარ მომსწრე, რამდენ დროსა და ენერგიას ანდომებდა აკაკი ამ საქმეს. თავდაპირველად უნივერსიტეტი დიდ ნაკლებობას განიცდიდა კვალიფიციური მასწავლებლებისა და პროფესორებისა, ამიტომ მის პირველ პროფესორებს ბევრი რამის კეთება მოუხდათ. ძალიან ნიჭიერი მკვლევრები იყვნენ იოსებ ყიფშიძე და მისი ძმა, დავით ყიფშიძე; სამწუხაროდ, ორივე 1919 წელს გარდაიცვალა. იოსებ ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ ძირითადი სიმძიმე ქართული ენის სწავლებისა აკაკის დაანვა მხრებზე. ბევრ ლექციას კითხულობდა. ასევე იყვნენ სხვებიც. მაგალითად, გიორგი ახვლედიანი, რომელიც ძალიან ფართო განათლების კაცი იყო, ერთხანს, რამდენადაც მახსოვს, დასავლეთ ევროპის ლიტერატურასაც კი კითხულობდა.

აკაკიმ მოწაფეებთან მუშაობაც სხვანაირი იცოდა. თუ ადრეულს მე მხოლოდ როგორც ბავშვი ვხედავდი ხოლმე, მერე და მერე, როდესაც უკვე ასე თუ ისე სპეციალისტი გავხდი, ვუყურებდი, როგორ მუშაობდა: აკითხებდა და ეკითხებოდა სულ, აბა, რა ვერ გაიგეთ, რამ დაგაინტერესათ, რა გინდათ, რომ განგიმარტოთ. მახსოვს, როგორ გაუჯავრდა ერთხელ უნივერსიტეტის მე-4 კორპუსში მოსულ ასპირანტებს, რომლებმაც სახარების ტექსტი მოიტანეს ნაკითხული და აკაკის შეკითხვაზე, აბა, რა შეკითხვები გაქვთ, რა არის გაუგებარიო? მორიდებით უპასუხეს, სუყველაფერი გასაგებიაო. გაჯავრდა ძალიან: თუ საკითხავი არაფერი გაქვთ და არაფერმა მიიპყრო თქვენი ყურადღება, მაშასადამე, ცუდად წაგიკითხავთ ან არ წაგიკითხავთ. ესეც, ალბათ, იმ ძველი სკოლის წესი იყო, თუმცა, მე რომ მკითხოთ, დღეს ყველა მასწავლებელი ასე უნდა მუშაობდეს. არ შეიძლება მეცნიერებაში მხოლოდ ურყევი ჭეშმარიტებების მოწაფურად გადმოცემა. მოწაფე იქნება, სტუდენტი თუ ასპირანტი, ყურადღება უნდა მიმართო იქითკენ, რომ ეძიოს დედააზრი და თვითონ ის, რაც წაიკითხა და შეითვისა, შემდგომი დაკვირვების მასალად აქციოს. აი, ასე მუშაობდა აკაკი თავის მოწაფეებთან. ამიტომ არის, რომ მისი შემდგომი თაობის ყველა სპეციალისტი, ენათმეცნიერებისა და, შესაძლოა, ლიტერატურის დარგშიც, თავის თავს უშუალოდ თუ შუალობით აკაკი შანიძის მოწაფედ თვლიდა და მე ვფიქრობ, რომ დღესაც აკაკის ნაშრომები ძალიან ბევრ რამეში სახელმძღვანელო არის მკვლევრებისთვის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეცნიერებაში ახალი რამ არ უნდა შემოვიტანოთ. დრო მიდის. იცვლება როგორც მასალა (ემატება ახალი), იცვლება აგრეთვე მეთოდოლოგია კვლევისა, მაგრამ ის, რაც თავის დროზე იყო მნიშვნელოვანი, საფუძვლიანი და საფუძვლის დამდები, რა თქმა უნდა, თავის მნიშვნელობას მომავალშიც შეინარჩუნებს, როგორც გარკვეული ეტაპი მეცნიერების განვითარებისა. მამაჩემი თვითონ პირვე-

ლი იქნებოდა იმის წინააღმდეგი, რომ მხოლოდ და მხოლოდ დოგმად ყოფილიყო ჩათვლილი ის, რაც მათ დროს იყო ცნობილი. აი, გავიხსენოთ ისევ, უკვე ვთქვი დღეს, როგორ უბრალოდ და თამამად მისწერა თავის სათაყვანებელ მასწავლებელს, რომ ზოგ რამეში ვერ დაგეთანხმებითო.

აქ ერთი ფაქტიც უნდა გავიხსენო: სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე დავიწყე, რომელსაც მალე გამოეყო აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი და იქ გადავედი. ომის წლებია. ქალაქი ჩაბნელებულია, სიცივე, სიბნელე და გიორგი წერეთელი იცავს საკანდიდატო დისერტაციას. დაცვას მეც ვესწრებოდი. იმდენად სერიოზული და მნიშვნელოვანი პრობლემები იყო მასში დასმული (საკითხი ქართული ანბანის წარმოშობას ეხებოდა) და იმ დროისთვის ახალი მეთოდოლოგიით განხილული, რომ ყველამ თქვა, ეს სადოქტორო ნაშრომიაო. ეს ყველამ წინასწარ გამოაცხადა და ამის შემდეგ რამდენიმე საათი გაგრძელდა დავა და კამათი. რატომ? იმიტომ რომ დისერტანტის ჩაგდება კი არ აინტერესებდათ და მისი გამოჭერა რამეში, ყველას აინტერესებდა თვითონ ეს სამეცნიერო პრობლემა.

რამდენიმე სიტყვას ვიტყვი ჯვრის მონასტერში რუსთაველის ფრესკაზე. იმ ფრესკის არსებობა, რა თქმა უნდა, ადრეც იყო ცნობილი, ალ. ცაგარელს აქვს და ჩუბინაშვილს, ნიკო მარსაც ნათქვამი ამის შესახებ. ძველი პროგრესიკ არსებობს, იერუსალიმიდან ჩამოტანილი მონახაზის მიხედვით პეტერბურგში დაბეჭდილი, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან გადაღებული იყო ეს ყველაფერი. მახსოვს, რამდენჯერმე იყვნენ აქ, ჩვენთან, გიორგი წერეთელი და ირაკლი აბაშიძე და ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს. რა თქმა უნდა, სასურველი იყო, რომ იმ ექსპედიციაში ყოფილიყო ხელოვნებათმცოდნეც, მაგრამ მაშინ, რამდენადაც ვიცი, ეს არ მოხერხდა და მარტო სამნი წავიდნენ (აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი და ირაკლი აბაშიძე). იმ დროს ასეთი მისვლა-მოსვლა უცხოეთთან არ იყო, ძნელი იყო. აღარც ვიცი, რა უნდა დარქმეოდა ამას, ალბათ, მივლინება. მახსოვს, რომ პირველად ვნახე მაშინ ამერიკული დოლარი, ხელზე მისცეს ეტყობა და ჩემოდანში რომ ჩადო მამაჩემმა, რა არის-მეთქი ვკითხე და ეს ფულიაო, – მიპასუხა. ამ მივლინების მთავარი მიზანი რუსთაველის ფრესკის გამოვლენა იყო, რომელიც იმ დროს ჯვრის მონასტრის კედელზე არ ჩანდა (გადაღებული იყო). რა თქმა უნდა, ძალიან დიდი ამბავი იყო, რომ, მიუხედავად წინააღმდეგობისა, რომელიც ექსპედიციის წევრებს იქ შეხვდათ, მათ გაბედეს და ჯვრის მონასტრის კედელზე ფრესკის განმენდას შეუდგნენ, რის შედეგადაც შოთა რუსთაველის გამოსახულება და წარწერაც გამოჩნდა. რა თქმა უნდა, რუსთაველოლოგია საერთოდ მამაჩემის საქმიანობაში ძალიან მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა ყოველთვის. ერთი ტომი მისი თხზულებებისა მთლიანად რუსთაველოლოგიურ საკითხებს ეხება და, რასაკვირველია, მოგზაურობა იერუსალიმში კიდევ ერთი დიდი ბიძგი იყო მისი რუსთაველოლოგიური ინტერესების შემდგომი განვითარებისთვისაც.

## აკაკი შანიძის გამოსათხოვარი სიტყვა ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვაზე

ძვირფასო მასწავლებელო, სახელოვანო მეცნიერო, ბატონო ივანე!

მე წილად მხვდა უმძიმესი მოვალეობა: უკანასკნელი სიტყვა გითხრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, იმ უნივერსიტეტისა, რომელსაც შენ ჩაუყარე მკვიდრი საფუძველი.

შენ არაჩვეულებრივი მოვლენა იყავ ჩვენს ცხოვრებაში: შენში თანაბრად შეზავებული იყო ბუნება დიდი მეცნიერისა და დიდი ადამიანისა.

შენ დიდი იყავ, ბუმბერაზი, იყავ იშვიათი ნიჭით, გონების გამჭრიახობით, მრავალმხრივი ცოდნით, ენერგიული შრომით, ფართო საქმიანობით, მდგომარეობით, მოვალეობის შეგნებით, მაგრამ ამასთან ერთად შენ გამკობდა და გამშვენებდა ბუნებრივი უბრალოება და მეტისმეტი თავმდაბლობა, რომელიც ეგრე ხიბლავდა ყველას, ვისაც კი ერთხელ მაინც რაიმე საქმე ჰქონია შენთან.

დიდო მეცნიერო, შენ მრავალი პირველხარისხოვანი გამოკვლევა დაგვიტოვე: „ქართველი ერის ისტორია“, „ქართული სამართლის ისტორია“, „ქართული მუსიკის ისტორია“, „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ და სხვა და სხვა. მაგრამ შენ მიერ გაკეთებულ დიდ საქმეებს შორის ყველაზე დიდია და ძვირფასი ის მეთაურობა, რომელიც შენ იკისრე დიდი სამეცნიერო მოძრაობის დროს. ამ მოძრაობის ნაყოფია შენს მიერ საფუძველჩაყრილი უნივერსიტეტი, რომელმაც თავისი წიაღიდან რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი წარმოშვა.

სხვა რომ არაფერი გაგეკეთებინა რა, ესეც სრულიად საკმარისი იქნებოდა შენი სახელის უკვდავსაყოფად. მაგრამ შენ აღზარდე მრავალი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომლებიც მუდამ კრძალვით და მადლობით ახსენებენ შენს სახელს.

დიდო ივანე! შენს მოწაფეებად თვლიან თავს არა მარტო ის პირნი, რომელნიც შენი უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდნენ (ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, ფილოლოგები, ლიტერატურის ისტორიის მკვლევარნი, ხელოვნების ისტორიკოსები, არქეოლოგები ან ეთნოგრაფები), არამედ მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენლებიც: ბუნებისმეტყველები და სხვანი.

ჩვენ ვალად გვაძევს შეუდრეკელი სიარული იმ ფართო სამეცნიერო გზით, რომელიც შენ პირველად გაჰკაფე ჩვენში. ჩვენ ვალად გვაძევს, მთელი ჩვენი ძალ-ლონე შევალით შენს საყვარელ საქმეს – მეცნიერების აყვავებას და ქვეყნის სამსახურს.

ბევრია შენი მადლიერი, დიდო მასწავლებელო, კერძოდ, მეც დიდად დავალეებული ვარ შენგან. პირადად შენთვის მე არასოდეს არ მითქვამს მადლობა იმ დიდი ამაგისთვის, რომელიც შენ განუელი გაქვს ჩემზე. ამიტომ ჩემს უძვირფასეს მოვალეობად მიმაჩნია, საჯაროდ მოგახსენო უღრმესი მადლობა შენი დედამიწის ზედაპირზე უკანასკნელი ყოფნის წუთებში.

უღრმესად გმადლობ, ძვირფასო მასწავლებელო!

მშვიდობით, დიდო მეცნიერო და დიდო ადამიანო!

*ნოემბერი, 1940 წელი  
თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პანთეონი*

## დიდი ადამიანის გადაწყვეტილება

მე იმ პერიოდის სტუდენტი გახლავართ, როცა საბჭოთა კავშირში ომი მძვინვარებდა. მაშინ, როგორც ბევრ სხვა პოეზიით გატაცებულ ახალგაზრდას, მეც მეგონა, რომ პოეტი ვიყავი და ჩემი ინტერესებიც ფილოლოგიის ფაკულტეტს უკავშირდებოდა; მაგრამ ისე მოხდა, რომ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე შევედი 1944 წელს. პარალელურად, ექსტერნად ვესწრებოდი ლექციებს ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რადგან განზრახული მქონდა – სწავლა იქ გამეგრძელებინა. პირველ კურსზე ბატონი აკაკის ლექციები არ მომისმენია. მე მას, როგორც ლექტორს, მხოლოდ მეორე კურსზე შევხვდი. დიდი სახელი და ავტორიტეტი ჰქონდა. ყველამ ვიცოდით, რომ აკაკი შანიძე გახლდათ ის მოღვაწე, რომელიც უნივერსიტეტის დაარსების სათავეებთან იდგა ივანე ჯავახიშვილთან, ექვთიმე თაყაიშვილთან, შალვა ნუცუბიძესთან, დიმიტრი უზნაძესთან, ანდრია რაზმაძესთან, იოსებ ყიფშიძესთან, პეტრე მელიქიშვილთან და სხვებთან ერთად. ისიც ვიცოდით, რომ ბატონი აკაკი დიდი მეცნიერი იყო, რადგან ვეცნობოდით მის ნაშრომებს და მისი გრამატიკით ვსწავლობდით. რადგან კავკასიური ენების სპეციალობით განვაგრძე სწავლა, მეორე კურსზე ლექციის ჩასატარებლად შემოვიდა ბატონი აკაკი. ეს იყო პირველი კორპუსის მესამე სართულზე, 8წ-ე აუდიტორიაში, სადაც ასზე მეტი ადამიანი ეტეოდა. ბევრი სტუდენტი შემოდიოდა აკაკი შანიძის ლექციაზე, ესწრებოდნენ ექსტერნებიც, ასპირანტებიც და ახალგაზრდა მეცნიერებიც. მესამე კურსზე მე უკვე კავკასიური ენების სპეციალობით ვსწავლობდი და ბატონმა აკაკიმ ძველი ქართული ენა წაგვიკითხა. იგი ძალიან კარგი მოსაუბრე იყო და საინტერესო ლექციაც ჰქონდა. მახსოვს, რომ, გარდა პროგრამული საკითხებისა, ხშირად საუბრობდა ისეთ თემებზე, რასაც წიგნებში მაშინ ნაკლებად ამოიკითხავდი. მაგალითად, გვესაუბრებოდა თავისი მასწავლებლის, ნიკო მარის მოღვაწეობაზე, დიალექტებზე, საინტერესო კვლევებზე.

### ქართული ენის კათედრის ორად გაყოფის მთავარი მიზეზი

ერთი ძალიან საგულისხმო ამბავიც უნდა გავიხსენო – როცა უნივერსიტეტი დაარსდა, 1918 წელს, ქართული ენის კათედრას ახალგაზრდა პროფესორი იოსებ ყიფშიძე ჩაუდგა სათავეში, მაგრამ მას არ დასცალდა დაწყებული საქმის განვითარება და ბოლომდე მიყვანა, რადგან 1919 წელს გარდაიცვალა. ამის შემდეგ კათედრა აკაკი შანიძეს ჩააბარეს და დაახლოებით 25 წელი ხელმძღვანელობდა იგი უდიდეს საქმეს, რასაც ქართული ენათმეცნიერების განვითარება ჰქვია. მოგვიანებით მან კათედრა ორად გაყო, რასაც თავისი წინაპირობა ჰქონდა: მოგეხსენებათ, უნივერსიტეტი მაშინ პროფესორთა და ლექტორთა ნაკლებობას განიცდიდა, რის გამოც უნივერსიტეტის დამფუძნებლები ცდილობდნენ, რომ ნიჭიერი ახალგაზრდები შეერჩიათ და საპროფესოროდ მოემზადებინათ. ასეთ ნიჭიერ



კადრებად მოიაზრეს მათ არნოლდ ჩიქობავა (რომელიც უნივერსიტეტის პირველი კურსდამთავრებული იყო, ვინც დისერტაცია აქ დაიცვა), ვარლამ თოფურია და სიმონ ჯანაშია. ბატონი სიმონი თავად ივანე ჯავახიშვილმა დაიტოვა, ხოლო არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია ფილოლოგიის ფაკულტეტზე დარჩნენ. ეს გახლდათ, მართლაც, საამაყო სამეული, რომლებმაც თავიანთი მასწავლებლების დანყებული გზა გააგრძელეს და სკოლები შექმნეს. ქვეყანაში და უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების გამო ბატონმა ვარლამმა ძალიან გვიან დაიცვა დისერტაცია, მაგრამ ამ დროისთვის კათედრაზე მისთვის, ფაქტობრივად, ადგილი არ იყო. აქ გამოიჩინა აკაკი შანიძემ შესაშური კოლეგიალობა – მან მოითხოვა ქართული ენის კათედრის ორად გაყოფა. თავად ძველი ქართული ენის კათედრას ჩაუდგა სათავეში, ხოლო ახალი ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელობა ვარლამ თოფურიას დაუთმო. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, ასეთი რამ მხოლოდ დიდ ადამიანებს შეუძლიათ და ასეთი დიდი ადამიანი იყო ბატონი აკაკიც.

### **მომთხოვნი და შეუვალი ხელმძღვანელი**

აკაკი შანიძე და მისი შრომები, გარკვეულწილად, განმსაზღვრელი გახდა ჩემი სამეცნიერო მომავლისაც. როგორც ვთქვი, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის დროს ფილოლოგიის ფაკულტეტის ლექციებსაც ვესწრებოდი ექსტერნად, მაგრამ ბატონი აკაკი იმ წელს ჩვენთან არ შემოსულა და არც ვიცოდი, რომ მას უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა მწკრივთა თეორია. მას შემდეგ, რაც გადავედი ფილოლოგიაზე, გამოცდა უნდა ჩამებარებინა ქართულ ენაში და ჩემით მოვემზადე. გამოცდას იბარებდა სტეფანე ჩხენკელი, რომელმაც მკითხა ზმნის სერიები და მწკრივები. მე ეს არ ვიცოდი და ამიტომაც საკმაოდ ცუდი შედეგით გამომაბრუნა უკან. განმეორებითი გამოცდისთვის განსაკუთრებულად მოვემზადე – ცხადია, ვისწავლე სერიები და მწკრივებიც. გამოცდა ამჯერად თავად ბატონმა ვარლამ თოფურიამ ჩაიბარა და იმდენად მოეწონა ჩემი პასუხები, რომ გამომკითხა – საიდან ვიყავი, რა ინტერესები მქონდა. მანვე შემომთავაზა ენის მიმართულებით მუშაობის გაგრძელება. ამის მერე მივედი ბატონ არნოლდ ჩიქობავასთან და გადავედი კავკასიურ განყოფილებაზე. შემდგომში ჩემი და ბატონი აკაკი შანიძის თანამშრომლობა რამდენჯერმე შედგა. ის გახლდათ მომთხოვნი და შეუვალი ხელმძღვანელი, არაფრით არ გაპატიებდა რაიმე საკითხის მიფუჩეჩებას; გენდობოდა, მაგრამ ყველაფერს თავიდან ბოლომდე გულდასმით ამოწმებდა. ერთ თანამშრომლობას გავიხსენებ: ჩვენ ერთად ვმუშაობდით „უდაბნოს მრავალთავზე“ – ეს გახლავთ ქართული ხელნაწერი, რომელიც გადაწერილა შატბერდში და აკაკი შანიძემ ჩამოიტანა 1920 წელს უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდან. მანვე იპოვა ამ ხელნაწერის რამდენიმე ფრაგმენტიც. ამ წიგნზე, რომელსაც ასე ჰქვია – „უდაბნოს მრავალთავი“ – მთელი კათედრა მუშაობდა და რედაქტორები ვიყავით მე და ბატონი აკაკი. წიგნი დაიბეჭდა 1994 წელს, როცა ბატონი აკაკი უკვე ცოცხალი აღარ იყო (წიგნზე ასევე მუშაობდნენ ლელი ბარამიძე, კორნელი დანელია, რუბენ ენუქაშვილი, ივანე იმნაიშვილი, ლევან კიკნაძე, მზექალა შანიძე), მაგრამ მანამდე ეს წიგნი მის ხელში მზადდებოდა

გამოსაცემად. ამ ტექსტზე მუშაობა ათეულობით წელი მიმდინარეობდა. მე ჯერ კიდევ ასპირანტი ვიყავი, როცა უდაბნოს მრავალთავის ტექსტის ნაწილი მომცა შესასწავლად. შემდეგ მთელი კათედრა ჩაერთო მის კვლევაში და გამოსაცემად მომზადებაში. ისეთი ბედი დაჰყვა ამ წიგნს, რომ ძალიან გვიან გამოიცა, თუმცა ყველაფერი, რაც მასშია მოცემული, შეთანხმებული იყო ბატონ აკაკისთან. ძალიან სასიამოვნო ადამიანი იყო, სიცოცხლით სავსე, გულისხმიერი და ყურადღებიანი. არ უყვარდა, როცა საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდი. ერთი პერიოდი, როცა ასპირანტურის ბოლო კურსზე გახლდით და დისერტაცია ჯერ დაცული არ მქონდა, ბატონი ნიკო კეცხოველის რეკომენდაციით, მუშაობა დავინწყე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“. ბატონი აკაკისთვის, რომელიც ჩემი ხელმძღვანელი იყო, ამის შესახებ არ მითქვამს. ცხადია, დიდ დროს ვატარებდი გამომცემლობაში და ეს ამბავი ბატონი აკაკის ყურამდეც მივიდა. ერთ დღესაც დამირეკა – სად ბრძანდებითო? ვუპასუხე, სადაც ვიყავი და გამწყრალმა მითხრა – ახლავე მობრძანდით ჩემთან, ვინ მოგცათ დისერტაციის შუაგზაზე მიტოვების უფლებაო. დამიშალა მუშაობა და მართალიც იყო – მე რომ მუშაობა გამეგრძელებინა, დისერტაციას ველარ დავწერდი. ასე განსაზღვრა ბატონმა აკაკიმ ჩემი ცხოვრების გზა, რომლის დიდი ნაწილიც ამ დიდი მეცნიერის გვერდით გავატარე.

თედო უთურგაიძე

## 1930 წლიდან მას საქართველოს მასწავლებელს უნოდებდნენ

პირველად, როგორც სტუდენტი, ბატონი აკაკის ლექციებს ძველი ქართული ენის გრამატიკაში ვისმენდი. ეს იყო მესამე კურსზე – დაახლოებით 1948 წელს. იმ დროს აკაკი შანიძეს უკვე განთქმული ჰქონდა სახელი, როგორც დიდ მეცნიერს და არც გამკვირვებია, რომ აუდიტორია, რომელშიც ლექციებს კითხულობდა, გადაჭედული იყო – 100 კაცზე მეტი იჯდა, მათ შორის ასპირანტები და მეცნიერებიც. საინტერესო ლექციები ჰქონდა, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, სემესტრის განმავლობაში ხალხი ნელ-ნელა აკლდებოდა. ბოლოს აქა-იქ ისხდნენ ხოლმე. მერე, ასპირანტი რომ გავხდი, თავად ბატონმა აკაკიმ მითხრა ამის მიზეზი – ასპირანტებს რომ ვხედავ აუდიტორიაში, ლექციას მათთვის ვკითხულობ და სტუდენტისთვის ეს ცოტა ძნელი გასაგებიაო. ერთი-ორს თუ მოვძებნით ჩვენს ისტორიაში იმ დონის მეცნიერს, როგორიც აკაკი შანიძე გახლდათ. გარდა კილოების შესწავლისა, მან გრამატიკაში უამრავი საკითხი დააღაგა სტრუქტურულად, მათ შორის, შემოიტანა ზმნის მთელი რიგი კატეგორიები, ესენია: ჯერობის, გეზის, ორიენტაციისა და სხვა კატეგორიები. როცა ენაში კატეგორია შემოდის, მას დამტკიცება უნდა. ბატონმა აკაკიმ კი ახალი კატეგორიაც შემოიტანა და ძველიც დახვეწა.

შემთხვევითი არაა, რომ 1930 წლიდან მას საქართველოს მასწავლებელს უწოდებდნენ, რადგან ათწლეულების განმავლობაში სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ქართულს მისი გრამატიკით ასწავლიდნენ. ბატონი აკაკი ბრწყინვალე პედაგოგი იყო. მან, ბევრ სხვა მოწაფესთან ერთად, აღზარდა ვარლამ თოფურია და არნოლდ ჩიქობავა, როგორც მსოფლიო დონის მეცნიერები. 1950 წელს მეც მისი ასპირანტი გავხდი. წესად ჰქონდა – ყოველ ხუთშაბათს მასთან უნდა ვყოფილიყავით და წარგვედგინა – რა გავაკეთეთ. განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას წყაროებთან მუშაობაზე. მას სწავლების თავისებური მეთოდი ჰქონდა. მაგალითად, ერთხელ მომცა „იოანე ოქროპირის ცხოვრება“ (რომელიც ნუსხა-ხუცურიტაა ნაწერი), გადაწერე და მომიტანეო. გადავწერე 12-გვერდიანი რვეული და მივედი. წაიკითხა და არ მოეწონა – ორ ადგილას მითხრა, შენ ამ ტექსტში იყურები და მე ვხედავო, ანუ, რაც ტექსტში ეწერა, არ იყო სწორად, მე უნდა მივმხვდარიყავი და გამესწორებინა. ამით მაიძულა, რომ კრიტიკულად წამეკითხა ტექსტი – თუ დამწერს რაღაც გრამატიკული შეცდომა ჰქონდა, სქოლიოში უნდა ჩამეტანა და სწორად დამეწერა. შემდეგ უკვე „პროხორეს ცხოვრება“ (მრგლოვანით დანერილი ტექსტი) გადამაწერინა რამდენიმეჯერ. არასოდეს გაგიშვებდა გამოცდაზე ისე, რომ ჯერ თავად არ შეემონებინა, რამდენად მომზადებულნი ვიყავით. მახსოვს, სვანურს რომ ვაბარებდი, თავისი ჩანერილი ტექსტები მომცა – მითარგმნეო. მკაცრი არ იყო, მაგრამ, მასთან შეღავათიც წარმოუდგენელი რამ გახლდათ. მახსოვს, ერთი გამოცდის დროს ჩვენი კურსელი შევიდა გამოცდაზე და 5 წუთში გარეთ გამოუშვა. კონკრეტული დავალების მიცემის შემდეგ მიხვდა, რომ ნამუშევარი არ ჰქონდა. მე რომ გამომცადა, ყველაფერი ზედმინევნით კარგად ვუპასუხე და მოვეწონე, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა. ბოლოს მითხრა, ათონზე წამიყვანეო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ის გეოგრაფიული მარშრუტი უნდა მეჩვენებინა, რომლითაც ექსპედიციის შემთხვევაში (ფეხით) ავიდოდით ათონზე. მე კი არ ვიცოდი და ვუთხარი, თვითმფრინავით მოგვინევს წასვლა-მეთქი. ამის გამო ოთხიანი დამიწერა. ძალიან სამართლიანი იყო. მახსოვს, რაღაც წერილი დავწერეთ მე და ალექსი ჭინჭარაულმა, რომელშიც ვაკრიტიკებდით კაცს, რომელიც წერდა: ტექსტები ისე გამოვეცი, როგორც აქამდე იყო გამოცემული, რადგან ის სპეციალისტების ჩანერილიაო. ჩვენ დავწერეთ, რომ ტექსტებს სწორედ სპეციალისტები იწერენ და შეცდომასაც ისინი უშვებენ-თქო, ამის მაგალითად კი აკაკი შანიძის დაშვებული შეცდომა მოვიყვანეთ. მეორე დღეს ბატონმა აკაკიმ ვიღაც კაცს წარუდგინა ჩემი თავი – ეს ჩემი მოსწავლეა, მაგრამ ახლა აქეთ ისწავლებაო. მას არასოდეს აწუხებდა კრიტიკა. როცა მართებული იყო ჩემი მოსაზრება, ასე მომმართავდა: „მართალია, თუშო, მართალი“. სადისერტაციოდ ჩემს მშობლიურ თუშურ კილოზე ვმუშაობდი. ბატონი აკაკი სადისერტაციო ხელმძღვანელი გახლდათ და, როცა დისერტაცია წარუდგინე, ერთ ნაწილზე შემედავა, ზედმეტიაო. მეც დავუჯერე და ეს ნაწილი დისერტაციიდან ამოვიღე. ცოტა ხნის შემდეგ იგივე თემა კონფერენციაზე მოხსენების სახით წარვადგინე. გამოვიდა ბატონი აკაკი და დიდად შემაქო. გამიკვირდა, ის ხომ ამ ნაწილში არ მეთანხმებოდა... მერე ფარნაოზ ერთელიშვილისთვის უთქვამს – აჩქარდა თუშოო. თურმე ეგონა, რომ ამ ნაწილს დავამუშავებდი და ისე ჩავდებდი დისერტაციაში, მე კი ამოვიღე და ცალკე

გამოვეცი. როგორც პიროვნება, ბატონი აკაკი საოცრად კეთილი ადამიანი იყო. ერთი ასეთი შემთხვევა მახსენდება, ვილაც კაცმა სთხოვა, 200 მანეთი მასესხეო. აკაკიმ უპასუხა, ხელზე მხოლოდ 100 მანეთი მაქვს და, თუ გეყოფა, არ მენანებაო. დათანხმდა ის კაცი, აიღო 100 მანეთი და წავიდა. აკაკი მომიბრუნდა და გამარჯვებული სახით მითხრა: მე ახლა ჩემს თავს 100 მანეთი ვაჩუქეო... რატომ-მეთქი და – ეგ ნასესხებ ფულს აღარ აბრუნებს ხოლმე და 200-ის დაკარგვას 100-ის დაკარგვა სჯობდაო.

## აკაკი შანიძის შესახებ: ინტერვიუ რამაზ ქურდაძესთან

**გადაცემა „დილის არხი თეიკო ანჯაფარიძესთან ერთად“;  
ჟურნალისტები – თეიკო ანჯაფარიძე და თამარ აბშილავა,  
2019 წლის 26 თებერვალი, აკაკი შანიძის დაბადების დღე, რადიო „იმედი“<sup>1</sup>**

### ჟურნალისტი:

. . . წარმოგიდგენთ ჩვენს სტუმარს, რამაზ ქურდაძეს, ენათმეცნიერს, პროფესორს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელს. ძალიან დიდი მადლობა, ბატონო რამაზ, რომ ხართ ჩვენი გადაცემის სტუმარი.

დღეს ჩვენ ვსაუბრობთ აკაკი შანიძეზე. 26 თებერვალი აკაკი შანიძის დაბადების დღეა. რატომ უნოდებდნენ დიდ მეცნიერს „ქართველოლოგიის პატრიარქს“ და აკაკი შანიძის გზა... ამ საკითხებზე გვინდა ვისაუბროთ, თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მცირე დრო არის იმისათვის, რომ სრულად წარმოვაჩინოთ ისინი. ამიტომ შევეცადოთ, რომ ჩვენს მსმენელს მცირე ინფორმაცია მაინც მივაწოდოთ მათზე და ოდნავ განსხვავებული კუთხით წარმოვადგინოთ დიდი მეცნიერი. ბატონო რამაზ, დავიწყოთ უნივერსიტეტით, აკაკი შანიძის როლით უნივერსიტეტის დაარსებაში.

### რამაზ ქურდაძე:

დიახ, მართალი ბრძანდებით, აკაკი შანიძის როლი ძალიან დიდია ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში და, თუ ნებას მომცემთ, მე დღევანდელი დღით დავიწყებ, მოგახსენებთ, დღეს რა ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ივანე

<sup>1</sup> ინტერვიუ ტექსტის სახით გადმოწერა დოქტორანტმა სალომე გეგეჭკორმა, დასაბეჭდად მოამზადა რ. ქურდაძემ. ინტერვიუ იბეჭდება მცირედი შესწორება-შემოკლებით, მისი სრული ნახვა და მოსმენა შესაძლებელია შემდეგ საინტერნეტო მისამართზე: <https://www.youtube.com/watch?v=0OS3L1m8KoA>

ჯავახიშვილი აუცილებლად უნდა ვახსენოთ, ვინაიდან ის დიდი საქმე, რომელსაც ასი წლის წინ, ფაქტობრივად, ას ერთი წლის წინ, თბილისში უნივერსიტეტის დაარსება ერქვა, ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით ხდებოდა. ბატონი ივანე აკაკი შანიძის მასწავლებელი გახლდათ, მან ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნის დროს გადაწყვიტა ეს დიდი საქმე და მაშინ, ბარემ აქვე ვიტყვი, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, ქართული უნივერსიტეტის გახსნას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ისინი სხვადასხვა რამეს იმიზეზებდნენ. მათ შორის ერთ-ერთი ასეთი იყო, რომ ქართულ ენას არ შესწევდა უნარი ყოფილიყო სამეცნიერო ენა და სხვ. ივანე ჯავახიშვილმა ესეც გაითვალისწინა. მან ცხრაასიანი წლების დასაწყისში პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში შექმნა „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე“, რომელზედაც მოხსენებები უნდა წაკითხულიყო ქართულად. აკაკი შანიძე ამ წრის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. ბატონი ივანესა და მასთან ერთად მისი მოსწავლეების მრავალ ძალისხმევათა შედეგად გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი თბილისში, პირველი უნივერსიტეტი კავკასიაში. ამ საქმის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე სწორედ აკაკი შანიძე გახლდათ.

აკაკი შანიძის ხსოვნის დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის ღირსეულად აღნიშნავს. 1987 წლის 26 თებერვალს დიდი ზემოთ აღინიშნა ბატონი აკაკის ასი წლის იუბილე, ერთი თვის შემდეგ, 29 მარტს, ბატონი აკაკი გარდაიცვალა. 1988 წლიდან აკაკი შანიძის დაბადების დღე ყოველთვის აღინიშნება სამეცნიერო სესიით, საჯარო სხდომით. ამ სხდომებს მართავდა მაშინდელი ძველი ქართული ენის კათედრა, ახლა ამ საქმეს აგრძელებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრა. დღევანდელი სხდომა დაიწყება თერთმეტ საათზე; მანამდე, თერთმეტს რომ დააკლდება თხუთმეტი წუთი, კათედრისა და მთლიანად ქართული ენის ინსტიტუტის წევრები, მოწვეული სტუმრები ყვავილებით შეამკობენ აკაკი შანიძის საფლავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში. აქ უნივერსიტეტის დამაარსებელთა საფლავები სიმბოლური გახლავთ. თქვენ იცით, ჩვენი წესის მიხედვით, მიცვალებულს მარხავენ ისე, რომ „მზეს უყურებდეს“, აღმოსავლეთის მხარეს უნდა ჰქონდეს სახე, ყოველ შემთხვევაში ასეა მიღებული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალული მოღვაწეები, უნივერსიტეტის დამაარსებლები, უნივერსიტეტისაკენ არიან სახით და არა აღმოსავლეთისკენ; იმიტომ რომ სწორედ ეს არის მათთვის „ის მზე“, რომლის დაარსებასა და გაძლიერებას მიუძღვნეს თავიანთი ცხოვრება.

დღევანდელ საჯარო სხდომაზე ჩვენ გვაქვს ექვსი მოხსენება და ერთი კრებულის წარდგენა. ეს კრებული გახლავთ „უნივერსიტეტის იდეა და ქართველურ ენათა კვლევისა და სწავლების მნიშვნელობა“. დღეს არის კრებულის მეორე გამოცემის პრეზენტაცია. ამ კრებულში მოთავსებულია აკაკი შანიძის წერილი „სოციალისტ-ფედერალისტთა მთავარ კომიტეტს აკაკი შანიძისაგან მოკითხვა და გამარჯვება სოციალ-დემოკრატებზე“, რომელიც აქამდე არ ყოფილა გამოქვეყნებული. წერილი დაწერილია 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, სანამ მოხდებოდა ოქტომბრის რევოლუცია; მაშინდელ მშფოთვარე და არეულ დროში



აკაკი შანიძეს ძალიან ანუხებდა საქართველოს ბედი, ქართული ენის ბედი და ამ საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას ამ წერილში.

### **ჟურნალისტი:**

ეს ის წელია, როდესაც დაბრუნდა ის საქართველოში და აქტიურად ჩაერთო უნივერსიტეტის დაარსებაში...

### **რამაზ ქურდაძე:**

დიახ, თუმცა მანამდეც დაბრუნებულა. სტუდენტობის დროს, 1911-1913 წლებში, ის ხშირად იყო საქართველოში და ქართული მთის კილოების შესწავლას მოჰკიდა ხელი; ნიკო მარის წარდგინებით ასეთი დავალება ჰქონდა მას უნივერსიტეტიდან. ფაქტობრივად, ქართული მთის კილოების შესწავლით 1911-1913 წლებში აკაკი შანიძემ ჩაუყარა საფუძველი ქართულ დიალექტოლოგიას. ქართული დიალექტოლოგიის შესწავლის საფუძვლის ჩამყრელად აკაკი შანიძესთან ერთად უნდა დავასახელოთ ვუკოლ ბერიძეც. მან 1912 წელს პეტერბურგში, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიაში, დაბეჭდა „სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“. ეს ცალკე თემა გახლავთ. რაც შეეხება ბატონი აკაკის ზემოხსენებულ წერილს, ეს წერილი დასაბეჭდად მოამზადა და კომენტარები დაურთო ქალბატონმა მზექალა შანიძემ.

### **ჟურნალისტი:**

დიახ, ქალბატონი მზექალა საუბრობდა ამ წერილის თაობაზე. ეს სიახლე იქნება ერთგვარად. ამ წერილში ქართული ენის მნიშვნელობაზეა გამახვილებული ყურადღება.

### **რამაზ ქურდაძე:**

ამ კრებულის რედაქტორიც ქალბატონი მზექალა შანიძე გახლავთ. მოგახსენეთ, რომ ეს კრებულის მეორე გამოცემაა. პირველი გამოცემა 2018 წლის შემოდგომაზე წარვადგინეთ „მეცნიერებისა და განათლების ფესტივალზე“. შემდეგ, 12 დეკემბერს, ეს კრებული ჰოლანდიაში, ჰააგაში, ქართულ დიასპორასთან შეხვედრაზე წარვადგინეთ. იქ ჩვენს კრებულთან ერთად ქალბატონი მზექალა შანიძის ვიდეომიმართვაც ჩავრთეთ, რომელიც ამ წერილსა და ამ კრებულს ეხებოდა. მიმართვამ დიდი ეფექტი მოახდინა ჰოლანდიაში მცხოვრებ ქართველებზე.

### **ჟურნალისტი:**

ბატონო რამაზ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალიან რთულია მცირე დროში აკაკი შანიძეზე საუბარი, მისი შრომების ჩამონათვალიც ძალიან დიდია. ეს ნაშრომები ეხება ქართველური ენების სტრუქტურასა და ისტორიას, ქართულ დიალექტოლოგიას, ლექსიკოლოგიას, ტექსტოლოგიას, ეპიგრაფიკას, ფოლკლორისტიკას, რუსთველოლოგიას. მან უდიდესი როლი შეასრულა ქართული ენის ნორმალიზაციის საქმეში და რუსთაველის შემოქმედების პოპულარიზაციაში...

### **რამაზ ქურდაძე:**

თქვენ ზედმინევენით ჩამოთვალეთ ყველა ის დარგი, რომელთა განვითარებაშიც ბატონ აკაკის დიდი წვლილი აქვს შეტანილი. მას აქვს შრომები არმენოლოგიაშიც, ალბანოლოგიაშიც. ალბანელები ქრისტიანული რელიგიის მიმდევარი ხალხი იყო, რომელიც კავკასიაში ცხოვრობდა, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. მათ საკუთარი ანბანიც ჰქონდათ... ალბანოლოგიის განვითარებაშიც დიდია ბატონი აკაკის როლი.

### **ჟურნალისტი:**

ქართული ენის გრამატიკა, ენის რეფორმა, ენის კულტურა – უმნიშვნელოვანესია...

### **რამაზ ქურდაძე:**

რასაკვირველია, „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ – ეს არის აკაკი შანიძის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი. ბატონმა აკაკიმ პეტერბურგში დაასრულა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. თავისი სპეციალობით, დიპლომის მიხედვით, აკაკი შანიძე იყო არაბისტი, არაბული ენის სპეციალისტი. აკაკი შანიძის უმნიშვნელოვანესი ნაშრომები ქართველოლოგიასა და სხვა დარგებში თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ შეიქმნა.

### **ჟურნალისტი:**

ძალიან იკვებება უნივერსიტეტის ისტორია აკაკი შანიძის ბიოგრაფიასთან. იმ პერიოდში აკაკი შანიძე პეტერბურგში იყო, როდესაც უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით შეკრებილან... საინტერესოა ის შეკრება...

### **რამაზ ქურდაძე:**

დიახ, მოგახსენებთ შეკრებასთან დაკავშირებით. მე მქონდა ბედნიერება, რომ ამ საკითხზე საუბარი მომესმინა პირადად ბატონი აკაკისაგან. 1985 წლის ოქტომბრის ბოლოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ნიკო მარის ას ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე და ამ იუბილეზე ბატონმა აკაკიმ წარმოთქვა სიტყვა. იგი ამ დროს 98 წლის გახლდათ. ჩემთვის ეს იყო ძალიან დიდი ბედნიერება, იმიტომ რომ მე ვხედავდი ადამიანს, რომლის მოსწავლეებიც ჩემი მოსწავლეები იყვნენ და რომელიც ქართული ფილოლოგიის ბერძენი იყო. ეს ღონისძიება უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა. ესწრებოდნენ ცნობილი მეცნიერები: სერგი ჯიქია, ქეთევან ლომთათიძე, თამაზ გამყრელიძე; იუბილეს ესწრებოდა ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, ოსური ენის სპეციალისტი ვასილ აბაევი, რომელიც იმჟამად საქართველოს სტუმრობდა და რომელიც ნიკო მარის მოსწავლე იყო ისევე, როგორც აკაკი შანიძე. აი, ამ იუბილეზე ბატონმა აკაკი შანიძემ გაიხსენა პეტერბურგში, ნიკო მარის ბინაში, შეკრება, რომელიც უნივერსიტეტის დაარსებას ეხებოდა. ბატონი აკაკი შემდეგ უნივერსიტეტის საკითხთან დაკავშირებით ნიკო მარს დაუპირისპირდა.

### **ჟურნალისტი:**

ბატონო რამაზ, მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო. რატომ იყო წინააღმდეგი ნიკო მარი? საინტერესოა, რა იყო ნიკო მარის არგუმენტები?

### **რამაზ ქურდაძე:**

დიახ, ნიკო მარი დიდი მეცნიერი იყო – დედით ქართველი, საქართველოდან, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი.

### **ჟურნალისტი:**

დიახ, ქუთაისის გიმნაზიადამთავრებული, როგორც აკაკი შანიძე.

### **რამაზ ქურდაძე:**

ნიკო მარს უმნიშვნელოვანესი შრომები აქვს ქართულ და სომხურ ფილოლოგიაში, თუმცა ნიკო მარი თვლიდა, რომ თბილისში უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიის უნივერსიტეტი; ეს იყო მისი აზრი. ამიერკავკასიის უნივერსიტეტი ვერ იქნებოდა ქართულენოვანი უნივერსიტეტი (ჟურნალისტი: ბუნებრივია), ეს იქნებოდა უნივერსიტეტი მთელი ამიერკავკასიისათვის. აქ შემოვიდოდა ჩვენი მეზობელი ქვეყნებიც: სომხეთი, აზერბაიჯანი. ჩვენ არ ვიცით, რამდენად ექნებოდათ სურვილი სომხებსა და აზერბაიჯანელებს, ჩვენთან ჰქონოდათ უნივერსიტეტი. ეს ცალკე თემა გახლავთ.

ბატონმა აკაკიმ ნიკო მარის იუბილეზე ისე დელიკატურად გაიხსენა ეს ისტორია, რომ მის მასწავლებელს ჩრდილი არ მისდგომია; გაიხსენა, როგორც ისტორიული ფაქტი. ბატონმა აკაკიმ თქვა, დააკვირდით, რა დროა: 1917 წელიაო, 20 ოქტომბერი. ჩვენო, აქ ჩავსხედით მატარებელში და ბაქოს გავლით ჩავედით პეტერბურგშიო. იქ რომ ჩავედით, უკვე 25 ოქტომბერიო, ჩვიდმეტი წლის 25 ოქტომბერი და, მე რომ ჩავჯექი ეტლშიო, „იზოშჩიკმა“ მითხრა: „У нас все в порядке, Ульянов в главе“; აქ ბატონი აკაკი შეჩერდა და შემდეგ თქვა, მაშინ მივხვდი, რომ ჩვენი უნივერსიტეტის გახსნას ხელი აღარ შეეშლებოდაო. ეს თქვა ბატონმა აკაკიმ 1985 წელს, მაშინ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი იყო და ვილაცას შეიძლება ჰგონებოდა, რომ, აი, ბატონი აკაკი ერთგვარ მამებელ ფრაზას ამბობს მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მიმართო. უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი აკაკი არ ყოფილა კომუნისტური პარტიის წევრი. რაც შეეხება ამ ნათქვამს, ეს სხვანაირად უნდა გავიგოთ. საქმე ის არის, რომ იქ ისეთი არეულობა იყო: იმპერატორი გადადგა, დროებითი მთავრობა შეიქმნა, შემდეგ დროებითი მთავრობა დაამხეს, ახლა ულიანოვია სათავეში, ვილას ეცლებოდა ასეთ ვითარებაში თბილისში უნივერსიტეტის გახსნა-არგახსნისათვის.

მასასადამე, ჩასულან 25 ოქტომბერს პეტერბურგში, როგორც ვთქვით, და იმავე საღამოს შეკრებილან ნიკო მარის ბინაში. – ბევრი ვისაუბრეთო და ეს წინააღმდეგობა უკვე იყოო, – იხსენებდა ბატონი აკაკი. არ დაუთმეს, რა თქმა უნდა, მოსწავლეებმა ნიკო მარს, გაიმარჯვა ივანე ჯავახიშვილის იდეამ და თბილისში 1918 წელს დაარსდა ქართული უნივერსიტეტი. შემდეგ ნიკო მარმა მოინდომა უნივერსიტეტის რექტორობა. მოუნდომებია, ჩამოსულა კიდევ და მისი

მოსწავლეები ბატონ აკაკისთან ერთად ჩაცვივდნენ ძალიან მძიმე დღეში, რადგან მასწავლებელს უნდა უთხრან უარი ასეთ თანამდებობაზე. როგორც გადმოგვცემენ, იოსებ გრიშაშვილმა იხსნა ეს ხალხი დიდი უხერხულობისაგან; მას მიუმართავს ნიკო მარისათვის, რომ, თუ ვინმეს ეკუთვნის ახალგაზსნილ, პირველად გახსნილ ქართულ უნივერსიტეტში რექტორობა, ეს თქვენ უნდა იყოთო, მაგრამ, თუ ვინმეს უარი უნდა ეთქვას, სამწუხაროდ, ესეც თქვენ ხართო.

როგორც მოგახსენეთ, ბატონი აკაკი ძალიან დიდ პატივს სცემდა თავის მასწავლებელს და, როდესაც ამ შეკრების ამბები გაიხსენა, იქვე აღნიშნა, რომ ნიკო მარი დიდი მეცნიერი იყო, რომ მას განსაკუთრებული ღვაწლი აქვს ქართულ და სომხურ ფილოლოგიაში, უამრავი ეტიმოლოგია აქვს ახსნილი. ამის საილუსტრაციოდ ბატონმა აკაკიმ მოიყვანა სიტყვა „ჭეშმარიტი“ ეტიმოლოგია და აღნიშნა, რომ ამისი ახსნაც ნიკო მარს ეკუთვნისო – „ჭეშმარიტი“ ნიშნავს თვალით ნანახს, „ჩაშმარიტი“ სპარსული კომპოზიცია.

გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მაშინვე დაარსდა ქართული ენის კათედრა, რომლის ხელმძღვანელი, პირველი გამგე გახლდათ იოსებ ყიფშიძე. არაჩვეულებრივი ახალგაზრდა მეცნიერი, მაგრამ, სამწუხაროდ, იოსებ ყიფშიძე მალე გარდაიცვალა და ამის შემდეგ ქართული ენის კათედრას სათავეში ჩაუდგა აკაკი შანიძე. ის, როგორც გითხარით, არაბულის სპეციალისტი იყო, მაგრამ აკაკი შანიძემ 1920 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა პირველი სადოქტორო დისერტაცია. ეს იყო „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელშიც, ფაქტობრივად, ქართულის, მაშინდელი სალიტერატურო ენისა, და ყველა დიალექტის მონაცემია გათვალისწინებული. გათვალისწინებულია ძველი ქართულის მონაცემებიც და, აი, აქედან აკაკი შანიძე შეუდგა იმ დიდი ფუნდამენტური ნაშრომის შექმნას, რომელსაც „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ ჰქვია, მაგრამ, ამასთან ერთად, ის უამრავ სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში იყო ჩართული.

### **ჟურნალისტი:**

ამ დროს არ უნდა დავივიწყოთ, რა პერიოდში მიმდინარეობდა ეს საქმიანობა. საბჭოთა პერიოდი, წნეხი; როგორ ხდებოდა ამ ყველაფრის თავიდან აცილება? ძნელია, ასეთ დროს შეინარჩუნო თვითმყოფადობა და ქართული ენის შესწავლა მაღალ სამეცნიერო დონეზე აიყვანო... რაღაცა ექსკურსიც რომ გავაკეთოთ ამის შესახებ, ბატონო რამაზ, მოკლედ.

### **რამაზ ქურდაძე:**

ეს ურთულესი პერიოდი იყო – ოცდაერთი წელი, 25 თებერვალი. ერთი მხრივ, ქვეყნის პოლიტიკური ტრაგედია, მეორე მხრივ, მაშინდელი ახალგაზრდების ტრაგედია: იუნკრები განყდნენ ბრძოლის ველზე... მარო მაცაშვილი... და სხვები; ჩვენ დღეს ამ ამბებს ვეცნობით, როგორც ისტორიულ ფაქტებს და გული გვტკივა, მაგრამ წარმოიდგინეთ, მაშინ რამხელა ფსიქოლოგიური სტრესი იქნებოდა ყველასთვის, მაშინდელი ქართველობისათვის. არც მომდევნო წლები

იყო სახარბიელო, მაგრამ, იცით, აკაკი შანიძე მუდმივად რუდუნებით აკეთებდა თავის საქმეს; აკაკი ძალიან დიდი იყო, ალბათ ისინიც ხვდებოდნენ ამას და რალაცნაირად შეიძლება ერიდებოდნენ კიდეც, მაგრამ, რა თქმა უნდა, დაზღვეული მაშინ არავინ იყო. 1937 წლის ტრაგედია ძალიან ბევრს შეეხო თავისი „მსახვრალი ხელით“, საბედნიეროდ, აკაკი შანიძე გადაარჩა.

### **ჟურნალისტი:**

ბატონო რამაზ, ჩვენ ვსაუბრობდით მის მრავალფეროვან და მრავალმხრივ სამეცნიერო შრომებზე და გვინდა ჩვენს მსმენელს მივანოდოთ ინფორმაცია აკაკი შანიძის ოდნავ განსხვავებულ საქმიანობაზე: აკაკი შანიძე და პოეზია.

### **რამაზ ქურდაძე:**

აკაკი შანიძეს ქართული პოეზია ძალიან უყვარდა, განსაკუთრებით მთის პოეზია. თვითონ იყო კაფიების, დიალექტური მასალის შემკრები. მის ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში „ქართული კილოები მთაში“ მთის პოეზიის არაჩვეულებრივი ნიმუშებია შეტანილი. ამ ნაშრომს ერთვის ასევე შესანიშნავი ლექსიკონი, შედგენილი აკაკი შანიძის მიერ. თავად ბატონი აკაკი ჰიმნის ავტორიც გახლავთ, მას კაფიის სტილში სალალობო, სახუმარო ლექსებიც გამოუთქვამს. ერთ-ერთი ასეთია ახალგაზრდობაში დაწერილი ორსტროფიანი ლექსი. სტუდენტობისას მასთან პეტერბურგში ჩასულა კონსტანტინე გამსახურდია. ბატონი კონსტანტინე 6 წლით იყო უმცროსი ბატონ აკაკიზე და მისთვის უკითხავს რჩევა, როგორც უფროსისთვის და როგორც უკვე პეტერბურგში ნამყოფი სტუდენტისათვის, რომ გერმანულის სწავლა მინდა და სად მივჩევო... აკაკის უთქვამს, რომ კენიგსბერგში წადიო. თვითონ აკაკი შანიძემაც იქ ისწავლა გერმანული. წავიდა კონსტანტინე გამსახურდია კენიგსბერგში, მერე იქედან წავიდა გერმანიის სხვა ქალაქში, მერე კიდეც სხვა ქალაქში და ძალიან დიდი განათლება მიიღო ფილოსოფიის განხრით. იქიდან ერთხელ მოუწერია წერილი თავისი მეგობრისათვის, აკაკი შანიძისათვის, პეტერბურგში; წერილი მთავრდებოდა ასე, „მომიკითხე ჩემი სატრფო დუნდუას ქალი მარო“. ბატონ აკაკის არ სცოდნია, ვინ არის „დუნდუას ქალი მარო“, ვერც იპოვა და მიუწერია პასუხი ლექსად:

„მოვიკითხო? რომ არ ვიცნობ?!  
დუნდუას ქალს, მაგ შენს მაროს;  
ღმერთმა ტკბილად შეგაბეროთ  
და კეთილად მოგახმაროს.  
შენ მანდ იყო, ეგ კი აქა,  
ვაი, თუ ვინმე დაემუშტრა,  
ეს ბუნების კანონია,  
ამას ამბობს ზარათუშტრა“.

### **ჟურნალისტი:**

პიროვნული ხიბლიც ვახსენეთ და გვინდა, რომ ამაზეც ვისაუბროთ.



### **რამაზ ქურდაძე:**

ადამიანის პიროვნული ხიბლი კარგად ჩანს ახლო, ყოველდღიურ ურთიერთობაში. მე, პირადად, ორჯერ მყავს ნანახი ბატონი აკაკი შანიძე, მისი საუბარიც ორჯერ მაქვს მოსმენილი და, რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნო მოგონებად დამრჩა. ჩვენი მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ მისი მოსწავლეები იყვნენ და, ბუნებრივია, ხშირად ნახულობდნენ მას, გადმოგვცემენ, რომ არაჩვეულებრივი ხიბლის მქონე ადამიანი ყოფილა ბატონი აკაკი. ჩვენმა მასწავლებლებმა მოიტანეს მოგონებები აკაკი შანიძეზე და მისი ნაღვანი ჩვენამდე, ჩვენი ვალია, რომ მოვუაროთ მას და გადავცეთ ჩვენს მოსწავლეებს. მის ნაშრომებს, განსაკუთრებით „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებს“, რომ კითხულობს ადამიანი, რწმუნდება, თუ რამდენად დიდია, რამდენად ლალი ბუნებისაა, რამდენად არაჩვეულებრივად რაფინირებული, დიდი განათლების მქონეა მისი ავტორი. ეს ნაშრომი ფართოდ არის აღიარებული. ამ ერთ წიგნშიც კარგად ჩანს ბრწყინვალე ენათმეცნიერი, სტრუქტურალისტი. სტრუქტურალიზმი, როგორც ენათმეცნიერების ახალი მიმართულება, თავისი განშტოებებით ვითარდებოდა ევროპასა და ამერიკაში, აკაკი შანიძემ საქართველოში ქართული ენის სტრუქტურა აღწერა ისე ზედმიწევნით, რომ საერთაშორისო დონის აღიარება მოიპოვა.

### **ჟურნალისტი:**

ბატონო რამაზ, მოდით, ექსპედიციებსაც შევეხოთ, იმიტომ რომ ბატონი აკაკი 1920 წლიდან იყო ჩართული ექსპედიციებში, მათგან ალბათ განსაკუთრებულია იერუსალიმის ექსპედიცია...

### **რამაზ ქურდაძე:**

ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპედიცია ალბათ, სწორედ ეს, თქვენ რომ ბრძანეთ, იერუსალიმის ექსპედიცია გახლდათ. იქ ირაკლი აბაშიძე, გიორგი წერეთელი და აკაკი შანიძე იყვნენ 1960 წელს. სხვათა შორის, ესეც ჩემი მასწავლებლებისაგან გამიგონია: აკაკი შანიძე მეცნიერი კაცი გახლდათ, წესრიგის მიმდევარი. ასეთივე მეცნიერი იყო გიორგი წერეთელიც, მაგრამ იქ იყო ირაკლი აბაშიძე, პოეტი კაცი (თქვენ, რა თქმა უნდა, გახსოვთ მისი ლექსი „ხმა კატამონთან“: „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ. . .“, რომელიც ამ დროს დაწერა). ირაკლი აბაშიძის იქ ყოფნამ ბევრი რამ განაპირობა. როდესაც რაღაც დროს, ბერები ეუბნებოდნენ, იქ შესვლა არ შეიძლება და ა. შ., ირაკლი აბაშიძე ასერხებდა, რომ იქ, სადაც რაღაც მომენტში აკრძალული იყო შესვლა, მაინც შესულიყვნენ. წარმოიდგინეთ, სამი ასეთი დიდი ადამიანი, სამი აკადემიკოსი, განა ხშირად ჩადიოდა მაშინ იქ?! დღეს გაადვილებულია მისვლა-მოსვლა, მაგრამ მაშინ ასე არ იყო და ბატონი ირაკლი ცდილობდა ყველაფერი მოესწროთ, რისი მოსწრებაც შეიძლებოდა. მოკლედ, ირაკლი აბაშიძემ ბევრი რამე გააკეთა იქ. მიაკვლიეს რუსთაველის ფრესკას. დღეს სწორედ ამ ადამიანების წყალობით ვიცით ეს ფრესკა, რომელიც ჩვენი დიდი ეროვნული სიმდიდრეა. ასე რომ, აკაკი შანიძე ყოველთვის და ყველგან ქართულ საქმეს აკეთებდა: საქართველოშიც, საქართველოს ფარგლებს გარეთაც, ექსპედიციებშიც და ამიტომაც არის მისი ღვაწლი განუზომელი. თვითონ დიდი რუსთაველოლოგიც იყო, რუსთაველის ენის სპეციალისტი.

თქვენც ბრძანეთ, რომ ამ გადაცემაში ძნელია მოასწრო ყველაფერი, მაგრამ ერთი რამ მინდა დავამატო. დღეს ჩვენ ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ბატონი აკაკის ღირსეული მემკვიდრე, ქალბატონი მზექალა, რომელსაც ახლახან შეუსრულდა 93 წელი, მხნედ არის და ამას წინათ წაიკითხა უნივერსიტეტში წლის პირველი საჯარო ლექცია. დღესაც ქალბატონი მზექალა აპირებს, რომ წაიკითხოს მოხსენება, რომლის სათაურია: „ერთი მხატვრული სახე დავითის ისტორიკოსის ტექსტში და მისი პარალელები“.

ვუსურვოთ ქალბატონ მზექალას ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე – მამისივით დღეგრძელი ყოფილიყო! ბატონი აკაკის სახელი კი მარად დაუვინყარი იქნება ქართველი ხალხისათვის.

### **ჟურნალისტი:**

ძალიან დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის. მე მგონია, რომ ჩვენ კიდევ ერთი გადაცემა უნდა მოვამზადოთ ამის შესახებ და, რაც ყველაზე საინტერესო იყო, თქვენ დაგვანახეთ აკაკი შანიძე ოდნავ განსხვავებული სახით. დიდი მადლობა, ბატონო რამაზ, ამისათვის.

### **რამაზ ქურდაძე:**

მადლობა მინდა გითხრათ მონვევისათვის. მე მგონია, რომ ბევრი რამ ვერ ვთქვი, ბატონ აკაკის უფრო მეტი ეკუთვნის, მისი ღვაწლი უფრო მეტად უნდა წარმოჩნდეს. რა თქმა უნდა, ძნელია ეს ერთი პატარა გადაცემის ფარგლებში ჩაატოს ადამიანმა, იმიტომ რომ მისი ღვაწლი განუზომელია.

**შოთა პაპავა**

## **აკაკი შანიძე – 130 „კეთილად განმგებელი მოღუანც“**

მეცნიერის დაბადებიდან 130-ე წლისთავზე მისი მშობლიური მხარის მკვიდრთ სხვადასხვა დროს გამოცემულ საიუბილეო კრებულებში მრავალგზის თქმულს აღარ შევახსენებთ. „სამტრედიის მაცნის“ მკითხველი ამჯერად ყველაზე უმცდარ მთხრობელს დაუგდებს ყურს. მამის შესახებ გაზეთის ფურცლიდან საუბარი (განსაკუთრებით ნოღელებთან) პირადი სურვილიც გახლდათ ქალბატონი მზექალა შანიძისა:

„დღეს, როდესაც უკვე 30 წელი გავიდა აკაკი შანიძის გარდაცვალების შემდეგ, თითქმის აღარ არიან დარჩენილნი მის გარშემო მყოფი და უშუალოდ მასთან საქმიანობითა და ცხოვრებით დაკავშირებული ადამიანები. ამიტომ შეიძლება, მნიშვნელობას მოკლებული არ იყოს ზოგიერთი დეტალის გახსენება მისი ცხოვრებიდან.“





ერთი დიდი ნიჭი, რომელიც გაჭირვებული გლეხის ოჯახში დაბადებულ ბიჭს დაჰყვა და რომელიც სიკვდილამდე შეინარჩუნა, იყო ნიჭი შრომისა. შრომის გარეშე მას თავისი ცხოვრება, ალბათ, არც ჰქონდა წარმოდგენილი. სათოხარსა და ფიჩხის ქრაში დაიწყო მან შრომა და ას წელს მიღწეული განაგრძობდა მუშაობას ურთულეს მეცნიერულ საკითხებზე. ყველგან და ყოველთვის საქმეს საძირეში ჩაჰყვებოდა და არც ერთ წვრილმანს უგულისყუროდ არ დატოვებდა. შავი სამუშაო: მასალის მოგროვება, ამონერა, ექსპედიციაში ახლის მოკვლევა, დამუშავება, კორექტურის წაკითხვაც კი – ყველაფერი მნიშვნელოვანი იყო მისთვის, ყველაფერს თვითონ აკეთებდა და სხვას მხოლოდ საკუთარი თავის შესამონებლად თუ დაავალებდა რამეს. ასაკმა ვერ შეუშალა ხელი – ბოლომდე შერჩა შრომის სიყვარული და შინაგანი მოთხოვნილება.

მახსოვს ასეთი ამბავი. უკვე ოთხმოცი წლისას თვალზე ოპერაცია დასჭირდა. მაშინ კატარაქტის მოცილება უფრო რთული იყო, ვიდრე დღეს; საჭირო იყო სამი დღე გაუნძრევლად წოლა და ექიმები შიშობდნენ, რომ ხანშიშესული კაცი ამას ვერ გადაიტანდა. როდესაც ეს მიზეზი გაუმხილეს მამაჩემს, მან გაჯავრებით თქვა: მოვკვდები? მოვკვდები, რა მოხდა მერე? აბა საქონელი ხომ არ ვარ, ბაგაზე დაბმულმა უქმად ვჭამოო. ეს ხუმრობით ნათქვამი არ ყოფილა. ეს იყო მისი შინაგანი მრწამსის გამოხატულება. საქმის სიყვარული უკარნახებდა აკაკი შანიძეს ამ მიზანსწრაფულ მოქმედებას.

1960 წელს, როდესაც იერუსალიმში გაემგზავრა რუსთველის პორტრეტის მისაკვლევად, გიორგი წერეთელთან და ირაკლი აბაშიძესთან ერთად, უკვე 70 წელს გადაცილებული გახლდათ, მისი თანამგზავრები კი მასზე ბევრად ახალგაზრდები იყვნენ. ირაკლი აბაშიძე ჰყვებოდა: ჩვენ გვეშინოდა, ვაითუ ვერ იაროს, ხანშიშესულია, აკაკი კი ჩვენზე წინ-წინ გარბოდაო.

კიდევ ერთი თვისება, სიცოცხლის ბოლომდე რომ ახლდა, სიახლის გრძნობა იყო. დღემდე მიკვირს, როგორ ახერხებდა, როგორ იცლიდა, რომ ფილოლოგიის, ისტორიისა და ენათმეცნიერების დარგში წაუკითხავი არ რჩებოდა არც ერთი ახალი სამეცნიერო შრომა, რომლებიც კი საქართველოში გამოდიოდა. საოცარი მეხსიერება და აღქმის უნარი ამ უზარმაზარ მასალას, ახალგაზრდობიდანვე დაგროვილს, ადვილად ერეოდა.

ერთხელ ერთი სტუმარი გვენვია, ინდოევროპული ენების სპეციალისტი ბალტიისპირეთიდან. საუბარში მამაჩემმა ძველი პრუსიული ენის მონაცემები ახსენა. როცა სტუმარმა გაიკვირვა, ეს საიდან იცითო, მან მშვიდად მიუგო: სტუდენტობისას ხომ ვსწავლობდიო.

მაგონდება, ზაფხულში გადააწყდა ინგლისურ ენაზე ჩერჩილის მემუარების სქელ ტომს, რომელიც აკადემიის ბიბლიოთეკიდან მქონდა წასაკითხად გამოტანილი. ეს ძალიან რთული წიგნია – მასში მოხსენიებულია უამრავი მოვლენა, ისტორიული ამბები, დასახელებულია მრავალი პოლიტიკოსი თუ სხვა პირი. მამაჩემმა ჩვეული კონცენტრირებული ყურადღებით წაიკითხა წიგნი და რომ ჩაათავა, კმაყოფილებით თქვა, რამდენი რამე ვისწავლეო.

დასვენებისა და გართობისთვის აგრერიგად არ ეცალა, თუმცა სტუმარი უყვარდა და ყოველთვის გულლიად ხვდებოდა. ბოლო ხანებში, როდესაც ჟურ-

ნალ-გაზეთის კორესპონდენტები კითხვას აძლევენ, თავისუფალ დროს რას აკეთებთ? უპასუხებდა: თავისუფალი დრო მე არასოდეს მქონიაო. ფუჭად გატარებულ დროს გულისხმობდა, რასაკვირველია. ჭადრაკი უყვარდა, კარგადაც თამაშობდა. რამდენჯერმე ნონა გაფრინდაშვილთანაც ჰქონია შინაური შეჯიბრება და, მგონი, არც ჩვენი სახელოვანი მსოფლიო ჩემპიონი დარჩენილა უკამყოფილო მისი მოწინააღმდეგის საჭადრაკო ტალანტით.

ასი წლის იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვაში თქვა, ხუთიოდე წელი კიდევ მინდა, რომ დაწყებული სამუშაოები დავამთავროო. ეს სხვაგანაც და სხვა დროსაც უთქვამს, მაგრამ მგონია, რომ აქ კი ცდებოდა. რამდენიც უნდა ეცოცხლა, ყოველთვის ექნებოდა რალაც გასაკეთებელი. ერთ რამეს რომ ამთავრებდა, უკვე შინაგანად მზად იყო შემდეგზე მუშაობის დასაწყებად. ამიტომ არის, აკაკი შანიძის ნაშრომთა რაოდენობა ასეულებში გადადის და მეცნიერების სხვადასხვა დარგს მოიცავს: აქ არის ძველი და ახალი ქართული ენა, ტექსტოლოგია, ლექსი-კოგრაფია, პალეოგრაფია, ქართული დიალექტოლოგია, ფოლკლორი, რუსთველოლოგია, ქართველური ენები: მეგრული, სვანური, ლაზური, არმენისტიკა, ალბანოლოგია – მას ყველაფერზე მიუწვდებოდა ხელი, ყველგან თქვა თავისი სიტყვა და ქართველოლოგიის მრავალ დარგში მისი ნაშრომები კვლავ რჩება მომავალი კვლევის საფუძვლად.“

24 თებერვალს აკადემიკოს აკაკი შანიძის საიუბილეოდ ექსპოზიცია მოეწყო იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში. გამოფენაზე, რომელიც თეა წულუკიანმა მზექალა შანიძესთან ერთად საზეიმოდ გახსნა და რომელსაც საქართველოს მთავრობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერებათა აკადემიის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო ინსტიტუტების წარმომადგენლები, ასევე, სასწავლო დაწესებულებების სტუდენტები და მოსწავლეები ესწრებოდნენ, წარმოდგენილი იყო ეროვნული არქივის სხვადასხვა ფონდში (მათ შორის, აკაკი შანიძის პირად ფონდში) დაცული ფოტოები, წერილობითი დოკუმენტები, ხელნაწერები, აუდიო და კინომასალა.

„გამოფენა მიზნად ისახავს, დამთვალიერებელს წარუდგინოს ენათმეცნიერის ცხოვრების, მოღვაწეობის ამსახველი მნიშვნელოვანი ეტაპები; კიდევ ერთხელ წარმოაჩინოს ის წვლილი, რომელიც მას მიუძღვის საქართველოში არაერთი სამეცნიერო მიმართულების განვითარებაში. შევეცადეთ, ჩვენი სამინისტროს სახელით ერთი აგური დაგვედო აკაკი შანიძის საიუბილეო წელს“, – დასძინა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

„გულწრფელად გეტყვით, მე ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია ეს გამოფენა, – საუბარს განვაგრძობთ ქალბატონ მზექალასთან, – იმიტომ, რომ აქ ზედმიწევნით კარგად გამოჩნდა მამაჩემის მუშაობის აქამდე სამზეოზე ნაკლებად გამოტანილი მხარე, როგორი გულისყურით, რუდუნებით, თავდადებით ეკიდებოდა იგი საქმეს, არ იშურებდა დროს, ენერგიას. მოგეხსენებათ, ყველა იცნობს აკაკი შანიძეს, როგორც მეცნიერს, მის წიგნებზე აღიზარდა ბევრი თაობა, თუმცა ერთია მეცნიერი, რომელიც მხოლოდ კვლევითი შრომითაა დაკავებული, ხოლო სხვაა მეცნიერული საქმის ორგანიზატორი, „კეთილად განმგებელი მოლუანც“. ეს უკა-



ნასკნელი სწორედ საარქივო დოკუმენტებმა წარმოაჩინა. საექსპედიციო დღიურები, სამგზავრო ჩანაწერები, დიალექტური ტექსტები, ეპიგრაფიკული მასალა – ვფიქრობ, სპეციალისტი მეცნიერების უშუალო მონაწილეობით რამდენიმე წელიც კი დასჭირდება არქივში დაცული მეტისმეტად საყურადღებო ამ დოკუმენტების სათანადოდ შესწავლას.“

საქართველოს ეროვნულ არქივში დანყებული საიუბილეო დღეები 27-28 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაგრძელდა. ოჯახის წევრებმა, კოლეგებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა ჯერ ყვავილებით შეამკეს უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის საფლავი, შემდეგ კი გადაინაცვლეს თსუ-ს მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გამართულ გამოფენაზე, რომელიც ფოტოდოკუმენტური მასალისა და მემორიალური ნივთების ექსპონირებით მოამზადა ისტორიის დოქტორმა ალექსანდრე მარუაშვილმა. შეკრებილთ სიტყვით თსუ-ს რექტორმა გიორგი შარვაშიძემ მიმართა: „აკაკი შანიძემ, რომელმაც ასი წელი იცოცხლა, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ქართული უნივერსიტეტისა და ქართული მეცნიერების განვითარებას მოახმარა. იგი უაღრესად მრავალმხრივი და ნაყოფიერი მკვლევარი იყო. არ დარჩენილა ქართველური ენათმეცნიერების დარგი, რომელშიც მას ფუძემდებლური ნაშრომები არ შეექმნას. სამართლიანად წერდა ამერიკელი ქართველოლოგი ჰოვარდ არონსონი: „ძალიან ცოტა მეცნიერს – და კიდევ უფრო ცოტა ენათმეცნიერს – შეუსრულებია ისეთი დიდი როლი თავისი ქვეყნის ისტორიაში, როგორც აკაკი შანიძემ შეასრულა“.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მეცნიერის შრომებისა და პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი სტატიების გამოფენით შეუერთდა საიუბილეო ღონისძიებებს.

მრავალფეროვანი გახლდათ აკაკი შანიძის დაბადებიდან 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა. კონფერენცია მოამზადა საორგანიზაციო კომიტეტმა: აკადემიკოსი მზექალა შანიძე, პროფესორები დარეჯან თვალთვაძე, რამაზ ქურდაძე, ნანა გაფრინდაშვილი, ასოცირებული პროფესორი მაია ლომია. სხვადასხვა სხდომაზე მოხსენებებით წარსდგნენ: თამაზ გამყრელიძე, მზექალა შანიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, დამანა მელიქიშვილი, ქეთევან ასათიანი, დარეჯან თვალთვაძე, რამაზ ქურდაძე, სალომე ოშიაძე, რუსუდან ზექალაშვილი, მაია ლომია, ქეთევან მარგიანი, ნანა ლოლაძე, ნინო შარაშენიძე, მარიკა ჯიქია, მერი ნიკოლაიშვილი, მარინე ივანიშვილი, მაკა თეთრაძე, ნინო დობორჯგინიძე, ნინო ჭუმბურიძე, მარინე ბერიძე, ლია ქაროსანიძე და სხვები. მუშაობდა სტუდენტური სექცია. თსუ-ს სტუდენტებმა მოხსენებათა შემდეგ ლაზეთსა და სვანეთში ჩატარებული სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიში წარადგინეს. სოფია შამუგია, ნინო ქებურია, გიორგი ჯღარკავა, სოფიო ბერულავა, სალომე გეგეჭკორი, მარიამ მამფორია და ნინო ყოჩიშვილი ასოცირებულ პროფესორ მაია ლომიას ხელმძღვანელობით ლაზეთში იყვნენ; გიორგი ჯღარკავა, მარიამ აბესაძე, ნათია ბოტკოველი, ელენე ლურსმანაშვილი, ლიკა შონია და მზისადარ ჯოჯუა კი ასოცირებულ პროფესორ ქეთევან მარგიანის ხელმძღვანელობით – სვანეთში.

სამეცნიერო კონფერენციას ესწრებოდნენ უცხოელი ქართველოლოგები: ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორი, თსუ-ს საპატიო დოქტორი იოსტ გიპერტი და ტოკიოს უცხო ენათა უნივერსიტეტის ასოცირებული მეცნიერ-მკვლევარი იასუჰირო კოჯიმა. პლენარული სხდომის ბოლოს თსუ-ს ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რამაზ ქურდაძემ, ოლდენბურგის უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორის, თსუ-ს საპატიო დოქტორ ვინფრიდ ბოედერისა და არიელის უნივერსიტეტის პროფესორ რეუვენ ენოხის ადრესები გააცნო აუდიტორიას.

*20 მარტი, 2017 წელი*

## მზექალა შანიძე ექსპედიციის მნიშვნელობაზე

„ქართველური ენების შესწავლა უნივერსიტეტის დაარსებისთანავე იყო მისი დამაარსებლების ყურადღების ცენტრში. უკვე 1920 წელს, აი, მაშინ, როდესაც ამდენი გაჭირვება, სიძნელე ჰქონდათ უნივერსიტეტში, აკაკი შანიძე პირველ ექსპედიციაში, სამეგრელოსა და სვანეთში, უშუალოდ ივანე ჯავახიშვილის დავალებით გაემგზავრა. არსებობს წერილები, რომლებშიაც ის ივანე ჯავახიშვილს სწერს იმ სირთულეების შესახებ, რომლებიც მას შეხვდა. ამის შემდეგ ამდენი წელიწადი გავიდა და, მეცნიერების განვითარებასთან ერთად, ეს ქართველოლოგიური მუშაობა უნივერსიტეტში და იმ სამეცნიერო დაწესებულებებში, რომლებიც უნივერსიტეტის საფუძველზე წარმოიშვნენ, გრძელდება. ძალიან ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ რამდენიც უნდა იყოს გაკეთებული, ენის შესწავლის თვალსაზრისით დასასრული სამუშაოს არასოდეს არ შეიძლება ჰქონდეს; იმიტომ რომ ენა არის ცოცხალი, ენა ვითარდება, ენაში რაღაც ცვლილებები ხდება და ენას ამავე დროს საფროთხეც ემუქრება“.

*15 აპრილი, 2015 წელი  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## სტუდენტთა ლინგვისტური ექსპედიცია - 2018: ინტერვიუ მაია ლომიასთან

მოგესალმებით, მეგობრებო. მე ნიკა ლაშხია ვარ, საავტორო გადაცემა „თეზისის“ წამყვანი. დღეს გვყავს ძალიან საინტერესო სტუმარი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, სტუდენტური ექსპედიციის ხელმძღვანელი ქალბატონი **მაია ლომია** და ვისაუბრებთ **სტუდენტთა ლინგვისტური ექსპედიციის** შესახებ.

### ჟურნალისტი:

რას ითვალისწინებს ეს ექსპედიცია? ყველაფერზე შეგიძლიათ მოგვითხროთ ჩვენ და მაყურებელს.

### მაია ლომია:

მივესალმები თქვენს მაყურებელს, მადლობას გიხდით მონვევისთვის და საუბარს დავინყებ ცოტა შორიდან: ქართველური ენები ქართველი კაცის ენობრივი მსოფლხედვის გამომხატველია, ამავდროულად, ენობრივი მრავალფეროვნების გამომხატველიც არის, რაც გახლავთ ჩვენი საუნჯე, ჩვენი სიმდიდრე. ამ სიმდიდრეს მოვლა-პატრონობა და დაცვა სჭირდება, რაც, პირველ რიგში, მისი შესწავლით, მეცნიერული კვლევით გამოიხატება. მეცნიერული კვლევისთვის ლინგვისტიკაში საჭიროა ემპირიული მასალა, რაც გულისხმობს ველზე მუშაობას და ტექსტების შეკრებას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველური ენები – ქართულთან ერთად მეგრულ-ლაზური და სვანური ისწავლება მისი დაარსების დღიდან. ამ საგნებს ასწავლიდნენ ისეთი კორიფეები, უნივერსიტეტის დამაარსებლები, ივანე ჯავახიშვილის მოწაფეები და თანამოაზრეები, როგორებიც იყვნენ: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, შემდგომ უკვე მათი მოწაფეები, პირველი კურსდამთავრებულები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა და სხვები. დღეს ეს მეცნიერული მემკვიდრეობა და, ამავდროულად, პასუხისმგებლობა ჩვენ გვერგო და ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი წინაპრების, ჩვენი სახელოვანი მეცნიერების დანყებულ საქმეს. თსუ-ში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე „ქართული ფილოლოგიის“ მიმართულების ორივე საფეხურზე (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში) ისწავლება ქართველური ენები – ქართულთან ერთად სხვა ქართველური ენები: მეგრულ-ლაზური და სვანური. თსუ-ში მე ვასწავლი მეგრულ-ლაზურს და იგი ძირითადად გათვლილია თეორიულ კურსზე: სტუდენტები გრამატიკულ ნაწილს სწავლობენ, ეცნობიან გრამატიკულ მიმოხილვას, ენობრივ პრობლემებს და აკეთებენ ანალიზს. საგანი ითვალისწინებს სასემინარო მუშაობას და პრაქტიკულ საქმიანობას. სწორედ ამ დროს იღებენ სტუდენტები საბაზისო ცოდნას ძირითადი ლექსიკური ერთეულებისა და მარტივი დიალოგების სახით. თეორიული კურსი რომ დასრულდება, აუცილებელია, სააუდიტორიო მუშაობისას მიღებული თეორიული ცოდნის გაღრმავება და სტუდენტებისთვის ველზე მუშაობის პრინციპების გაცნობა.

მონაცვლეობით დამყავს სტუდენტები ლაზეთში, მათ შორის თურქეთის ლაზეთშიც, და სამეგრელოს სხვადასხვა რაიონში. მიზანი ექსპედიციისა არ გახლავთ მხოლოდ თეორიული ცოდნის გავრცელება; ეს არის იმ ღირსშესანიშნაობების გაცნობაც, რომლებიც არის სამეგრელოსა და ლაზეთში, იმ გარემოს გაცნობა, სადაც იქმნება მეგრული და ლაზური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ამჯერადაც მიზანი ეს არის – ყველაფერი ერთად აღებული და ამაში სტუდენტები დიდი ხალისით ერთვებიან. ველზე მუშაობა არ სრულდება ტექსტების ჩაწერით, ამას აქვს თავისი ეტაპები: გაშიფვრა, ქართული ვერსიის შექმნა, მნიშვნელოვანი ენობრივი მოვლენების, ენობრივი თავისებურებების გამოვლენა, არეალური სხვაობის დადგენა და სხვა. ასე იქმნება საკონფერენციო თემები, რომლებსაც დიდი მონდომებით, დიდი პასუხისმგებლობით ამუშავებენ სტუდენტები; ასევე ამუშავებენ, წარადგენენ საექსპედიციო ანგარიშს სამეცნიერო ელემენტებით (აქცენტებით). ამგვარი მუშაობის შედეგად იკვეთება სადიპლომი ნაშრომების თემატიკაც. ის, რაც სტუდენტს აინტერესებს, რაზეც უფიქრია ამდენი ხნის განმავლობაში, შემდგომ დიდი წარმატებით იქმნება და მუშაობის შედეგიც ნაყოფიერია.

### **ჟურნალისტი:**

საინტერესო იქნება, რა თქმა უნდა, მუშაობა, იმიტომ რომ ბევრ სხვაობას ნახავენ; სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირი მეგრულით საუბრობენ და ეს იქცევს, ცხადია, ყურადღებას. მიხარია, რომ ის ტექსტები, რომლებსაც სტუდენტები ველზე გასვლის დროს იწერენ, უკვალოდ არ იკარგება და ამაზე შემდგომ მიდის მუშაობა. საინტერესოა, ამ ყველაფერს სჭირდება ფინანსები. ვინ აფინანსებს ლინგვისტურ ექსპედიციებს?

### **მაია ლომია:**

მადლიერებით მინდა აღვნიშნო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელმძღვანელობის თანადგომა და მხარდაჭერა. ფაკულტეტი გამოყოფს ექსპედიციისთვის თანხებს მას შემდეგ, რაც ლექტორი წარადგენს დასაბუთებულ პროექტს ხარჯთაღრიცხვითა და შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელის შუამდგომლობით. პროექტი განიხილება ფაკულტეტზე და ფაკულტეტი ყოველთვის ფინანსურ მხარდაჭერას გვიცხადებს. ამით გვეძლევა საშუალება სასწავლო პროცესი ველზე მუშაობით დავასრულოთ და სრულვყოთ აუდიტორიაში მიღებული ცოდნა.

### **ჟურნალისტი:**

ძირითადად რა ტექსტებს იწერენ ხოლმე სტუდენტები ველზე გასვლის დროს სვანეთში, სამეგრელოში, ლაზეთში?

### **მაია ლომია:**

ველზე მუშაობის პრინციპების დაუფლება არ გახლავთ ადვილი. ინფორმატორის მოძიება, მასთან ურთიერთობა საკმაოდ რთული პროცესია და ამისთვის



მზად არიან ჩვენი სტუდენტები. რაც შეეხება თემატიკას, თემატიკა არის დაგეგმილიც და დაუგეგმავიც. ჩვენი ინტერესის საგანია როგორც გაბმული სიუჟეტური მეტყველება, ასევე დარგობრივი ლექსიკური ერთეულები, ხატოვანი გამონათქვამები და სხვა; ინფორმატორები ავსებენ აგრეთვე სპეციალურ კითხვარებს ისეთ უნივერსალურ საკითხებზე, როგორებიცაა: უარყოფის, უნახაობის გამოხატვა, საეჭვოობა-სავარაუდოობა და სხვა. ამგვარი მუშაობის შედეგად შეიძლება არა მარტო მრავალფეროვანი, არამედ უცნობი ემპირიული მასალაც მოვიპოვოთ. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ქრესტომათიული მემკვიდრეობა, განსაკუთრებით მეგრულში, მწირია, მაგრამ ველზე მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბევრი სიტყვა-ფორმა თუ ენობრივი მოვლენა არ არის აღნუსხული. არსებული მემკვიდრეობის შევსება ძალზე მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, საშური საქმეა.

### **ჟურნალისტი:**

რამდენ ხანს რჩებით ერთ ადგილზე? ზუგდიდში რამდენ ხანს იყავით და რა მასალა მიგაქვთ თბილისში? ეს არის ლექსები, რომლებიც შემონახულია, ხალხურს ვგულისხმობ ამ შემთხვევაში, თუ უბრალოდ საუბრებსაც ინერენ სტუდენტები? დიალოგის სახეც აქვს ამ ყველაფერს?

### **მაია ლომია:**

ჩვენ დავბინავდით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ნაწილში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ზუგდიდში უნდა ვიმუშაოთ; დავდივართ მიმდებარე სოფლებშიც და ვინერთ მასალას. როგორც წესი, ექსპედიციის ხანგრძლივობა 8-10 დღეა. მას წინ უძღვის მოსამზადებელი სამუშაოები, რაც ითვალისწინებს საცხოვრებელი ფართის წინასწარ შერჩევას, ინფორმატორების მოძიებას, შეხვედრაზე მათთან შეთანხმებას (ეს პროცესი ადგილზე ყოფნის დროსაც გრძელდება) და სხვა. შემდგომ დასახელებული დრო საკმარისია იმისთვის, რომ მიზანს მივაღწიოთ. ექსპედიციის მასალა ჟანრობრივად მრავალფეროვანია. სტუდენტები ყველაფერს ინერენ, რასაც ინფორმატორები შესთავაზებენ, იქნება ეს ლექსად ნათქვამი, პროზად თუ დიალოგის სახით.

### **ჟურნალისტი:**

სტუდენტები ინდივიდუალურად მუშაობენ კონკრეტულ ინფორმატორთან თუ ჯგუფურად?

### **მაია ლომია:**

შესაძლებელია ჩანერის პროცესს ყველა ესწრებოდეს, ან პირიქით, დანაწილდნენ და ინდივიდუალურად იმუშაონ. ამას განსაზღვრავს სამუშაო გარემო, ვითვალისწინებთ ინფორმატორის სურვილსაც. სტუდენტები მზად არიან ორივე ფორმატისთვის. ინდივიდუალიზმისა და ჯგუფური მუშაობის პრინციპების მონაცვლეობა აუცილებელი და მნიშვნელოვანია.

### **ჟურნალისტი:**

საინტერესოა, რას იტყვით ლაზებთან მუშაობაზე. რამდენად „იხსნებიან“ ისინი?

**მაია ლომია:**

საქართველოში ლაზებით კომპაქტურად დასახლებული ერთი საზღვრის-პირა სოფელია, სარფი. სარფელებთან მუშაობა ძალიან სასიამოვნოა, არ ჭირს კომუნიკაცია, ქართულენოვანები არიან. თურქეთის ლაზეთში საკომუნიკაციოდ თურქულის ცოდნაა საჭირო. მუშაობა მათთანაც სასიამოვნოა, ისინიც ძალზე კომუნიკაბელურები და „გახსნილები“ არიან, ცდილობენ დახმარებას. ექსპედი-ციაში საერთოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მეგზურს. ეს განსაკუთრებით თურქეთ-ში ყოფნისას იგრძნობა. ამ მხრივაც არ გვეთქმის საყვედური. არიან ადამიანები, იქაური ლაზები, რომლებიც ამას უშურველად და დიდი მონდომებით აკეთებენ.

**ჟურნალისტი:**

საინტერესოა, გამოდის თუ არა წიგნი ან კრებული, რომელშიც სტუდენტე-ბის ნამუშევრები ერთობლივად იყრის თავს?

**მაია ლომია:**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტი-ტუტს აქვს პერიოდული გამოცემა სახელწოდებით „ქართველური ენათმეცნი-ერება“. სტუდენტების მიერ ველზე მოძიებული და სათანადოდ დამუშავებული მასალა შესაძლოა ამ კრებულში დაიბეჭდოს. გასულ წელს თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა მისი ერთ-ერთი დამფუძნებლისა და პირველი პროფესორის წევრის აკადემიკოს აკაკი შანიძის დაბადებიდან 130 წლისთავი-სადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. სტუდენტებმა ცალკე გამოყოფილ სექციაში წარადგინეს მოხსენებები, რომლებიც სათანადო დონეზე მომზადების შემდეგ შეიძლება დაიბეჭდოს ხსენებულ კრებულში. ასე რომ, ჩვენს სტუდენტებს ამ მხრივაც აქვთ მოტივაცია. სხვა პასუხისმგებლობაა, სიამაყის სხვაგვარი გან-ცდაა, როცა სტუდენტობის დროს ქმნი ნაშრომს, რომელიც ფართო სამეცნიერო ლინგვისტურ საზოგადოებას მიეწოდება.

**ჟურნალისტი:**

პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, მე არ ვიცოდი, თუ ისწავლებოდა უნივერსი-ტეტში მეგრული, ლაზური, სვანური და ძალიან გამახარა ამ ფაქტმა. საინტერე-სოა, რამდენად გამოხატავენ აბიტურიენტები ინტერესს და თქვენ როგორ უწევთ პოპულარიზაციას იმ ყველაფერს, რასაც აკეთებთ, როგორ მიგაქვთ აბიტურიენ-ტამდე?

**მაია ლომია:**

აბიტურიენტი როცა ხდება სტუდენტი, თსუ-ში სხვადასხვა სემესტრში ირ-ჩევს და ეუფლება მეგრულ-ლაზურისა და სვანურის სასწავლო კურსებს; ანუ ჩვენ შეხება გვაქვს სტუდენტებთან და ვზრუნავთ მათ დაინტერესებაზე. თავიდან პირ-ველკურსელებთან გვაქვს საუბარი იმაზე, რამდენად დიდი როლი შეასრულა ქარ-თველური ენების კვლევამ და სწავლებამ ქართული გრამატიკული აზრის განვი-თარებაზე. აღნიშნული თემა მუშავდება საუნივერსიტეტო საგნის – „შესავალი

ქართულ ფილოლოგიაში“ – ფარგლებში. მე ჩემს კოლეგებთან ერთად ვასწავლი ამ საგანს და უნდა აღვნიშნო, რომ პირველკურსელი სტუდენტები დიდი ინტერესით ეცნობიან ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, იოსებ ყიფშიძის, ვარლამ თოფურიას, არნოლდ ჩიქობავას და სხვათა ლვანლს ამ მიმართულებით. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, ახალგაზრდა თაობასთან ერთად, რა გავაკეთეს მათ, რაზე ვდგავართ ჩვენ, რა გადმოგვეცა მემკვიდრეობით, საით უნდა გავაგრძელოთ სვლა და რას გავაკეთებთ მომავალში. მეორე კურსიდან მეგრულ-ლაზურისა და სვანურის საგნები სავალდებულოა სპეციალობის კომპეტენციის სტუდენტებისთვის. თავისუფალი კრედიტის ფარგლებში კი შეუძლია თსუ-ს ნებისმიერმა სტუდენტმა მოისმინოს. მინდა გითხრათ, რომ ინტერესი ყოველწლიურად იზრდება ამ საგნების მიმართ.

### **ჟურნალისტი:**

დავუბრუნდეთ სამეგრელოს ექსპედიციას. კონკრეტულად რა მოიპოვეთ, რა მასალა მიგაქვთ აქედან?

### **მაია ლომია:**

აქედან მიგვაქვს თემატურად მრავალფეროვანი მასალა; კერძოდ, კონკრეტულ ადამიანთა თავგადასავლები, თქმულებები ქაობის ღმერთებზე, ჭიაკო-კონობის ღამისა და ბატონების მსახურების რიტუალებზე. ენაში საინტერესოდ არის ასახული ადამიანთა დამოკიდებულება გასულიერებულ მითოსურ პერსონაჟებთან. მიგვაქვს სპეციალურად შევსებული კითხვარებიც.

### **ჟურნალისტი:**

ქალბატონო მაია, ძალიან კარგ საქმეს აკეთებთ და მინდა წარმატებები გისურვოთ.

### **მაია ლომია:**

დიდი მადლობა ასეთი ინტერესისა და მონვევისთვის.

### **ჟურნალისტი:**

საინტერესოა ექსპედიციის მონაწილე სტუდენტების აზრიც:

### **ანანო ბაქრაძე:**

ექსპედიცია საერთოდ დიდ გამოცდილებას აძლევს სტუდენტს, რომ სამომავლოდ ველზე მოპოვებული მასალა გამოიყენოს კვლევისთვის. მე პირველად ჩამოვედი სამეგრელოში, თუმცა ჩემთვის, როგორც სტუდენტისთვის, ეს იყო მეორე ექსპედიცია. შარშან ვიმყოფებოდი სვანეთში, კერძოდ, მესტიაში და მოვიპოვე საინტერესო მასალა. აქაც, ზუგდიდში, ამავე პრინციპით ვმუშაობთ; ჩავწერეთ არაერთი ინფორმატორი, მაგალითად, გია ალასანია, მაია გეთია და სხვები. ეს ყველფერი ძალიან საინტერესოა ახალბედა დამწყები მაძიებელი მკვლევარებისთვის.

### **ანა პაპუაშვილი:**

მეორე წელია, რაც ლინგვისტურ ექსპედიციაში ვმონაწილეობ. წინა წელს სვანეთში ვიყავი, წელს ვსწავლობ მეგრულ ენას და ზუგდიდში ჩამოვედი. სხვადასხვა თემაზე ვინერთ ინფორმაციას აქაური მაცხოვრებლებისგან; ვკითხეთ მასპინძელს და გავეცანით სამზარეულოში მეგრული კერძების მომზადების წესებს. თვითონ ექსპედიცია იძლევა მრავალმხრივი ინფორმაციის მიღების საშუალებას; კერძოდ, ეს არის შეხვედრა ინფორმატორებთან, მათი მეტყველების მოსმენა, კოდების შერევის პროცესზე დაკვირვება, ასევე, ღირსშესანიშნაობების გაცნობა. ჩვენ დავათვალიერეთ დადიანების სახლ-მუზეუმი, ოქროს ფონდში დაცული ექსპონატები, სპორტის მუზეუმი და სხვა. ასეთი მუშაობა ჩვენი შემდგომი კვლევებისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი.

6 სექტემბერი, 2018 წელი  
ზუგდიდი

### **ბარბარე მერაბიშვილი**

## **„სვანეთი და სამეგრელო - 2018“ – სტუდენტური ექსპედიციის ანგარიში**

### **(კვლევითი მოტივაცია, რომელსაც უნივერსიტეტი დაარსების დღიდან იძლევა)**

*რა ცვლილებებს განიცდის ენა – ამ კითხვაზე პასუხს თსუ-ელი ახალგაზრდა მკვლევრები გამოცდილ ხელმძღვანელ-მეცნიერებთან ერთად ყოველ წელს აქტიურად ეძებენ, პოულობენ, შემდეგ კი განვლილ გზასა და შედეგებზე აკადემიურ სივრცეში გვიამბობენ. ამ მხრივ გამონაკლისი არც 2018 წელი ყოფილა.*

15 აპრილს თსუ პირველ კორპუსში სტუდენტური ექსპედიციის მასალების პრეზენტაცია გაიმართა. „სვანეთი და სამეგრელო-2018“ – ამ სახელწოდებით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორებმა და „ქართული ფილოლოგიის“ მიმართულების სტუდენტებმა ქართული ენის კვირეულის ფარგლებში აუდიტორიას გასული წლის ექსპედიციის მასალები გააცნეს. „ყოველწლიურად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის ორგანიზებით ტარდება ექსპედიციები სამეგრელოსა და სვანეთში, ასევე იმ რეგიონებში, სადაც ქართული ენის დიალექტების შესწავლაა შესაძლებელი“, – აღნიშნავს ქართული ენის ინსტიტუტის ხელმძღვანელი პროფესორი რამაზ ქურდაძე. პროექტში ყოველწლიურად სამივე აკადემიური საფეხურის, დაახლოებით, 6-დან 10-მდე სტუდენტი ერთვე-

ბა. რამაზ ქურდაძის თქმით, „ის, რასაც სტუდენტები უშუალოდ ადგილზე ეცნობიან, უფრო თვალსაჩინოს ხდის მათ მიერ შესწავლილ ენობრივ საკითხებს. დაინტერესება ადგილობრივი მოსახლეობისგანაც იგრძნობა. დიდი ენთუზიაზმით გვხვდებიან. მათი დახმარების გარეშე მუშაობა ძალიან გაგვიჭირდებოდა“.

ამ ექსპედიციებს, რომლებიც, საშუალოდ, 10-12 დღეს გრძელდება, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი აფინანსებს. პროექტში მონაწილეობისთვის სტუდენტებს ხელმძღვანელები მათი აკადემიური მოსწრებისა და საკვლევი საკითხისადმი ინტერესის მიხედვით არჩევენ. რეგიონში ჩასული ჯგუფი ბუნებრივ სიტუაციაში აკვირდება ადგილობრივი მოსახლეობის ზეპირმეტყველებას: ინერენ ლექსებს, ლეგენდებს, შელოცვებსა და გამოცანებს. სტუდენტებს ეძლევათ საშუალება უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა შეამოწმონ და პრაქტიკულად გაამყარონ.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან მარგიანი უკვე მეხუთე წელია სვანეთის ექსპედიციას ხელმძღვანელობს. როგორც თავად ამბობს, „სწორედ ამ ექსპედიციის შემდეგ წყვეტენ სტუდენტები გააგრძელონ მუშაობა ქართველოლოგიაში და მეცნიერებაში წავიდნენ“. ქალბატონი ქეთევანი აღნიშნავს, რომ „ქართველური ენები (ქართული, სვანური, მეგრული და ლაზური) დაარსების დღიდან ისწავლება უნივერსიტეტში. ეს ფაქტი დიდი მნიშვნელობის მქონეა. ამ ენების სწავლება ფუძემდებელი რეკონსტრუქციისკენაა მიმართული. ეს ყველაფერი ხდება ქართულ ენასთან მიმართებით. სვანურს ინოვაციურობა და არქაულობა ერთდროულად ახასიათებს. ძალიან ხშირად მას გაეყვართ ძველი ქართული მონაცემების კვალზე, უფრო მეტიც, საერთოქართველური ფუძემდებლის კვალზეც“. „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის მეოთხე სემესტრის სტუდენტი თამარ ჩანქსელიანი სვანეთიდანაა, პრაქტიკულად ფლობს სვანურს და ასევე დიდი ინტერესით იკვლევს მას. თამარი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“ – წევრია. პროექტი თსუ-ში ქართული ენის ინსტიტუტის ბაზაზე ხორციელდება. თ. ჩანქსელიანი სვანეთის ექსპედიციაში ხელმძღვანელმა ჩართო, რომელიც მისი მეცნიერ-კონსულტანტიც არის პროექტში. ახალგაზრდა მკვლევარი აღნიშნავს: „პროექტში ჩემი კონკრეტული სამუშაო თემაა „ორმაგი უარყოფა ქართულსა და თანამედროვე სვანურში“, ამიტომ წინასწარ შევადგინე ანკეტა. კითხვარებს შესავსებად ვურიგებდი ადგილობრივ მოსახლეობას; შემდგომ უკვე დავინყე მათი გაანალიზება. შედეგები საინტერესო და საყურადღებოა“. შეგროვილი ემპირიული მონაცემების ანალიზი ველზე მუშაობის დასრულების შემდეგ იწყება. სტუდენტები შიფრავენ ინტერვიუებს და ქმნიან მათ ქართულ ვერსიებს. ბოლოს კი ვლინდება ენობრივი თავისებურებები და საექსპედიციო თემები საკონფერენციო ან სადიპლომო ნაშრომებადაც კი იქცევა ხოლმე.

გარდა სვანური ენისა, ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს გაზაფხულის სემესტრში მეგრულ-ლაზური ენის არჩევითი კურსის გავლაც შეუძლიათ. იქიდან გამომდინარე, რომ მეგრულ-ლაზური ორ უმწერლობო ქართველურ ენას შეიცავს, ექსპედიცია მონაცვლეობით, სამეგრელოს სხვადასხვა რაიონში ან ლა-



ზეთში (მათ შორის, თურქეთის ლაზეთშიც) ტარდება. „ჩვენ ვცდილობთ, ის მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც უფროსი თაობის ღვანღმოსილი მეცნიერებისგან გვერგო, ღირსეულად გავაგრძელოთ“, – აღნიშნავს ჩვენთან საუბარში მაია ლომია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამეგრელოს ლინგვისტური ექსპედიციის ხელმძღვანელი. სტუდენტების აქტიური ჩართულობა მოტივაციას აძლევს, კიდევ უფრო საინტერესო კუთხით გადმოსცეს ესა თუ ის საკითხი, ამიტომ ყოველ წელს თავადაც მოუთმენლად ელის ზაფხულს. მაია ლომია აღნიშნავს: „პროფესიულად ჩვენც ვიზრდებით. ეს არის ლექტორსა და სტუდენტს შორის ორმხრივი თანამშრომლობის შედეგი. ველზე მუშაობა სასწავლო-სამეცნიერო პრაქტიკაა, რომლის დროსაც სტუდენტები აქცენტებს აკეთებენ სამეცნიერო პრობლემურ საკითხებზე“.

გასულ ზაფხულს ზუგდიდს მაია ლომიასთან და კურსელებთან ერთად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახლა უკვე დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი ანანო ბაქრაძე ესტუმრა. მას ხელმძღვანელი ექსპედიციაში თავის „მარჯვენა ხელსა“ და „მოადგილეს“ უწოდებს. ანანო საექსპედიციო პროექტში უკვე მეორედ მონაწილეობს: სანამ სამეგრელოს ესტუმრებოდა, შარშან სვანეთის ექსპედიციის ფარგლებში მესტიაში იმყოფებოდა. „ძალიან სიტყვამოსწრებული ხალხი შეგვხვდა სამეგრელოში. არ ეზარებოდათ კომუნიკაციაში შემოსვლა და, პირიქით, დახმარებას გვთავაზობდნენ“, – იხსენებს ანანო. მოსწონს, რომ ექსპედიციამ, პროფესიული გამოცდილების დაგროვების გარდა, კურსელებთან მეტად დამეგობრების საშუალება მისცა.

როგორც პრეზენტატორებმა და მათმა ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, ექსპედიციის მონაწილე სტუდენტებმა არა მხოლოდ წმინდა ენათმეცნიერული მიმართულებით იმუშავეს, არამედ, პარალელურად, რეგიონის მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლებსაც გაეცნენ.

დაბოლოს, რატომ უნდა დაინტერესდნენ თსუ სტუდენტები მსგავსი თემების კვლევით?

ამ კითხვაზე სტუდენტ ანანო ბაქრაძის პასუხი ასეთია: „ქართველური ენები ჩვენს ისტორიას ინახავენ. ეს საკითხები ჩვენ, ახალგაზრდებმა, თუ არ შევისწავლეთ და ამ ცოდნას თუ არ გავუფრთხილდით, ბუნებრივია, სხვა მათდამი ინტერესს აღარ გამოიჩინს“.

14 აპრილი, 2019 წელი  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ჩქიმი დიდი უჩიტელეფე (ლაზური ტექსტი)<sup>1</sup>

1. შილიან ჩხოვროს სუმონეჩდოოთხო წანას ჩქინი ქიოიმა, სარფიმა, თიფლიზის უნივერსიტეტიშენ მოხთეს ჯურ ლექტორეფე(ქ) – ოთარ ურიდია დო ფარნაოზ ერთელიშვილი. 2. ქაოიში კულანეფე დო ბიჭეფე ოკომობლეს დო მიწვეს: 3. „უნივერსიტეტის ოკითხუ მითხანის უნონ, ანი ჩქინ აქ გამოცდა ვუხვენუფთ დო მითხანიქ კაი ჯოლაბი მომჩან, ენთეფე ვიყონუფთ ტიფლიზიშა“. 4. მითხანიქ გამოცდას სუმ ნიშანი გუნულატუ, ია დოსქიდუტუ უნივერსიტეტის. 5. ჟურ კორი დომცხუნეს. 6. ტიფლიზიშა არ თუთაშენ ორდო ვიგზალით. 7. ექ ოთარ ურიდიაქ მემიყონეს უჩიტელეფეშა ედო გამოცდაფეშენი ოხაზირუ გიოჭკით. 8. ჩქინი გამოცდას ხუთთანე აკადემიკოსი ესნრებოდა, აკაკი შანიძე ტუ, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი, ალექსანდრე ბარამიძე ტუ. 9. აშო დოვიყვით უნივერსიტეტის სტუდენტეფე მან დო ომარი მემიშიში. 10. ბსკიდუტით სტუდენტალაქის საერთო საცხოვრებელის.

11. ხუთ წანას ია საერთო საცხოვრებელის – ოვრო კორი. 12. ოთხო – არ სემთის ოდას, ოთხო – მაჟვანა სემთის. 13. ორთა იეის ტუ სამეცადინო ოთახი. 14. მციქა ჩეთინი ტუ, ჰამა მუ პატით?! 15. უნივერსიტეტის დიდო ჩქინაფეჲ პროფესორეფექ მოგუაფტეს: აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ყაუხჩიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, გიორგი ახვლედიანი, კორნელი დანელია, ოთარ ურიდია... დიდოფე ტეს. 16. ინგლისურის უჩიტელი მიყოუნტუ ქეთო ბაქრაძე. 17. მახუთა კურსის ვორტი ედო აკაკი შანიძექ მოგუაპტუ „ძველი ქართული ენა“. 18. ენის ჯგუფის ვორტით ხუთ კორი – სუმ კულანი, ჟურ ბიჭი. 19. ბიჭეფე ვორტით მან დო ენუქაშვილი. 20. უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის წოხლე მეექვსე კორპუსი ტუ.

21. ედო ექ ტუ ქართული ენის ლაბორატორია. 22. ექ მეფთი. 23. ქითაბეფე, მუთხაეფე ჩავაზარე დო ენა გეულუ ქომემარგუ აკაკი შანიძე კიბეს. 24. ედო ჩქიმი ჯოხო ბოინე ნაშაშეტუ, ფრიდონის მეძახდა. 25. არფარა, აკაკი შანიძეს დიდო ონჯლორობათენ ბკითხი: 26. „ბატონო აკაკი, მან ნოდარი მჯოხონს დო ფრიდონი მოთ მიწუმერ მა“? 27. მუქ მიწუ-ქი: სქანი ჯოხოს „რ“ ასო რენ, ფრიდონი ჯოხოსტი „რ“ ასო რენ, ამუშენი მემამაშენდა. 28. არნოლდ ჩიქობავა მთელი სარფულეფეში გემჩანუ რტუ. 29. ია ორთანჯა ბოილი კორი ტუ. 30. მსქვამა ოლაღალუ უჩქიტუ.

31. დიდო მეშოლუფეთი უჩქიტუ. 32. ემუში ქეთაბი „ჭანური ენის გრამატიკა“ დიდოფარა მეჟავიკითხი. 33. მთელი იანდა მემიშოლტეს. 34. ჩიქობავაქ მა ვამოკითხაპეტუ, ჰამა ეშო ლაზი ნა ვორტი უჩქიტუ დო მკითხუპტუ: 35. „მუჭო ე, მუ იქიფ“? 36. ედო ეთი მკითხუპტუ-ქი: მუთუ ხომ გაჭირვება ვაგილუნ, მუთუ მეგიშოლაი? 37. „მაღლობა, ჰამა მუთუ ლაზიმი ვამაყუ მეშოლუ ონდი“. 38. ყურა-

<sup>1</sup> ტექსტი ჩაინერა ნატო ახალაიამ (ს. სარფი, 2016 წელი).

დღეებს მაქცევდა. 39. უნივერსიტეტის მთელლიქ დიდო კაე მოლოდაფტეს. 40. თოფურია დიდო კაე კორი ტუ.

41. სოთხანი-ნა მემარგატუ, ნოხლე სელამი მუქ მომჩაპტუ. 42. დიდო ლოყა კორი ტუ. 43. ვარლამ თოფურია ჩქიმი ხელმძღვანელი ტუ. 44. მუში დავალეზათენ ჟურ თემა დობჭარი. 45. მან ია ლოყა ნენაფეთენ გოიშინაფ. 46. მასუმა კურსის ვორტი, ია ნა დოლურუ. 47. მუში ღურა დიდო პატი მანონუ. 48. გიორგი ახვლე-დიანი დიდო კორი ტუ. 49. ენა მენდანკედატი დელიკანლი ბიჭი გაჩქინეტუ. 50. ია დიდო ოყოროფონი კორი ტუ.

51. სიმონ ყაუხჩიშვილი დიდო კაე კორი ტუ, 52. დიდო ოლაღალუსთი ვარ ყოროფტუ. 53. ჩქინ სტუდენტეფექ დიდო პყოროფტით. 54. აიზის გამოცდაფე ნა ვორდინატი, აგვისტოს თუთას ქიოიშა მოიტი. 55. სარფის ლაზური ტექსტეფე დოლოიჭაუფტი. 56. გერი ნა ვიდატი უნივერსიტეტიშა, ჭარელეფე ვიმერტი დო ერთელიშვილის მეფჩაპტი. 57. აშო თენ სუმ ნანას აიზის ტექსტეფე პჭარი. 58. უნივერსიტეტი ნა დოვორონდი, ოხორიშა მოხთიმუს ნოხლე სუმ დღას ტიფლიზის დოფსქიდი. 59. მაანშა კორპუსის მერდევენეფეს ნა გეიტი, ქომემარაგუ აკაკი შანიძე ელო მკითხუ-ქი: 60. აქ დოსქიდუე იოქსე სარფიშა ნულუა?

61. მან ვუნი-ქი: „აქ ვარ დომასქედინენ, ოხოფს ჟურ ბერე მიყოუნ დო ნანა-ბა-ბათი ძაბუნი მიყოუნ, ამუშენი ვარ დომასქედინენ მა“. 62. ამუშკულე მუქ აშო მინუ: „იდი სარფიშა დო ლაზური ნენას საეზობა ოლოდია“. 63. მა ანდღათი ქომშუნს მუში აა ნენაფე დო ელო ენა მიწუსთერი ვიქიფ. 64. აა ვუნუმერ ჩქინი მექთების ბერეფეს. 65. ანდღა ხომ ძიით, აია ბეეფეს გაუჭირდათ ლაზური ოლაღალუ. 66. სარფის ოხოი იშვიათი ენ, ოხოი-ქი ნანა ბაბა ლაზი ტას. 67. ია ნანა ენ ლაზი, ია ბაბა ენ აჯაელი, ია ბაბა ენ ლაზი, ნენა – აჯაელი. 68. დო აშო სუფთა ლაზური ოჯახი არ ჯურ-სუმ თანე ტას. 69. ელო აღნე მოხტიმეი ნისაფეს ბეეფე ნა აყვან, ბეეფეკა-ლა ქართული ლაპარაკი მიდის. 70. ლაზური მენა ჭიტა-ჭიტა გონდუნენ.

ს. სარფი, 2016 წელი

## ნატო ახალაია

### ჩემი დიდი მასწავლებლები (ლაზური ტექსტის ქართული ვერსია)<sup>1</sup>

1. ათას ცხრაას სამოცდაოთხ წელს ჩვენს სოფელში, სარფში, თბილისის უნივერსიტეტიდან მოვიდნენ ორი ლექტორები (= მოვიდა ორი ლექტორი) – ოთარ ურიდია და ფარნაოზ ერთელიშვილი. 2. სოფლის გოგონები და ბიჭები შეგვაგროვეს (=შეგვკრიბეს) და გვითხრეს: 3. „უნივერსიტეტში სწავლა ვისაც უნდა, ახლა ჩვენ აქ გამოცდას ჩავატარებთ და, ვინც კარგ პასუხს გაგვცემს, იმათ წავიყვა-

<sup>1</sup> ლაზური ტექსტი ჩაინერა და მისი ქართული ვარიანტი მოამზადა ნატო ახალაიამ (ს. სარფი, 2016 წელი).

ნთ თბილისში“. 4. ვინმემ (=ვინც) გამოცდაზე სამ ნიშანს (=სამიანს) მიიღებდა, ის დარჩებოდა უნივერსიტეტში. 5. ორი კაცი შეგვარჩიეს. 6. თბილისში ერთი თვით ადრე წავედით. 7. იქ ოთარ ურიდიამ მიგვიყვანა მასწავლებლებთან და გამოცდებისთვის მზადება დავიწყეთ. 8. ჩვენი (=ჩვენს) გამოცდას ხუთი აკადემიკოსი ესწრებოდა – აკაკი შანიძე იყო, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი, ალექსანდრე ბარამიძე იყო. 9. ასე გავხდით უნივერსიტეტის სტუდენტები მე და ომარ მემიშიში. 10. ვცხოვრობდით სტუდენტალის საერთო საცხოვრებელში.

11. ხუთი წელი იმ საერთო საცხოვრებელში – რვა კაცი. 12. ოთხი – ერთ მხარეს სახლისა, ოთხი – მეორე მხარეს. 13. შუა ადგილას იყო სამეცადინო ოთახი. 14. ცოტა ძნელი იყო, მაგრამ რა გვექნა?! 15. უნივერსიტეტში დიდად ცნობილი პროფესორებმა (=პროფესორები) გვასწავლიდნენ: აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ყაუხჩიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, გიორგი ახვლედიანი, კორნელი დანელია, ოთარ ურიდია... ბევრნი იყვნენ. 16. ინგლისურის მასწავლებელი მყავდა ქეთო ბაქრაძე. 17. მეხუთე კურსზე ვიყავი და აკაკი შანიძემ (=შანიძე) მასწავლიდა „ძველი ქართული ენა“ (= „ძველ ქართულ ენას“ ). 18. ენის ჯგუფში ვიყავით ხუთი კაცი – სამი გოგო, ორი ბიჭი. 19. ბიჭები ვიყავით მე და [რუბენ] ენუქაშვილი. 20. უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის წინ მეექვსე კორპუსი იყო.

21. და იქ იყო ქართული ენის ლაბორატორია. 22. იქ მივედი. 23. წიგნები, რალაცები ჩავაბარე და, რომ ჩამოვდივარ, შემომხვდა აკაკი შანიძე კიბეზე. 24. და ჩემი სახელი სულ ემღებოდა, ფრიდონს მეძახდა. 25. ერთხელ, აკაკი შანიძეს დიდი მორიდებით ვკითხე: 26. „ბატონო აკაკი, მე ნოდარი მქვია და ფრიდონს რად მეძახით-მეთქი“? 27. მან მითხრა, რომ: შენს სახელში „რ“ ასო არის, ფრიდონის სახელშიც „რ“ ასო არის, ამიტომ მეშლებათ. 28. არნოლდ ჩიქობავა ყველა სარფელების (=სარფელის) დამრიგებელი იყო. 29. იგი საშუალო ტანის კაცი იყო. 30. ლამაზი (= სასიამოვნო) საუბარი იცოდა.

31. დიდი დახმარებაც იცოდა. 32. მისი წიგნი „ჭანური ენის გრამატიკა“ ბევრჯერ წამიკითხავს. 33. ყოველმხრივ გვეხმარებოდა. 34. [არნოლდ] ჩიქობავამ (=ჩიქობავა) მე არ მასწავლიდა, მაგრამ, მე რომ ლაზი ვიყავი, იცოდა და მკითხავდა (=მეკითხებოდა): 35. „როგორ ხარ, რას აკეთებ“? 36. და იმასაც მკითხავდა (=მეკითხებოდა), რომ: „რაიმე გაჭირვება ხომ არ გაქვს, რამეთი დაგეხმარო?“ 37. „მადლობა, მაგრამ არაფერი მჭირდება დასახმარებლად“ [ვეუბნებოდი] 38. ყურადღებას მაქცევდა. 39. უნივერსიტეტში ჩვენ ყველა კარგად გვექცეოდა. 40. [ვარლამ] თოფურია ძალიან კარგი კაცი იყო.

41. სადაც არ უნდა შემხვედროდა, წინ სალამს მან მაძლევდა (= პირველად ის მესალმებოდა). 42. ძალიან ტკბილი კაცი იყო. 43. ვარლამ თოფურია ჩემი ხელმძღვანელი იყო. 44. მისი დავალებით ორი თემა დავწერე. 45. მე მას ტკბილი სიტყვებით გავიხსენებ. 46. მესამე კურსზე ვიყავი, ის რომ გარდაიცვალა. 47. მისი გარდაცვალება ძალიან მენყინა. 48. გიორგი ახვლედიანი დიდი კაცი იყო. 49. რომ შეგეხედა, ახალგაზრდა ბიჭი გეგონებოდა. 50. ის ძალიან საყვარელი ადამიანი იყო.

51. სიმონ ყაუხჩიშვილი ძალიან კარგი კაცი იყო, 52. ბევრი ლაპარაკიც არ უყვარდა. 53. ჩვენ, სტუდენტებმა (=სტუდენტებს), ძალიან ვყვარობდით (=გვიყვარდა). 54. ზაფხულში გამოცდებს რომ დავამთავრებდით, აგვისტოს თვეში სოფელში მოვდიოდით. 55. სარფში ლაზურ ტექსტებს ვინერდი, 56. უკან რომ მივდიოდი უნივერსიტეტში, ნანერები [ლაზური ტექსტები] მიმქონდა და [ფარნაოზ] ერთელიშვილს ვაძლევდი. 57. ასე და ამგვარად, სამ წელს ზაფხულობით ტექსტები ვწერე. 58. უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, სახლში ჩამოსვლის წინ (=ჩამოსვლამდე) სამი დღე თბილისში დავრჩი. 59. მეექვსე კორპუსში კიბეებზე რომ ჩამოვდიოდი, შემომხვდა აკაკი შანიძე და მკითხა, რომ: 60. „აქ რჩები თუ სარფში მიდიხარო?“

61. მე ვუთხარი, რომ: „აქ ვერ დავრჩები, სახლში ორი ბავშვი მყავს და დედამაც ავად მყავს, ამიტომ არ შემიძლია დარჩენა-მეთქი“. 62. ამის შემდეგ მან ასე მითხრა: „ნადი სარფში და ლაზურ ენას პატრონობა გაუწიეო“. 63. მე დღესაც მახსოვს მისი ეს ნათქვამი და, როგორც მან მითხრა, მეც ისე ვაკეთებ. 64. ამას ვეუბნები ჩვენი სკოლის ბავშვებს. 65. დღეს ხომ ნახეთ ამ ბავშვებს გაუჭირდათ ლაზური საუბარი. 66. სარფში იშვიათია სახლი, სადაც დედ-მამა ლაზი იყოს. 67. ან დედა არის ლაზი, ან მამა არის აჭარელი, ან მამაა ლაზი, დედა – აჭარელი. 68. და ასეთი სუფთა ლაზური ოჯახი ორი-სამი თუ იყოს (=არის). 69. და ახალმოსულ რძლებს ბავშვები რომ ეყოლებათ, ბავშვებთან ქართული ლაპარაკი მიდის (=ბავშვებს ქართულად ელაპარაკებიან). 70. ლაზური ენა ნელ-ნელა იკარგება.

*ს. სარფი, 2016 წელი*





ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ს ტ ა ტ ი ე ბ ი



## ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ერთი თავისებურება და მასთან დაკავშირებული საკითხები<sup>1</sup>

ებრაელთა საქართველოში თანაცხოვრების 26-საუკუნოვანი ისტორია აჩვენებს, რომ რელიგიასთან, ადათ-წესებთან, კულტურის ელემენტებთან ერთად ებრაელთა იდენტობის ერთ-ერთი ნიშანი გახლდათ ენაც. მიუხედავად იმისა, რომ ზ. ჭიჭინაძე (1970:64) მეოცე საუკუნის დასაწყისის ქუთაისელ ებრაელებზე მიუთითებდა, რომ მათი ენა ქართული იყო და ყოველის მხრივ ქართველობის ნაწილს წარმოადგენენ, ყველამ კარგად იცოდა, რომ ებრაელთა მეტყველება განსხვავდებოდა საერთო ქართულისაგან. სწორედ ამიტომ საქართველოში მეტყველების ამ ნაირსახეობის აღსანიშნავად გავრცელებული იყო ტერმინები: ჩვენებურული, ისრაელური, ურიული, ყივრული. უფრო კონკრეტული სახე ჰქონდა მას ქუთაისში, სადაც ზეითქუჩური, ან შაუმიანური ნიშნავდა არა მხოლოდ ებრაელისათვის, არამედ დაბალი ფენის ებრაელისათვის დამახასიათებელ მეტყველებას. საბჭოთა ეპოქის დასრულების შემდეგ ქართველ ებრაელთა მეტყველების თავისებურებები არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი და აღინიშნა, რომ საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველება განსხვავდებოდა სხვა მოსახლეობის მეტყველებისაგან ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ნიშნებით. მართალია, ებრაელების ძირითადი სამეტყველო ენა ქართული გახლდათ, მაგრამ ქართულის ის ვარიანტი, რომელსაც ისინი გამოიყენებდნენ, აშკარად განსხვავდებოდა როგორც სტანდარტული ქართულისაგან, ასევე იმ კუთხეში გავრცელებული ქართული დიალექტისაგან, რომელ კუთხეშიც ისინი ცხოვრობდნენ. მათს მეტყველებაში დაჩნდებოდა როგორც გეოგრაფიული, ასევე სოციალური განსხვავებანი, მაგრამ ამავდროულად არსებობდა საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ებრაელისათვის დამახასიათებელი საერთო ენობრივი ნიშნებიც, რითაც ისინი ერთგვარად ენობრივად ემიჯნებოდნენ საქართველოს მკვიდრ მოსახლეობას. ფაქტია, რომ საუკუნეების განმავლობაში ებრაელები სხვებისაგან გამიჯვნას კვლავ ქართული ლინგვისტური მაჩვენებლებით ახერხებდნენ (ლომთაძე, 2010).

საქართველოში მცხოვრები ებრაელებისათვის, ისევე როგორც მსოფლიოში გაფანტული უამრავი ებრაული დიასპორისათვის, იდენტობის მთავარი ნიშანი გახლდათ რელიგია. მაგრამ რელიგიური იდენტობა გადაჯაჭვული იყო როგორც კულტურულ, ასევე ენობრივ ასპექტთან.

საქართველოში ებრაელთა მეტყველება სიტუაციების მიხედვით ძალიან განსხვავებული იყო. მაგალითად, 1) ოფიციალური ურთიერთობებისას მაღალი

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2017 წლის „ფუნდამენტური კვლევებისათვის“ სახელმწიფო გრანტის (FR\_17-158) – „ქართული ენის გრამატიკა ნორმასა და ვარიაციებს შორის“ – ფარგლებში. წაკითხულია მოხსენებად ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილ მე-6 საერთაშორისო კონფერენციაზე (ქ. გორი, 2018).

სოციალური ფენის წარმომადგენლებს შეეძლოთ გამოეყენებინათ სალიტერატურო ქართული. 2) ყოველდღიურ ურთიერთობებში ქართველ ებრაელთა მეტყველება გახლდათ ქართული ენის იმ დიალექტზე დაფუძნებული, რომელ კუთხეშიც ცხოვრობდნენ, მაგრამ მთლიანად არ ემთხვეოდა მას, რადგან ებრაელთათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მოვლენებიც ერთვოდა. 3) რელიგიურ თუ ტრადიციებთან დაკავშირებულ თემებზე ერთმანეთთან ურთიერთობისას ებრაელებს შეეძლოთ გამოეყენებინათ ქართულ-ებრაული ნაზავი, რომელშიც სიტყვების უმეტესობა ებრაული იყო, ხოლო გრამატიკული მარკერები კი - ქართული.

ებრაელთა მეტყველების ყველაზე სპეციფიკური მოვლენა გახლდათ ინტონაცია (ლომთაძე, ჯანჯღავა, 2017) და განსხვავებული გრამატიკული თუ ლექსიკური საშუალებების გამოყენება. ისინი ძალიან ხშირად გამოიყენებდნენ ქართულ ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებებს განსხვავებული მნიშვნელობით. ამის ნათელი მაგალითია დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმა „დაგენაცვლე“.

დღეისათვის დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქუთაისში, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში, გამოიყენება ფორმა „გენაცვალე“, თუმცა ებრაელთა მეტყველებაში ამ მნიშვნელობით დასტურდება „დაგენაცვლე“ და ეს ფორმა მათი მეტყველების საკუთრებაა. როცა უნდათ არაებრაელებს მინიშნება პირის ებრაელობაზე, სწორედ ამ ფორმით მიმართავენ: **დაგენაცვლე, კაი შარვალ-კოსტუმი მინდა...** ზოგჯერ ეს სიტყვა ტერმინ **ებრაელის** სინონიმადაც იხმარება: **დაგენაცვლეა მაგი?**

არის შემთხვევები, როდესაც ამ ენობრივ ფაქტს იყენებს მწერალი, პერსონაჟის ებრაულ წარმომავლობაზე თუ აკეთებს აქცენტს: „აბრამმა მუშტარს ახედა: „სწორი ბრძანდები დაგენაცვლე“ (რ. მიშველაძე).<sup>1</sup>

თავისთავად საინტერესო ფაქტია: ებრაული წარმოშობის ქუთაისელი (კულაშელი, ბანძელი, სენაკელი) გამოიყენებს ფორმას, რომელსაც არ ხმარობს ქართული წარმოშობისა და ამით გახაზავს თავის ებრაელობას. რა არის ეს, მიზანმიმართული შერჩევა ფორმისა, მცდელობა ურთიერთგამიჯვნისა?

ქეგლ-ის მიხედვით, „გენაცვალე, გენაცვალე“ საალერსო მიმართვის ფორმაა (იხ. ენაცვალე, შემოგველე, გეთაყვანე ქეგლ-ი, 3, 2015).<sup>2</sup>

„დაგენაცვლე“ საუბრული ფორმისადაა მიჩნეული ქეგლ-ში, თუმცა ეთნიკურ მომენტზე არაა ყურადღება გამახვილებული. ეს ფაქტი გასაგებია: საილუსტრაციოდ ქეგლ-ში აკაკი წერეთლისა და გიორგი ლეონიძის მაგალითებია მოყვანილი. „ჰო, მაგრე! მაგრე! თქვენ დაგენაცვლეთ! დაჰკარით, სანამ მინა სველია (აკაკი), წამლად დაგენაცვლე, წამლად დაგედე! ჩემო სიყრმის მზევ, შენ კი დაგენაცვლე! - ჭირი მოვჭამე (გ. ლეონიძე)“. აღნიშნულ მწერლებთან ეს ფრაზები არ ჩანს ეთნიკური ნიშნით განსხვავებული.

იქვე ქეგლ-ში ასეთი უზმნისწინო ფორმებია დამონმებული: „ბები, ჩემო ტკბილო ბები, აგრემც გენაცვლები (გ. ქუჩიშვილი), ძმად მონვეულო, რადა მტრობ, აგრემც კი გენაცვალე (ა. ყაზბეგი), როცა მოვკვდე, გენაცვალე, ძეგლად გა-

<sup>1</sup> როცა წყაროს არ ვუთითებთ, მაგალითს ვიმონმებთ ქეგლ-იდან.

<sup>2</sup> აქვე დავსძენთ, რომ გენაცვალესა და გეთაყვას შორის დიმიტრი ყიფიანი გენდერულ სხვაობას ხედავდა: გენაცვალეს ქალი იტყვის, გეთაყვას კაცი...



დამეფარე (ი. გრიშაშვილი); არა, **გენაცვა**, შემოსასვლელად სადა მცალია (ჯ. ქარჩხაძე).“

როგორც ვთქვით, განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილი მასალის მიხედვით **და-** ზმნისწინიანი ფორმა სასაუბრო მეტყველების ფაქტად გაიაზრება, უზმნისწინო - ლიტერატურულად. ცხადია, ფუძისეული **ა-**ს ნულთან მონაცვლეობაზე აქ ყურადღება არაა გამახვილებული: თანაბრად ნორმალურად მიიჩნევა **გენაცვლები** და **გენაცვალები**. ამთავითვე ერთ ფაქტს მივაპყრობთ ყურადღებას: **და-** ზმნისწინიანი ფორმა მხოლოდ შეკუმშულ ფუძეს ემყარება. არ დასტურდება **„დაგენაცვლები“**.

**„დაგენაცვლე“** და **„გენაცვალე“** ფორმათა კვალიფიკაციისას შეიძლება საუბარი იმაზე, რომ პირველი არალიტერატურულია, რამდენადაც იგი თანამედროვე ქართულში დასტურდება მხოლოდ ერთ ნაირსახეობაში – ქართველ ებრაელთა მეტყველებაში.

ზემოთ დავსვით კითხვა, რა არის ეს? – ქართველი ებრაელები თავიანთი მეტყველებისათვის ნიშანდობლივ ფორმას თავად ქმნიან თუ არსებულ ვარიანტთაგან ფორმები განაწილდა ქართველ და ებრაელ მოქართულეთა შორის? შევეცდებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემას.

ზემოთ ჩვენ აკაკი წერეთლისა და გიორგი ლეონიძის მაგალითები მოვიყვანეთ. ფაქტია, მე-19 და მე-20 საუკუნეთა მიჯნაზე **„დაგენაცვლე“** ფორმას არ ჰქონდა ეთნიკური ელფერი. საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს დავით კლდიაშვილის შემოქმედება. აქ პერსონაჟთა მეტყველებაში ჩვეულებრივია, როგორც ერთი (**გენაცვალე**), ისე მეორე (**დაგენაცვლე**) ფორმა.

საერთოდ, წყევლა-დალოცვის ფორმულებში ზმნის ფორმანარმოების შესაძლებლობები შეზღუდულია, არ გვაქვს ყველა მწკრივის ფორმა; იმ მწკრივებში, რომლებიც გამოიყენება, პირთა ყველა შესაძლო კომბინაცია არ გვხვდება.

ჩვეულებრივ, დალოცვის ფორმებში გამოიყენება პირთა კომბინაციები მე შენ (მე თქვენ); ძირითადად, ეს ვარიანტია: *არაფერს არ დავეძებ, შენ დაგენაცვლე!* – აწრიალდა იგი (1: 134).

*„ხოვ არ ავადმყოფობ მაინც, შენ დაგენაცვლე (1:32)“*

*„რავა დევიგვიანებ, შენ დაგენაცვლე! ცხონებას მპირდები“*

*„შენ დაგენაცვლე, კაბა რომელი ჩავიცვა? (2: 9)*

*„შენ დაგენაცვლე მაგ მოქარგულ ენაში!“ (2:22)*

*„ამათთან ნურაფერს იზამ, შენ დაგენაცვლე! (საუნჯე 373)“*

*ვერაფერი გავიგე, შენ დაგენაცვლე! (საუნჯე 357)*

*შენ დაგენაცვლე, შენი ჭირი შემეყაროს (საუნჯე 350)*

როცა მესამე პირი არის „სული“, **წყვეტილში** ჩვეულებრივ პირთა კომბინაციაა მე მას:

*გვიშველე, შენს სულს დაგენაცვლე! აღარ ვართ მაგისგან (1:325)*

*სეკრეტარი უსათუოდ უნდა მანვიო, მაგის სულს დაგენაცვლე, უსათუოდ! (1: 321).*

*მამა, ჩემო მამა, შენს სულს დაგენაცვლე, გამიშვი (1: 30).*

*მამა, შენს სულს დაგენაცვლე, ჩემო მამა! (საუნჯე 355)*

შენს სულს **დაგენაცვლე!** საუკუნო მოსამსახურედ გამიხადე (საუნჯე 343)

გამოიყენება **მეორე კავშირებითის** ფორმები; პირთა კომბინაცია, ის **შენ:**  
*ნუ გეშინია, შვილო, ნუ გეშინია, შენ დაგენაცვლოს შენი დედა* (1: 35)

*შენი ჭირიმე... შენ დაგენავლოს შენი და დარიკო* (1:91)

პირთა კომბინაცია ის მას:

*შენს სულს დაენაცვლოს დათიკა გიორგაძე* (2:84)

ერთი შემთხვევა დავადასტურეთ მყოფადის ფორმით:

*შენ დაგენაცვლება ნათლიაშენი* (საუნჯე 359)

ყველა ეს მორფოლოგიური ვარიანტები დასტურდება უზმნისწინო ვარიანტითაც:

*ღმერთი გადაგიხდის, ვენაცვალე მის ძლიერებას* (1:148)

*მაგას ენაცვალა მისი ბებია* (1:257)

*კი, შვილო, კი, ვენაცვალე* (1:257)

*მაგას ვენაცვალე* (1:108)

*ჩვენ შეგვაშინებს უფრო, შენ ვენაცვალე!* (1:318)

*შენს სულს ვენაცვალე*(1:115)

*ღმერთი მონყალეა, ვენაცვალე მის ძლიერებას!* (1: 78)

*რა მოგივიდა, ვენაცვალოს მამაშენი* (1:114)

*შენ ვენაცვალოს შენი დედა*

დავით კლდიაშვილთან არ შეგვხვედრია, მაგრამ გვხვდება მყოფადის ფორმებიც: „**ლალეები, ლალეები, შენ კი ვენაცვალეები**“.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ დ. კლდიაშვილთან უზმნისწინიანი (**დაგენაცვლე**) და უზმნისწინო (**ვენაცვალე**) ვარიანტები გვხვდება არა მარტო ერთსა და იმავე მოთხრობაში, ერთსა და იმავე პერსონაჟთან (როგორც მამაკაცთან, ისე ქალთან), არამედ ზოგჯერ ერთსა და იმავე რეპლიკაშიც: *ანი გათავისუფლდები, შენ ვენაცვალე, და შენი სანყალი დედის გულს გაახარებ შენი კარგი იღბლითა... შენ დაგენაცვლეთ ყველანი... ყველანი* (1: 193)

*უი, შენ დაგენაცვლა მამიდაშენი, რავა მშვიდობით, შენ ვენაცვალე* (2: 11)

ის ფაქტი, რომ ამ მეორე მაგალითში უცხო „**ვენაცვალეს**“ ეუბნება და ძმის შვილს „**დაგენაცვლეს**“, აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა, ძნელი სათქმელია. ისე ამ ვარიანტსაც არ გამოვრიცხავთ, რადგან დ. კლდიაშვილის პერსონაჟთათვის ამგვარი დამოკიდებულება თანამოსაუბრეთა ვინაობასთან შეიმჩნევა (იხ. გოგოლაშვილი 2013)

ფაქტია: დავით კლდიაშვილისთვის უზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები ერთი და იმავე ენობრივი ერთეულის ვარიანტებია და სტილის მრავალფეროვნებისათვის ახდენს მათ შენაცვლებას. იმერულში დადასტურებული პარალელური ფორმების ამგვარი გამოყენება დ. კლდიაშვილის სტილის ერთ-ერთი თავისებურებაა: მაგრამ – მარა, როგორ – რავა (გოგოლაშვილი 2013).

ის, რაც დ. კლდიაშვილთან ჩვეულებრივ გამოიყენება, დღეს იმერულ დიალექტში აღარ გვხვდება; უზმნისწინიანი ფორმების გამოყენება გამორიცხულია. როგორც აღვნიშნეთ დასაწყისში, უზმნისწინიანი ფორმა მხოლოდ დაბალი ფენის ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი:

დალოცვა -

შენ დაგენაცვლა შენი ბებიანი... მაგ დაგენაცვლა შენ... შენ დაგენაცვლე...  
წყევლა -

დამნაცვლებია თავში... დაგნაცვლებია თავში... მაგ დამენაცვლა მე...

ცხადია, ჩნდება კითხვა: თუ გენაცვალე და დაგენაცვლე ფორმები XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სასაუბრო ქართულში პარალელურ ვარიანტებად გამოიყენებოდა, მომდევნო პერიოდში რატომ მოხდა მათი ხმარების გამიჯვნა ეთნიკური ნიშნის მიხედვით: დაგენაცვლე ებრაელთა ქართულის კუთვნილებად იქცა და აღარ გამოიყენებს არაებრაელი წარმოშობის ქართველი... ერთი დაზუსტებაც: დაგენაცვლე დაბალი ფენის ებრაელთა მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი... გავიხსენოთ ისიც, რომ ქეგლ-ის მიხედვით დაგენაცვლე სასაუბრო მეტყველების ფაქტად მოიაზრება, გენაცვალე - სალიტერატურო ფორმად.

მოგეხსენებათ, დაბალი ფენის ქუთაისელ ებრაელთა საქმიანობა ძირითადად ვაჭრობა იყო; კლიენტთან ურთიერთობისას გენაცვალე/დაგენაცვლეს ხშირი გამოყენება ხდებოდა; როგორც ჩანს, ებრაელი უპირატესობას ანიჭებდა სასაუბრო ფორმას (დაგენაცვლე) შინაურული სიტუაციის შესაქმნელად; ასე იქცა მათი მეტყველების საკუთრებად დაგენაცვლე... ეს ფორმა ამ პროცესის (ვაჭრობის) თანმდევად იქცა... შემდეგ მკვიდრდება როგორც ამ ეთნიკური ჯგუფის მეტყველების დამახასიათებელი ფორმა... შესაბამისად, არაებრაელი ქართველი გავემიჯნა ამ ფორმას, როგორც ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელს...

ასე მოხდა ერთი და იმავე მნიშვნელობის პარალელურ ფორმათა გადანაწილება ეთნიკური ნიშნის მიხედვით ... ესაა მეტყველების ნაირსახეობათა ურთიერთგამიჯვნის საინტერესო მაგალითი.

### ლიტერატურა:

გოგოლაშვილი 2013 – გ. გოგოლაშვილი, ქართული სალიტერატურო ენა, ნარკვევები, თბილისი, 2013.

ლომთაძე 2010 – თ. ლომთაძე, თანამედროვე ქართული სოციოლექტები, თბილისი, 2010.

ლომთაძე, ჯანჯღავა, 2017 – თ. ლომთაძე, ც. ჯანჯღავა, ქართველ ებრაელთა ინტონაციისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 46, თბილისი, 2017.

ჭიჭინაძე 1970 – ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში, თბილისი, 1970.

### წყაროები:

კლდ. ტ. I – დავით კლდიაშვილი, თხზულებანი ორ ტომად, ტ. I, თბილისი, 1981.

ქეგლ-ი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

„ჩვენი საუნჯე“ – დ. კლდიაშვილი, თხზულებანი: „ჩვენი საუნჯე“, ტ. XIV, თბილისი, 1961.

## კოლოკაციათა სახეები და ფუნქციები ქართულ-გერმანულ ლექსიკონში

### 1. შესავალი

#### 1.1 კოლოკაციის ცნების შესახებ

ამ ბოლო დროს ლინგვისტიკაში, განსაკუთრებით ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიაში, ძალიან აქტუალური გახდა კოლოკაციების საკითხი. მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა კორპუსლინგვისტიკის განვითარების შედეგად.

**კოლოკაცია**, როგორც ლინგვისტური ტერმინი, არც ისე დიდი ხანია, რაც გამოიყენება. ის მოდის ლათინური სიტყვისგან “collocatio” (მდებარეობა, პოზიცია; მონყოფა, მონესრიგება) და აღნიშნავს სიტყვათა ხშირ გამოყენებას ერთმანეთის მეზობლად (იხ. ვიკიპედ. 1).

ენათმეცნიერებაში ტერმინი (ინგლ. collocation) დაამკვიდრა **ჯონ რუპერტ ფირსმა** (1890-1960), თუმცა მას არ მოუცია ცნების დანვრილებითი განმარტება, დაასახელა მხოლოდ რამდენიმე ნიმუში. მაგალითად, სიტყვა **ღამე**, რომელთანაც ხშირად გამოიყენება ზედსართავი სახელი: ბნელი და პირიქით. სწორედ კოლოკირების უნარი აზუსტებს და წარმოაჩენს ამ ლექსემის ერთ-ერთ მნიშვნელობას (იხ. ვიკიპედ. 2; ფირსი 1951:190-215).

**კოლოკაცია**, როგორც ტერმინი, გამოიყენება ენის სხვადასხვა დონეზე. ჯერ კიდევ 1969 წელს, სანამ ენათა კორპუსები შეიქმნებოდა, „ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონში“ მოცემულია შემდეგი განმარტება: „სიტყვათა ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურად განპირობებული შეხამებულობა მეტყველებაში, როგორც მათი პოლისემიის რეალიზაცია“ (ახმანოვა 1969). **ლანგენშაიდტის** ლექსიკონის განმარტება მისადაგებულია ამ ცნების მნიშვნელობასთან ლექსიკოგრაფიაში: „კოლოკაცია არის რამდენიმე სიტყვის ტიპობრივი ერთობა (მაგ., ზედსართავისა და არსებითი სახელების ან ზმნისა და ობიექტის), რომლებიც ქმნიან ერთ სინტაქსურ ოდენობას“ (ლანგენშაიდტი 2008:628).

სიტყვათა წყვილის ხშირი გამოყენება ერთად შემთხვევითი არაა და თანაარსებობის რამდენიმე ფაქტორს გამოყოფენ: არსობრივ ურთიერთგანპირობებულობას დენოტატებს შორის, სემანტიკურ ასოციაციას, ლექსიკურ სოლიდარობას, ფრაზეოლოგიზმებსა და კონცეპტუალურ სტერეოტიპებს (იხ. თანდაშვილი, ფურცხვანიძე 2014ა:53). კოლოკაცია, როგორც ტექსტის ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი ცნება, „ნიშნავს ორი ლექსემის უშუალო თანაარსებობას, გვერდიგვერდ პოზიციებას“ (იქვე:52). კორპუსული კვლევების ეპოქაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა კოლოკაციის გამოყოფის საკითხი და ეს ტერმინი „აღნიშნავს ყველაზე ხშირად გამოყენებული ლექსიკური ელემენტების (კორპუსში – ტოკენების) სტატისტიკურად დაანგარიშებად თანაარსებობას“ (თანდაშვილი, ფურცხვანიძე 2014ბ:53).

## 1.2 კოლოკაცია და ენათა სწავლება

უაღრესად მნიშვნელოვანია კოლოკაციების გამოყენება უცხოური ენის სწავლებაში და სასწავლო ლექსიკონები ითვალისწინებს ლექსიკური ერთეულების სიხშირულ მონაცემებს. დიდი ყურადღება ექცევა გავრცელებულ სიტყვათმეხამებათა (სიტყვათა კომბინაციების) შესწავლას უცხოური ენის ასათვისებლად. ამ ბოლო დროს საზღვარგარეთ მეცნიერები ბევრს მსჯელობენ ამ საკითხზე და მიიჩნევენ, რომ კოლოკაციათა მნიშვნელობას მანამდე უცხოური ენის დიდაქტიკაში დაუმსახურებლად უგულებელყოფდნენ და ყურადღების მიღმა რჩებოდათ (ტარგონსკა 2014; მისივე 2015 და სხვ.).

დღეს ბევრი ენისთვის არის შედგენილი კოლოკაციათა ლექსიკონებიც (ზოგ ენაში – რამდენიმეც კი), მაგალითად: ინგლისური ენისა (იხ. ოქსფორდის კოლოკაც. ლექს.), გერმანული ენისა (იხ. გერმ. კოლოკ. ლექს.; ქვატჰოფი 2011) და სხვ., რაც შესაძლებელი გახდა კორპუსულ მონაცემებზე დაყრდნობით.

უნდა აღინიშნოს, რომ მყარ სიტყვათმეხამებათა თუ გავრცელებულ სინტაგმათა ლექსიკონებს ადგენდნენ კორპუსულ კვლევებამდეც, ოღონდ კორპუსის მონაცემების გამოყენება სიტყვათა კომბინირების შესაძლებლობის დადგენას გაცილებით სარწმუნოს ხდის.

## 2. კოლოკაცია, კოოკურენცია და მათი სახეები

### 2.1 კოლოკაცია და კოოკურენცია

კორპუსლინგვისტიკაში განასხვავებენ **კოლოკაციისა** და **კოოკურენციის** ცნებებს. საინტერესოა პროფ. გერჰარდ ჰაიერის პროგრამა, რომელიც ეფუძნება ამ ცნებებს.<sup>1</sup> სპეციალური პროგრამის საშუალებით ავტომატურად იგება კოლოკაციათა გრაფიკული სქემები. მაგალითად, ლაიფციგის უნივერსიტეტის კორპუსში შედის კორპუსზე დაყრდნობით შექმნილი 428 ერთენოვანი ლექსიკონი (252 ენას შორის ქართული ენაცაა) (იხ. ლაიფციგის კორპუსი).

თუკი შევადარებთ გერმანული და ქართული ენების რომელიმე სიტყვის კოოკურენტებს ლაიფციგის კორპუსის გრაფიკებში, მსგავსებაზე მეტი განსხვავება წარმოჩნდება. მაგალითად, ქართული „**კატა**“ და გერმანული „**Katze**“. სქემის მიხედვით, ქართულ ენაში ყველაზე გავრცელებულია სიტყვათა კომბინაციები: „შავი კატა“, „გლამურული კატა“, „ჩექმებიანი კატა“ (ზღაპრის პოპულარობის გამო) და, რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, „კატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფია“ (ე. თ. ჰოფმანის ნაწარმოები).

გერმანულ კორპუსში „**Katze**“-სთან დაკავშირებულია არსებითი სახელები: თავგი, ძაღლი, ცხოველი, ვეტერინარი და კუდი; რაც შეეხება სიტყვა ტომარას (**Sack**), მისი სიხშირე განპირობებულია ორი გერმანული იდიომის გავრცელებულობით: **die Katze im Sack kaufen** – კატის ყიდვა ტომარაში, რაც ნიშნავს რამის

<sup>1</sup> **კოლოკაცია** – ტექსტში სიტყვის მეზობლად მდგარი მეორე სიტყვის პოზიტივობა; **კოოკურენცია** – ტექსტურ მასივში მოცემულ სიტყვასთან ყველაზე ხშირად გამოყენებული მეორე სიტყვის პოზიტივობა (იხ. თანდაშვილი, ფურცხვანიძე 2014ა), ანუ ორი ტოკენის თანაობა კონტექსტში (იხ. თანდაშვილი, ფურცხვანიძე 2014ბ).



ბრმად, შეუმონმებლად, ალაღბედზე ყიდვას (როცა ვაჭარი რამეს შეატყუებს მყიდველს); მეორე გამოთქმაც (**die Katze aus dem Sack lassen**) მასთანაა დაკავშირებული და ნიშნავს მოტყუების მცდელობის გამოააშკარავებას.<sup>1</sup>

კორპუსში არის სტატისტიკური მონაცემები თითოეული კოოკურენტის გამოყენების შესახებ. **მარცხენა** მეზობლობაში მყოფი კოოკურენტებია:<sup>2</sup> გლამურული (3,751), შავი (3,583), ჩექმებიანი (2,227), თეთრი (430), მჩხავანა (359), გარეული (349), შინაური (343), მოკლებენვიანი (321), ველური (311), საყვარელი (310), მკვდარი (217), მსუქანი (203), შინაური (343), ჭრელი (189), უპატრონო (173), სანყალი (132), ბებერი (130), ხნიერი (119), ფუმფულა (111), ხანდაზმული (105), ასაკოვანი (104), მანანნალა (103), ბრაზიანი (92), გაბრაზებული (88)...

**მარჯვენა** მეზობლობაში მყოფი კოოკურენტებია: მურის (2711), გამოთხარაო (837), კურნავს (448), ჰყავს (245), ცხოვრობს (232), ლეოპოლდი (182), მყავდა (180), თავვობანა (140), გადაურბენს (120), ძეხვს (87), დაეკარგა (82)...

ეს პატარა შედარებაც კი მოწმობს, რამდენად საინტერესოა ამ ტიპის კვლევის მონაცემთა შეპირისპირება სხვადასხვა ენის მიხედვით და რამდენად გამოსადეგია ლექსიკონთა შედგენისას მსგავსი ანალიზის საფუძველზე კოლოკაციათა შერჩევა.

ძიების მოხერხებული აპარატით გამოირჩევა **ქართული ენის ეროვნული კორპუსი** (იხ. ქვევ), რომელიც ცალკეულ სიტყვასთან არჩევს კოოკურენტებს (გამოყენებულია ტერმინი კოლოკაცია), რაც ლექსიკოგრაფიის წინაშე ახალ პერსპექტივას შლის და უაღრესად საინტერესო მასალას იძლევა კვლევის გასაღრმავებლად. კორპუსის მიხედვით ასეთი სურათი იხატება: სიტყვასთან „**კატა**“ ატრიაბული კოლოკაციებია: მჩხავანა, ჩექმებიანი, რუხბენვიანი, შავი, ხატაურა, ხვადი... **ზმნური**: კნაოდა, კნავის, ჩხაოდა, გადაგვირბენს, შემოგვახტა, დარბის, წამოფრინდა, თხარა... **სახელებიდან** გვხვდება: თავი და ლეოპოლდი.

რომ შევადართო სიტყვა „**Katze**“-ს კოლოკაციები ლანგენშაიდტის სასწავლო ლექსიკონში, დავრწმუნდებით, რომ მასში შესიტყვებები შერჩეულია გერმანული ენის კორპუსის სისპირულ მონაცემებზე დაყრდნობით, მაგრამ ექვემდებარება მთავარ მიზანს: სიტყვის სემანტიკის ბოლომდე გახსნას. მაგალითად, ჯერ მიწერილია ამ არსებით სახელთან ხშირად გამოყენებული ზმნები: კნავის, კრუტუნებს, იკანრება, ფხაჭნის, იკუზება, პირს იბანს; შემდეგ მითითებულია კატა, როგორც შედარების ობიექტი: კატასავით მოქნილი, ფრთხილი, შემპარავი, ქლესა; მითითებულია ზემოთ დასახელებული იდიომები (იხ. ლანგენშაიდტი 2008:603-604).

## 2.2 კოლოკაციათა კლასიფიკაცია კომპონენტების მიხედვით

ლექსიკოლოგთა და ლექსიკოგრაფთა შორის არაა ერთიანი აზრი კოლოკაციის სახეების შესახებ. აგებულიების მიხედვით გამოყოფენ მათს 2, 3 ან მეტ ჯგუფსაც. მაგალითად, ერთ-ერთი კლასიფიკაციის თანახმად, გამოყოფილია მხოლოდ

<sup>1</sup> გერმანული კორპუსი მოიცავს გაზეთებიდან ამოკრებილ 46 მილიონ წინადადებას; ქართული კორპუსი ეყრდნობა 2017 წლის მასალას, 49 მილიონზე მეტ წინადადებას.

<sup>2</sup> ვასახელებთ მხოლოდ ნაწილს.

ორ ტიპი: **ზმნური და სახელური**, სხვა შეხედულებით კი – **ზმნურ-სახელური, ატრიბუტული და ადვერბული** (იხ. ბიალექი 2004:223-231).

ვფიქრობთ, კოლოკაციათა სახეების ერთ-ერთ საუკეთესო კლასიფიკაციას გვაძლევს **ალ. გეიკენი** გერმანული ენის კორპუსულ ლინგვისტიკაზე დაყრდნობით და კომპონენტების მიხედვით გამოყოფს რამდენიმე ტიპს. მეცნიერი კოლოკაციებს ყოფს ორ დიდ ჯგუფად: **ფრაზისშიდა და ზეფრაზულ** რელაციებად. **პირველში** შეჰყავს სახელებისგან შედგენილი კოლოკაციები: **A(ATTR)+N; A+A; N(gen)+N; Adv+A**. **ზეფრაზულ** რელაციებში ანუ ზმნურკომპონენტთან კოლოკაციებში – **N(SUBJ)+V; N(SUBJ)+V(P); N(OBJA)+V; N(OBJD)+V; V+N+Post; Adv+V<sup>1</sup>** (გეიკენი 2011:9-20). სწორედ ეს კლასიფიკაცია უდევს საფუძვლად გერმანული ენის კოლოკაციათა ბეჭდურ ლექსიკონს (იხ. ქვასტჰოფი 2011).

გარდა კოლოკაციების სტრუქტურული ნაირსახეობისა, განარჩევენ **ფუნქციურ-სემანტიკურ** ანუ **შინაარსობრივ** ტიპებსაც: ტრადიციულს, ექსპრესიულს, ოკაზიურს, ეთნოკულტურულსა და ტერმინოლოგიურს (იხ. ვლავაცკაია 2015:56-60), თუმცა ამჯერად მათზე არ შევარჩევთ ყურადღებას.

### 3. კოლოკაციები და ლექსიკონი

კოლოკაციების მითითება ყველაზე გავრცელებული ხერხია განმარტებითა და თარგმნით ლექსიკონებში (განსაკუთრებით, სასწავლოში), რადგან წარმოაჩენს ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკურ შეხამებულობას და ხელს უწყობს მათი მნიშვნელობების დაზუსტებას.

ლექსიკონებში გამოყენებულია **კოლოკაცია** და არა კოოკურენცია, რადგან დასახელებულია არა კოოკურენტები, არამედ სიტყვათა მეტ-ნაკლებად მყარი და ხშირად გამოყენებული კომბინაციები. ესაა ერთ-ერთი საშუალება ლექსიკურ ერთეულთა სრული გრამატიკულ-სემანტიკური და სტილისტური დახასიათებისთვის, რათა მომხმარებელმა სწორად გამოიყენოს სიტყვა ზეპირ და წერილს მეტყველებაში.

ტრადიციულად, ორენოვანი ლექსიკონისთვის მთავარია თარგმნითი ეკვივალენტების მოძიება, მაგრამ არამონათესავე ენებში ზუსტი ეკვივალენტი საკმაოდ მცირეა. ამიტომ საჭიროა სიტყვათა კომბინაციების მოშველიება.

ლექსიკონში კოლოკაციის ერთ-ერთი კომპონენტი ძირითადი სალექსიკონო ერთეული – ლემა, მეორე კი – მასთან ხშირად გამოყენებული რომელიმე ლექსიკური ერთეული: ზმნა, არსებითი სახელი (მასდარი), ზედსართავი სახელი (მიმდებობა) და ზმნიზედა. ეს ლექსიკური ერთეულების სემანტიზაციის ერთ-ერთი საშუალებაა (იხ. ზეჟალაშვილი 2018: 259-266).

#### 3.1 კოლოკაციათა სახეები ქართულ-გერმანულ ლექსიკონებში

ორენოვანი ლექსიკონისთვის აუცილებელია თარგმნითი ეკვივალენტების ჩვენება, მაგრამ სიტყვის დეფინიციის შესავსებად, დასაზუსტებლად, სემანტიკური ნიუანსებისა და მისი გამოყენების სპეციფიკის გასაგებად უთითებენ სიტყვათა კომბინაციებს ანუ კოლოკაციებს. განვიხილავთ, რა ტიპის კოლოკაციე-

<sup>1</sup> შემოკლებათა განმარტებები მოცემულია ტექსტის ბოლოს.

ბია გამოყენებული 2009 წელს გამოქვეყნებულ ქართულ-გერმანულ ლექსიკონში (იხ. ზექალაშვილი 2009; მე-2 გამოცემა – 2015).

მართალია, კოლოკაციათა ალ. გეიკენისეული კლასიფიკაცია გერმანულ ენას მიემართება, მაგრამ კომპონენტთა შედგენილობის მიხედვით განსხვავება ქართულ და გერმანულ კოლოკაციებს შორის არც ისე დიდი ჩანს. სხვაობა ვლინდება კოლოკაციის სახეთა სიხშირულ განაწილებაში. მაგალითად, ქართულ ენაში ბევრია კოლოკაცია არსებით სახელებთან, რაც განპირობებულია გერმანულში კომპოზიტთა დიდი რაოდენობით, რომელთა სემანტიკა ქართულად სუბსტანტიურმსაზღვრელიანი შესიტყვებით გადმოიცემა.

ამას გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ ზმნათა წარმოდგენის ხერხს ლექსიკონში: მასდარიანი კოლოკაციები შუალედურ ადგილს იკავებს სახელურსა და ზმნურს შორის და შედის სუბსტანტიურმსაზღვრელიანი შესიტყვებებში. ამის გამო დასახელებულ ლექსიკონში შედარებით ნაკლებია ქართული ზმნური კოლოკაციები, რომლებიც ჩანაცვლებულია მასდართან გამოყენებული ქვემდებარისებრი და პირდაპირდამატებისებრი უბრალო დამატებით.

ლექსიკონში გამოყენებულია კოლოკაციათა ყველა დასახელებული ტიპი: **არსებით** სახელებთან – ატრიბუტულ- და სუბსტანტიურმსაზღვრელიანი შესიტყვებები: **A+N; N(gen)+N; ზმნებთან** – არსებითი სახელი სუბიექტის, პირდაპირი/ირიბი ობიექტის, უბრალო დამატებისა (ან გარემოების) ფუნქციით: **V+N(nom); V+N(Dat); V+N(Inst)** ან **V+N+ Post; Adv+V**.

### 3.1.1 სახელური კოლოკაციები

სახელურ ჯგუფში გაერთიანებულია ორი ტიპის **მსაზღვრელის** შემცველი შესიტყვებები: ატრიბუტულ- და სუბსტანტიურმსაზღვრელიანი: **A+N; N(gen)+N**. არსებით სახელთან ხშირად დასახელებულია ორივე ტიპის მსაზღვრელიანი შესიტყვება.

**ა. ატრიბუტულმსაზღვრელიანი კოლოკაციებში არსებით სახელთან** დაკავშირებულია ზედსართავი სახელი: **A (ATTR)+N**:

**აბრეშუმი:** Seide *f*, ხელოვნური აბრეშუმი Kunstseide *f*, Viskose *f*.

**აგური:** საგალავნე აგური Mauerstein *m*, ცეცხლგამძლე აგური feuerfester Ziegel.

**ბალი:** ბოტანიკური ბალი botanischer Garten; ზოოლოგიური ბალი zoologischer Garten; Tiergarten *m*; საბავშვო ბალი Kindergarten *m*.

**ბეჭედი:** სახელმწიფო ბეჭედი Staatsiegel *n*.

ამავე ჯგუფში შედის ზედსართავ სახელებთან გამოყენებული კოლოკაციები, იმ განსხვავებით, რომ ლემა ზედსართავი სახელია, ხოლო კოლოკანტი – არსებითი სახელი: **A+N**.

**აგრარული:** აგრარული ქვეყანა Agrarland *n*; აგრარული კრიზისი Agrarkrise *f*; აგრარული რეფორმა Agrarreform *f*; აგრარული საკითხი Agrarfrage *f*.

**ადმინისტრაციული:** ადმინისტრაციული მოხელე Verwaltungsbeamte *m (f)*; ადმინისტრაციული რაიონი Amtsbezirk *m*; ადმინისტრაციული სამართალი Verwaltungsrecht *n*; ადმინისტრაციული სასამართლო Verwaltungsgericht *n*; ადმინის-

ტრაციული სასჯელი Verwaltungsstrafe *f*; ადმინისტრაციული ხარჯები Verwaltungsausgaben *pl*; ადმინისტრაციული ხელისუფლება Amtsgewalt *f*.

**ბრმა:** ბრმა ტყვია Zufalls|treffer *m*; ბრმა ნანლავი ანატ. Blinddarm *m*.

**ბობოქარი:** ბობოქარი ზღვა hochgehende See; ბობოქარი მოქცევა Sturmflut *f*.

**ბრიყვული:** ბრიყვული საქციელი Schwabenstreich *m*; ბრიყვული სახე Schafsgesicht *n*; ბრიყვული ხუმრობა ein fauler Witz.

**აბსოლუტური:** აბსოლუტური სიდიდე მათ. absolute Größe; აბსოლუტური სიჩქარე ფიზ. Absolutgeschwindigkeit *f*; აბსოლუტური უმრავლესობა absolute Mehrheit; აბსოლუტური უფლება პოლ. unbedingtes Recht.

მსაზღვრელად შეიძლება გამოიყენებოდეს მიმღეობა ან ლემა იყოს ნაზმნარი არსებითი სახელი: VA+N, A+VN ან VA+VN.<sup>1</sup>

**ბ. სუბსტანტიურმსაზღვრელიან კოლოკაციებში** ნათესაობით ბრუნვაში მდგომ არსებით სახელთან (ან მასდართან) დაკავშირებულია არსებითი სახელი: N(gen)+N და მისი სახელზმნური ნაირსახეობები: N(gen)+VN; VN(gen)+VN.

ხშირად კოლოკაციების მითითების აუცილებლობას არსებით სახელებთან განაპირობებს ენათა ტიპოლოგიური თავისებურება. მაგალითად, გერმანულ ენაში კომპოზიტთა სიჭარბის გამო მათი ქართული ეკვივალენტები სიტყვათშეხამებშია და აუცილებელი ხდება კოლოკაციების ცალკე მითითება:

**აბონემენტი:** აბონემენტის ვადა Leihfrist *f*; აბონემენტის ნომერი Benutzer-nummer *f*.

**აგებულება:** ნივთიერების აგებულება ქიმ. Stoffbau *m*; სხეულის აგებულება ანატ. Körperbau *m*; წინადადების აგებულება გრამ. Satzbau *m*.

**ადამიანი:** ადამიანის მოდგმა Menschengeschlecht *n*; Menschenschlag *m*; ადამიანის რასა Menschenrasse *f*.

**აბრეშუმი:** აბრეშუმის დახვევა Seidenspinnerei *f*; აბრეშუმის პარკი Seidenkokon *m*; აბრეშუმის ფაბრიკა Seidenspinnfabrik *f*; აბრეშუმის ქსოვილი Seidengewebe *n*; აბრეშუმის ძაფი Seidenfaden *m*; Seidenzwirn *m*.

**ბიბლია:** ბიბლიის ენა Bibelsprache *f*; ბიბლიის განმარტება Bibelauslegung *f*; ბიბლიის თარგმანი Bibelübersetzung *f*.

**ვნება:** ვნების კვირა (შვიდეული) ეკლ. Leidenswoche *f*; Passionswoche *f*; ვნების პარასკევი ეკლ. Karfreitag *m*; ვნების შაბათი ეკლ. Karsamstag *m*; Karsonnabend *m*; ქრისტეს ვნებანი ეკლ. Leiden Christi.

**ბარათი:** თანაგრძნობის ბარათი Leidkarte *f*; შენიშვნების ბარათი Notizzettel *m*.

**აგური:** აგურის თალი Ziegelbogen *m*; აგურის ნაგებობა Ziegelbau *m*; აგურის სახლი Backsteinhaus *n*; აგურის სახურავი Ziegeldeckung *f*; აგურის ქარხანა Ziegelbrennerei *f*; აგურის ღუმელი Ziegelofen *m*.

**აკადემია:** Akademie *f*; მეცნიერებათა აკადემია Akademie der Wissenschaften; ხელოვნების აკადემია Akademie der Künste; აკადემიის წევრი Mitglied der Akademie.

<sup>1</sup> სახელზმნის შემცველი კოლოკაციების ცალკე ჯგუფად გამოყოფა ქართული ენისთვის არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რადგან სინტაქსურად ისიც სახელის ფუნქციას ასრულებს და ამ თვალსაზრისით არ განსხვავდება არსებითი ან ზედსართავი სახელისაგან.

ქართულ ენაში ლემათა დიდ რაოდენობას წარმოადგენს ნაზმნარი არსებითი სახელი, რომელთანაც დგას გენიტიური მსაზღვრელი. ამის მიზეზი ისაა, რომ ნაზმნარ არსებით სახელთან სუბიექტი ან ობიექტი იქცევა გენიტიურ უბრალო დამატებად. ამ სიტყვათა კომბინაციების შესატყვისი გერმანულში **ზმნური კოლოკაციებია: VN(gen) +N: ალესვა** (ალესავს) *anschleifen vt; schärfen vt*; დანის ალესვა *ein Messer wetzen*; კბილების ალესვა *die Zähne wetzen gegen j-n (A)*.

**ამოღება:** ვალების ამოღება *Schulden einkassieren*; კენჭის ამოღება (გათამაშებაში) *das Los ziehen*; ნახველის ამოღება *მედ. aushusten*; ფესვის ამოღება *მათ. die Wurzel ausziehen*.

ლექსიკონში ზოგჯერ მასდართან ფრჩხილებში ან უფრჩხილებოდ მიწერილია ნათესაობითი დასმული სიტყვა, რომელიც აზუსტებს, ვის ან რას მიეწერება მოქმედება. აქ შეინიშნება ასიმეტრია ქართული და გერმანული სიტყვების სემანტიკაში. მსგავსი მაგალითები მხოლოდ აზუსტებს შესაბამისი სიტყვის სემანტიკას და არაა კოლოკაცია, რადგან თარგმნილია არა შესიტყვებით, არამედ რომელიმე ზმნით:

**ბლავილი:** (საქონლის) *muhen vi*; (ცხვრის) *bähen vi; blöken vi*.

**აკეცვა:** *aufkrepeln vt; aufstreifen vt*; სახელოს აკეცვა *aufschlagen*; (რამის გადაკეცვა) *umbiegen*; *einbiegen*; ქუდის აკეცვა *aufstülpen*; კალთის აკეცვა (აკრეფა) *auffraffen*; *aufschürzen*.

### 3.1.2 ზმნური და ზმნიზედური კოლოკაციები

ზმნური კოლოკაციების სიმცირე ქართულ-გერმანულ ლექსიკონში საგრძნობია, რაც გამომწვეულია განსახილველ ლექსიკონში ზმნის გადმოცემის შერჩეული მეთოდით: ამოსავალია მასდარი და არა ზმნა (თუმცა ფრჩხილებში მითითებულია შესაბამისი ზმნა ანმცოს მესამე პირის ფორმით). მასდართან მითითებულია არა სუბიექტი ან ობიექტი, როგორც ეს გერმანულ ენაშია, არამედ სახელი ნათესაობით ბრუნვაში. ამიტომ კოლოკაციათა ეს ტიპი განხილულია გენიტიურმსაზღვრელიან სახელებთან.

**ზმნურ (V+N)** კოლოკაციებში ზმნასთან დაკავშირებულია უთანდებულო ან თანდებულიანი სახელები: **V+N(nom) = V+N(SUBJ); V+N(dat) = V+N(OBJ):**

**V+N(SUBJ): ავარდნა:** სისხლი თავში აუვარდა *das Blut stieg ihm zu Kopf*; თავში ღვინო აუვარდა *der Wein stieg ihm zu Kopf*.

**არგამოჩენა:** *fortbleiben vi; unterbleiben vi*; ჩემი მეგობარი ჯერ არ გამოჩენილა *mein Freund bleibt noch fort*.

**ამოჭრა:** ბავშვს კბილები ამოეჭრება *das Kind sahnt*.

**აღდგენა:** ის თავის უფლებებში აღდგა *იურ. die Rechte wurden ihm wieder zuerkannt*.

**ბედი:** ვ-ს ბედი აქვს (სწყალობს, ენია) *Glück haben*; ვ-ს ბედი არა აქვს (არ სწყალობს) *Pech haben*; *auf keinen grünen Zweig kommen*.

**V+N(OBJ): ასახელებს:** (მან) ასახელა ქვეყანა *er hat sein Land berühmt gemacht*; თავი ისახელა *er wurde berühmt*; *er hat sich (D) einen Namen gemacht*.



**ასახვა:** რომანი კარგად ასახავს ცხოვრებას *der Roman ist dem Leben abgelauscht*.  
**ამონურვა:** erschöpfen *vt*; ausschöpfen *vt*; შესაძლებლობებს ამონურავს mit seinem Latein (seiner Weisheit) am Ende sein.  
**ამოძრობა:** ზმნასთან დგას პირდაპირი ობიექტი: სოლს ამოაძრობს einen Keil ausschlagen; დასახელებულია იდიომებიც: (ვ-ს) სულს ამოაძრობს (თავს მოაბეზრებს) *j-m (D)* auf den Geist gehen; გაჭირვებამ სული ამოაძრო er lebt in großer Armut.  
**ვიზა:** ვიზას გაცემს das Visum erteilen; ვიზას მიიღებს das Visum erhalten.  
**ახელა:** (აეხილება) aufgehen *vi(s)*; ვ-ს თვალს აუხელს *j-m (D)* die Augen öffnen; თვალეზი აეხილა der Blinde beginnt zu sehen.

**ადვერბულ (ზმნიზედურ) კოლოკაციებში** ზმნასთან ან მასდართან დაკავშირებულია ზმნიზედა **Adv+V** ან **Adv+VN**.

**ბრმად:** ბრმად ერთგული blind ergeben; ბრმად მიბაძვა nachäffen *vt*; ბრმად სიარული im Finsternen tappen; (რ-ის) ბრმად ყიდვა die Katze im Sack kaufen.

ადვერბული ფუნქციით ზოგჯერ გამოყენებულია თანდებუნიანი სახელიც: **V+N(+Post); Adv + VN**.

**ბოლო:** ბოლომდე მიყვანა zu Ende bringen; ბოლოდან საქმის დანყება das Pferd am Schwanz aufzäumen.

**N(+Post)+VA:** ვერცხლისწყალივით მოუსვენარი.

**აზრი:** აზრზე მოსვლა zu sich kommen; აზრზე არ არის (არაფერი არ იცის) keine Ahnung (*von D*) haben!; მე იმ აზრზე ვარ... ich halte dafür.

### 3.2 მუდმივკომპონენტის კოლოკაციები

კომპონენტთა ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით, ლექსიკონში გვხვდება როგორც ცვლად-, ისე მუდმივკომპონენტის კოლოკაციები: მყარი იდიომატური გამოთქმები ან ტერმინოლოგიური შესიტყვებები, რომელთა კომპონენტების ჩანაცვლება და სიტყვასიტყვითი თარგმნა შეუძლებელია.

**ტერმინოლოგიურ შესიტყვებებთან** მითითებულია შესაბამისი დარგი.

მაგალითად, ანატომიურ ტერმინთან **ვენა:** Vene *f*; Blutader – ჩამოთვლილია რამდენიმე კლინიკური ტერმინი: ვენის დახშობა *მედ.* Venenverschluss *f*; Venenverstopfung *f*; ვენების ანთება *მედ.* Venenentzündung *f*; ვენების გაგანიერება *მედ.* Venenerweiterung *f*; Krampfader *f*; ვენების შევიწროება *მედ.* Venenverengung *f*.

სიტყვასთან **ვენერა** (მეორე მნიშვნელობით, სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი) წერია ორი ბოტანიკური ტერმინი: ვენერას თმა *ბოტ.* Venushaar *n* და ვენერას ქოში *ბოტ.* Venusschuh *m*.

კოლოკაციის ერთ-ერთი სახეა **იდიომატური გამოთქმები**. მაგალითად, სიტყვა **ვაცთან** (Bock *m*) მითითებულია იდიომი **განტევების ვაცი** (Sündenbock *m*); სიტყვასთან **ამოლება** დასახელებულია შემდეგი მყარი შესიტყვებები ანუ კოლოკაციები: ხმარებიდან ამოლება aus dem Gebrauch setzen; მიზანში ამოლება zielen *vi* (*auf A*; *nach D*); თვალში ამოლება Abneigung empfinden (*gegen A*); ხმის ამოლება einen Laut von sich geben; die Stimme erheben (რამის წინააღმდეგ).

### 3.3 ტაქსონომიურ მიმართებათა ასახვა კოლოკაციებში

კოლოკაციები ზოგჯერ წარმოაჩენს სიტყვების სისტემურ მიმართებასა და ტაქსონომიურ დამოკიდებულებასაც. ამ შემთხვევაში ჰიპერონიმებთან დასახელებულია ჰიპონიმები. ეს კი ავსებს და აზუსტებს სალექსიკონო ერთეულის სემანტიკას.

მაგალითად, ჰიპერონიმია **აბაზანა**, რომელთანაც დასახელებულია ჰიპონიმები: მზის აბაზანა *Sonnenbad n*; ჰაერის აბაზანა *Luftbad n*.

სიტყვასთან **ადგილი** *Sitz m; Platz m*, წერია **ჰიპონიმები**: ადგილი პარტერში *თეატრ. Parkettplatz m*; დასასვენებელი ადგილი *Kurort m; Badeort m*; მოქმედების ადგილი *Handlungsort m*; (ტრანსპორტის) გაჩერების ადგილი *Haltestelle f*; საბანაო ადგილი *Badestelle f*; თავშეყრის ადგილი *Sammelpunkt m*.

**ვარდი**: *Rose f*, ჰიპონიმური კოლოკაციებია: ველური ვარდი *Wildrose f* და ჩაის ვარდი *Teerose f*.

**ბუდე**: *Nest n; Horst m*; არნივის ბუდე *Adlerhorst m*; ჭიანჭველების ბუდე *Ameisenhügel m*; გადატანით: თავად-აზნაურთა ბუდე *Adelssitz m*; ავაზაკების ბუდე *Spielhölle f*; ბოროტების ბუდე *das Nest des Bösen*; ტერმინოლოგიური შესიტყვება: სიტყვის ბუდე *ლინგვ. Wortfamilie f*.

### 3.4 კოლოკაციათა სახეების სხვაობის მიზეზები ქართულ და გერმანულ ენებში

ქართული და გერმანული კოლოკაციების განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ მათი ტიპები ხან ემთხვევა ერთმანეთს, ხან კი – არა და ვლინდება შემდეგი მიმართებები:

1. ორივე ენის კოლოკაციის ტიპი **ერთნაირია**. ასეთი რამ უმეტესად დასტურდება სახელურ კოლოკაციებთან, განსაკუთრებით – ატრიბუტულმსაზღვრელიან შესიტყვებებში.

2. ქართულ შესიტყვებას (კოლოკაციას) გერმანულ ენაში შეესაბამება რთული სიტყვა.

3. ქართულ რთულ სიტყვას გერმანულში შეესაბამება სიტყვათა კომბინაცია (კოლოკაცია).

ასეთი ასიმეტრია გამოვლინდა კოლოკაციათა ტიპების მიხედვით ქართულ და გერმანულ ენებში. ლექსიკონში ამოსავალია ქართული ენა, კოლოკაციათა თარგმნითი ეკვივალენტი კი შესაძლებელია იყოს რთული სიტყვა და არა კოლოკაცია.

გარდა ამისა, ქართული ენის მასდარული შესიტყვებები გადმოიცემა გერმანული ინფინიტივით, ხოლო სახელის ბრუნვას განსაზღვრავს ზმნის ვალენტობა. ქართულ ენაში ნაზმნარ არსებით სახელთან დგას არა ქვემდებარე ან დამატება, არამედ გენიტიური უბრალო დამატება (ზოგჯერ – თანდებულისანიც). ამის გამო გერმანულ ნაწილში ზმნური კოლოკაციები გაცილებით მეტია, ვიდრე ქართულში.

## 4 ძირითადი დასკვნები

როგორც განხილული მაგალითები მოწმობს, კოლოკაციები დიდ როლს ასრულებს თარგმნის ლექსიკონში. მათი შერჩევა დამოკიდებულია როგორც ამოსავალი ენის, ისე სათარგმნი ენის სპეციფიკაზე და ეხმარება მომხმარებელს სიტყვათა სემანტიკური შეხამებულობის გარკვევაში.

დაკვირვების საფუძველზე დადასტურდა, რომ დასახელებულ ქართულ-გერმანულ ლექსიკონში ყველაზე მეტად გამოყენებულია გენიტიურმსაზღვრელიანი კოლოკაციები, რომელთა ერთი ნაწილი მყარი ან ტერმინოლოგიური შესიტყვებებია. ეს გამოიწვია ქართულში ზმნების წარმოდგენამ მასდარის ფორმით. ამდენად, გერმანული ზმნური კოლოკაციები ჩანაცვლებულია ქართულში მასდარის შემცველი გენიტიური შესიტყვებებით, ამიტომ ჭარბობს ქვემდებარისებრი და დამატებისებრი უბრალო დამატების შემცველი გენიტიური კოლოკაციები.

ლექსიკონში კონკრეტულ სალექსიკონო ერთეულთან ქართული და გერმანული ენების კოლოკაციათა ტიპების ასიმეტრია განპირობებულია ამ ენათა სპეციფიკით, მაგალითად, სახელურ კოლოკაციათა დიდი რაოდენობა ქართულში გამონვეულია კომპოზიტთა სიჭარბით გერმანულში.

ქართულ-გერმანულ ლექსიკონში ყველა ტიპის კოლოკაცია თარგმნითი ეკვივალენტების შემავსებელი საშუალებაა.

### შემოკლებათა სია

A – ზედსართავი სახელი

Adv – ზმნიზედა

ATTR – მსაზღვრელი (ზედსართავი სახელი ან მიმლეობა)

N – არსებითი სახელი

N (nom) – არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში

N (dat) – არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში

N (gen) – არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში

N (inst) – არსებითი სახელი მოქმედებით ბრუნვაში

N (adv) – არსებითი სახელი ვითარებით ბრუნვაში

OBJA – სახელი პირდაპირი ობიექტის როლში

OBJD – სახელი ირიბი ობიექტის როლში

Post – თანდებული

SUBJ – სახელი სუბიექტის როლში

V – ზმნა

VA – ნაზმნარი ზედსართავი სახელი (მიმლეობა)

VN – ნაზმნარი არსებითი სახელი (მასდარი)

## ლიტერატურა

- ახმანოვა 1969 – Ахманова, О.С., *Словарь лингвистических терминов*, Москва: Советская энциклопедия, 1969.
- ბიალეკი 2004 – Бялек Э., Коллокация как единица перевода: *Cuadernos de Rusística Española*, 2004, 1, с. 223-231.
- გეიკენი 2011 – Geyken, Al., Die dynamische Verknüpfung von Kollokationen mit Korpusbelegen und deren Repräsentation im DWDS-Wörterbuch. *OPAL 2/2011*, Mannheim: 9–20.
- ვლავაცკაია 2015 – Влывацкая, М.В., Комбинаторная лексикология: функционально-семантическая классификация коллокаций: Филологические науки. Вопросы теории и практики, Тамбов: *Грамота*, 2015, № 11(53): в 3-х ч., Ч. I, с. 56-60.
- ზექალაშვილი 2009 – რ. ზექალაშვილი *ქართულ-გერმანული ლექსიკონი* (45.000-ზე მეტი სიტყვა და გამოთქმა), „საქართველოს მაცნე“, 2009; მე-2 გამოც., თბილისი, 2015.
- ზექალაშვილი 2018 – Zekalashvili R., The Main Means of Semantization in the New Georgian-German Dictionary: *General and Specialist Translation / Interpretation: Theory, Methods, Practice: International Conference Papers*. – Kyiv: Agrar Media Group, 2018, 259-266.
- თანდაშვილი, ფურცხვანიძე 2014ა – მ. თანდაშვილი, ზ. ფურცხვანიძე, *კორპუს-ლინგვისტური პარადიგმა ენათმეცნიერებაში*, თბილისი: გამომცემლობა ინტელექტი, 2014.
- თანდაშვილი, ფურცხვანიძე 2014ბ – მ. თანდაშვილი, ზ. ფურცხვანიძე, *კორპუს-ლინგვისტიკა (გლოსარიუმი და რეგისტრი)*, ფრანკფურტი: Frankfurt University Press, 2014.
- ლანგენშიდტი 2008 – Langenscheidt, *Großwörterbuch Deutsch als Fremdsprache für Ausländer* (Hrsg. Prof. Dr. Dieter Götz, Prof. Dr. Günther Haensch, Prof. Dr. Hans Wellmann), Neubearbeitung, Berlin. München. Wien. Zürich. New York: Langenscheidt. 2008.
- ტარგონსკა 2014 – Targońska Joanna, Der Kollokationsbegriff im Lichte der geschichtlichen Entwicklung: *Kwartalnik Neofilologiczny*, LXI, 4/2014, 695-717.
- ტარგონსკა 2015 – Targońska Joanna, Theoretische Überlegungen zu Kollokationen in DaF-Lehrwerken: *Prace Językoznawcze* 17/3, 125-136.
- ფირსი 1951 – J. R. Firth: *Modes of meaning*. In: *J. R. Firth: Papers in Linguistics 1934-1951*. London 1951, S. 190–215.
- ქვასტჰოფი 2011 – Quasthoff Uwe, *Wörterbuch der Kollokationen im Deutschen*, Berlin/New York: De Gruyter, 2011.
- ინტერნეტრესურსები**
- ვიკიპედ. 1 – <https://de.wikipedia.org/wiki/Kollokation> (წვდომა 06.10.2019).
- ვიკიპედ. 2 – <https://en.wikipedia.org/wiki/Collocation> (წვდომა 06.10.2019).
- ოქსფორდის კოლოკაც. ლექს. – <http://www.freecollocation.com/> (წვდომა 06.10.2019).
- გერმ. კოლოკ. ლექს. – <https://kollokationenwoerterbuch.ch/web/> (წვდომა 06.10.2019).
- ლაიფციგის კორპუსი – [http://corpora.uni-leipzig.de/en?corpusId=kat\\_mixed\\_2017](http://corpora.uni-leipzig.de/en?corpusId=kat_mixed_2017) (წვდომა 06.10.2019).
- ქვეკ – ქართული ენის ეროვნული კორპუსი: <http://gnc.gov.ge/gnc/simple-query?corpus=grc> (წვდომა 06.10.2019).

**ოპიზის ოთხთავის ტექსტისათვის  
(გაცხოველებული, კორექტირებული და რედაქტირებული  
ადგილები ოპიზის ნუსხაში)**

ოპიზის ოთხთავი, წინაათონური (პროტოვულგატური) რედაქციის შემცველ ხელნაწერთაგან ყველაზე ძველი თარიღიანი ნუსხაა და ბევრი თვალსაზრისით გამორჩეული და საინტერესო ხელნაწერია. 913 წელს ოპიზის მონასტერში გადაწერილი ეს მანუსკრიპტი სრულად შეიცავს მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებებს, ხოლო მათეს სახარება თავნაკლულია (ინწყება მთ.4:12-დან). ოპიზის ოთხთავი ერთ-ერთი უძველესია იმ ხელნაწერთა შორის, რომლებიც ე.წ. ჯრუჭ-პარხლის რედაქციის (პროტოვულგატა) ტექსტს შეიცავენ, ამიტომაც ხშირად ტექსტის ამ ტიპს ოპიზურ რედაქციადაც მოიხსენიებენ<sup>1</sup>. თუმცა უნდა ითქვას, რომ განსხვა-

<sup>1</sup> ოპიზური, იგივე ჯრუჭ-პარხლის რედაქცია, დაცულია დღეისათვის გამოვლენილ 40-მდე სრულ და ფრაგმენტულ ხელნაწერში: (ოპიზის (913 წ., *Ivir. georg.* 83), ჯრუჭის (936 წ., H-1660), პარხლის პირველი (973 წ., A 1453) და მეორე ოთხთავის (X-XI სს., S 2927), *Sin.Geo.O.15* (978 წ.), *Sin.Geo.O.30-38* (979 წ.), წყაროსთავის (X ს., A 95), ბერთის (X ს.), ქსნის ოთხთავის მათეს სახარების ნაწილში (X ს., A 507), ტბეთის (995 წლის, პეტერ-ბურგის K 212), მარტვილის (X ს., S 391), XI საუკუნის H-1240 ხელნაწერსა და X და XI საუკუნეების ხელნაწერთა უმრავლესობაში, აგრეთვე, ხანმეტ სახარებასა (მთ., 11,8-იდან ბოლომდე) და ე.წ. „ანბანდიდის“ (IX-X სს.) ზოგიერთ მონაკვეთში). ეს რედაქცია ფართოდ იყო გავრცელებული ქართულ ეკლესიაში და XI საუკუნემდე კანონიკურ ტექსტად ითვლებოდა. აკაკი შანიძემ მას „ქართული პროტოვულგატა“ უწოდა (შანიძე 1945:08). ლ. ქაჯაია ამ რედაქციის შემცველ ხელნაწერთა ჯგუფს პირობითად A ტიპის ხელნაწერებს უწოდებს (ქაჯაია 1984:303). X-XI საუკუნეების მიჯნიდან ინტენსიურად ინწყება სახარების ბერძნულ ორიგინალთან დაახლოების პროცესი, რაც ე.წ. გარდამავალი ჯგუფის (გადამუშავებული პროტოვულგატა) ხელნაწერებში აისახა (ურბნისის - XI ს., A 28), პალესტინური (1048 წ., H-1741), სინური (*Sin.Geo.O. 16. XI ს.*), S-962 (XI ს.) და ლიხაურის ოთხთავები - Q-645). ოთხთავის საბოლოო, ქართული ეკლესიის მიერ ლიტურგიკულ პრაქტიკაში დამკვიდრებული ათონური რედაქციის ტექსტი (ვულგატა) შეიქმნა XI საუკუნის 50-იან წლებში გიორგი ათონელის (1009-1065) მიერ. ხელნაწერთა ერთი ჯგუფი (ალავერდის ოთხთავი (A 484), ოშკის სახარების (*Ivir.georg.* 62) ქვედა ფენა, იენაშის (ს.ი.ე.მ.ესტია 72) და ქურაშის ოთხთავები) ვულგატის ჩამოყალიბებამდე გიორგის სახარება-ოთხთავის ტექსტზე მუშაობის შუალედურ ეტაპს ასახავს, რომლებშიც ბერძნულთან მხოლოდ ორჯერ შედარების შედეგად გამოვლენილი სხვაობებია წარმოდგენილი. გიორგისეული რედაქციის ტექსტი, რომელმაც საყოველთაო გავრცელება მოიპოვა (ათონური ვულგატა), ამ შუალედური ტექსტის საბოლოო რედაქტირების, ბერძნულთან მესამედ შედარების შედეგად ჩამოყალიბდა. დღემდე მოღწეულ ოთხთავის ქართული თარგმანის შემცველ ხელნაწერთა უმეტესობაში, დაახლოებით 200-მდე ხელნაწერში, სწორედ ათონური რედაქციის ეს ტექსტია დაცული.

აქვე შევნიშნავთ, რომ ზემოთ აღნიშნული ოპიზური (პროტოვულგატა) და ათონური (ვულგატა) რედაქციების გარდა, IX-XI საუკუნეების ნუსხები გვიდასტურებენ ოთხთავის ე. წ. ადიშური (ადიშის ოთხთავი (897 წ., ლკ.3:9-15:6 და 17:25-23:2-ის გამოკლებით), ხანმეტი ოთხთავის პალიმფსესტური ფრაგმენტები (მთ. 5:18-11:7; A 89-844, VII ს.), ქსნის ოთხთავის (A 507, IX-X სს.) ზოგიერთი მონაკვეთი, „ანბანდიდი სახარების“



ვებით ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებისაგან, რომლებიც აკაკი შანიძემ ადიშის ოთხთავთან ერთად 1945 წელს გამოსცა ვრცელი გამოკვლევით (შანიძე 1945) და მკვლევართა ფართო წრისათვის ხელმისაწვდომია, ოპიზის ოთხთავის ტექსტი ცალკე გამოცემული არ არის და არც მისი კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური თავისებურებანია გამონვლილვით შესწავლილი.

**ზოგადი ინფორმაცია ხელნაწერის შესახებ და ტექსტის პუბლიკაციები.**  
ათონის მთაზე, ივირონის მონასტრის წიგნთსაცავში, დღეს სულ 95 ქართული ხელნაწერი ინახება, მათგან ოთხთავის ძველი ქართული თარგმანი დაცულია შვიდ ნუსხაში: Ivir.georg.15; Ivir.georg. 53; Ivir.georg. 62; Ivir.georg. 67; Ivir.georg. 75; Ivir.georg. 83; Ivir.georg.91.<sup>1</sup> ივირონის წიგნთსაცავში დაცული ოთხთავებიდან 5 ნუსხა (Ivir.georg.15; Ivir.georg.53; Ivir.georg.67; Ivir.georg. 75 და Ivir. georg.91) გიორგი ათონელისეულ ტექსტს შეიცავს; ერთს (Ivir. georg.62) ტექსტზე გვიანდელი მწიგნობრის მუშაობისა და გიორგის რედაქციის მიხედვით სწორება-რედაქტირების კვალი ეტყობა; ერთი კი (Ivir. georg. 83) წინათონური (პროტოვულგატური) რედაქციის შემცველ ხელნაწერთაგან ყველაზე ძველი თარიღიანი ნუსხაა (983 წ.), რომელიც ოპიზის ოთხთავის სახელითაა ცნობილი. ათონზე დაცულ ოთხთავებს შორის მხოლოდ ოპიზის ხელნაწერია გადანერილი ასომთავრულით. ეტრატზე დანერილი მანუსკრიპტი შეიცავს 260 ფურცელს. ხელნაწერს ახლავს ანდერძი (248v-249r), რომლითაც დგინდება მისი გადამწერის ვინაობა, ასევე, ხელნაწერის შექმნის დრო და ადგილი: „...მე გლახაკი და ცოდვილი გრიგოლ ღირს-მყო უფალმან ღმერთმან იესუ ქრისტემან მოგებად და დაწერად ჴელითა ჩემითა წმიდაჲ ესე ოთხთავი სახარებაჲ ... დაწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ლავრასა შინა წმიდისა ნათლის-მცემელისასა უპიზას დედისაგან უცთომელისა სიტყვით და ზანდუკით გამონმედილისა. და ქორონიკონი იყო რ~ლგ“ (= 133; 133+780=913 წ.).

X საუკუნეში ოპიზის სავანეში გრიგოლ ოპიზელის მიერ გადანერილი ოთხთავის ამ ხელნაწერის არსებობის შესახებ XIX საუკუნის ბოლომდე მხოლოდ ათონელმა ბერებმა იცოდნენ. ხელნაწერი არ უნახავს ათონის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის პირველი სისტემური კატალოგის შემდგენელს ალ. ცაგარელს

---

(IX ს.) ზოგიერთი მონაკვეთი, Q 213-ის მარკოზის სახარების ორფურცლიანი ფრაგმენტი, H 3181-ის (ი.6: 51-54 და 57-58) ერთფურცლიანი ფრაგმენტი, H 1240 (XI ს. მრკ. 14:60-15:47) და ხეც-ის სვანური ფონდის №4 ხანმეტი პალიმფსესტი (მთ. 19:20-21; 23-24; 26-28) და ნარევი (კონტამინირებული) რედაქციების არსებობასაც, რომელიც ორი დამოუკიდებელი რედაქციის, ადიშურისა და ოპიზურის, შეჯერების შედეგად არის მიღებული (ქსნის ოთხთავი (A 507), ტვიბერის ოთხთავის (სიემ 73) ჩანართი (მთ.14:19-15:24), „ანბანდიდის“ ერთი ნაწილი და მარტილის ოთხთავის მარკოზის სახარების ნაწილი, პალიმფსესტური ხელნაწერები: H 1836-1890 და H1395-H 1871 (სარჯველაძე 2015).

<sup>1</sup> ხელნაწერთა ნომრები მითითებულია რობერტ ბლეიკის აღწერილობის მიხედვით, რომელშიც 86 ხელნაწერია შეტანილი (R.Blake, 1932). Ivir.georg. 91 ივირონის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში ახლად მიკვლეული ხელნაწერია, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებით თარიღდება. იგი ცნობილი გახდა ორიოდ წლის წინ, ამ კოლექციის ხელნაწერთა ახალი აღწერილობის შედგენაზე მუშაობის დროს, რომელზეც მეცნიერთა ჯგუფი გერმანელი ქართველოლოგის იოსტ გიპერტის ხელმძღვანელობით მუშაობდა პროექტის „ქართული პალიმფსესტური ხელნაწერები“ (GeoPal) ფარგლებში. ივირონში დაცული ქართულ ხელნაწერთა ახალი კატალოგი გამოსაცემად მომზადებულია და მალე დაიბეჭდება.

და, შესაბამისად, ის ვერ მოხვდა 1886 წელს გამოცემულ ივირონის ხელნაწერთა აღწერილობაში (Цагарели 1886).<sup>1</sup> ალ. ცაგარლის შემდეგ, 1888 წელს, ათონზე იმყოფებოდა დიმიტრი ბაქრაძე. იგი გაეცნო ქართულ ხელნაწერებს, გადმოიწერა მათზე დართული ანდერძ-მინაწერები და 1889 წელს გამოსცა შენიშვნებთან ერთად (ბაქრაძე 1889:224, 228, 232, 240-245, 248-263). ოპიზის ოთხთავის შესახებ არც დ. ბაქრაძეს აქვს ცნობები.

ნუსხის შესახებ პირველი ცნობები 1900 წელს გამოაქვეყნა ნიკო მარმა, რომელმაც 1898 წელს ათონის მთაზე სამეცნიერო ექსპედიციის დროს მიაკვლია აღნიშნულ ხელნაწერს. ნ. მარმა დააზუსტა და მთელი რიგი ცვლილებებისა შეიტანა ალ. ცაგარლის შედგენილ ათონის ხელნაწერთა კატალოგში, გარდა ამისა, ვრცლად აღწერა ხუთი ხელნაწერი, რომელიც მალევე გამოსცა (Март 1900). ამ აღწერილობას პირველი დამატების სახით ერთვის ალ. ცაგარლის კატალოგში შეტანილი ცვლილებები (დამატება I, გვ. 79-85), ხოლო მეორე დამატების სახით – ცნობები იმ ხელნაწერების შესახებ, რომლებიც ალ. ცაგარელს ნანახი არ ჰქონდა (დამატება II, გვ. 85-87). მათ შორისაა ოპიზის ოთხთავიც. შეიძლება ითქვას, რომ X საუკუნეში ოპიზის ლავარაში გადაწერილი ოპიზის ოთხთავის სახელით ცნობილი ხელნაწერის „ახალი ისტორია“ მისი შექმნიდან თითქმის 1000 წლის შემდეგ, XX საუკუნის დასაწყისში (1900 წლიდან) დაიწყო.

ტექსტის პირველი პუბლიკაცია (მათეს და მარკოზის სახარებებისა) ტბეთის ოთხთავთან ერთად ეკუთვნის ვლადიმერ ბენეშევიჩს, რომელმაც 1909-1911 წლებში გამოსცა მათეს და მარკოზის სახარებების ტექსტი (ბენეშევიჩი 1909-1911). ბენეშევიჩი გამოცემისას ხელმძღვანელობდა ე.ნ. ქრონოლოგიური პრინციპით. იგი უძველეს თარიღიან ხელნაწერს – 913 წლის ოპიზურ ნუსხას იღებს ძირითად ტექსტად და მის პარალელურად მოჰყავს ტბეთის (995 წ.) ხელნაწერის ჩვენებები. სამწუხაროდ, ვ. ბენეშევიჩს ლუკას და იოანეს თავის გამოცემა არ დასცალდა.<sup>2</sup>

1928 წელს რ. ბლეიკმა გამოაქვეყნა ადიშის ოთხთავში (897წ.) დაცული მარკოზის სახარების ტექსტი ოპიზისა (913 წ.) და ტბეთის (995 წ.) ოთხთავების ვარიანტების მითითებით და პარალელური ლათინური თარგმანით (Blake 1928:439-574). 1933 წელს მანვე გამოსცა ადიშის ოთხთავის ხელნაწერიდან მათეს სახარება, რომელსაც აპარატში ოპიზისა და ტბეთის ოთხთავის ვარიანტებიც ახლავს ლათინური თარგმანითურთ (Blake 1933). 1950 წელს რ. ბლეიკისა და მ. ბრიერის მიერ იმავე წესით (ადიშის ტექსტი ოპიზისა და ტბეთის ვარიანტებით და ლათინური თარგმანით) გამოიცა იოანეს სახარებაც (Blake & Brière 1950), 1955 წელს კი მ. ბრიერმა დაასრულა რ. ბლეიკთან ერთად დაწყებული საქმე და იმავე წესით გამოსცა ლუკას სახარებაც (Brière 1955). ამ გამოცემებში ოპიზის ოთხთავის ვარიანტები აღნიშნულია A ლიტერით, ტბეთისა კი B -თი.

1984 წელს ლ. ქაჯაიამ გამოაქვეყნა პალიმფსესტური ხელნაწერების (A 89 და A 844 ) ქვედა ფენაში ამოკითხული ხანმეტი სახარების ტექსტი (ქაჯაია 1984), რომლის აპარატში სხვა ძველ ხელნაწერებთან ერთად (C – ადიშის, B – ტბეთის, D

<sup>1</sup> ალ. ცაგარელი აღნიშნავს, რომ მის კატალოგს სისრულის პრეტენზია არ აქვს, რადგან ბერძნებმა რიგი ხელნაწერებისა არ აჩვენეს (Цагарели 1886:XXIII).

<sup>2</sup> ვ. ბენეშევიჩის შესახებ იხ. ლალანიძე 2006.

– ჯრუჭის, E – პარხლის, F – ბერთის), მოყვანილია ოპიზის ოთხთავის ვარიანტებიც (აღნიშნულია A ლიტერით). გამომცემელი ხელმძღვანელობდა ამ ნუსხის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ფოტოპირით (RtXI №6), რომელიც შავ-თეთრი მიკროფირისგანაა დამზადებული (ქაჯაია 1984:8).

ოპიზის ოთხთავის ვარიანტული წაკითხვები ასახულია სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მოსამზადებლად XX საუკუნის ბოლო ათწლეულში პროფ. ზურაბ სარჯველაძის ხელმძღვანელობით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი მკვლევართა ჯგუფის<sup>1</sup> მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებშიც. შესწავლილია წინათორი რედაქციის 30-მდე ხელნაწერი<sup>2</sup>, მათ შორის, რა თქმა უნდა, არის ოპიზის ოთხთავიც, რომელიც ჯრუჭის და პარხლის ოთხთავებთან ერთად პროტოვულგატური რედაქციის შემცველ ერთ-ერთ უძველეს ნუსხადაა მიჩნეული. ოპიზის ოთხთავი ამ გამოცემებში აღნიშნულია O(O\*/O#) ლიტერით.<sup>3</sup>

2017 წელს გამოქვეყნდა ქართული ოთხთავის რედაქციების ელექტრონული სინოპტიკური გამოცემა („Synopsis of the Georgian Gospel redactions“), რომელიც ხელნაწერების, ფაქსიმილეებისა და გამოცემების მიხედვით მოამზადეს ლელა სამუშიამ და ნათია დონდუამ (Complete Synopsis, 2017).<sup>4</sup> ამ გამოცემაში ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ტექსტის შემცველი ხელნაწერები დაყოფილა a, c, e, g რედაქციებად. a (Adishi) რედაქცია წარმოდგენილია ადიშის ოთხთავის ხელნაწე-

<sup>1</sup> აღნიშნულ ჯგუფი ელგუჯა გიუნაშვილის, დარეჯან თვალთვაძის, მანანა მაჩხანელი-სა და სოფიო სარჯველაძის შემადგენლობით დღემდე აგრძელებს სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ხელნაწერების შესწავლას. ჯგუფს მოგვიანებით შეუერთდა ახალგაზრდა მკვლევარი – ეკა კვიციანი, რომელმაც 2019 წელს დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „სახარების XI საუკუნის ქართული ხელნაწერების კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი და ოთხთავის გიორგი მთაწმინდლისეული რედაქციის ჩამოყალიბების ისტორია“.

<sup>2</sup> X – ხანმეტი ოთხთავი (VII ს.); C – ადიშის ოთხთავი, O – ოპიზის ოთხთავი; D – ჯრუჭის ოთხთავი; E – პარხლის ოთხთავი; L – ტბეთის ოთხთავი; A<sup>d</sup> – ანბანდიდის სახარება; M – მარტვილის ოთხთავი, A – ქსნის ოთხთავი; s – გაბრიელის ოთხთავი (S 405); R-Sin. Geo. O.15; P-Sin. Geo. O.30; B – ბერთის, M – მესტიის ოთხთავი 1033 წ.; i – K 176; b – A 1699, H 1887; v – K 363; h – H 1240; c – S-962 (K-668); l – ლიხაურის ოთხთავი (Q-645); u – H - 1792 (XI ს.); w – Vienna Georg. I (XI ს.); F – ურბნისის ოთხთავი (XI ს.); G – პალესტინური ოთხთავი (1048 წ.); IX-XI სს. ფრაგმენტები და ლექციონარებში დაცული საკითხავები.

<sup>3</sup> მაგალითად: ლუკას სახარების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტი, უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, სოფიო სარჯველაძემ და ეკა კვიციანი, 2016, <http://ogg.tsu.ge/>. აღნიშნული ჯგუფი ამჟამად შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ფუნდამენტური კვლევების საგრანტო პროექტის (FR 17-170) ფარგლებში იოანეს სახარების კრიტიკული ტექსტის დადგენაზე და მის გამოსაცემად მომზდებაზე მუშაობს. ოპიზის ოთხთავში დაცული იოანეს სახარების ტექსტის კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა სწორედ ამ კვლევის ნაწილია.

<sup>4</sup> The Old Georgian Four Gospels: Complete Synopsis. On the basis of the original manuscripts, facsimiles and editions electronically prepared by Lela Samushia and Natia Dundua within the LOEWE research cluster "Digital Humanities Hesse", Frankfurt, 2011-2014; TITUS version by Jost Gippert, Frankfurt a/M, 12.1.2017 / 9.12.2017 <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/ntkpl/ntkpl.htm>

რით (C); c (Proto-Vulgate) რედაქციის ნუსხებად მიჩნეულია ჯრუჭის (D), პარხლის (E), ქსნის (K), ანბანდიდი სახარების (An) და ორი სინური ოთხთავის ხელნაწერი (R – Sin.O. 15, P – Sin.O. 30); e რედაქცია (Intermediate red.) აერთიანებს X-XII საუკუნეების შუალედური/გარდამავალი რედაქციის 6 ნუსხას (ოპიზის (A), ბერთის, (B) ტვიბერის (t), ურბნისის (F), პალესტინურ (G) და ქურაშის (k) ოთხთავებს); გიორგისეული რედაქცია g (Athonite Vulgate) კი გიორგი ათონელისეული ტექსტის შემცველი 4 ნუსხითაა წარმოდგენილი (ვანის (H), ეჩმიადინის (I), გელათის (K) და ვენის (v) ოთხთავები).<sup>1</sup> აღნიშნულ გამოცემაში ოპიზის ოთხთავი (A) შუალედურ რედაქციის (eA) ნუსხადაა წარმოდგენილი და ის მეცნიერთა ნაწილის მიერ (ი. იმნაიშვილი, 1979) ექვთიმე ათონელის რედაქციად მიჩნეულ ურბნისის (F) და პალესტინურ (G) ოთხთავებთან ერთად ერთ ქვეჯგუფში ერთიანდება, რაც, ჩვენი აზრით, მართებული არ არის.<sup>2</sup> ქვემოთ შევეცდებით ავსხსნათ, რა შეიძლებოდა გამხდარიყო ამის მიზეზი.

**კოდიკოლოგია და ტექსტოლოგია.** სანამ უშუალოდ Ivir.georg.83-ში დაცული სახარების ტექსტის ანალიზს და მის სხვა ნუსხებთან მიმართების საკითხს შევეხებით, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხელნაწერის კოდიკოლოგიურ შესწავლას და ამ კვლევის შედეგების გათვალისწინებას ტექსტოლოგიური კვლევისას.

მთავარი კითხვა, რაზეც პასუხი უნდა გაგვცეს ხელნაწერის კოდიკოლოგიურმა შესწავლამ, ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: რამდენად ავთენტურია ის წაკითხვები, რომელსაც ტექსტის გამომცემლები უთითებენ როგორც ოპიზის ოთხთავის ვარიანტულ წაკითხვას, რადგან ნუსხა ჩვენამდე პირვანდელი სახით არ არის მოღწეული. იგი გაცხოველებული და რედაქტირებულია.

<sup>1</sup> ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის შემცველ ხელნაწერთა რედაქციებად დაჯგუფების შესახებ ჩვენ სხვა მოსაზრება გვაქვს. ამის შესახებ იხ. ზ. სარჯველაძე 2001; ადიშის ოთხთავი 2003; თვალთვაძე 2008; Tvaltvdze 2008; ანბანდიდი 2010; სინური ოთხთავი 2010; ს. სარჯველაძე 2009; ს. სარჯველაძე, 2010; ს. სარჯველაძე, თვალთვაძე 2011; ს. სარჯველაძე 2015; თვალთვაძე 2015; კვირკველია 2019.

<sup>2</sup> ჩვენი აზრით, ასეთი გარდამავალი რედაქციის (Intermediate red.) ხელნაწერთა ჯგუფის არსებობა მართლაც იკვეთება ქართული ოთხთავის წინათონური პერიოდის ნუსხებში, მაგრამ ოპიზის ოთხთავი ამ ჯგუფში არ შედის. აღსანიშნავია, რომ ათონური კოლექციის ახალ აღწერილობაშიც, რომელიც მზადდება გამოსაცემად, იგი პროტოვულგატური რედაქციის ნუსხადაა მიჩნეული („Second oldest dated Georgian codex containing the Gospels of Matthew, Mark, Luke and John, known as the Op’iza Gospels. Redaction of the so-called “Protovulgate”: CATALOGUE OF THE GEORGIAN MANUSCRIPTS compiled by Jost Gippert, Bernard Outtier and Sergey Kim). ოპიზის ოთხთავში დაცული ტექსტის რაობისა და სხვა ხელნაწერებთან (ძირითადად, ჯრუჭის, პარხლის და ტბეთის ოთხთავებთან) მისი მიმართების საკითხებს ეხება აკაკი შანიძეც, რომელსაც ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის სამი შატბერდული ხელნაწერის (ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავების) მიხედვით გამოცემულ სახარებათა ტექსტზე დართულ ვრცელ გამოკვლევაში (შანიძე 1945) ოთხთავის სხვა ძველ ნუსხებთან ერთად ოპიზის ოთხთავის ტექსტური მასალაც მოჰყავს საილუსტრაციოდ. ოპიზის ოთხთავი მას პროტოვულგატური ტექსტის შემცველ ნუსხად მიაჩნია და აღნიშნული აქვს A ლიტერით. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ სხვა მოსაზრება გვაქვს გამომცემლთა მიერ შუალედურ e რედაქციაში (Intermediate red.) გაერთიანებული ზოგიერთი სხვა ხელნაწერის შესახებაც, თუმცა ამჯერად მხოლოდ ოპიზის ოთხთავს შევეხებით.



ხელნაწერებში დაცული ტექსტის, მათ შორის, ოთხთავის ხელნაწერების, კორექტირება-რედაქტირება, გავრცელებული პრაქტიკა იყო ბიზანტიაში და საქართველოშიც (ჯავახიშვილი 1996:80-81). ახალი აღთქმის ტექსტუალურ კრიტიკაში შემუშავებულია ტექსტის გამოცემის დროს მათი აღნიშვნისა და მითითების წესებიც (Colwell 1969:121; Metzger 2005).

საზოგადოდ, ხელნაწერი წიგნის გადანერის პროცესის დასრულების შემდეგ მასში ცვლილების შეტანას სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზნით შეიძლება მოხდეს. ხელნაწერებში აღმოჩენილი შესწორებები, ძირითადად, სწორედ იმის მიხედვით ჯგუფდება, როდის და რა მიზნით ჩასწორდა თავდაპირველი ტექსტი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტექსტის საგანგებოდ შერყენის („განწყუნის“) ფაქტებს,<sup>1</sup> უკვე შექმნილ ტექსტში ჩარევა ყოველთვის მის „გაუმჯობესებას“ ისახავდა მიზნად, რაც ერთ შემთხვევაში მასში ასლის დედანთან შედარებისას აღმოჩენული შეცდომების (lapsus calami) გასწორებას, ხოლო სხვა შემთხვევაში მისი ტექსტის განახლებას – გადალეული, ძნელად წაკითხვადი ადგილების რეკონსტრუირებას, ან მოძველებული რედაქციის ტექსტის ახალი რედაქციის ტექსტის მიხედვით სწორებას გულისხმობს. თითოეულ მათგანს ქართულ სამნიგნობრო ტრადიციაში თავისი სახელი ეძებნება: შეწამება/გარდანამება/განმართვა, გაცხოველება/მოცხოველება და შეჯერება/ახლისადა მიყვანება.

**შეწამება/გარდანამება/განმართვა.** უმრავლეს შემთხვევაში ხელნაწერები სამონასტრო ცენტრებში ან სკრიპტორიუმებში იქმნებოდა, სადაც დამკვიდრებული იყო ასლის სისწორის შემონახვისა და შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში მისი გასწორების პრაქტიკა. გადანერისას დაშვებული შეცდომების გასწორება ხდებოდა ხელნაწერის გადანუსხვის დასრულებისთანავე და ამას, ჩვეულებრივ, აკეთებდნენ გამოცდილი მნიგნობრები (გადამწერები), რომლებიც ხელნაწერის ასლს დედანს უდარებდნენ და ასწორებდნენ შემჩნეულ შეცდომებს. ბიზანტიის მნიგნობრულ სივრცეში ისინი დიორთოტების სახელით არიან ცნობილი (ბერძ. διορθωτής/ἐπισκοπῶντες - გამსწორებელი)<sup>2</sup>.

დასრულებული ნუსხის ამ მიზნით წაკითხვა და დედანთან სისწორის შემოწმება შეეძლო თვითონ გადამწერსაც. როგორც ძველ ქართულ ხელნაწერთა ანდერძები მოწმობენ, გადანერილი ტექსტის დედანთან შედარება და გაპარულ შეცდომათა გასწორება ძირითადად სწორედ გადამწერთა მოვალეობა იყო.<sup>3</sup> ზოგ შემთხვევაში გადამწერს შეიძლებოდა ამ საქმეში ვინმე სხვაც დახმარებოდა.

<sup>1</sup> წიგნთა შერყუნა/განწყუნის შესახებ ცნობები დაცულია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშიც. მაგ.: „ვიხილეთ საქმე საშინელი: ოზან ვინმე, რომელ შეცვებულ არს, წმიდისა ეფთვეს სახარებისა თარგმანისაგან და დავითნისა და ღმრთისმეტყუელისაგან აუწოცია და ჩაურთავს“ (მიქელ დალალისონელი), „ათონის კრებული“, A-558, გვ.176); „წმიდამან მამამან დავითი თარგმნა და მწერალსა ვისმე მისცა დანერად და მან განწყუნა და უჭმარყო“ (გიორგი მთაწმიდელის ფსალმუნის თარგმანზე დართული ანდერძი (A-487, 30v).

<sup>2</sup> Correctors and Corrections. The Encyclopedia of New Testament Textual Criticism Conceived by Rich Elliott. <https://www.skypoint.com/members/waltzmn>).

<sup>3</sup> „გულმოდგინედ ვიხარკე, რაჟთა უცთომელად დაწერო და კულად შევანამე და სადაცა ვპოვე გინათუ დაკლებული, ანუ შემატებული ვიდრე ასოდ ერთადმდე, ყოველი-



საინტერესოა ამ მხრივ XI საუკუნეში ხახულის მონასტერში გადანერილი ერთი ქართული ხელნაწერის (Jer. Geo. 32)<sup>1</sup> გადამწერის, დავით ტფილელის ანდერძი, სადაც ვკითხულობთ: „ხოლო ძალისა ჩემისაებრ უძრულისა დავწერე და შევანამე დედასა, დაღაცათუ ნაწერად უხმარ არს, სიტყუაჲ დედასა შინა ვითა ვპოე, არა დავაკლე, არცა შევსძინე, ნუ იყოფინ! და დიდად ვიხარაკე შენამებაჲ, ნუთუ ვინ დედად იწმაროს, რომელ კეთილად იყო. ღმერთმან აკურთხენ რომელი შემწევდა გარდანამებასა, გიორგი“ (Jer. Geo. 32, 155r). „დავწერე და შევანამე დედასა“- ამ ფრაზით დავით ტფილელი აღგვინერს მუშაობის პროცესს – ტექსტის გადანერისას მას მონდომებით უმუშავია და დედნის ზუსტად გადანერას ცდილა („სიტყუაჲ დედასა შინა ვითა ვპოე, არა დავაკლე, არცა შევსძინე“), გადანუსხვის დასრულების შემდეგ კი გადანერილი ტექსტის გადამონმებაზეც უზრუნია („შევანამე დედასა“) და ამ მხრივაც გულმოდგინედ უმუშავია („დიდად ვიხარაკე შენამებაჲ“), რაშიც მას დახმარებია („შემწევდა გარდანამებასა“) ვინმე გიორგი, რომელიც, სავარაუდოდ, ხახულები მამა იყო. როგორც ჩანს, ასლის დედანთან შედარებას და შემჩნეული შეცდომების გასწორებას ძველად სწორედ შენამება/გარდანამება ერქვა, ხოლო პირი, რომელიც გადანერის (ნუსხის ასლის დამზადების) დროს მნუსხველის/გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომების (კორექტურის) აღმოჩენასა და მის გასწორებაზე იყო ორიენტირებული, შეიძლება შემწამებელ/გარდამწამებლად მოვიხსენიოთ. შენამებისას აღმოჩენილი ცდომილების „განმართვა“ ასოთა და სიტყვათა ჩამატებით, ან მცდარის („ცთომილის“/„ნამცთარის“) ამოფხეკითა და მის ნაცვლად სწორი ფორმის ჩანერით შეიძლებოდა.

**გაცხოველება/მოცხოველება – დაზიანებული ტექსტის განახლება.** ცნობილია, რომ ძველ ხელნაწერებს, რომლებიც მელნის გადაღვის, ფერწასულობის გამო ძნელად საკითხავი იყო ან საერთოდ არ იკითხებოდა, მნიგნობრები განახლებდნენ, ანუ გააცხოველებდნენ და ამით, შეიძლება ითქვას, ძველ მანუსკრიპტებს ახალ სიცოცხლეს აძლევდნენ. დაზიანებული ტექსტის განმარტებელი, გამაცხოველებელი ცდილობდა კალამი ზუსტად გადაეტარებინა ნაწერისთვის, მაგრამ ეს ზოგჯერ არც თუ ისე კარგად გამოსდიოდა. გადაღულ ასოებზე კალმის გადატარება შეიძლება ზოგჯერ მექანიკური პროცესიც კი იყო და გამცხოველებელს შეეძლო სხვა ხელნაწერის დახმარების გარეშეც გაეკეთებინა ეს საქმე, თუმცა, როცა ნაწერი იმდენად მკრთალი იყო, რომ მისი ნაკითხვა ჭირდა, გამცხოველებელს აუცილებლად ექნებოდა ხელთ შესანამებელი დედანი, რომლის მიხედვითაც უნდა ემუშავა. მიუხედავად მნიგნობრის მონდომებისა, გამცხოველების დროს შეცდომების დაშვება იშვიათი არ არის.

---

ვე განვმართე“ (A 397, 210v); „რად წიგნსა შინა ვპოვე, რომლისაგან გარდავწერე, არა გამომიცვალეზია სიტყუაჲ, არცა მიკაზმავს და არცა რად დამიკლია და თუ რადმე დამრჩომოდა, შევანამე წიგნსა და ჩავურთე (Q 34); „წიგნისა სიმართლისთვის იჭვ ნუ ვის გაქუს, - პირველად დედაჲ მართალი და კარგისა მწერლისა დანერილი მქონდა.. და მერმე დიდ მოჭირვებით შემინამებია“ (K 25); „შენამებაჲ დია მიხარკებია... და არა არს ერთიცა ასოჲ მრუდი და ნაკლული და არცა მეტი“ (K 76).

<sup>1</sup> ხელნაწერი შეიცავს იოანე ოქროპირის „იოანეს სახარების თარგმანების“ ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ ტექსტს, რომელსაც ერთვის გადამწერის ვრცელი ანდერძი (149v-151r).

ა. შანიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძველი ხელნაწერების გაცხოველებულ ადგილებს. მაგალითად, ჯრუჭის ოთხთავის გამოსაცემად მომზადების დროს მან საგანგებოდ აღნუსხა და მიუთითა თითქმის ყველა ის გვერდი, რომელიც ჯრუჭის ოთხთავში გვიანდელ მნიგნობარს გაუცხოველებია<sup>1</sup>, მანვე შენიშნა, რომ „გამაცხოველებელი ცდილა, რომ ასოთა ძველ ნახაზებზე გაეყოლებინა კალმის წვერი და ახალი ასო ძველისათვის დაემსგავსებინა, მაგრამ ეს ზოგ შემთხვევაში ვერ მოუხერხებია და თავისებურად გამოუყვანია ასო. გამაცხოველებელს მრავალ შემთხვევაში შეცდომები მოჰსვლია“ (შანიძე 1945:12). ძველი ხელნაწერების გამოცემისას ტექსტში შემდგომდროინდელი ჩარევის დამადასტურებელი ფაქტების აღნუსხვა აკაკი შანიძეს მნიშვნელოვნად და მეთოდოლოგიურად სწორ მიდგომად რომ მიაჩნდა, ამას მისი ზემოთ მითითებული გამოცემაც ცხადყოფს, სადაც გამომცემელმა ჯრუჭის ოთხთავის გაცხოველებული ადგილები განსხვავებულად (D\*) აღნიშნა (შანიძე 1945:42). ჯრუჭის ოთხთავის მსგავსად გაცხოველებულია ბევრი სხვა ძველი ქართული ხელნაწერიც (მათ შორის, სახარება-ოთხთავის შემცველი მანუსკრიპტებიც), მაგრამ გაცხოველებული ადგილების საგანგებო ნიშნით აღნიშვნის წესი, სამწუხაროდ, ყველა გამოცემაში გატარებული არ არის.

გაცხოველების დროს მნიგნობრის მიზანი არ არის ტექსტის შეცვლა. ის ცდილობს განაახლოს ნაწერი ტექნიკურად. ეს უფრო ძველის განახლებაა, ვიდრე ცვლილება და თავისი არსით უფრო ახლოა რესტავრაციასთან, ვიდრე კორექტირებასთან. მაგრამ, თავის მხრივ, გაცხოველების მიზნით ტექსტზე მნიგნობრის მუშაობამ შეიძლება ზოგჯერ ბიძგი მისცეს ტექსტზე სხვა დონის მუშაობის სურვილსაც: თუ ხელნაწერი, რომელსაც ტექსტის განახლების დროს წყაროდ იყენებს გამცხოველებელი (*შესაწამებელი დედანი*), რედაქციულად განსხვავებულია გასაცხოველებელ ხელნაწერში დაცული ტექსტისაგან (ცხადია, ამგვარ განსხვავებებს ადვილად შენიშნავს მნიგნობარი), მას შეიძლება ტექსტის გასწორების (მის ხელთ არსებულ ტექსტთან შეჯერების) სურვილი გაუჩნდეს და ხელნაწერის კორექტორ-რედაქტორადაც მოგვევლინოს. როგორც წესი, ხელნაწერის ასეთი სწორება არ სცდება ტექსტის ერთ ნუსხასთან (*შესაწამებელ დედანთან*) შედარების ფარგლებს, მით უფრო, საქმე არ მიდის ორიგინალთან (ბერძნულთან) შედარებამდე. ამ უკანასკნელი ტიპის სამუშაოს უბრალო გადამწერი არ ასრულებს, ეს მთარგმნელ-რედაქტორთა საქმეა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ჯრუჭის ოთხთავში 291 გვერდია, აქედან თითქმის მესამედი (92 გვერდი) გაცხოველების კვალს ატარებს). მათი ნაწილი მთლიანად გაცხოველებულია; ნაწილი - ნაწილობრივ (ერთი სვეტი, სვეტის ნახევარი); ნაწილი - ალაგ-ალაგ (კალამი გადატარებულია რამდენიმე ასოზე).

<sup>2</sup> ძველ ქართველ მნიგნობართა მიერ ამგვარი საქმიანობის აღსანიშნავად გამოყენებული ჩანს სიტყვები „შემონება“ და „შედარება“: „...ნიკოლაოს ხუცესსა მიეცინ ღმერთმან სასყიდელი და მადლი ჩემისა კეთილისათჳს და წყალობისა. მისითა დედითა დავწერე, რომელ მას დაეწერა გიორგი მთანმიდელისა სახარებისაგან, რომელი გიორგი მთანმიდელსა ბერძულთა სახარებათა და შეემონმა მესამედ, ორჯელ პირველ შეემონმა. ღმერთმან მიეცინ სასყიდელი სულსა მისსა შრომისათჳს, ამენ“ (A 845, 305v); „სიტყუაჲ სიტყესა ნაცვალის შედარებულია ბერძულისა“ (A24, 1v); „და თუ სიბნელე რაჲმე სადმე ანუ სიდუხჭირე შესდგამს, იგი ბერძულისა შედარებულობისაგან არს და არა ქართულთა

ტექსტში ამგვარი ჩარევა – არა უბრალოდ გადაღეულ ასოებზე კალმის გადატარება, არამედ სხვა (უმეტესწილად ახალი) რედაქციის ტექსტთან შედარება, არსებული განსხვავებების გასწორება და ძველი ხელნაწერის „ახლისადა მიყვანება“, ცხადია, გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ შენამება-კორექტირება. ეს ტექსტის რედაქტირებაა, არსებული ტექსტში შეგნებული ჩარევის გზით მის სწორ (დასაჯერებელ) ტექსტად ქცევა, რომელსაც კარგად მიესადაგება ძველი ქართული სიტყვა *შეჯერება*.

თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ, ძველი ხელნაწერების კორექტირება, რომლებიც სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვა დროს არის გაკეთებული, შეიძლება ტერმინოლოგიურადაც გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან: 1. შენამება/გარდამამება – ასლის დედანთან შედარების გზით გადაწერის დროს გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომების გასწორება, რაც ჩვეულებრივ გადაწერის დასრულებისთანავე ხდება. 2. შეჯერება – რედაქტირება, ტექსტში აღმოჩენილი განსხვავებული წაკითხვების გასწორება (შეცვლა) სხვა ხელნაწერის (სხვა რედაქციის, ყველაზე ხშირად, კანონიზირებული ტექსტის) მიხედვით, რასაც ძველ ქართულ სამნიგნობრო ტრადიციაში „ახლისადა მიყვანებად“ მიიჩნევენ და რომელიც, როგორც წესი, საკმაოდ დაშორებულია ხელნაწერი წიგნის შექმნის დროს, თუმცა გაცხოველების მსგავსად, ისიც ხელნაწერის „გაუმჯობესებას“ ისახავს მიზნად. ორივე ტექსტის კორექტირებაა, მაგრამ კორექტორებს განსხვავებული მიზნები და ამოცანები აქვთ. ცხადია, ტექსტზე მუშაობის ზემოთ განხილული მეთოდები უნდა განვასხვავოთ იმ ტიპის სამუშაოსგან, რომელსაც მთარგმნელ-რედაქტორები (მაგალითად, გიორგი ათონელი) ახორციელებენ. ისინი ტექსტის არსებულ თარგმანს ბერძნულ დედანთან ადარებენ, მის მიხედვით ასწორებენ და ფაქტობრივად ახალ ტექსტს (ახალ თარგმანს) გვაძლევენ, სადაც „სიტყუაჲ სიტყვა ნაცვალნი შედარებულია ბერძულისა“ (A-24, 1v). ამგვარ საქმიანობას კარგად გამოხატავს გამოთქმა „ბერძულისადა მიყვანება“ ( ეფრემ მცირე).

**სისტემური და შემთხვევითი რედაქტირება.** მნიგნობარი, რომელიც ტექსტს ადარებს კონკრეტულ ნუსხას, წინასწარი განზრახვით, გამიზნულად, სისტემურად ასწორებს მას და ფლობს ტექსტის გასწორება-რედაქტირებისთვის საჭირო ცოდნას, პროფესიონალ რედაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ. ასეთია, მაგალითად, Ivir.georg.62-ის<sup>1</sup> რედაქტორი, რომელმაც ზუსტად იცის, რა უნდა გაასწოროს, რომელი წაკითხვა რითი უნდა ჩაანაცვლოს. იგი ამ სამუშაოს ძალიან კორექტულად და ზუსტად ასრულებს (ე. კვირკველია, 2019). ამგვარი რედაქტორისგან განსხვავებით, შემთხვევითი რედაქტორი (ე. წ. „მოყვარული“ რედაქტორი), შეიძლება იყოს მნიგნობარი, რომელსაც ტექსტის სწორების განზრახვა არ აქვს (მაგალითად, გამცხოველებელი ან უბრალოდ მკითხველიც კი), მაგრამ ამჩნევს განსხვავებას და ასწორებს მას. ასეთმა „შემთხვევითმა რედაქტორმა“ შეიძლება

---

*სიტყუათა და შუენებასა ვერმეცნიერეობისაგან“ (A-205, 144 v), თუმცა მათ ხშირად ენაცვლება „შენამებაც“: „ესე წმიდაჲ ოთხთავი არა თუ ახლად გვთარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთათა, ბერძულთა სახარებათა შეგვნამებია“ (K-76, 356 r).*

<sup>1</sup> Ivir.georg.62 XI საუკუნის ოთხთავის ხელნაწერი, რომელიც ოშკის ოთხთავის სახელითაცაა ცნობილი (დეტალურად იხ. კვირკველია 2019).

მხოლოდ რამდენიმე შესწორება შეიტანოს ტექსტის ცალკეულ მონაკვეთებში და არა მთელ ტექსტში.

ცხადია, რომ ხელნაწერებში დაცული ამგვარად შესწორებული (რედაქტირებული) ტექსტის ტექსტოლოგიური კვლევისთვის გამოყენებისას, პირველ რიგში, უნდა შესწავლილ იქნას და დაფიქსირდეს ყოველი კონკრეტული შესწორება და შეძლებისდაგვარად მოხდეს შესწორებამდე არსებული ნაკითხვის რეკონსტრუირება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება რედაქტირებული ხელნაწერის მონაცემების ავთენტურობაზე საუბარი და ხელნაწერთა ურთიერთმიმართების დასადგენად მისი ვარიანტების გათვალისწინება.

ოპიზის ოთხთავი გვიან რედაქტირებული ხელნაწერია და მისი ტექსტის კვლევა სწორედ ამგვარი მიდგომით უნდა მოხდეს. სამწუხაროდ, დღემდე არსებულ გამოცემებში ეს მიდგომა სისტემურად გატარებული არ არის. უმრავლეს შემთხვევაში ოპიზის იკითხვის მითითებულია დაზუსტების გარეშე. არ ჩანს, ის პირველადია თუ მეორეული (თავდაპირველი ნაკითხვაა თუ კორექტირებული). ხშირად ამას ობიექტური ფაქტორებიც განაპირობებს. ხელნაწერის ფოტოკოპირის (მით უფრო, არც ისე კარგი ხარისხის შავ-თეთრი ფოტოასლის) მიხედვით ძნელია ტექსტში შეტანილი ყველა ცვლილების შემჩნევა და, მით უმეტეს, პირვანდელი ნაკითხვის აღდგენა. თუ გავითვალისწინებთ ძველი მნიგნობრების სიბეჯითესაც, რომლებიც გულმოდგინედ ცდილობდნენ წაეშალათ ძველი და ზემოდან გადაეწერათ ახალი, ზოგჯერ ეს თითქმის შეუძლებელი ჩანს.

ციფრულმა ეპოქამ ბევრი რამ შეცვალა ჩვენს ცხოვრებაში და, ცხადია, ხელნაწერთმცოდნეობის სფეროშიც. ძველ მანუსკრიპტთა ფოტო- და მიკროფირებზე ფიქსაცია დიგიტალიზაციამ ჩაანაცვლა, რამაც შესაძლებელი გახადა მაღალი ხარისხის ციფრული ფოტოასლების მიღება, რომლებიც კვლევისთვის (განსაკუთრებით პალეოგრაფიული და კოდიკოლოგიური თვალსაზრისით) სანდო და უტყუარ წყაროდ იქცა.

ბოლო წლებში (2016-2019 წწ.) ფოლკსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული გერმანულ-ქართულ-ფრანგული საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის „GeoPal“ ფარგლებში (პროექტის ხელმძღვანელი – მანის ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორი იოსტ გიპერტი), რომელიც ივირონის მონასტერის ნიგნოსაცავში დაცული ქართული ხელნაწერების ანალიტიკური აღწერილობის მომზადებასა და იქ დაცული პალიმფსესტების შესწავლას გულისხმობდა, შესაძლებელი გახადა ათონის მთაზე, ივერთა მონასტერში, დაცული ქართული ხელნაწერების სრული კოლექციის დიგიტალიზება, რის შედეგადაც პროექტის მონაწილეებს შესაძლებლობა მოგვეცა გვესარგებლა ათონური ხელნაწერების მაღალი ხარისხის ციფრული ფოტოასლებით<sup>1</sup>. ციფრული ფოტოების დამუშავების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ოპიზის ოთხთავის შესახებ ბევრი ისეთი საყურადღებო ფაქტი გამოვლინდა, რაც აქამდე ნაკლებად იყო ცნობილი და რომელიც აღნიშნული ტექსტის გამოცემის ან მისი სხვა ხელნაწერებთან შედარების დროს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

<sup>1</sup> ივირონის მონასტერში დაცული ოთხთავის ქართული ხელნაწერების ფოტოების ნიმუშების დაბეჭდვის ნებართვა მოგვცა ივირონის მონასტრის ნიგნოსმცველმა, ბერმა თეოლოგოსმა, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას. აქვე მადლიერებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი სტატია გულდასმით წაიკითხა და ჩვენთვის მნიშვნელოვანი რჩევები მოგვცა პროფესორმა იოსტ გიპერტმა.



ხელნაწერის ციფრულ ასლებზე კარგად ჩანს, რომ Ivir.georg. 83-ის ეტრატის ფურცლების ნაწილი გაცრეცილია და მელანი ბევრ ადგილას გადალეულია. მის აღდგენაზე უმუშავია გვიანდელ მნიგნობარს, რომელსაც ხელნაწერის გვერდები გაუცხოველებია (სრულად ან ნაწილობრივ, განსაკუთრებით დასაწყისში – მათეს სახარების ნაწილში). გამცხოველებელი შავი ფერის მელნით მუშაობს და ცდილობს ხელნაწერის გადამწერის, გრიგოლ ოპიზელის მიერ მუქი ყავისფერი მელნით გამოყვანილი ასომთავრული ასოების მოხაზულობა გაიმეოროს, რასაც ზოგჯერ კარგად, უფრო ხშირად კი ნაკლები ოსტატობით ახერხებს (იხ. დანართი, სურ. №1). ხელნაწერს ეტყობა „შენამების“ კვალიც - ალაგ-ალაგ ყავისფერი მელნით და იმავე ხელით გასწორებულია წერის პროცესში გაპარული შეცდომები (გამორჩენილი ასოები, სიტყვები, ე.წ. კალმის ლაფსუსები), როგორც ჩანს, თვითონ გადამწერის მიერვე. გარდა გაცხოველებული და გადამწერის მიერ კორექტირებული ადგილებისა, კარგად ჩანს ხელნაწერის გადამწერის მიერ ასომთავრულით და ყავისფერი მელნით დაწერილ ტექსტში სხვა ხელით, შავი ფერის მელნით, ნუსხური ანბანით ჩასწორებული ადგილები, რაც ხელნაწერის თავდაპირველ ტექსტზე გვიანდელი მნიგნობრის რედაქტორულ მუშაობას ადასტურებს (ნაშლილია ძველი და გადანერილია ახალი, ამოფხეკილია სიტყვები, მარცვლები, ასოები, ზოგჯერ მთელი მუხლიც ან ჩამატებულია სიტყვები, მარცვლები, ასოები, მუხლი და ა. შ. იხ. დანართი, სურ. №2). შეიძლება ითქვას, რომ, ფაქტობრივად, Ivir.georg. 83-ის ცალკეულ ფურცლებზე, პალიმფსესტური ხელნაწერების მსგავსად, გვაქვს ორი შრე – 1. პირველადი ტექსტი, რომელიც გრიგოლ ოპიზელმა დაწერა და 2. მეორეული ტექსტი, რომელიც მისი გვიან რედაქტირების შედეგად არის მიღებული<sup>1</sup>. ცხადია, სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ტექსტის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რა ეწერა 913 წელს გადანერილ ოპიზის ოთხთავის ხელნაწერში თავდაპირველად და როგორ, რატომ და რის მიხედვით შეცვალეს ის მოგვიანებით, რა გადაწერეს მას ზემოდან.

უპირველეს ყოვლისა, შევეცდებით ვაჩვენოთ, როგორი იყო ოპიზის ოთხთავის თავდაპირველი (პირველადი) ტექსტი, რომელიც ქვემოთ აღნიშნული გვაქვს O ლიტერით, ხოლო მეორეულ, კორექტირებულ ტექსტს აღვნიშნავთ – O<sup>c</sup>-ით.

ოპიზის ოთხთავის ტექსტის კორექტირება იწყება 10r-ს b სვეტიდან,<sup>2</sup> სადაც მათეს სახარების მე-8 თავის მე-9 მუხლია წარმოდგენილი. თავდაპირველი ნაკითხვა ამ მუხლისა ოპიზის ოთხთავში ასეთი იყო: „რამეთუ მეცა კაცი ვარ ჳელმნიფებასა **ზედა** და მქონან ჩემ ქუემე ერისაგანნი; და ვჰრქვ **ამას**: ნარვედ! - და ნარვიდის: და სხუასა: მოვედ! - და მოვიდის; და მონასა ჩემსა: ქმენ ესე! - და ქმნის“.

<sup>1</sup> ტექსტის ამგვარი სწორების შესახებ ივანე ჯავახიშვილი წერს: „ხელნაწერებში მკვლევარი ამოფხეკილ და ახლად ჩანერილ ასო-სიტყვებს შეხვდება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ყოველთვის და ყველგან დედნის ტექსტის აღდგენისა და გადანაწერის შეცდომის შესწორებასთან არ გვაქვს ხოლმე საქმე, ზოგჯერ ეს ძველი ტექსტის ახალ ნათარგმნ ტექსტთან შესათანხმებლად წარმოებული მუშაობის ნაყოფია. მკვლევარს ეს გარემოება მეტადრე სახარების ტექსტის შესწორებათა თავისებურების დახასიათების დროს უნდა ახსოვდეს“ (ჯავახიშვილი 1996:81).

<sup>2</sup> შევნიშნავთ, რომ პირველი გაცხოველებული გვერდი, რომელიც ხელნაწერში გვხვდება არის 4 r.













ში რედაქტირების შემდეგ (O<sup>c</sup>)? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მოხდეს, ერთი მხრივ, ოპიზური ხელნაწერის პირველადი, რეკონსტრუირებული ტექსტის შედარება წინათონური რედაქციის სხვა ხელნაწერებთან, რომ დადგინდეს ხელნაწერთა რომელ ჯგუფშია მისი ადგილი; მეორე მხრივ, მეორეული, რედაქტირებული ტექსტი უნდა შეუდარდეს ოთხთავის როგორც წინათონურ, ისე ათონური რედაქციის ნუსხებს, რომ გამოჩნდეს, რის მიხედვით ხდება სწორება. ჩვენ მიერ ჩატარებული ტექსტოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც 20-ზე მეტი წინათონური რედაქციის ხელნაწერისა და გიორგი ათონელისეული ტექსტის შემცველ 15 ხელნაწერის შესწავლას ეფუძნება, პირველ კითხვაზე – როგორი იყო ოპიზის ოთხთავის თავდაპირველი ტექსტი, პასუხი ცალსახაა – ის ხელნაწერთა იმ ჯგუფში ერთიანდება, რომელსაც ა. შანიძე პროტოვულგატად მოიხსენიებს და რომელშიც ოპიზის ოთხთავთან ერთად წარმოდგენილია X საუკუნის სხვა ოთხთავები, კერძოდ: ჯრუჭის, პარხლის და სხვა ნუსხები (ODE) და მისი დაყენება ე.წ. შუალედური რედაქციის (Intermediate red. - სინოპტიკური გამოცემით e რედაქცია) შემცველი ნუსხების გვერდით, რომლებიც ბერძნულის მიხედვით შესწორებული ტექსტის შემცველ ნუსხებად მიიჩნევა და აერთიანებს X-XII საუკუნეების რამდენიმე ნუსხას, მათ შორის, ურბნისისა (F) და პალესტინურ (G) ოთხთავებს<sup>1</sup>, პირველადი ტექსტის რეკონსტრუქციის შემდეგ შეუძლებელია. მისი ადგილი ამ გამოცემის არა e (Red. e -Intermediate red.), არამედ c (Red. c - Proto-Vulgate) რედაქციის ხელნაწერებთანაა, რომელიც აღნიშნულ გამოცემაში წარმოდგენილია ჯრუჭის (D), პარხლის (E), ქსნის (K), ანბანდიდი სახარების (An) და ორი სინური ოთხთავის (R – Sin.15, P - Sin.30) ხელნაწერებით.

მოვიყვანოთ რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითს: ცნობილი ფაქტია, რომ ქართული ოთხთავის წინათონური რედაქციების ხელნაწერთა უმრავლესობას ათონურთან შედარებით რამდენიმე მუხლი აკლია. მათეს სახარების ნაწილში ასეთი (ე.წ. „ნაკლული მუხლები“) ორია, კერძოდ, მთ.17:21 და მთ. 18:11.

**მთ. 17:21**, რომელიც ათონური რედაქციის ხელნაწერებში ასე იკითხება: „ხოლო ესე ნათესავი არა განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა“, აკლდა ოპიზურ ხელნაწერსაც, მაგრამ რედაქტორმა ის ჩაამატა და ქვედა ამიაზე შავი მელნით მიაწერა (იხ. დანართი, სურ. №11).

**მთ.18:11**. პროტოვულგატური რედაქციის ნუსხების უმრავლესობას (XODERPbBTMLhmcIt) ეს მუხლიც აკლია („მოვიდა ან ძღ კაცისაჲცა ძიებად, რაჲთა ივსნეს ცხოვარი წარწყმედული“). სახარების ტექსტის კომენტატორთა აზრით, ის მერმინდელი ჩანამატია და გადმოსულია ლუკას 19:10-იდან. აღნიშნული მუხლი აკლია ოპიზურ ოთხთავსაც, ისევე როგორც პროტოვულგატური რედაქციის სხვა ნუსხებს (ხანმეტ, ჯრუჭის, პარხლის, ტბეთის, წყაროსთავის, სინურ და სხვა ოთხთავებს). საყურადღებოა, რომ ქართულ ხელნაწერთაგან ის მოიპოვება ადიშის (C) და ბერთის (B) ოთხთავებში, აგრეთვე, გიორგისეული რედაქციის ხელნაწერებში.<sup>2</sup>

მათეს სახარების 21-ე თავის 28–31 მუხლებში იგავი ურჩისა და მორჩილი შვილის შესახებ პროტოვულგატურ ტექსტში ისეა მოთხრობილი, რომ მამის ნებას

<sup>1</sup> <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/ntkpl/ntkpl.htm>

<sup>2</sup> ზოგიერთ ძველ ნუსხაში (fGw) მთ. 18,11 მე-14 მუხლის შემდეგ არის.



ასრულებს უკანასკნელი (გიორგისეულ რედაქციაში კი მორჩილია პირველი შვილი და არა უკანასკნელი). „*ვინ ორთა ამათგანმან ყო ნებაჲ მამისა თჳსისაჲ? ჰრქუეს მას: უკუანასკნელმან მან. ჰრქუა მათ იესუ: ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ მეზუერენი და მეძავნი წინაგიდღჳნ თქუენ სასუფეველსა ღმრთისასა*“ (Ivir. georg.83, 44r). ოპიზის ოთხთავი ამ შემთხვევაშიც მხარს უჭერს ჯრუჭის, პარხლის, ქსნის, ბერთის, ტბეთის, სინური ოთხთავების ჩვენებას (ODAERPibBTMLhFGclwtr). აღსანიშნავია, რომ რედაქტორი ამ ადგილს არ ასწორებს.

მათეს სახარების 28-ე მუხლის მე-18 მუხლი პროტოვულგატური ხელნაწერების უმრავლესობაში მოკლეა და ასე იკითხება: „*და მოუჭდა მათ იესუ, ეტყოდა მათ და ჰრქუა: მომეცა მე ყოველი ჳელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა*“. აკლია ბოლო ნაწილი („*ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ*“), რომელიც იოანეს სახარებიდან გადმოსულად მიიჩნევა (ი.20:21). წინათონური პერიოდის ხელნაწერებიდან ზედა + ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ, მოიპოვება ადიშის ოთხთავში (C), ასევე ორ სინურ ხელნაწერში (RP), ურბნისის და პალესტინის ოთხთავებში (FG, ასევე, cwr-ში), მაგრამ აკლია ყველა დანარჩენს და, მათ შორის, ოპიზის ოთხთავს (ODEXBLMS...ს). სხვათა შორის, ეს დაბოლება არ არის გიორგისეული ტექსტის შემცველ ხელნაწერებშიც.

წინათონური პერიოდის ნუსხების ნაწილში არ არის მთ. 26:26 მუხლის ბოლო ფრაზაც (*ჩემი +თქუენ მრავალათჳს განტეხილი მისატევებელად ცოდვათა*), რომელიც დასტურდება ჯრუჭის, პარხლის, ქსნის, ბერთის ოთხთავებში (DEAB) და არის ოპიზის ოთხთავშიც: „*და ვითარცა ჭამდეს იგინი, მოილო იესუ პური, აკურთხა და განტეხა და მიჰსცა მონაფეთა თჳსთა და ჰრქუა: მიიღეთ და ჭამეთ, რამეთუ ესე არს ჳორცი ჩემი თქუენ მრავალათჳს განტეხილი მისატევებელად ცოდვათა*“ (Ivir. georg.83.57v).

მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც კარგად გვიჩვენებს ოპიზის ოთხთავის და ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავების ტექსტის სიახლოვეს.

მათეს სახარების მე-9 თავის მე-13 მუხლში წინათონური პერიოდის ყველა ნუსხაში ბერძნული *ἰσνάψετε* ზმნის შესატყვისად ერთნაირად იკითხება *ისწავეთ* („*ხოლო თქუენ წარვედით და ისწავეთ, რაჲ არს: წყალობაჲ მნებაჳს და არა მსხუერპლი. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა*“), გარდა ადიშის, ჯრუჭის და პარხლის ოთხთავებისა, სადაც ამ ზმნის შესატყვისად გვაქვს *იკითხეთ* („*ხოლო თქუენ წარვედით და იკითხეთ, რაჲ არს: წყალობაჲ მნებაჳს და არა მსხუერპლი...*“). ოპიზის ოთხთავის კორექტირებულ ტექსტში, წინათონური ნუსხების უმრავლესობის მსგავსად, *ისწავეთ* წერია, ოღონდ ჩასწორებამდე იქ, *იკითხეთ* ეწერა ისე, როგორც ეს ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებშია წარმოდგენილი (ამოფხეკილია *იკითხეთ* და ზემოდან შავი ფერის მელნით ნუსხურით გადანერვილია *ისწავეთ* (Ivir. georg.83, 12v;იხ. დანართი, სურ. №12).

ასეთივე ვითარებაა ამ მუხლის ბოლო ფრაზასთან დაკავშირებითაც: სახარების ყველა ნუსხაში ეს მუხლი ასე მთავრდება „*არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა*“, გარდა ჯრუჭის და პარხლის ოთხთავებისა, სადაც ემატება ფრაზა, რომელიც გვაუწყებს რომ უფალი ცოდვილთა მოსაქცევადაც მოვიდა: „*არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა და მოქცევადა მათა*“ (DE).

როგორც ირკვევა, ოპიზის ოთხთავშიც სწორედ ეს ნაკითხვა გვექონდა თავდაპირველად: იქ, ისევე როგორც ჯრუჭისა და პარხლის ნუსხებში, მუხლის დასასრულს სიტყვა *ცოდვილთას* შემდეგ ეწერა „და მოქცევად მათა,“ მაგრამ ეს სიტყვები მოგვიანებით ამოუფხვკიათ (იხ. დანართი, სურ. №12), ამიტომ ოპიზის რედაქტირებული ტექსტი ახლა სხვა წინათონური ხელნაწერების ნაკითხვას იმეორებს და ასე იკითხება: „ხოლო თქუნ ნარვედით და **ისწავეთ**, რა არს: ნყალობა მნებავს და არა მსხურპლი. არა მოვედ ნოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“, თუმცა მისი რედაქტირებამდელი ნაკითხვა ისეთივეა, როგორც DE-ში გვაქვს. როგორც ვხედავთ, მხოლოდ ამ სამ ნუსხაში (ODE) გვაქვს ერთნაირი ვარიანტი, რაც მათ აშკარა სიახლოვეზე მიგვანიშნებს.

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, ნათელია, რომ ოპიზის ოთხთავი ჯრუჭის, პარხლის, ბერთის და მეთე საუკუნის სხვა ოთხთავებთან ერთად ქმნის იმ ჯგუფს, რომელსაც აკაკი შანიძე პროტოვულგატას უწოდებს. განსაკუთრებულ სიახლოვეს კი ის ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებთან (ODE) ამჟღავნებს.

რის მიხედვით ასწორებს რედაქტორი ოპიზის ოთხთავის ტექსტს? ხელნაწერის რედაქტირებული ადგილების შედარებამ ოთხთავის სხვა ხელნაწერებთან მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ოპიზის ოთხთავის თავდაპირველი ტექსტი გასწორებულია გიორგი ათონელის რედაქციის მიხედვით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ჩარევის შედეგად მიღებული კორექტირებული ტექსტი (O<sup>c</sup>) ზოგჯერ უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც სხვაობს გიორგისეული ტექსტისგან და წინათონური რედაქციის სხვა ნუსხების ნაკითხვას იმეორებს<sup>1</sup>.

**რა ვიცი რედაქტორის შესახებ?** თითქმის არაფერი. სავარაუდოდ, ის იგივე პირია, ვინც გააცხოველა ოპიზის ოთხთავის გვერდები. მისი მუშაობის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის განაფული მწიგნობარი არ უნდა იყოს. ხელი არაა კალიგრაფიული, შეიძლება ითქვას, რომ უფრო წერაში გამოუცდელი კაცის ხელია, ვიდრე პროფესიონალის.

რედაქტორი თანმიმდევრული არ არის თავის საქმიანობაში. ის არ ასწორებს ტექსტს მთლიანად. შედარებით მეტი ინტერესით და მონდომებით ასწორებს დასაწყისში მოთავსებულ მათეს სახარებას, მასაც არა თავიდან ბოლომდე, არამედ მის გარკვეულ მონაკვეთებს. სწორებას იწყებს მხოლოდ მე-10 გვერდიდან (გაცხოველება დაწყებულია მე-4-დან). აქაც არ მუშაობს თანმიმდევრულად, ზოგ გვერდს ასწორებს, ზოგს – არა, სადაც ჩერდება, მერე ისევ იწყებს გასწორებას. უფრო ყურადღებით აქვს ნაკითხული ის გვერდები, რომლებიც ცუდად იკითხება (გადაღებული ფურცლები). მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებაში, სადაც ნაწერი კარგადაა შენახული, რედაქტირებული ადგილები თითო-ოროლაა, შეიძლება ითქვას, რომ ეს თავები რედაქტირებული არც არის.

ვფიქრობ, საქმე გვაქვს ე. წ. „შემთხვევით რედაქტორთან“, რომლის მიზანი ტექსტის „ახლისადა მიყვანება“ არაა. შესაძლოა, მას თავდაპირველად ამ ხელნა-


<sup>1</sup> ოპიზის ოთხთავის კორექტირებული ტექსტის გიორგისეულ რედაქციის ნუსხებთან მიმართების საკითხი და ამ კუთხით ტექსტოლოგიური კვლევის შედეგები წარმოდგენილი იქნება სხვა სტატიაში.

წერის გადაღებული ადგილების გაცხოველება ჰქონდა განზრახული, რისთვისაც მას დასჭირდებოდა საყრდენ ტექსტად რომელიმე ნუსხის გამოყენება (სავარაუდოდ, გიორგისულის), რომელთანაც შემჩნეული სხვაობების ნაწილი მან ერთხანს გულმოდგინედ ასწორა (განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც გაცხოველების მიზნით კითხულობს ტექსტს). იქ, სადაც ხელნაწერში ტექსტი კარგად იკითხება, მნიგნობარი უმეტესად არაფერს (ან მხოლოდ ძალიან თვალსაჩინო ლექსიკურ სხვაობებს) ასწორებს.

თუ ოპიზის (Ivir.georg.83) ოთხთავის რედაქტორის მუშაობას შევადარებთ ივირონის წიგნთსაცავში დაცულ მეორე რედაქტირებული ნუსხის - ოშკის ოთხთავის (Ivir.georg. 62) რედაქტორის ნამუშევართან, რომელიც მთელს ტექსტს თანმიმდევრულად და გამიზნულად ასწორებს, ნამდვილად შევნიშნავთ განსხვავებას „პროფესიონალ რედაქტორსა“ და „შემთხვევით რედაქტორს“ შორის.

ოპიზის ოთხთავის ხელნაწერზე მომუშავე მნიგნობარს „კეთილშობილური მიზანი“ ჰქონდა და თავისი საქმიანობით ძველი ხელნაწერის „გაუმჯობესება“, მისთვის ახალი სიცოცხლის მინიჭება სურდა. მიაღწია თუ არა მან ამ მიზანს, ეს სხვა საკითხია. ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად ხელნაწერში შეტანილი გვიანდელი შესწორებებისა, ოპიზის ოთხთავი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის შემცველ ხელნაწერთა შორის, რომლის კოდიკოლოგიური თავისებურებების გამოვლენა (უპირველეს ყოვლისა, მისი პირველადი წაკითხვების აღდგენა და მეორეული წაკითხვების აღნუსხვა) ოთხთავის ქართული თარგმანის ტექსტის კვლევისთვის მეტად მნიშვნელოვანია.


დაწართი




სურ. № 1









სურ. № 3




სურ. № 4




სურ. № 5




სურ. № 6



სურ. № 7



სურ. № 8



სურ. № 9









## ლიტერატურა და წყაროები

- ადიშის ოთხთავი 2003** – ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მაჩხანელმა, ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით, თბილისი, 2003.
- ანბანდიდი 2010** – ანბანდიდი. სახარება-ოთხთავის IX საუკუნის ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მანანა მაჩხანელმა, გამომცემლობა „ნეკერი“, 2010.
- ბაქრაძე 1889** – დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე), ტფილისი, 1889.
- ბენეშევიჩი 1909-1911** – Бенешевич В. Четвероевангелие в древнем грузинском переводе по рукописям 913 и 995 гг. Вып. 1-2 [სახარება ოთხთავი ორთა ჯელნანერთაგან შიგ და შჟე წელთათა, გამოსცა ვლადიმირე ბენეშევიჩიან, ნაკვეთი ა (სახარება მათჴს თავისაჲ), ნაკვეთი ბ (სახარება მარკოზის თავისაჲ)]. СПб., 1909-1911.
- თვალთვაძე 2008** – დ. თვალთვაძე, რომელი რედაქციის ტექსტს შეიცავს ალავერდის ოთხთავი? „რელიგია“, №1, 2008, გვ. 12-20.
- თვალთვაძე 2015** – დ. თვალთვაძე, ოთხთავის ათონური რედაქციის უძველეს ხელნაწერებზე დართული კოლოფონები და ათონური რედაქციის ჩამოყალიბების საკითხი: „სპეკალი“, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი, №9. 2015, [www.spekali.tsu.ge](http://www.spekali.tsu.ge).
- იმნაიშვილი 1979** – ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა, თბილისი, 1979.
- კვირკველია 2019** – ე. კვირკველია, სახარების XI საუკუნის ქართული ხელნაწერების კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი და ოთხთავის გიორგი მთაწმინდლისეული რედაქციის ჩამოყალიბების ისტორია, ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი, 2019.
- სარჯველაძე 2001** – ზ. სარჯველაძე, წყაროსთავის ოთხთავი და ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქციის საკითხები, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 29, თბილისი, 2001.
- სარჯველაძე 2009** – ს. სარჯველაძე, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ორი ხანმეტი პალიმფსესტური ფრაგმენტის შესახებ, ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თბილისი, 2009, გვ. 215-228.
- სარჯველაძე 2010** – ს. სარჯველაძე, ოთხთავის ქართული თარგმანის ერთ-ერთი უძველესი რედაქცია, ტექსტი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული H-1240 XI საუკუნის ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ს. სარჯველაძემ, თბილისი, 2010.
- სარჯველაძე, თვალთვაძე 2011** – ს. სარჯველაძე, დ. თვალთვაძე, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ტვიბერის ოთხთავის ხელნაწერი, Folia Caucasicca, იოსტ გიპერტის 55 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, ფრანკ-ფურტი მაინზე-თბილისი, 2011, გვ. 99-118.
- სარჯველაძე 2015** – ს. სარჯველაძე, ახალი მასალები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H კოლექციაში დაცული ოთხთავის ნუსხების შესახებ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ტიპოლოგიური ძიებანი, VII, თბილისი, 2015.
- სინური ოთხთავი 2010** – სინური ოთხთავი, 978-979 წწ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელგუჯა გიუნაშვილმა, თბილისი, 2010.

- ქაჯაია 1984** – ხანმეტი ტექსტები, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ, თბილისი, 1984.
- ლალანიძე 2006** – მ. ლალანიძე, ვლადიმირ ბენეშევიჩის სამმაგი ტრაგედია, ლიტერატურული ძიებანი, თბილისი, 2006 №27.
- შანიძე 1945** – ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წ. წ.), გამოსცა ა. შანიძემ, ძველი ქართული ენის ძეგლები, №2, თბილისი, 1945.
- ჯავახიშვილი 1996** – ი. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თხზ. ტ. IX, თბილისი, 1996.
- Blake 1928** – Blake R. Old Georgian Version of the Gospel of Mark from the Adish Gospels with the Variants of the Opiza and Tbet` Gospels. Edited with a Latin Translation, Patrologis Orientalis, Vol. XX, Fasc. 3 (1928) Paris, pp. 439-574.
- Blake 1933** – Blake R. Old Georgian Version of the Gospel of Mattew from the Adish Gospels with the Variants of the Opiza and Tbet` Gospels. Edited with a Latin Translation, Patrologia Orientalis, Vol. XXIV, Fasc. I Paris, 1933.
- Blake 1932** – Blake R. Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la laure d'Ivironau Mont Athos, I, Paris, Librairie Auguste Picard, 82, Rue Bonaparte, 1932.
- Blake, Brière 1950** – Blake R., Brière M. Old Georgian Version of the Gospel of John from the Adish Gospels with the Variants of the Opiza and Tbet` Gospels. Edited with a Latin Translation by Robert P. Blake and Maurice Brière, Firmin-Dirot&Cie., Paris, 1950.
- Brière 1955** – Brière M. La version géorgienne ancienne de l'évangile de Luc, d'après les évangiles d'Adysh avec les variants des évangiles d'Opiza et de Tbet, éditée avec une traduction latine par Maurice Brière, Patrologia Orientalis, t. XXVII, fac.3. Paris, 1955.
- Colwell 1969** – Colwell E. C. Studies in the Methodology in Textual Criticism of the New Testament, in: New Testament Tools and Studies, edited by B. M. METZGER. Vol. IX, Leiden, E. J. Brill 1969
- Metzger 2005** – Metzger M. Bruce, Ehrman D. Bart, The Text of the New Testament, Its Transmission, Corruption and Restoration, Fourth Edition, 2005.
- Tvaltvdze 2008** – Tvaltvdze D. Aus der Geschichte der Übersetzung der Tetraevangelien ins Georgische, GEORGICA, 31, 2008, pp. 107–119.
- Март 1900** – Март Н. Агиографические материалы по грузинским рукописям Иверы. ч. I. Описание пяти пергаментных рукописей, СПб., 1900.
- Цагарели 1886** – Цагарели А.А. Сведения о памятниках Грузинской писменности, выпуск I, Санктпетербург, 1886.

### ელექტრონული გამოცემები:

- ლუკას სახარება 2016** – ლუკას სახარების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტი, უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, სოფიო სარჯველაძემ და ეკა კვიციანიამ, 2016, <http://ogg.tsu.ge/> (ბოლო ნახვა 08.11.2020)
- The Old Georgian Four Gospels: Preatonian Redaction, on the basis of the original manuscripts, edited by Elguja Giunashvili, Manana Machkaneli, Sofio Sarjveladze, Zurab Sarjveladze and Darejan Tvaltvdze, Tbilisi and Frankfurt a/M. 1999-2002, ARMAZI version by Jost Gippert. Frankfurt a/M, 7.6.2000/26.9.2002.
- <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/cinant/cinan.htm>; (ბოლო ნახვა 08.11.2020).

The Old Georgian Four Gospels: Giorgi the Athonite' Redaction (Giorgi the Hagiorite's), on the basis of the original manuscripts, edited by Elguja Giunashvili, Manana Machkaneli, Sofio Sarjveladze, Zurab Sarjveladze and Darejan Tvaltavadze, Tbilisi and Frankfurt a/M. 1999-2002, ARMAZI version by Jost Gippert. Frankfurt a/M, 7.6.2000/26.9.20

<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/giornt/giorn.htm>

(ბოლო ნახვა 08.11.2020)

Complete Synopsis 2017 – The Old Georgian Four Gospels: Complete Synopsis. On the basis of the original manuscripts, facsimiles and editions electronically prepared by Lela Samushia and Natia Dundua within the LOEWE research cluster «Digital Humanities Hesse», Frankfurt, 2011-2014; TITUS version by Jost Gippert, Frankfurt a/M, 12.1.2017 / 9.12.2017

<http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/ntkpl/ntkpl.htm> (ბოლო ნახვა 08.11.2020)

The Encyclopedia of New Testament Textual Criticism by Robert B. Waltz, Inspired by Rich Elliott, Last Preliminary Edition: <http://www.skypoint.com/members/waltzmn/> (ბოლო ნახვა 08.11.2020)

## ხელნაწერები<sup>1</sup>

X – ხანმეტი ოთხთავი (A-89/A-844, VII ს.)

O – ოპიზის ოთხთავი (Ivir. georg. 913 წ.)

D – ჯრუჭის ოთხთავი (H-1660, 936 წ.)

A – ქსნის ოთხთავი (A-509; რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა (პეტერბურგი, X ს.)

E – პარხლის ოთხთავი (A-1453 (973 წ.)

R – Sin. Geo. O. 15 (978 წ.)

P – Sin. Geo. O. 30/38 (979 წ.)

S – Sin. Geo. O. 16 (X ს.)

i – K-176 (X ს.)

s – S-405 (X ს.)

b – ქურაშის I ოთხთავი A-1699, H-1886, H-1887 (X ს.)

e – პარხლის ახალი ოთხთავი S-4927 (X ს.)

B – ბერთის ოთხთავი (998 წ. MS Georgian 1 ჰარვარდი, აშშ)

T – წყაროსთავის ოთხთავი (A-98, X ს.)

M – მარტვილის ოთხთავი S-391 (X ს.)

L – ტბეთის ოთხთავი (995 წ. რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა (პეტერბურგი)

h – H-1240 (XI ს.)

F – ურბნისის ოთხთავი (A-28, XI ს.)

m – მესტიის ოთხთავი (სიემ N 1, 1033 წ.)

G – პალესტინური ოთხთავი (H 1741, 1048 წ.)

c – S-962, K 688 (1054 წ.)

l – ლიხაურის ოთხთავი (Q-645, XI ს.)

w – ვენის ოთხთავი (ავსტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკის №1 ხელნაწერი (XI ს.)

t – A-18 (XII ს.)

r – A-411 (XVI-XVII სს.)

z – Sin. Geo. O. 63 (X ს.)

α – K-76 – კალიპოსის ოთხთავი (1060 წ.)

n – A-845 – შავი მთის (//რუისის) ოთხთავი (XI ს.)

<sup>1</sup> სახარება-ოთხთავის ხელნაწერების ლიტერები მითითებულია ოთხთავის ქართული თარგმანის შემსწავლელი ჯგუფის გამოცემების მიხედვით.

fr -17 H-1792 (XI ს.)

A - 205. – ანასტასი სინელის წინამძღუარი (არსენ იყალთოელის თარგმანი)

A - 24 – იოანე დამასკელის დიალექტიკა (ეფრემ მცირის თარგმანი)

Jer. Geo. 32 – იოანე ოქროპირის „თარგმანებაჲ იოანეს სახარებისაჲ“ (ექვთიმე ათონელის თარგმანი)

A - 397 – კრებული (X-XI სს)

A - 487 – ფსალმუნნი (გიორგი მთაწმიდელის რედაქცია; XV ს.)

A - 558 – „ათონის კრებული“ (1074 წ.)

Q - 34 – მაქსიმე აღმსარებლის ეგზეგეტიკურ თხზულებათა კრებული (ექვთიმე ათონელის თარგმანი) (1028-1031 წწ.)

K - 25 – სჯულისკანონი (XIII ს.)

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) საგრანტო პროექტის FR 17-170-ის ფარგლებში.

სტატიაში გამოყენებული ციფრული ფოტოები დამზადებულია ფოლკსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქართული პალიმფსესტური ხელნაწერები“ (GeoPal) ფარგლებში.

ფოტოების მონოდებისთვის მადლობას ვუხდით პროექტის ხელმძღვანელს, ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორს, იოსტ გიპერტს, სტატიაში მათი გამოქვეყნების ნებართვისთვის კი – ბიბლიოთეკას და მის წიგნისმცველს, ბერ თეოლოგოსს.

## არსებობა-მქონებლობის ზმნათა „შენაცვლება“ ტიპოლოგიურ კონტექსტში

აკაკი შანიძე თავისებურ ზმნათა დახასიათებისას გამოყოფს ზმნათა შენაცვლებას აგებულების მიხედვით. იგი მიუთითებს, რომ მეშველი ზმნა არის აბსოლუტური აგებულებისაა, რელატიური ფორმები არ გააჩნია და ამ ნაკლს *მაქვს, მყავს* ზმნებით ივსებს. არის ზმნიანს აკაკი შანიძე მიუმართავ ფორმებს უწოდებს, ხოლო ქონა-ყოლის ზმნიანს – მიმართებითს:

### მიუმართავი ფორმები

ჩემი სადილი დამზადებულია.  
დავითის მამა ავადმყოფია.

### მიმართებითი ფორმები

სადილი დამზადებული მაქვს.  
დავითს მამა ავადმყოფი ჰყავს.

(შანიძე 1980: 512–513).

არის და *მაქვს-მყავს* ზმნებიანი კონსტრუქციები დიდ ფუნქციურ სიახლოვეს გვიჩვენებს სხვა შემთხვევებშიც და ეს, როგორც ჩანს, მხოლოდ ქართულისათვის არაა დამახასიათებელი. აღნიშნული პრობლემატიკის კვლევას სათავე დაუდო ჯ. ლაიონზმა (ლაიონზი 1978). შემდგომში მყოფობა-არსებობა-მქონებლობის სემანტიკური ველი აქტიურად შეისწავლებოდა და შეისწავლება სხვადასხვა კუთხითა და მეთოდოლოგიით.

არსებობისა და მქონებლობის კონსტრუქციათა კვლევისას ფუნდამენტურ ტიპოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ პოსესიურ სემანტიკურ სტრუქტურაში განირჩევა *კუთვნილებისა* (თუ მიკუთვნების) და *მქონებლობის* სემანტიკა, ერთი მხრივ, და არსებობის სემანტიკურ სტრუქტურაში – *მყოფობა-მდებარეობისა* (ლოკატიურობის) და *არსებობისა* (ეგზისტენციალური), მეორე მხრივ. ეს მიმართებები სქემის სახით ასეა წარმოდგენილი:<sup>1</sup>

<b>კუთვნილება (Ownership)</b>	<b>მდებარეობა (location)</b>
<b>მქონებლობა (Possession)</b>	<b>არსებობა (existence)</b>

სქემაში მოცემული სემანტიკური კატეგორიები ენებში სხვადასხვაგვარად არის რეალიზებული. განვიხილოთ ინგლისური ენის მაგალითზე:

- (1) The book is the boy's. (*be* - არის) *კუთვნილება*  
ნიგნი არის ბიჭის.
- (2) The boy has a book. (*have* - აქვს) *მქონებლობა*  
ბიჭს აქვს წიგნი.
- (3) The book is on the table. (*be* - არის) *მდებარეობა*  
წიგნი არის მაგიდაზე.
- (4) There is a book. (*be* - არის) *არსებობა*  
ეს არის წიგნი.

<sup>1</sup> სქემა მოცემულია ბიკერტონის მიხედვით (ბიკერტონი 1981:245).



როგორც ვხედავთ, ინგლისურში **be** (არის) ზმნა ფარავს *კუთვნილების* (1), *მდებარეობის* (3) და – *არსებობის* (4) სემანტიკას.<sup>1</sup> ხოლო *მქონებლობა* (2) ლექსიკალიზებულია ზმნით **have** (*აქვს/ჰყავს*).

სრულიად განსხვავებული სურათია ბრაზილიის პორტუგალიურში.

(1) *o livr-o é do rapaz. (ser - არის) კუთვნილება*

ნიგნი არის ბიჭის.

(2) *o rapaz tem um livr-o. (ter - აქვს) მქონებლობა*

ბიჭს აქვს ნიგნი.

(3) *o livr-o est-á sobre a mes-a. (estar - არის/ არსებობს) მდებარეობა*

ნიგნი არის მაგიდაზე.

(4) *tem um livr-o. (ter - აქვს) არსებობა*

ეს არის ნიგნი.

ამრიგად, ამ ენაში *მქონებლობა* და *არსებობა* ლექსიკალიზებულია **ter** (*აქვს/ჰყავს*) ზმნით, ხოლო *კუთვნილება* და *მდებარეობა* ორი სხვადასხვა ზმნით, რომლებიც *არსებობას* აღნიშნავს, კერძოდ, *კუთვნილება* ზმნით – **ser** (არის), ხოლო *მდებარეობა* ზმნით – **estar** (არის/ არსებობს) (კოხი 2012: 536).<sup>2</sup>

*არსებობისა* და *მდებარეობის* გამოხატვა მრავალ საინტერესო საკითხს სვამს არაერთ ენაში, მათ შორის ქართულშიც. როგორცაა, მაგალითად, *მყოფობა-მდებარეობის* გამოხატვა ე. წ. პოზის აღმნიშვნელი ზმნების – *დგას, დევს, წევს, ზის* – მეშვეობით (ლოლაძე 2018). მაგრამ ამჯერად ყურადღება გვინდა შევაჩეროთ კონსტრუქციებზე, რომლებიც *კუთვნილება-მქონებლობას* გამოხატავს:

(1) ნიგნი არის ბიჭის.

(2) ბიჭს აქვს ნიგნი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონსტრუქცია (1) მიჩნეულია *კუთვნილების* (Ownership) სემანტიკის გამომხატველად, ხოლო კონსტრუქცია (2) – *მქონებლობის* (possession) სემანტიკისად. საგულისხმოა, რომ მათ შორის არსებული სხვაობა არ არის განპირობებული იმით, რომ ერთ შემთხვევაში *არსებობის* ზმნა გამოიყენება (*არის, be, ser...*), ხოლო მეორე შემთხვევაში – *მქონებლობისა* (*მაქვს/მყავს, have, ter...*). ასეთსავე სემანტიკურ სხვაობას იძლევა ეს კონსტრუქციები იმ ენებშიც, სადაც ორივე შემთხვევაში *არსებობის* ზმნაა, მაგალითად, რუსულში:

(1) Это **0/была** книга мальчика.

ეს ნიგნი არის ბიჭის.

(2) Это книга **0/есть/была** У мальчика.

ეს ნიგნი აქვს ბიჭს (არის ბიჭთან).

ასევე არის გამოხატული *მქონებლობა* ესტონურში:

(2) Põisi-l on raamat

ბიჭს აქვს ნიგნი (ბიჭთან არის).

ზოგადად, *კუთვნილება-მქონებლობა* ანუ მიმართება მფლობელსა (possessor) და ფლობის ობიექტს (possesse) შორის, რთული კონცეპტია, რომელიც გვიჩვენებს მნიშვნელოვან სემანტიკურ სახესხვაობებს. როგორც ცნობილია, გა-

<sup>1</sup> ზოგი მეცნიერი (4) კონსტრუქციას *არსებობის* გამომხატველად არ მიიჩნევს (ლაიონზი 1978: 411-414).

<sup>2</sup> ტიპოლოგიური მასალა მოხმობილია პეტერ კოხის ნაშრომის მიხედვით (კოხი 2012).

ნარჩევან კუთვნილება-მქონებლობის სხვადასხვა ქვეკატეგორიას: ფიზიკურს, შემთხვევითს, დროებითს, მუდმივს, საკუთრებას იურიდიული თვალსაზრისით, აბსტრაქტულსა და სხვ.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ კონსტრუქცია (1), როგორც წესი, მხოლოდ ერთ მნიშვნელობას, კუთვნილებას (Ownership) გამოხატავს. ეს არის არსებითი განსხვავება კონსტრუქციისაგან (2), რომელიც გამოხატავს ზოგადად მქონებლობას. იგი მოიცავს სხვადასხვა სემანტიკურ ნიუანსს, მაგ.: ბიჭს აქვს წიგნი შეიძლება ნიშნავდეს, რომ წიგნი არის მასთან (ფიზიკურად), აქვს დროებით (ნათხოვარი), იგი არის წიგნის მეპატრონე და სხვ.

ამ თვალსაზრისით მიმართება, რომელიც მყარდება ამ ორ კონსტრუქციას შორის, უნდა იყოს ინკლუზიური და არა ექსკლუზიური, ე. ი. უნდა მოიცავდეს ერთმანეთს და არა გამორიცხავდეს. მიუხედავად ამისა, ისინი სემანტიკურად იდენტური არ არის, რაც კარგად ჩანს წინადადების პრაგმატულ სტრუქტურაში, უფრო ზუსტად, მის ინფორმაციულ სტრუქტურაში. თუ დავაკვირდებით ინფორმაციის ნაკადს კონსტრუქციაში (2), მთქმელისა და მსმენელისათვის იგი მიემართება მფლობელისაგან ფლობის ობიექტისაკენ, ხოლო კონსტრუქციაში (1) იგი მიემართება ფლობის ობიექტისაგან მფლობელისაკენ. ამდენად, როდესაც საკუთრება (Ownership) განიხილება დიალოგში, აქცენტირებული უნდა იყოს მფლობელი (1). ხოლო როდესაც განხილვის საგანია ზოგადად ფლობა (2), ეს უფრო მეტად ეხება ფლობის ობიექტს. ამდენად, საჭიროა, რომ სწორედ ეს უკანასკნელი იყოს ხაზგასმული, აქცენტირებული (კოხი 2012: 538).

ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება – აგებულების მიხედვით შენაცვლებაზე მსჯელობისას, აკ. შანიძე შენიშვნის სახით მიუთითებს *ქონა-ყოლის* გამოხატვის სპეციფიკაზე ძველ ქართულში. კერძოდ იმაზე, რომ ამ მნიშვნელობით რამდენიმე ზმნა გამოიყენებოდა (*მივის, მიდგს/მადგს, მიძს, მისხენ/მასხენ – მრავლ., ასევე მაქუს და, ნაწილობრივ, მყავს*). ამ ზმნათა განაწილება ძველ ქართულში სწორედ ფლობის ობიექტის ტიპზე იყო დამოკიდებული. დღევანდელი განაწილების საფუძველს ასევე ფლობის ობიექტი წარმოადგენს, კერძოდ, *მაქვს და მყავს* ზმნათა შერჩევას განაპირობებს სულიერია ფლობის ობიექტი, თუ – უსულო.

ლინგვისტურ ტიპოლოგიაში განარჩევენ მქონებლობის (პოსესიურობის) გამოხატვის სხვადასხვა ტიპსა და ქვეტიპს. გამოვყოფთ რამდენიმე მათგანს:

**1. პირდაპირ გამოხატული – მაქვს ზმნით:** გარდამავალი კონსტრუქცია – P<sup>or</sup>. SV P<sup>ec</sup>. DO (მფლობელი – P<sup>or</sup>. არის სუბიექტი – S, ფლობის საგანი – P<sup>ec</sup> არის პირდაპირი ობიექტი – DO, სრულმნიშვნელოვანი ზმნა მაქვს – V).

ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, დანიური, ბრაზილიის პორტუგალიური,

ლათინური (II საფეხური), ესპანური და მისთ.

**2. არაპირდაპირ გამოხატული:**

**ა. ლოკატიური კონსტრუქცია:** P<sup>or</sup>.LOCA cop P<sup>ec</sup>. S. (მფლობელი არის ლოკატივში, ფლობის საგანი არის სუბიექტი – S, დაკავშირებულია მეშველი ზმნით – cop).

ესტონური, რუსული.

**ბ. დატიური კონსტრუქციით:** P<sup>or</sup>. IO<sub>cop</sub>P<sup>ec</sup>.S (მფლობელი – P<sup>or</sup>. არის ირიბი ობიექტი – IO ფლობის საგანი – P<sup>ec</sup> არის სუბიექტი – S, დაკავშირებულია მეშველი ზმნით – cop).

ლათინური (I საფეხური), puer-ō liber *est* (ბიჭს წიგნი არის) (კოხი 2012: 562-564).

ქართულში *მქონებლობა* (პოსესიურობა) *მაქვს* ზმნით გამოხატული ტიპის ქვესახეობად უნდა განვიხილოთ, კერძოდ, ქართულში მქონებლობის გამომხატველია გარდაუვალი კონსტრუქცია – P<sup>or</sup>. IO<sub>v</sub> P<sup>ec</sup>. S (მფლობელი – P<sup>or</sup>. არის ირიბი ობიექტი – IO, ფლობის საგანი – P<sup>ec</sup> არის სუბიექტი – S, სრულმნიშვნელოვანი ზმნა *მაქვს* –V).

მართალია, ქართულში *მქონებლობა* დატიური კონსტრუქციით არის წარმოდგენილი, მაგრამ ტიპოლოგიური კონტექსტის გათვალისწინებით, იგი **პირველ ტიპს** უნდა მივაკუთვნოთ. ამ კლასიფიკაციისათვის არსებითია, შეიცავს თუ არა ეს კონსტრუქცია *მქონებლობის* გამომხატველ სპეციალურ ზმნას (მაქვს, have...), ე. ი. არის თუ არა *მქონებლობა* გამომხატული პირდაპირ.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, *მქონებლობის* სემანტიკის კონსტრუქციებში გვხვდება როგორც *ქონა-ყოლის*, ისე *არსებობის* ზმნები. მათ შორის კავშირი აშკარაა როგორც სინქრონიულ დონეზე, ისე დიაქრონიულად. ბენვენისტმა ლათინური ენის მაგალითზე აჩვენა, რომ „habeo“ ზმნიანი კონსტრუქცია „miri est“ კონსტრუქციისაგან უნდა იყოს მიღებული. როგორც მკვლევარი მიუთითებს: ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ განვითარება მიდის „miri est“ ტიპიდან „habeo“ ტიპისაკენ და არა პირიქით. ეს კი ნიშნავს, რომ იქაც კი, სადაც არსებობს „habeo“, იგი შეიძლება აღმოცენებულიყო „miri est“-დან. თუკი ამ ურთიერთობის (კუთვნილებითი ურთიერთობა – ნ. ლ) რაიმე გამოხატვა შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურად, ეს არის სწორედ „miri est aliquid“ /„ჩემი არის რაღაც“/(ბენვენისტი 1974: 212).

\*es+Dat-ს პოსესიურობის სემანტიკის გამოხატვის უძველეს ინდოევროპულ კონსტრუქციად მიიჩნევენ თამაზ გამყრელიძე და ვიაჩესლავ ივანოვი (გამყრელიძე, ივანოვი 1984: 288).<sup>2</sup>

ამ პრობლემატიკის განხილვა თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდოლოგიის საფუძველზე, ტიპოლოგიური კონტექსტის გათვალისწინება, აქტუალობას სძენს აკაკი შანიძის თვალსაზრისის აღნიშნულ ზმნათა ბუნების შესახებ და ანგარიშგასანევი არგუმენტაციით ამდიდრებს.

## ლიტერატურა:

ბენვენისტი 1974 – Бенвенист Э. общая лингвистика, М., 1974.

ბიკერტონი 1981 – Bickerton D. Roots of Language. Ann Arbor: Karoma, 1981.

ბოედერი 1980 – Boeder W. „Haben“ in den Kartwelsprachen, Wege zur universalienforschung, sprachwissenschaft. Beitr. zum 60. Geburtstag von Hansjakob Seiler/hrsg. von Gunter Brettschneider und Christian Lehmann – Tübingen: Narr, 1980.

<sup>1</sup> აქ არ შევხვებით იმ პრობლემატიკას, რომელიც ამ კონსტრუქციის ინტერპრეტაციისას იჩენს თავს ქართულ ენათმეცნიერებაში.

<sup>2</sup> უაღრესად საყურადღებოა ამ მხრივ სვანურის მონაცემები, რის შესახებაც არაერთი გამოკვლევა არსებობს (ბოედერი 1980, ლოლაძე 2005)

- გამყრელიძე, ივანოვი 1984** – გამყრელიძე თ., ივანოვი ვიჩ. ინდოევროპეისკი იაიკი ი ინდოევროპეისკი, თბ., 1984.
- კოხი 2012** – Koch P. Location, existence, and possession: A constructional-typological exploration, 2012.
- ლოლაძე 2005** – ნ. ლოლაძე, არსებობისა და ქონა-ყოლის ზმნათა მიმართებისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IX, თბილისი, 2005.
- შანიძე 1973** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებათა III ტომი, თბილისი, 1980.

**მაია ლომია**

## **მეგრული გაშირების ტექსტის ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლები**

ბატონი აკაკი შანიძე და მისი თაობა არა მარტო თბილისის უნივერსიტეტის დაარსების, არამედ ქართული მეცნიერების შექმნისა და განვითარების სათავეებთანაც იდგნენ. აკაკი შანიძის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან ერთ-ერთია სავსე სამუშაოები საქართველოს მთასა თუ ბარში და ტექსტების გამოცემა. მეგრული გაშირების ტექსტი („ეკური ქალვაჟიანი“) სამეგრელოში მოიძია და ჩაინერა ბატონმა აკაკიმ და ამ ტექსტის I კრიტიკული გამოცემაც დიდი მეცნიერის სახელს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ საუკუნის წინ აკაკი შანიძე საკუთარი გამოცდილებისა და ალღოს მიხედვით თვითონ ქმნიდა ტექსტის დოკუმენტებისა და გამოცემის სტანდარტებს, შესაშური სიზუსტით აღწერდა ყველა საჭირო დეტალს. დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, ათეული წლების წინ დაწყებული მეთოდოლოგიური სიზუსტითა და სისწორით მუშაობამ როგორ შეუწყო ხელი ამ მიმართულების შემსწავლელი ახალი დარგის – დოკუმენტისტიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებას საქართველოში.

წინამდებარე სტატია, რომელშიც მეგრული გაშირების სხვა ტექსტის ანალიზი ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლების გათვალისწინებითაა წარმოდგენილი, ეძღვნება აკად. აკაკი შანიძეს დაბადებიდან 130 წლის იუბილეზე, როგორც დასტური საუკუნის წინ დაწყებული საქმის ერთგულებისა და გაგრძელებისა.

### **საანალიზო ტექსტის**

#### **ა. ექსტრალინგვისტური მახასიათებლები**

ცნობილია, რომ ექსტრალინგვისტურ მახასიათებლებს/მეტამონაცემებს: ტექსტის ტიპს, ჟანრს, ჩანერის დროსა და ადგილს, ინფორმატორის ასაკს, განათლებას... დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანდო ლინგვისტური დასკვნებისთვის. გაშირების საანალიზო ტექსტი, რომელიც მოგვითხრობს ჯამუსა და კოკაიას ქა-

ლის (ასულის) თავგადასავალს, ბოლო დრომდე 2 ბექდური ვარიანტით იყო ცნობილი: I. მაკარ ხუბუა, 1921 წლის ჩანაწერი, მთქმ. ვალიკო ხარბედია, ს. სახარბედო, ჩხორონყუ, ცენტრალური არეალი, მეგრული ტექსტები, 1937: 347-353; II. ტ. გუდავა, 1936 წლის ჩანაწერი. მთქმ. ვლადიმერ ჭითანავა, ს. აბასთუმანი, ზუგდიდის რ-ნი, დასავლური არეალი, ქსს, ტ. I, მეგრული პოეზია, 1975: 305-312; III. მესამე, რამდენიმე წლის წინ, კერძოდ, 2011 წელს დაბეჭდა ბატონმა ზურაბ კიკნაძემ ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალ „კადმოსში“ (№3. 2011:432-438). ბატონი ზურაბისთვის ინფორმატორ ამირან გაბისონიას გადაუცია მარტვილის რაიონის ს. ქვაითში (აღმოსავლური არეალი) 1948 წელს დავით ცხაკაიასგან გაგონილი და ზეპირად დამახსოვრებული ვარიანტი. თავად ინფორმატორს, ამირან გაბისონიას, ზეპირად დამახსოვრებული ტექსტი ჩაუწერია მოგვიანებით, 55 წლის შემდეგ, 2003 წელს.

არსებობს ასევე აღნიშნული გაშიარების 4 ვარიანტი, რომლებიც ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივშია დაცული და ჩანერილია 1965 წელს სამეგრელოს სხვადასხვა სოფელში, ძირითადად, აღმოსავლურ არეალში; სტატიაში განვიხილავთ მხოლოდ ზემოხსენებულ სამ ბექდურ ვარიანტს, იმ მოტივით, რომ მოიცავს სამეგრელოს ყველა არეალს, ხოლო ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში დაცულ ტექსტებს არეალურ-ენობრივი თვალსაზრისით დამატებითი (ან განსხვავებული) ინფორმაცია არ შემოაქვთ.

საანალიზოდ შერჩეული გაშიარების სამი ნიმუშიდან

1. ორი ჩანერილია მცირეოდენი ქრონოლოგიური სხვაობით: 1921 და 1936 წლები.

2. მესამე ვარიანტთან სრულიად სპეციფიკური ვითარებაა: 1948 წელს მოსმენილი ზეპირად დამახსოვრებულია, ხოლო ჩანერილია 55 წლის შემდეგ.

იმის გათვალისწინებით, რომ *მოსმენის, დამახსოვრებისა და ჩანერის* ეტაპები აქვს გავლილი ყველა ტექსტს, ენობრივი მრავალფეროვნების განმსაზღვრელი არა ქრონოლოგიური, არამედ არეალური სხვადასხვაობა, რომელსაც ემყარება მეგრულის დიალექტური დაყოფა საერთოდ. ცნობილია, რომ ფონეტიკურ-მორფოლოგიური სახესხვაობით დასავლური და აღმოსავლური არეალი უპირისპირდება ერთმანეთს, ხოლო ცენტრალური ხან დასავლურს მიჰყვება, ხან – აღმოსავლურს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, რამდენადაც გაშიარება ლექსად შექმნილი ფოლკლორული ნიმუშია, არ არის მოსალოდნელი ტექსტში ყოველთვის აისახოს დიალექტურ-არეალური სხვაობა. აქედან გამომდინარე, გაშიარების სამივე ტექსტის შედარებითი ენობრივი ანალიზი მიზნად ისახავს როგორც დიალექტური სხვაობის წარმოჩენას, ასევე ამ სხვაობის მოშლის აღწერასა და ახსნას ლექსთწყობის პრინციპების მიხედვით.

**შენიშვნა 1:** *მეგრული ენის ზუგდიდურ-სამურზაყანულ და სენაკურ დიალექტებად დაყოფა შესაბამისი სახელდებით ეკუთვნის ი. ყიფშიძეს (Kunuuძე 1914: XVIII). აკაკი შანიძის რეკომენდაციით, ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული ტერმინები ჩანაცვლებულია: ჩრდილო-დასავლურით (ზ.-ს.-თვის), სამხრეთ-აღმოსავლურით (ს.-თვის) (მარგველშვილი 1988:194, სქოლიო), ან მათი*



შემოკლებული ვარიანტებით: დასავლური/აღმოსავლური (გიგიბერია 1958:459; დანელია 2006:32; კარტოზია 2008:92).

ბ. პერსონაჟები და სიუჟეტური ქარგა:

**ჯამუ** – მეველე / ვაჭარი

**კოკეხე** – კოკაიას ქალი (ასული)

ტექსტის სამივე ვარიანტში სიუჟეტი ერთნაირად ვითარდება: ჯამუ იჭერს კოკაიას ქალის (ასულის) ძროხას, რომელსაც ახალი მოგებული ჰყავს ხბო. ძროხის პატრონი დიდი ხვეწნა-მუდარისა და გასამრჯელოს ფასად მეველეს ძროხის გაშვებას სთხოვს. ჯამუ მატერიალურ გასამრჯელოზე უარს ამბობს, ძროხას გაატანს პატრონს, მაგრამ სასიყვარულო ინტრიგას სთავაზობს ქალს. ქალი დასთანხმდება, მაგრამ ამ ინტრიგის მსხვერპლი საბოლოოდ თვითონ ჯამუ გახდება. ამ ამბავში ჩაერევა სოფლის დარბაისელი ხალხი და მოჩუბართ შეარიგებენ.

გ. ლინგვისტური მახასიათებლები:

• გაშაირების სახელდება

1. (აღმოსავლური არეალი): ჯამუში დო კოკეხეში ამბე „ჯამუსა და კოკაიას ასულის ამბავი“;

2. (ცენტრალური არეალი): ჯამუ დო კოკეხეში ლერსი „ჯამუ და კოკაიას ასულის ლექსი“;

3. (დასავლური არეალი): ჯამუ დო კოკეხე „ჯამუ და კოკაიას ასული“.

გაშაირების სახელდება სამივე საანალიზო ვერსიაში შედგება ორი ლექსიკური ერთეულისაგან: „ჯამუ“ გაშაირების პერსონაჟი მამაკაცის სახელია და მარტივი აგებულებისაა, დგას სახელობითა (ჯამუ.Nom) და ნათესაობითში (ჯამუ-ში ჯამუ-Gen). რაც შეეხება მეორე პერსონაჟს, იგი ქალია და დასახელებულია მამისეული გვარით, რომელიც აფიქსური წარმოებისაა და, ფონეტიკური ტრანსფორმაციის საფუძველზე, სამი ფორმალური ვარიაციითაა წარმოდგენილი ასევე ნათესაობითსა და სახელობითში. მოცემული ვარიაციების სეგმენტებია:

- კოკეი-ხე-ში (კოკაია-Suff-Gen)
- კოკეე-ხე-ში (კოკაია-Suff-Gen)
- კოკე-ხე (კოკაია.Nom-Suff)

სამივესთვის ამოსავალი ფორმაა \*კოკაია-ხე. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: მეგრული გვარი „კოკაია“ და სუფიქსი -ხე, რომელიც მეგრულში მხოლოდ ქალის მამისეულ გვარს დაერთვის და მასში „ასულის“ მნიშვნელობა შეაქვს. ამ ენობრივ ფაქტს თავის დროზე ყურადღება მიაქცია არნ. ჩიქობავამ. მან სუფიქსი -ხე ფხე-საგან მომდინარე გაცვეთილ ფორმად მიიჩნია: -ხე ← ფხე, ხოლო თავად „ფხე“ დაუკავშირა ქართულში დადასტურებულ მწვევ-ალ- ფორმის პირველ ნაწილს გარკვეული ფონეტიკური გარდაქმნების გათვალისწინებით (ჩიქობავა 1942:26).<sup>1</sup>

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ქ. ლომთათიძემ გაიზიარა არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი -ხე სუფიქსის ფხე, მწვევ-ალ- ფორმებთან დაკავშირების შესახებ და, თავის მხრივ, გააღრმავა და დააზუსტა იგი; კერძოდ, მისი აზრით, ქართული გვარის სახელებში ქალი-შვილისა და ვაჟი-შვილის დიფერენცირებულად წარმოდგენის საჭიროება არ იდგა, განსხვავებით აფხაზურისაგან. ამიტომაც, ამ მიზნით ისეხსა აფხაზურ-

ტექსტში მოცემული -ხე სუფიქსიანი ფორმების ტრანსფორმაცია შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის შედეგად, რომელთაგან წინა განაპირობებს მომდევნოს; კერძოდ, ესენია:

- ბგერის დაკარგვა: ა>ა: \*კოკაია-ხე → კოკაი-ხე, ხოლო ამ ფორმაში
- ნანილობრივი, კონტაქტური, რეგრესული ასიმილაციის შედეგად აი > ეი (ამ პროცესის შესახებ დანვრილებით იხ. Кипшидзе 1914:08; ყიფშიძე 1919-1920:1-8; კარტოზია და სხვ. 2010:63-64) და მიიღება: კოკაიხე → კოკეიხე. მიღებულ ფორმაში
- სრული, კონტაქტური, პროგრესული ასიმილაცია და ერთგვარ ხმოვანთა გემინაცია: ეი > ეე იძლევა: კოკეიხე > კოკეეხე ფორმებს.

საბოლოო ფონეტიკური გარდაქმნის ეტაპია:

- ერთგვარ ხმოვანთა შერწყმა: ეე > ე: კოკეეხე → კოკეხე: „სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული იდენტური ხმოვნები ზოგჯერ ერწყმიან ერთმანეთს და შედეგად ვიღებთ ერთ მარტივ ხმოვანს“ (გიგბერია 1958:462).

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოაღნიშნული ტრანსფორმირებული ფორმა რეალიზებულია მეგრულში, მათ შორის ცალკეულ არეალში შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე ფორმა დასტურდებოდეს. საანალიზო ტექსტში კონკრეტული ფორმები შეესაბამება არეალებისთვის დამახასიათებელ ფონეტიკურ პროცესებს; კერძოდ, კოკეხე დასავლური არეალისთვისაა ბუნებრივი; მისგან განსხვავებით, აღმოსავლური არეალი ფორმათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა; ესენია: კოკაიხე, კოკეიხე, კოკეეხე. საანალიზო ვერსიებიდან აღმოსავლურ არეალში ჩანერილი ტექსტის სათაურში კოკეიხე დასტურდება, ხოლო ცენტრალური არეალის ტექსტის სათაური მიჰყვება აღმოსავლურ ვერსიას და კოკეეხე ფორმას გვიჩვენებს.

**I. არეალური დიფერენციაცია და გრამატიკული წესები**

საანალიზო ტექსტის ცალკეულ მონაკვეთებში არეალური დიფერენციაციის მიხედვით დაცულია გრამატიკული წესები ფონეტიკური პროცესების განხორციელებისა თუ სახელთა ბრუნების ან ზმნის უღლების დროს.

სრული ასიმილაცია

აღმოსავლური არეალი	დასავლური არეალი
დიივრთი „დავბრუნდი“	დიბრთით „დავბრუნდით“
კინ თქვანდა დიივრთი	კინი თქვანდა დიბრთით
„ისევ თქვენთან დავბრუნდი“	„ისევ თქვენთან დავბრუნდით“

მა ქართული მწვერალ- ფუძე, ხოლო შემდგომ „აფხაზურისთვის დამახასიათებელი სემანტიკური ფუნქციით დაუბრუნდა ქართულის დასავლურ კილოებს“ (ლომთათიძე 2000:72-74).

**შენიშვნა 2:** ქ. ლომთათიძე დასავლურ ქართულ ენობრივ არეალში მეგრულთან ერთად გულისხმობს ქართული ენის დასავლურ დიალექტებს: ქვემო იმერულს, გურულს, აჭარულს, რომელთა მონაცემებში ასევე დასტურდება -ხე სუფიქსი აღნიშნული სემანტიკით.

აღნიშნული ზმნის ამოსავალი ფორმაა \*დო-ვირთი, რომლისგანაც მეტათეზისის საშუალებით მიიღება \*დო-ივრთი, ხოლო **ოი** ხმოვანთა თანმიმდევრობა შეაპირობებს სრულ რეგრესულ ასიმილაციას (მსჯელობა აღნიშნულ პროცესზე იხ. ზემოთ) და მიიღება **დიივრთი** ფორმა, რომელიც აღმოსავლური არეალისთვისაა დამახასიათებელი. სრული ასიმილაციის შემდგომი საფეხურია ერთგვარ ხმოვანთა შერწყმა, რაც ამ შემთხვევაში ერთ ი-ს მოგვცემს და დასავლურ არეალში დასტურდება.

მეგრულში ხმოვნებს შორის ასევე შესაძლებელია განხორციელდეს:

*ნაწილობრივი ასიმილაცია*

აღმოსავლური არეალი	დასავლური არეალი
<b>მიკო</b> -მკირუ „მიზია“ მიკომკირუ ბანარით „მიზია ბანრით“	<b>მუკო</b> -მკირუ „მიზია“ მუკომკირუ ბანარით „მიზია ბანრით“

აღნიშნული ფონეტიკური პროცესი კარგად ჩანს ორი ზმნური ფორმის შედარების შედეგად. აღმოსავლური არეალის ტექსტში დაცულია **მიკო**- ზმნისწინის ამოსავალი ფორმა, ხოლო მოცემული ზმნისწინის ხმოვნებს შორის ნაწილობრივი, რეგრესული, დისტანციური ასიმილაცია დამახასიათებელია დასავლური არეალისთვის (ამ პროცესზე მსჯელობა იხ. გიგიბერია 1958:462) და დასტურდება კიდევ ამავე არეალის ტექსტში: მიკო- → მუკო-.

*ხმოვანმონაცვლეობა*

მეგრულის დიალექტებს განასხვავებს ფონეტიკური ხმოვანმონაცვლეობის შედეგად მიღებული ერთი ლექსემის სხვადასხვა ვარიანტი. მართალია, „ბგერათა ამგვარი ჩანაცვლება არ არის სისტემური“ (კარტოზია და სხვები 2010:36), თუმცა გაშიარების ტექსტში დასტურდება **ე/ი** ხმოვანმონაცვლეობა **გენი/გინი** ფორმების სახით და შენარჩუნებულია დიალექტური დიფერენციაციის პრინციპი.

აღმოსავლური არეალი	დასავლური არეალი
<b>გენი</b> „ბზო“ ვითოხოთ რე გენი ხოუ „თხოთმეტი დღეა ბზო შვა“.	<b>გინე/ გინს</b> „ბზომ“/„ბზოს“ გინე დიდა მიითხოუ „ბზომ დედა მოითხოვა“.

*რედუქცია*

მეგრულის არეალები განსხვავდება რედუცირებული და არარედუცირებული ფორმების მიხედვითაც. ზუგდიდურ-სამურზაყანულში რედუქცია დასტურდება როგორც სახელის ფუძეში, ასევე ფორმანტებში, განსაკუთრებით -VC სტრუქტურის ბრუნვის ნიშნებში (სრულად რედუქციის შესაძლო შემთხვევებზე მსჯელობა იხ. გიგიბერია 1958: 468-469; კარტოზია და სხვები 2010: 37-38).

საანალიზო ტექსტებში დადასტურებული სხვადასხვა არეალის რედუცირებული და არარედუცირებული ფორმები წარმოდგენილია შესაბამისი ფონეტიკური წესების დაცვით: ა. დაკარგულია ფუძისეული ი ხმოვანი: მაჟ-ი-რა „მეორე“, შდრ.: მაჟრა „მეორე“. ბ. დაკარგულია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი: სუდ-იშა „სასამართლოში“, შდრ.: სუდშა „სასამართლოში“.

აღმოსავლური არეალი	დასავლური არეალი
მაჟირა „მეორე“ მაჟირა დღას კოკეიხეჟ მერთუ, შეხვენუ დო თხოუ: „მეორე დღეს კოკაიას ასული მივიდა, შეხვენა და სთხოვა“.	მაჟრა „მეორე“ კოკეიხეჟ მაჟრა დღას მუთ შეხვენუ დო თხოუნი. „კოკაიას ასული მეორე დღეს რასაც შეხვენა და სთხოვა“.
სუდიშა „სასამართლოში“ სუდიშა მიდგოჩარჩალუა „სასამართლოში წაგათრევ“	სუდშა „სასამართლოში“ სუდშა მიდგოსარგალუა „სასამართლოში წაგათრევ“

სუბიექტური პირის ნიშნებიც იძლევიან არეალების მიხედვით მრავალფეროვან ფორმებს. S1 პირის ნიშანი მეგრულში არის ვ- პრეფიქსი, რომელიც ძირითადად აღმოსავლურ არეალშია შენარჩუნებული, ხოლო ზუგდიდურ-სამეურზაყანულში ალომორფებითაა წარმოდგენილი (Кипшидзе 1914:055-056), თუმცა „დასაშვებია ბ- ალომორფის განზოგადებაც..., ფ/ბ, ვ/ბ მონაცვლეობის შემთხვევები“ (კარტოზია და სხვები 2010:158). დასავლური არეალის ტექსტში სწორედ ბ- პრეფიქსიანი განზოგადებული ფორმები დასტურდება:

აღმოსავლური არეალი	დასავლური არეალი
ოკო-ვ-კათუენი „რომ შევყარო“ ჯარი ოკოვკათუენი „ჯარი/ ხალხი რომ შევკრიბო“	ვ/ბ: ოკო-ბ-კათუე „შევყარო“ ჯარი ოკობკათუე „ჯარი/ხალხი შევკრიბო“
ვ-ჭოფი „დავიჭირე“ სწორეთ ჩხოუ მა ვჭოფი „სწორედ ძროხა მე დავიჭირე“	ვ/ბ: ო-ბ-ჭოფი „დავიჭირე“ სწორეთ ჩხოუ მა ობჭოფი „სწორედ ძროხა მე დავიჭირე“
დი-ვ-რთი „დავბრუნდი“ კინილი თქვანდა დიივრთი „ისევ თქვენთან დავბრუნდი“	დი-ბ-რთი „დავბრუნდი“ კინი თქვანდა დიბრთით „ისევ თქვენთან დავბრუნდი“
ვა-ვ-თქუე „[რომ] არ ვთქვა“ მა სიმართლე ვავთქუე... „მე სიმართლე [რომ] არ ვთქვა“...	ვა-ფ-თქუე „[რომ] არ ვთქვა“ მა სიმართლე ვაფთქუე... „მე სიმართლე [რომ] არ ვთქვა“...

## II. ლექსის ენა და არეალური დაყოფის პირობითობა

ლექსში ხშირად ლექსიკური ერთეულის ფორმას განსაზღვრავს რითმისა და რიტმის დაცვა, მარცვალთრაოდენობის შენარჩუნება. საანალიზო მასალაში ამ მიმართულებით ორი ტიპის შემთხვევა გამოიყოფა:

**ა. არეალურ-დიალექტური დაყოფის მოშლა**

სახელის ბრუნების პარადიგმა მოთხრობითსა და მიცემით ბრუნებში სპეციფიკურ თავისებურებებსა და არეალურ სხვაობას გვიჩვენებს თანხმოვანფუძიან სახელებში; კერძოდ, არაკანონიკური თანხმოვანთკოპლექსების თავიდან აცილების მიზნით აღმოსავლურ არეალში ფუძის გამარტივება ხდება, ხოლო დასავლურ არეალში „ი“ ხმოვნის ჩართვა ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის (დანვრ. ამ საკითხზე იხ. კარტოზია და სხვები, 2010:114-116). ამ წესის მიხედვით, ლექსემა „თავი“ მიცემით ბრუნვაში არეალების მიხედვით შემდეგ ფორმებს იძლევა: დუ-ს (\*დუ-დ-ს) „თავს“ (აღმ. არეალი), დუდ-ი-ს „თავს“ (დას. არეალი). საანალიზო ტექსტში ორივეგან ფორმა დუ-ს „თავს“ დასტურდება.

აღმოსავლური არეალი	დასავლური არეალი
<b>დუს „თავს“</b> დუს გეგორენა ვაჭარეფი „თავს გადგანან ვაჭრები“	<b>დუს „თავს“</b> დუს ლაფიქ გინგონუ „თავს ლაფი დაგესხა“

**ბ. ლექსის ენაში დადასტურებული სპეციფიკური ფორმები**

აღმოსავლური არეალი	დასავლური არეალი
თაქ ამბეს მოგოშინანათ ჯამუქ უჭოფუ კოკეიხეს <b>ჩხოუ</b> , მაჟირა დღას კოკეიხექ მერთუ, შეხვენუ დო <b>თხოუ</b> : -ჯამუ, პატონი! თქვა ჭოფითო ოთიფურეს ჩქიმი <b>ჩხოუ</b> ? მემოხვარით, მიჭყოლოფით, ვითოხუთ რე გენი <b>ხოუ</b> .	თაქ ამბეს მოგოშინანთ ჯამუქ ჭოფუ ართ <b>ჩხოუნი</b> , კოკეიხექ მაჟრა დღას მუთ შეხვენუ დო <b>თხოუნი</b> : -ჯამ, პატონი! სი ჭოფიო ოთიფურეს ჩქიმი <b>ჩხოუ</b> ? მუმეხვარი, მიჭყოლოფი, ვითოხუთ რე გენი <b>ხოუ</b> . დიარუა ის ვაუჩქუ გინქ დიდა <b>მიითხოუ</b> თურქ დო ურიას გურს მეჭუნს, გინს უძუძურო <b>ძიროუ</b> .

ორივე არეალში ერთმანეთან შერთმული ლექსიკური ერთეულებია: ჩხოუ „ძროხა“ – თხოუ „სთხოვა“, ჩხოუ „ძროხა“ – ხოუ „შვა“, მიითხოუ „მოითხოვა“ – ძიროუ „ნახა“. ამათგან ძირითადი ლექსემაა ჩხოუ „ძროხა“, რომელიც ფონეტიკურად უცვლელი, თავდაპირველი სახითაა მოცემული და ძირითადად დამახასიათებელია დასავლური არეალისთვის. გაშიარების ტექსტში ის ორივე არეალშია გამოყენებული; მას ერთმება ყველა სხვა დანარჩენი ზემოაღნიშნული სპეციფიკური ფორმა – თხოუ „სთხოვა“, ხოუ „შვა“, მიითხოუ „მოითხოვა“, ძიროუ „ნახა“ ერთგვაროვანი რიტმული ელფერის შესანარჩუნებლად, რომელიც განსაზღვრულია **ოუ** დაბოლოებით, შდრ.: ამოსავალი ფორმა: ჩხოუ „ძროხა“.



**შენიშვნა 3:** ა. ქობალიას ლექსიკონში მოცემული „ხოუ“ ლექსემა სხვა მნიშვნელობისაა; კერძოდ, ხოუ, იხ. ხუ – პეშვი, ხუვი, ხევხუვი (ქობალია 2010: 731).

### **დასკვნები**

მეგრული გაშაირების ტექსტების შედარებითმა ანალიზმა წარმოაჩინა, რომ:

1. ტექსტების ენობრივ მრავალფეროვნებას განსაზღვრავს არა ქრონოლოგიური, არამედ არეალური სხვადასხვაობა.

2. ტექსტებში ასახულია როგორც დიალექტური დიფერენციაციის, ასევე ზოგჯერ ფორმათა უნიფიკაციის პროცესები ფონეტიკურ-გრამატიკული თვალსაზრისით.

3. უნიფორმაციის პროცესები ლექსთწყობის პრინციპების გათვალისწინებით აიხსნება.

### **ლიტერატურა:**

**გიგიბერია 1958** – ე. გიგიბერია, გალის რაიონის მეგრული, თბილისის უცხო ენათა პედინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი, 1958.

**დანელია 2006** – კ. დანელია, კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი, წიგნში: კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2006.

**კარტოზია 2008** – გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2008.

**კარტოზია და სხვები 2010** – გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010.

**ლომთათიძე 2000** – ქ. ლომთათიძე, მწვევალ-იდან [ფ]ხე-მდე (აფხაზურ-ადიღურ ენათა სათანადო ფუძეებთან ურთიერთობის გათვალისწინებით), XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია. ზუგდიდი. 2000 წ. 20-21 ოქტომბერი, მოხსენებათა თეზისები, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი, 2000. გვ. 72-74.

**მარგველაშვილი 1988** – მ. მარგველაშვილი, ანწყოს ფუძის საკითხი მეგრულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 27, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1988.

**ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2010.

**ყიფშიძე 1919-1920** – ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, №1, ტფ. 1919-1920 (რუსული ავტოგრაფი ქართულად თარგმნა ს. გორგაძემ).

**ციკოლია 1954** – მ. ციკოლია, მეგრულის სამურზაყანულ-ზუგდიდური კილოკავის მიმოხილვა: აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შრომების კრებული, ტ. XXV, სოხუმი, 1954.

**ჩიქობავა 1942** – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.

**Кипшидзе 1914** – И Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб, 1914.

### **წყაროები:**

*ჯამუ დო კოკეებეში ლერსი* „ჯამუ და კოკაიას ასულის ლექსი“, მაკარ ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფილისი, 1937.

ჯამუ დო კოკეხე „ჯამუ და კოკაიას ასული“, ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები. I. პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტოგო გუდავამ, თბილისი, 1975.

ჯამუში დო კოკეხეში ამბე „ჯამუსა და კოკაიას ასულის ამბავი“, ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი „კადმოსი“, №3. თბილისი, 2011.

### შემოკლებათა განმარტებანი:

ქსს – ქართული ხალხური სიტყვიერება

ზ.ს. – ზუგდიდურ-სამურზაყანული

ს. – სენაკური

ზუგდიდურ-სამურზაყანულში, იგივე დასავლურ არეალში, შედის ზუგდიდის, ნალენჯიხის მუნიციპალიტეტები, გალი, ოჩამჩირე და ამ ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლები.

სენაკურში, იგივე აღმოსავლურ არეალში, შედის მარტვილის, აბაშის, სენაკის მუნიციპალიტეტები და ამ ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლები.

ცენტრალური არეალი მოიცავს ხობისა და ჩხორონყუს მუნიციპალიტეტებს.

## ქეთევან მარგიანი

### ეპისტემიკური მოდალობის ნაწილაკთა დისტრიბუცია სვანური ზმნის უღლებების პარადიგმაში

სვანურ ენაში ევიდენციალობა (როგორც ვერბალური, ასევე ინფერენციული), გარდა გრამატიკული საშუალებებისა, ლექსიკურადაც გამოიხატება.

ევიდენციალობის გამომხატველი ლექსემები ფუნქციურად ორი ტიპისაა: ერთნი ინფორმაციის ვერბალურ წყაროს აღნიშნავენ („სხვათა სიტყვის ნაწილაკები“), მეორენი კი – ინფერენციულს. ნაწილაკი, რომელიც ორივე ფუნქციას ითავსებს (სათანადო კონტექსტის გათვალისწინებით ხან ვერბალურ წყაროს გამოხატავს, ხანაც ინფერენციულს), მხოლოდ ერთია: *ესწარ(ი)* „თურმე“ (ამ თვალსაზრისით მსგავსი ვითარებაა ქართულშიც).

საკუთრივ ინფერენციული დამხმარე ლექსემები, რომლებსაც ეპისტემიკური გაგება შემოაქვთ ევიდენციალურ კონტექსტში, ენაში უფრო მრავლადაა; აგებულების მიხედვით შეიძლება გამოიყოს სამი ტიპი:

1. საკუთრივ ნაწილაკები, რომელთა სეგმენტაცია არ ხერხდება (*მგრჟს(გ)* „აღბათ“, *ნრთაჟ* „ვინძლო“);

2. სინთეზური ლექსემები, რომლებშიც შემადგენელი კომპონენტ(ებ)ის მნიშვნელობის დადგენა შესაძლებელია (*მაჟშლი* <\*მა-შჟ-ლი „რა-ით-არის“, *დრ-*

შ(ე)/დო-ღჟე – პირველი კომპონენტი **დო** შესაძლოა იყოს უარყოფითი ნაწილაკი), თუმცა, ცხადია, სემანტიკურად ისინი არ წარმოადგენენ ამ კომპონენტების მნიშვნელობათა მარტივ ჯამს.

3. ნაზმნარი დამხმარე სიტყვები (*პნღჟელი* „მგონია, ვვარაუდობ“, *მაბჟა* „მიმაჩნია, მგონია, ჩემი აზრით...“).

კვლევამ აჩვენა, რომ ეპისტემიკური მნიშვნელობის ინფერენციული ნაწილაკების გამოყენება სვანური ზმნის მწკრივებთან შეზღუდულია. ისინი მხოლოდ ინდიკატიურ ფორმებს უთავსდებიან, ხოლო საკუთრივ ინფერენციული, საეჭვობა-სავარაუდოობის გამომხატველი მწკრივები მათ სრულებით ვერ იგუებენ.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ენა ლექსიკურ საშუალებას მაშინ მიმართავს, როცა მორფოლოგიური საშუალება არა აქვს განვითარებული რაიმე სემანტიკის გადმოსაცემად... ენაში უნახაობის გამომხატვის მოთხოვნილებაში, რომელსაც მორფოლოგიური საშუალება არ გააჩნდა, ლექსიკური წარმოშვა. შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ფუნქციის გადმოცემა ფორმებს დაეკისრა; მაგრამ, რამდენადაც ამისთვის განსაკუთრებული ნაკვეთი არ შეიქმნა (მორფოლოგიური ნიშანი არ გაჩნდა), ნაწილაკი ენაში დარჩა, როგორც მოქნილი საშუალება უნახაობის გამომხატვისა“ (არაბული 1984: 141).

სვანურში ე. წ. უნახაობის სემანტიკის გამომხატვის ძლიერმა მოთხოვნილებაში განაპირობა ამ მნიშვნელობით არა მარტო პერფექტული მწკრივების ფუნქციურად გამოყენება, არამედ სპეციალური მწკრივებისა და მორფემის ჩამოყალიბება (მარგიანი 2012:39). ხოლო ზემოსვანური **ესნარ** (ზზ.), **ესნარ(ი)ეცნარ** (ბქ.), ქვემოსვანური **ესრენ** „თურმე“ ნაწილაკი, ქართულის მსგავსად, „თურმეს“ გაგების მქონე ორგანულ ზმნურ ფორმებთანაც იხმარება, თუმცა მისი აუცილებლობა ასეთ კონტექსტებში არ არის:

უფრო მეტიც, უნახაობის გამომხატველ ზმნურ ფორმებთან (I შედეგობითის უპრევერბო ფორმებსა და I სერიის თურმეობითებში), ნაწილაკი **ესნარ<sup>ი</sup>** („თურმე“) არა მხოლოდ თავსებადია, არამედ მეტწილად შენარჩუნებულია:

[ფაგოს] **ესნარ ლადდარაღჟინ ათცხატა ყიას ჯიჯუ ი ჩუ-ჟეთ-ალყიმელი** (სვ. ენ. ქრ. 1978: 155,29) – „[ფაგოს] თურმე ჭამისას („პურობაზე“) გასჩხერია ყელში ძვალი და ლამის დამხრჩვალა“...

როგორც აღვნიშნეთ, სხვა ვითარებაა საკუთრივ ინფერენციულ, საეჭვობა-სავარაუდოობის გამომხატველ მწკრივებთან, რომელთა ფარდი ფორმები ქართულ ენაში არ მოგვეპოვება. ეს მწკრივებია: ინფერენციული ანმყო (resp. მყოფადუსრული), პირობითი უსრული, პირობითი სრული, ძირითადპრევერბიანი მყოფადი, პირობით-შედეგობითი I და პირობით-შედეგობითი II. შევნიშნავთ, რომ ტრადიციულ სპეციალურ ლიტერატურაში ყველა ეს ფორმა (გარდა მყოფადუსრულისა) ბოლო დრომდე ქართულად განიმარტებოდა როგორც თხრობითი კილოს ფორმები: პირობით-უსრული: **აღრუნოლ** – „წერდა“, პირობითი სრული: **ადინრა** – „დაწერდა“, ძირითადპრევერბიანი მყოფადი: **ადინრე** – „დაწერს“. რეალურად კი ჩამოთვლილთაგან ვერც ერთი ქართული განმარტება სემანტიკურად ვერ ფარავს სვანურ მონაცემებს, ვინაიდან ისინი საეჭვობა-სავარაუდოობას გამომხატავენ და ოპოზიციას ქმნიან სათანადო ინდიკატიურ ფორმებთან: **აღრუ-**

**ნოლ – ადრდა** („ალბათ წერდა“ – „წერდა“), **ადორნა – ჩუაძრდა** („ალბათ დანერდა“ – „დანერდა“), **ადორნე – ჩუაძრი** („ალბათ დანერს“ – „დანერს“).

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ მყოფადის მწკრივზე, რომლის შესახებაც სპეციალისტები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ სვანურში იგი რამდენიმე წარმოებისაა, მაგრამ არსად არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ განსხვავებულ ფორმებს სემანტიკაც და კილოც განსხვავებული აქვთ. ამიტომაც არის, რომ ძირითადპრევერბიანი მყოფადი (ასევე ჩამოთვლილ ოპოზიციათა პირველი რიგის ზმნები), ე. წ. „წინდებულ-თანდებულიანი“ მყოფადისგან განსხვავებით, სრულებით ვერთავსებენ ვერც **ესნარ** („თურმე“) ნაწილაკს და ვერც საეჭვოობის გამომხატველ დამხმარე ლექსემებს, რომლებიც ენაში უფრო მრავლადაა: **მგრეს(გ)**, **დოჟე/დოლჟე**, **მაჟშლი**, **ჰეურდ** – „ალბათ“, „როგორც ჩანს“...

აღნიშნული ნაწილაკები მხოლოდ თხრობითი კილოს ზმნებთან (ანმყო, უწყვეტილი, წყვეტილი, ოდენ „წინდებულ-თანდებულიანი“ წარმოების მყოფადი, I და II შედეგობითის უპრევერბო, უსუფიქსო ფორმები) ერთად გამოიყენება:

**გუენე მასარდ ლგქმშ მგრესგ ლასჟ** (სვ. პრ. ტ. I, 1939: 94,33) – „გვენე, როგორც ჩანს, მეტად ძლიერი იყო“;

**მიჩა ჭაშჟ დალ ესერ მგრეს ხალატ** (იქვე, 79,13) – „ჩემს ქმარს ალბათ (როგორც ჩანს) დალი (ნადირობის ქალღმერთი) უყვარსო“;

**საბლუ ბუზჟლარ, დოჟე ჯაადგნდახ ი ლახნემდ აღა, თჟი!** (იქვე 181,6) – „საბრალო ფუტკრებო („ბუზიკოებო“), ალბათ გშიათ (მგონი უნდა გშიოდეთ“, ზედმინვენით: გშიოდათ“) და ჭამეთ ეს, აი, თაფლი!“

ეს ფაქტი კი თვალსაჩინოს ხდის ჩამოთვლილ საოპოზიციო წყვილებში დაპირისპირებულ ფორმათა სემანტიკურ განსხვავებას: პირობითობის ან საეჭვოობასავარაუდოობის ნაწილაკები თავისუფლად დაერთვიან თხრობითი კილოს ზმნებს, მაგრამ ისინი ვერ ეთავსებიან სავარაუდოობის სემანტიკის ორგანულად გამომხატველ ფორმებს.

ინფერენციულ მწკრივებთან საანალიზო ნაწილაკების შეუთავსებლობის მიზეზი მხოლოდ ერთი რამ შეიძლება იყოს: აღნიშნულ მწკრივთა კილო პირობითია (შდრ. ქართულის ვითარება: **-მცა** ნაწილაკი არ დაერთვის კონიუნქტიურ ფორმებს, ის თავად ანიჭებს თხრობითი კილოს ზმნებს კავშირებითობა-პირობითობას) და, როგორც ქართულშია შეუძლებელი ენის მცოდნემ თქვას სინტაგმა: „ალბათ დანერდეს“ ან „ალბათ დანეროს“, ასევე მიუღებელია სვანურში პირობითობის, სავარაუდოობის მნიშვნელობის მქონე ზმნებთან ამავე სემანტიკის დამხმარე საშუალებათა გამოყენება; ეს კი იმაზე მეტყველებს რომ საანალიზო მწკრივებს მოგვიანებით კი არ დაეკისრა სავარაუდოობის სემანტიკის გამომხატვის ფუნქცია (უნახაობის გამომხატველი მწკრივებისგან განსხვავებით, რომელთათვისაც ევიდენციულობა მეორეულია), არამედ ისინი იმთავითვე ამ საჭიროებისთვის ჩამოყალიბდნენ ენაში (ამას ადასტურებს სპეციალური მორფემაც); ამიტომაც ვერ იგუებენ ეს ზმნები საანალიზო სემანტიკის დამხმარე საშუალებებს და, შესაბამისად, ამ მნიშვნელობის ნაწილაკები მხოლოდ ინდიკატიურ ზმნურ ფორმებთან გამოიყენება.

ამრიგად, საექვოობა-სავარაუდოობის გამომხატველ ინფერენციულ ნაწილაკთა განაწილების თვალსაზრისით სვანური ზმნის უღლების პარადიგმაში ცალ მხარეს არის ნეიტრალური, არამოდალიზებული მწკრივები, რომელთა კილო თხრობითია: ნეიტრალური აწმყო, უწყვეტელი, ოდენ წინდებულ-თანდებულთ წარმოებული მყოფადი, ხოლმეობითი, I თურმეობითი, II თურმეობითი, წყვეტილი, I შედეგობითი და II შედეგობითი (როგორც პრევერბიანი, ასევე უპრევერბო, რომელთა შორის სემანტიკური განსხვავებაა არა მხოლოდ ასპექტის, არამედ უნახაობის გამოხატვის შესაძლებლობის თვალსაზრისითაც), რომლებიც ძალიან ბუნებრივად ითავსებენ როგორც **ესწარ** („თურმე“) ნაწილაკს, ასევე ეპისტემიკური მოდალობის ნაწილაკებს: **მგრეს**, **მაჭმლი**, **დრჭე** („აღბათ/ შესაძლოა/ როგორც ჩანს“) და სხვ.

მეორე მხარეს კი გვაქვს ევიდენციალური, მოდალობის თვალსაზრისით ეპისტემიკური მწკრივები: ინფერენციული აწმყო, ძირითადპრევერბიანი მყოფადი, პირობითი (სრული და უსრული), რომლებიც ორგანულად, სპეციალური მორფემით (-უნ) გამოხატავენ საექვოობა-სავარაუდოობას, მათი კილო პირობითია და ვერ ითავსებენ საანალიზო ნაწილაკებს, მათ შორის ვერც **ესწარ** („თურმე“) ნაწილაკს („თურმეს“ გაგება სავარაუდოობასთან შეუთავსებელია: მაგალითად, „ესწარ **ადრინე**“ - „თურმე აღბათ წავა“, როგორც ვხედავთ, ალოგიზმია).

ამ პრინციპის დარღვევის შემთხვევა არ აღმოჩნდა არა თუ სვანური პროზაული ტექსტების ადრეულ გამოცემებში, არამედ ინტერფერენციურებულ კოდორულსა და სვანთა ახლგაზრდა თაობის მეტყველების ნიმუშებშიც, რაც, ასევე, მხარს უჭერს ჩვენი მსჯელობის სისწორეს – მოდალური ნაწილაკების განაწილება სვანური ზმნის მწკრივებთან თავისუფალი არ გახლავთ ევიდენციალურ ზმნურ ფორმათა სპეციფიკურობის გამო: იმ საანალიზო მწკრივთა კილო, რომლებსაც ტრადიციულად თხრობითს მიაკუთვნებდნენ (ვინაიდან არ იყო გათვალისწინებული მათი სემანტიკა და ითვლებოდნენ სინონიმებად იმ ზმნებისა, რომლებიც, ფაქტობრივად, მათი საოპოზიციო ფორმებია ევიდენციალობის თვალსაზრისით!), პირობითია; თხრობითი კილო, რომელიც ნეიტრალურია, თავისუფალი და ნაკლებ პრეტენზიულია დამხმარე, ლექსიკურ საშუალებებთან დანყვილების თვალსაზრისით, ხოლო კავშირებითი და პირობითი, სწორედ მათი ვინრო, სპეციფიკური სემანტიკის გამო, ამ მხრივ მკაცრად შეზღუდულია. აღნიშნული მოვლენა, ერთი მხრივ, ინფერენციული ევიდენციალობის (როგორც სემანტიკური და გრამატიკული კატეგორიის) ჩამოყალიბების და, მეორე მხრივ, თავად ინფერენციული ლექსემების წარმოშობის ეტაპებს, ქრონოლოგიას უნდა უკავშირდებოდეს, რაც უდამწერლობო ენაში რთული დასადგენია.

ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ნაწილაკებისა და ზმნური ფორმების აღნიშნული სემანტიკური ურთიერთმიმართების გაუთვალისწინებლობა (ზმნების თავისუფალი ჩანაცვლება) შესაძლოა სტილური ანომალიისა და ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველიც კი გახდეს.



## ლიტერატურა:

- არაბული** 1984 – ავთანდილ არაბული, მესამე სერიის ნაკვეთულთა წარმოება ძველ ქართულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2012.
- მარგიანი 2012** – ქეთევან მარგიანი, ევიდენციალობის კატეგორია სვანურ ენაში, გამომცემლობა „გლობალ პრინტი“, თბილისი, 2012.
- სვანური პროზაული ტექსტები 1978** – სვანური პროზაული ტექსტები, I, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1939.
- სვანური ენის ქრესტომათია 1978** – სვანური ენის ქრესტომათია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978.

**მერი ნიკოლაიშვილი**  
**ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი**

## **ბრუნვის გამომხატველი რეპრეზენტაციები ქართულ ზმნაში<sup>1</sup>**

ცნობილია, რომ ქართული მდიდარი მორფოლოგიის მქონე ენაა. სალიტერატურო ენის თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია და მანამდე არსებული პერიოდი, რომლის ზღვარის დადება ძალიან ჭირს, მკვლევარს ურთულეს ყოველგვარი საკითხის გაანალიზებასა და გააზრებას. ძნელი განსასაზღვრია ის ენობრივი შრეები, რომლებიც ერთმანეთს ედებოდა, როდის, რა პირობებში იქმნებოდა, როგორ ზეგავლენას ახდენდა ენის ძირითად სისტემაზე, ინახავდა ძველს თუ ირჩევდა ახალს, რაღაცა პერიოდისთვის თანამედროვედ მიჩნეულს, უცხოურს, ზოგჯერ გარკვეული ძალისხმევით, ზოგჯერ კი ნებით. ყოველივე ამის გარკვევას და დანახვას უდიდესი შრომა სჭირდება.

გ. ახვლედიანი აღნიშნავდა: ენის შესწავლისათვის ადამიანის ერთი სიცოცხლე არ არის საკმარისი. რასაკვირველია, ჩვენ ასეთი პრეტენზია არ გვაქვს. გვინდა გამოვთქვათ მხოლოდ ჩვენი აზრი და გარკვეული მუშაობის შედეგად მიღებული დასკვნები გაუზიაროთ ქართული ენის საკითხებით დაინტერესებულ პირებს. ჩვენი ინტერესის საგანია ე.წ. ინვერსია. ძნელია დავასახელოთ ისეთი მეცნიერის გვარი, რომელიც იკვლევდა ან იკვლევს ქართულ ან ქართველურ ენებს და არ შეხებია ინვერსიას. ა. არაბული აღნიშნავს, ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ მკვლევართა ორი ჯგუფი: ერთი ინვერსიულად მიიჩნევს გარდამავალი ზმნის მხოლოდ მესამე სერიის ფორმებს (და-მ-იხატავ-ს - ა. შანიძე), ხოლო მეორე, ამასთან ერთად, გარდაუვალ ზმნათა ანმეოს ფორმების ინვერსიულობასაც: (მ-იყვარ-ს - არნ. ჩიქობავა), ამ სხვაობის მიზეზი არსებითად გრამატიკული მოვლენის აღწერისადმი განსხვავებულ მიდგომაში არის საძიებელი.

არსებობს ამ საკითხების სხვაგვარი ახსნაც, კერძოდ, ა. ონიანის, თ. უთურგაიძის, დ. მელიქიშვილის, ქ. დათუკიშვილის და სხვათა (არაბული 2016: 33).

1 სტატია მომზადდა გრანტის („პერფექტის სემანტიკა და მისი გრამატიკული რეალიზაცია ქართულ ზმნაში“) ფარგლებში

აღნიშნული საკითხის გაანალიზებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია პირის კატეგორიის დეფინიცია. თ. გამყრელიძე აღნიშნავს, პირის კატეგორია ერთ-ერთი უნივერსალური სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც სხვადასხვა სახით გამოხატულებას პოულობს ენობრივ სისტემაში. იგი გამომდინარეობს ენობრივი კომუნიკაციის აქტიდან და აღნიშნავს ამ აქტის მონაწილეთა დამოკიდებულებას ენობრივი კომუნიკაციისადმი (გამყრელიძე 2000:135).

ა. შანიძის განმარტებით, ზმნის პირი არის „ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს ან იმას, ვინც მოუბარია, ან იმას, ვისაც მოუბარი მიმართავს უბნობის დროს, ან კიდევ იმას, ვინც ან რაც არც მოუბარია და არც მისი მიმართვის საგანი, არამედ სხვა. ამის მიხედვით გვაქვს პირველი, მეორე და მესამე პირი როგორც მხოლოდობითში, ასევე მრავლობითში“. აქ ის გულისხმობს პირის რომლობას, ავტორი ასევე გამოყოფს პირს იმის მიხედვით, თუ როგორია ესა თუ ის პირი მოქმედების თვალსაზრისით მოქმედი თუ უმოქმედო, სუბიექტური თუ ობიექტური, რასაც უნოდებს როგორობას, ანუ ვითარებას პირისას და იმის მიხედვით, თუ რამდენი პირია წარმოდგენილი ერთ ფორმაში, არკვევს პირის რაოდენობას (შანიძე 1980: 170).

პირები გარკვეული ნიშნებით არის გამოხატული ზმნის ფორმაში და შესაბამისად: ვინის რიგის ნიშნებს უნოდებენ სუბიექტური პირის ნიშნებს, ხოლო მანის რიგის ნიშნებს – ობიექტურისას.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვაგვარი მოსაზრება ინვერსიულ ზმნებთან დაკავშირებით. კერძოდ, ა. შანიძის აზრით, „ინვერსია ჰქვია შექცევას, ანუ შებრუნებას“. ინვერსია ქართულში თავს იჩენს პირის ნიშანთა გამოყენებისას ზმნაში. ეს არის „პირის ნიშანთა დანიშნულების შეცვლა“ (შანიძე 1980: 195).

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვინის რიგის ნიშნები, რომლებიც ოდესღაც (ვიდრე ქართული ენა სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდოდა) მხოლოდ სუბიექტურები იყვნენ, დღევანდელ ენაში ხან სუბიექტურებია, ხანაც ობიექტურები; მანის რიგისანი კი, რომლებიც ოდესღაც მხოლოდ ობიექტური პირის აღნიშვნის ფუნქციით იყვნენ აღჭურვილნი, დღეს ხან ობიექტურ პირსა და ხანაც სუბიექტურ პირს აღნიშნავენ. ერთი რამ კი გარკვევით უნდა აღინიშნოს: შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ვინის რიგის ნიშნები დღესაც სუბიექტური პირის აღნიშვნელებია, უმთავრესად და უპირატესად, მანის რიგისანი კი დღესაც ობიექტურ პირის ამსახველებია უმეტესად და უმრავლესად“ (შანიძე 1980: 197).

განსაკუთრებით ყურადღება გვინდა გავამახვილოთ არნ. ჩიქობავას მოსაზრებაზე ინვერსიის საკითხთან დაკავშირებით. თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ ავტორი აღნიშნავს, რომ „სუბიექტური პირის ნიშნით გამოხატული პირი ყოველთვის არ არის აქტიური, ე.ი. მოქმედი. ისეთ ზმნებში, როგორიცაა: ვდრეკ, ვგლეჯ, აქტივობა თვალსაჩინოა, მაგრამ ისეთ ზმნებში, როგორიცაა: ვჰხედავ, ვბრწყინავ, ვევედრები და მაგვარებში აქტივობა ძალზე მკრთალია. ხოლო ისეთ მაგალითებში, როგორიცაა: ვარ, ვ-დგა, ვ-ზი ვ-კუდები რაიმე აქტივობაზე ლაპარაკი ზედმეტია. აქ მხოლოდ მდგომარეობაა მე-სი, მე – სრულიად უმოქმედოა. დასასრულ, მაგალითებში: ვიკვლი, ვიგუემები, ვიტანჯვი, მე – რეალურად მოქმედი კი არ არის, არამედ ვნებულია სხვისი

მოქმედებით. იგი არა მარტო უმოქმედოა, არამედ სამოქმედოც, თუ შეიძლება ასე ითქვას“ (ჩიქობავა 1968: 131-132).

ასევე, ობიექტური პირის მ- პრეფიქსით გამოხატული რეალური ობიექტი არ არის ყოველთვის სამოქმედო და არა მოქმედი. მაგალითები: მყავს, მაქუს, მსურის, მინა, მნებავს, მძულს. მე-ს ავტორი აქტიურ დამოკიდებულებას მიაწერს გარე სამყაროსადმი. მყავს, მაქუს-ში მე რალაცის მფლობელია და პატრონი, ხოლო ზმნებში განმინესებია, დამინერიეს, დამიმზადებებს მე- ისეთივე აქტიურია, როგორც ზმნებში დავწერ, დავამზადებ. ამრიგად, ავტორი წარმოგვიდგენს მე-ს როლს სრული პასიურობიდან სრულ აქტიურობამდე ზმნის ფორმაში. იგი იმავე მნიშვნელობებს ანიჭებს, რაც შეიძლება ჰქონდეს ვ- პირისნიშნთან ფორმებს (ჩიქობავა 1968: 134-136).

ამ წინააღმდეგობის დასაძლევად ავტორს შემოაქვს ტერმინები რეალური სუბიექტი და რეალური ობიექტი, მორფოლოგიური სუბიექტი და მორფოლოგიური ობიექტი. გარკვეულ შემთხვევებში რეალური სუბიექტი და რეალური ობიექტი ემთხვევა მორფოლოგიურ სუბიექტსა და მორფოლოგიურ ობიექტს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ერთმანეთს სცილდება. ამის მიხედვით ავტორი განარჩევს ორ წყობას: თუ მორფოლოგიური სუბიექტი და რეალური სუბიექტი (ასევე რეალური და მორფოლოგიური ობიექტებიც) ემთხვევა ერთმანეთს, წყობა პირდაპირია და თუ სცილდება, წყობა ინვერსიულია. მაგრამ საკითხი ამით არ აიხსნება. ჩვენთვის საინტერესოა, რა ინვესს ამ ცვლილებას ენაში?

ამასთან დაკავშირებით ა. ონიანი წერს, რომ პირის ნიშნებით არ წარმოიქმნება რეალური სუბიექტისა და რეალური ობიექტის გამომხატველი საპირისპირო ფორმები და მისი აზრით, ის დაპირისპირება, რომელიც პირის ნიშნებით არ გამოიხატება, მორფოლოგიურ ანალიზს ვერ დაექვემდებარება (ონიანი 1968: 26).

საინტერესოა ა. ონიანის მოსაზრება: თუ ინვერსიულობა განისაზღვრება პირის ნიშანთა დანიშნულების შეცვლით და ეს ნიშნები აქტიურობა-პასიურობას გამოხატავენ, მაშინ, მისი აზრით, ინვერსიულად უნდა მივიჩნიოთ ზოგი ისეთი ფორმა, სადაც პასიურ პირს აქტიური პირის ნიშნები აქვს. ასეთია ყველა ვნებითი გვარის ზმნა (ვიხატები, იკვლება, იჭრება..), მაგრამ ასეთი მტკიცება არ არსებობს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. ავტორის აზრით, „ზემოაღნიშნული გაგებიდან ამოსვლის შემთხვევაში ამ ზმნათა არაინვერსიულად მიჩნევა თანამიმდევრობის აშკარა დარღვევა.“ (ონიანი 1968: 30). იგი თვლის, რომ პირთა აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირების გამოხატვა პირის ნიშანთა ფუნქცია არ არის, მაგრამ ეს დაპირისპირება ენაში არსებობს და იგი მორფოლოგიური თუ არამორფოლოგიური საშუალებით გამოიხატება (ონიანი 1968: 30).

ჩვენ ვიზიარებთ ა. ონიანის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ როგორც პირის ნიშანთა ფუნქცია არ არის და პირის ნიშნები გამოხატავენ რომელობას, მაგრამ ისმის კითხვა, რატომ იყო წარმოდგენილი ქართულ ზმნაში ორი რიგის ნიშანი და რა ფუნქცია ეკისრებოდა მათ? ჩვენი აზრით, ქართული ენის სისტემიდან გამომდინარე, ის უნდა ყოფილიყო ზმნასთან შეწყობილი სახელების ბრუნვის ნიშნის გამომხატველი, ანუ სახელის ფორმის რეპრეზენტაციები. ჰ. ფოგტი აღადგენს პრეისტორიული ქართულისათვის მარტივ ბრუნვათა სისტემას, რომელშიც რიცხვის გარჩევა ჯერ კიდევ არ იყო დიფერენცირებული. იყო პირდაპირი ბრუნ-

ვა – კაც და ირიბი ბრუნვა – კაცს. ეს სისტემა რეალურად არსებობს ისტორიული ეპოქიდან მოყოლებული ნაცვალსახელებში ვინ\* – ვის (ჩართოლანი 2000: 13).

არნ. ჩიქობავას აზრით, სახელობითი და მოთხრობითი შედარებით ახალი წარმოშობისაა, ნათესაობითი და მიცემითი უფრო არქაულია (ჩართოლანი 2000: 13).

საინტერესოა იემსლევისა და იაკობსონის მოსაზრება სახელობით-წრფელობით ბრუნვებთან დაკავშირებით, რასაც აღნიშნავს მ. მაჭავარიანი თავის ნაშრომში, კერძოდ, აღნიშნული ბრუნვები სხვა ბრუნვებთან შედარებით ყველაზე არამარკირებულია. კარცევსკის აზრით, სახელობითი არ შეიცავს არაფერს, გარდა სიტყვის ძირის მნიშვნელობისა და რიცხვისა. ამიტომ სახელობითი სახელდების ბრუნვაა უნივერსალურად ყველა ენაში (მაჭავარიანი 1987: 25).

სახელობითთან მიმართებაში მიცემითის ზოგადი ფუნქციაა მიმართულების, ორიენტაციის აღნიშვნა. მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი ყოველთვის გამოხატავს რაიმე სახის გამიზნულობას, ან ლოკალიზაციას, იქნება ის სივრცისეული, დროისეული თუ აბსტრაქტული ორიენტირებული მიმართულება. ის ამასთანავე ითავსებს აკუზატივის მნიშვნელობებსაც (მაჭავარიანი 1987: 26).

ქართული ზმნის ბუნება განაპირობებს სახელთა გარკვეულ მიმართებებს, ზმნასთან შეწყობილი ორი სახელი არასდროს არ იყო წარმოდგენილი ერთი და იმავე ბრუნვის ფორმით. შესაბამისად, ენას დასჭირდა, რომ ეს სხვაობა ასახულიყო ზმნის ფორმაში. ვფიქრობთ, ზმნაში მოცემული საგნის სახელდება გადმოიცემოდა ვინის რიგით, ხოლო სხვა დანარჩენი მიმართებები – მიცემითი ბრუნვით, ანუ მანის რიგით. დროთა განმავლობაში, როდესაც შეიქმნა რთული ზმნური კონსტრუქციები, დაემატა მრავალი კატეგორია, ეს უძველესი ქარგა შეუსაბამო აღმოჩნდა მათთან მიმართებაში. შემთხვევათა უმრავლესობა ამ ქარგას ემთხვევა, კერძოდ, აქტიური პირი, ანუ სუბიექტი, ძირითადად სახელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი და ირიბი მიცემით ბრუნვაშია წარმოდგენილი, მაგრამ სხვა შემთხვევაში მივიღეთ ე.წ. ინვერსია, რომელიც გამოვლენილია სამივე ქართველურ ენაში. უმთავრესად ქართულსა და სვანურში და მეგრულის ერთ დიალექტში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ვ- პირის ნიშანი გამოხატავს აქტიურს, სუბიექტურ პირს. გარკვეული შეუსაბამობა იქმნება მაშინ, როდესაც ვნებითი გვარის ზმნების პასიური სუბიექტი აქტიური სუბიექტის პირის ნიშნით არის გამოხატული, ან ე. წ. ინვერსიული ზმნები, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, სუბიექტი ობიექტური პირის ნიშნით არის გამოხატული და პირიქით და ა.შ. ყველა ამ შემთხვევაში თუ უარყოფთ პირის ნიშანთა ერთ-ერთ ფუნქციას – როგორობას, მაშინ წინააღმდეგობაც მოიხსნება. ჩვენი აზრით, პირდაპირ (გაუფორმებელ) ბრუნვაში მყოფი სახელი ზმნაში აღინიშნებოდა ვ-ინის რიგის რეპრეზენტაციებით და ირიბ (მიცემით) ბრუნვაში მყოფი სახელი – მ-ანის რიგის რეპრეზენტაციებით. ეს სისტემა წარმოდგენდა ქართველურ ენათა უძველეს ქარგას, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა აქტიურისა და პასიურის გააზრება და ზმნის ფორმა იყო ბევრად მარტივი. დროთა განმავლობაში ენამ განიცადა ცვლილებები, შეიქმნა სხვადასხვა გრამატიკული კატეგორია, დაემატა მაქცევრები, გაიზარდა პირიანობა და ა. შ. აღნიშნული ქარგა ძირითადად უცვლელი დარჩა. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, ვფიქრობთ, ვუპასუხებთ იმ შეკითხ-

ვებს, რომელთა შესახებაც ზემოთ გვექონდა საუბარი. მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ზმნა სუბიექტ-ობიექტური პირების მიხედვით არ განირჩევა და სხვადასხვა წყობის პირის ნიშნებით არის გამოხატული იმის გამო, რომ მასთან შეწყობილი სახელები ხან სახელობითია, ხან მიცემითში. მაგ: ვიძინებ-დამეძინა, გაფჭრი-გამიჭრია, მომყავს-მოვიყვან და ა. შ. ამრიგად, ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში, ბრუნვებით ხდება სახელთა მიმართებების დამოკიდებულების გამოხატვა ზმნის ფორმასთან ურთიერთობით, ხოლო ბრუნვა თავის რეპრეზენტაცივებს წარმოადგენს ზმნაში პირის რომლობასთან ერთად.

### **ლიტერატურა:**

**არაბული 2016** – ა. არაბული, „ინვერსია“, ახალი ქართული ენა: სალიტერატურო ენის მორფოლოგია: ზმნა, თბილისი, 2016.

**გამყრელიძე 2000** – თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბილისი, 2000.

**მაჭავარიანი 1987** – მ. მაჭავარიანი, ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბილისი, 1987.

**ონიანი 1978** – ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი, 1978.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი ტ.3, თბილისი, 1980.

**ჩართოლანი 2000** – მ. ჩართოლანი, ჰანს ფოგტი, თბილისი, 2000.

**ჩიქობავა 1968** – არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი, 1968.

## **ინგა სანიკიძე**

### **ლა- პრეფიქსის ისტორიული ფუნქციისათვის ქართულში**

სახელურ ფუძეთა მორფოლოგიური აგებულება, კერძოდ კი, წარმომქმნელ აფიქსთა დიაქრონიული ძიება დღესაც რჩება ლინგვისტური კვლევების იმ მნიშვნელოვან სეგმენტად, რომელსაც უძველესი ქართულისა თუ ქართველური ენების სტრუქტურის გააზრებასა და მრავალრიცხოვან მანარმოებელთა ფუნქციურ მოდელირებებთან მივყავართ. როგორც ვ. თოფურია შენიშნავს: „ზოგიერთთ შა-მთა მსვლელობაში იმდენად დაჰკარგვიათ წარმოებითი უნარი და ისე მჭიდროდ შეხლართვიან ძირებს, რომ ოდესღაც აფიქსად გამოყენებული, დღეს ძირის განუკვეთელ ნაწილად გამოიყურება“ (თოფურია 1979: 63). და მართლაც, როცა საქმე უძველეს დერივანტებს შეეხება, მეტი სიფრთხილეა საჭირო იმისათვის, რომ სანალიზოდ გამოტანილი თითოეული ერთეული სარწმუნო იყოს. ოდესღაც აქტიური, ძველი ქართული ენის დონეზეც კი წარმოების უნარდაკარგული ზოგიერთი ფორმანტი ფუძეებში ჩაკირული ის მორფოლოგიური ელემენტია, რომლის ფუნ-



ქციის ამოკითხვა არცთუ ისე იოლი მეცნიერული ამოცანაა. ვფიქრობთ, რომ მათ შორის უთუმცაოდ მოიაზრება **ლა-** პრეფიქსი და ქართულ ენაში ის იმგვარ სახელებში ამოიცნობა, როგორებიცაა: **ლა-ხტი-ი**, **ლა-ხუ-არ-ი**, **ლა-ფ-ი** [**ლა-ბ-ი**], **ლა-მ-ბ-ი** [— \***ლა-ბმ-ი**] და მისთანანი.

ობიექტურობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში **ლა-** ს თავსართობა (**ნა-** ს პარალელურად) ქართველურ ენებში ჯერ კიდევ ნ. მარის მიერაა შემჩნეული, ხოლო შემდეგ იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის კონტექსტში გავრცობილია არნ. ჩიქობავას სკოლის მიერ<sup>1</sup>. როგორც ვ. თოფურია წერს, მისი მიზანი **ნა-**[**ნა-თელ-ი**], **ნე-**[**ნე-რწყ-ი**], **ნი-**[**ნი-კა-პ-ი**]<sup>2</sup> პრეფიქსების „გამოაშკარავება“ და „მათთვის ფონეტიკურ-მორფოლოგიური ეკვივალენტის მოძიე ენებში“ მოძიება იყო (თოფურია 1979: 92), ამიტომ მეცნიერის კვლევა ზემოთ დასახელებულ მანარმოებელთა მტკიცებისაკენაა მიმართული; თუმცა ის გვერდს ვერ უვლის უძველეს ფორმანტთა – **ლა-**, **ლე-**, **ლი-** ს – შესახებ მსჯელობასაც. მისი მოსაზრებით, **ნ'**არისა და **ლ'**ასის მონაცვლეობა ფონეტიკური სახეცვლილების შედეგია, მათ „ნარნარა **ნ-/ლ-** ელემენტთან პრეფიქსებს“ უწოდებს (თოფურია 1979:93) და **ლ'**შემადგენლიან მორფემებს ძირითადად სვანური ენის კუთვნილებად ასახელებს: „დღევანდელს სვანურში მეტად ცოცხალია და ხშირ სახმარებლადაც გამოყენებული ლი-, ლე-, ლა- თავსართები...“, ხოლო ამავე თავსართების „დაახლოვებითი მნიშვნელობის წარმოდგენის შემდეგ უნებლიეთ იბადება სურვილი მათი ფონეტიკურ-მორფოლოგიურად შესატყვისი ელემენტების ძიებისა ქართულში“ (თოფურია 1979: 63-64).

ნათქვამიდან გამომდინარე, მართლაც, ლოგიკურია მიზანი, ქართულ ენაში დაიძებნოს გაცილებით მეტი ლექსიკური ერთეული<sup>3</sup>, რომლებიც სხვადასხვა დონეზე (ვგულისხმობთ ენის ძველსა და ახალ ეტაპებს) ფიქსირდება და რომლებიც, ვფიქრობთ, რომ სიცხადეს შეიტანს **ლ'**შემადგენლიან თავსართთა ისტორიული ფუნქციის დადგენისას. დავძენთ იმასაც, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი ძიება მხოლოდ **ლა-** პრეფიქსისაკენ იქნება მიმართული, რადგან ცალკეულ ელემენტთა (**ლა-**, **ლე-**, **ლი-**) გამონვლილვითი ანალიზი მნიშვნელოვან საფუძველს შექმნის იმისათვის, რომ აღვადგინოთ მთლიანი ენობრივი პლასტი, რომელიც ჩანს, რომ უძველეს საფეხურზე სიტყვანარმოქმნის სისტემაში საკმაოდ მყარი მორფოლოგიური ელემენტებისაგან შედგებოდა.

**ლა-** მანარმოებელი ისეთ ქართულ ფუძეებში შეიძლება დავინახოთ, როგორებიცაა:

**ლა-მბ-ი** – დასახელებულ ფორმაში „მბ“ ძირეულ კომპლექსს მეტათეზისის კვალი ეტყობა: „ბმ“ → „მბ“. ის სახელური ეკვივალენტი უნდა იყოს ზმნური **ნა-**

<sup>1</sup> ამავე დებულებას იზიარებს ივ. ჯავახიშვილი ნაშრომში „ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“. **ნა-/ ნე- /ლე-** და მისთანანი ადამიანთა და ცხოველთა მდებრობითი სქესის აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფშია გამოვლენილი, მაგ., ქართ. **ნა-ბიჭუ-არ-ი**, **ნე-ზვი-ი** და სხვ. (ჯავახიშვილი 1992: 181-187).

<sup>2</sup> შენიშვნა: მაგალითები ამოკრებილია ვ. თოფურიას სამეცნიერო სტატიიდან (თოფურია 1979: 63-72).

<sup>3</sup> **ლა-** თავსართთან ფორმებად ვ. თოფურია ასახელებს მხოლოდ შემდეგ სახელურ ფუძეებს: „**ლა-ნჩა-** [სა-რჩ-ულ-ი], **ლა-რტყა-** [სა-რტყ-ელ-ი], **ლა-ფარ-ო** [ფარ-ვა'სგან], **ლა-ფა-ფ-ი** [აყარი], **ლა-ბახ-ო** [ფერჯი]“ (თოფურია 1979: 92-93).

რმომავლობის „ბ“ ძირეული ელემენტისა, რომელსაც ა-ბ-ამ-ს პირიან ფორმაში ვხვდებით. ამ მაგალითში საინტერესო ისაა, რომ თემისნიშნისეული -[ა]მ'იც სახელური ფუძის ძირეულ ნაწილად არის გააზრებული და წარმოქმნის პროცესში საყრდენი სეგმენტი. სულხან-საბას განმარტებით, ლამბი არის „სეფქისა და ჩოგნის თასმა და მისთანანი“, ნ. მოულამბე (სულხან-საბა 1991:405). რაც შეეხება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს, ვკითხულობთ: „ლამბი – 1. ნემსის შორიშორ ამოგებით ნაკერი; 2. მშვილდის ბანარი, ლარი; 3. ქვაბის სახელური“ (ქეგლ 1955, ტ.4). ლექსიკური ერთეულის ერთი შეხედვით არაერთგვაროვანი განმარტებებიდანაც კარგად მოჩანს, რომ საქმე „[და]ბმ'ის“ სემანტიკურ ბირთვთან გვაქვს. სწორედ ძაფის, ბანრისა თუ ქვაბის სახელურის მიმაგრება-დაბმა უნდა განაპირობებდეს „ლა-მბ-ი“ ფუძის შინაარსობრივ დაშლას.

**ლა-ნგ-ი** – „სასრევი უმჯობესი, მახვილის პირის მოსაწყობი... ესე ლანგი არს სასრევი პირისმომწყობელი მახვილთა“, – წერს სულხან-საბა თავის ლექსიკონში. ვფიქრობთ, რომ ამ ფუძეში „ნგ[რ] იგივე ძირეული ელემენტია, რომელსაც ა-ნგრ-ევ-ს, ი-ნგრ-ევ-ა ზმნურ მოქმედებებში ვხედავთ; ანუ გამოდის, რომ ლანგი ის „სასრევი“ საშუალებაა, რომელსაც აღჭურვილი მეომრის, ჯარის ან ფლანგების „შენგრევა-შელენვის“ ფუნქცია აქვს დაკისრებული.

**ლა-ნქ'ერ-ი** – სახელური პარალელია ა-ნქ'ერ-ევ-ს [ნქ'რევა] ზმნის მოქმედებისა, რომელიც სულხანისეული განმარტებით არის: „შელმა შებნევა რისამე“, ხოლო დ. ჩუბინაშვილის მიხედვით „დაბნევის“ სემანტიკა აქვს (ქეგლ 1958, ტ.5). ძირეული მნიშვნელობა თოვლის მასის „გაფანტვა-დაბნევა-შებნევა“-ში გადადის და ზედნაშენურ გააზრებას გვაძლევს, რომლის მიხედვითაც, ლანქერი არის: „თოვლის ღვარი, თოვლის წვენი“ (საბა 1991: 405); ან: „დამდნარი თოვლი, ღვარად წამოსული“ (ქეგლ-ი 1955, ტ.4). ე.ი. ლანქერი ის მატერიალური საგანია, რომელიც უნდა გაიფანტოს, განქარდეს, შეიფრქვეს.

**ლა-რთ-ი** — **რთ**[-ავ-ს] ზმნური ძირის ნიადაგზე წარმოქმნილი მოჩანს. საბას განმარტებით, ის არის „პირუტყვთ მორი“, სავარაუდოდ, საქონლისთვის შესაკავებლად განკუთვნილ მორებს [ლობეს] გულისხმობს.

**ლა-რთხ-ი** – სახელური შესატყვისი უნდა იყოს ზმნის პირიან ფორმაში – გან-ა-**რთხ**-ამ-ს [გან-რთხ-მ-ა] – დადასტურებული ძირისა. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ მოწოდებული ორივე მნიშვნელობა: „ურემზე დაგებული ფიცარი“ თუ „კუთხ. (ფშავ.) გრძელი ჯოხი / ლართხა“, ვფიქრობთ, რომ პირდაპირ უკავშირდება „[გან]რთხმის“ მნიშვნელობას. ერთ შემთხვევაში ის ურმის ძირას განრთხმული ფიცარია, მეორეში კი – ჯოხი, რომელსაც ვინმეს ან რაიმეს განრთხმის დანიშნულებით მოიხმარენ.

**ლა-ხტი-ი** – ამ სახელური ფუძის აგებულებას ფორმოებრივ-სემანტიკურად **ხტი**-ს ზმნის ძირეულ ელემენტთან მივყავართ. საბასეულად: „დანული ილეკრო, თუ წკეპლი“ სხვა არაფერი მოჩანს, თუ არა წვრილად დანული რკინის ან ხის მასალისაგან სპეციალურად დამზადებული სა-ხტი-უნ-ავ-ი საშუალება.

**ლა-ფ-ი** – უნდა უკავშირდებოდეს სა-ფლ-ობ-ი „ფალვა→ფლვა“ ზმნურ ერთეულებს: და-ჰ-ფლ-ა („ხოლო...ნარვიდა და მოთხარა და დაჰფლა ქუეყანასა ვერცხლი იგი უფლისა თვისსაჲ“ [მ. 25,18]; და-ე-ფლ-ა („მოკუდა მდიდარიცა იგი

და დაეფლა“ [ლ. 16,22])<sup>1</sup> და მისთ. ლაფი ისტორიულად „სა-ფლ-ობ'ის“ მნიშვნელობისა ჩანს და მისი ძირეული ფ ფონემა იკითხება „მომშვებულის“ სემანტიკური დატვირთვის მქონე ისეთ რედუპლიცირებულ ფუძეებში, როგორებიცაა: ფამ'ფა-ლ-ებ-ს [ფამ'ფალი] თუ ფომ'ფლე. საბას მიხედვით, ლაფი არის: „ცუდმადი ასვრილი თხლად; ბილნები, ასვრილი ტალახივით“. ამრიგად, ლაფი, როგორც აღმნიშვნელი, „თხელ, საფლობ მასას“ გულისხმობს და ამ მნიშვნელობას სწორედაც რომ ფ ძირეული ელემენტი განაპირობებს.

**ლა-ფერ-ი** – „ბრტყელი კოვზი“, – წერს საბა; „იგივეა, რაც ლაფერა – 1. კუთხ. (იმერ.გურ.) ხის დიდი, ბრტყელი კოვზი, – ჩოგანი, ხმარობენ ღომის ამოსაღებად ქვაბიდან“: [ქეგლი]. ამ შემთხვევაში **ფერ** ძირეულ ფუძეს სახელური ეკვივალენტები ეძებნება **ფრიალა/ფრიალო** ფორმებში, რომლებიც „შვეულად ამართული რამე'ს (კლდე და მისთ.)“ (ქეგლ-ი 1962, ტ.7) [ფერდ'ი] გარდა სიბრტყივ მოფრიალებულ საგანსაც აღნიშნავს, მაგ., „**ფრიალა თეფში** კუთხ. (იმერ.) გადაშლილი თეფში“ (იქვე) და გაიაზრება, როგორც მოფრიალებული, ბრტყელი საგანი ზოგჯერ – კოვზის, ზოგჯერ კი – გაშლილი თეფშის მნიშვნელობისა; ყველაფერი ეს კი თავისი სემანტიკით საბოლოოდ ზმნის იმ პირიან ფორმასთან მიდის, რომელიც ფრ-ი-ალ-ებ-ს ფორმის მნიშვნელობაში ამოიცნობა.

**ლა-ქუც-ი** – „ძალის ალერსი“ (საბა); მეორეული მნიშვნელობით „პირმოთნეობა“ მიღებული უნდა იყოს ი-ქუც-ებ-ა ზმნური მოქმედების შედეგად და პირველად ძალის ისეთი მოფერება-ტმასვნის აღმნიშვნელია, რომელიც სხეულის მოძრაობით „ბაღნის, ბენვის, ხაოს ცვივნა'ს“ ინვეეს (ქეგლ-ი 1962, ტ.7).

**ლა-ყურ-ი** – [„თევზის ყბა“]; ზმნური პარალელი ა-ყურ-ებ-ს / ყურ-დ-ებ-ა და მისთ. ვფიქრობთ, რომ ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს \*სა-ყურ-ი / \*სა-ყურ-ჩ-არ-ი.

**ლა-ციც-ი** – სავარაუდოდ, რედუპლიცირებული ფუძის – „ციცა'ს“ (კატის, ფისოს) – მოქმედებას უკავშირდება, კერძოდ, მისი „ალერსი, მოფერება“ მოგვიანებით „პირფერობის, მლიქვნელობის“ (ქეგლ. 4) შინაარსშია გადასული.

**ლა-ხორ-ა** – საბასეული განმარტებით: „ჯოღლო-მოღლო“ იმავე ძირეულ ელემენტს იყენებს, რომელსაც ა-ხორ-ავ-ებს, ა-ხრ-ოვ-ებს ზმნურ მოქმედებებში ვხედავთ.

**ლა-ხტი-ი** – „უმკვეთელო სახემი საომარი“ (საბა); „გრძელი უტარო მათრახი, რომელსაც ძველად ბრძოლაში იყენებდნენ საცემად“ (ქეგლ-ი, ტ. 4) წარმოქმნილი მოჩანს **ხტი-ი-ს**, **ხტი-ება** და სხვა ზმნური **ხტი** ძირიდან და \*სა-ხტი-ი'ს (სახტომელი'ს/სა-ხტი-უნ-ა-ო'ს) სემანტიკა აქვს.

**ლა-ხუ-არ-ი** /**ლა-ხვ-არ-ი** – საზოგადო სახელია ე.წ. სახევი „გრძელტარიანი ბასრწვერა საომარი“ იარაღებისა (ქეგლ-ი, 1955, ტ.4), ამიტომ „განიყოფება“-ო, – წერს საბა და მის ნაირსახეობებს ჩამოთვლის: „ოროლი, გმური...“ ვფიქრობთ, რომ საანალიზოდ გამოტანილი ფუძის ძირეული ელემენტი ფიქსირდება ზმნურ ეკვივალენტში **ხუ-ევ-ს** [„ხუ-ევ-ა – იხ. აღხუევა, გარე-მოხუ-ევ-ა, და-ხუ-ევ-ა, თავის-სახუეველი, მო-ხუ-ევ-ა, წარხუ-ევ-ა“ (აბულაძე 1973: 564). ჩვენი აზრით, იმავე **ხ'ს** ამოკითხვაა შესაძლებელი **ხ-ევ-ს** – აქ: მონინააღმდეგის აღჭურვილობას ლე-

<sup>1</sup> ქართული ოთხთავი 1979.

წავს, ამტკრევს, სცემს შუბით ან სხვა იარაღით. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს მასდარი [გა]-ლა-ხე-ა'ც.

**ლა-ჯ-ი** – „ფერვებთ საშუალი“ (საბა); „ფეხების შიგნითა მხარე მუხლებს ზევით“ (ქეგლ'ი, ტ.4). წარმოქმნილ ფუძეში იგივე **ჯ** ძირი უნდა იყოს, რომელიც **ჯედ** [ჯდ-ომ-ა] → **ჯექ** ფუძეებში გვაქვს. **ლა-ჯ-ი** (\*სა-ჯ-ი) ნაზმნარი სახელი უნდა უნდა იყოს და ცხენსა თუ კარაულზე ამხედრების დანიშნულების ფუნქციის მქონე წარმოქმნილ ფუძეს უნდა წარმოადგენდეს.

\* \* \* \* \*

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ საანალიზოდ გამოტანილი მაგალითებიდან, რაც უტყუარად ჩანს, ეს **ლა-** ს პრეფიქსობაა და ქართული ენა ამ თვალსაზრისით არცთუ ისე მცირეოდენ მასალას ინახავს. უპირველესად ვიტყვით იმას, რომ ზემოთ მოყვანილი ფუძეთა შემთხვევებში გაცილებით გაადვილდა ძირეული ელემენტების მოძიება, თუმცა ქართული ენის ლექსიკურ ბანკში იმავე **ლა-** თავსართით წარმოქმნილი სხვა ერთეულებიც იძებნება, რომელთა საყრდენები მაინცდამაინც გამჭვირვალე არ არის და სამომავლოდ მეტ დაკვირვებას მოითხოვს.

იმისათვის, რომ სარწმუნო იყოს ჩვენი მცდელობა, ქართულის დონეზე უძველეს ენაში **ლა-** პრეფიქსის გამოცალკევების შესახებ, მის მორფოლოგიურ ფუნქციას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. ემპირიული ანალიზიდანვე იკვეთება, რომ ამ მოდელის ფორმები ძირითადად ნაზმნარი სახელებია, ანუ ისტორიული მასდარები, და თავიანთი მნიშვნელობებით ნამდვილად ვერ უტოლდება **ნა-** პრეფიქსიან დერივაციულ სახელზმნებს: **ნა-ხატ-ი**, **ნა-ჭერ-ი** და **მისთ**. (ამგვარ მტკიცებას ჩვენ ვ. თოფურიას ზემოთ მითითებულ სამეცნიერო შრომებში ვხვდებით). **ლა-**ს ფუნქციას – უჩვენოს ზმნით გამოხატული მოქმედების დანიშნულება – მჭიდრო კავშირი რომ ჰქონდეს **ნა-** პრეფიქსთან, საქმე მათ შინაარსობრივ (ფუნქციურ) გადაფარვასაც შეეხებოდა; ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას კი ზემოთ მოხმობილი მაგალითები ნამდვილად არ იძლევა. არის კი **ლა-** [ლა-ხტ-ი] **ნა-**ს [ნა-სკვ-ი] ფონეტიკური ვარიანტი, როცა დერივანტების ფუნქციები ღრმად დიფერენცირებული და ფაქტობრივ ბინარულად დაპირისპირებული მოჩანს? რამდენად მისცემდა მათ ერთი და იგივე წარმომავლობა იმის საშუალებას, რომ ამგვარად განყოფილიყვნენ და წინააღმდეგობრივ დერივაციულ ჯგუფებში განლაგებულიყვნენ? ვფიქრობთ, რომ „ფონეტიკური სახეცვლილება“ (ვ. თოფურია) ნაკლებად იგუებდა ასეთ პოლარიზებას და ქართული ენა განვითარების ვერცერთ ეტაპზე ვერ შეძლებდა იმას, რომ მორფემათა შინაარსები ფუნქციურად ასე დაემორიშორებინა ერთმანეთისაგან. **ლა-**ს რომ **სა-** პრეფიქსის ფუნქცია აქვს, ეს არც ვ. თოფურიას მეცნიერულ ალღოს გამორჩენია. მართლაც, ფაქტობრივ, უეჭველია, რომ **ლა-ხტ-ი**, იგივე **\*სა-ხტ-ი-ა** (ანუ სახტუნაო საშუალება) და არა **\*ნა-ხტ-ი**; ან: **ლა-მბ-ი** მოსაბმელს აღნიშნავს და არა – **ნა-ბამ-ს**; ან კიდევ: **ლა-ჯ-ი** სხეულის ის ანატომიური ნაწილია, რომლითაც ცხენზე გარდიგარდმო ჯდომისთვის იყენებდა ადამიანი და მის პირველწყაროდ არავითარ შემთხვევაში არ ივარაუდება (ფაქტობრივ გამოირიცხება) ნამყო მოქმედების რეზულტატის სახელური ჩვენება, ანუ **\*ნა-ჯ-ი**

/ნა-ჯდ-ომ-ი ტიპის წარმოება. ენობრივი ფაქტია, რომ \*ნა-რწყ-ი [→ ნა-რწყ-ევ-ი] და \*სა-რწყ-ი [→ სა-რწყ-ულ-ი] მორფოლოგიურ-ფუნქციური დაპირდაპირების მიზნით შექმნილი მასდარული წყვილია და ისინი თავიანთი პრეფიქსული ბუნებით ქართული ენის გაცილებით ადრეულ ეტაპზე ითავსებდნენ დროის კატეგორიის გაგებასაც, ვიდრე ეს -ულ ან -ილ სუფიქსებიანი წარმოებების [ალ-მართ-ულ-ი, ალ-შენ-ებ-ულ-ი, და-წერ-ილ-ი, გან-კუთ-ილ-ი...] შემთხვევებში უნდა მომხდარიყო.

აკ. შანიძე ვნებითი გვარის ნა-თავსართიან მიმღებებზე მსჯელობისას შენიშნავს: „განსხვავება, რომელიც შეიძლება ოდესმე არსებულებო -ილ, -ულ სუფიქსით წარმოებებსა და ნა-პრეფიქსით წარმოებებს ვნებითი გვარის მიმღებობით ფორმებს შორის გრამატიკული შინაარსის თვალსაზრისით, ამჟამად არ არსებობს. მაგალითად, „მო-გებ-ულ-ი“ და „მო-ნა-გებ-ი“ დღეს ერთი და იგივეა მნიშვნელობით“ (შანიძე 1980:575). თანამედროვე ენაში დასახელებულ მანარმოებელთა ფუნქციური გადაფარვა, ვფიქრობთ, ხელს არ გვიშლის მათ სხვადასხვა წარმომავლობასა და ქრონოლოგიურ კუთვნილებაზე ვისაუბროთ, თუმცა ამჟამად ეს მნიშვნელოვნად სცდება ჩვენი კვლევის მიზანს. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ იგივე ნა- არა მხოლოდ მიმღებური ფორმების წარმომქმნელი ელემენტია, არამედ აკ. შანიძის მიერვე „წინა ვითარების სახელებად“ წოდებულ სადერივაციო ჯგუფში სხვა აფიქსებთან შეწყვილებული (ნა—არ’ი; ნა—ევ’ი) ინარჩუნებს თავის ისტორიულ ფუნქციას შორის ერთ-ერთს – გამოხატოს ნამყო ვითარება და დროის კატეგორიის ჩვენებით უკვე ძირეულ სახელზე დაყრდნობით წარმოქმნას ახალი სახელური ფუძე. ამ მორფოლოგიური მოვლენის (ანუ წინა ვითარების სახელთა წარმოქმნის) ზედნაშენურობას ნათელს ტემპორალობის მორფოლოგიური კატეგორიის სახელურ ფუძეებში განთავსება ჰფენს (ნა-კაც-არ’ი, ნა-და-რბაზ-ევ’ი...). და თუ თანამიმდევრულ მსჯელობას გავყვებით, ლოგიკური იქნება, კითხვა ასე დავსვათ: რატომ არასდროს, არცერთ შემთხვევაში არ გაიარა იგივე პროცესი „წინა ვითარების“ ნა-პრეფიქსიანმა სახელებმა, რაც ვ. თოფურიამ ნა-/ლა-ს მასდარულ ფორმებთან ივარაუდა, ანუ არ დაფიქსირდა „ფონეტიკური სახეცვლილება“ (მაგ., ნა—არ → \*ლა—არ)?

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ჩვენეული მტკიცება მეცნიერული ჭეშმარიტებაა, თანაც მაშინ, რომ ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში თვით ქართულ ენაშიც დასტურდება ნ → ლ მონაცვლეობა რედუბლიცირებულ ფუძეებში, მაგალითად, ფ. ერთელიშვილი საგანგებო ყურადღებას უთმობს მ, ნ, რ სონანტების შემცველ ქართულ ფუძეებში, როგორ იცვლება მეორე სეგმენტის თანხმოვანი და ნ’ არის შემთხვევაში ხშირად სწორედაც რომ ლ’ასი დასტურდება: დან-დალ-ი, სან-სალ-ი, სინ-სილ-ა, წან-წალ-ი, ტან-ტალ-ი და მისთანანი (ერთელიშვილი 1980:173); მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ის შემთხვევა არ არის, რომელიც პირდაპირ ფონეტიკურ ანალოგიად გამოდგება (საქმე მარტივი ფუძის ბოლოპოზიციურ ნ თანხმოვანთან გვაქვს, რომელსაც დისიმილატორიც შეიძლება ვუნოდოთ); თუმცა ამგვარი ენობრივი მიდრეკილება არსებობს და ის ლოგიკაც, რომ ნა- და ლა- „წარწარა ელემენტის“ პრეფიქსებია.

კვლავ ჩვენეულ თვალსაზრისს დაუზღუბუნდებით და ვიტყვით, რომ მოხმობილ მაგალითებში ისტორიული ლა-პრეფიქსის განსხვავებული ფუნქცია ნაკლე-



ბად იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ნა- და ლა- დერივანტები თავიანთი ფუნქციით ერთ მორფოლოგიურ სიბრტყეზე განვალაგოთ და ქართულის რომელიღაც ისტორიულ ეტაპზე მათი დერივაციული მონაცვლეობა მხოლოდ ფონეტიკურ ცვლილებას მივანეროთ. მიუხედავად, ლა-‘ ს ძირითადად ზმნურ ძირებთან შეხორცებულობისა, მაინც აშკარაა, რომ მას ზმნური მოქმედების სახელად გარდაქცევის მორფოლოგიური მიზანი აქვს და ოდესღაც პროდუქტიული მანარმოებელი არსებობას მხოლოდ უკვე დიდი ხნის წინათ წარმოქმნილ ფუძეებში განაგრძობს. ფაქტია, მას ძველი ქართული ენის პერიოდამდე აქტიური პოზიციონირება შეწყვეტილი აქვს და ე.წ. „მკვდარი“ აფიქსია.

ლა-‘ ს თავსართობის დასტურად სხვა მაგალითების დასახელებაც შეიძლება მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ აღდგენილი ზმნური ძირები რამდენადმე სადავოც შეიძლება იყოს. მაინც, ვფიქრობთ, რომ მათი მოხმობაც ღირს, ამიტომ დავამატებთ ისეთ ნიმუშებს, როგორებიცაა, მაგალითად:

**ლა-გამ-ი** – „ცხენის საკბილაკე“ (საბა 1991: 403]; „აღვირის ნაწილი - ცხენის პირში ამოსადები რკინა“ (ქეგლ 1955, ტ. 4, სვ. 1457); სავარაუდო მნიშვნელობით სა-გამ-ობ-ი, ძირეული ელემენტით **გმ** [გმ-ობ-ს], მოგვიანებით კი ლა- პრეფიქსს შეხორცებული გვაძლევს ფორმას ა-ლაგამავს.

**ლა-მაზ-ი** – „კარგი შესახედაობისა“ (ქეგლ, ტ. 4); მნიშვნელობით \*სა-მზ-ერ-ი, პირიანი ფორმებით: მზ-ერ-ს, უ-მზ-ერ-ს.

**ლა-ნდ-ი** – „მოლანდების ჩენა“ (საბა) შესაძლებელია უკავშირდებოდეს „ნდო-მა“ ზმნის ძირეულ ელემენტს **ნდ’** ს და ისტორიულად ნიშნავდეს სასურველს, ანუ იმას, რაც გინდა.

**ლა-ტან-ი** – „წვრილი და გრძელი ძელი“ (საბა), მნიშვნელობით \*სა-ტან-ო, ანუ რაიმეს ტანად გამოსაყენებელი; იგივე ზმნური ფუძე დასტურდება პირიან ფორმებში: ა-ტან-ს, ჩა-ტან-ება და მისთ.

**ლა-ფშ-ა** – „კუთხ. (იმერ. გურ) დაკოდილი ცხენი, – იაბო“ (ქეგლ. 4); შესაძლებელია უკავშირდებოდეს „ფშუ-ენ-ს“ პირიან ფორმაში დადასტურებულ ზმნურ ძირს, რომელიც, თავის მხრივ, გვაძლევს სახელურ ეკვივალენტს **ფაშ-ვი** და ინფინიტიურ ფორმას **ფშვ-ინ-ვ-ა**.

**ლა-ქარდ-ი** – „კუთხ. (ფშავ.) ტკბილი სიტყვა“ (ქეგლ. ტ. 4). ამ შემთხვევაში შესაძლებელია „ქარგ-ავ-ს“ ზმნის ფუძესთან გვექონდეს საქმე, სავარაუდოდ, **დ** → **გ** სუბსტიტუციის ნიადაგზე. ივ. ქავთარაძე წინაენისმიერთა უკანაენისმიერებით შენაცვლების საკითხთან დაკავშირებით წერს: ამგვარი „ბგერათცვლილება დამახასიათებელი ყოფილა ისტორიულად ქართულისთვისაც. ქართული წინაენისმიერი მჟღერი იძლევა უკანაენისმიერ მჟღერ ხშულს: **დ** → // **გ**... მაგ., ხორდი // ხორგი „წყალთ ყინული დიდი მონატეხი“ (საბა); განდრკეს // განგრკეს (საბა)“ (ქავთარაძე 1964:205). დასახელებული ენობრივი მიდრეკილებიდან გამომდინარე, უნდა დავუშვათ, რომ ზმნურ ფორმაშიც ადრეულ ეტაპზე წინაენისმიერი **დ** ფონემა იჯდა (\*ქარდ-ავ-ს) და ფშავური დიალექტი უბრალოდ ამ უძველესი ენობრივი ვარიანტის შემნახავი აღმოჩნდა. ვაჟა-ფშაველას ენაში დადასტურებული გახედსართავებული ფორმა „ლა-ქარდიანი“ კონტექსტურად მართლაც ნიშნავს

„[ენა]მოქარგულს“: „მივიდა მოყურადე / ლაქარდიანის ენითა“ [„სტუმარ-მასპინძელი“] (ვაჟა 1961:106).

**ლა-ყ-ი** – „კვერცხი ნამხდარი“ (საბა); **ლა-ყ-ე** – გაფუჭებული, აყროლებული (კვერცხი); **ლა-ყ-უნ-ი** – „უშნო, აქეთ-იქით ქანაობით სიარული, – ბაჯბაჯი“ – (ქეგლ-ი, ტ.4) – სემანტიკით „ფუჭი, გამოუსადეგარი“ იმავე ძირეულ **ყ** ფონემას უნდა იყენებდეს, რომელიც დასტურდება ფორმებში ნა-ყ-ავ-ს და შესაძლებელია [რ]ყ-ევ-ა ზმნის პირიან ფორმასთანაც ჰქონდეს კავშირი.

**ლა-შ-ი** – „ზოგიერთი ცხოველის (მგლის, ძაღლის, ცხენის და სხვ.) ტუჩი“ (ქეგლ-ი, ტ.4); ფორმოზრივ-სემანტიკურ მსგავსებას ამჟღავნებს სტატიკურ ფორმასთან **შ-ი-ა**.

**ლა-შქ-არ-ი** – „დიდი ჯარი სამტერო“ (საბა); „იგივეა, რაც ჯარი“ (ქეგლ. 4); ვვარაუდობთ, რომ მისი ისტორიული მნიშვნელობა უნდა იყოს „სა-ჩქ-არ-ო“ და იმავე ძირეულ ელემენტს უნდა შეიცავდეს, რომელსაც ვხედავთ ზმნიზედაში **ჩქ-არ-ა** და ზედსართავში **ჩქ-არ-ი**. მართლაც, ლაშქარი იმით განსხვავდება სხვა ტიპის, მაგალითად, „სამეფო სპისაგან“, რომ ის თავისი შინაარსით სახალხოა და სწრაფად შესაკრებელი. ამ მაგალითში მეტ-ნაკლებ პრობლემას შიშინა **ჩ** აფრიკატის შიშინა სპირანტ **შ** დ ქცევა ქმნის, რადგან ქართული ენის ისტორიის კვლევის საფუძველზე პირუკუ პროცესია გამოვლენილი: **შ** → **ჩ**. „შ სპირანტის გააფრიკატება უფრო ხშირია სათანადო ბგერათმეზობლობის პირობებში, აქცესიურ და დეცესიურ კომპლექსებში, ასევე სხვაგანაც: ხორცი ჩაჩხად (← შაშხად ქნას): იადიგ. დაუდი“ (ქავთარაძე 1964: 244-245). ასეთივე მაგალითებია: ფშაური ქშერობა // მოხ. ეჩქერება („ემეტება, არ შურს“, ან ჩამიჩი და ქიჩმიჩი ნაცვლად ქიშიშისა და სხვანი (იქვე: 244, 245). საანალიზოდ მოყვანილ მაგალითში საერთოქართულ ფონეტიკურ მიდრეკილებას თუ გავითვალისწინებთ (**შ** → **ჩ**'), მაშინ ფორმაში ლა-შქ-არ-ი **შქ** ამოსავალი დეცესიური კომპლექსი მოჩანს, ხოლო **ჩქ** (**ჩქ-არ-ი** / **ჩქ-არ-ა**) ფონეტიკური ცვლილების შედეგი, თუმცა, ვფიქრობთ, რომ მოცემულ ძირეულ ფორმაში არც შიშინა აფრიკატის – **ჩ**'ს **შ**'თი ჩანაცვლება (ანუ საწინააღმდეგო პროცესი) უნდა გამოირიცხოს.

**ლა-ჭან-ი** – „კუთხ. (ფშ.) წნელისაგან მოწნული საწოლი, რომელშიაც თივა ან ჩალა არის ჩაგებული“ (ქეგლ-ი, ტ.4), მაგ., „მიიპატიჟა საძილედ, / დაუთმო თვისი ლაჭანი“ [„სტუმარ-მასპინძელი“] (ვაჟა 1961:106); აქ: **ჭ**[ან] უნდა უკავშირდებოდეს **წნ-ავ-ს** ზმნურ ფორმაში ფიქსირებულ ძირეულ ელემენტს. სისინა და შიშინა აფრიკატების მონაცვლეობა [წ//ჭ, ც//ჩ] ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად შესწავლილი ფაქტია. „ძველ და ნაწილობრივ საშუალო ქართულშიც თვალის დახუჭვის მნიშვნელობით იხმარება **ღანუხვა**“-ო, – ნერს ივ. ქავთარაძე (ქავთარაძე 1964: 233) და იქვე დასძენს: „უდავოა, რომ **წუხ** // **ჭუხ** ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტებია, ასეთივე მონაცვლეობაა სიტყვებში **წმახე** // **ჭმახე**“ (ქავთარაძე 1964:233-234). **წ** → **ჭ** ბგერათშესატყვისობა ქართველური ენების შეპირისპირების ნიადაგზეცაა დადგენილი. მაგ., ქართულ **წერ-** (წერ-ს) ფუძეს მეგრული **ჭარ-** / **ჭარ-უ-ა**, ხოლო ლაზური **ჭარ-** / **წჭარ-** / **ო-წჭარ-უ** [„წერა“] შესატყვისება (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 663); თუმცა დასახელებულ ნიმუშში **წ** → **ჭ** სუბსტიტუცია

თვით ქართული ენის დონეზეა მომხდარი და **ლა-ჭან-ი** ს ამოსავალ ფორმად **\*ლა-წან-ი** სავარაუდებელი. აქვე დავძენთ, რომ ეს ის შემთხვევაა, როცა გარკვევით არ ჩანს საანალიზოდ გამოტანილი ერთეულის სემანტიკა: რა არის ლა-ჭან-ი – \*წან-ი თუ \*სა-წან-ი, ანუ სა-წან-ავ-ი საგანი?

რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ საანალიზოდ გამოტანილი ლექსიკური ერთეულების გარდა, **ლა-** პრეფიქსიანი წარმოებების რაოდენობა ქართული ენის დიალექტები-სა და ტოპონიმური მონაცემების ნიადაგზე შესაძლებელია მნიშვნელოვნად გა-მდიდრდეს, აღარაფერს ვამბობთ ქართველური ენების მასალის გათვალისწინე-ბასაც, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ძირითადი სურათი მაინც სახეზეა. ისტორიული **ლა-** პრეფიქსი მასდარული მანარმოებელი მოჩანს და **წა-**ს პირდაპირი ეკვივა-ლენტი არ არის. მეტიც, ფუნქციურად მნიშვნელოვნად დაშორიშორებულია მის-გან, ფაქტობრივ დამოუკიდებელი მანარმოებელია და უკვე ძველ ქართულ სალი-ტერატურო ენაში, მიუხედავად თავისი არაპროდუქტიულობისა, საყურადღებო სადერივაციო ფგუფს ქმნის; თავსართის ამგვარ სიძველეს კი, ვფიქრობთ, ფუძე ენის სიღრმისაკენ მივყავართ, რადგან ამ კუთხით სვანური და ზანური მასალა არანაკლებ საინტერესოა.

შენიშვნის სახით დავძენთ იმას, რომ ამ კვლევაში არ გვიცდია, **ლა-** პრეფიქ-სის მორფოლოგიური დანაწევრება თანხმოვან- და ხმოვანთავსართოვან წარ-მოებებად (**ლ-**; **ა-**), რადგან ეს დამოუკიდებელი ძიების საგანი უნდა გახდეს და მხოლოდ ამას შემდეგ გამოვიტანთ ღირებულ დასკვნას, რომელშიც შეჯამდება ქართულ ენაში შემონახული უძველესი მანარმოებლების – **ლ-ა**-[**ლ-ა-ფ-ი**, **ლ-ა-ხ-ტ-ი-ი...**], **ლ-ე**- [ლ-ე-რწამ-ი; ლ-ე-ლუ-ი → ლ-ე-ღვ-ი...], **ლ-ი**- [ლ-ი-რბ-ი/ლ-ი-რფ-ი; ლ-ი-ქნ-ი...]- ფუნქციებიცა და ამგვარი ლექსიკის მორფოლოგიური სტატუსიც.

### **ლიტერატურა და წყაროები:**

- აბულაძე 1973** – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გამომცემლობა „მეც-ნიერება“, თბილისი, 1973.
- ერთელიშვილი 1980** – ფ. ერთელიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1980.
- ვაჟა 1961** – ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ.2, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1961.
- თოფურია 1979** – ვ. თოფურია, ნე-, ნი-, წა- პრეფიქსებისათვის, შრომები, ტ. III, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1979, გვ. 63-72.
- თოფურია 1979** – ვ. თოფურია, ხმოვანთავსართოვანი სახელები, შრომები, ტ. III, გამომ-ცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1979, გვ. 92-101.
- საბა 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ორტომეული, გამომ-ცემლობა „მერანი“, თბილისი, 1991.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმო-ლოგიური ლექსიკონი, სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2000.
- ქავთარაძე 1964** – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII – XVIII ს.ს., „თსუ გამომცემლობა“, თბილისი, 1964.

**ქებელი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, ტ. IV (1955), VII (1962), თბილისი.

**ქართული ოთხთავი 1979** – ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა, „თსუ გამომცემლობა“, თბილისი, 1979.

**შანიძე 1980** – აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ. ტ. III, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1980.

**ჯავახიშვილი 1992** – ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თხზ. ტ. X, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1992.

## სოფიო სარჯველაძე

### სინის ლექციონარში დაცული სახარების ერთი საკითხავისათვის

982 წელს იოანე ზოსიმეს მიერ გადანერილ სინის ლექციონარში (O/Sin-37) 63v-64r-ზე მოთავსებულია ლუკას სახარების 19:29-40 საკითხავი. ეს საკითხავი ბზობის დღესასწაულზე იკითხებოდა. იგი მოიცავს პასექის დღესასწაულზე იესოს იერუსალიმში შესვლის პასაჟს ლუკას სახარებიდან. საკითხავი დასტურდება კალის (Q-1653 X ს., 59v) და პარიზის ლექციონარებში (XI ს., 157r). კალის და პარიზის ლექციონარებში ეს საკითხავი ორი მუხლით მოკლეა და ლ. 19:29-38 მუხლებს მოიცავს. სინის ლექციონარიდან (Ls) საკითხავის ბოლო ორი მუხლი, რომელიც აკლია კალის (Lk) და პარიზის (Lp) ლექციონარებს (ლ. 19:30-40), დაბეჭდილია ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერის დანართში (ქართული...1997:372), ხოლო თავად საკითხავი კი, ლ. 19:29-38 მუხლები, რადგანაც ის დასტურდება პარიზის ლექციონარში, Lp-დან დაბეჭდილია ლუკას სახარების ტექსტის ძირითად ნაწილში (იქვე, გვ. 203).

სინის ოთხთავში დაცული ლ. 19:29-40 საკითხავი მრავალმხრივია საყურადღებო. უპირველესად, ეს არის ერთ-ერთი უძველესი ჰაემეტობის პერიოდის ტექსტი. საკითხავის ლ. 19:35 მუხლში 63r-ზე ნათლად იკითხება ზმნის ჰაემეტი ფორმა **დააჰხეს**:

და მოიყვანეს იგი იესუსა და **დააჰხეს** მას ზედა სამოსელი მათი Ls.

პარიზის ლექციონარში, ოთხთავის პროტოვულგატისეული და გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციების (აქ ადიშის ოთხთავში ლუკას სახარება პროტოვულგატისეული რედაქციის ჩანართია და იგი ცალკე რედაქციად არ დგას) ხელნაწერებში გვაქვს ზმნა **დაასხეს**:

და მოჰგუარეს კიცუ იგი იესუს და **დაასხეს** სამოსელი კიცუსა მას ზედა Lp, ოთხთავებში: და მოჰგუარეს იგი იესუს და **დაასხეს** სამოსელი კიცუსა მას CA<sup>d</sup>OD-ERPsBTbLAFmGihvScwaaVonNQHIKqfyZd<sup>1</sup>

<sup>1</sup> ოთხთავის ხელნაწერების ლიტერები იხ. დ. თვალთვადის სტატიაში, რომელიც ამავე კრებულში იბეჭდება.

კალის ლექციონარში ეს მუხლი ასე იკითხება: და მოჰგუარეს იგი იესუს და **გარდასდევს** სამოსელი მათი კიცუსა მას Lk.

არ არის გამორიცხული, რომ კალის ლექციონარში აისახა ნარევი რედაქციის ვარიანტული ნაკითხვა. Lk-ში დაცული ეს საკითხავიც თავისთავად საინტერესოა რედაქციული თვალსაზრისით. ლექციონარებში ხშირად გვხვდება ოთხთავის ერთი და იგივე საკითხავები, რომლებიც ადიშური და პროტოგულგატური რედაქციების ტექსტს შეიცავს და მესამე, ამ ორი რედაქციის შეჯერების შედეგად მიღებული ნარევი რედაქციის ტექსტები, რაც ხანმეტობის პერიოდშიც დასტურდება (სარჯველაძე 2009:215-228; ნარევი რედაქციის შესახებ: სარჯველაძე, თვალთვადე 2011:99-118; სარჯველაძე 2012 :168-170).

ჰაემეტობის კვალი სინის მთაზე დაცულ ოთხთავებში არახალია. ზ. სარჯველაძემ აღწერა სინის მთაზე დაცულ ოთხთავებში (O/Sin-15, ეზრა ქობულენისძისა და იოანე ზოსიმეს მიერ 978 წ. გადანერილი და O/Sin-30-38, იოანე ზოსიმეს მიერ 979 წ. გადანერილი) შემორჩენილი ჰაემეტი ფორმები (სარჯველაძე 2001:100-102). ლექციონარების ოთხთავის საკითხავების კვლევისას მეც შევნიშნე რამდენიმე ჰაემეტი ფორმა იოანეს სახარების საკითხავებში, მაგ.: O/Sin-63 ოთხთავის საკითხავთა შემცველ ლექციონარში (Lz, X ს.):

ი. 11:22. და ანცა უწყი, რაჲ **ჰთხოვო** ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან. Lz;

ი. 14:27 ... არა ვითარ სოფელმან **მოჰცის**, მიგცემ თქუენ... Lz

გრაცის 1 ფურცლიან X საუკუნის ლექციონარში (Lg): ი. 15:16. ... და ნაყოფი თქუენი იყოს საგვე, რაჲთა, რაჲ-იგი **ჰთხოოთ** მამასა ჩემსა სახელითა ჩემითა, მოგცეს თქუენ. Lg.

სინის ლექციონარის ლ.19:29-40 საკითხავის სახარებისეული ტექსტი მეტად საინტერესოა რედაქციულად. მასში გვხვდება ვარიანტული ნაკითხვები, რომლებიც არ დასტურდება დღემდე ცნობილ ოთხთავის არცერთ ხელნაწერში და არც ლექციონარის საკითხავებში.

სინის ლექციონარში ლ. 19:36 მუხლი ასეა წარმოდგენილი:

**და ვითარცა მოვიდოდა იესუ, სამოსელსა მათსა დაუფენდეს გზასა ზედა და ბაიასა რტოთაგან ხეთასა დაუფენდეს. Ls.**

ეს მუხლი ოთხთავის პროტოგულგატისეული და გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ხელნაწერებში ამგვარად იკითხება:

და ვითარ შევიდოდა იგი, დაუფენდეს სამოსელსა მათსა გზასა ზედა. CA<sup>d</sup>DERPsBTLAFmGihvSc aaVonNQHIKqfyZd.

გამონაკლისს წარმოადგენს ოპიზის ოთხთავი (O), სადაც დაზუსტებულია, რომ იესო იერუსალიმში შედიოდა:

და ვითარ შევიდოდა იგი იერუსალჴმდ, უფენდეს სამოსელსა მათსა გზასა ზედა. O

კალის და პარიზის ლექციონარებში მუხლი ამგვარად იკითხება:

და ვითარცა მოვიდოდა იგი, სამოსელსა მათსა დაუფენდეს გზასა ზედა. Lk

და ვითარ მივიდოდა იგი, დაუფენდეს გზასა ზედა სამოსელსა მათსა. Lp

როგორც ვხედავთ, სამივე ლექციონარის 19:36 მუხლის ტექსტი ერთნაირად იწყება და სხვაობს ოთხთავში დადასტურებული იკითხვისისგან: და ვითარცა/ვითარ მოვიდოდა, შდრ: და ვითარ შევიდოდა. შემდეგ დაზუსტებულია მხოლოდ სი-



ნის ლექციონარში, რომ იესუ მოდიოდა, ხოლო კალის და პარიზის ლექციონარებში ამ ადგილას ნაცვალსახელი „იგი“ გვხვდება, როგორც ეს ოთხთავის ხელნაწერებშია. მუხლის მეორე ნაწილი მცირე ვარიანტული სხვაობით (სიტყვათა გადასმა) ერთნაირია ლექციონარებსა და ოთხთავებში. მუხლის ბოლოს ვხედავთ სინის ლექციონარში დამატებას, რომელიც არ გვხვდება არცერთ სხვა ხელნაწერში: **და ბაიასა რტოთაგან ხეთასა დაუფენდეს**. Ls. ეს დამატება არ დასტურდება არც ოთხთავის ძველ ბერძნულ ხელნაწერებში. სინის ლექციონარში მუხლის გავრცობა ემყარება პასაჟის (პასექის დღესასწაულზე იესოს იერუსალიმში შესვლა) პარალელურ ადგილებს სხვა სამი სახარებიდან. ლუკას სახარების ამ პასაჟის პარალელურ მათეს სახარების 21:8 მუხლში საუბარია ხის რტოების მოკაფვასა და მათ დაფენაზე იესოს წინ, რომელიც ვირის კიცვზე შემჯდარი შედის იერუსალიმში:

ხოლო უმრავლესი იგი ერი დაუფენდეს სამოსელსა მათსა გზასა ზედა, და სხუანი მოჰკაფდეს **რტოებსა ხეთაგან** და დაუფენდეს გზასა ზედა.

მარკოზის სახარების პარალელურ პასაჟშიც (მრკ. 11:8 მუხლში) არ არის დაზუსტებული, თუ რა მცენარის რტოებს უფენდნენ წინ იესოს:

და მრავალნი სამოსელსა მათსა დაუფენდეს გზასა ზედა, და სხუანი მოჰკაფდეს **რტოთა ხეთაგან** და დაუფენდეს გზასა ზედა.

მხოლოდ იოანეს სახარების პარალელურ მუხლში ვხვდებით მცენარის სახელწოდებას, რომელიც აიღეს და მიეგებნენ იესოს, ეს არის ფინიკის პალმის რტოები.

ი. 12:13: ადიშის ოთხთავი: აღიღეს რტოები **ფანაკისა** და განვიდეს წინამიგებებად მისა: ლაღადებდეს და იტყოდეს: ზსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა და მეუფე ისრაჴლისა!

ი. 12:13: პროტოვულგატისეული: და მოიღეს რტოე **დანაკისკუდთაგან** და განვიდეს მიგებებად მისა, და ლაღადებდეს და იტყოდეს: ზსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა და მეუფე ისრაჴლისა!

A<sup>d</sup>ODERPBTLAFmGihSew და მოიღეს რტოე დანაკისკუდთაგან A<sup>d</sup>ODERPBTmih ზსანა! ODETlAFmGihSc

მოიღეს რტოები დანაკისკუდთაგან LAFGScw ზსანა მაღალთა შინა! A<sup>d</sup>RPB

Pr: 13. და<sup>1</sup>-A<sup>d</sup>LAFmGScw. რტოები FGScw. დანაკისკუდისაგან O, დანაკისკოდთაგან F, დანაკისკოდთაგან R. და<sup>2</sup>-t. ~ მისა მიგებებად A<sup>d</sup>. მისსა h. და<sup>3</sup>- A<sup>d</sup>DBFm. ლაღადებ c#. ოსანა mSw, ზსანა h. არს T\*] -T#. სახელითა ღმრთისათა T\*]სახელი.. T#. ო მსათა A<sup>d</sup>. და<sup>5</sup>- A<sup>d</sup>OBTmiw. მეუფე A<sup>d</sup>DTAGhS, მეუფე w.

ი. 12:13 გიორგისეული: მოიღეს რტოები დანაკისკუდთაგან და განვიდეს მიგებებად მისა, ლაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, მეუფე ისრაჴლისა! aaVnNQHIKfd

13. მიგებებად - K. მისსა aK. ზსანა V. მეუფე NHIKf, მჭე d. ისრაელისა a.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, მათეს და მარკოზის სახარებებში არ არის დაზუსტებული, თუ რომელი მცენარის რტოებს უფენდნენ გზად წინ იესოს, ხოლო იოანეს სახარებაში კი ზუსტდება: ფანაკის რტოებს (ადიში) და დანაკისკუდის რტოებს (პროტოვულგატისეული, გიორგი მთაწმინდლის რედაქციები). მცენარეთა ეს სახელები: ფანაკი, იგივე ფინიკი და დანაკისკუდი, ძველ

ქართულ ენაში ფინიკის პალმას აღნიშნავდა. სულხან-საბა: დანაკისკუდი (ხე) – ფინიკი, ხურმა (სულხან-საბა 1991:195). ილ. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში დანაკისკუდი-ი განიმარტება, როგორც „ფინიკი“, ხოლო ფინიკი-ი, როგორც „დანაკისკუდი“; ფინიკი-ი – „ფინიკებიანი ადგილი“ (აბულაძე 1973 :119; 445). სულხან-საბა ფინიკ-ს ასე განმარტავს: (ხე) ბერძულია, ქართულად დანაკისკუდი და ვალანოს ჰქვია (სულხან-საბა 1991). რაც შეეხება ვალანოს-ს, ის ოთხთავში არ დასტურდება, მაგრამ უხვად გვხვდება ძველი ალექსის წიგნების პეტრიწონული სკოლის თარგმანებში. ლუკას სახარების 19:36 მუხლის სინის ლექციონარის საკითხავში კი გვხვდება ფინიკის პალმის აღმნიშვნელი კიდევ ერთი ტერმინი, რომელიც არ გვხვდება ოთხთავის არც ერთ ხელნაწერში - **ბაია: და ბაიასა რტოთავან ხეთასა დაუფენდეს.**

**ბაია** ფინიკის პალმის ფოთლების მნიშვნელობით ძველი ქართული ენის ძეგლებსა და ძველი ქართული ენის ლექსიკონებში გვხვდება. ბაიას სულხან-საბა ორბელიანი განმარტავდა, როგორც დანაკისკუდის, ფინიკის ფოთოლს: ბაია ფურცელია დანაკისკუდისა; ესე არს ფურცელი დანაკისკუდისა; ბაია არს ფოთოლი დანაკისკუდისა, ფინიკის ფოთოლი (სულხან-საბა, 1991:91). ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში ბაია განმარტებულია, როგორც palma Palmulus, „ფინიკი“; ბაიოანი-ი, ბაჟოანი-ი „ფინიკოვანი ადგილი“ (აბულაძე 1973:28). ზურაბ სარჯველაძეც თავის ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში ბაია-სთვის „ფინიკის“ მნიშვნელობას გვთავაზობს; ბაიოანი-ისთვის „ფინიკოვანს“ (სარჯველაძე 2001(1):22).

მ. ივანიშვილი მართებულად უკავშირებს ქართულ ბაიას ძველ ბერძნულ βἄιον-ს (ივანიშვილი 2014:24). ეს არის ბერძნულიდან ნასესხობა ფინიკის პალმის ფოთლებისა თუ რტოებისათვის.

ძველი ბერძნული βἄια (ბაია) რტოებს ნიშნავს და ის მხოლოდ ერთგზის გვხვდება ახალ აღთქმაში, ჩვენ მიერ მოხმობილ იოანეს სახარების 12:13 მუხლში. ამდენად, აქ βἄια τῶν φοινίκων ფინიკის პალმის რტოებს ნიშნავს.

სემანტიკურ ველებზე დაფუძნებულ ახალი ალექსის ბერძნულ-ინგლისურ ლექსიკონში ი. პ. ლოუ და ე. ა. ნაიდა βἄιον-ს ამგვარად განმარტავენ: φοῖνιξ<sup>b</sup> ან φοῖνιξ, პალმის რტო. შემდეგ მოაქვთ იოანეს სახარების 12:13 მუხლი βἄιον: ἔλαβον τὰ βἄια τῶν φοινίκων „მათ აიღეს პალმის რტოები“ და იოანეს გამოცხადების 7:9 მუხლი φοῖνιξ<sup>b</sup>-ისათვის: ὄχλος πολλὸς ... ἔστῳτες ... φοινικες ἐν ταῖς χερσὶν αὐτῶν მრავალი ერი ... იდგა იქ ... ფინიკის პალმის რტოები ეჭირათ ხელში. βἄιον არის ტექნიკური ტერმინი, რომელიც „ფინიკის რტოებს“ ნიშნავს და ი. 12:13 მუხლში τῶν φοινίκων „ფინიკის პალმის ხეები“ ზედმეტად არის დამატებული, რადგანაც ტერმინი βἄιον, შესაძლოა, არ იყო ფართოდ ცნობილი მკითხველთათვის. კონტექსტებში, სადაც φοῖνιξ<sup>a</sup> (ი. 12:13) და φοῖνιξ<sup>b</sup> (გამოცხ. 7:9) გვხვდება ახალ აღთქმაში, მნიშვნელოვანია, რომ „ტოტისათვის“ ადეკვატური (დამაკმაყოფილებელი) ტერმინი შეირჩეს, რადგანაც ზოგიერთ ენაში ფინიკის პალმის ტოტებსა, რომელთაც ხშირად „ფოთლებს“ (ტექნიკურად ისინი ასეთად გვევლინებიან კიდევ) უწოდებენ და სხვა უმრავლეს ხეთა ტოტებს (ხშირად იდიომატურად მათ „ხეთა მკლავებს“) შორის არსებობს მნიშვნელოვანი ენობრივი სხვაობა (Louw & Nida 1989 : 35).

ვ. ბაუერი βἱ ἰov-ს განმარტავს, როგორც „ფინიკის პალმის ტოტებს“ და იქვე უთითებს, რომ სიტყვა კოპტურია, “bai”-დან მომდინარეობს. „მიუხედავად იმისა, რომ ი. 12:13 მუხლში τὰ βἱαῖα-ს τῶν φοινίκων რეალურად არც უნდა ემატებოდეს, მაგრამ ის დასტურდება ნაფთალის აღთქმასა და I საუკუნის ახალი აღთქმის ბერძნულ პაპირუსშიც“ (Bauer, Dunker 2000:162).

მ. ივანიშვილს მოჰყავს ჰ. ფრისკის ბერძნული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონიდან φοῖνῖξ-ის, βἱαῖ-ის და βἱαῖν-ს განმარტებები: „φοῖνῖξ განმარტებულია, როგორც პალმა, ფინიკის პალმა, ფინიკი; βἱαῖξ - პალმის ფოთოლი, βἱαῖν - პალმის ტოტი, შვაციერის მიხედვით მოდის კოპტურიდან. ჰ. გ. ლიდელისა და რ. სკოტის ბერძნულ-ინგლისურის ლექსიკონის მიხედვით φοῖνῖξ - ფინიკის პალმა, βἱαῖξ, βἱαῖν - პალმის ფოთოლი. როგორც ჩანს, ბერძნული βἱαῖov-ის გავლენით, რომელიც „ფინიკის რტოს, ფოთოლს“ აღნიშნავდა, ბზობის დღესასწაულს ზანურში დაერქვა ბაია-ჟამბა, ბაიობა, სვანურში კი - ბაა“. (ივანიშვილი 2014 : 24).

Κυριακή των βἱαῖων ეწოდება დღესაც ბზობის კვირას ბერძნულად.

როგორც ცნობილია, უძველი ქართული ლიტურგიკული პრაქტიკა იერუსალიმური წესისაა (კეკელიძე 1980: 574-5). იერუსალიმურ წესზე იყო განწყობილი ჟამისწირვაც, ლექციონარებიც. იერუსალიმსა და პალესტინაში ფინიკის პალმა უხვად იზრდება და ბზობის დღესასწაულისათვის სწორედ მას გამოიყენებდნენ სიმბოლურად, იესოსათვის პასექის დღესასწაულზე პატივის მიგების ანალოგიით, ღვთისმსახურების დროს.

მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართულ ლექციონარებში ბზობა ეწოდება დღესასწაულს, ბზობის საკითხავების წინ ლიტურგიის აღწერისას სამივე ლექციონარში, სადაც ლ. 19-38 საკითხავი დასტურდება, მაინც ვხვდებით ფინიკისა და დანაკისკუდის ნაცვლად ტერმინს ბაია. სწორედ ბაიას რტოები უნდა დაეწყოს ბზობის წინა საღამოს საკურთხეველზე პარიზის ლექციონარის მიხედვით; ბაიას რტოები უნდა ეკურთხებინათ და ლიტანიობად გასულიყვნენ სინის ლექციონარის მიხედვით და მესამე ჟამისას ბაიას რტოები უნდა აეღოთ და დაეწყოს საკურთხეველის საფეხურთან, საკმეველი ჯვრის ფორმით ეკმიათ და ლოცვის შემდგომ მღვდელს უნდა ეკურთხა და ერისათვის გაეყო.

სინის ლექციონარში ბზობის საკითხავებს უძღვის: დღესა ბზობასა სამ ჟამსა კრებაჲ სიონს: შეკრბენ წ(ინამ)ე საკურთხეველსა და ყონ კ(ოვე)რ(ე)ქსი და ლ(ო)-ც(ვა)ჲ და თქ(ოვ)ან ფ(სალმუ)ნი ვ(მა)ჲ Ⴖ: მთანი იხარებდენ წ(ინამ)ე ო(ვფ)ლისა, რ(ამეთუ). დ(ა)ს(დე)ბ(ე)ლი: ო(ვგ(ალო)ბ(დი)თ ო(ვფალს)ა გ(ა)ლ(ო)ბ(ა)თა ახ(ა)ლ-თა, რ(ამეთუ) საკ: და იკითხონ სახ(ა)რებ(ა)ჲ: **ბაიაჲ** აკურთხონ და განვიდენ ლიტანიობად: პირველ ს(ა)ხ(ა)რ(ე)ბ(ა)ჲ იოვ(ა)ნეს თ(ა)ვ(ი)ს(ა)ჲ (ი. 12:12-23 62r-63r) 62r. და ყონ კ(ოვე)რ(ე)ქსი და ლ(ო)ც(ვა)ჲ და წარვიდენ მიერ მთით წმ(ი)დით გალ(ო)ბით გესმნიად და თქ(ოვ)ან იბ(ა)კ(ო)ჲ დიდი მთანი იხ(არე)ბენი; ფ(-სალმოვ)ნი: მთანი იხარებენ წ(ინამ)ე ო(ვფლ)ისა დ(ა)ს(დე)ბ(ე)ლი ოვგ(ალო)ბ(დე)თ ო(ვფალს)ა გ(ა)ლ(ო)ბ(ა)თ(ა) ახ(ა)ლთა რ(ამეთუ) სა: Ⴖ ს(ა)ხ(ა)რებ(ა)ჲ ლ(ოვ)კ(ა)ჲს თ(ა)ვისაჲ: (ლ. 19:29-40) 63r-v. Ls.ამის შემდეგ ხელნაწერში ლუკას სახარების საკითხავია მოთავსებული 63v-64v-ზე. Ls.

კალის ლექციონარში ბზობის საკითხავებს ამგვარი ტექსტი უძღვის წინ: დღესა ბზობასა სამ ჟამითგ(ან) შევიდენ წმიდასა ეკლესიასა და ფ(სალმოვ)ნნი წ(ა)რთქოვნ(ენ) და მოიღონ რტოჲ და დადვან აღსავალსა ს(ა)კ(ოვ)რთხ(ე)ვ(ე)ლი-

სასა და დააკოვმეონ საკოვმეველი ჯოჯარის სახედ. და ს(ა)ნთელი აღ(ა)ნთონ, ყონ კოვერექსი და ლ(ო)ც(ვა)ჲ და თქ(ო)ჯან ესე ფ(სალოკ)ნი: წ(მა)ჲ ჳნი: კოვრთხელ არს, რ(ომელი) მოვალს სახელითა ო(კფლისა)თა გ(ა)კ(ო)ვრთხენ თქოვენ სახ. დ(ასდე)ბ(ელი): ლ(მერ)თი ო(კფა)ლი და გამოჴნდა. და მლ(დელმა)ნ აკოვრთხოს **ბაიაჲ** და შ(ე)მდგ(ო)მ(ა)დ კ(ო)ვრთხ(ე)ვისა მლ(დელმა)ნ განოჴყოს ერსა რტოჲ და ეტყოდინ: ფ(სალოკ)ნსა ამას: მთანი იხარებენ წ(ინამ)ე ო(კფლ)ისა გ(ა)ლ(ო)-ბითა ა. და იკითხ(ონ) ს(ა)ხ(არ)ებ(ა)ჲ იოვ(ა)ნწს თ(ავისა)ჲ: (ი. 12:12-23) 59r. ამისა შემდგომად აიღონ ესე იბ(ა)კ(ო)ჲ: მხიაროვლ იყავ ასოვლი ეგე. და ყონ კ(ო)ვერექსი და ლ(ო)ც(ვა)ჲ და მოვიდენ გესამანიად და თქოჯან იბ(ა)კ(ო)ჲ დიდი მთანი იხარენი, რ(ომელი)ცა იცოდე და თქ(ო)ჯან ფ(სალოკ)ნი იგივე და იკითხონ ს(ა)ხ(არ)ებ(ა)ჲ ლ(ო)კ(ა)ჲს თ(ავისა)ჲ. (ლ. 19:29-38) 59ვ. Lk.

პარიზის ლექციონარი: დღესა ბზობასა ვ ჟამს... და ჰრეკონ ჟ(ა)მსა და შეკრბენ ეკლესიად. და **ბაიაჲ** მწუხრითგანვე იდვას საკურთხეველსა ზედა და ყონ კ(უერე)ქსი და ლოცვაჲ და თქუან დიდი იპაკოჲ: მთანი იხარებენთაგანი. და მერმე ლოცვა-ყონ და თქუან ფ(სალოკ)ნი წამა ა: მთანი იხ(არ)ებენ. დ(ა)ს(დე)ბ(ელი): ო(კ)-გ(ა)ლობდით ო(კფალს)ა გა. და აკურთხონ **ბაიაჲ**. მოსდევს საკითხავი იოანეს სახარებიდან: ს(ა)ხ(არ)ებ(ა)ჲ იოვ(ა)ნწს თ(ავისა)ჲ. (ი. 12:12-22 156v-157r) 156v Lp.

რადგანაც არცერთი პალმის ჯიში საქართველოში არ ხარობდა, მათ შორის არც ფინიკის პალმის, იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე იესოს შესვლის ყოველწლიურ დღესასწაულზე ჩვენში ფინიკის პალმის რტოები ბზის რტოებით ნაცვლდებოდა და დღესაც ისინი გამოიყენება აღდგომის წინა კვირის დღესასწაულზე – ბზობაზე. ბზობა, როგორც ტერმინი ძველათაგანვე იყო დამკვიდრებული, მაგრამ არსებობდა თუ არა სხვა ტერმინი მისთვის?

ილია აბულაძეს თავის ძველი ქართული ენის ლექსიკონში ტერმინთან ბაია მოჴყავს მაგალითები მამათა ცხოვრებათაგან, საიდანაც ერთ-ერთი სხვა მნიშვნელობისაა და ის არა მცენარეს, არამედ ბზობის დღესასწაულს აღნიშნავს: ჟამსა **ბაიაჲსასა** სცვიდეს ნაყოფსა მას ხეთასა, მ. ცხ. 296v (აბულაძე 1973:28). ზურაბ სარჯველაძე ბაიაობა-ს განმარტავს, როგორც „ფინიკობის დღესასწაულს“ (სარჯველაძე 2001(1):22). ზურაბ სარჯველაძეს ტერმინისათვის ბაიობა-ჲ თავის ძველი ქართული ენის დოკუმენტირებულ ლექსიკონში მოჴყავს მაგალითი, რომელიც აგრეთვე ბზობის დღესასწაულს უნდა აღნიშნავდეს: აქავე ითქუმოდა ყოფაჲ საკურველისაცა ევთემისი და ზიარებაჲ მათდა საღმრთოთა საიდუმლოთა თითოეულსა კურიაკესა ვიდრე მონევენადმდე **ბაიაობისა**, მეტაფრ. 460,4-6. (სარჯველაძე 2018).<sup>1</sup>

ბაიობა, როგორც ბზობის დღესასწაულის აღმნიშვნელი ტერმინი, დასტურდება ქართველურ ენებშიც: ბზობა - ბაჲ (ნიჟარაძე 2007:45); ბაჲ ბზიფურსა და ლაშხურ დიალექტებში ბზობას ნიშნავს (თოფურია, ქალდანი 2000 : 146); ბაია (ბაიას) აია რე, ბაია რე, ბაიაშ ნორი თანაფა რე - აიაა, ბაიაა, ბაიას სწორი აღდგომაა; ბაია-ჟემსა დიდმარხვის მეექვსე კვირა (ი. ყიფშ.) (ქაჯაია 2001 : 214); ბაიობა - ბზობა (ჭარაია 1997 : 38).

<sup>1</sup> სამწუხაროდ, კრაკოვში, პოლონეთში დაბეჭდილი ზურაბ სარჯველაძის ეს ნაშრომი ჯერაც არ არის ტრანსპორტირებული საქართველომდე და არ არის ხელმისაწვდომი სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

დროთა განმავლობაში, რადგანაც ფინიკის პალმის რტოებთან ვერ ასოცირდებოდა, ტერმინმა ბაიამ დაკარგა თავისი პირველადი მნიშვნელობა. როგორც ჩანს, ქართველურ ენებში (შესაძლოა, ძველი მნიშვნელობიდან დამოუკიდებლად, ომონიმი იყო) ბაია, ბაიე, აღნიშნავდა მცირე ყვითელყვავილებიან ბალახოვან მცენარეს, რომელიც გაზაფხულზე ყვავის. მასალა ქართველურ ენათა ლექსიკონებიდან, სადაც ბაია ბალახოვანი მცენარის მნიშვნელობით არის დადასტურებული, იხ. მარინე ივანიშვილის ნაშრომში: მცენარეთა სახელები ქართულ ოთხთავში“ (ივანიშვილი 2014 : 22-23).

ამრიგად, სინის ლექციონარში დაცული ლუკას სახარების საკითხავი მრავალმხრივია საინტერესო. ის ჰაემეტობის პერიოდისაა. საკითხავის ტექსტის ლ. 19:36 მუხლი გავრცობილია და შეიცავს ტერმინს **ბაია**, რომელიც სხვა არცერთ ოთხთავისა თუ ლექციონარის ხელნაწერში არ გვხვდება. ის ძველ ქართულ ენაში აღნიშნავდა ფინიკის პალმის რტოებს. ტერმინი „**ბაიაობა**“ „**ბზობის**“ პარალელურად ძველ ქართულ ენაში აღნიშნავდა ბზობის დღესასწაულს. „**ბაიაობა**“, „**ბზობის**“ მნიშვნელობით გვხვდება ქართველურ ენებში. ამ ენებში ის მოხვედრილი უნდა იყოს ძველი ქართული ენიდან.

მოვიტანთ ლუკას 19:29-40 მუხლების საკითხავს სინის (Ls), კალის (Lk) და პარიზის (Lp) ლექციონარებიდან სრულად:

საკითხავი სინის ლექციონარიდან: ლ. 19:29-40 63v-64v. □**წ** ს(ა)ნ(ა)რებ(ა)ღ ლ(ოჲ)კ(ა)ღს თ(ა)ვისაღ: Ls

საკითხავი კალის ლექციონარიდან: ლ. 19:29-38 59გ, ს(ა)ნ(ა)რ(ა)ბ(ა)ღ □ ლ(ოჲ)კ(ა)ღს თ(ა)ვის(ა)ღ : Lk; (Lp – 157r)

29. და იყო, ვითარცა მიეახლნა იესუ ბეთბაგედ და ბეთანიად, მთასა მას, რომელსა ჰრქვან ზეთისხილთაღ, წარავლინნა ორნი მოწაფეთა მისთაგანნი. Ls

და იყო, ვითარცა მიეახლნეს იგინი ბეთბაგედ და ბეთანიად, მთასა მას, რომელსა ჰრქვან ზეთისხილთაღ, წარავლინნა ორნი მოწაფეთა მისთაგანნი. Lk Lp

30. და ჰრქუა მათ: მივედით დაბასა მაგას, რომელი არს წინაშე ჩუენსა, და ჰპოოთ მუნ კიცვ დაბმული, რომელსა კაცი არა დაჯდომილ არს; აჰსენით იგი და მომგუარეთ მე. Ls

და ჰრქუა მათ: წარვედით წინაშე დაბასა მაგას, და ჰპოოთ კიცვ დაბმული, რომელსა კაცი არა დაჯდომილ არს მას ზედა; აჰსენით იგი და მომგუარეთ მე. Lk

და ჰრქუა მათ: წარვედით წინაშე დაბასა მაგას, რომელსა შეხუალთ და ჰპოოთ კიცვ დაბმული, რომელსა კაცი არღავინ დაჯდომილ იყოს; აჰსენით იგი და მომგუარეთ მე. Lp

31. და უკუეთუ ვინმე გკითხვიდეს, ვითარმედ: რად აჰსენით კიცუსა მაგას? თქუენ არქუთ მას, ვითარმედ: უფალსა უწმან ეგე. Ls

და უკუეთუ ვინმე გკითხოს: რაღსა აჰსენით? მას ესრე არქუთ, ვითარმედ: უფალსა უწმს ეგე. Lk

და უკუეთუ ვინმე გკითხვიდეს, ვითარმედ: რაღსა აჰსენით? ესრე არქუთ, ვითარმედ: უფალსა უწმს ეგე. Lp



32. და მივიდეს მონაფენი იგი და პოვნეს ეგრე, ვითარცა-იგი ჰრქუა მათ იესუ. Ls  
და წარვიდეს, რომელნი-იგი მიავლინნა, და პოვეს ეგრე, ვითარცა-იგი ჰრქუა მათ. Lk

და ვითარცა წარვიდეს იგინი რომელნი მიმიავლინნა, პოვეს ეგრე, ვითარცა ჰრქუა მათ. Lp

33. და ვითარ აჰჰსნიდეს იგინი კიცუსა მას, ჰრქუეს უფალთა მათთა: რაესათეს აჰჰსნით კიცუსა მაგას? Ls

და აჰჰსნიდეს იგი და ჰრქუეს უფალთა მისთა: რაესათეს აჰჰსნით კიცუსა მაგას? Lk

და ა-რა-ა-ჰჰსნიდეს იგინი კიცუსა მას, ჰრქუეს უფალთა მისთა: რაესა აჰჰსნით კიცუსა მაგას? Lp

34. ხოლო მათ ჰრქუეს, ვითარმედ: უფალსა უჰმან ეგე. Ls

ხოლო მათ ჰრქუეს, ვითარმედ: უფალსა უჰმს ეგე. Lk Lp

35. და მოჰგუარეს იგი იესუს და გარდასდვეს სამოსელი მათი კიცუსა მას და აღსუეს მას ზედა იესუ. Lk

და მოიყვანეს იგი იესუსა და დააჰხეს მას ზედა სამოსელი მათი და დაჯდა იესუ მას ზედა. Ls

და მოჰგუარეს კიცვი იგი იესუს და დაასხეს სამოსელი კიცუსა მას ზედა და დასუეს მას ზედა იესუ. Lp

36. და ვითარცა მოვიდოდა იესუ, სამოსელსა მათსა დაუფენდეს გზასა ზედა და ბაიასა რტოთაგან ხეთასა დაუფენდეს. Ls

და ვითარცა მოვიდოდა იგი, სამოსელსა მათსა დაუფენდეს გზასა ზედა. Lk

და ვითარ მივიდოდა იგი, დაუფენდეს გზასა ზედა სამოსელსა მათსა. Lp

37. და ვითარცა მიიწია იესუ შთასავალსა მას მთისა მის ზეთისხილთასა, იწყო ყოველმან მან სიმრავლემან მონაფეთამან სიხარულით ქებად ღმრთისა ჴმითა დიდითა ყოველთა მათ ყოფილთა ძალთათეს, რომელნი იხილენეს. Ls

და ვითარცა მიეახლნეს იგინი შთასავალსა მას მთისა მის ზეთისხილთასა, იწყო სიმრავლემან მონაფეთამან სიხარულით ქებად ღმრთისა ჴმითა დიდითა ყოველთა მათთეს, რომელნი იხილნეს ძალნი. Lk

და ვითარცა მიიწია იგი შესავალსა მას მთისა ზეთისხილთასა, იწყო ყოველმან სიმრავლემან მონაფეთამან სიხარულით ქებად მისა ჴმითა დიდითა ყოველთა მათთეს ძალთა, რომელნი იხილნეს. Lp

38. და იტყოდეს:ჰსანა, კურთხეულ არს, რომელი მოვალს მეუფჴ სახელითა უფლისაათა! მჴუდობაჲ ცათა ზედა და დიდებაჲ მაღალთა შინა! Ls

და იტყოდეს: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაათა! მჴუდობაჲ ცათა შინა და დიდებაჲ მაღალთა შინა! Lk

და იტყოდეს: კურთხეულ არს მომავალი მეუფჴ სახელითა უფლისაათა! მჴუდობაჲ ცათა შინა და დიდებაჲ მაღალთა ზედა! Lp

39. და ფარისეველნი ვინმე ერისაგანნი ეტყოდეს მას და ჰრქუეს: მოძღუარ, შეჴრისხენ მონაფეთა შენთა! Ls

40. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: გეტყვ თქუენ: დაღათუ ესენი დუმნენ, ქვანი ღაღადებდენვე. Ls

## ლიტერატურა:

- აბულაძე 1973** – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1973.
- თოფურია, ქალდანი 2000** – ვარლამ თოფურია, მაქსიმე ქალდანი, სვანური ლექსიკონი, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი, 2000.
- ივანიშვილი 2014** – მარინე ივანიშვილი, მცენარეთა სახელები ქართულ ოთხთავში, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2014.
- კეკელიძე 1980** – კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1980.
- ნიჟარაძე 2007** – ბესარიონ ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, ბალსზე-მოური დიალექტი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ლელა ნიჟარაძემ, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2007.
- სარჯველაძე 2001** – ზურაბ სარჯველაძე, ხანმეტობისა და ჰაემეტობის გადმონაშთები ზოგ ძველ ქართულ წერილობით ძეგლში, ენათმეცნიერების საკითხები, 3, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 2001.
- სარჯველაძე 2001(1)** – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი, 2001.
- სარჯველაძე 2009** – სოფიო სარჯველაძე, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ორი ხანმეტი პალიმფსესტური ფრაგმენტის შესახებ, ენათმეცნიერების საკითხები, 1-2, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 2009, გვ. 215-228.
- სარჯველაძე 2012** – Sophio Sarjveladze, The Problem of Establishing the Recensions of the Georgian Version of the Gospels: Textual Research on the Psalms and Gospels, Papers from the Tbilisi Colloquium on the Editing and History of Biblical Manuscripts 19-20 September 2007, edited by Christian-B. Amphoux and J. Keith Elliott with Bernard Outtier, Supplements to Novum Testamentum, 142, Brill, Leiden. Boston.
- სარჯველაძე, თვალთვაძე 2011** – სოფიო სარჯველაძე, დარეჯან თვალთვაძე, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ტვიზერის ოთხთავის ხელნაწერი, Folia 184 Caucasia, იოსტ გიპერტის 55 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, ფრანკფურტი მაინზე-თბილისი.
- სარჯველაძე 2018** – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის დოკუმენტირებული ლექსიკონი, კრაკოვი, 2018.
- სულხან-საბა 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, „მერანი“, თბილისი, 1991.
- ქართული... 1997** – ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები) I ტ., ნაწ. II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კორნელი დანელიამ, სტეფანე ჩხენკელმა და ბედისა შავიშვილმა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კორნელი დანელიამ, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 1997.
- ქაჯაია 2001** – ოთარ ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2001.
- ჭარაია 1997** – პეტრე ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა დარეჯან თვალთვაძემ, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1997.
- Bauer, Dunker 2000** – Bauer W. Dunker F. W. A Greek-English Lexicon of the New Testament and Other Early Christian Literature, 3<sup>rd</sup> edition, revised and edited by Frederick William Danker, based on Walter Bauer's Griechisch-deutsches Wörterbuch zu den Schriften des Neuen

Testaments und der frühchristlichen Literatur, 6<sup>th</sup> edition, The University of Chicago Press, Chicago and London, 2000.

**Louw & Nida 1989** – Johannes P. Louw and Eugene A. Nida, Greek-English Lexicon of the New Testament Based on Semantic Domains, Second Edition, v. 1, United Bible Societies, New York, 1989.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) საგრანტო პროექტის FR 17-170-ის ფარგლებში.

## რამაზ ქურდაძე

### მანანა ჩიტიშვილის პოეზიის ლექსიკური თავისებურებანი<sup>1</sup>

ცნობილი ქართველი პოეტის მანანა ჩიტიშვილის შემოქმედება უაღრესად საინტერესოა როგორც თემატური მრავალფეროვნებით, მხატვრული სახეებით, მხატვრული საშუალებებით, ისე ენობრივი თვალსაზრისით. მ. ჩიტიშვილის პოეზიის ენობრივი თავისებურება პოეტის მშობლიური კუთხის, ახალგაზრდის, ქართლურისათვის დამახასიათებელი ფორმების გამოყენებაა, რაც განსაკუთრებულ ხიბლს სძენს მის ლექსებს. დიალექტურ ფონეტიკურ-გრამატიკულ ფორმებთან ერთად ყურადღებას იქცევს ლექსიკაც. მეტად საინტერესოა ქართლურ ლექსიკასთან ერთად პოეტი თავის ლექსებში მოხდენილად იყენებს ერთგვარად დავინწყებულ ლექსიკურ ერთეულებსაც და ამით მათ ახალ სიცოცხლეს აძლევს.

მანანა ჩიტიშვილის პოეზიის ლექსიკურ თავისებურებებს ეხება წინამდებარე სტატია, რაც პოეტთან თანამშრომლობით დაინერა. მასში მოგვყავს პოეტის მიერ გამოყენებული ლექსიკური ერთეულების განმარტებები შესაბამისი ლექსიკონებიდან და უმეტეს შემთხვევაში აქვე წარმოვადგენთ თვით პოეტისეულ განმარტებებს ამა თუ იმ ცალკეულ სიტყვასთან დაკავშირებით. ამ მხრივ პოეტი, როგორც წარმომადგენელი იმ დიალექტისა, რომელსაც ის იყენებს თავის ლექსებში, ერთგვარად ინფორმატორის როლშიც გამოდის, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვასხენებთ. ბუნებრივია, არც პოეტის განმარტებანი და არც ლექსიკონებიდან მოხმობილი შესაბამისი მნიშვნელობები მანანა ჩიტიშვილის ბეჭდურად გამოცემულ ლექსებს არ ახლავს და ამდენად ჩვენს სტატიაში წარმოდგენილი განმარტებანი ერთგვარ ლექსიკოლოგიურ კომენტარებად შეიძლება ჩაითვალოს, რაც ნათლად წარმოგვიდგენს ქართული სიტყვის ძალას, ხიბლსა და ღრმა მნიშვნელობებს, რითიც ასე მდიდარია მანანა ჩიტიშვილის პოეზია.

<sup>1</sup> ნაკითხულია მოხსენებად 2016 წლის 8 იანვარს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ აკადემიკოს ვარლამ თოფურისას ხსოვნისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომაზე.

მ. ჩიტიშვილის ლექსებში მრავლად გვხვდება ქართლური დიალექტური ლექსიკა, რაც დადასტურებულია ქართლური დიალექტის სალექსიკონო მასალებში. მათგან ზოგი ფორმით და მნიშვნელობით ქართლურის ლექსიკას ემთხვევა, ზოგი კი ქართლური ლექსიკისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. მაგალითად:

**ამოხეჩილი:** „ . . . ყველა ლექსი, ჭემმარიტი,

თუ გვიკლავს წყურვილს,

მხოლოდ იმიტომ,

რომ მოთქმაა და არა – მღერა,

**ამოხეჩილი** ტირილია

პოეტის სულის“ (ჩიტიშვილი 2005:304).

პოეტის განმარტებით, **ამოხეჩილი**, **ამოხეჩა** ნიშნავს: „უეცრად ძლიერ ამოტირებას ბავშვის ან დიდის. ქალზეც იტყვიან“.

სწორედ ბავშვის ტირილს აღნიშნავს ეს სიტყვა ქართლურში: „**ამოხეჩავს** დიდი ხმით დაინყებს ტირილს (ბავშვი). . .“ (ქართლ. 1981).

თუმცა, ამავე ძირიდან მომდინარე სხვა სიტყვასაც ვხვდებით პოეტის ლექსში:

„სიყვარულის ერთი ნვეთიც

საკმარისია,

რომ მარტოობით **დახეჩილმა**

პოეტის სულმა

მწვანე რტოები აიხეთქოს,

ლექსად აყვავდეს“ (ჩიტიშვილი 2005:364).

ამ შემთხვევაში ამ სიტყვას პოეტი *დაჩეხილის* მნიშვნელობით ხმარობს. საყურადღებოა, რომ ამავე მნიშვნელობით დასტურდება ეს სიტყვა კახურში: **დახეჩილი** – დაჩეხილი, დაპობილი (ქართული დიალ. 1961).

ამავე ძირის სიტყვები (*დახეჩილი*, *მოხეჩავს*, *მოხეჩვა*, *მოხეჩილი*, *ხეჩავს*, *ხეჩვა*) **დაჩეხვის** გარდა **დაპობას**, **დაჭრას**, **მოტეხას** ნიშნავს გარეკახურში (სახლთ-სუციშვილი 2003).

**დაღურბლებული:** „ის მაცოდინა, ნეტავი,

ჩემი მომკლავი ვინ არი –

ან – მოყმე, **დაღურბლებული**,

ან – გაზაფხული, მცინარი“ (ჩიტიშვილი 2005:45);

ეს სიტყვა სხვა ლექსშიც გვხვდება:

„არც ვინ მოდგება კაი ყმა,

**დაღურბლებული**, დირეზე,

უნდილნი ახალ-უხალნი

გულსგარეთ დამიტირებენ“ (ჩიტიშვილი 2005:163).

პოეტის განმარტებით, **დაღურბლებული** ყმას, მოყმეს განსაზღვრავს, **დაღურბლებული** ვაჟკაცია, **დაღურბლებული ყმა** ვაჟკაცობის სიმბოლოა: შუბლშეკრული, მონადღვლიანებული სახის ან, მკაცრი, კუმტი სახის მქონე ყმანვილია.

ეს სიტყვა **ღრუბელს** უკავშირდება, მასში მეტათეზისის შედეგად **რ** ბგერა გადაადგილებულა: **დაღურბლებული** < **დაღრუბლებული**.

საყურადღებოა, რომ **დაღრუბლებული** ნამდვილად არსებობს ქართლურში, ოღონდ, მას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, **დაბურულს** ნიშნავს. . . (ქართლ. 1981). პოეტმა კი ეს სიტყვა მეტად ოსტატურად გამოიყენა მხატვრული სახის შესაქმნელად.

**მოიაშრე:** „ეგრე, ეგრე, ქართველო ქალო, –  
შეიძულე,  
გაბოროტდი,  
გაამპარტაენდი,  
**მოიაშრე** ეგ ენა-პირი“ (ჩიტიშვილი 2005:401).

ეს სიტყვა ქართლურია. ქართლურში გვხვდება მიმღეობა: „**მოაშრებულ-ი** წრეს გადასული, ავი, ანჩხლი, კაპასი. . . “ (ქართლ. 1981). პოეტის განმარტებაც ემთხვევა სალექსიკონო მნიშვნელობას: **მოიაშრა** - გაავდა; ავსიტყვაობს, აშარია.

**სცუდაბრალობ:** „არა, ჩემო ქალო, ნუ **სცუდაბრალობ**,  
დარდით რას უშველი ამა იარებს“ (ჩიტიშვილი 2005:230).

პოეტის განმარტებით, **სცუდაბრალობ** ნიშნავს: „ამაოდ ირჯები, ამაოდ იბრალებ რალაცას“. კონკრეტულად ამ ლექსში კი – „ტყუილად ნუ იბრალებ კარგ განწყობას“.

პოეტს ზმნური ფორმა აქვს ნახმარი. მართალია, ქართლურის სალექსიკონო მასალებში ეს ლექსიკური ერთეული ზმნური ფორმით ვერ დავადასტურეთ, მაგრამ ქართლურში გვხვდება ზმნიზედა, რომელიც, ვფიქრობთ, ამ სიტყვას უკავშირდება: „**ცუდუბრალოდ** უსაქმოდ, ტყუილად. . . “ (ქართლ. 1981). ამ ლექსიკურ ერთეულებთან დაკავშირებით საყურადღებოა ძველი ქართულის მონაცემებიც, კერძოდ, ძველ ქართულში **ცუდ-ი** ცარიელს, ამაოს, ამაოებას, ფუქს, ცრუს, უქმს, უსამართლოს ნიშნავს (აბულაძე 1973).

**ჩამოფშხალული:** „გზა დარიალის ხეობაში . . .  
ორივე მხარეს  
**ჩამოფშხალული,**

დაბზარული კლდეები ჩანან“ (ჩიტიშვილი 2005:433).

პოეტის განმარტებით, ეს სიტყვა **დაშლილს, არამკვრივს** ნიშნავს.

ქართლურში ვადასტურებთ ამავე ძირის ზმნურ და სახელზმნურ ფორმებს რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობებით: „**დაიფშხალე-ა** დაიბზარება, დასკდება (ჭურჭელი, მიწა). . . “ (ქართლ. 1981); იქვე გვხვდება სიტყვა **დაფშხალულიც**, რომელსაც საინტერესო ილუსტრაცია ახლავს: „*რამე რო დაინტვრევა, ქოთანია, ქილა, მაგრამა ისევე მთელივით არი, იმას ვეტყვით დაფშხალულსა*“.

იქვე გვხვდება ასეთი ზმნაც ორი მნიშვნელობით: „**იფშხალე-ა** 1. იბზარება (ჭურჭელი, მიწა. . .). . . ; 2. ტუჩებს მანჭავს (ტირილის დროს). . . “ (ქართლ. 1981).

მანანა ჩიტიშვილის ლექსებში გვხვდება დიალექტური სიტყვები, რომლებიც, ქართლურის გარდა, ქართული ენის სხვა კილოებშიც დასტურდება. მაგალითად:

**დილაბანდზე:** „თუ **დილაბანდზე** შეირტყამ მახვილს, . . . “ (ჩიტიშვილი 2005:248);

ეს სიტყვა სხვა ლექსშიც გვხვდება:

„ბებიაჩემივით ბუზლუნებს ქარი  
და **დილაბანდზე** წამომდგარი  
შეუსვენებლად  
მთების ვეება საჩეჩელზე  
ნისლის თეთრ ფთილებს ჩეჩავს და ჩეჩავს“

(ჩიტიშვილი 2005:437).



პოეტის განმარტებით, **დილაბანდზე დილაუთენიას** ნიშნავს. დილაუთენიას ქართულ კილოებში სხვადასხვა ვარიანტის მქონე კომპოზიციები აღნიშნავენ: „**დილაბნელზე** დილით ადრე, გარიჟრაჟზე, ალიონზე. . .“ (ქართლ. 1981); შდრ.: ჯავახური: „**დილაბნელ-ი** ალიონი, გარიჟრაჟი . . .“ (ბერიძე 1981). შდრ.: გურული: „**დილაბნელს** დილით ადრე, გათენებისას“ (შარაშიძე 1938). მაგრამ პოეტის მიერ გამოყენებულ ლექსიკურ ერთეულთან, მართალია, მცირედი ფონეტიკური ცვლილებით, მაგრამ მაინც ყველაზე ახლოს დგას მოხეურში დადასტურებული სიტყვა: „**დილაბანდ-ი** რიჟრაჟი, ალიონი. . .“ (ქავთარაძე 1985:230).

#### **მარმარებს:**

ეს სიტყვა გვხვდება ლექსში, რომლის სათაურია „ლექსის წერის დროს“:

„გენადოს,  
სიტყვას ვერ მისწვდე,  
ამაოდ ჰკრავდე კამარებს,  
ნინ გედოს თეთრი ფურცელი,  
თოვლივით რომ გწვავს

#### **მარმარებს,**

დაჰმზერდე გაშტერებული,  
როგორც საკუთარ სამარეს“ (ჩიტიშვილი 2005:101).

ეს სიტყვა პოეტის სხვა ლექსშიც გვხვდება:

„ამ მიწაზე სტუმარივით არ მივლია,  
გული ცისკრად ანთია და **მარმარებს**. . .

ეს ღიმილი სიყვარულის ყვავილია,  
ცრემლი – მწარე მარტოობის სამარე“ (ჩიტიშვილი 2010:29).

პოეტი ამ სიტყვას **მარმარილოს** უკავშირებს და აღნიშნავს, რომ დიალექტიდანაა აღებული. მისივე განმარტებით, ლექსში ნახმარი **მარმარებს** ნიშნავს: „**ქათქათებს, მარმარილოსავით ქათქათებს, ბზინავს**“. პოეტი აღნიშნავს, რომ მას გაგონილი აქვს გამოთქმები: „**ეზო დაამარმარა**“, რაც ეზოს დალაგება-დასუფთავებას ნიშნავს; „**ჯამ-ჭურჭელი დაამარმარა**“, რაც ჯამ-ჭურჭლის დაანკრივებას ნიშნავს. ხოლო ამ სიტყვისათვის მნიშვნელობები: „**მარმარილოსავით ქათქათებს, ბზინავს**“ თავად მას დაუმატებია.

ქართლური სალექსიკონო მასალები გვიდასტურებენ ამ სიტყვას როგორც ზმნური, ასევე სახელური ფორმით: „**ამარმარებ-ს** ასუფთავებს, ანკრივლებს. . . (ქართლ. 1981); „**მარმარი გააქ** - ძალიან სუფთაა, კარგად მოვლილია (სახლი, ვენახი. . .) . . .“ (მესხიშვილი 2006).

საინტერესოა ქართული ენის ინგილოური დიალექტის მონაცემებიც, რომლებიც ერთგვარად უკავშირდება ქართლურსა და მ. ჩიტიშვილის ლექსებში დადასტურებულ ლექსიკურ ერთეულებს: „**მარმარალ** თხელი თეთრი მიტკალი. **მარმარალივი** ძალიან თეთრი, სუფთა. **მარმარალივი დარეცხაჲ** სარეცხის გაკამკამება, სუფთად დარეცხვა“ (როსტიაშვილი 1978; ღამბაშიძე 1988).

**ნაგრილი:** „და მზის ჩასვლისას ბებერი რცხილა  
ცახცახებს, როგორც ნარბენი ბავშვი,  
მერე ერთბაშად მოისხებს **ნაგრილს**  
და ანკესივით ჩაჰკიდებს წყალში“ (ჩიტიშვილი 2005:211).

ეს სიტყვაც დასტურდება ქართლურში და **ჩრდილს** ნიშნავს. საყურადღებოა, რომ ქართლურის გარდა ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით მთის კილოებშიც გვხვდება, კერძოდ, მოხეურში, მთიულურსა და ხევსურულში (შანიძე 1984:306, 370; ქავთარაძე 1985:290; ჭინჭარაული 2005).

საინტერესოა, რომ ამ სიტყვას, მოხეური დიალექტის მასალების მიხედვით, განსხვავებულად განმარტავს ო. ქაჯაია, კერძოდ: „**ნაგრილი** დაჩრდილული ადგილი, რომელსაც ამა თუ იმ მომენტში მზე არ ადგას (ქაჯაია 1967). ხოლო, სხვა განმარტებით, **ნაგრილი** აჩრდილს ნიშნავს ფშაურში (ხორნაული 2000).

**უმსნელად:** „ათასი ჯურის მომხდურის  
ხმალი მიცვეთდა უზანგებს,  
რა ლექსნი გადამირჩინე,  
დროს რა **უმსნელად** უსაგზლე“ (ჩიტიშვილი 2005:318).

ქართლურში ეს სიტყვა შემდეგი მნიშვნელობით გვაქვს: „**უმსნელ-ი** უხმარი (ჭურჭელი). . . “ (ქართლ. 1981).

ფშაურში ეს სიტყვა წყაროდან ან მდინარიდან დილით ადრე აღებულ წყალს, შეუბღინავს, შეურყვნელს ნიშნავს (ხორნაული 2000). გვხვდება თუშურშიც, მთელს, დაუზიანებელს ნიშნავს (ცოცანიძე 2012).

საყურადღებოა, რომ ეს სიტყვა ქიზიყურში გარეცხილის, ახალთახლის მნიშვნელობით გვხვდება და მასვე უნდა უკავშირდებოდეს ქიზიყურშივე დადასტურებული ზმნური ფორმაც: „**გამომსნა** ცხელი წყლითა და სხვა საშუალებით (ჭინჭრით, მარილითა და სხვ.) ჭურჭლის გამორეცხვა. . . იქვე გვხვდება **გამომსნილიც**, რაც ჭინჭრითა და ცხელი წყლით გამორეცხილ ჭურჭელს ნიშნავს (მენტეშაშვილი 1943).

პოეტი აღნიშნავს, რომ მასაც ეს სიტყვა უმსნელი წყლის, უმსნელი ანუ სპეტაკი თოვლის მნიშვნელობით აქვს გაგონილი და ასეც იყენებს ამ ლექსიკურ ერთეულს ერთ ლექსში: „კარგა ხანია, დევს კარებთან **უმსნელი** თოვლი“ (ჩიტიშვილი 2005:192), ხოლო ზემომოყვანილ მის ლექსში: „დროს რა **უმსნელად** უსაგზლე“ – ნიშნავს: „დროს რა სუფთად, ნირშეუცვლელად, ხელდაუდებლად უსაგზლე, საგზალი გაატანე, გააყოლე“<sup>1</sup>.

მანანა ჩიტიშვილის ლექსების ლექსიკის ნაწილი ქართლურში ვერ დავადასტურეთ, თუმცა სხვა დიალექტებისათვის ისინი არ არიან უცხონი, ასეთია მაგალითად:

**ავშავი:** „ისევ ცეცხლად ვარ მღვიარი,  
ბნელო, პირბნელო, **ავშავო**,  
დამაცა, ფრთა ნატყვიარი  
კვლავ არნივივით გავშალო“ (ჩიტიშვილი 2005:306).

ეს სიტყვა გვხვდება ფშაურში: „**ავშავი** ძლიერ ავი, ავზე ავი. . . “ (ცოცანიძე 2012). ფშაურის გარდა გვხვდება მოხეურშიც თავხედის, ურცხვის, შეუპოვრის მნიშვნელობით (ქავთარაძე 1985:164).

<sup>1</sup> როგორც თ. ღვინაძე შენიშნავდა, ამ სიტყვის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტით – **უმსრსნელი** – გაცოცხლება-გააქტიურება უცდია რევაზ ინანიშვილსაც პროზაში, კერძოდ, მისი მითხრობების კრებულში, „**ალერსი შიშიანობის დროს**“, გვხვდება ეს ლექსიკური ერთეული: „. . . უნდა შევინახოთ **უმსრსნელად**“ ანუ ხელშეუხებლად, შეუცვლელად, დაუზიანებლად (ღვინაძე 2006:13).

**გაბედიობით:** „მზე ჩადიოდა

უცნაური **გაბედიობით** . . . “ (ჩიტიშვილი 2005:199).

ეს სიტყვა თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას ენაში დაუდასტურებია ივანე ქეშიკაშვილს შემდეგი მნიშვნელობით: „**გაბედიობა** დამცირება. ფასის დაკარგვა. . . “ (ქეშიკაშვილი 1969:45).

ამ სიტყვის ზმნური ფორმაა დადასტურებული ხევსურულში: „**გაბედიობი**-ს ძალიან დაილლება, დაოსდება. . . “ (ჭინჭარაული 2005).

-დ სუფიქსიანი ზმნური ფორმით დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“ ეს სიტყვა: „**გაბედიობა** სიხარული, ჩალანა და ჩანგი ტკბილი“. ნ. ნათაძის განმარტებით რუსთველისეული **გაბედიობა** ნიშნავს: *გაცუდდა, გაუქმდა* (რუსთაველი 1974:36, 41).

მანანა ჩიტაშვილის განმარტებით, ეს სიტყვა **იმედგაცრუებას** ნიშნავს.

**მაცილი:**

ეს სიტყვა რამდენიმე ლექსში გვხვდება:

„ . . . მოდგა **მაცილი** ღამისფერ ნაბდით. . . “ (ჩიტიშვილი 2005:301);

„ . . . ვერ ნაუხვალ ვერსით **მაცილს** . . . “ (იქვე, 311);

„ . . . გახე, **მაცილი** სატევარს ლესავს. . . “ (იქვე, 315);

„ჩემი სახლი და საძვალე

რჩება დუშმანს და **მაცილსა**,

ღამით ქსნის ბებერ ციხიდან

გმინვა მოისმის კაცისა“ (ჩიტიშვილი 2010:23).

მაცილი ფშაურში ეშმაკს, მაცდურს ნიშნავს. აკაკი შანიძეს ეს სიტყვა ფშაურის გარდა ხევსურულსა და მოხეურში დაუდასტურებია მნიშვნელობის მეტნაკლები ცვლილებით, კერძოდ, **მაცილი** – მაცდური, მავნე, ავისული (შანიძე 1984:356).

**მოხელვა:** „შენს ნახვას მონატრებული

ზვავად ჩამოვსკდი ქარაფებს,

ვერც შენი გული **მოვხელე**,

ვერც სხვისი მოვიალაფე“ (ჩიტიშვილი 2010:122).

ეს სიტყვა მთის დიალექტებში ფშაურში, ხევსურულსა და მთიულურში პოვნას, მოძებნას ნიშნავს (ქეგლ-ი; შანიძე 1984:365). მთიულურში მიმღეობა გვხვდება, რომელსაც ორი მნიშვნელობა აქვს და პირველი სწორედ ამ ზმნის სემანტიკის აღმნიშვნელია: „**მოჭელებულ-ი, მოჭელილ-ი** - 1. ნაპოვნი, მოძებნილი. 2. მოხელილი (ცომი). . . “ (კაიშაური 1967:218).

პოეტი კი აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა ზემოაღნიშნულ ტაეპში: „ვერც შენი გული მოვხელე“ **მოვხელეთეს** მნიშვნელობით უხმარია, რაც ასევე მოპოვებას ნიშნავს და სემანტიკურად ახლოსაა ლექსიკონებში დადასტურებულ მნიშვნელობებთან.

**უნდომანდო:** „ . . . ეხლა კი ზიხარ,

ნიგნს რასმე ჰკითხულობ,

რავი, ლექსია თუ ზღაპარია. . .

აეგ **უნდომანდო** სიცილი სახეზე

დამტვრეულ კრამიტივით გაფარია. . . “ (ჩიტიშვილი 2005:230).

ეს სიტყვა დიალექტურია, ქართლურის გარდა, სხვა დიალექტებშიც გვხვდება: „**უნდომანდო** (უნდომანდოსი) კუთხ. (ქართლ.) უუნარო, უგერგილო, მოუხე-

რხეხელი (ადამიანი)“ (ქეგლ-ი); „**უნდომანდო** მოუხერხებელი, გაუგებარი, საქმის უცოდინარი. . . “ (მესხიშვილი 2006).

მეტ-ნაკლებად განსხვავებული ფორმით და მნიშვნელობით გვხვდება ეს სიტყვა ინგილოურში: „**უნდომ(ურ)** მოუნდომებელი; ზმნზ. **უნდომურ-უნდომურ(ა)** დაზარებით, სურვილის გარეშე, უხალისოდ“ (ლამბაშიძე 1988).

შესაძლებელია ამ ლექსიკურ ერთეულებს უკავშირდებოდეს ძველი ქართულის: „**უნდო** არარა, ცუდი, უხმარი, გამოუსადეგარი, საძაგელი; გამოუყენებელი. . . “ (აბულაძე 1973).

პოეტის მიერ ნახმარი **უნდომანდო სიცილი**, პოეტისავე განმარტებით: „**უნადინო, ნაძალადევ სიცილს**“ ნიშნავს.

მანანა ჩიტიშვილის პოეტური ლექსიკის ერთ-ერთი თავისებურება ძველი სიტყვების გააქტიურებაა. ქეგლ-ში გამოყოფენ ლექსიკურ ერთეულთა ნაწილს, რომლებიც ერთგვარად განსხვავდებიან არქაიზმებისაგან, მათ ახლავს მითითება **ძველი**. ისინი ძველია, მაგრამ ხმარებიდან გამოსული არაა. აი, სწორედ ასეთი სიტყვების გამოყენების გააქტიურებას მიმართავს პოეტი მანანა ჩიტიშვილი, ამ სიტყვების მოხმარების სფეროს აფართოების და თავის პოეტურ ქმნილებებს დაუფინყარ ხიბლს სძენს. ქვემოთ პოეტის ლექსებიდან იმ სიტყვებს წარმოვადგენთ, რომელთაც ქეგლ-ში ძველის სტატუსით ვხვდებით:

**ამოდ:** „ზოგისთვის მართლაც **ამოდ**

მიდის და მოდის ჟამი,

ოცდაათ ვერცხლის გამო

სისხლით ივსება ჯამი“ (ჩიტიშვილი 2010:66).

ეს სიტყვა ქეგლ-ში ასე განიმარტება: „**ამო**<sup>2</sup> ძვ. საამო, სასიამოვნო, საამური...“ გვხვდება ზმნიზედაც: **ამოდ** (ქეგლ-ი).

**თვალხენეში:** „**ჟამი, გულცივი და თვალხენეში,**

დაგვცინის განა იმედს გვაშველებს,

ჩვენც ჩავვატანეს ციხის კედელში

და ციხე მაინც ვერ ააშენეს“ (ჩიტიშვილი 2005:15).

ქეგლ-ი ამ სიტყვას ასე განმარტავს: „**თვალხენეში-ი (თვალხენეშისა)** ძვ. მო-შურნე (**დ. ჩუბინ.**) შურიანი; თვალხარბი. . . “ (ქეგლ-ი).

ეს სიტყვა კომპოზიტია, რომლის მეორე ნაწილი ძველ ქართულში გვხვდება: „**ხენეში-ი** ცუდი, ავი, საძაგელი; უსაქციელო. . . “ (აბულაძე 1973).

ძველ ქართულშივე გვხვდება სიტყვა **სიხენეშე** განსხვავებული, მაგრამ ასევე უარყოფითი მნიშვნელობებით: „**უგუნურობა, გლისპობა, უსაქციელობა, სიბინძურე; სიმყრალე. . . “** (აბულაძე 1973).<sup>1</sup>

თვით პოეტის განმარტებით, **თვალხენეში** ავთვალს, თვალბოროტს ნიშნავს.

ასეთივე სიტყვაა **ყანდი:** „სხვებმა მოგახურეს ფარჩა,

სხვებმა გაგიშალეს **ყანდი,**

შენი გზისკენ მაცქერალი

ყველა გზაზე დავგვიანდი“ (ჩიტიშვილი 2005:444).

<sup>1</sup> ამ განმარტებებში ერთი ძველი ქართული სიტყვაა: **გლისპობა**, ესეც უარყოფითი მნიშვნელობის მქონეა, კერძოდ, ურცხვობას, უზნეობას ნიშნავს: **გლისპ-ი** ურცხვი. . . ; **გლისპობა** ურცხვობა, უზნეობა. . . ; **სიგლისპე** ურცხვობა, უნამუსობა. . . ; **უგლისპესი** ურცხვი. . . “ (აბულაძე 1973).

ამ სიტყვას ქეგლ-ის მიხედვით ორი მნიშვნელობა აქვს, ერთი ნასესხებია, სწორედ მას მიიჩნევენ ძველად და მ. ჩიტიშვილსაც ამ მნიშვნელობით აქვს ნახ-მარი: „**ყანდ**-ი (ყანდისა) [სპარ.-არაბ. კანდ „შაქარი“] ძვ. დანმენდილი, თეთრი შაქარი“ (ქეგლ-ი).

**ჩინი და მაჩინი:** „ . . . გემუდარები,  
ნუ მპირდები **ჩინსა** და **მაჩინს**,  
ნუ დამპირდები  
სიყვარულის გარდა ნურაფერს“ (ჩიტიშვილი 2005:345).

პოეტის განმარტებით **ჩინი** და **მაჩინი** მხარეებია, დასტურდება ქართულ ხალხურ ზღაპრებში. ქეგლ-ის განმარტებით კი ეს სიტყვა კომპოზიტია, დეფისით იწერება და კონკრეტულ ქვეყანას, ჩინეთს, ნიშნავს.

მანანა ჩიტიშვილის ლექსებში ისეთ ძველ სიტყვებსაც ვხვდებით, რომლებსაც ქეგლ-ში<sup>1</sup> არ აქვთ ძველის მითითება. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქეგლ-ი გასული საუკუნის 50-იან 60-იან წლებში გამოიცა და ამ სიტყვების განმარტებისას საილუსტრაციოდ ბევრად უფრო ადრინდელი ილუსტრაციებია წარმოდგენილი დავრწმუნდებით, რომ ბევრი მათგანის მოხმარების გააქტიურებაც ნამდვილად საშური საქმეა. მანანა ჩიტიშვილის ლექსებში ამ სიტყვებმა ახალი სიცოცხლე შეიძინეს და განსაკუთრებული ხიბლი შეჰმატეს პოეტის შემოქმედებას. ქვემოთ სწორედ ასეთ სიტყვებს წარმოვადგინო:

**არჯალი:** „მერე კი გადავუნვები  
ქარებს, ავსა და **არჯალსა**,  
სულს გადმოგიგდებ მე თვითონ,  
როგორც გატეხილ ხანჯალსა“ (ჩიტიშვილი 2005:22);

იგივე სიტყვა სხვა ლექსიდან:

„ჩემთვის ხან ისე სასტიკად თოვდა,  
ისე მკორტნიდა ქარი, **არჯალი** . . .“ (ჩიტიშვილი 2005:30).

საბას განმარტებით, **არჯალი** „ურცხუად ანჩხლს“ ნიშნავს (საბა 1949). ქეგლ-ში კიდევ უფრო დაზუსტებული და განზოგადებულია ამ სიტყვის მნიშვნელობა, კერძოდ, *ავს, კაპას* ნიშნავს.

ეს სიტყვა კომპოზიტის შემადგენელ ნაწილად გვხვდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, კერძოდ: „**გულარჯალ**-ი ავი გულისა, გულბოროტი. . .“ (ვაჟა 1969). ეს სიტყვა ცალკე და კომპოზიტის შემადგენელ ნაწილად დაუდასტურებია აკაკი შანიძეს ფშაურ კილოში, კერძოდ, მის „მთის კილოთა ლექსიკონში“ შეტანილია შემდეგი ლექსიკური ერთეულები: „**არჯალი: გულ-არჯალი** ფშ. ავი, ბრაზიანი. . .“ (შანიძე 1984:283).

თვით პოეტიც ადასტურებს, რომ ამ სიტყვას ავი, კაპასი ქალის შესახებ ამბობენ. მ. ჩიტიშვილის შენიშვნით, ეს სიტყვა მოუთვინიერებელზეც (საქონელზე, ცხოველზე, ფრინველზე) ითქმის, ბუნებაზეც შეიძლება ითქვასო.

**ირაო:** „**ირაო** ვიყავ და სხვა რა მეტიალა . . .“ (ჩიტიშვილი 2005:130).

ეს სიტყვა ქეგლ-ში ორი მნიშვნელობით გვხვდება, პირველ მნიშვნელობას ძველის სტატუსი აქვს მიკუთვნებული, მეორეს კი – არა. ვფიქრობთ, მეორე მნიშ-

<sup>1</sup> ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ქეგლ-ის პირველ გამოცემას ვგულისხმობთ, რადგან ახალი გამოცემის მხოლოდ ნაწილია ჯერჯერობით გამოცემული.



ვნელობაც ძველია და სწორედ ამ მნიშვნელობით იყენებს პოეტი მას, კერძოდ, უპატრონოს, დაკარგულს ნიშნავს.

კიდევ ერთ მოძველებულ სიტყვაზე გვინდა შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება, რომელსაც პოეტი ახალ სიცოცხლეს აძლევს, ესაა: **მარმაში**. ეს სიტყვა ქეგლ-ის განმარტებით ნიშნავს თხელ გამჭვირვალე ქსოვილს ან ასეთი ქსოვილის სამოსს.

მ. ჩიტიშვილის ლექსში ერთ შემთხვევაში წერო შლის ფრთას **ფერად არშიე-ბად**, ასე განმარტავს სიტყვას **მარმაშებად** პოეტი ლექსში:

„გამიფრინდა ცისკენ წერო,  
ფრთა გაშალა **მარმაშებად** . . .  
რას ჩურჩულებს ხის კენწერო,  
ნიავეს რას ეთამაშება?“ (ჩიტიშვილი 2005:379).

სხვა შემთხვევაში კი პოეტი ამ სახელისაგან ზმნურ ფორმას აწარმოებს და მეტაფორულად ვარდის ფურცლების გაშლას გამოხატავს:

„ჩემს ორლობეში ბალბა და ლოლო,  
შენს გზაზე ახლა ვარდი **მარმაშობს**  
და როგორც უნინ, მე ვკვდები მხოლოდ,  
შენ მარტოოდენ წარსულს თამაშობ“ (ჩიტიშვილი 2005:251).

**უამურად:** „უამი მიდის **უამურად**,  
სხვას ვის შერჩა დროება . . .  
ჰა, ჯაგლაგი სიბერისა  
შენს ღობესაც მოება“ (ჩიტიშვილი 2005:35).

ეს სიტყვა გვხვდება ქეგლ-ში ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის ფორმებით: **უამური** - *უსიამოვნო*, **უამურად** - *უსიამოვნოდ*.

ესეც აშკარად ძველი სიტყვაა, რომელსაც პოეტი ახალ სიცოცხლეს აძლევს და ფართო ასპარეზზე გამოჰყავს. უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტს მისივე ქართლური დიალექტიდან მოუხმია ეს სიტყვა. ქართლურში ეს სიტყვა ზმნიზედის სახით გვხვდება და უსიამოვნოსთან ერთად სხვა უარყოფითი მნიშვნელობებიც აქვს: „**უამოდ**, **უამურად**, ტყუილუბრალოდ, უსარგებლოდ; უგემურად, უსიამოვნოდ. . . “ (ქართლ. 1981).

ეს სიტყვა ორ საკმაოდ დაშორებულ და განსხვავებულ ქართულ დიალექტში გვხვდება გურულსა და ხევსურულში ოდნავ გადანეული მნიშვნელობებით: „**უამური** „რომ არაფერს გასიამოვნებს ისეთი ადამიანი“, გურულში (შარაშიძე 1938) და „**უამურ**-ი უსიამოვნო, ცუდი; არ-მოსანდომებელი . . . “ ხევსურულში (ჭინჭარაული 2005).

ამავე სიტყვის ძირს უნდა უკავშირდებოდეს ხევსურულში დადასტურებული **უამ**. შდრ.: „**უამ**-ს ეამება, საამურად ეჩვენება. . . “ (ჭინჭარაული 2005). ბუნებრივია, უ- პრეფიქსის კვალიფიკაცია სხვადასხვაა: **უამურის** შემთხვევაში ის უარყოფითობას აღნიშნავს, ხოლო **უამ**-ს ზმნის შემთხვევაში ხმოვანპრეფიქსია, რომელიც ჩვეულებრივ სასხვისო ქცევის მაჩვენებელია.

**ქობა:** „აპრილია და  
ხევში წყალი კაცივით ხენემის,  
დაუგვირისტა გაზაფხულმა  
ამ მინდვრებს **ქობა**“ (ჩიტიშვილი 2005:428).

ამ სიტყვას ქეგლ-ის განმარტებით ორი მნიშვნელობა აქვს: „ქობა (ქობი-სა) 1. სამოსლის ბოლოზე შიგნიდან ხელის სიბრტყედ შემოვლებული სარჩული. . . 2. გადატ. საერთოდ, ზოლი რისამე კიდეზე (ქეგლ-ი).

პოეტის განმარტებითაც ქობა კაბის ქვემო ნაწილია, თუმცა შეიძლება შემოტეხილი არც იყოს.

ამრიგად, მანანა ჩიტიშვილის ლექსიკის ამ ნაწილის განხილვა კიდევე ერთხელ ნათელყოფს, თუ რამდენად ფასეულია პოეტის შემოქმედებაში ქართული სიტყვა, რა ძალასა და ხიბლს სძენს ლექსს პოეტის მიერ გამოყენებული დიალექტური თუ მოძველებული ლექსიკური ერთეულები.

ბუნებრივია, ერთი სტატია ვერ ამონწურავს პოეტის შემოქმედების მთლიან ლექსიკურ თავისებურებებს. ჩვენ მხოლოდ ზოგი სიტყვის წარმომავლობას შევეხეთ, თუმცა მანანა ჩიტიშვილის პოეზიის ლექსიკის კვლევა მომავალშიც გაგრძელდება.

### **ლიტერატურა და ლექსიკონები:**

**აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1973.

**ბერიძე 1981** – გ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1981.

**ვაჟა 1969** – ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალექსი ჭინჭარაულმა, თსუ გამომცემლობა, თბ., 1969.

**კაიშაური 1967** – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, გამომცემლობა, „მეცნიერება“, თბილისი, 1967.

**მენტეშაშვილი 1943** – ს. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1943.

**მესხიშვილი 2006** – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2006.

**როსტიაშვილი 1978** – ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1978.

**რუსთაველი 1974** – შ. რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1974.

**საბა 1949** – სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, სახელგამი, თბილისი, 1949.

**სახლთხუციშვილი 2002** – უ. სახლთხუციშვილი, გარეკახური, ლექსიკონი, თბილისი, 2002.

**ქავთარძე 1985** – ი. ქავთარძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1985, 290.

**ქართლ. 1981** – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე; მ. ჭაბაშვილის რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1981.

**ქართული დიალ. 1961** – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარძე, ქართული დიალექტოლოგია, I, ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1961.

- ქაჯაია 1967** – ო. ქაჯაია, მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერული წერილები, ჰუმანიტარულ დისციპლინების სერია, ტ. XI, 1967.
- ქეგლ-ი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I – VIII, პროფ. არნ ჩიქობავას საერთო რედაქციით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1950-1964.
- ქეშიკაშვილი 1969** – ივ. ქეშიკაშვილი, თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1969.
- ლამბაშიძე 1988** – რ. ლამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1988.
- ღვინაძე 2006** – თ. ღვინაძე, „მანანა ჩიტიშვილის პოეტური ენის შესახებ, გრამატიკა და პოეზია“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №25, 30 ივნისი, 2006.
- შანიძე 1984** – ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თხზ., ტ. I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1984.
- შარაშიძე 1938** – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, ტფილისი, 1938.
- ჩიტიშვილი 2005** – მ. ჩიტიშვილი, „სიყვარულია მარადი“, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“, თბილისი, 2005.
- ჩიტიშვილი 2010** – მ. ჩიტიშვილი, „მაინც საქართველო ერქვა“, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2010.
- ცოცანიძე 2012** – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2012.
- ჭინჭარაული 2005** – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი, 2005.
- ხორნაული 200** – გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

## სხვათა სიტყვის (-მეთქი, -თქო, ო) ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი ევიდენციალობის თვალსაზრისით

ცნობილია, რომ ევიდენციალობა ლინგვისტური კატეგორიაა, რაც ინფორმაციის წყაროს მიემართება, რის მიხედვითაც მთქმელი აკეთებს განაცხადს. ეს შეიძლება იყოს მოვლენის პირდაპირი ან ირიბი ცოდნა, რაც შეიძლება ემყარებოდეს ლოგიკურ დასკვნას, გაგონილს, ვარაუდს ან აღქმას (აიხენვალდი 2004). ამის მიხედვით პირდაპირ აღქმული (ან მასთან გატოლებული) ინფორმაცია არაევიდენციალურია, ხოლო სხვა წყაროზე დამყარებული – ევიდენციალური.

ევიდენციალობა ფართო გაგებით მთქმელის თვალსაზრისით და სტრატეგიით იხილავს ინფორმაციის წყაროსა და მისანვდომობას (ტურნადრე, ლაპოლა 2014).

*ტერმინებისათვის:* თუ ინფორმაცია პირდაპირი აღქმის შედეგია (ან მასთან გატოლებული), *პირველი ხელიდან მიღებულ ინფორმაციას* უწოდებენ, ხოლო ევიდენციალობას – *პირდაპირევიდენციალურს* ან *არაევიდენციალურს*; სხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას *მეორე ხელიდან მიღებულ ინფორმაციას* ეძახიან, ევიდენციალობას კი – *ირიბევიდენციალურს*, *ევიდენციალურს*.

ეს მსჯელობა წარმოდგენილია ცხრილის სახით.

### 1-ლი ცხრილი

ევიდენციალობის ტერმინთა შესახებ	
ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა	
პირდაპირი აღქმის შედეგი	სხვა წყაროდან მიღებული
პირველი ხელიდან მიღებული	მეორე ხელიდან მიღებული
პირდაპირევიდენციალური	ირიბევიდენციალური
<b>არაევიდენციალური</b>	<b>ევიდენციალური</b>

ჩვენ პირდაპირი აღქმიდან მიღებული ინფორმაციისათვის ვიყენებთ ტერმინს *არაევიდენციალურს*, ხოლო სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციისათვის – *ევიდენციალურს*.

სხვა ენობრივ საშუალებებთან ერთად ევიდენციალობის გამომხატველად მიიჩნევენ სხვათა სიტყვებსაც. ეს საკითხი ქართულშიც მნიშვნელოვანია, კერძოდ, ევიდენციალობის თვალსაზრისით საინტერესო ენობრივ სურათს წარმოგვიდგენს **-მეთქი, -თქო, ო** ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი.

ქართული სხვათა სიტყვის **ო** ნაწილაკიანი ფორმები ევიდენციალობის სემანტიკურად მსგავს კატეგორიათა ჯგუფში წარმოდგენილი აქვს ვ. ბოედერს (ბოედერი 2000:279-280).

ევიდენციალობის კუთხით **-მეთქი, -თქო, ო** ნაწილაკები საგანგებოდ შეისწავლა მ. ტოფაძემ. მკვლევრის ვარაუდით, **-მეთქი** პირდაპირი ევიდენციალობის, **პირველი ხელიდან** მოწოდებული ინფორმაციის მარკერია, რადგანაც მოუბარი

პირადადაა გამონათქვამის ინფორმაციის წყარო. -მეთქისაგან განსხვავებით მეორე და მესამე პირის სხვათა სიტყვის ნაწილაკები მეორე ხელიდან მოწოდებული ინფორმაციის მარკერები არიან: -თქო გამოიყენება, მაშინ, როდესაც ადრესატი მედიატორია მოუბარსა და მესამე პირს შორის. გამონათქვამი მიმართულია მესამე პირისაკენ, ინფორმაციის წყარო მოუბარია. სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ო** გადმოგვცემს მეორე ხელიდან მიღებულ ინფორმაციას. **-მეთქი** და **-თქო** ნაწილაკებისაგან განსხვავებით **ო** ნაწილაკისათვის არ არის აუცილებელი დააზუსტოს ინფორმაციის წყარო, რაც შეიძლება სხვებისათვის საყოველთაოდ ცნობილი იყოს (ტოფაძე 2011).

თუ ჩვენ მიერ არჩეულ ტერმინებს გამოვიყენებთ, გამოდის რომ მ. ტოფაძის მიხედვით **-მეთქი** არაევიდენციალური, ხოლო **-თქო** და **ო** ნაწილაკები ევიდენციალური მარკერები არიან.

ტრადიციულად ევიდენციალობა მხოლოდ მთქმელის პოზიციიდან განიხილება. მთქმელის პოზიციის მიხედვით განისაზღვრება ნათქვამი ევიდენციალურია, თუ არ არის ევიდენციალური. ევიდენციალობა ტექსტის კატეგორიაა, ამიტომ, ჩვენი აზრით, ის უფრო ფართოდ და მრავალნახნაგოვნად უნდა იქნეს განხილული. ამისათვის ჩვენ მთქმელის პოზიციის გარდა, ვითვალისწინებთ მსმენელისა და შუამავლის პოზიციასაც. კერძოდ, ვფიქრობთ, ევიდენციალობის თვალსაზრისით ქართულში სხვათა სიტყვის ნაწილაკების (-მეთქი, -თქო, **ო**) შემცველი მეტყველების აქტის ზუსტად და სრულყოფილად აღწერისათვის საჭიროა ამ ნაწილაკების შემცველი კონსტრუქცია გაანალიზდეს სამი წევრის მიხედვით; ესენია:

**I. მთქმელი (მოუბარი);**

**II. ინფორმაციის მიმღები-განმმეორებელი-გადამცემი;**

**III. ინფორმაციის მიმღები.**

თუ სამეტყველო აქტს ამ წევრების მიხედვით განვიხილავთ, გაჩნდება კითხვები:

- ამ წევრთაგან ვისთვის შეიძლება იყოს ნათქვამი ევიდენციალური?
- ამ წევრთაგან ვისთვის შეიძლება იყოს ნათქვამი არაევიდენციალური?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ცალ-ცალკეა განსახილველი ზემოაღნიშნული ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი **მთქმელის (მოუბარი პირის), ინფორმაციის მიმღები-განმმეორებელი-გადამცემისა და ინფორმაციის მიმღების მიხედვით.**

როგორც ცნობილია, -მეთქი ორი სიტყვის შეერთებითაა მიღებული: „მეთქვი“. აკაკი შანიძის აზრით, „ამიტომ, რომ იგი მოუბარი პირის ნათქვამის გამეორებას ან განაზრახი სიტყვების თქმას აღნიშნავს: „ვუთხარი: გაგიკეთებ-მეთქი“ (შანიძე 1980:610). ასეთივე განმარტებას იძლევა ლ. კვაჭაძეც, ოლონდ -მეთქი ნაწილაკს მოუბარი პირის ნაცვლად „პირველი პირის ნათქვამის“ აღმნიშვნელად ასახელებს და ასეთი მაგალითები მოჰყავს: „ამ ერთმა შაშვმა როგორ შემაშინა-მეთქი, – ვჯავრობდი (რაზ.); ახ, ერთი ის საკრავი ნეტავი ჩემი იყოს-მეთქი, – ვიფიქრე“ (რაზ.) (კვაჭაძე 1988:458). შედარებით უფრო დაზუსტებულად წარმოგვიდგენს ა. კიზირია ამ ნაწილაკის ფუნქციას. კერძოდ, „-მეთქი ნაწილაკი იხმარება მაშინ, როდესაც მოლაპარაკე პირი თავის ნათქვამს ან ჩანაფიქრს იმეორებს ან გადასცემს მეორე პირს“. ა. კიზირიას ასეთი მაგალითები მოჰყავს:



ა. მოლაპარაკე პირი თავის ნათქვამს ან ჩანაფიქრს იმეორებს:  
„ეს გუგული სად შემოფრენილა-მეთქი“ (აკაკი);  
„ვიფიქრე: ეს მჭადი მე ხეირს არ დამაყრის-მეთქი“ (აკაკი);  
„მე მეგონა თევზია-მეთქი და კალათი მოვიმარჯვე“ (ი. გოგებ.). (კიზირია 1974:149).

ბ. მოლაპარაკე პირი თავის ნათქვამს ან ჩანაფიქრს გადასცემს მეორე პირს:  
„ვითამაშეთ და ქორმაც მე გამიტაცა-მეთქი! – ვუპასუხე ძიძას სიცილით“ (აკაკი);

„აკი გეუბნებოდით, ზღარბი გაცოცხლდებოდა-მეთქი“ (ი. გოგებ.) (კიზირია 1974 : 149).

შევნიშნავთ, რომ ა. კიზირიას მსჯელობაში ნახსენები „მეორე პირი“ პირობითადაა მეორე პირი, რადგან -მეთქით გადმოცემული ინფორმაცია ზოგჯერ შეიძლება მიემართებოდეს მესამე პირსაც. მაშასადამე, -მეთქი ნაწილაკის გამოყენების შემთხვევაში ინფორმაცია შეიძლება მიემართებოდეს გრამატიკულ მეორე პირს (მხოლოდითა და მრავლობით რიცხვში), ამის მაგალითად გამოდგება ზემოთ მოყვანილი წინადადება, რომელშიც ინფორმაცია მიემართება მეორე პირს მრავლობით რიცხვში: „აკი გეუბნებოდით, ზღარბი გაცოცხლდებოდა-მეთქი“ (გეუბნებოდით მე თქვენ, გაცოცხლდებოდა-მეთქი); თუმცა ინფორმაცია შესაძლებელია მიემართებოდეს მესამე პირსაც (მხოლოდითა და მრავლობით რიცხვში), იხ. ასევე ზემოთმოყვანილი წინადადება: „ვითამაშეთ და ქორმაც მე გამიტაცა-მეთქი! – ვუპასუხე ძიძას სიცილით,“ (გამიტაცა-მეთქი, ვუპასუხე მე მას); აქ ინფორმაცია მიემართება მესამე პირს მხოლოდით რიცხვში, ძიძას.

თავის მხრივ, იმ წინადადებაშიც, რომელშიც უშუალოდ მეორე პირს მიემართება ნათქვამი, გარკვეული ცვლილების შეტანის შემდეგ ინფორმაცია შეიძლება მიემართებოდეს მესამე პირს, კერძოდ, თუ ავტორისეულ სიტყვებს დაუვმატებთ:

(1) [აკი გეუბნებოდით, ზღარბი გაცოცხლდებოდა-მეთქი, – ვეუბნებოდი მეგობრებს] (ვეუბნებოდი მე მათ, გაცოცხლდებოდა-მეთქი).

ამრიგად, იმ შემთხვევაში, როცა -მეთქი ნაწილაკიან მაგალითებში მთქმლი, მოუბარი პირი თავის ნათქვამს იმეორებს, ან თავის ჩანაფიქრს გადმოგვცემს, ავტორისეული სიტყვების დარათვა-დაურთველობა არ ცვლის ვითარებას, ორივე შემთხვევაში მთქმლის ნათქვამი არ მიემართება რომელიმე სხვა პირს:

„ეს გუგული სად შემოფრენილა-მეთქი“,  
შდრ.:

(2) [ეს გუგული სად შემოფრენილა-მეთქი, – გამიკვირდა]<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ჩვენ მიერ გადაკეთებულ წინადადებებს კვადრატული ფრჩხილებითა და შესაბამისი ნუმერაციით წარმოვადგენთ.

<sup>2</sup> რადგან აღნიშნულ კონსტრუქციას მთქმელის, ინფორმაციის მომღები-განმმეორებელი-გადამცემის და ინფორმაციის მიმღების მიხედვით ვიხილავთ, ამ შემთხვევაში მხოლოდ მათ ფარდ ნაცვალსახელებს ვასახელებთ.

<sup>3</sup> თუ წინადადებას ასე გადავაკეთებთ [ეს გუგული სად შემოფრენილა-მეთქი, – ვეუბნებოდი ჩემს თავს] ამ შემთხვევაში თითქოს სხვა, მესამე პირია ინფორმაციის მიმღები (ვეუბნებოდი მე მას), მაგრამ ეს სხვა პირი, იგივე მთქმელია, უბრალოდ უკუქცევითი ნაცვალსახელითაა გადმოცემული და ამიტომაც მესამე პირში. ფაქტობრივად, აქაც მთქმელი თავისივე ნათქვამს იმეორებს თავისთვის, ნათქვამი არ მიემართება რომელიმე სხვა პირს და თვითონ მთქმელისთვის ეს ინფორმაცია არაა მიღებული სხვა წყაროდან.

მაგრამ, როცა -მეთქი ნაწილაკიან მაგალითებში მთქმლის, მოუბარი პირის ნათქვამი მიემართება მეორე პირს, ავტორისეული სიტყვების გარეშე, ლოგიკურად მოიაზრება, რომ მთქმელის ნათქვამი თანამოუბარ, მეორე პირს მიემართება, ხოლო ავტორისეული სიტყვების არსებობის პირობებში, ის პირი, ვისაც ნათქვამი მიემართება, რეალურად მესამე პირია:

„აკი გეუბნებოდით, ზღარბი გაცოცხლდებოდა-მეთქი“, ნათქვამი მიემართება მეორე პირს (გეუბნებოდით მე თქვენ),

შდრ.:

(3) [აკი გეუბნებოდით, „ზღარბი გაცოცხლდებოდა-მეთქი“, – ვეუბნებოდი მეგობრებს], ნათქვამი მიემართება მესამე პირს (გაცოცხლდებოდა-მეთქი, ვეუბნებოდი მე მათ).

ვფიქრობთ, ევიდენციალობის თვალსაზრისით აქ ის არის საინტერესო, რომ, როდესაც -მეთქი ნაწილაკით გადმოცემული სხვათა სიტყვა არავის არ მიემართება, ფაქტობრივად, ამ ინფორმაციის მიმღებიც არ არსებობს, ამიტომ ეს შემთხვევა უნდა ჩაითვალოს არაევიდენციალურად, ხოლო, როდესაც -მეთქი ნაწილაკით გადმოცემული ინფორმაცია მიემართება მეორე ან მესამე პირს, მაშინ ეს პირები ინფორმაციის მიმღებნი არიან, მათთვის ინფორმაცია მეორე ხელიდანაა მიღებული და ამიტომ ევიდენციალურია.

-თქვა, -თქო ნაწილაკები ა. შანიძის თვალსაზრისით წყვეტილის მესამე პირის ფორმას, მათში **ო** მიღებულია **უა** ჯგუფის შერწყმით. „აღნიშნავს მოუბარი პირის დანაბარებ სიტყვას, რომელიც მეორე პირმა მესამეს უნდა გადასცეს: „ასე მოახსენე: მე თვითონ გავსცემ მაგას პასუხს-თქვა“ („პასუხს-თქო““ (შანიძე 1980:610).

ლ. კვაჭაძის განმარტებაც იგივეა, ოღონდ ავტორი მოუბარი პირის ნაცვლად აქაც პირველ პირს ასახელებს: „-თქო (-თქვა) დაერთვის პირველი პირის ისეთ ნათქვამს, რომელიც მეორე პირმა მესამეს უნდა გადასცეს: დარეჯანმა . . . ბარათი მისცა გოგოს, ამ სიტყვის ზედ-დატანებით: როგორც გითხარი, ისე მოიქეცი-თქო (ჭავ., 341); უთხარი ძალიან დიდი საქმე აქვს, უეჭველად ამაღამ ჩამოდი-თქვა (ნინ.)“ (კვაჭაძე 1988:459). ლ. კვაჭაძე მიუთითებს, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში -თქვა ნაწილაკის ხმარება შეცდომაა.

ჩვენი ანალიზის მიხედვით -თქო ნაწილაკით გადმოცემული სხვათა სიტყვა ევიდენციალურია, რადგან ამ ინფორმაციის მიმღებია მეორე პირი, რომელმაც მესამე პირს უნდა გადასცეს ეს ინფორმაცია. აქ, ფაქტობრივად, მეორე პირი მიმღები პირიც არის და გადამცემიც, ხოლო მესამე მხოლოდ მიმღებია. ვფიქრობთ, რომ ორივე (მეორე და მესამე) პირისათვის ინფორმაცია მეორე ხელიდანაა მიღებული და ამიტომაცაა ევიდენციალური მათთვის, რასაც ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიც ადასტურებენ:

„დაარწმუნე ყველა, რომ ბაში-აჩუკი მოვკალი-თქო“ (აკაკი);

„მეზობელი ეტყოდა სიმონას ხოლმე: ქაჯან, გაიქე, დედაშენს უთხარი: ერთი პური გვასესხე-თქო“ (ნ. ლომ.);

„მამათქვენი აქ არის და თქვენი დანახვა უნდა-თქო“ (ვაჟა) (კიზირია 1974:149).

**ო** გადმოგვცემს მესამე პირის ნათქვამს: „დედამ შემოგივალა: ცოტა ფქვილი გვასესხეო“ (შანიძე 1980:610). ამ შემთხვევაში პირველი პირი მოუბარია, გადმოგვცემს მესამე პირის ნათქვამს, რომელიც შეიძლება მიემართებოდეს პირველ და მეორე პირებს ორსავე რიცხვში. მეორე პირისადმი მიმართული **ო** ნაწილაკიანი

სხვათა სიტყვა ავტორისეული სიტყვების დართვის შემთხვევაში აქაც განიცდის ცვლილებას და მესამე პირს მიემართება.

„ნადი, საცა შენი სთქვა, იქ ჩემიც ნუ დაგავინყდებო, – უთხრა გიორგიმ“ (ილია); (კიზირია 1974:149) (ნუ დაგავინყდებო, უთხრა მან მას).

ო ნაწილაკით გადმოცემული სხვათა სიტყვა ასევე შეიძლება მიემართებოდეს განზოგადებულად ყველას (I, II, III პირს ორსავე რიცხვში), მაგალითად ანდაზებში: „ბაეშვი არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდნენო“; „თაგვმა თხარა თხარაო, კატა გამოთხარაო“; „კაცი კაციტაო და ლობე – ქაცვითაო“ და სხვ.

ამრიგად, ო ნაწილაკით გადმოცემული სხვათა სიტყვა ევიდენციალურია პირველი, მეორე პირებისათვის ორსავე რიცხვში და განზოგადებულად ყველასათვის, კონკრეტულად ანდაზებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთქმელის, ინფორმაციის მიმღები-განმმეორებელი-გადამცემის, ინფორმაციის მიმღების გათვალისწინებით ნათქვამის ევიდენციალობას ვარკვევთ იმის მიხედვით, თუ ვის მიემართება ნათქვამი და ინფორმაციის რა წყაროს ეყრდნობა იგი, რაც ცხრილის სახით შეგვიძლია ასე წარმოვადგინოთ.

## მე-2 ცხრილი

მთქმელი	ინფორმაციის მიმღები-განმმეორებელი გადამცემი	ინფორმაციის მიმღები პირი	ნათქვამი ევიდენციალურობის თვალსაზრისით
I პირი თავისივე ნათქვამს გადმოგვცემს -მეთქი ნაწილაკით		I-ლივე პირი მსო-ლობითში (როცა I პირი იმეორებს თავის ნათქვამს და თავად არის ინფორმაციის მიმღები)	არაევიდენციალური
		II პირი ორსავე რიცხვში III პირი ორსავე რიცხვში	ევიდენციალური
I პირი თავისივე ნათქვამს გადმოგვცემს -თქო ნაწილაკით	II პირი ორსავე რიცხვში		ევიდენციალური
		III პირი ორსავე რიცხვში	ევიდენციალური
I პირი III პირის ნათქვამს გადმოგვცემს ო ნაწილაკით		I, II პირი ორსავე რიცხვში	ევიდენციალური
		განზოგადებულად ყველა	ევიდენციალური

ასეთია ზოგადი სურათი ზემოთ შემოთავაზებული ნევრების მიხედვით განალიზებული სხვათა სიტყვის ნაწილაკების შემცველი სამატყველო აქტისა. თუმცა გვაქვს ცალკეული შემთხვევებიც, როდესაც ერთგვარად განსხვავებული ვითარება გვაქვს.

კერძოდ, აღსანიშნავია, რომ ო ნაწილაკი -მეთქი ნაწილაკის ნაცვლად იხმარება, თუ პირველი პირის ფორმა მრავლობით რიცხვშია, ამ შემთხვევისათვის ასეთ მაგალითს ასახელებს ლ. კვაჭაძე: „ბებერია ეგ ტიალი, როგორ ბუხბუხებს, როგორ რუხრუხებსო! – ვამბობდით ჩვენ“ (ვაჟა). მკვლევარი იქვე წერს, რომ „ვამბობდით, რომ მხოლობითი დავაყენოთ, -ო-ს -მეთქი შეცვლის: ბებერია ეგ ტიალი, როგორ ბუხბუხებს, როგორ რუხრუხებს-მეთქი! – ვამბობდი მე“ (კვაჭაძე 1988:459).

ამ შემთხვევაშიც ო ნაწილაკით გადმოცემული პირველი პირის სხვათა სიტყვა არ არის ევიდენციალური, რადგან აქ ო ნაწილაკი -მეთქი-ს მაგივრად იხმარება და ფაქტობრივად, მის ფუნქციასაც ასრულებს, კერძოდ, იმ ფუნქციას, როდესაც -მეთქი ნაწილაკით გადმოცემული სხვათა სიტყვა არ მიემართება რომელიმე პირს, არ ჰყავს მიმღები პირი, უბრალოდ პირველი პირი (მხოლობითი) იმეორებს თავის ნათქვამს.

ლ. კვაჭაძე ასეხელებს ისეთ მაგალითებსაც, რომლებშიც -მეთქი ნაწილაკის ნაცვლად ზოგ დიალექტში, მაგ., იმერულში -თქვა (-თქო) გამოიყენება: „მე მოვახსენე, რომ ამა და ამ სოფლიდან ვარ-თქვა და ამა და ამ კაცის შვილი-თქვა“ (კლდ.); სიტყვა მივეცი პატიოსანი, თქვენი შვილის მეთვალყურე ვიქნები-თქვა, მე ვუპატრონებ, თუ რამე გასაჭირი შეხვდა-თქვა (კლდ., I, 36); დავპირდი, რომ მსაჯულს მე თვითონ მოველაპარაკები-თქო (წერ, 8, 102) (კვაჭაძე 1988 : 459).

ამ მაგალითებში -მეთქი ნაწილაკის მაგივრად გამოყენებული -თქვა (-თქო) ნაწილაკით გადმოცემული სხვათა სიტყვა ევიდენციალურია. პირველი პირის ნათქვამს ჰყავს მიმართვის საგანი, კერძოდ, III პირი, ვისთვისაც ეს ინფორმაცია მეორე ხელიდანაა მიღებული და ამიტომაც ევიდენციალურია. ანუ აქ ის ვითრება გვაქვს, როდესაც -მეთქი ნაწილაკით გადმოცემული პირველი პირის ნათქვამი III პირს მიემართება და სწორედ ამ პირისათვისაა ევიდენციალური ეს ინფორმაცია.

ო ნაწილაკი იშვიათად ორივე (-მეთქი და -თქო) ნაწილაკის ნაცვლად შეიძლება შეგვხვდეს. ამისი მაგალითები გ. კარტოზიას, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ მოჰყავს:

„მონააო ასმათისი“. – „რა იცისო, – ვარქვი, – ჰკითხე!“ 357[359].

...

ესე უთხარ: „ამის მეტსა მოციქულობ ნურას ნუო. . .“ 1476[1482]. (კარტოზია 2004:171).

გ. კარტოზიას მიერ მოყვანილ მაგალითებშიც -მეთქი და -თქო ნაწილაკების ნაცვლად გამოყენებული ო ნაწილაკიანი ფორმები ევიდენციალურია, რადგან ჰყავთ ინფორმაციის მიმღები პირები, ვისთვისაც ეს ინფორმაცია მეორე ხელიდანაა მიღებული.

მაშასადამე, -მეთქი და -თქო ნაწილაკების ნაცვლად გამოყენებული ო ნაწილაკიანი სხვათა სიტყვა ევიდენციალობის თვალსაზრისით იმგვარია, რომელი ნაწილაკის ნაცვლადაც გამოიყენება.

ამრიგად, ზემოთ შემოთავაზებული სამი წევრის მიხედვით სხვათა სიტყვის ნაწილაკების შემცველი მეტყველებების აქტის განხილვა ზუსტად წარმოგვიდგენს ვისთვის, რომელი პირისათვის არის ინფორმაცია მიღებული სხვა წყაროდან (ცხრილი №2), ანუ ვისთვისაა ინფორმაცია ევიდენციალური და ვისთვის – არა.

### ლიტერატურა:

- აიხენვალდი 2004** – Aikhenvald A. 2004, Evidentiality. Oxford: Oxford University Press.
- ბოდერი 2000** – Boeder W. Evidentiality in Georgian, In collection: Johanson, Lars; Bo Utas (ed.), Evidentials: Turkic, Iranian and Neighbouring Languages. 2000. Mouton de Gruyter, Berlin. Empirical Approaches to Language Typology 24.
- კარტოზია 2004** – გ. კარტოზია, სხვათა სიტყვის ნაწილაკი „ვეფხისტყაოსანში“, ტექსტოლოგიური გამოკვლევები, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2004.
- კვაჭაძე 1988** – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1988.
- კიზირია 1974** – ა. კიზირია, ქართული ენა, პრაქტიკუმი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1974.
- ტოფაძე 2011** – Topadze Gäumann M. The Expression of Evidentiality between Lexicon and Grammar. A Case Study from Georgian, LINGUISTIC DISCOVERY, DARTMOUTH COLLEGE, Volume Issue 2, 2011 <https://journals.dartmouth.edu/cgi-bin/WebObjects/Journals.woa/xmlpage/1/article/392?htmlAlways=yes>
- ტურნადრე, ლაპოლა 2014** – Tournadre, N. and LaPolla R. J. «Towards a new approach to evidentiality». Linguistics of the Tibeto-Burman Area 37:2, 240–263, <http://www.nicolas-tournadre.net/wp-content/uploads/multimedia/2014-evidentiality.pdf>
- შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ. ტ. III, „თსუ გამომცემლობა“, თბილისი, 1980.

## ნინო შარაშენიძე

### მოდალობის კატეგორია და ქართული ლექსიკოგრაფია<sup>1</sup>

#### 1.1. მოდალობის სისტემა ქართულში

მოდალური სემანტიკა ენის ყოველ დონეზე ვლინდება, მაგრამ მოდალური კატეგორიის მანარმოებლად მიჩნეულია ის ენობრივი ფორმები, რომლებიც მოდალური სემანტიკის მუდმივი გამომხატველია ენაში. ამ ფორმების გამოყენებას ყოველთვის შეაქვს მოდალური სემანტიკა ფრაზაში ან დისკურსში.

ქართულ ენაში მოდალობის კატეგორია გამოიხატება მოდალური ფორმებით (მოდალური ელემენტებით). ამ ფორმების ერთი ნაწილი გრამატიკალიზაციის შე-

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 218 000 „მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში“



დეგად ზმნებისგან არის მიღებული (ჯორბენაძე 1993; შარაშენიძე 2017). თანამედროვე ქართული ენის გრამატიკაში ისინი ძირითადად ნაწილაკთა კლასში განიხილება. ეს ფორმებია: უნდა, შეიძლება, იქნებ, ეგებ, ლამის, ნეტავ, ... ამ ფორმებთან ერთად ზმნის კავშირებითი ან თხრობითი კილოს გამოყენებით იქმნება მოდალური სემანტიკა. ქართულ ენაში კილოს კატეგორია ზმნის უღლების პარადიგმის შემადგენელი ნაწილია და რამდენიმე მწკრივითაა წარმოდგენილი<sup>1</sup>. კავშირებითი კილოს ფორმები ძირითადად გამოიყენება რომელიმე მოდალურ ფორმასთან ერთად ან რთული წინადადების შემადგენელ დამოკიდებულ წინადადებაში. ამდენად, მოდალურ სემანტიკას გადმოსცემს მოდალური ელემენტისა და მწკრივის ფორმის კომბინაცია. გარდა მოდალური ელემენტებისა (ნაწილაკებისა), ქართულში მოდალობის სემანტიკას გამოსატყავს რამდენიმე ზმნა. **ვიცი** ზმნა, გარდა კოგნიტური მნიშვნელობისა, გამოყენებულია დინამიკური მოდალობის (დისპოზიციონალისი) გადმოსაცემად. „ვიცი“ ზმნური ფორმისა და მასდარის კომბინაცია გამოსატყავს უნარს, შესაძლებლობას: *ვიცი ვიტარაზე დაკვრა, იცის ცურვა, სრიალი...* ამავე ფუნქციით გამოიყენება **შემიძლია / შეუძლია** ზმნაც, თუმცა მას ასევე აქვს შესაძლებლობის სემანტიკაც. **მომიწევს / მოუწევს** ზმნის ფორმას, რომელიც სამივე პირისა და დროის ფორმით გამოიყენება და აღნიშნავს ობიექტური აუცილებლობით გამოწვეულ მოქმედებას: *არ მიხდოდა წასვლა, მაგრამ მომიწევს; მოგიწევს ამის გაკეთება, მოუწია მუშაობა* – მსგავსი ფრაზები აღნიშნავს, რომ მიუხედავად მთქმელის განწყობისა, ობიექტური აუცილებლობის გათვალისწინებით მოქმედება განხორციელდება. **ადგა** ზმნა კი გადაწყვეტილების მიღების გამომხატველია. მოდალური ფუნქციით იგი გამოიყენება და კავშირთან ერთად: *ადგა და უთხრა, ავდექი და წამოვედი... შენც ადექი და გააკეთე...* გარდა უღლებადი ფორმებისა, მოდალობას გამოსატყავს სხვადასხვა პირის ფორმით გაქვავებული და მოდალობის სემანტიკით გამოყენებული ზმნური ფორმა: **ღირს** – მესამე პირის ფორმასა და შეფასებით დამოკიდებულებას გადმოსცემს: *სწავლის გაგრძელება ნამდვილად ღირს; არ ღირს წასვლა...* **მოდი** – სვლა ზმნის მეორე პირის ბრძანებითი კილოს ფორმასა და მოდალური ფუნქციით გადმოსცემს ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებას, გამოსატყავს მთქმელის სურვილს, გადაწყვეტილებას მოქმედებისათვის. **მიდი** – სვლა ზმნის მეორე პირის ფორმასა და გამოიყენება ნაქეზების მნიშვნელობით: *მოდი ერთად წავიკითხოთ; მიდი, წაიკითხე...*

თხოვნის მოდალობას გამოსატყავს როგორც მოდალური ნაწილაკები (ეგებ, იქნებ), ასევე მოდალური მორფემოიდი „**რა**“, რომელიც წარმოშობით კითხვითი ნაცვალსახელია და მიჩნეულია, რომ ფრაზის „რა მოხდება“ ცვეთის შედეგადაა

<sup>1</sup> ქართულ ენაში ზმნის უღლების სისტემა დაყოფილია სერიებად, რომელსაც საფუძვლად უდევს მორფო-სინტაქსური პრინციპი. პირველ სერიაში არის ორი წრე და ექვსი მწკრივი, მეორე სერიაში არის ორი მწკრივი, ხოლო მესამე სერიაში არის სამი მწკრივი. მწკრივი კომპლექსური კატეგორიაა და მოიცავს პირის, რიცხვის, დროის, კილოსა და ასპექტის კატეგორიებს. პირველ სერიაში ორი მწკრივი კავშირებითი კილოს ფორმებია (ანმყოფ კავშირებითი და მყოფადის კავშირებითი), მეორე სერიაში არის ერთი კავშირებითი კილოს მწკრივი (მეორე კავშირებითი, ე.წ. ოპტატივი), მესამე სერიაში არის ერთი კავშირებითი კილოს მწკრივი (მესამე კავშირებითი) (შანიძე 1980). მესამე კავშირებითი მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის გამონათქვამებში გამოიყენება, მაგრამ მისი ფუნქციები განიხილა მეორე თურმეობითის ფორმამ, რომელიც სისტემატურად გამოიყენება მოდალურ ელემენტთან ერთად მოდალური სემანტიკის გადმოსაცემად.

მიღებული (ჯორბენაძე 1988) იგი დაერთვის ზმნის ბრძანებითი კილოს ფორმას და აქცევს მას თხოვნის მოდალობის გამომხატველ ფრაზად: *ნაიკითხე რა, მომიტანე რა... მუქარისა და ნაქეზების სემანტიკას გამოსატავს „ერთი“ ფორმაც: აბა ერთი არ გაგიკეთებია!... გაიქეცი ერთი და მომიტანე წყალი...*

მთქმელის დამოკიდებულებას და სხვადასხვა მოდალურ სემანტიკას გამოსატავს მოდალური გამოთქმები, რომლებიც წინადადებაში დამატებითი ინფორმაციის ფუნქციით გამოიყენება და წინადადების დანარჩენი ნაწილისაგან მძიმეებით გამოიყოფა. მათ მოდალურ ინდიკატორებს ვუნოდებთ, რადგან წინადადებით გამოსატყული აზრისადმი მთქმელის დამოკიდებულებას აჩვენებს და დამატებით აძლიერებს წინადადებით გამოსატყულ მოდალობას.

ამდენად, მოდალობის გამომხატველი სისტემა ქართულში მოიცავს როგორც გრამატიკალიზაციის შედეგად მიღებულ მოდალურ ელემენტებს, ისე ზმნებსა და სპეციალურ სიტყვა-გამოთქმებს.

(1) მოდალობის სისტემა ქართულში:

<b>მოდალური ელემენტები, ნაწილაკები</b>	უნდა	ეპისტემური მოდალობა, ლოგიკური აუცილებლობა; დეონტური მოდალობა, ვალდებულება
	იქნებ	სურვილის მოდალობა, თხოვნა
	ეგებ	ვარაუდი, თხოვნა
	შეიძლება / შესაძლოა / შესაძლებელია	ეპისტემური მოდალობა, ლოგიკური შესაძლებლობა
	ლამის, თითქმის, თითქოს, კინალამ	შეფასების მოდალობა
	ალბათ	ვარაუდი
	ვერ	შესაძლებლობის უარყოფა
	განა, ნუთუ, აკი	შეფასება, გამოიყენება კითხვით კონსტრუქციაში
<b>მოდალური ზმნები</b>	ვიცი, შემიძლია, მომიწევს, ადგა	უღლებადი ფორმები, გამოსატავს უნარს, შესაძლებლობას (ვიცი, შემიძლია), ლოგიკურ აუცილებლობას (მომიწევს); გადანყვეტილებას (ადგა)
	ღირს მოდი მიდი	გაქვავებული ფორმები, გამოსატავს, შეფასებას (ღირს), გადანყვეტილებას (მოდი), ნაქეზებას (მიდი)
<b>მოდალური მორფემოიდები</b>	რა ერთი	გამოსატავს თხოვნას (რა); ნაქეზებას ან დამუქრებას (ერთი)
<b>მოდალური გამოთქმები / ინდიკატორები</b>	სამწუხაროდ, საბედნიეროდ, რასაკვირველია, ვფიქრობ, ჩანს...	გამოსატავს გამონათქვამისადმი მთქმელის დამოკიდებულებას

## 1.2. მოდალობის სისტემის ზოგადი ანალიზი (უნდა ფორმის მაგალითზე)

მოდალური ფორმები, მათ მიერ შექმნილი კონსტრუქციები და სემანტიკა ქართულ ენაში მეტად მრავალფეროვან და არაერთგვაროვან სურათს ქმნის. ამდენად, მოდალობის სისტემის ზოგადი ანალიზისათვის ძირითადად განვიხილავთ უნდა ფორმას<sup>1</sup>.

### 1.2.1. უნდა ზმნის გრამატიკალიზაციის შედეგად მიღებული ფორმები

„ნდომა“ ზმნის (სურს; სჭირდება) გრამატიკალიზაცია რამდენიმე ეტაპს მოიცავს და ეხება როგორც ზმნის მესამე პირის ფორმის (უნა > უნდა > უნდა), ისე მეორე პირის ფორმის (გინა > გინდა > გინდ) ფუნქციურ ცვლილებას.

გინა „ნდომა“ ზმნის ახლანდელი დროის მეორე პირის ფორმა იყო. გრამატიკალიზაციის პირველი ეტაპი მეორე პირის ფორმას დაუკავშირდა, რომელშიც ვლინდება სუბიექტის მიერ ობიექტისათვის შეთავაზებული არჩევანი. „გინა“ ზმნური ფორმის რეანალიზის შედეგად მივიღეთ პირველი მოდალური ელემენტი „გინა“ მაკავშირებელი საშუალების სახით. მისი გრამატიკალიზაცია განვითარების ამგვარ სურათს გაჩვენებს: გინა > გინდა > გინდ > გინდაც > თუ გინდა / თუ გინდ > თუგინდაც. გრამატიკალიზაციის პროცესი გულისხმობს ფორმის ამგვარ გარდაქმნას: რეანალიზი (reanalysis) > დეკატეგორიზაცია (Decategorilization) > ფონოლოგიური რედუქცია (phonological reduction).

გრამატიკალიზაციის მეორე მიმართულებაა „ნდომა“ ზმნის მესამე პირის ფორმის გარდაქმნა მოდალურ ელემენტად (უნა > უნდა > უნდა), რომელმაც გაცილებით უფრო მეტი მოდალური სემანტიკა განივითარა, ვიდრე მეორე პირის ფორმამ, თუმცა მას არ განუცდია მნიშვნელოვანი ფორმოზრივი ცვლილება. გრამატიკალიზაციის შედეგად უნდა ფორმის განვითარების ამგვარი გზა შეიძლება წარმოვიდგინოთ: რეანალიზი (reanalysis) > დეკატეგორიზაცია (Decategorilization) > აბსტრაგირება > ფონოლოგიური რედუქცია (phonological reduction). აბსტრაგირება (“abstracting out”) გულისხმობს „უნდა“ ფორმის მოდალური სემანტიკის მრავალმხრივ განვითარებას, რაც თანამედროვე ქართულში სემანტიკურად ჭარბ და მრავალფუნქციურ სურათს ავლენს. რაც შეეხება ფონოლოგიურ რედუქციას, იგი უშუალოდ „უნდა“ ფორმას არ უკავშირდება, მოდალურ კონსტრუქციებში მან სრულად შეინარჩუნა ფორმა, მაგრამ „თუნდ“ ფორმაში კი რედუქციის პროცესი გაგრძელდა: [უნა] > უნდა > უნდა > თუ უნდა > თუნდა > თუნდ > თუნდაც (Sharashenidze 2017).

### 1.2.2. უნდა და კონსტრუქცია

უნდა მოდალური ფორმა რამდენიმე მოდალურ სემანტიკას გადმოსცემს: ლოგიკურ აუცილებლობას, მოვალეობას, გადაწყვეტილებას, სურვილს, ვარა-

<sup>1</sup> ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე „მოდლობის კატეგორია ქართულ ენაში“. კვლევა დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 218 000 „მოდლობის კატეგორია ქართულ ენაში“. მოდალური სისტემის სრული ანალიზი წარმოდგენილი იქნება მონოგრაფიაში.

უდს. **უნდა** ყოველთვის ზმნის წინა პოზიციაშია და მას უშუალოდ მოჰყვება ზმნა: **unda + Verb**. რამდენადაც **უნდა** მოდალი „**ნდომა**“ ზმნის გრამატიკალიზაციის შედეგადაა მიღებული და მას ფორმის ცვლილება არ განუცდია, ის სრულიად ემთხვევა „**ნდომა**“ ზმნის მესამე პირის ფორმას: **მას უნდა ის**. თანამედროვე ქართულში ერთნაირი სიხშირით გამოიყენება **უნდა** ფორმა ზმნური ფუნქციით და **უნდა** ნაწილაკი მოდალური ფუნქციით. მათი განსხვავება შესაძლებელია მხოლოდ კონსტრუქციით: **უნდა** ზმნა ყოველთვის დატიური კონსტრუქციისაა, ხოლო **უნდა** ნაწილაკი უცვლელია და ვერ ქმნის კონსტრუქციას - მასთან დაკავშირებული ნომინალური ფრაზის ბრუნვა განსაზღვრულია ძირითადი ზმნის ფორმით:

(1) ბავშვს ნამცხვარი **უნდა**.

(2) ბავშვმა ნამცხვარი **უნდა** ჭამოს.

წინადადება (1) გვიჩვენებს, რომ **უნდა** ზმნური ფუნქციითაა გამოყენებული. მას უკავშირდება დატიური კონსტრუქცია - ბავშვს-ს dat. – ნამცხვარ-ი nom., რაც დამახასიათებელია ამ ტიპის ინვერსიული ზმნებისათვის. წინადადება (2) კი ერგატიულ კონსტრუქციას ავლენს, რაც გარდამავალი „ჭამა“ ზმნის კონსტრუქციაა და მასზე გავლენას ვერ ახდენს **უნდა** ნაწილაკის გამოყენება. ამდენად, წინადადების კონსტრუქციის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა ენიჭება **უნდა** ფორმის ფუნქციას (Sharashenidze 2017; Harris&Campbell 1995).

### 1.2.3. დროისა და ასპექტის გამოხატვა

**უნდა** მოდალური ფორმა ძირითადად ზმნის სამი მწკრივის ფორმასთან დასტურდება, ეს მწკრივებია: აწმყოს კავშირებითი, მეორე კავშირებითი და მეორე თურმეობითი (Sharashenidze 2014). მოცემული კონსტრუქციები ძირითადად დროის მიხედვით ნაწილდება: აწმყოს კავშირებითი გადმოსცემს ზოგად ან ახლანდელ დროსა და უსრულ ასპექტს, მეორე კავშირებითი - მომავალ დროს, ხოლო მეორე თურმეობითი - წარსულ დროს.

მწკრივის ფორმა	კონტექსტი	პოზიცია	დრო / ასპექტი	სემანტიკა
აწმყოს კავშირებითი	უნდა ვაკეთებდე	უნდა +V	ახლანდელი / ზოგადი დრო / უსრული ასპექტი	ლოგიკური აუცილებლობა, ვალდებულება, სურვილი...
მეორე კავშირებითი	უნდა გავაკეთო უნდა ვაკეთო	უნდა +V	მომავალი დრო, სრული ასპექტი (ზმნისწინიანი ფორმა) უსრული ასპექტი (უზმნისწინო ფორმა)	ლოგიკური აუცილებლობა, ვალდებულება, სურვილი...
მეორე თურმეობითი	უნდა გამეკეთებინა უნდა მეკეთებინა	უნდა +V	წარსული დრო, სრული ასპექტი (ზმნისწინიანი ფორმა) უსრული ასპექტი (უზმნისწინო ფორმა)	ლოგიკური აუცილებლობა, ვალდებულება, სურვილი...

### 1.2.4. უნდა ფორმა და მთქმელის განუსაზღვრელი დამოკიდებულება

უნდა ფორმა სხვა მოდალური სემანტიკითაც დასტურდება გარკვეულ ფრაზულ გამოთქმებში. ამგვარი გამოთქმებით გამოხატულია აზრი, რომ მთქმელის დამოკიდებულება განუსაზღვრელია, მნიშვნელობა არ ენიჭება, ვინ / რა / სად / როგორი / რამდენი იქნება ობიექტი, მთქმელის დამოკიდებულება მისდამი განურჩეველია. მოდალური ფრაზა დამახასიათებელია რთული წინადადებისათვის. მოდალური ფრაზა ძირითადად წარმოდგენილია დამოკიდებულ წინადადებაში, რომელიც უმეტესად პირველ ადგილზე გვხვდება.

I წინადადება (დამოკიდებული წინადადება)			II წინადადება	
ვინც / რაც / სადაც / როგორიც / რამდენიც ...	(არ) უნდა	ზმნა	მაინც	ზმნა
მთქმელის განუსაზღვრელი დამოკიდებულება			შედეგი	

მთავარ წინადადება მეორე პოზიციას იკავებს, მასში მოცემული ზმნა მოქმედების შედეგს გულისხმობს, ხოლო დამოკიდებული წინადადებით გამოხატული სემანტიკა ავლენს მთქმელის განურჩეველ დამოკიდებულებას.

**(3) ვინც არ უნდა იყოს ოფისში, დაუტოვე ეს დოკუმენტი** - ფრაზით გამოხატულია აზრი, რომ სულერთია, მთქმელისთვის მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, თუ ვინ იქნება ოფისში, მოქმედება (დოკუმენტის დატოვება) უნდა შესრულდეს.

**(4) რაც არ უნდა გააკეთოს, მაინც არ მინდა** - მთქმელისთვის მნიშვნელობა არ ენიჭება, სულერთია, განუსაზღვრელია ქმედების ობიექტი.

**(5) სადაც არ უნდა წავიდეს, მაინც მოვძებნი** - ფრაზაში გადმოცემულია აზრი, რომ მთქმელისთვის განუსაზღვრელია, მნიშვნელობა არ ენიჭება ადგილს, მომდევნო ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებისათვის.

**(6) როგორიც არ უნდა იყოს, ნუ იყიდი** - მთქმელისთვის მნიშვნელობა არ ენიჭება ხარისხს, მთავარი წინადადებით გადმოცემული მოქმედების შესრულებისათვის.

**(7) რამდენიც არ უნდა მისცე, მაინც არ გაყიდის** - მთქმელისთვის მნიშვნელობა არ ენიჭება რაოდენობას მთავარი წინადადებით გადმოცემული მოქმედების შესრულებისათვის.

### 1.2.5. უნდა ფორმით შექმნილი მოდალური გამოთქმები

უნდა ფორმით შექმნილი კოლოკაციების ანალიზმა გამოავლინა რამდენიმე გამოთქმა, რომელიც სპეციალურ მოდალურ სემანტიკას გადმოსცემს. ამ თვალსაზრისით დამუშავდა KaWaC კორპუსის მონაცემები<sup>1</sup>.

უნდა ფორმა და „რა“ კითხვითი ნაცვალსახელი ქმნის რამდენიმე მოდალურ გამოთქმას, რომელშიც აშკარად ჩანს მთქმელის დამოკიდებულება გამონათქვა-

<sup>1</sup> KaWaC - <http://corpus.leeds.ac.uk/internet.html>



მისადმი. წინადადებაში გამოყენებულია „რა“ კითხვითი ნაცვალსახელი, მაგრამ წინადადება არაა კითხვითი. განხილული მაგალითებისგან განსხვავებით, „უნდა“ ფორმის მნიშვნელობაა „საჭიროა“. ეს გამონათქვამებია:

**(8) ამის გაკეთებას რა უნდა** - ფრაზის მნიშვნელობაა „ადვილია, ძალიან იოლი“.

**(9) ამ წიგნს აქ რა უნდა** - ფრაზის მნიშვნელობაა „მისი ადგილი აქ არ არის“.

**(10) ამან რა უნდა დანეროს** - ფრაზის მნიშვნელობაა „ვერ დანეროს“.

„უნდა“ ფორმით არის შექმნილი რამდენიმე მოდალური გამოთქმა, რომლებიც წინადადებაში მოდალური ინდიკატორის როლს ასრულებენ და მიუთითებენ მთქმელის დარწმუნებულობას გამონათქვამის ჭეშმარიტებაში. **რა თქმა უნდა / რალა თქმა უნდა** - გამოთქმები მთელ წინადადებას მიემართება და წინადადებით გადმოცემული აზრის ჭეშმარიტებას ადასტურებს.

**(11) რა თქმა უნდა, ეს ამბავი მალე გაიგო ყველამ** - მოდალური გამოთქმის საშუალებით გამოხატულია მთქმელის დარწმუნებულობა და ლოგიკური აუცილებლობით განპირობებული დასკვნა.

## 2. მოდალური ფორმების ასახვა ქართული ენის ლექსიკონებში

მოდალური ფორმები ყველაზე უფრო სრულად ასახულია სპეციალურ ლექსიკონში, რომელიც სპეციალისტებისთვისაა განკუთვნილი. მასში შესულია ძველ და ახალ ქართულ ენაში, ასევე დიალექტებში გავრცელებული მორფემები და მოდალური ელემენტები (ჯორბენაძე 1988) ლექსიკონში განმარტებულია მორფემები, მოდალური ელემენტები და დამოუკიდებელი მნიშვნელობის ის ფორმები, რომლებიც გამოყენებულია თანდებულების, ნანილაკებისა და დამხმარე ზმნების დანიშნულებით. სალექსიკონო სტატიის აგების პრინციპი შეიცავს ფორმის განმარტებას, დანიშნულებას და შენიშვნებს, რომლებიც ძირითადად წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას მოცემული ფორმის შესახებ. ლექსიკონში შეინიშნება ტერმინოლოგიური მრავალფეროვნება, კერძოდ, გამოყენებულია ტერმინები: მოდალური ელემენტი (ალბათ), მოდალური ფორმა (უნდა, შეიძლება), ნანილაკი-მორფემოიდი (ეგებ, იქნებ, ნეტავ, ლამის, თითქმის, თითქოს, კინაღამ, მაინც, ვერ, განა, აკი, ნუთუ). მაგრამ ლექსიკონში არ დასტურდება ისეთი ფორმები, რომლებიც მოდალური სემანტიკით გამოიყენება ენაში, ასეთებია: ადგა, შემოძლია, მომიწევს, ვიცი, რა, ღირს.

მოდალური ფორმების სალექსიკონო ფორმების გაანალიზებისათვის დამუშავდა რამდენიმე ლექსიკონი: სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, გ. ცოცანიძე, ნ. ლოლაძე, ქ. დათუკიშვილი „ქართული ლექსიკონი“. ლექსიკონთა მონაცემების დამუშავებამ რამდენიმე საკითხი გამოავლინა.

**1. მოდალური სემანტიკა არასრულადაა ასახული ლექსიკონში, ინფორმაცია ფორმის შესახებ არასრულია.** ამის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ

**უნდა** სალექსიკონო ერთეული: სტატიაში წარმოდგენილია **უნდა** ზმნის ორი მნიშვნელობა (1. *სურვილი, ნდომა აქვს, სურს, სწადია*; 2. *ესაჭიროება, საჭიროა მისთვის*), შემდეგ მოცემულია სამი გამოთქმა(რა(ლა) თქმა უნდა, რა გინდა სულო და გულო, ვისაც არ უნდა). ბოლოს კი აღნიშნულია: „უნდა დამხმარე სიტყვა, იხმარება კავშირებითის ფორმასთან.“ სტატიაში არაა მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სემანტიკა აქვს მოცემულ ფორმას სხვადასხვა მწკრივის ფორმასთან. ასევე არაზუსტია განმარტება იმ თვალსაზრისითაც, რომ **უნდა** ფორმა არ გამოიყენება ყველა კავშირებით მწკრივთან, მაგალითად, ის არასოდეს არ დასტურდება მყოფადის კავშირებითთან და მესამე კავშირებითთან, მაგრამ გამოიყენება მეორე თურმეობითთან, რომელიც არ არის კავშირებითი კილოს მწკრივი. ასეთივე არასრულია ინფორმაცია **შეუძლია, იცის, ღირს** ფორმების შესახებაც.

**2. მოდალური ფორმა განმარტებულია სინონიმური ფორმით.** მაგალითად, ეგებ მოდალური ფორმა განმარტებულია ამგვარად: „**ეგებ, ეგება, ეგები(ს)** ნაწილაკი. *იქნებ, იქნება, შეიძლება, ვინ იცის, ვინძლო.*“ (ქეგლ). ამ განმარტების შემდეგ მოცემულია ორი კონტექსტი სალექსიკონო ფორმის სემანტიკის მითითების გარეშე. სინონიმური ერთეულებით განმარტება არ იძლევა იმ სემანტიკურ განსხვავებას, რომლებიც ამ ფორმებს შორის არსებობს, ამდენად, ამგვარი განმარტება სრული ინფორმაციის შემცველი არაა.

**3. მოდალური ფორმები არაა წარმოდგენილი ლექსიკონებში.** ამგვარი ფორმებია: **მოუნვეს, ღირს, მოდი, მიდი, ადგა, რა, ერთი, შესაძლოა, შესაძლებელია.**

ამდენად, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონები არასრულ ინფორმაციას იძლევა მოდალური ფორმების შესახებ და მათში არაა ასახული ის სემანტიკური მახასიათებლები, რომლებიც მოდალურ ფორმებს აქვთ.

### **3. მოდალობის გამომხატველი ფორმების ლექსიკონში ასახვის პრინციპი**

მოდალური ფორმების შესახებ ლექსიკონში მოცემული ინფორმაცია მაქსიმალური სისრულით უნდა ასახავდეს როგორც მოდალური ფორმის ფუნქციონირებას, ისე მის სემანტიკას და ასევე კოლოკაციებს. ლექსიკონში ცალკე სტატია უნდა ეთმობოდეს ზმნურ ფორმას და ცალკე გრამატიკალიზაციის შედეგად მიღებულ მოდალურ ფორმას. სალექსიკონო სტატია აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს კორპუსის მონაცემების ანალიზს და განმარტების ყოველი პუნქტი წარმოდგენილი უნდა იყოს კონტექსტით.

მოცემული პრინციპის საწინააღმდეგოდ მოცემულია ცხრილი, რომლის მარცხენა სვეტში წარმოდგენილია მოდალური ფორმის ზოგადი მახასიათებლები, ხოლო მარჯვენა სვეტში კი მოცემულია ერთი მოდალური ფორმის სალექსიკონო სტატიის ნიმუში.

<b>მოდალური ფორმა</b>	<b>უნდა</b>
<b>ფუნქცია</b>	მოდალური ფორმა. გამოიყენება მოდალური ფუნქციით, დაერთვის ზმნის ფორმას და გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას გამონათქვამისადმი.
<b>ადგილი ზმნასთან მიმართებით</b>	ყოველთვის უშუალოდ წინ უძღვის ზმნას: უნდა + ზმნა.
<b>სემანტიკა</b>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. <b>აუცილებლობა</b> - აუცილებლად უნდა ნავიდე.</li> <li>2. <b>მორალური ვალდებულება</b> - ყველა ადამიანი უნდა დაიცვას კანონი.</li> <li>3. <b>ვალდებულება</b> - შენ ეს უნდა დანერო.</li> <li>4. <b>ლოგიკური აუცილებლობა</b> - ის ახლა სახლში უნდა იყოს.</li> <li>5. <b>ვარაუდი</b> - ეს ახალი ამბავი მართალი არ უნდა იყოს.</li> <li>6. <b>სურვილი</b> - ეს ფილმი უნდა ვნახო.</li> </ol>
<b>მოდალური ფორმისა და მწკრივის კომბინაცია</b>	<p><b>ანმცოს კავშირებითი</b> ფორმასთან გამოხატავს ახლანდელ დროს ან ზოგად ანმცოს: ყველა ადამიანი უნდა იცავდეს კანონს.</p> <p><b>მეორე კავშირებითი</b> გამოიყენება მომავალი დროის მნიშვნელობით: ეს აუცილებლად უნდა ნავიკითხო.</p> <p><b>მეორე თურმეობითი</b> ფორმასთან გამოიყენება წარსული დროის მნიშვნელობით; ეს აუცილებლად უნდა გამეკეთებინა, მაგრამ ვერ გავაკეთე.</p>
<b>სინტაქსური კონსტრუქცია</b>	<p><b>უნდა</b> უცვლელი ფორმაა, წინადადების კონსტრუქციას ქმნის ძირითადი ზმნა:</p> <p><i>მოქალაქე ყოველთვის უნდა იცავდეს კანონს.</i></p> <p><i>მოქალაქემ ყოველთვის უნდა დაიცვას კანონი.</i></p> <p><i>მოქალაქეს უნდა დაეცვა კანონი.</i></p>
<b>მოდალური გამოთქმები</b>	<p>მოდალური გამოთქმა - <b>ვინც/რაც/სადაც/როგორც/რამდენიც (არ) უნდა იყოს</b> - გამოხატავს მთქმელის განურჩეველ დამოკიდებულებას: ვინც (არ) უნდა იყოს ოფისში, ეს დოკუმენტები დაუტოვე. გამოთქმა სასაუბრო მეტყველებაში ხშირად გამოიყენება <b>არ</b> ნაწილაკთან ერთად, გამოთქმა გვხვდება არ ნაწილაკის გარეშეც.</p>
<b>ფრაზული გამოთქმები</b>	<p><b>რა</b> ნაცვალსახელთან ერთად გამოყენებისას ქმნის რამდენიმე სემანტიკას და გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას გამონათქვამისადმი. მისი მოდალური მნიშვნელობა დაკავშირებულია <b>ნდომა</b> ზმნის მეორე მნიშვნელობასთან: სჭირდება, ესაჭიროება.</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. <i>ამის გაკეთებას რა უნდა</i> - ფრაზის მნიშვნელობაა „ადვილია, ძალიან იოლია“.</li> <li>2. <i>ამ წიგნს აქ რა უნდა</i> - ფრაზის მნიშვნელობაა „მისი ადგილი აქ არ არის“.</li> <li>3. <i>ამან რა უნდა დანეროს</i> - ფრაზის მნიშვნელობაა „ვერ დანერს“.</li> </ol>
<b>მიმართება სხვა მოდალურ ფორმებთან</b>	შეიძლება სხვა მოდალურ ფორმასთან ერთად გამოყენება: <i>ალბათ უნდა ნავიდე</i> - ვარაუდი და ვალდებულება.

ფორმის მიღების გზა:	მიღებულია <b>ნდომა</b> ზმნის მესამე პირის ფორმისაგან.
სალექსიკონო ფორმასთან დაკავშირებული სხვა ფორმები	<b>ნდომა</b> ზმნის მეორე პირის ფორმა (გინა > გინდა > გინდ) ასევე გამოიყენება მოდალური სემანტიკით. იხ. <b>გინდა, გინდ, გინდაც, თუნდა, თუნდ, თუნდაც</b>

#### 4. მოდალურ ფორმათა მონიშვნა ქართული ენის კორპუსებში და კორპუსზე დაფუძნებულ ლექსიკონში მოდალური ფორმების ასახვის პრინციპი

სემანტიკური ანოტირება ენის კორპუსული დამუშავების მნიშვნელოვანი ეტაპია. სემანტიკური ანოტირებისას ფორმას უნდა მიეთითოს, რომ ის არის მოდალობის კატეგორიის მანარმოებელი საშუალება, ამისათვის შეიქმნა მარკერი **“Modal”**, რომელიც მიეთითება ყოველ მოდალურ ფორმას. მიმდინარეობს ორი კორპუსის – ქართული ენის დიალექტების კორპუსისა (<http://corpora.co/#/>) და ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსის (<http://sml.corpora.co/#/>) მონაცემთა დამუშავება. შეიქმნა მოდალური ფორმის განმარტების კონცეფცია და ჩარჩო. იქმნება კორპუსზე დაფუძნებული ლექსიკონები. მოდალური ფორმების განმარტება მოცემულ ლექსიკონებში წარმოდგენილი იქნება განხილული კონცეფციის მიხედვით.

#### 5. დასკვნა

მოდლობის კატეგორიის მანარმოებელი ფორმები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებში არაა ასახული შესაბამისი სისრულით. ეს პრობლემა შესაძლოა მოგვარდეს კორპუსზე დაფუძნებული ლექსიკონების შექმნის პროცესში. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ნაშრომში განხილული კონცეფციის მიხედვით ჩარჩოს შექმნა და ელექტრონულ ლექსიკონებში მოდალური ფორმების შესახებ სრული ინფორმაციის დაფიქსირება. სამომავლოდ აღნიშნული პრინციპი უნდა გადავიდეს ქართული ენის სხვა ელექტრონულ ლექსიკონებშიც.

მოდალური ფორმები მნიშვნელოვანია ენის პრაგმატული დონის კვლევისათვის. ლექსიკონებში მონოდებული სრული ინფორმაცია მნიშვნელოვანი იქნება თარგმნითი ლექსიკონების განვითარების პროცესშიც. ასევე ეს მიდგომა გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო ელექტრონულ ლექსიკონებშიც, აგრეთვე ქართულის, როგორც მეორე ენისა და ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესშიც.

#### ლიტერატურა:

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1980  
**ჯორბენაძე და სხვები 1988** – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988.

**ჯორბენაძე 1993** – ბ. ჯორბენაძე, ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები X, თბილისი, 1993.

**Harris, Campbell 1995** – Harris A. C., Campbell L, Historical Syntax in Crosslinguistics Perspective, Cambridge, 1995.

**Sharashenidze 2017** – Sharashenidze N., Grammaticalization of unda form in Georgian, Historical Linguistics of the Caucasus, book of Abstracts, Paris, 12-14 April, 2017. <https://immocal.ifeaistanbul.net/2017/09/221/>

**Sharashenidze 2014** – Sharashenidze N., Epistemic Modality in Georgian, Verbum, 2014, vol. 5, 178 -192: <http://www.journals.vu.lt/verbum/article/view/5006>

### **ლექსიკონები:**

ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, 1991, 1993.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი 1950-1964:

<http://ena.ge/explanatory-online>

გ. ცოცანიძე, ნ. ლოლაძე, ქ. დათუკიშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2014

KaWaC - <http://corpus.leeds.ac.uk/internet.html>

<http://corpora.co/#/>

**ნინო ჭუმბურიძე,  
მარიამ კიკონიშვილი**

## **დიმინუტიური ფორმები ლიტერატურაში (ერთი მხატვრული თარგმანის მიხედვით)**

როგორც ცნობილია, დიმინუტივები (კნინობითი სახელები) ქართულში, ისევე როგორც ბევრ სხვა ენაში, გამორჩეულ და მეტად თავისებურ ჯგუფს წარმოადგენს. სხვა მანარმოებელთაგან განსხვავებით, ფუძეს დართული დიმინუტიური სუფიქსი სემანტიკურ მნიშვნელობას კი არ უცვლის მას, არამედ აზუსტებს: გვირვენებს, რომ საგანი (ობიექტი) სიდიდით უფრო ნაკლებია, ვიდრე ძირეული სახელით აღნიშნული. ამავე დროს დიმინუტივები გადმოგვცემენ მთქმელის ემოციურ დამოკიდებულებას საგნისადმი: მოფერება-აღერსს ან დაცინვა-დამცირებას.

მართალია, ქართულში კნინობითი სახელები არ არის ისე გავრცელებული, როგორც, მაგალითად, გერმანულსა ან რუსულში, მაგრამ კნინობითობის მანარმოებელთა რაოდენობა კი ბევრია: -ა, -ო, -აკ, -იკ, -ინ, -უნ, -უც, -ური, -უჭ, -უკ-ა, -იკ-ო, -უნ-ა, -უც-ა, -ური-ა, -უნ-ი-ა, -იკ-ელ-ა, -ოკ-ინ-ა, -უკ-ელ-ა... (თანამედროვე... 2011: 235).

დიმინუტიურ სუფიქსთა სიმრავლეს განაპირობებს ის, რომ ისინი ხშირად ერთმანეთის ბგერწერული ნაირსახეობებია. ამავე დროს, ფუნქციური თვალსაზრისით კნინობითობა მრავალ სემანტიკურ ნიუანსს მოიცავს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მანარმოებელ სუფიქსთა მრავალფეროვნებას (ქართული ენა 2008: 276).



უმრავლეს შემთხვევაში კინობითი სახელებით გამოხატულია ერთდროულად ობიექტის სიმცირე და მთქმელის ემოციურ-გამომსახველობითი დამოკიდებულება (დაცინვა, დამცირება, სიბრაღული, მოფერება, ალერსი): **კაც-უნა, პან-უკა, შტერ-უკა, ბიჭ-უკელა, გოგ-უცუნა, დათ-ურჩა...** ობიექტის სიმცირის გარდა შეიძლება გადმოცემული იყოს რაიმე ნიშან-თვისების მქონებლობა (ფიზიკური ნაკლი, ხასიათის თავისებურება, დამახასიათებელი ნიშანი, რაიმესთან ან ვინმესთან მსგავსება...): **ყრ-ურჩუნა, გლახ-უჭა, ბებრ-უხანა, მამა-ილა...**

რამდენადაც დიმიანუტიური ფორმები გვიჩვენებენ მთქმელის შემფასებლურ დამოკიდებულებას ობიექტის მიმართ, კინობითობის მანარმოებელი აფიქსები-სა და მათი მეშვეობით წარმოქმნილი სახელების სემანტიკა არ არის უცვლელი; კონტექსტის მიხედვით იცვლება სიტყვის ემოციური შეფერილობა; სუფიქსთა მონაცვლეობით ან დამატებით იქმნება ახალი, ემოციურად უფრო დატვირთული ფორმები.

ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში დიმიანუტივები ნაკლებად გვხვდება. ამ ფორმების სიმცირეს მკვლევრები იმით ხსნიან, რომ V–XI საუკუნეების სალიტერატურო ენა სასულიერო მწერლობის ენა იყო და მის სტილს კინობითი ფორმები არ შეეფერებოდა (მარტიროსოვი 1978:108).

ზოგადად, დიმიანუტივები თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც ნაკლებად გამოიყენება. სუბიექტური შეფასების გამომხატველი, ემოციურობით, ექსპრესიულობით გამორჩეული ფორმები დამახასიათებელია ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისათვის და განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული დიალექტებში.

ბუნებრივია, დიმიანუტივებს იყენებენ მწერლებიც, უფრო ხშირად, დიალექტური ან სასაუბრო მეტყველების გადმოცემისას. ისინი საჭიროების შემთხვევაში ზოგჯერ ოკაზიონალიზმებსაც მიმართავენ, რაც განსაკუთრებით საინტერესოა ენაში კინობითების წარმოქმნის შესაძლებლობათა წარმოჩენის თვალსაზრისით.

განვიხილავთ კინობითი სახელების გამოყენების შემთხვევებს მხატვრული ლიტერატურის მიხედვით. ამისათვის შევარჩიეთ მხატვრული თარგმანის ტექსტი, კერძოდ, ცნობილი მთარგმნელის, დავით წერედიანის მიერ გადმოქართულებული გრიმების ზღაპრები. როგორც ცნობილია, გერმანული ენა დიმიანუტივების სიხშირით გამოირჩევა, ამავე დროს სწორედ ზღაპრებისათვის არის ბუნებრივი კინობითი სახელების ხმარება და მათ გარკვეული სტილისტური ფუნქციაც ენიჭება. საინტერესოა, რომელი ფორმები გამოიყენა გერმანული დედნისეული დიმიანუტივების გადმოსაცემად დ. წერედიანმა.

ზოგ შემთხვევაში გერმანულ დიმიანუტივებს ქართულ სალიტერატურო ენაში სათანადო კინობითი ფორმები შეესატყვისება და მთარგმნელიც, ბუნებრივია, იყენებს მათ. ეს სახელებია: **კაც-უნა, ბიჭ-უნა, დათ-ურჩელა, ვირ-უკელა...**

ჩვენთვის საინტერესოა ის შემთხვევები, როცა ქართულ სალიტერატურო ენაში გერმანულის შესატყვისი დიმიანუტივი არა გვაქვს, არადა, სწორედ დიმიანუტიური ფორმა ქმნის განსაკუთრებულ კომიზმს, ან სხვა სტილური ფუნქციით არის საჭირო მისი გამოყენება. ამ დროს მთარგმნელი მიმართავს დიალექტიზმებს ან ოკაზიონალიზმებს. სწორედ ამ სახელებში ვლინდება ენაში არსებული

პოტენცია კინობითი სახელების წარმოქმნისა. განვიხილავთ ამ შემთხვევებს უფრო დანვრილებით.

ერთ-ერთ ზღაპარში – „თაგუნას, ჩიტუნასა და ძეხვის ამბავი“ გვხვდება ფორმა **ძეხუნა** (ძეხვი) – Würstlein: „*ძალღს ძეხუნა უპატრონო ჰგონებოდა*“ (ძმე-ბი გრიმები, ზღაპრები, I, 128)<sup>1</sup>. **ძეხუნა** კინობითობის -უნა სუფიქსით წარმოქმნილი ფორმაა. რომელიმე საკვები პროდუქტის აღმნიშვნელი სახელის ფუძესთან კინობითი სუფიქსების გამოყენება გერმანულში ჩვეულებრივი მოვლენაა, ქართული სალიტერატურო ენისათვის კი უცხოა, თუმცა ასეთი ფორმები შეიძლება შეგვხვდეს სასაუბრო მეტყველებაში.

დ. წერედიანის მიერ თარგმნილ ერთ-ერთ ზღაპარში გვხვდება შემდეგი დიმინუტივები: **ტილუკა** (ტილი) – Läuschen; **რწყილუკა** (რწყილი) – Flöhchen; **კარუკა** (კარი) – Türchen; **ცოცხუკა** (ცოცხი) – Besenchen; **დედლუკა** (დედალი) – Hühnchen; **მამლუკა** (მამალი) – Hähnchen; **ალვუკა** (ალვა) – Bäumchen; **ნეშუკა** (ნეშო) – Mistchen.. ყოველი მათგანი მთარგმნელის მიერ შექმნილი ოკაზიონალური ფორმაა.

დასახელებულ სახელთა შორის უნდა გამოვყოთ **ნეშო**, რომელთანაც კინობითობის შინაარსი სემანტიკურად შეუთავსებელია, მაგრამ ენას აქვს იმის პოტენცია, რომ მსგავს სახელებსაც ჰქონდეთ კინობითი ფორმები. დიალექტებში, განსაკუთრებით, რაჭულში, რომელიც კინობით სახელთა ფართოდ გამოყენებით ყველაზე მეტად გამოირჩევა, თითქმის ყველა სახელს შეიძლება ჰქონდეს კინობითი ფორმა, მათ შორის ისეთებსაც, რომელთა სემანტიკა კინობითობის შინაარსს თითქოს ვერ იგუებს. დავასახელებთ ამ დიალექტზე ჩანერილი ტექსტებიდან რამდენიმე ნიმუშს: **ლამუკა** (ლამე), **ბოძუკა** (ბოძი), **ორუნა** (ორი), **თუმნიკა** (თუმანი), **კვესუნა** (კვესი), **ტყვიუკა** (ტყვია)... (იხ. დიალექტური კორპუსი).

ასე რომ, რაჭულში, სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, სხვადასხვა სახელის ფუძეს თითქმის შეუზღუდავად დაერთვის კინობითი სუფიქსები. დ. წერედიანიც ამ ფორმათა მსგავსად ქმნის ახალ კინობით სახელებს. ზღაპარში „ტილი და რწყილი“, რომელშიც ზემოთ დასახელებული ფორმები გვხვდება, მთარგმნელს სწორედ დიმინუტივები უნდა გამოეყენებინა, რადგან ამბავი ძალიან პატარა ზომის პერსონაჟებზეა, რაც კომიკურ განწყობას ქმნის: „**ტილუკა ხრიალებს, რწყილუკა ხრიალებს, კარუკა ჭრიალებს, ცოცხუკა ტრიალებს, ურიკა გრიალებს, ნეშუკა ბრიალებს, ალვუკა ზრიალებს**“ (I, 157-159). ისიც არ არის შემთხვევითი, რომ ყველა ფორმას ერთი და იგივე -**უკა** მანარმოებელი დაერთვის. დედანშიც (Läuschen und Flöhchen; I, 130-131)<sup>2</sup> მათი შესატყვისი დიმინუტივები ერთი და იმავე სუფიქსით (-chen) წარმოქმნილი ფორმებია.

დ. წერედიანი ხშირად მიმართავს დიმინუტიურ ფორმებს ე. წ. „მეტყველი“ საკუთარი სახელების გადმოქართულებისას. როგორც ცნობილია, ეს სახელები პერსონაჟის თავისებურებას წარმოაჩენს და უმეტეს შემთხვევაში ოკაზიონალიზმებია. ისინი განსაკუთრებით დამახასიათებელია ზღაპრებისათვის და

<sup>1</sup> შემდეგში მაგალითების მოხმობისას მითითებული იქნება ამ გამოცემის ტომი და გვერდი.

<sup>2</sup> შემდეგში გერმანული მაგალითების მოხმობისას მითითებული იქნება ამ გამოცემის ტომი და გვერდი.

გამოიყენება სიტყვის ეკონომიის მიზნით, კომიზმის, ირონიის, სატოვანებისა და ექსპრესიულობის გადმოსაცემად, გამოირჩევა თავისებური ბგერწერითა და აგებულებით. ბუნებრივია, თარგმანში ორიგინალის შესატყვისის პოვნა მეტად რთულია, რადგან, ერთი მხრივ, წარმოჩენილი უნდა იყოს ის თვისება, რომელიც პერსონაჟის არსებით თავისებურებას წარმოადგენს და, მეორე მხრივ, არ უნდა დაიკარგოს ამ სახელისათვის დამახასიათებელი ექსპრესიულობა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულში ამ ტიპის სახელები ძირითადად ფუძეზე კნინობითი **-ა**, **-ია** სუფიქსების დართვით არის წარმოქმნილი (სიზმარ-ა, ირმის-ა, ფიფქ-ია და სხვ.). მთარგმნელიც, ბუნებრივია, მათ მსგავს ოკაზიონალიზმებს ქმნის: **ნაცრის-ა** (I, 118) – Aschenputtel (I, 100); **მუცელ-ა** (III, 183) – der Dicke (II, 131), **ფუფხ-ია** (III, 208) – Grind (II, 150)...

„მეტყველ“ საკუთარ სახელებად როგორც გერმანულ, ისე ქართულ ზღაპრებში ხშირად არის გამოყენებული კომპოზიტები. ქართულ ზღაპრებში კომპოზიტს **-ა** სუფიქსიც ერთვის, რომელიც რამდენიმე ფუნქციას ითავსებს: მასუბსტანტივებელია და გამოხატავს რომელიმე სახასიათო ნიშან-თვისების მქონებლობას კნინობითობასთან ერთად.

გრიმების ერთ-ერთი ზღაპრის ქართულ თარგმანში გვხვდება სახელი **ნაირ-ბენვა** (II, 113). გერმანულ დედანში მისი შესატყვისია Allerleirauh (I, 272), რაც ნიშნავს ყველანაირი ბენვის მქონეს. ამ შინაარსის გადმოსაცემად დ. წერედიანი იყენებს სიტყვას **ნაირი**, რომელიც, ჩვეულებრივ, ცალკე არ გვხვდება, თუმცა მხატვრულ ლიტერატურაში დადასტურებულია: *ნაირად მორთული, ნაირ აღმასებად დაიმსხვრა...* (ქეგლ-ი). ეს ფუძე, ა. შანიძის აზრით, არაბულიდან უნდა იყოს შემოსული (ნაზირ „შესახედავი“, „მსგავსი“; შანიძე 1980:119). გვხვდება რედუპლიცირებული სახით: ნაირ-ნაირი. *ნაირ ფუძე გამოყენებულია კომპოზიტებში: ბევრნაირი, ერთნაირი, ნაირსახეობა, ნაირბალახიანი, ნაირგვაროვანი...* მათი ანალოგიით ქმნის მთარგმნელი სახელს **ნაირბენვა**, რომელშიც მქონებლობის **-იან** ან **-ოვან** სუფიქსის ნაცვლად „მეტყველი“ საკუთარი სახელისათვის უფრო შესაფერისი **-ა** მანარმოებელია გამოყენებული.

„მეტყველ“ სახელთა რიცხვი გრიმების ზღაპრებში საკმაოდ დიდია. დ. წერედიანის თარგმანში მათი ქართული შესატყვისებია: **დათვისტყავ-ა** (III, 35), – Der Bärenhäuter (II, 22), **ჩიტნაპოვნ-ა** (II, 23) – Fundevogel (I, 200), **ყურმახვილ-ა** (III, 183) – Horcher (II, 135); **მხალყვავილ-ა** (I, 67) – Rapunzel (I, 59); **ლომჩიტ-ა** (II, 194) – Löweneckerchen (I, 332); **ხაჭოლამაზ-ა** (III, 171) – Käsetraut (II, 125); **ტანჭრელ-ა** (II, 144) – Buntscheckiger Narr (I, 296); **გოჯ-ა-ბიჭი** (I, 191) – Daumesdick (I, 156) და სხვ.

ზოგჯერ დ. წერედიანი ქმნის კომპოზიტებს, რომლებიც ქართული ხალხური ზღაპრების პერსონაჟთა სახელების (ნაცარქექია, ბელტიყლაპია...) მსგავსად არსებითი სახელისა და **-ია** სუფიქსიანი მასდარის შერწყმით მიიღება: **ყინჩაფხო-რ-ია** (III, 171) – Hohenstolz (II, 125); **ფურიწველ-ია** (III, 171) – Malcho (II, 125); **ულვა-შიტლეკ-ია** (II, 144) – Bartputzer (I, 296) და სხვ.

ზოგ შემთხვევაში დ. წერედიანი მიმართავს კნინობითი ფორმების წარმოქმნის სხვა საშუალებასაც, კერძოდ, იყენებს იმ ტიპის კომპოზიტებს, რომლებიც ფუძის რედუპლიკაციით და ფუძეში ხმოვნის ან თანხმოვნის შეცვლით მიიღება

(ქართული ენა 2008: 276). ასეთი სახელები ექსპრესიულობით გამოირჩევა და ობიექტისადმი ირონიული, დამცინავი დამოკიდებულების გამომხატველია. ისინი ძირითადად სასაუბრო მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი და გვხვდება დიალექტებში: ბიჭბუჭები/ბიჭბუჭელები, ნაყარნუყარა, ხართახურთა, აჯლაბა-ჯლა, ბალანბულანაი, აჩლაჩუჩლა, ხიჭიბრიჭია....

განვიხილავთ დ. წერეთლის მიერ გამოყენებულ ამ ტიპის დიმინუტივებს.

ერთ-ერთი ზღაპრის სათაურია „**ჯალაბ-ჯულაბი**“ (III, 208). **ჯალაბი** სპარსულიდან შემოსული სიტყვაა და ოჯახს ნიშნავს, იმავე შინაარსისაა **ჯალაბ-ჯულაბი**, რომელსაც უფრო ირონიული ელფერი აქვს. ეს ფორმა დიალექტურია, გვხვდება მხატვრულ ლიტერატურაშიც (კერძოდ, მიხეილ ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშასა“ და „ჯაყოს ხიზნებში“). **ჯალაბ-ჯულაბი** მთარგმნელმა გამოიყენა გერმანული სახელის Das Hausgesinde (II, 150) შესატყვისად, რომელიც ნიშნავს *ოჯახის შინამოსამსახურეებს* (Duden). ეს გერმანული სიტყვა არ არის დიმინუტიური ფორმა, მაგრამ მის შესატყვისად თარგმანში დიმინუტიური ფორმის გამოყენებას სტილისტური ფუნქცია აქვს: სახუმარო ზღაპარში გადმოცემულია ორი ჭკუამხიარული ქალის სულელური დიალოგი, რომელიც გერმანულის ერთ-ერთი დიალექტის ნიმუშია. თარგმანში ეს დიალოგი დიალექტური მეტყველებით არ არის გადმოცემული, მაგრამ ზღაპრის სათაური **ჯალაბ-ჯულაბი** მიგვანიშნებს სოფლის გარემოზე და პერსონაჟებისადმი მთხრობლის ირონიულ განწყობასაც გამობატავს.

**ჯილლო-მილლო** ქეგლ-ში განმარტებულია, როგორც *უხეირო, არაფრის მაქნისი*. ეს სიტყვა ამჟამად ნაკლებად გამოიყენება, დამახასიათებელი იყო სასაუბრო მეტყველებისთვის გარკვეულ პერიოდში (XIX საუკუნის მიწურულსა და XX-ის დასაწყისში), გვხვდება რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში: „*ჯილლო-მილლონი შემოფთხნენ, საქმე ჰქნეს დასაძრახია*“ (რ. ერისთ.)<sup>1</sup> და შეტანილია იოსებ გრიშაშვილის ქალაქურ ლექსიკონში. დ. წერეთლიანმა **ჯილლო-მილლო** გამოიყენა გერმანული სახელის Das Lumpengesindel (I, 52) შესატყვისად, რომელიც ნიშნავს არაფრის მაქნის, ვიგინდარა, ამრევ-დამრევ ადამიანებს (Duden). ეს საიტყვა ერთი ზღაპრის სათაურია, რომლის ფინალი ასეთია: *(მეფუნდუკემ) მაშინ კი დაიფიცა, აღარასოდეს შემოეშვა ფუნდუკეში ასეთი ჯილლო-მილლო ხალხი, ჭამით რომ ბევრს ჭამენ, გადახდით რომ არაფერს იხდიან და კიდევ, მადლობის ნაცვლად, ათას მამაძაღლობას იგონებენ* (I, 60).

ოკაზიონალური სიტყვაა **ფართალ-ფურთალა**, რომელიც გრიშაშვილის ზღაპრის პერსონაჟის საკუთარი სახელის – Rumpelstilzchen შესატყვისად შექმნა მთარგმნელმა. მან პერსონაჟის ეს სახელი შეარჩია ზღაპრის სიუჟეტის მიხედვით. ჯუჯა და ეხმარა მენისქვილის ღარიბ ქალიშვილს მეფის მიერ მიცემული რთული დავალების შესრულებაში: *ჯარაზე ჩალის ღერები ოქროს ძაფად აქცია*. **ფართალ-ფურთალა** სიტყვა **ფართალის** (საფეიქრო ნაწარმი) ფუძის რედუპლიკაციით, ფუძისეული ხმოვნის შეცვლითა და კნინობითობის -ა სუფიქსის დართვით არის წარმოქმნილი. მთარგმნელმა ისიც გაითვალისწინა, რომ, ზღაპრის მიხედვით, ჯუჯას მეტად უცნაური და იშვიათი სახელი ჰქვია და მისი გამოცნობა ძალიან ძნელია.

<sup>1</sup> მოგვყავს ქეგლ-ის მიხედვით.

როგორც ვხედავთ, დ. წერედიანის მიერ გამოყენებული დიმინუტიური ფორმები ხშირად ახალი და მოულოდნელია. მწერალი ამა თუ იმ ფორმას არჩევს თავისი ინტუიციით, გემოვნებით, მწერლური ალლოთი, მაგრამ ამავე დროს იგი ქვეცნობიერად ავლენს ენაში არსებულ შესაძლებლობებს სახელთა წარმოქმნის თვალსაზრისით. ვფიქრობთ, დ. წერედიანის მიერ შემოთავაზებული დიმინუტივები უაღრესად საინტერესოა ამ მხრივ და კარგად წარმოაჩენს ქართული ენის პოტენციას.

### **ლიტერატურა და წყაროები:**

**თანამედროვე... 2011** – თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011.

**მარტიროსოვი 1978** – არ. მარტიროსოვი, კნინობითი სახელები ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XX, თბილისი, 1978.

**ქართული ენა 2008** – ქართული ენა, ენციკლოპედია, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“, თბილისი, 2008.

**ქეგლი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1980.

ქართული დიალექტური კორპუსი Corpora.co

**ძმები გრიმები 1992** – ძმები გრიმები, ზღაპრები, ტ. I, ტ. II, ტ. III, გამომცემლობა „მარიხი“, თბილისი, 1992.

**Grimms Märchen** – Grimms Märchen gesammelt durch die Brüder Grimms, Aufbau-Verlag Berlin und Weimar, 1980.

**Duden** – Duden, Online-Wörterbuch, info: Bedeutung. Definition. Synonyme. Herkunft. Rechtschreibung.

ანა ხარანაული

## **თარგმანის ტექნიკის ხერხები (ტრანსკრიპცია, ტრანსლაცია, იმიტაცია, სიმულაცია, ემულაცია, ინტერპრეტაცია) და ენის განვითარების საშუალებები ძველი აღთქმის უძველესი თარგმანების მაგალითზე**

### **ნაწილი I**

ბიბლიის ქართული თარგმანები ერთგვარი ლაბორატორიაა, სადაც იქმნება და ვითარდება ქართული ქრისტიანული სამწიგნობრო ენა. ბიბლიის ქართული ხელნაწერები, რომლებიც ქართული სამწერლობო ენის მთელ ისტორიას ფარავს, ამ ისტორიის ცოცხალი სურათია. ამ სურათზე ჩანს, თუ რა სირთულეებს აწყდება ქართული ენა მისთვის უცხო კონცეპტების გადმოცემისას, რა არის უფრო ადვილად გადასალახავი ან სულაც ბუნებრივი; რა – რთული, თითქმის შეუძლებელი



და სრულიად შეუძლებელი. აქ ჩანს, როგორ ცდილობს ენა თავისი პოტენციის გააქტივებას, როგორ თანდათან ჩნდება გამოხატვის ახალი საშუალებები, როგორ ყალიბდება გრამატიკული სისტემები, ან კიდევ, როგორ უარიყოფა ქართულისათვის მიუღებელი მოდელები.

ამ ლაბორატორიას თარგმანის ტექნიკა ამუშავებს, ის ხერხები და მეთოდები, რომლითაც მთარგმნელი დედნის უდანაკარგო, ადეკვატურ გადმოტანას ცდილობს. ამიტომ თარგმანის ტექნიკის შესწავლა ბიბლიის ენისა და, შესაბამისად, ქართული სამნიგნობრო ენის შესწავლის უმთავრესი მეთოდი და საშუალებაა.

როდესაც მთარგმნელი დედნის პირისპირ დგას, როდესაც ეს დედანი დაწერილია არა მხოლოდ მისი ენისაგან სხვადასხვა თვალსაზრისით განსხვავებულ ენაზე, არამედ დაწერილია მის ენაზე გაცილებით დიდი გამოცდილების მქონე და განვითარებულ სამნიგნობრო ენაზე, როდესაც ტექსტი, რომელსაც ის თარგმნის, გაჯერებულია მისი ენისთვის უცხო ან ჯერ კიდევ უცხო ცნებებითა და ენობრივი მოდელებით, უცხო მხატვრული აზროვნების სტილით და, როდესაც სათარგმნი ტექსტის ტიპი – წმინდა წერილი, მას აიძულებს მაქსიმალური ადეკვატურობით გადმოიტანოს არამხოლოდ დედნის სემანტიკა, არამედ მისი ფორმაც, მთარგმნელი ყველა ღონეს მიმართავს:

1. კი არ თარგმნის, არამედ ტრანსკრიბირებას ახდენს სათარგმნი სიტყვისა, და პირიქით;

2. ტრანსლირებას ახდენს დედნისეული ლექსიკური ერთეულისა, თარგმნის მას, ე.ი. თავის ენაში ეძებს მოცემული ცნების გამომხატველ ლექსიკურ და გრამატიკულ შესატყვისებს;

3. ჰზაძავს დედანს, მის იმიტაციას ახდენს, ე.ი. ფორმალურად ზუსტად ისე გადმოაქვს, როგორც ეს ბერძნულშია. ამისათვის კი ქმნის, აცოცხლებს ენაში არსებულ ლექსიკურ-გრამატიკულ პოტენციალს, ახალ დატვირთვას აძლევს ენაში უკვე არსებულ მოდელებს;

4. დედნის სიმულაციას მიმართავს – ჰზაძავს ბერძნულის ბუნებას და ისეთ ქართულ ეკვივალენტს ქმნის, რომელიც თუმცა დედანში არ არის, მაგრამ ბერძნულის მოდელს წააგავს;

5. და ბოლოს, როდესაც მთარგმნელი თავისი ენისა და საკუთარ ღონეს იგრძნობს, ემულაციას იწყებს, ეჯიბრება დედნის ენას, მასზე შორს მიდის, ელინზე ელინია.

6. მაგრამ არსებობს კიდევ ყველა ამის საპირისპირო შემთხვევაც, როდესაც მთარგმნელი ორიგინალზე და მის ენაზე აღარაა კონცენტრირებული და სათარგმნი ტექსტის ინტერპრეტაციას იძლევა – როგორც ვამბობთ ხოლმე – თავისუფალი თარგმანის ხერხს იყენებს.

ითვლება, რომ დედანსა და მის ენაზე ფოკუსირებული, ელინოფილური თარგმანი შავი მთიდან იღებს სათავეს, რომ ამგვარი თარგმანის სამაგალითო ნიმუში გელათის კატენური ბიბლიაა, მაგრამ რეალურად, მეთოდები, რომლებსაც ბიბლიის პირველმთარგმნელები იყენებენ, იგივე მეთოდებია, რომელთაც ჩვენ ელინოფილური თარგმანის მეთოდებად მივიჩნევთ. მგონია, რომ პირველმთარგმნე-

ლებმა ამ მეთოდების გამოყენებით თვისობრივად უფრო შეცვალეს ენა, ვიდრე გვიანდელმა, შავი მთისა და გელათის მთარგმნელებმა. ამ უკანასკნელებმა ხსენებული მეთოდების უფრო სისტემატური და ინტენსიური გამოყენებით მხოლოდ განავითარეს დანყებული პროცესი და ამის საშუალებასაც მათ, სხვა გარემოებებთან ერთად, წინამორბედი მთარგმნელების მიერ უკვე სახეცვლილი ენაც აძლევდა.

ლექსიკა, სინტაქსი და მხატვრული სტილი ის მასალაა, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს ქართულ სამწერლობო ენაზე თარგმანის ტექნიკის ზეგავლენის შესწავლა. წინამდებარე სტატიაში ენის ამ სფეროებიდან ერთ-ერთის, ლექსიკის სხვადასხვაგვარი გადმოტანის ხერხს განვიხილავ და დავაკვირდები, რა გავლენას ახდენს ეს ხერხები ქართულ სამწიგნობრო ენაზე.

## ლექსიკა

ლექსიკური თვალსაზრისით, წმინდა წერილი უაღრესად მრავალფეროვანია (Tov 1999: 85-94) და მთარგმნელსაც მრავალფეროვან, განსხვავებული სირთულის პრობლემებს უჩენს.

ქართველმა მთარგმნელმა უნდა გადმოიტანოს:

- ბერძნულ ტექსტში ტრანსკრიბირებული ებრაული სიტყვები, რომლებიც უცხო იყო ძველი აღთქმის ბერძენი მთარგმნელისათვის და, ამიტომაც, უთარგმნელად იყო დატოვებული;
- სიტყვები, რომლებიც ბერძნულში სხვა ენებიდან არის ნასესხები;
- იშვიათი ხმარების ბერძნული სიტყვები, ნეოლოგიზმები ან *hapax legomenon*-ები, ე.ი. წმინდა წერილში ერთხელ ნახმარი სიტყვები;
- ახალი ცნებების ბერძნული შესატყვისები – რელიგიური, სამოხელეო, სამშენებლო, სამუსიკო და სხვა ტერმინები, ფლორისა და ფაუნის ამსახველი ლექსიკა, ფულის ერთეულებთან და კალენდართან დაკავშირებული ტერმინები და ა.შ.;
- კარგად ნაცნობი ბერძნული ლექსემები, რომლებსაც მოცემულ კონტექსტში ახალი მნიშვნელობა აქვთ მიღებული;
- სიტყვები, რომლებიც ალიტერაციას ან ასონანსს ქმნიან კონტექსტებში, ხმაბაძვითი სიტყვები და ა.შ.

სხვადასხვა სემანტიკური პრობლემების გარდა, მთარგმნელი ლექსიკის ფორმალური ასახვის სიძნელის წინაშეც დგას: სათარგმნი ლექსიკური ერთეულები სხვადასხვა აგებულებისა შეიძლება იყოს (კომპოზიტი, დერივანტი) და ამ აგებულების, როგორც დედნის ენისა და მისი მხატვრული სტილის მახასიათებლის ასახვაც, მთარგმნელის ვალდებულებაა.

ლექსიკის გადმოტანის მიმართ მთარგმნელები სხვადასხვა დამოკიდებულებას იჩენენ: ხან სისტემატურად ერთ მეთოდს იყენებენ, ხან თარგმანის სხვადასხვა მეთოდს სინჯავენ, ხანაც საერთოდ არ აქვთ წინასწარ შემუშავებული მიდგომები, მეთოდისა და უპრინციპოდ, სპონტანურად, მოცემულ მომენტში (*ad hoc*) არჩევენ

დედნის ქართულ შესატყვისს. როდესაც ლექსიკის გადმოტანის მრავალფეროვან საშუალებებზე ვსაუბრობთ, იმას ვგულისხმობთ, რომ მთარგმნელები

- ხან თავის მიერ შედგენილი, ანდა უკვე არსებული ლექსიკონ(ებ)ით სარგებლობენ (დანელია 1998: 131-132) და, მიუხედავად კონტექსტისა, ერთი და იმავე სათარგმნ სიტყვას ერთსა და იმავე, მყარ ეკვივალენტს შეუსაბამებენ ხოლმე;
- ხან ყოველ ჯერზე, კონკრეტული კონტექსტის მიხედვით არჩევენ ეკვივალენტს;
- ხან პარალელურ კონტექსტში უკვე გამოყენებულ სიტყვას იმეორებენ;
- ხან სათარგმნი სიტყვის ეტიმოლოგიას – ძირის მნიშვნელობას ეყრდნობიან და ეტიმოლოგიურ თარგმანს აკეთებენ;
- ხან სათარგმნ სიტყვას შემადგენელ სეგმენტებად შლიან და ასე ქმნიან ქართულ ეკვივალენტებს;
- ხანაც ფარ-ხმალს ყრიან და კი არ თარგმნიან, არამედ ასო-ასო გადმოაქვთ თავიანთ თარგმანში.

ცხადია, მთარგმნელის ყველა ეს გადაწყვეტილება თარგმანის ენაზე აისახება და, რაკი ეს თარგმანი ყველაზე ხშირად ხმარებული წიგნის, წმიდა წერილის თარგმანს წარმოადგენს, განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს სამწერლობო ენის განვითარებაზე.

თარგმანის ლექსიკა ერთ-ერთი უმთავრესი მასალაა ლექსიკოგრაფიული კვლევებისათვის, რადგანაც დედანი მეტ-ნაკლებად გვეხმარება თარგმანში ნახმარი სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრაში. ამავე დროს, თარგმანის ლექსიკის შესწავლა მთარგმნელისა და თარგმანის დახასიათების ერთ-ერთი საშუალებაა. ამიტომაც ცალ-ცალკე განვიხილოთ ყველა ის პრობლემა, რომელსაც სათარგმნი ტექსტი უჩენს მთარგმნელს და ის მეთოდები, რომელთაც ბიბლიის პირველი ქართველი მთარგმნელები იყენებენ მათ გადასაჭრელად.

## ტრანსკრიპცია

ტრანსკრიპცია (Тов 1999: 165-167) არის თარგმანის ხერხი, როდესაც მთარგმნელს სათარგმნი სიტყვა ასო-ასო გადმოაქვს. თარგმანისა და მისი ენის დასახასიათებლად, ამ წესით განხორციელებული ლექსიკური ერთეულების გადმოტანის შემთხვევათაგან, უპირველეს ყოვლისა, საზოგადო სახელების<sup>1</sup> ტრანს-

<sup>1</sup> გასათვალისწინებელია, რომ, როგორც წესი, ერთი და იმავე დანერვილობის სიტყვა, როდესაც ის საზოგადო სახელია, ითარგმნება, ხოლო როდესაც საკუთარ სახელად მიიჩნევა მთარგმნელის მიერ, ტრანსკრიპტირებულია. ასე მაგ., ებრაულიდან ბერძნულში შესული ნასესხობა *σαταν* (იხ. *მტერი, მოწინააღმდეგე*), იმ ერთადერთ შემთხვევაში, როცა ის ძველ აღთქმაში გვხვდება, თარგმნილია: III მეფ. 11:14 *მვდომი OjaFS; წინააღმდეგომი B*, მაშინ, როდესაც ახალ აღთქმაში, როგორც ბოროტი სულის სახელი, ტრანსკრიპტირებულია. იგივე ეხება ბერძნული სიტყვის ტრანსკრიპციასაც: *ἄγγελος* (1. *მაცნე, მოციქული*; 2. *უხორცო ძალი*) ტრანსკრიპტირებულია, როდესაც იგი უხორცო ძალთა სახელია, ხოლო როდესაც ეს სიტყვა მისი თავდაპირველი, *მაცნეს* მნიშვნელობითი ხმარება, ითარგმნება: II მეფ. 11:22 ὁ ἄγγελος მოციქული OJaFmSB.

კრიზისია საინტერესო.<sup>1</sup>

ტრანსკრიბირების ხერხს ბიბლიის ადრეული ქართული თარგმანები უაღრესად იშვიათად მიმართავენ, ძირითადად იმ შემთხვევებში, როდესაც, როგორცა ჩანს, სათარგმნი სიტყვის მნიშვნელობა არ იცინა და მის დადგენაში ვერც კონტექსტი ეხმარებათ. ამიტომ, ვერ ვიტყვით, რომ ტრანსკრიბირება უცხო ენიდან სიტყვის სესხებაა. სესხება, როგორც წესი, ნინ უსწრებს თარგმანს. მთარგმნელმა, როდესაც ნასესხებ სიტყვას იყენებს, ანდა, როდესაც თარგმნის პროცესში სესხულობს, იცის მისი მნიშვნელობა, უბრალოდ სათანადო შესატყვისი არ აქვს ენაში და იმის მაგივრად, რომ შექმნას ასეთი, სესხულობს უცხო ენიდან. ცხადია, როცა ძველ ტექსტებზე გვაქვს საუბარი, ჩვენთვის ძნელია ზღვარის გავლება ნასესხობასა და ტრანსკრიბირებულ სიტყვას შორის. მაგრამ, მგონია, რომ ქართული რეალიისთვის უცხო ტერმინების უცვლელად გადმოტანა თარგმანში (ისეთებისა, როგორცაა სამშენებლო, ტაძრის, ებრაული ყოფის, რიტუალის, სამოსის, მცენარეების, ძვირფასი ქვების, ნელსაცხებლების, დროის ერთეულებისა და ფულის ერთეულების ამსახველი ლექსიკური ერთეულები) უმეტესად ტრანსკრიბირებად უნდა კვალიფიცირდეს, მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება თავად ბერძნულისათვისაც უცხო ცნებების ამსახველ ლექსიკას.

ტრანსკრიბირების ხერხით გადმოაქვთ, მაგალითად, **ებრაული ტერმინები**,<sup>2</sup> რომლებიც სეპტუაგინტაშიც სემიტურ ნასესხობას წარმოადგენს, ანდა ტრანსკრიბირებულია.<sup>3</sup> მათ შორის ყველაზე ხშირი არქიტექტორული ტერმინებია, ასევე, სხვადასხვა ტიპის მორთულობის, სასმელის, თვლების, მცენარეების სახელები და სხვ.:

<sup>1</sup> საზოგადოდ და, მით უმეტეს, ქართულის შემთხვევაში, რომლის სალიტერატურო ენასაც მხოლოდ ბიბლიის თარგმანის შემდგომდროინდელი წერილობითი წყაროებიდან ვიცნობთ, მოცემული საკითხის განხილვისას უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს მთარგმნელისეული ტრანსკრიბირებისა და ქართულში უკვე დამკვიდრებული ადრეული ნასესხობების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ერთი მხრივ, ტრადიცია საქართველოში ადრევე ჩასახლებული ებრაელების შესახებ და, მეორე მხრივ, საქართველოში ნაპოვნი არაერთი ქრისტიანობამდელი ბერძნული და არამეული ნარწერები ამგვარი ნასესხობების არსებობას თეორიულად შესაძლებელს ხდის. თუმცა, პრაქტიკულად, ასეთი ნასესხობები გამოვლენილი არ არის (შდრ. დანელია 1998: 160).

<sup>2</sup> მაგალითები იხ. Tov 1999: 167-182. ებრაული ლექსიკის ქართულ ეკვივალენტებს ეხება კ. დანელიას ვრცელი ნაშრომი „ებრაული ლექსიკა ბიბლიურ წიგნთა ქართულ ვერსიებში,“ (დანელია 1998: 126-161). ცალკეულ ლექსიკურ ერთეულს განიხილავს თ. ცქიტიშვილიც (ცქიტიშვილი 1976: 294, 297, 302, 303).

<sup>3</sup> საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბერძნულად ტრანსკრიბირებული ერთი და იგივე ებრაული სიტყვა სხვადასხვა წიგნში სხვადასხვაგვარად გადმოდის – ტრანსკრიბირებული ფორმითაც და ქართული შესატყვისითაც, მაგ., *ასამ ეზეკიელში* ტრანსკრიბირებულია (*ელამი, ელამონი, ელამოთი*), *III მეფეთაში* – თარგმნილი (*კამარა*). რამდენად გამოდგება თარგმანის განსხვავებული მეთოდი მთარგმნელების განსახვავებლად, შემდგომი კვლევის საგანი უნდა გახდეს. კორნელი დანელია ფიქრობს, რომ ქართულ თარგმანებში უმეტესად ის ებრაული ტერმინებია ნათარგმნი, რომლებიც ბერძნულში უკვე დამკვიდრებულ ნასესხობებს წარმოადგენენ და რომლებიც ქართველი მთარგმნელისთვის ნაცნობი უნდა ყოფილიყო, ასეთებია, მაგ. σίκερα, σάκκος, χιτών, λίβανος (საკმეველის მნიშვნელობით), σινδών, ἀπρίψιν, πύργα (დანელია 1998:127-130).

**δαβυρ** = דביר – *shrine, backroom of the temple*<sup>1</sup> – დაბირი (III მეფ., I, II ნეშტ)<sup>2</sup>  
**σαφωθ** / **σαφωθ** = שפוח *curds* – საპფუთნი J, საპოვთნები O, საპფოთნი G (იერ. 52:19)

**μασσαρωθ** = מזרקות *bowls, snuffers* მასმაროთნი J, მარმარუთნები O, მავმაროთნი G (იერ. 52:19)

**θεε** = תא – *room* – თეე<sup>3</sup> JO, თეი G (ეზეკ. 40:21; 41:7,8)

**αιευσ** = איל – *doorpost* – ელევი OJ, ელაჲ G (ეზეკ. 40:9,21,24,26,29,31,33,34,36, 37)

**αιλαμμω** = למו = אלמו – *porch* – ელამონნი OJ G (ეზეკ. 40:21bis)

**αιλαμ** = איל / אל / איל – *porch* – ელამი OJ G (ეზეკ. 40:6)

**μεχωνωθ** = מנחות – *stands, bases* – მექონოთ Geo (იერ.<sup>App</sup> 34(27):19; III მეფ. 7:14(27) (bis), 15(28), 17(30), 18(32))

**βεδεκ** = ברק – *breach(es)* – ბედეკი FJSO<sup>4</sup> (IV მეფ. 12:6(bis), 7,8(bis))

**אריתל** = אריל – *Ariel (toponym, a part of Jerusalem (?); a part of the temple (the altar ?))* – არიელი OJ, არილი G (ეზეკ. 43:15bis, 16)

**νεζερ** = נזר – *diadem, sign of consecration* – ეზერ FSOJa (IV მეფ. 11:12)

**חששו** = חוש – *hysop* – უსუპი (გამ. 12:22; ლევ. 14:4,6,49,51)

**γαλβάνην** = חלבנה – *the resinous extract of the galbanum plant, galbanum* – ქალბანწ (გამ. 30:34)

**σαβεκ** = סבך – *thicket* საბეკი OCBAS (დაბ. 22:13)

უნდა ითქვას, რომ ებრაული სიტყვების სიუცხოვე შემდგომი თაობების ქართველი მნიშვნელობისთვისაც კი ვერ იქნა გადალახული. ამის გამო ხელნაწერების კოპირების პროცესში ქართველი გადამწერებისათვის უცნობი სიტყვები მახინჯდებოდა, რაც ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში ვარიანტულ მრავალფეროვნებაშიც აისახა. ამავე მიზეზით, არცერთი დასახელებული სიტყვის ხმარება არ გასცდენია წმ. წერილის ფარგლებს და არ დარჩენილა ქართული ენის ლექსიკურ ფონდში ნასესხობის სახით.<sup>5</sup>

საკუთრივ ბერძნული სიტყვების ტრანსკრიპცია ძველ ქართულ თარგმანებში უაღრესად იშვიათია. თითო-ოროლა ამგვარი შემთხვევა სექტუაგინტას ნეოლოგიზმებზე ანდა სემიტურ ნასესხობებზე მოდის,<sup>6</sup> მაგალითად:

<sup>1</sup> ინგლისური მნიშვნელობები მოტანილია ლექსიკონებიდან: Liddell–Scott–Jones, *A Greek–English Lexicon (LSJ)* და J. Lust, E. Eynikel, K. Hauspie, *Greek-English Lexicon of the Septuagint*. ქართული მნიშვნელობები, რომლებიც უმთავრესად დვორეცკის ბერძნულ-რუსულ ლექსიკონს ეყრდნობა, იხ. დანელია 1998.

<sup>2</sup> მომაქვს მხოლოდ ისეთი მაგალითები, როდესაც კონტექსტი ტრანსკრიბირებული სიტყვების გეოგრაფიულ ან წარმომავლობის სახელად გაგების საშუალებას არ იძლევა.

<sup>3</sup> *θραελ* თეე J თწ O =239'

<sup>4</sup> ამავე დროს 22:6 სართული FJSJa.

<sup>5</sup> დანელია ასახელებს გამონაკლისებს: *σρηχ* = *שרך* – *სორეკი* OJ G (ის. 5:2), რომელიც *აბდულმესიანში* იხმარება და სამხრეთ საქართველოში გავრცელებულ ყურძნის ჯიშს ჰქვია (დანელია 1998: 148) და *επισμ* სავარსკვლავეთმრიცხველო წიგნის მნიშვნელობით იხმარება (დანელია 1998: 147; ქეგლი-ი).

<sup>6</sup> ტრანსკრიპციის გარდა, ნეოლოგიზმების გადმოტანა სხვაგვარადაც ხდება: ეტიმოლოგიური თარგმანით (იხ. ქვემოთ), ანდა კონტექსტიდან ამოსვლით. არის შემთხვევები, როდესაც მთარგმნელი მისთვის გაუგებარ სიტყვას გამოტოვებს კიდევ.



**γαῖσον** – *spear, javelin* – გეონითა BDS, გესონი G<sup>1</sup> (ისუ ნ. 8:18 bis)

**κασία** – *cassia, an Arabian spice like cinnamon, but of inferior quality* – კასია (ფსალმ. 44:9 27:17)

**κιννάμωμον** (ფინიკ.), *cinnamon* – კინამომა (– მომო) Geo (გამ. 30:23; იერ. 6:20)

ზოგ შემთხვევაში ტრანსკრიბირებულია მთარგმნელისათვის ნაცნობი ძირიდან ნანარმოები ბერძნული ნეოლოგიზმი:

**ῥοῖνος** – *pomegranate-orchard* – როონისა<sup>2</sup> OJ; cf. ბრონეულთა SB (ზაქ. 12:11)

უთარგმნელად გადმოტანილი სხვადასხვა შინაარსის ბერძნული ტერმინების შემთხვევაში, რომლებიც შემდეგ არაერთხელ გვხვდება ქართულ ტექსტებში, ძნელია მკვეთრად გავმიჯნოთ სესხება და ტრანსკრიბირება:

**ποδήρης** – *reaching to the feet, a frock that falls over the feet, a straight, firm pillar, a long robe* – პოდერეც<sup>3</sup> / პოდირც<sup>3</sup>

სამშენებლო ტერმინები:

**στοαί** – *porch* – სტოვა<sup>4</sup>

**μοχλός** – *bar, lever (in construction to support, to underpin; bar, bolt (of a door); bar, barrier (of a city entrance)* – მოქლონი<sup>5</sup>

**τράπεζα** – *table, dining table, meal, food* – ტრაპეზი<sup>6</sup>.

იმ ფაქტს, რომ ტრანსკრიბირებული/ნასესხები სიტყვა გაუგებარი იყო და განმარტებას საჭიროებდა, გლოსის ტიპის დამატებებიც მონმოვს, რომელიც სხვადასხვა ადგილას ახლავს ეზეკიელში ἤλεκτρον-ის (ἤλεκτρον // ἤλεκτρος – *electron, pale gold, a compound of 1 part of silver to 4 of gold*) ქართულად ტრანსკრიბირებულ ფორმას ილიკტრონი OJ: ეზეკ.1:4 “რომელ-იგი ოქრო და ვეცხლი და რვალი ერთად შედნობილ არნ” 1:27-ზე იმავე შინაარსის დამატება მცირე პერიფრაზით. ამავე წიგნის 8:2-ში გლოსა ენაცვლება განსამარტავ სიტყვას (ცქიტვილი 1976: 6, 10, 26,362).

## ტრანსლაცია

ამ ტერმინის ქვეშ ვგულისხმობ სათარგმნი სიტყვის სემანტიკის ტრანსლაციას, გადმოტანას თარგმანის ენაში არსებული ლექსიკური ფონდისა თუ აპრობირებული ლექსიკური მოდელების გამოყენებით.

ტრანსლაციის ფენომენის შესწავლისას განსაკუთრებით საყურადღებოა დაკვირვება იმგვარი ლექსიკის გადმოტანაზე, რომელიც მთარგმნელებისთვის უცნობი შეიძლებოდა ყოფილიყო. ასეთებია ნეოლოგიზმები, ერთხელ ნახმარი სიტყვები (*hapax legomenon*), იშვიათად ხმარებული სიტყვები. ძველი ალექსის ქართველი მთარგმნელები ამგვარი სიტყვების მნიშვნელობას სხვადასხვა გზით ადგენდნენ: ეტიმოლოგიიდან ამოსვლით და კონტექსტზე დაყრდნობით.

<sup>1</sup> ეზეკიელში ვხვდებით ქართულ შესატყვისსაც – გრძილი (ცქიტვილი, 1976: 297-300), ივდითში (9:7) კი დრაუჟი.

<sup>2</sup> თუმცა ῥῖνος ყველგან ბ(შ)რონეული.

<sup>3</sup> ალტერნატიული თარგმანები იხ. ქვემოთ, გვ. 390.

<sup>4</sup> საინტერესოა, რომ ოშკური და იერუსალიმური ხელნაწერები მონაცვლეობით ხმარობენ ამ მყარი ეკვივალენტის ნაცვლად სუეტ-ს ეზეკ. 40:18-სა და 42:5-ში.

<sup>5</sup> ერთი გამონაკლისით: ზირ. 28:25 კლიტე O.

<sup>6</sup> უმეტესად თარგმნილია როგორც ტაბლა, მაგრამ ასევე ლაკანი, საკურთხეველი.

მაგ., სრულიად ცხადია, რომ *ნამხეცავი* (ამგვარი წარმოების ქართული სიტყვების ანალოგიით თუ ვთარგმნით – ის, რასაც *მხეცი შეეხო*, რასაც *მხეცმა გადაუარა*, *კბილი გაჰკრა*), ბერძნულ *ხუთნიგნეულში* (დაბადება, *ლევიტელთა*) და *ეზეკიელში* ნახმარი ნეოლოგიზმის, *θηρίαλων*-ის (*caught by wild beasts*) ეტიმოლოგიური თარგმანია (*θηρίον* – *მხეცი*, *ἄλωτος* – *შეპყობადი*). ქართული *ნამხეცავი*-ც ნეოლოგიზმს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც ენაში არ დამკვიდრდა შესაძლოა ქართულ სინამდვილეში მის მიერ გამოხატული ცნების არარსებობის გამო.<sup>1</sup>

ნეოლოგიზმების ლექსიკური მნიშვნელობის განსაზღვრას სიტყვის ძირიდან ამოსვლით და ამ გზით ნაპოვნი ძირის გაფორმებას სუფიქსებით ქართველი მთარგმნელები ხშირად მიმართავენ. მაგ., შემდეგი ნეოლოგიზმის შემთხვევაში:

**χιονοθήσονται** (χίον, -σινος – *თოვლი*) – *to be snowed upon* – *განითოვნეს* (შდრ. *განთოვლდენ G*) (ფს. 67:15)

ეს ლექსიკური მოდელი (გან- + *ნასახლარი ზმნა*) ქართულ ენაში აპრობირებულია. ამ მოდელითაა გადმოტანილი სეპტუაგინტას სხვა ნეოლოგიზმებიც, მაგ., *ზმნა* – *ἐγκαίνῳ* (*to renew, to restore; to inaugurate, to consecrate*) და *სახელი* – *ἐγκαίνισμὸν*. მთარგმნელი აქაც ბერძნული სიტყვის ძირიდან ამოდის (*καίνῳ* – *განახლება*, *καίνος* – *ახალი*), რომელსაც ქართულ პრეფიქსს ურთავს – *განახლება*:

**ἐγκαίνῳ**: ფს. 50:12 *განმიახლე* Geo; ზირ. 36:5 *განაახლენ*; ის., I მეფ., II ნეშტთ. *განაახლა* (*საკურთხეველი*) და *სხვ.*

**ἐγκαίνισμὸν**: ფს. 29(30):1 *განახლებისათვის* (*სახლისა*).

თუმცა, ეტიმოლოგიური თარგმანის მცდელობა, თუკი სიტყვის ძირი არასწორედაა გამოყოფილი, არ იძლევა სიტყვის სწორი მნიშვნელობის დადგენის საშუალებას. ამ აზრის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებში გამოყენებული, *ἐγκαίνῳ* ზმნის მეორე შესატყვისი – *სატფურება*. როგორცა ჩანს, ამ შესატყვისის წარმოებისას მთარგმნელი სათარგმნ სიტყვას *καίω* (*დანვა*)-ს უკავშირებს:<sup>2</sup>

II სჯ. 20:5 *τίς ὁ ἄθροπος ὁ οἰκοδομησας οἰκίαν καὶ οὐκ ἐνεκαίνισεν αὐτήν ἄθροπος ἕτερος ἐγκαίνει* ათრქ: *ემენოს თუ ვისმე კაცსა სახლი ახალი და სატფური არა ეყოს მას შინა, ... სხუა კაცი მივიდეს და სატფურება-ყოს მას შინა* BDES.

II ნეშტთას მთარგმნელიც იმავე ზმნის თარგმნისას ორივე ძირიდან ამოდის: 15:8-ში *καίνος* ძირიდან – *განაახლა საკურთხეველი*, სხვა ადგილას *καίω*-დან: 7:5 *სატფურება სახლისა* (იხ. ასევე III მეფ. 8:63 *სატფური სახლისა*).

*სატფურ* ძირს იყენებენ მთარგმნელები სხვა, ამავე ძირიდან ნაწარმოები სხვა ნეოლოგიზმების გადმოსატანადაც:

**ἐγκαίνωσις** – *consecration, dedication*:

რიცხ. 7:88 *ἐγκαίνωσις τὸν θυσιαστηρίου* *სატფურებაჲ საკურთხეველისაჲ*.

**ἐγκαίνισμός** – *consecration, dedication*:

რიცხ. 7:10 *სატფურებასა მას კარვისასა*

<sup>1</sup> ეს სიტყვა, რომელიც შესაწირავი მსხვერპლის აკრძალული ატრიბუტია, ქართულ ტექსტებში მხოლოდ *მოციქულთა კანონების* ისეთ კონტექსტში დასტურდება, რომელიც *ლევიტელთა წიგნის* პერიფრაზია (დიდი სჯულის კანონი 1975: 223).

<sup>2</sup> შდრ. *καύσων*: 3:67 *ტფილი O*; ის. 44:15 *ἐθεμάνθη καὶ καύσαντες* *შეიგზნა და განტვა J(tr?)*.

რიცხ. 7:11 სატფურებასა მას საკურთხეველისასა

რიცხ. 7:84 (88) სატფურებაჲ საკურთხეველისაჲ

II ნეშტ. 7:9 სატფურებაჲ იგი საკურთხეველისაჲ.

მაგრამ, აღსანიშნავი ის არის, რომ სატფურება *ἐγκαίνια*-ს შესატყვისი და მყარად დამკვიდრებული საეკლესიო ტერმინია ეკლესიის თუ საკურთხეველის კურთხევისა თუ განახლების აღსანიშნავად. შესაძლოა დავეუშვათ, რომ იგი სათარგმნი სიტყვის ძირის არასწორი იდენტიფიკაციის შედეგი კი არა, ძველი რელიგიური რიტუალის აღმნიშვნელი და ახალ რეალობას მორგებული სიტყვაა (მახარაძე 2013). თუკი ასეა, სატფურება იმის მაგალითად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მთარგმნელი ახალი რელიგიური ცნებების გადმოსატანად ენაში უკვე არსებულ რელიგიურ ტერმინებს იყენებს.<sup>1</sup>

როგორც ვთქვი, ნეოლოგიზმების ან იშვიათად ხმარებული სიტყვების მნიშვნელობათა დასადგენად და თარგმანში გადმოსატანად ბიბლიის ძველი ქართველი მთარგმნელები ეტიმოლოგიური თარგმანის გარდა კონტექსტუალურ თარგმანსაც იყენებენ. თარგმანის მეთოდების თავისუფალი შენაცვლების კარგ მაგალითს წარმოადგენს *ესაიას* თარგმანი. *ἐπαίψα*-დან (*to mock at, to make sport of, to abuse*) ნაწარმოები ნეოლოგიზმების (*ἐπαίψα* – *jest, mocking, delusion*; *ἐπαίψα* – *mockery, mocking*; *ἐπαίκτης* – *mockers, deceiver*) თარგმნას იგი სხვადასხვაგვარი მეთოდით ახდენს – ეტიმოლოგიიდან ამოდის (*παίψα* – *მღერა*):<sup>2</sup>

ის. 3:4 *ἐπαίκτης*: *მემღერნი* (შდრ. ასევე სიბრძნ. სოლ. 17:7 *ἐπαίψατα* *სიმღერისა ჴელოვნებაჲ O*)

და კონტექსტიდან ამოდის:

ის. 66:4 *ἐπαίψατα*: *მე გამოვარჩინე სირცხვლნი (საძაგელებანი S) OJS.*

ეზეკ. 22:4 *δὲ τὸντο δέβωκἀσε ... εἰς ἐπαίψαζόν πᾶσαις ταῖς χάραις*: *მიგეც შენ ...*

**საკიცხელად ყოველსა სასოფლებსა OJ.**<sup>3</sup>

ძველი აღთქმის მთარგმნელის გამონწვევაა ახალი რელიგიისთვის დამახასიათებელი ტერმინის შესატყვისის პოვნა. ცნობილია, რომ *συνείδησις*-ის (*inner consciousness, moral conscience, consciousness of right - or wrongdoing*) ეკვივალენტის მოძებნა ქართულ სამწერლობო ენაში დიდხანს ვერ მოხერხდა და ბოლოს, ბერძნულიდან ნასესხები ფორმით დამკვიდრდა ქართულში. ეს სიტყვა სეპუაგინტაში მხოლოდ ორჯერ გვხვდება და მთარგმნელები მას ქართულში არსებულ სიტყვებს უხამებენ:

ეკლ. 10:20 *ხოლო გონებითა შენითა ნუ სწყევ მეფესა*;

სიბრძნ. სოლ.17:10 *შეინრებულ არნ იგი იჭვთა თჳსითა.*

ბ. გიგინეიშვილი *იჭუ/იჭუ*-ს *ჭკუა*-სთან აკავშირებს (გიგინეიშვილი 2016: 148-149). მოტანილი მაგალითი შესაძლოა გიგინეიშვილის ამ ეტიმოლოგიას ადასტურებდეს და იმაზე მეტყველებდეს, რომ *იჭვის* კავშირი *ჭკუასთან*, *სოლომონის სიბრძნის* მთარგმნელისათვის ცოცხალი იყო.

მთარგმნელისათვის ასეთივე გამონწვევაა სამოსლის კონკრეტული ტიპის ამსახველი ეკვივალენტის პოვნა.

<sup>1</sup> შდრ. მაგ. *მღვდელი, კვერთხი, კურთხევა, საკურთხეველი, საკურთხი* (გიგინეიშვილი 2016) და ა.შ.

<sup>2</sup> შდრ. ისა. 3:16 *παῖσαι ἰმღერδες J; მომღერალნი S.*

<sup>3</sup> გელათი ცვლის: *სამღერელად ყოველთა ოფლებთა G.*

ზემოთ ვნახეთ, რომ *პიდირიჯ ეზეკიელის* მთარგმნელს უთარგმნელად გადმოჰქონდა. თუმცა იგივე მთარგმნელი სხვა ორ შემთხვევაში *პიდირიჯ-ის* მნიშვნელობას *პიუს*, *პიდბც-ს* (*ფეხი*) უკავშირებს და გადმოაქვს როგორც *კამლი* (ეზეკ.9:2), *ფერწმესასხმელი* (ეზეკ. 9:3). ამავე ძირთან აკავშირებს *პიდირიჯ-ს* *გამოსვლათას* მთარგმნელიც: *ფერწთა სასხმელი, შესასხმელი ფერწთა* (გამ. 28:4,31).

სათარგმნი სიტყვის მნიშვნელობის დადგენისთვის და ეკვივალენტის შერჩევისათვის მთარგმნელები მხოლოდ მის ძირს არ იყენებენ ხოლმე. მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ *პერი-პრეფიქსიანი* სამოსლის აღმნიშვნელი სახელების გადმოტანა. ამგვარი სახელები სხვადასხვაგვარად ითარგმნება ძველი აღთქმის წიგნებში: 1. *პრეფიქსის მნიშვნელობიდან* ამოსვლით და თარგმანში მისი ფორმალური ასახვით, 2. ქართულ ენაში არსებული საშუალებების გამოყენებით – სათარგმნი სიტყვის მნიშვნელობის აღწერითი ფორმით გადმოტანით და 3. მისთვის ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვის შესაბამებით:

**περίζωμα** (neol.?) – ζαμα – *girdle; apron, skirt* – *გარემო სარტყმელი* AS (დაბ. 3:7); *სახუვეელი* (იერ. 13:1,2,4,6); *სამოსელი* (რო. 3:15)

**περι-σκελής** (σκέλος *leg*) – *around the leg; underpants, leggings* – *გარეაღმოსასხმელები* (გამ. 36:35); *სამოსელი საწვეე* (გამ. 28:42); *ნიფხავი* (ლევ. 6:3; 16:4; ეზეკ. 44:18).

ტრანსლაციის მეთოდს ბერძნულში დამკვიდრებული და სეპტუაგინტაში ხშირად ნახმარი სიტყვების გადმოტანის მაგალითზეც შეიძლება დავაკვირდეთ. ასეთი ლექსიკის გადმოტანისას, ე.ი. იმ შემთხვევებში, როცა სათარგმნი ლექსიკის მნიშვნელობის დადგენა სირთულეს არ წარმოადგენს, მთარგმნელები თავისუფლად ცვლიან ლექსიკის გადმოტანის პრინციპს. ამის საილუსტრაციოდ ზირაქის წიგნის მთარგმნელის მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ. *ზირაქის* მთარგმნელმაც კარგად იცის *პრეფიქსიანი* სიტყვის *ἐπαγωγῆ* მნიშვნელობა (*captivity, distress, misery*) – როგორც პირდაპირი, ისე კონტექსტუალური. ამიტომაც გადმოაქვს იგი სრულიად განსხვავებული საშუალებებით:

1. თარგმნის კონკრეტული კონტექსტიდან ამოსვლით:

ზირ. 2:2 ἐν καιρῷ **ἐπαγωγῆς**: *ჟამსა მას, რომელსა შეგემთხუოდის შენ განსაცდელი* O;

ზირ. 5:8 ἐν ἡμέρᾳ **ἐπαγωγῆς**: *დღესა მას რისხვისასა* O;

ზირ. 10:13 παρεδὸξασεν κύριος τὰ **ἐπαγωγὰς**: *განაძლიერნა უფალმან რისხვანი* O;

ზირ. 40:9 ῥομφαία, **ἐπαγωγαί**, λιμὸς: *მახვლი, ტყუეობა და სიყმილი* O;

ზირ. 38:19 ἐν **ἐπαγωγῇ**: *მეყსეულად მოსრვავ* O.

2. და, სრულიად სხვა პრინციპით: სათარგმნი სიტყვის იმიტაციით, მისი კალკირებით (ამ მეთოდზე ქვემოთ) – მისი სეგმენტირებით და ცალკეული სეგმენტის თარგმანით:

ზირ. 25:14 πᾶσαν **ἐπαγωγῆν** καὶ μὴ **ἐπαγωγῆ** μισήσντων *ყოველიმცა ზედა-მისვლავ არს და ნუმცა არს ზედამისლავა მოძულეთავ* O.

3. ხელოვნური წარმოებით, რომელსაც შესატყვისი არ აქვს დედანში და სიმულაციად შეიძლება ჩავთვალოთ (თარგმანის ამ მეთოდზე ქვემოთ):

ზირ. 23:11 πλησθήσεται γὰρ **ἐπαγωγῶν** *რამეთუ სახლი მისი აღივსოს ზღვის-დებთა* O.

კარგად ნაცნობი ბერძნული სიტყვების კონტექსტუალური თარგმნა ეკვივალენტების ხშირ ცვლას იწვევს (ხარანაული, 2009). ეს, ცხადია, მაშინ უფრო ხდება, როდესაც სათარგმნი სიტყვა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობას ატარებს. მაგრამ ეკვივალენტების ცვლას ქართულ თარგმანში ადგილი აქვს მაშინაც, როდესაც სათარგმნი სიტყვა ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება. ასე იქცევა მაგ., რუთის ძველი მთარგმნელი, რომელსაც ერთიდაიგივე სიტყვა და, ასევე, ერთი ძირიდან ნაწარმოები სიტყვები, სხვადასხვა ქართული შესატყვისით გადმოაქვს:

ἀγχιτσέν (near relation, kinsman, relative): ნათესავ OS; შვილება OS; ἀγχιτσεία: საშვილებელი OSL; სამკვდრებელი OSL; ἀγχιτσένειν თვსობა OS; თვსყოფა OS; შვილება OS; ნათესავობა OSL.<sup>1</sup>

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ შემთხვევებში შესატყვისების შერჩევა კონტექსტზე დამოკიდებული არ არის – მთარგმნელი ქართულ სინონიმებს ზუსტად ერთსა და იმავე კონტექსტში უნაცვლებს ერთმანეთს:

რუთ. 3:13 ἐὰν ἀγχιτσένση σε ἀγαθὸν ἀγχιτσένετω ἐὰν δὲ μὴ βίσηται ἀγχιτσένσαι σε ἀγχιτσένσω σε ἐγώ : უკუეთუ გითვსოს შენ, თვს-გეყავნ შენ; უკუეთუ არა უნდეს თვსობა შენი OSL (შდრ. უკუეთუ გისასუმლოს შენ, კეთილ, ხოლო არათუ ინებოს სასუმლება შენი, გისასუმლო მე G)

შდრ. რუთ. 4:4 εἰ ἀγχιτσένεις ἀγχιτσένει εἰ δὲ μὴ ἀγχιτσένεις: უკუეთუ ეშვილები, ეშვილე; უკუეთუ არა ეშვილები OSL (შდრ. უკუეთუ ესასუმლო, ესასუმლე ხოლო არათუ ესასუმლები G).

სტატიის გაგრძელებაში განხილული იქნება ბიბლიის ძველი ქართული ლექსიკა, რომელიც თარგმანის სხვა მეთოდების – იმიტაციის, სიმულაციის, ემულაციისა და ინტერპრეტაციის – გამოყენებით არის შექმნილი.

## ლიტერატურა

**გიგინეიშვილი 2016** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2016.

**დანელია 1992** – კ. დანელია, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები, „თსუ გამომცემლობა“, თბილისი, 1992.

**დანელია 1998** – კ. დანელია, ნარკვევები სამწერლობო ენის ისტორიიდან, ტ. 1, „თსუ გამომცემლობა“, თბილისი, 1998.

**მახარაძე 2013** – მახარაძე ნ., სატფურება ტერმინის ისტორიისათვის, კრებულში: მასალები ქართულ საეკლესიო ტერმინთა ისტორიისათვის, 1, საქართველოს საპატრიარქო, სამთავისისა და გორის ეპარქია, თბილისი, 2013.

**ცქიტიშვილი 1976** – თ. ცქიტიშვილი, ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1976.

<sup>1</sup> შდრ. გელათური თარგმანი, სადაც ერთი და იგივე ძირიდან ნაწარმოები ეკვივალენტებია გამოყენებული: სასუმელი, სასასუმლო, სასუმლება, სასუმელობა.



**დიდი სჯულის კანონი 1975** – ე. გაბიძაშვილი, ე. გიუნაშვილი, მ. დოლაქიძე, გ. ნინუა (გამომცემლები), დიდი სჯულის კანონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1975.

**ხარანაული 2009** – ა. ხარანაული, ფსალმუნთა ქართული თარგმანის ლექსიკა, ჟურნ. ენათმეცნიერების საკითხები, I-II, „თსუ გამომცემლობა“, თბილისი, 2009.

**Tov 1999** – Tov E. The Greek and Hebrew Bible, Collected Essays on the Septuagint, Leiden, Boston, Köln, 1999.

## მარკა ჯიქია

### ქართველებმა თებერვლის 26-ს ვამჯობინეთ 26 თებერვალი

ადამიანმა უხსოვარ წარსულში მიმართა ფიქსირებული მომენტიდან დროის მონაკვეთის ხანგრძლივობის გადათვლას. დღეს ჩვენი ცხოვრება წელიწადის მყარი მიმდევრობის მქონე 12-თვიანი ციკლით არის სტრუქტურირებული.

წელიწადის თვეთა ჩამონათვალში ყოველი თვე, ბუნებრივია, ერთგზის სახელდება. ელემენტარული გამომდინარეობით, იანვარი ერთია და ოცდათერთმეტი ვერ იქნება. აპრილი ქართლოს კასრადისთვის დაბეჯითებით ლურჯი არის, მურმან ლებანიძისთვის ის სულაც ჭრელია, მაგრამ – არა ოცდაშვიდი.

თანამედროვე ქართულ სინამდვილეში კი ნებისმიერი თვის ესა თუ ის დღე, დღის რიგითობა გამოიხატება რაოდენობითი რიცხვითი სახელით (გამონაკლისია პირველი: პირველი მაისი, პირველი სექტემბერი...).

ძველსა და საშუალო ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის უპირატესად პოსტპოზიციური წყობა არ უნდა იყოს ამის გამომწვევი მიზეზი, რადგან დომინანტური ნათესაობითიანი ფორმის პრეპოზიციულობა ბუნებრივია ყველა ეპოქის ქართულსათვის.

თვალს თუ გავადევნებთ ქართულ წერილობით წყაროებში თვის დღეთა რიგითობის აღნიშვნას, აღმოჩნდება, რომ თარიღის დასახელებისას დომინანტური იყო სამწევრა დატივური კონსტრუქცია პრე- ან პოსტპოზიციური წყობისა ასეთი შემადგენლობით: ობლიგატორული სიტყვა „თვე“, თვის სახელწოდება, ხოლო დღის რიგითობა აღირიცხებოდა რაოდენობითი რიცხვითი სახელით ან შესაბამისი ასოთი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ შემოვფარგლეთ საკვლევი საგანი – თვის დღეთა რიგითობის აღნიშვნა, თავი კი იჩინა საკითხების წყებაში. ესენია: წელთა აღრიცხვა (სახეზეა სამი სისტემა – დასაბამი, ქორონიკონი, ინდიქტიონი); თვეთა სახელწოდება – ძველი ქართული, რომაული, შერეული...).

ყურადღებას ვამახვილებთ ორ პარამეტრზე: ერთი, წყობა როგორია, და მეორე – თვის აღმნიშვნელი სიტყვა რომელ ბრუნვაშია, სახელობითში, მიცემითსა თუ ნათესაობითში.

ამთავითვე ვაცხადებთ: დიდი სიტყვლეა; ერთსა და იმავე სეგმენტში გვხვდება თვეთა როგორც ქართული სახელწოდებები, ასევე – რომაულიც; ერთსა და

იმავე გვერდზე თვის აღმნიშვნელი სიტყვა სახელობითშიც შეგვხვდა, მიცემითშიც და ნათესაობითშიც.

„შუშანიკის წამებიდან“ დავიწყით.

ქართველთათვის საჩინო ამ თხზულების ბოლო აბზაცში კონკრეტული თარიღი სამგზის არის მოცემული (იაკობ ხუცესი 1987:243):

(1)...თვესა აპნისისასა, მერვესა თთვისასა...

პირველი სინტაგმა პოსტპოზიციურია, მართული მსაზღვრელი ნათესაობითშია, ხოლო შესიტყვება – მიცემითში. მეორე სინტაგმაში საკუთრივ თვის დღეა დაზუსტებული, წყობა პრეპოზიციულია, მსაზღვრელი რიგობითი რიცხვითი სახელია – მერვესა – ნათესაობითში მართული საზღვრულით; კონსტრუქცია მიცემითშია.

(2)...ვარდობისა თვესა ათცხრამეტსა... მსაზღვრელის შერწყმა საზღვრულთან არ არის დამთავრებული და განსხვავებული მიკროსინტაქსით არის მანიფესტირებული – პრეპოზიციული წყობით. ფიგურირებს რაოდენობითი რიცხვითი სახელი – ათცხრამეტი; კონსტრუქცია აქაც მიცემითშია.

(3)...თვესა ოკდონბერსა ათჩვიდმეტსა...

შეთანხმებული პოსტპოზიციური საზღვრულ-მსაზღვრელია, ხოლო თვის სახელწოდება რომაულია.

ამ სამწევრა მაგალითებში ერთმანეთს ებმის პრეპოზიციული და პოსტპოზიციური მსაზღვრელ-საზღვრული, თვის დღის რიგობობა რაოდენობითი რიცხვითი სახელითაა გადმოცემული; თარიღის აღმნიშვნელი კონსტრუქციები მიცემითშია.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ (X ს.) თარიღი „თვე“ სიტყვის გარეშე სინტაგმით არის გადმოცემული: „..განვანესეთ სახსენებელი... ოკდონბერსა ოცდაცხრასა“ (ბასილ ზარზმელი 1987: 680).

საკითხის კვლევისას დავეყრდენით ქართული პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის გვერდაუვლელ ნაშრომებს. ესაა ილია აბულაძის მიერ შედგენილი პალეოგრაფიული ალბომი „ქართული წერის ნიმუშები“ (აბულაძე 1973) და მანანა ჭუმბურიძის მიერ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალების მიხედვით გამოცემული ხელრთვების კრებული (ჭუმბურიძე 2016).

ჩვენთვის საინტერესო კუთხით წარმოვადგენთ პალეოგრაფიული ალბომისეულ მასალებს:

X-XI ს.-ში შედგენილი იადგარის სათაურია „**ივნისსა კ, მამაჲსი**“

1085 წელს ნუსხურით გადანერილ სანიხასწარმეტყველოშია: **თუესა აგსტოსსა კთ;**

1345 წლის **ოკტომბერსა იბ** ერთგული სამსახურისათვის გიორგი ბრწყინვალე წყალობის სიგელით აჯილდოებს ჯავახიშვილ-გამრეკელს (მხედრულითაა ნაწერი);

1468 წლის **მარტსა კბ** – ასე თარიღდება ერთი სიგელი ქართული სამართლის ძეგლებში.

1495 წელს გადანერილ „დავითნის“ ანდერძში ასეა: **აპრილსა კე;**

1635 წელს სვინაქსრის გადანერა დაუწყიათ **თუესა დეკემბერსა ექუსსა**, გაუსრულებიათ **თუესა ივნისსა იბ-სა;**

1667 წელს სულთა განმანათლებელი ნიგნი კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი ბრძანებითა ღმრთისათა და მოძღვართ-მოძღურისა წალენჯიხლისა ილარიონისითა, ქუეყანა-სა ოდიშსა და მონასტერსა წალენჯიხისასა. სრულ იქმნა **თვესა მარტსა ლა**;

1669 წლის ხელნაწერი-კრებული „აღინერა... **ფებრვალსა ივ**“;

1671 წლის **ენკენისთვის კვ** არის გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი უძველესი ნუსხა;

1741 წელს **თუესა იანვარსა კვ** გადაინერა კრებული;

1750 წელს **ნოენბერს კზ** მოსკოვში ყოფნისას ვახუშტი ბატონიშვილს გადაუწერია აგრეთვე კრებული;

1756 წელს სულხან-საბა ორბელიანს ლექსიკონის წინასიტყვაობაში (ქართლისა ქვეყანასა ლექსიკონი აღარა იპოებოდა... ) ერთსა და იმავე გვერდზე უწერია: **მარტს ი-ჴ** მონაზონ იქმნა; **დეკემბრის ა-** ხვარასანს წავიდა მეფე ქაიხოსროს ეხმოდ და **ფებერვალს ვ-** გამოისტუმრა. **მაის ი-ა** ქართლს მოვიდა; **აპრილს კ-გ** მეფე ვახტანგს ისპაანს გაჰყვა, გამობრუნდა **ორს ნოენბერს** და **დეკემბერს კ-**ქართლს მოვიდა. **აგვისტოს ი-ზ** საფრანგეთს გაიპარა.... **ი-ჴ მარიამობის თვეს** გამოისტუმრა... **ვ-ღვინობის თვეს** მალთას მოვიდა **ჴ-დეკემბერს...** ხომალდი მოუვიდა **იანვარს ი-თ** კონსანტინეპოლეს მოვიდა – დათარიღების ხუთი ნაირგვარობაა:

1. ერთგზისაა ნათესაობითით – **დეკემბრის ა-**;
2. უპირატესად მიცემითია – **მარტს ი-ჴ, ფებერვალს ვ-, დეკემბერს კ-, იანვარს ი-თ, აპრილს კ-გ, აგვისტოს ი-ზ, მაის ი-ა** (ბრუნვის ნიშანი აკლია);
3. თვე ქართული დასახელებითაა – **ი-ჴ მარიამობის თვეს, ვ-ღვინობის თვეს**;
4. პრეპოზიციული მსაზღვრელით – **~ ჴ მარიამობის თვეს, ვ-ღვინობის თვეს**;
5. პრეპოზიციული მსაზღვრელი სრული შეთანხმებით – **ორს ნოენბერს**.

1762 წელს შედგენილ აპოვთეგმატაში: დაინერა **ფებერვლის დ-**; მიიცვალა **დეკემბერსა კ-ე**;

მიიცვალა მეფე საქართველოსა თეიმურაზ **თვესა იანვარსა რვასა დღესა**; **ენკენისთვის კვ, დეკემბრის ა, ფებერვლის ი...** და იქვე არის: **თუესა დეკემბერსა ექუსსა**.

თვეთა ქართული სახელები წარმოადგენენ მართულ მსაზღვრელ-საზღვრულის კონსტრუქციას საზღვრული სიტყვით „თვე“: მარიამობისთვე, ენკენისთვე, ღვინობისთვე, ქრისტეშობის თვე. სხვა შემთხვევაში თვის ქართულ თუ არაქართულ სახელს მიდევნებულია ან უსწრებს ლექსემა „თვე“.

დიპლომატიკის ატრიბუტულ მონაცემთა შორის ერთ-ერთია საბუთის დათარიღება.

ხელრთვებში ფიგურირებს ბრძანება და სიგელი, ბრძანება და ნიშანი, ნიგნი და სიგელი, ნიგნი და მტკიცე სიგელი, ნიგნი და ნიშანი, მტკიცე ნიგნი, ნიგნი, სიგელი, გუჯარი, ნიგნი წყალობისა, ყმა-მამულის წყალობის ნიგნი, ნასყიდობის ნიგნი და სიგელი, თავდახსნილობის ნიგნი და სხვ.

ხელრთვებიდან ამოღებული მასალა ასე დავაჯგუფეთ:

**თვის ქართული ან რომაული სახელი და დღის რიგითობა მიცემით ბრუნვაშია:**

1428 – დაინერა ბ(რძანე)ბა და სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა რივ, **იანვარსა კა;**

1698 – დაინერა სიგელი ჴელითა იშხნელის ელისესითა ესე **მარტსა იე** ქ(ორონი)კ(ონ)სა ტპვ; 1725 – დაინერა **მარტს ია** ქ(ორონი)კ(ონ)ს უივ;

1734 – დაინერა წიგნი ესე **აპრილსა ივ** ქ(ორონი)კ(ონ)სა უკვ;

1756 – დაინერა ხელითა იოანესითა **აპრილს ივ** ქ(ორონი)კ(ონ)ს უმდ;

1762 – აპოვთეგმატაში: მიიცვალა **დეკემბერსა კუე;**

1782 – აღინერა წიგნი ესე წყალობისა.....**მაისსა კ** ქ(ორონი)კ(ონ)სა უო (მანუჩარ ყორღანაშვილისადმი ყმა-მამულის წყალობის წიგნი ერეკლე II-ისა);

1783 – აღინერა ქრონიკონსა ქრისტეს აქათ ჩღვ **ივნის[ს]ა ით;**

1788 – აღინერა **დეკემბერს კა** ქ(ორონი)კ(ონ)სა უოვ;

1789 – დაინერა ესე სიგელი **აპრილს ით** ქ(ორონი)კ(ონ)ს უოზ;

1790 – დამინერია და მოწამეცა ვარ ამისი. აღინერა **თებერვალს კა** ქ(ორონი)კ(ონ)სა უო

1791 – დაინერა ესე წიგნი **თებერვალს კდ** ქ(ორონი)კ(ონ)ს უოთ;

1795 – დაინერა სიგელი ესე **იანვარს ივ**, ქ(ორონი)კ(ონ)ს უპვ;

**ცალკე დავაჯგუფეთ სიტყვა „თვის“ შემცველი კონსტრუქციები:**

1474 – დაინერა..... **თ(ვეს)ა ივნისსა კდ;**

1464 – დაინერა ბრძანება და ნიშანი ქ(ორონი)კ(ონ)სა რნბ **თუესა აპრილს ე** (სოფელ ახალშენში მდებარე სახასო ზვრისა და ასი დღის მიწის წყალობის სიგელი მეფე კოსტანტინე II-ისა ვარდია დოლისძისადმი (ფ.1448/5027);

1569 – დაინერა.....**თუესა თებერვალსა ოთხსა**, 1586 – დაინერა .....**თუესა მარტსა ა;**

1597 – დაინერა **თუესა იენვარსა ე;**

1608 – დაინერა ნიშანი და ბ(რძანე)ბა ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა სჟვ **მკათათუესა კო;**

1612 – დაინერა მტკიცე.....წიგნი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტ **თუესა მაისსა იზ;**

1650 – დაინერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლვ **თუესა აპრილსა**

1733 – დაინერა **თუესა აპრილსა ე**, ქ(ორონი)კ(ონ)სა უკა;

1753 – დაინერა ინდიკტიონსა კ(ათალიკო)ზ[ის] პატრია[რ]ქობისა ჩვენისასა **თთუესა აპრილსა გ;**

1764 – აღინერა ბძანება ესე **თუესა მარტსა იზ** ჴელითა მიხაილ ხუცისათა წელსა ჩღ~დ, ქ(ორონი)კ(ონ)სა უნბ. ყმების წყალობის წიგნი კათალიკოს ანტონ I-ისა მგალობელ ესე თაზისშვილისადმი (ფ.1448/№16);

1766 – დაინერა წიგნი ესე ქრისტეს აქეთ ჩღვ ქორონიკონს უნდ.....**თუესა თებერვალსა ბ;**

1768 – აღინერა ბძანება და ნიშანი ესე **თუესა იანვარს კო**, წელსა ქ(ორონი)კ(ონ)ს აქეთსა ჩღ~დ;

1770 – დამინერია მდივანს ი ე ს ე ს ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას სამოცდაათს, **თვესა ნოენბერსა ორსა;**

1784 – დაინერა ჳელითა უღირსის ხუცის ოსეს ძის იოანესითა **თთუჴსა დეკემბერსა კზ;** 1798 – აღინერა.....ნელსა ჩღჴჴ, **თუჴსა იულისსა კზ** ქ(ორონი)-კ(ონ)ს უპვ;

**თვის ქართული დასახელება ნათესაობით ბრუნვაშია:**

1675 – დაინერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკბ **თიბათვის კზ;**

1703 – დაინერა ბძანება და ნიშანი ესე **ენკენისთვის კზ** ქ(ორონი)კ(ონ)სა ტჟა;

1704 – დაინერა ესე ბძანება.....ქ(ორონი)კ(ონ)სა ტჟბ **ქრისტეშობისთვის კთ;**

1711 – დაინერა ესე სიგელი **ენკენისთვის იდ** ქ(ორონი)კ(ონ)ს თჯტ;

1723 – დაინერა ნიშანი და ბძანება ესე **თიბათვის იჴ** ქ(ორონი)კ(ონ)სა უია;

1739 – დაინერა **თიბათვის ით** ქ(ორონი)კ(ონ)ს უკზ;

1785 – აღინერა **მარიამობისთვის ე,** ქ(ორონი)კ(ონ)ს უოგ;

1789 – დაინერა **ღვინობისთვის ბ** ქ(ორონი)კ(ონ)ს უოზ;

1790 – მე..... დავსწერე ამათი სიტყვა. **ქრისტეშობის დ,** ქ(ორონი)კ(ონ)ს უოჴ;

1792 – დაინერა **ენკენისთვის იე,** ქ(ორონი)კ(ონ)ს უპ;

1794 – მე.....დამინერია და მოწამეცა ვარ. **მკათათვის კვ,** ქ(ორონი)კ(ონ)ს უპბ;

1799 – აღინერა **ენკენისთვის იე** ქ(ორონი)კ(ონ)ს უპზ;

**ერთგზის შეგვხვდა „თვის“ შემცველი კონსტრუქცია რომაული დასახელებით:**

1731 – დაინერა წიგნი და ნიშანი ესე **ივლისისთვის ი** ქ(ორონი)კ(ონ)ს უით;

**თვის რომაული სახელი ნათესაობით ბრუნვაშია:**

1565 – დაინერა ნასყიდობის წიგნი და სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს სმიგ, **სექტენბრის კე;**

1667 – დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტნე, **მაისის ა..... ;**

1688 – დაინერა ბძანება და..... **მაისის ივ** ქ(ორონი)კ(ონ)სა ტოვ;

1705 – დაინერა **მარტის კზ,** ქ(ორონი)კ(ონ)სა ტჟგ;

1707 – დაინერა ჳელითა..... **მაისის ი** ქ(ორონი)კ(ონ)სა ტჴე;

1731 – დაინერა წიგნი და ნიშანი **ესე ივლისისთვის ი** ქ(ორონი)კ(ონ)ს უით;

1732 – დაინერა გუჯარი ესე.....**იანვრის კზ** ქ(ორონი)კ(ონ)ს უკ;

1740 – დაინერა **აპრილისა ია** ქ(ორონი)კ(ონ)სა უკჴ;

1762 – აპოთეგმატაში: დაინერა **ფებერვლის დ~;**

1765 – დაინერა **სექტემბრის კ,** ქ(ორონი)კ(ონ)ს უნგ;

1766 – აღინერა.....ნელსა ქ(რი)ს(ტეს)ით ჩღფ.....**ნოენბრის იზ** ხოლო ქორონიკონსა უნდ;

1767 – დაინერა **დეკემბრის ივ** ქრისტეს აქათ ჩღზ;

1777 – დაინერა ესე თავდახსნილობის წიგნი **აპრილის ლ** ქ(ორონი)კ(ონ)ს უჴე;



- 1779 – მე კარის მღვდელს.....დამინერია..... **მაისის კთ** (ქ(რისტ)ეს აქეთ ჩროთ;
- 1781 – აღინერა **თებერვლის ა** (, ქ(რონნი)კ(ონ)ს უფთ;
- 1784 – დაინერა **მაისის კბ** ქ(რონნი)კ(ონ)ს უფთ;
- 1791 – დამინერია.....და მონამეცა ვარ. **ნოენბრის ც**. ქ(რონნი)კ(ონ)ს უფთ;
- 1796 – დაინერა **ავგისტოს ლ** ქ(რონნი)კ(ონ)ს უფდ;
- 1797 – მე მღვდელს დამინერია გიორგის **მაისის კთ.....** ქ(რონნი)კ(ონ)ს უფე;
- 1798 – აღინერა **აპრილის იე** , ქ(რონნი)კ(ონ)ს უფე;
- 1799 – მე..... სიტყვით დამინერია და მონამეცა ვარ. **მარტის ივ** ქ(რონნი)-კ(ონ)სა.

**ქართლში ოსმალეთის ბატონობის დროინდელი 4 იურიდიული დოკუმენტი ასეა დათარიღებული (კეკელია 1982:415-416):**

- 1725 – დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე **მკათათვის კთ**. ქორონიკონსა უღგ.
- 1725 – დაინერა ბრძანება და ნიგნი ესე **მარიამობის ბ**. ქორონიკონს უიგ.
- 1726 – ქსნისა და არაგვის ერისთავების მამულის საქმეზე **მაისის კზ**. ქორონიკონს უიდ.

1734 – დაინერა განჩინება დავით აფხაზაშვილისა და ასლან ონანაშვილის ყმა მამულის საქმეზე **მკათათვის კ**.

თვის დღის რიგითობა უპირატესად მიცემით ბრუნვაში გადმოცემულია შესაბამისი რიცხვის აღმნიშვნელი ერთი ან ორი ასოთი, ზოგჯერ – სიტყვიერად (თთვესა **ოკდონბერსა ათჩვიდმეტსა; ვარდობისა თთვესა ათცხრამეტსა; განვანესეთ სახსენებელი....ოკდონბერსა ოცდაცხრასა; მიიცვალა მეფე საქართველოსა თეიმურაზ თვესა იანვარსა რვასა დღესა; თუესა დეკემბერსა ექუსსა;**

- 1680 წელს დაინერა ნიგნი ესე **მარტსა ოცდა შვიდსა;**
- 1569 წელს დაინერა.....**თვესა თებერვალსა ოთხსა;**
- დამინერია მდივანს ი ე ს ე ს ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას სა-მოცდაათს, თვესა **ნოენბერსა ორსა;**

ერთი ასეთიც შეგვხვდა: 1635 წელს სვინაქსრის გადანერა დაუნყიათ **თუცსა დეკემბერსა ექუსსა, გაუსრულებიათ თუცსა ივნისსა იბ-სა...**

**თვის დღე იშვიათად ციფრებით არის აღნიშნული:**

1733 წლის **დეკემბერსა 24** ვახტანგ VI-ის ბრძანებით ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება გადაუნერია პაპუა თუმანიშვილს;

1782 წელს, **თთვესა იანვარსა 8-ში** ეფრემ მცირის თხზულება გადაინერა გარეჯის უდაბნოში.

**რამდენიმე შემთხვევაში თარიღი განსხვავებული ლექსიკური ერთეულებით ზუსტდება:**

- (1680 წელს) დაინერა ნიგნი ესე მარტსა ოცდა შვიდსა, **დღესა კვირ [ას] ტნიც;**
- (1736 წელს) დაინერა ეს სიგელი მარტს ოც და ოცდაათს **გასულს** ქ(რონნი)კ(ონ)ს უკდ;
- (1727 წელს) დაინერა ესე ნიგნი და სიგელი მარიამობისთვის **დამდეგს**, ქ(რონნი)კ(ონ)ს უიე;

(1736 წელს) დაინერა თიბათვის ათს **გასულს** ქ(ორონი)კ(ონ)სა უკდ;  
(1769 წელს) დაინერა თებერვლის **ჴ გასულს**, ქ(ორონი)კ(ონ)ს უნზ;  
(1795 წელს) დაინერა მარიამობის თვის **ნახევარს**, ქ(ორონი)კ(ონ)ს უპგ.

არსებობს ეკლესია-მონასტრებისეულ და ლაპიდარულ წარწერათა ნუკრი შოშიაშვილისა და ვალერი სილოგავას ნაამაგარი წარწერების უზარმაზარი კორპუსი, მაგრამ დათარიღების სეგმენტი ჩვენთვის ნაკლებად ინფორმაციული გამოდგა, რადგან უპირატესად ნაგებობათა გასრულების ან შეკეთება-განახლების წელი/წლებია მითითებული. ლაპიდარულ წარწერებში თვის დასახელება და რიცხვი ერთგვის შეგვხვდა ოშკის ტაძრის დასავლეთ მკლავის კარის თავზე ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ამოკითხულ ბიზანტიის იმპერატორის ბასილი II-ის მოსახსენებელში:

„მიიცვალა... მეფჴ ბ(ე)რძ(ე)ნთ(ა)ჲ ბ(ა)ს(ი)ლი ქრ(ო)ნ(ი)კ(ო)ნსა სმე, [თთ(უე)სა] **დ(ე)კ(ემ)ბ(ე)რსა იბ** დღ(ე)სა კ(ო)რ(ია)კ(ე)სა“ (შოშიაშვილი 1980:52).

ჩვენი კვლევის შედეგად რამდენიმე ეკლესიაში აღმოჩნდა წინამდებარე კვლევის რაკურსის შესაბამისი მონაცემები, რომელთაც აქ წარმოვაჩინთ:

სუფუზის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მეტაფრასი ხუცური ორ სვეტადაა დაწერილი: „უგანათლებულესისა მთავრის დადიანის კაციას ძის მამა ჭყონდიდელის მიტროპოლიტის ბესარიონის ბრძანებით წელსა ქ'ესით ჩყკბ, **ფებრვლის ზ**“.

სეფიეთის მთავარანგელოზების სახელობის ეკლესიის აღმოსავლეთის კედელზე ასომთავრულით წერია: „შემოვსწირე მთავარანგელოზის ეკლესიას აზნაურმან როსტომის ძემა იოვანე თოფურიამან სადღეგრძელოთ ჩემდა ჩემის ძირის ეკლესიას წელსა ჩყმე **ღვინობისთვის იე**“ .

ტყვირის მაცხოვრის სახელობის ეკლესია აშენებულია მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულს ქველი ჭილაძის მიერ. აქ არის დაუნჯებული ვერცხლის ბარძიმი მხედრული წარწერით, რომლიდანაც ირკვევა, რომ ეს ბარძიმი მღვდელმთავარმა ზურაბ წერეთელმა შესწირა ტყვირის მაცხოვარს: „მაცხოვარო მხსნელო ტყვირის ეკლესიასა შინა განსვენებულო, შეიწირე მცირი ესე მწვლილი ბარძიმი ჩემ მონისა არხიერის წერეთელის ზურაბის ძის **ფებერვლის იდ** ჩყიდ.

სამივე მოცემულობაში თვის სახელი ნათესაობითია, ხოლო დღეთა რიგითობა რაოდენობით რიცხვით სახელთა შესაბამისი გრაფემებითაა გადმოცემული.

XIX საუკუნიდან ვრცელდება და მყარდება თვის დღის რიგითობის ციფრით გადმოცემა.

გრიგოლ ორბელიანი თავის ლექსებს ასე ათარიღებს:

ზაქათალას, 1830 წელ[სა], **ნოემბრის 7 დღესა; მარტის 8-სა**. 1832 წელს. ნასლედნიკის პრინც პრუსიის შტაბი. ნოვლოროდი; 1832 წელი, **მარტის 28 დღეს**, ნასლედნიკის პრინცის პრუსიის შტაბი. პეტერბურლი, **ივლისის 15-სა**, 1832 წელს; **დეკემბრის 13-სა**. 1835 წელსა, რიგა 1835 წელს, **ნოემბრის 24**, რიგაში; 1840-სა, **მაისის 5 დღესა**, გორს; 1841 წ. **მაისის 1 დღესა**, ვლადიკავკაზი; მაგრამ იგივე გრიგოლ ორბელიანი: – პეტერბურლი, 23 **დეკემბერი**, 1832 წელს; 1829 წ. 22 **ივლისის** წინანდალი, **ნოემბრის 7 დღესა, მარტის 8-სა** – ანუ სამივე ბრუნვას იყენებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ კრებულებში მოთავსებულ ვარიანტს თარიღად უწერია **მაისის 9-სა**, 1842. ერთ ლექსს პოეტი ასე ათარიღებს: **სექტე-**

**მბრის 23-სა დღესა** 1844 წელსა ტფილისი (ქართველი რომანტიკოსები 1978:197). გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილს კი – ასე: წელსა 1841-სა **მაისის 28-სა დღესა**. ქ. ტფილისი (ქართველი რომანტიკოსები 1978:217); თუმცა ასეც აქვს დათარიღებული წერილი: **1843, 21 აგვისტოს** თბილისი; და ასეც: წელსა 1844-სა **აპრილსა 15-სა** ქ.ტფილისით; წერილს მაიკო ორბელიანისადმი თარიღით იწყებს: წელსა 1842-სა **ოქტომბრის 31-სა**. ქ. ტფილისით. მეორე წერილს მაიკოსადმი განსხვავებულად ათარიღებს: **9-სა თებერვალს**, 1845. ქ. ნახეჩევანით.

გიორგი ერისთავი:1852 წელსა **ნოემბრის 5-სა დღესა**.

არც ილია ჭავჭავაძესთან ჩანს ეს საკითხი ერთგვაროვნად „დალაგებული“: 1860 წელსა **ნოემბრის 5-სა დღესა**, მაგრამ **14 მაისსა**, 1861 წელსა..1861 წ. 15 **თი-ბათვისას (?)**, **12 მკათათვისა**.. ბარათაშვილის გადმოსვენებაზე: **25 აპრილს** 1893 წელს...

გაზეთი „ივერია“ დღევანდელი თარგით ინომრებოდა: **3 მარტი**, 1877 წელი; აკაკი: **1-ლი იანვარი**; **27 ენკენისთვე**; **15 ივლისი**.

ვაჟა-ფშაველაც უპირატესად დღევანდელ ნორმას იყენებს.

ასევეა სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ეგნატე ნინოშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე...

ტერენტი გრანელი ხშირად აფიქსირებს ლექსის თხზვის თუ ამ „ლექსად ყოფნის“ თვესა და რიცხვს:

**რვა ივნისია**, ცხელა (ტერენტი გრანელი 1961 :128);

დღეს მხოლოდ **ოთხი სექტემბერია** (ტერენტი გრანელი 1961 :30);

**რვა სექტემბრის** ქარიანი დღეა (ტერენტი გრანელი 1961 :102);

მოვშორდი ხმაურს, ვარ დიდუბეში და დღეს **პირველი ნოემბერია** (ტერენტი გრანელი 1961: 85).

პოეტი ზოგჯერ თვის აღმნიშვნელ სიტყვას ნათესაობით ბრუნვაში სვამს:

დღეს ხომ **მაისის ოცდა შვიდია** (ტერენტი გრანელი 1961: 67);

დღეს **სამია ივნისის**, მინდა იყოს ცამეტი (ტერენტი გრანელი 1961:140);

მურმან ლებანიძესთან ასეა:

„თოვს ხეობაში **ოქტომბრის ჩვიდმეტს**,

თოვს ხეობაში **ოქტომბრის თვრამეტს**“ (ლებანიძე 1979:119).

ამ სტრიქონებში ნყოფა კი არის პოსტპოზიციური, მაგრამ საზღვრული მოსალოდნელი ნათესაობითის ნაცვლად შეთანხმებულ მიცემითშია.

ასევეა ამ მაგალითშიც:

„დღეს **ოქტომბრის ცხრამეტია**“ (ლებანიძე 1979:136).

რა ხდება სხვა ენებში?

სალიტერატურო არაბულშია as-sādis<sup>a</sup> wa-l‘iṣrūn<sup>a</sup> min fibrāyirā ‘მეექვსე და მეოცედან თებერვლისა’, ხოლო დიალექტებში (მაგ. ეგვიპტურში) ისეა, როგორც ახალ ქართულში: sitta wa-‘iṣrīn fibrāyir ‘ოცი და ექვსი თებერვალი’;

გერმანულშია der sechsundzwanzigste (26.) Februar ‘ოცდამეექვსე თებერვალი’; ინგლისურში: the twenty sixth of February ‘ოცდამეექვსე თებერვლისა’; ფრანგულში ისეა, როგორც დღეს ქართულში – რაოდენობითი რიცხვითი სახელით: c’était le 26 février ‘ეს იყო 26 თებერვალს’, სომხურშია p’etrvari k’san vets’erord ‘თებერვლის ოცდაექვსი’; სპარსულად: emruz ruze bist-o- šesom-e fevrie ast ‘დღეს 26 თებერვა-

ლია“; რუსულში – двадцать шестое февраля „ოცდამეექვსე თებერვალი“; ოსმალურში: ზილკადეს (ივლისის) მთვარის კალენდრის მე-11 თვე) ოცდამეოთხე დღეს (ჯიქია 1965:245); დაინერა ჯემაზი-ალ-ახირეს მეოცე დღეს (ჯიქია 1980:141); ეს ფირმანი დაინერა რეჯების თვის მეცხრე დღეს (ჯიქია 1983:293); ეს ამბავი ამონერილი იქნა ...ჯუმად-ალ-ახირეს მეთვრამეტე დღეს, ჩანერილი იქნა... საფარის თვის მეცხრე დღეს; ამონერილი იქნა შევალის მეთვრამეტე დღეს (ჯიქია 1976 : 277-279). თურქულში: ‘subatın yirmi altısı „თებერვლის ოცდაექვსი მისი“. თუმცა დღეს ასეც გვხვდება: 26 Şubat 2021 tarihinde „2021 წლის 26 თებერვალს“.

დღეს წერისას დათარიღება უპირატესად ციფრებით ხდება: 26.02.2021...

ეს დრომ მოიგანა.

მანამ კი ქართველებმა თვის დღის რიგითობის აღსანიშნავად ენის შინაგანი ლოგიკის კვალობაზე კანონზომიერი თებერვლის ოცდამეექვსე (დღეს) თუ არა, თებერვლის ოცდაექვსს ვამჯობინეთ მარტივი აღნიშვნა – 26 თებერვალი; ავირიდეთ რიგობითობის პრეფიქს-სუფიქსური წარმოება და ამჟამად პრეპოზიციული წყობაც ჩვენთვის უფრო ბუნებრივია.

ქართული ენის განვითარების მრავალსაუკუნოვან ნიაღში გამოტარებული ეს მოვლენა დადებითი კონოტაციის ფაქტია.

### **ლიტერატურა და წყაროები:**

**აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, მეორე შევსებული გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1973.

**ბასილ ზარზმელი 1987** – ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება – ქართული მწერლობა, ტომი პირველი, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1987.

**კეკელია 1982** – მიხეილ კეკელია, ქართლში ოსმალეთის ბატონობის დროინდელი რამდენიმე იურიდიული დოკუმენტი, საქ.სსრ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო. „საისტორიო მოამბე“, ტ. 45-46, თბილისი, 1982.

**იაკობ ხუცესი 1987** – იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება – ქართული მწერლობა, ტომი პირველი, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1987.

**ლებანიძე 1979** – მურმან ლებანიძე, ერთტომეული, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979.

**ორბელიანი 1983** – გრიგოლ ორბელიანი, ლირიკა. გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1983.

**ორბელიანი 1980** – ქართველი რომანტიკოსები. გრიგოლ ორბელიანი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1980.

**ტერენტი გრანელი 1961** – ტერენტი გრანელი, რჩეული. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1961.

**შოშიაშვილი 1980** – ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნუკრი შოშიაშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1980.

**ჭუმბურიძე 2016** – მანანა ჭუმბურიძე, ხელრთვები. დამწერები. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალა, გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი, 2016.

**ჯიქია 1965** – სერგი ჯიქია, ერთი თურქული საბუთი ცხინვალის შესახებ, თსუ შრომები, 116, თბილისი, 1965.

- ჯიქია 1976** – სერგი ჯიქია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები, აღმოსავლური ფილოლოგია, IV, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1976.
- ჯიქია 1980** – Джикия С.С. Османские судебные документы XVIII в. – Средневековый Восток, “Наука”, Москва, стр.139-143.
- ჯიქია 1983** – სერგი ჯიქია, სულთნის ფირმანი იონა მეუნარგიას ოსმალეთის ორდენით დაჯილდოების შესახებ, თსუ შრომები 241, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბილისი, 1983.

გიორგი ჯღარკავა

## ანდაზების ტრანსფორმაცია და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური საკითხები

### შესავალი

ანდაზა ამა თუ იმ ენის უნიკალური სიმდიდრე და კულტურის განუყოფელი ნაწილია. ამიტომ, პარემიული ერთეულების სიღრმისეული შესწავლა მათი შემქმნელი ხალხის ყოფითი და მენტალური თავისებურებების გამოვლენასა და აზროვნების კანონების შესწავლასაც გულისხმობს. ტრადიციული გაგებით, ანდაზა ლაკონიურად გადმოცემული დამრიგებლური შინაარსის გამონათქვამია, რომელსაც სხარტი და მოქნილი სტრუქტურა ახასიათებს. მართალია, პარემიათა უმრავლესობა თაობიდან თაობას თითქმის უცვლელად გადაეცემა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ცხოვრების პირობების შეცვლა, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარება და მასთან დაკავშირებით თვალსაზრისთა და შეხედულებათა გარდაქმნა იწვევს რიგ ანდაზათა დაძველებას და უარყოფას“ (ლეჟავა 1959: 140). შეიძლება ითქვას, რომ ერთი მხრივ, ანდაზის მონოლითურობა და საყოველთაოდ გავრცელებულობა, ხოლო მეორე მხრივ, მისი ხალხური ბუნება და ყოველდღიურ მეტყველებასთან სიახლოვე განაპირობებს ენაში ტრადიციულად არსებული პარემიული ერთეულების გვერდით მათი ტრანსფორმირებული ვარიანტების არსებობასაც. ანდაზური ერთეულების ამგვარი გარდაქმნის უმთავრესი მიზეზი საზოგადოებაში არსებული ღირებულებათა სისტემის ცვლილებაა. ასეთი, კონკრეტული მიზნითა და მოტივაციით, „გადასხვაფერებული“ ანდაზები სპეციალურ ლიტერატურაში „ანტიანდაზის“ სახელითაა ცნობილი. აღნიშნული ტერმინი (გერმ. Antishprichwort) სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ცნობილმა პარემიოლოგმა, ვოლფგანგ მიედერმა, 1982 წელს. მეცნიერის განმარტებით, „*Anti proverbs are parodied, twisted, or fractured proverbs that reveal humorous or satirical speech play with traditional proverbial wisdom (Mieder, 2004: 28).* მაშასადამე, ავტორის აზრით, ანტი-ანდაზები ძველი ანდაზების პაროდის ნარმოადგენს და მათ სატირულ-იუმორისტული ბუნება გააჩნიათ“ (შავლაძე 2015: 52).



ტრადიციული ანდაზის ტრანსფორმირებულ ვარიანტს, რომელიც განსაკუთრებით თანამედროვე ინგლისურ ენაშია გავრცელებული, გარდა ანტიანდაზისა, სხვა ტერმინებითაც მოიხსენიებენ. მათ შორის აღსანიშნავია: „გრეხილი სიბრძნე“ (twisted wisdom), „სილიკონის ანდაზები“ (silicon proverbs), ველერიზმი<sup>1</sup>, „ინტერტექსტუალური ხუმრობები“ (intertextual jokes), „perverb“ („perverse proverb“), „кукизм“, „инопословица“, „противословица“, „пословичные новообразования“ და ა. შ.

როგორც ქართულ, ასევე ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციული ხალხური ანდაზების გარდაქმნილ ვარიანტებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური სიჭრელე გამონეულია თვით ცნების დეფინიციის დაუზუსტებლობით. მკვლევართა ნაწილი შენიშნავს, რომ „მიუხედავად უარყოფითი მნიშვნელობის მატარებელი პრეფიქსის „ანტი“, ანტი ანდაზა არ წარმოადგენს ანდაზის საპირისპირო ფენომენს. ანტი ანდაზა მოდერნიზებული ანდაზაა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ძველ ანდაზებში ფიქსირებულ ტრადიციულ სიბრძნეს“ (შავლაძე 2015: 52). მიუხედავად ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობისა, ჩვენ მიერ ციტირებული ავტორი თავის ნაშრომში მაინც ტერმინ „ანტიანდაზას“ იყენებს. ნათელია, რომ „ანტი-“ პრეფიქსის დართვით მიღებული ლექსიკური ერთეული ადეკვატურად ვერ გადმოსცემს იმ შინაარსს, რაც აღნიშნულ ცნებაში დევს, მაგრამ, ჩვენი დაკვირვებით, თანამედროვე კვლევებში (Militz 1999; შურღაია 2008; Litovkina 2014; Pavlović 2014; Anand 2014; შავლაძე 2015; ქამადაძე 2016; ცინცაძე 2016 და სხვ.) ყველაზე გავრცელებულ ტერმინად მაინც „ანტიანდაზა“ გვევლინება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ უკეთესი იქნება, „ანტიანდაზის“ ნაცვლად შედარებით ნეიტრალური ტერმინის – „კვაზიანდაზის“ – გამოყენება<sup>2</sup>. აღსანიშნავია, რომ კვაზიანდაზა (квазипословица) ანტიანდაზის სინონიმური მნიშვნელობით დასტურდება რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში (მაგ., Береговская, 2001; Бровкина 2006; Мед, 2015), თუმცა ნაკლებადაა მსჯელობა რომელ ტერმინს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და რატომ. საინტერესოა ისიც, რომ რუსული ენისთვის ამ უკანასკნელ წლებში შეიქმნა ლექსიკონი სახელწოდებით „Прикольный словарь: антипословицы и антиафоризмы“ (Мокиенко, Вальтер, 2006). ვფიქრობთ, რომ „ანტიანდაზის“ ნაცვლად „კვაზიანდაზის“ გამოყენებით აღმოიფხვრება ის მნიშვნელოვანი ლაფსუსი, რომლის მიხედვითაც ტერმინ „ანტიანდაზაში“ პრეფიქსული ელემენტი („ანტი-“) ნეგატიურ, ანდაზის საწინააღმდეგო, მასთან დაპირისპირებულ შინაარსს სძენს წარმოდგენილ სიტყვაფორმას. ამისგან განსხვავებით, თავსართი „კვაზი-“ (ლათ. Quasi), რომელიც ნიშნავს „თითქმის“, „ახლოს“, ტერმინ „კვაზიანდაზას“ ტრადიციულ ანდაზასთან ახლოს მდგომის, მასთან მოჩვენებითი მსგავსების მქონეს მნიშვნელობას აძლევს. ამასთან,

<sup>1</sup> სპეციალურ ლიტერატურაში ველერიზმი განმარტებულია როგორც „კლიშეთა, გამონათქვამთა თუ ანდაზათა იუმორისტულად უარყოფა, მიგვითითებს რა, რომ აღნიშნული ანდაზა ან გამონათქვამი ყველა სიტუაციაში არ ამართლებს. დიდი ხნის წინ დამკვიდრებულმა კლიშემ თუ სტერეოტიპმა შეიძლება გარკვეულ სიტუაციაში კრახი განიცადოს“ (ცინცაძე 2016: 67).

<sup>2</sup> ტერმინოლოგიურ საკითხებზე პირველად ყურადღება მიგვაქცევინა პროფესორმა რამაზ ქურდაძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვასხენებთ.

კვაზიანდაზა ახალ, ტრადიციული ანდაზის საპირისპირო ყალიბს კი არ იყენებს, არამედ მიმართავს უკვე არსებულ ანდაზურ მოდელს და მიჰყვება მის ლოგიკურ სტრუქტურას. ამდენად, კვაზიანდაზა ეს არის ძველი ცნობილი ანდაზის არა დაპირისპირებული ცალი, არამედ მისი ახალი ვარიანტი, რომელშიც ტრადიციული სიბრძნე გადამუშავებულია და მისადაგებულია თანამედროვე ყოფასთან, დღეს არსებულ აქტუალურ საკითხებთან თუ მოვლენებთან. ტრადიციული ხალხური ანდაზისგან განსხვავებით, კვაზიანდაზა ნაკლებად შეიცავს რაიმე განზოგადებულ სიბრძნეს. იგი მორგებულია კონკრეტულ მოვლენას, სიტუაციას. კვაზიანდაზა არსებობს არა ცალკე აღებული, არამედ იმ ტრადიციული ანდაზის გვერდით, რომლის ტრანსფორმაციასაც იგი წარმოადგენს და სწორედ ამ უკანასკნელთან კონტრასტი ქმნის კომიკურ და ხშირად ირონიულ ელფერს.

როგორც ზემოთ ითქვა, კვაზიანდაზები უმეტესად ინგლისურ ენაშია გავრცელებული<sup>1</sup>, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ნელ-ნელა იგი სხვა ენებშიც, მათ შორის ქართულშიც, იკიდებს ფეხს. ამ პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი ხელისშემწყობი ფაქტორი არის ინტერნეტსივრცე, რის გამოც სამართლიანადაა აღნიშნული, რომ კვაზიანდაზები „გვხვდება ინტერნეტში, სარეკლამო ლოზუნგებში, წიგნებისა და სტატიების სათაურებში, ჟურნალ-გაზეთებში; არ არსებობს ცხოვრების სფერო, სადაც ისინი არ გამოიყენება“ (Litovkina 2014:1). კვაზიანდაზების ესოდენ გავრცელებულობას ხელს უწყობს მათი კომიკური ელფერი და სტრუქტურულ-სემანტიკური თუ ინტუიციური სიახლოვე ტრადიციულ ანდაზებთან. საინტერესოა, რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „ის გამოთქმები, რომელთაც დღეს ჩვენ ანტიანდაზებს ვუწოდებთ, შეიძლება მომავალი თაობებისთვის ჩვეულებრივი ანდაზები გახდნენ“ (Anand 2014: 32).

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად არ ისახავს ქართულში არსებული კვაზიანდაზების ამომწურავ ანალიზს. ამ ეტაპზე შევჩერდებით მხოლოდ ამა თუ იმ ვებგვერდზე – სხვადასხვა სოციალურ ქსელსა და ფორუმში განთავსებული ქართული ტრადიციული ანდაზების გარდაქმნების შედეგად მიღებული კვაზიანდაზების განხილვაზე. საკითხის ნათლად წარმოსაჩენად აუცილებელია გამოვლინდეს აღნიშნული კვაზიანდაზების სტრუქტურა. კერძოდ, გამოიყოს ის ხერხები და საშუალებები, რომლებზე დაყრდნობითაც, ხალხური ანდაზის გვერდით იქმნება კონკრეტული კვაზიანდაზა.

### **ქართული კვაზიანდაზების სტრუქტურის საკითხები**

ცნობილია ტრადიციული ანდაზების გარდაქმნის რამდენიმე ხერხი. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა ტრადიციული ანდაზის მეორე ნაწილის, დასასრულის შეცვლა. ამასთან, შესაძლებელია რომელიმე კონკრეტულ პარემიულ ერთეულს დროთა განმავლობაში რამდენიმე ვარიანტი გაუჩნდეს. ე.ი. ერთი ანდაზის განსხვავებული ტრანსფორმაციების შედეგად სხვადასხვა კვაზიანდაზა მივიღოთ. მაგ.,

<sup>1</sup> ინგლისურში არსებული კვაზიანდაზების შესახებ უფრო ვრცლად იხ. ქამადაძე 2016, 125-134; Pavlović 2016, 129-136 და სხვ.

- (1) სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების.
- (1ა) სწავლის ძირი მწარე არის კენწერომდე ვინ ასულა ([www.facebook.com](http://www.facebook.com))<sup>1</sup>.
- (1ბ) სწავლის ძირი მწარე არის კენწეროში ტაქსისტდები ([www.answers.ambebi.ge](http://www.answers.ambebi.ge)).
- (1გ) სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში ვინ აგიშვებს ([www.answers.ambebi.ge](http://www.answers.ambebi.ge)).
- (2) გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა, ტკბილად მოუბარი.
- (2ა) გველსა ხვრელით ამოიყვანს ჯოხი მოკაუჭებული ([www.facebook.com](http://www.facebook.com)).
- (2ბ) გველსა ხვრელით ამოიყვანს ჯოხი შეჩხიკინებული ([www.saertogazeti.wordpress.com](http://www.saertogazeti.wordpress.com)).
- (2გ) გველსა ხვრელით ამოიყვან ჯოხისა შეჩხიკინებით? ([www.answers.ambebi.ge](http://www.answers.ambebi.ge)).
- (3) ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო.
- (3ა) ხარი ხართან რომ დააბა, ორი ხარი იქნებაო ([www.anegdotebi.mcvane.ge](http://www.anegdotebi.mcvane.ge)).
- (3ბ) ხარი ხართან რომ დააბა, ან ფერს იცვლის ან მოკვდება (იქვე)
- (4) დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შეჭამსო.
- (4ა) დედის წინ მორბენალი კვიცი დედაზე სწრაფი გამოვაო ([www.facebook.com](http://www.facebook.com)).
- (5) რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია.
- (5ა) რასაცა გასცემ შენია, რაც არა მაინც შენია ([www.mymaika.ge](http://www.mymaika.ge)).
- (5ბ) რასაცა გასცემ შენია, რაც არა ხომ შენია და შენია ([www.facebook.com](http://www.facebook.com)).
- (6) ცდა ბედის ნახევარიო.
- (6ა) ცდა ბედის მესამედიო ([www.geocanabis.com](http://www.geocanabis.com)).
- (7) ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაენევა მწევაარი.
- (7ა) ადრე ამდგარსა კურდღელსა 5 წუთში ჩაეძინებაო ([www.facebook.com](http://www.facebook.com)).
- კვაზიანდაზა შეიძლება აგრეთვე შეიქმნას სიტყვათა თამაშის პრინციპზე დაყრდნობითაც. ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითში ცნობილი ხალხური პარემიის არა მხოლოდ უკანასკნელი ნაწილია შეცვლილი, არამედ რამდენიმე სიტყვაა ამოღებული და სხვა ლექსემებით ჩანაცვლებული:
- (8) მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდებაო.
- (8ა) ქვა ქვაზე დადე ორი გახდებაო ([www.facebook.com](http://www.facebook.com)).
- როგორც ზემოთ აღინიშნა, კვაზიანდაზის შექმნა არ არის შემთხვევითობაზე დამყარებული, არამედ განპირობებულია რამე კონკრეტული ფაქტით, მოვლენით, თემით და ა.შ. ხალხის მიერ გარდაქმნილი ანდაზები ეხმიანება თანამედროვე ცხოვრების წესს, საზოგადოებაში არსებულ ამა თუ იმ აქტუალურ საკითხს, როგორცაა, მაგალითად, პოლიტიკა. პოლიტიკური თუ სხვა თემატიკის კვაზიანდაზებზე საუბრისას დგება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: რამდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება და გავრცელდება ხალხში სინქრონულ მო-

<sup>1</sup> აქაც და ქვემოთაც, ყველა მაგალითში, სტილი დაცულია. ამასთან, ვინაიდან ნაშრომში წარმოდგენილი მაგალითების უმრავლესობის კონკრეტული ელექტრონული მისამართი (ე. წ. URL) საკმაოდ გრძელი და მოცულობითია, ისინი სტატიის ბოლოს, წყაროების ჩამონათვალშია გატანილი, ხოლო აქ, მითითებულია მხოლოდ ვებგვერდის დასახელება (ბოლო წვდომა: 11.03.2018).

ვლენებზე, სიტუაციურობაზე დაფუძნებული და კონკრეტულ კონტექსტზე მორგებული ამგვარი კვაზიანდაზები. ვფიქრობთ, რომ ვინაიდან მაგ., პოლიტიკური თემატიკის შემცველი კვაზიანდაზები რომელიმე პერიოდს და ამ პერიოდში მოღვაწე პოლიტიკურ ფიგურას, მაშინ მომხდარ ამბავს უკავშირდება, ნაკლებადაა მოსალოდნელი ენაში მათი ხანგრძლივად შემონახვა. ამიტომაც, ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებს შეიძლება პირობითად „სიტუაციური კვაზიანდაზები“ ვუწოდოთ. აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა შექმნილია შემდეგი პრინციპით: ტრადიციული ანდაზის სიტყვათა ნაწილი ჩანაცვლებულია სხვა ლექსიკური ერთეულებით (უმეტესად კონკრეტული პოლიტიკოსების სახელებით), ხოლო სტრუქტურა არსებითად უცვლელი რჩება, რათა არ დაირღვეს ფრაზის რითმული და რიტმული მთლიანობა. არსებული ანდაზური მოდელის გარდაქმნა გაართულებს იმის ამოცნობას, თუ რომელი ტრადიციული ანდაზიდან მომდინარეობს ესა თუ ის კვაზიანდაზა. ამან კი, შეიძლება ხელი შეუშალოს კვაზიანდაზას ძირითადი მიზნის მიღწევაში, რაც გულისხმობს კომიკური, ირონიული ელფერის შექმნას:

- (9) ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო.
  - (9ა) ღარიბაშვილმა წყალი დალია და ბიძინას შეხედაო.<sup>1</sup>
  - (10) დედის წინ მორბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს ან მგლის ფერიო.
  - (10ა) ავლაბრის წინ მოხტუნავე მარგველაშვილს ან ბიძინა შეჭამს, ან ბიძინასფერი ირაკლიო.
  - (11) სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირიო.
  - (11ა) ვანოს ჭირი – მიშას ჩხირიო...
  - (12) კაცი ცხენს ვერ მოერია და უნაგირს დაუნყო მტვრევაო.
  - (12ა) სააკაშვილს ვერ მოერივნენ და ნიკლაური დაამტვრიესო.
  - (13) ქურდს ყველა ქურდი ჰგონიაო.
  - (13ა) ხადურს მშიერიც ხადური ჰგონიაო.
  - (14) ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო.
  - (14ა) პარლამენტარების ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო.
  - (15) თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო.
  - (15ა) შენ გორის მერობა თქვი და, ოქრუაშვილი პარიზიდანაც მოვაო.
- თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ბუნებრივია, რომ, გარდა პოლიტიკური თემატიკისა, კვაზიანდაზების შექმნაში ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეობას იღებს ინფორმაციული ტექნოლოგიები, კომპიუტერთან დაკავშირებული თემატიკა. აღნიშნული დარგის მიხედვით შექმნილი კვაზიანდაზები ზეპირმეტყველებაში ნაკლებად გავრცელებულია, თუმცა მათი ნახვა შესაძლებელია ინტერნეტსივრცეში. მსგავსად პოლიტიკური თემატიკის კვაზიანდაზებისა, აქაც, ტრადიციული ანდაზების ტრანსფორმირების პრინციპი არის მასში შემავალი სიტყვების ჩანაცვლება. ხალხური ანდაზის სტრუქტურა კვაზიანდაზაში ამ შემთხვევაშიც, ძირითადად, უცვლელი რჩება:

(16) სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო.

<sup>1</sup> მაგალითები (7ა) – (13ა) დამონშებულია შემდეგი ელექტრონული მისამართიდან: <https://www.kvirispa litra.ge/sadgedrdzelod/21236-akhali-andazebi.html> (ბოლო ნედომა: 11.03.2018).

- (16ა) საიტის გატეხვას თავის გატეხვა ჯობიაო.<sup>1</sup>  
 (17) ქურდს ქუდი ეწვისო.  
 (17ა) ჰაკერს<sup>2</sup> კლავიატურა ეწვისო.  
 (18) აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი - ორივე ქურდიაო.  
 (18ა) ბანკის ჰაკერი და 4-ის ჰაკერი ორივე ჰაკერიაო.  
 (19) თავგმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო.  
 (19ა) ჰაკერმა თხარა თხარაო, ინტერპოლი<sup>3</sup> გამოთხარაო.  
 (20) მელამ თავისი კუდი მონმედ მოიყვანაო.  
 (20ა) ჰაკერმა თავისი კლავიატურა მონმედ მოიყვანაო.  
 (21) კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო.  
 (21ა) კარგი კომპი ჰაკერს არ დაირტყავსო.  
 (22) ერთი ალილუია მღვდელსაც შესცდებაო.  
 (22ა) ერთი ტეგი ჰაკერსაც შეეშლებაო.  
 (23) შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო.  
 (23ა) პაროლი დაასკანირე და შინ მშვიდობით მიდიო!

## დასკვნა

ამდენად, ტრადიციული ხალხური ანდაზების გვერდით გამოიყოფა მათი სატირულ-იუმორისტული ხასიათის გარდაქმნის შედეგად მიღებული ვარიანტები, რომელთაც შეგვიძლია კვაზიანდაზები ვუწოდოთ. „ანტიანდაზასთან“ შედარებით აღნიშნული ტერმინის უპირატესობა ისაა, რომ ატარებს არა ნეგატიურ, ხალხურ ანდაზასთან დაპირისპირებულ, არამედ შედარებით ნეიტრალურ შინაარსს. როგორც აღმოჩნდა, ქართულში დასტურდება სხვადასხვა თემაზე შექმნილი კვაზიანდაზები. მათ შორის აღსანიშნავია პოლიტიკური თემატიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები და სხვ. კვაზიანდაზების ტრანსფორმაციის ხერხებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული არის ტრადიციული ანდაზის ტექსტის მეორე ნაწილის ცვლილება. ხშირია აგრეთვე სიტყვათა თამაში და კონკრეტულ პარემიულ ერთეულში შემავალი ლექსემების ჩანაცვლება ისე, რომ არ დაირღვეს ხალხური ანდაზის სტრუქტურა და ლოგიკური მთლიანობა. ნათელია, რომ კვაზიანდაზები დღითი დღე უფრო მეტ აქტუალურობას იძენენ, რისი მიზეზიცაა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, ინტერნეტი და სხვ.

<sup>1</sup> მაგალითები (14ა) – (21ა) დამონმებულია შემდეგი ელექტრონული მისამართებიდან: <http://file.pirveli.ge/index.php?do=cat&category=humor/>; [http://goodweb.do.am/news/hak'reuli\\_andazebi/2011-02-13-1199](http://goodweb.do.am/news/hak'reuli_andazebi/2011-02-13-1199) (ბოლო წვდომა: 11.03.2018).

<sup>2</sup> ჰაკერი – ის, ვინც საჭირო მონაცემების მოპოვების მიზნით საკუთარი კომპიუტერის მეშვეობით არალეგალურად აღწევს საბანკო, საფინანსო, საწარმოო ან სხვა დაწესებულებების საინფორმაციო ქსელებში (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17355>)

<sup>3</sup> ინტერპოლი – 1923 წელს შექმნილი კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის შემოკლებული დასახელება (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4489>)



## ლიტერატურა

- ლეჟავა 1959** – ლ. ლეჟავა, ქართული ანდაზების ენა, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. 1, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, გვ. 139-264.
- ქამადაძე 2016** – ლ. ქამადაძე, ანდაზის სტრუქტურულ-სემანტიკური და ეთნოკულტურული თავისებურებანი ინგლისური და ქართული ანდაზების მიხედვით (სადოქტორო დისერტაცია), ბათუმი.
- შავლაძე 2015** – თ. შავლაძე, ქართული და ანგლო-ამერიკული ანტი ანდაზების იუმორი, ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, №24, თბილისი, გვ., 52-55;
- შურლაია 2008** – თ. შურლაია, ანდაზები და ანტიანდაზები პოლიტიკაში (ქართული მასალების მიხედვით, ქართველოლოგია, №6, თბილისი, გვ., 46-52;
- ცინცაძე 2016** – თ. ცინცაძე, სიტყვათა თამაშის როლი ინგლისურ და ქართულენოვან მედიადისკურსში, სადოქტორო დისერტაცია, ბათუმი, ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [https://www.bsu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_5763\\_1.pdf](https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_5763_1.pdf);
- Береговская 2001** – Э. М. Береговская, «Квази»: (Чужой текст как материал языковой игры) // Лингвист. исслед. : к 75-летию профессора В. Г. Гака. Дубна, 2001. С. 23–27;
- Бровкина 2006** – Пословицы как продуктивные единицы языка и фольклора (На материале французского языка), диссертация, 2006: <http://www.dissercat.com/content/poslovitsy-kak-produktivnye-edinitsy-yazyka-i-folklor-na-materiale-frantsuzskogo-yazyka>;
- Мед 2015** – Мед Н. Г. Языковая игра на фоне экономического кризиса (на материале испанского языка, XLIV Международная филологическая конференция, Санкт-Петербург, 10 -15 марта 2015 г. : Избранные труды, Стр. 212-219, <http://mfk.spbu.ru/sites/default/files/med.pdf>;
- Мокиенко, Вальтер, 2006** – Мокиенко В. М. and Вальтер Х. Прикольный словарь: антипословицы и антиафоризмы, Нева, 2006, 381 pages.
- Anand 2014** – Anand A. Proverb and Antiproverb, Studies on the Teaching of Asian Languages in the 21<sup>st</sup> Century, Cambridge Scholars Publishing, pp.23-28, Available from: [https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=lmmkBgAAQBAJ&oi=fnd&pg=PA23&dq=antiproverb+&ots=A9tqw6ZkkG&sig=e9TVJU8ZoPWvP7QhOOp095qmTJI&redir\\_esc=y#v=onepage&q=antiproverb&f=false](https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=lmmkBgAAQBAJ&oi=fnd&pg=PA23&dq=antiproverb+&ots=A9tqw6ZkkG&sig=e9TVJU8ZoPWvP7QhOOp095qmTJI&redir_esc=y#v=onepage&q=antiproverb&f=false)
- Litovkina 2014** – Litovkina A. T. „Anti-Proverb“, Encyclopedia of Humor Studies, SAGE Publications, Thousand Oaks, Available from: <http://sk.sagepub.com/reference/encyclopedia-of-humor-studies/n24.il.xml>
- Militz 1999** – Militz H. M. and K. U. Militz, Proverb-Antiproverb: Wolfgang Mieder’s Paremiological Approach, Western Folklore Vol. 58, No. 1 (Winter, 1999), pp. 25-32, Available from: [http://www.jstor.org/stable/1500360?seq=1#page\\_scan\\_tab\\_contents](http://www.jstor.org/stable/1500360?seq=1#page_scan_tab_contents)
- Pavlović 2016** – Pavlović V. ANTI-PROVERBS IN ENGLISH AND SERBIAN, FACTA UNIVERSITATIS Series: Linguistics and Literature Vol. 14, No 2, 2016, pp. 129-136, Available from: [https://www.researchgate.net/publication/315465328\\_ANTI-PROVERBS\\_IN\\_ENGLISH\\_AND\\_SERBIAN](https://www.researchgate.net/publication/315465328_ANTI-PROVERBS_IN_ENGLISH_AND_SERBIAN)

## წყაროები

- <https://www.facebook.com/313925032106172/photos/rpp.313925032106172/314275478737794/?type=3&theater>
- <http://answers.ambebi.ge/s/5/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A>

0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98/12/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98/209502/category

<http://answers.ambebi.ge/s/6/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/66/%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/350161/category>

<https://www.facebook.com/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-1020874601342701/>

<https://saertogazeti.wordpress.com/2011/11/19/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%94-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3-%E1%83%92%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98/>

<http://answers.ambebi.ge/s/126/%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D/131/%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90---%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D/66382/category>

<http://anegdotebi.mcvane.ge/sxartula/5150-bbbbbbyebbb-bbbbbbb.html>

<https://www.facebook.com/313925032106172/photos/rpp.313925032106172/314415705390438/?type=3&theater>

<http://mymaika.ge/mainc-shenia>

<https://www.facebook.com/313925032106172/photos/rpp.313925032106172/313938972104778/?type=3&theater>

<http://geocanabis.com/forum/index.php?/topic/1520-%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%98-iii/page-6>

<https://www.facebook.com/313925032106172/photos/rpp.313925032106172/315190855312923/?type=3&theater>

<https://www.facebook.com/313925032106172/photos/rpp.313925032106172/315190855312923/?type=3&theater>

<https://www.kvirispalitra.ge/sadgegrdzlod/21236-akhali-andazebi.html>

<http://file.pirveli.ge/index.php?do=cat&category=humor/>

[http://goodweb.do.am/news/hak'reuli\\_andazebi/2011-02-13-1199](http://goodweb.do.am/news/hak'reuli_andazebi/2011-02-13-1199)

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17355>

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4489>

საარქივო დოკუმენტები



## მუხრან მაჭავარიანი აკაკი შანიძის შესახებ

### სამ ხმად გადახდილი მადლობა

ვისაც ქართული ენა უყვარს, ვინც ქართული სიტყვის ფერ-ხორცი იცის, ვისაც საქართველოსათვის გული შესტკივა, ერთი სიტყვით – ვინც ნაღდი ქართველია, ყოვლად შეუძლებელია, მან არ იცოდეს: ვინ არის აკაკი შანიძე და პატივს არ სცემდეს მას.

როგორც ცნობილია, ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი სამწერლობო ენაა. ამ ენაზე ლაპარაკობდა კაცი, რომელმაც დედამინის ზურგზე პირველმა გამოადნო რკინა, მოიპოვა ოქრო და შესვა ღვინო. ეს არის ენა, რომლითაც წარმოითქვა: ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა...

ეს არის ენა, რომლის ყოველ სიტყვას დღემდე არ შეშრობია წინაპართა სისხლი და ცრემლი. ენა, რომელზეც მოლაპარაკე კაცს – გადაუღებელი ომებით გასავათებულს, – აღმაჭურად ეჩვენებოდა მშობლიური ანბანი:

ონით ხრმალებერ მტერთა სრვიდა,

განსა ფარებერ იფარვიდა,

ინსა ზუჩად დაირქმიდა,

ტარსა ჯაჭვად ჩაიცმიდა,

ენსა მშვილდად აიბმიდა,

სანით ისრად მებრძოლს სრვიდა!

და სწორედ ამ უძველესი და ურთულესი ენის მეხვაშიადე გახლავთ ბატონი აკაკი შანიძე. კაცი, რომელიც ჩიტებივით ხედავს ქართულ სიტყვებს, ხმაზე ცნობს ყოველ მათგანს...

დიდია აკაკი შანიძის ღვაწლი საქართველოს წინაშე. დღეს უკვე მხცოვანი, – ფერად-ფერადი ქართული სიტყვებით დახუნძლული, – დგას იგი ჩვენს შორის, – პირნათელი წარსულთან, აწმყოსთან და მერმისთან.

ვათვალთქვამთ მის დიდებულ შრომებს და საფლავებიდან მესმის წინაპართა მადლობის ხმები. წინაპრები მადლობას უხდიან ღვაწლმოსილ მეცნიერს.

წინაპართა მადლობას ერწყმის მადლობის ხმები აწმყოდან და მომავლიდან. ხმა ხმას ერთვის და ერთხმად გუგუნებს.

იშვიათად თუ ღირსებია ვისმე ამგვარი სამ ხმად გადახდილი მადლობა.

იცოცხლეთ, ბატონო აკაკი!

1967 წელი

თბილისი



## აკაკი შანიძის საკითხი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების 1949 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1949 წლის 21 ივლისს მიიღო დადგენილება „საბჭოთა ენათმეცნიერების თანამედროვე მდგომარეობისა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში ენათმეცნიერული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (დადგენილება 1949:95-96). დადგენილების მთავარი მიზანი იყო, რომ ნიკო მარის იაფეტურ თეორიას გაეგრძელებინა სიცოცხლე და საბჭოთა ენათმეცნიერებს დამაჯერებლად ემტკიცებინათ მისი განსაკუთრებულიობა (ამ დადგენილების მიზნების, ამოცანებისა და შედეგების შესახებ დანვრილებით იხ. ბოლქვაძე 2018:99-103). ეს დადგენილება აჩვენებს, რომ საკავშირო აკადემიას სურდა იმ ვითარების აღდგენა, რომელიც სუფევდა ენათმეცნიერებაში ნიკო მარის სიცოცხლეში. უფრო მეტიც, ჰუმანიტარულ მეცნიერებებს ნიკო მარის თეორიით უნდა ესუნთქათ. სწორედ ამ დადგენილების შემდეგ ინანიებდნენ ლინგვისტები იაფეტური თეორიის ამა თუ იმ დებულების ან მთელი თეორიის კრიტიკა რომ გაბედეს.

1949 წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის. ამ დროს ყველაზე მეტი დისკუსია გაიმართა მარქსისტული ენათმეცნიერების პრობლემებზე. სსრკ მეცნიერებათა აკადემია ხაზგასმულად ნიკო მარის იაფეტური თეორიის ერთგული რჩებოდა და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ყველას მთელი საბჭოეთის მასშტაბით, თუ ვინმეს კრიტიკული აზრი გამოუთქვამს მარის თეორიაზე მთლიანად ან მის რომელიმე დებულებაზე.

